

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,  
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И  
ЭТНОГРАФИИ ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1968

ნოდარ უზნაძელია

სელჩუკები და საქართველო  
XI საუკუნეში

გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1968



№ 41  
9 (17.9.22) „10“  
7483

აღმოსავლური პირველწყაროებისა და სპეციალურა ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია დიდ სელჩუთა სახელმწიფოს წარმოშობის დრო და პირობები. დიდ სელჩუკი სულთნების — თორღულბეგას, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის დაპყრობითი ომები, სელჩუთა სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხები, ნიზამ ალ-მულქის მოღვაწეობა და მისი როლი ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებაში.

ნაშრომში შესწავლილია სელჩუთა მიერ ანატოლიის თანდათანობითი დაპყრობა, თურქული ეთნიკურა ელემენტის მომპლავება, ურთიერთობა ბიზანტიასთან. მ.ნასკერტის ბრძოლა და მისი შედეგები ამიერკავკასიისათვის. საგანგებოდ გამახვილებულია ყურადღება ე. წ. „დიდი თურქობის“ საკითხზე საქართველოში. არის ცდები გიორგი მეორის მოღვაწეობის ახლებურად შეფასებისა. გათვალისწინებულია აგრეთვე დიდ სელჩუთა სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად დაშლის მნიშვნელობა საქართველოსათვის. დახასიათებულია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველი პერიოდი.

## შესავალი

სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა უდიდესი მოვლენა იყო მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში. მათმა გამოჩენამ არსებითად შეცვალა XI—XII სს. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. სელჩუკებმა დაიმორჩილეს მთელი რიგი კულტურული ხალხები შუა აზიიდან ვიდრე პალესტინამდე. მათ დაიპყრეს ირანი, ბიზანტიისა და ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გაავრცელეს თავიანთი ძალაუფლება. სელჩუკთა დაპყრობით ომებს თან სდევდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში. სელჩუკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ცხოვრებაშიც. მათ მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ XI—XIII სს. საქართველოსთან.

XI ს. მეორე ნახევარში დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის შედეგად წარმოიქმნა რამდენიმე ცალკეული პოლიტიკური ერთეული, მათ შორის, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელმაც სელჩუკთა სხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის ყველაზე მეტ ხანს იარსება (1308 წლამდე). XI ს-ის 70-იანი წლებისათვის საქართველოს ბიზანტიის ნაცვლად დაუმეზობლდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელთანაც მთელი XI—XIII სს. მანძილზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს.

XI ს-ის შუა წლებიდან სელჩუკთა დამეზობლებით საქართველოს ახალ, უცხო, ეთნიკურად და სოციალური განვითარების ოვალ-საზრისით სავსებით განსხვავებულ ტომებთან უხდებოდა მეზობლობა და ახლო ურთიერთობა მთელი სამი საუკუნის მანძილზე. საქართველოს ამ ისტორიული მეზობლის ვინაობა, წარმომავლობა, განვითარების დონე, ყოფა-ცხოვრება და საქართველოსთან ურთიერთობა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ საკმაოდ მრავალრიცხოვანი პირველწყაროები არსებობს.

წინამდებარე ნაშრომი, შეიძლება ითქვას, ერთგვარ ვრცელ შესავალ-გამოკვლევას წარმოადგენს მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მონოგრაფიულად შესწავლისა და მისი საქართველოს სამეფოსთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების გათვალისწინების საქმეში. აპჯერად, ჩვენს მიზანს შეადგენს შევიწავლოთ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორია XI ს-ში, გავითვალისწინოთ მათი წარმოშობის დრო და პირობები, მათი პირველი თავდასხმები აღმოსავლეთში, მარბიელი ხასიათის პირველი ლაშქრობანი ამიერკავკასიის ქვეყნებში საერთოდ და საქართველოში კერძოდ. ნაჩვენებია დიდ სელჩუკი სულთნების: თოღრულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის დაპყრობითი ომები და საქართველოსთან ურთიერთობა; ე. წ. „დიდი იურქობა“ და ქართველ პოლიტიკოსთა ღონისძიებანი საქართველოს ფიზიკური განადგურების საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შესწავლილია დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალური დაშლა და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების საკითხები, მმართველობის ორგანიზაცია, სამხედრო ორგანიზაცია და სხვ.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის საკითხების შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების ახლებურად გადაწყვეტაში. საქართველოსა და სელჩუკების პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები აღმოსავლური. ქართული და სხვა წყაროების შესწავლა-განალიზებისა და ურთიერთშეჭერების საფუძველზე დღემდე საგანგებო კვლევის საგნად არავის გაუხდია. რიგი საკითხები ცალმხრივად იყო გაშუქებული. საქართველოს მეზობლად სელჩუკთა თანდათანობითი მომძლავრებისა და ჩამოსახლების შედეგად ძალაუვნებურად იქმნებოდა პირობები მათთან ურთიერთობისათვის. საქართველოს პოლიტიკური მესვეურები იძულებული ხდებოდნენ გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა ეწარმოებინათ ახლად გამეზობლებულ, ანატოლიასა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ სელჩუკთა მომთაბარე ტომებისათვის. საფრთხე ექმნებოდა ქართულ ფეოდალურ ინტენსიურ მეურნეობას. საჭირო იყო სელჩუკთა მეჭოგე ტომების მოზღვაავების შეჩერება და ქვეყნისათვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევებისა და ჩამოსახლებული მომთაბარე ტომების შეკავებისა და განდევნის საქმე დავით აღმაშენებელმა იტვირთა და წარმატებით დაავიკრგინა. თუ ბაგრატ IV და გიორგი II ვერ ახერხებდნენ სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქრის შემოტევათა შეკავებას და ქვეყნის თავდაცვას, დავით აღმაშენებელმა პირველმა ითავა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მის ბრძოლას უცხო ძალების განდევნაში

ზელს უწყობდა მრავალი საგარეო და საშინაო ხასიათის მოვლენა, რომლებმაც ძირითადად განსაზღვრეს მისი წარმატებანი. დავით აღმაშენებელი ერთადერთი ხელმწიფე იყო მთელს ამიერკავკასიასა და წინა აზიაში, რომელმაც შესძლო სელჩუკებისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევა. მან განდევნა ისინი საქართველოს ტერიტორიიდან, დაიკვა და შეინარჩუნა კულტურული, ინტენსიური მეურნეობა და ამიერკავკასიის ხალხთა პროგრესისათვის ბრძოლის სათავეში ჩადგა.

ნაშრომში შესწავლილია დავით აღმაშენებლის სელჩუკებთან ურთიერთობის მხოლოდ პირველი პერიოდი (1097 წლამდე), როდესაც ის თანდათანობით, მეთოდურად ერეკებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ სელჩუკებს და ამზადებდა პირობებს უფრო ფართო ხასიათის ბრძოლებისათვის.

XI ს-ში სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების მონოგრაფიული შესწავლა პირველ ცდას წარმოადგენს ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამიტომ ბუნებრივია ნაშრომი არ იქნება დაზღვეული ნაკლოვანი მხარეებისაგან. საკითხების ის წრე, რომლითაც ვიფარგლებოდით ნაშრომის დამუშავებისას, შეიძლება არ იყოს სრული, ან მნიშვნელოვანი საკითხები ნაკლებად იყოს წარმოჩენილი. ამიტომ ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყოველგვარ შენიშვნებს, კეთილ რჩევებს, რომლებიც წიგნის შემდგომი გაუმჯობესებისათვის იქნება მიმართული.

ნაშრომის დამუშავებისას, როგორც ყოველთვის, დიდ დახმარებასა და რჩევა-დარიგებას მიწევდნენ პროფ. ვალერიან გაბაშვილი, პროფ. შოთა მესხია და პროფ. სერგი ჯიქია, რომელთაგან დიდად დავალებული ვარ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო იმ შრომატევადი სამუშაოს შესახებ, რომელიც გასწია ამ წიგნის რედაქტორმა ისტ. მეცნ. კანდ. რევაზ კიკნაძემ. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვასხენებ აღნიშნულ პირთ, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობითა და რჩევა-დარიგებით მომზადდა წინამდებარე ნაშრომი.

წყაროები და ლიტერატურა

I. წყაროები. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ საინტერესო პირველწყაროები მოგვეპოვება არაბულ, სპარსულ, სირიულ, სომხურ, ბერძნულ, ქართულ და სხვა ენებზე. ამ წყაროებში მოიპოვება აგრეთვე ცნობები დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსთან საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობის შესახებ. არაბულ, სპარსულ, სირიულ და სომხურ ენებზე არსებული პირველწყაროების უმეტესობა თურქეთის საისტორიო საზოგადოების მიერ თარგმნილია თურქულ ენაზე. ამ საისტორიო წყაროებს ძირითადად თურქულ თარგმანებში გავეცანით. ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ ძირითად პირველწყაროებს, რომელთაც ემყარება წინამდებარე ნაშრომი და რომელთა შესწავლა-ანალიზმა, და ვრცელი სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსა და მისი ურთიერთობის ისტორია საქართველოსთან XI საუკუნეში.

ქართულ წყაროებში საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში საკმაო სიზუსტითაა გადმოცემული მნიშვნელოვანი ცნობები დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვითარების და საქართველოსათვის მისი მნიშვნელობის შესახებ.

სელჩუკთა ხანის შესახებ არსებული თითქმის ყველა არაბულ-სპარსული წყარო მეტ-ნაკლებად ვრცლად მოგვითხრობს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას, მეზობელ ქვეყნებთან მათი ურთიერთობის შესახებ. როდესაც ესა თუ ის წყარო საგანგებოდ ეხება დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალური დაშლის საფუძველზე წარმოქმნილ სელჩუკთა რომელიმე პოლიტიკური წარმონაქმნის ისტორიას, იქ შესავლის სახით, საკმაოდ ვრცლად, აუცილებლად იქნება დაცული ცნობები დიდ სელჩუკი სულთნების საქმიანობაზე. რიგი წყაროებისა კი, საგანგებოდ განიხილავს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას და ასევე საგანგებოდ გადმოსცემს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის საფუძველზე წარმოქმნილ ამა თუ იმ ფეოდალური პოლიტიკური ერთეულის ისტორიას.

დაარსების პირველი პერიოდიდანვე სელჩუკთა სახელმწიფოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდ სელჩუკი სულთნების პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა საქართველოსთან. ამ პერიოდის შესახებ არსებული ძეგლები ძვირფასი წყაროა, როგორც საკუთრივ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის, ასევე საქართველოსა და სელჩუკების ურთიერთობის საკითხების შესასწავლად.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ ძალზე საინტერესო წყაროს წარმოადგენს — ზუბდათ ალ-ნუშრა ვა ნუჰბათ ალ-უსრა (Zubdat al-Nuṣra va Nuḥbat al-usra), რომელიც სამი სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროსაა დაწერილი და სარწმუნო და ვრცელ ცნობებს შეიცავს მელიქ-შაჰის სულთნობის პერიოდიდან (1072—1092) ვიდრე XII საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ თხზულებას ერთ-ერთ პირველი ადგილი უჭირავს ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ არსებულ წყაროთა შორის. ამ წყაროს პირველი ავტორი იყო შერეფ ად-დიდ აბუ ნასრ ანუშირვან ბ. ხალიდ ქაშანი (გარდაიცვალა 533/1138/39 წ.). იგი სულთან ბარქიაროკის დროს (1093—1104) სასახლის კარზე ქათიბის მოვალეობას ასრულებდა. იყო ვეზირის ნაიბი და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სასახლის კარზე. სულთანმა მასუდმა (1135—1152) ის გადააყენა თანამდებობიდან 530 (1135/36) წელს და სიცოცხლის ბოლო წლები მან ბაღდადში გაატარა. ვ. როზენი აღნიშნავს, რომ მას უცილობლად ჰქონდა სრული შესაძლებლობა სცოდნოდა საიდუმლო და აშკარა მოვლენები და ფაქტები<sup>1</sup>. იგი აუთხალიფა მუსთარშიდის ვეზირი, შემდეგ სიცოცხლის ბოლო წლებში ერაყის სელჩუკი სულთნის, მასუდის ვეზირი<sup>2</sup>. გარდაცვალების წინ მან სპარსულად დაწერა მოგონებები სათაურით: **فتور زمان الصدور** (ვეზირთა დაკნინების ხანა და დაკნინების ხანის ვე-

<sup>1</sup> В. Р о з е н. Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом, II, Имад эд-дин Исфаганский, «Записки Восточного отделения Императорского русского археологического общества», III, 1887, СПб., стр. 192.

<sup>2</sup> ამ წყაროს პირველი ავტორის ვინაობის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს M. Th. Houtsma-ს. ის მან წინასიტყვაობის სახით დაურთო ფრანგულ ენაზე ამ წყაროს არაბულ გამოცემას. იხ. Recueil de textes relatifs à l'histoire des Seldjoucides par M. Th. Houtsma. vol. II. Histoire des Seldjoucides de l'Iraq, par al Bondari, d'après Imâd ad-din al-Kâtib al Isfahâni. Texte arabe publié d'après les MSS. d'Oxford et de Paris, 1889. ჩვენ ესარგებლობდით ამ წყაროს თურქული თარგმანით. წყაროს თურქულად მთარგმნელმა პუთსმან შესავალი წერილი თურქულად თარგმნა და წინ დაურთო. იხ. Irak ve Horasan Selçuklulari Tarihi Imad ad-din al Kâtib al Isfahâninin al-

ზარება). ამ მოვლენებში ავტორს მოვლენები აღწერილი აქვს სულ-თან-ქელიქ-შაჰის გამეფების წლიდან (1072 წ.) ერაყის სელჩუკთა სულთან თოდრულ I-ის მოღვაწეობის ბოლო წლამდე (1135 წ.).

წყაროს პირველი ავტორის მიერ აღწერილი ამბები საინტერესოა და ღიძი მნიშვნელობისაა. ვ. როზენი წყაროს პირველ ვარიანტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და სინანულს გამოსთქვამდა, რომ იგი ჯერჯერობით კიდევ არ იყო აღმოჩენილი. მისი თქმით, იგი პირველ-ხარისხოვან წყაროს წარმოადგენს სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიისათვის დაახლოებით სულთან მელიქ-შაჰის დროიდან ვიდრე XII ს-ის 30-იან წლებამდე<sup>3</sup>. წყაროს პირველმა ვარიანტმა ჩვენამდე მოაღწია არაბული თარგმანით, მნიშვნელოვანი შესწორებებითა და დამატებებით. იგი არაბულად თარგმნა იმად ედ-დინ ისფაჰანი აბუ აბდალ-ლაჰ მუჰამედ ბ. მუჰამედმა (გარდაიცვალა 597/1200 წ.). მან იგი შეავსო და, პროფ. ჰუთსმას აზრით, შეამოკლა კიდევ ზოგიერთი ადგილი. წინ დაურთო სელჩუკთა ისტორიის მიმოხილვა 1072 წლამდე, ხოლო წყაროს პირველი ვარიანტის თხრობა გააგრძელა 1180 წლამდე. მან ამ ნაშრომს უწოდა: نصرة الفتره و عصبه الفطره („დავრომილთაღმი დახმარება და ქმნილებათა თავშესაფარი“) იმად ედ-დინ ისფაჰანი თვით-მხილველი და მომსწრე იყო იმ მოვლენებისა, რომლებიც მას აქვს აღწერილი, კერძოდ; 1154 წლიდან ვიდრე 1180 წლამდე. იმად ედ-დინ ისფაჰანი დაბადებულა 1125 წელს და გარდაცვლილა 1200 წელს<sup>4</sup>. მისი თხზულების ერთადერთი ნუსხა, რომელიც XVIII ს. განეკუთვნება, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (№ 772)<sup>5</sup>. ვ. როზენი მალა შეფასებას აძლევს იმად ედ-დინ ისფაჰანის ამ თხზულებას. იგი

---

Bondarı tarafından ihtisar edilen Zubdat al-Nuṣra ve Nuḥbat al usra adlı kitabının tercümesi. M. Th. Houtsma tarafından 1889 da Leidende neşredilen metinden türkçeye çeviren Kivameddin Burslan: İstanbul, 1943, გვ. X—XXV. წყაროს ამ ავტორის შესახებ ცნობები იხ. აგრეთვე I. Kafesoğlu, Sultan Melikşah Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu, İstanbul, 1953, გვ. 3; Академик В. В. Бартольд, Соч., I, 1963, М., стр. 73; В. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 189—190.

<sup>3</sup> В. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

<sup>4</sup> იმად ედ-დინ ისფაჰანის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, იხ. ჰუთსმას შესავალი წერილი, დართული წყაროს თურქული თარგმანისადმი, გვ. XXV—XXIX.

<sup>5</sup> В. Розен, დასახ. ნაშრ., გვ. 190; Бартольд, Соч., I, 1963, М., გვ. 74. ჰუთსმას შესავალი წერილი, დართული წყაროს თურქული თარგმანისადმი, გვ. XXVIII.

მას სადრ ელ-დინ აბულ-ჰასან ალი ალ-ჰუსეინის თხზულებაზე მალა აყენებს<sup>6</sup>. აკად. ვ. ბარტოლდი ასახელებს იმად ელ-დინ ისფაჰანის მეორე თხზულებას — ანთოლოგიას, რომელშიაც მოხსენებულია ბევრი ცნობილი მწერლის თხზულებები და გადმოცემულია მათი მოკლე ბიოგრაფიები. მისი სიტყვით, ამ ნაშრომის სათაურია „ხარიდათ ალ-კასრ ვა ჯარიდათ ალ-ასარ“, რომელიც შეფერის თარგმანით ნიშნავს „კოშკის ულამაზესი ასული და ეპოქის სამახსოვრო ჩანაწერი“<sup>7</sup>.

იმად ელ-დინ ისფაჰანის მიერ შევსებულ-შესწორებული არაბული თარგმანი უფრო მოგვიანებით, 1226 წელს, შემოკლებული რედაქციით გადააკეთა ისფაჰანის მკვიდრმა ალ-ფათჰ ბენ ალი ბინ მუჰამედ ალ-ბონდარიმ. ბონდარიმ თავის თხზულებას უწოდა: النصر العصرة و نخبة العصرة [ზუბდათ ალ-ნუსრაათ ვე ნუჰბათ ალ-უსრაათ] — საუკეთესო ადგილები წიგნიდან „დახმარება“ და გამორჩეული (ადგილები) წიგნიდან „თავშეაფარი“<sup>8</sup>. ბონდარის თხზულების ორი ხელნაწერი არსებობს, ერთი ინახება ოქსფორდში, ბოლღეს ბიბლიოთეკაში და მეორე პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. პირველი გადაწერილია 735 (1725) წელს, მეორე — ალ-ბონდარის ავტოგრაფიდან — 660 (1262) წელს<sup>9</sup>. ვ. როზენმა ეს ორი ხელნაწერი შეაჯერა ერთმანეთთან, შემდეგ ორივე პროფ. ტორბეკეს საშუალებით შეადარა იმად ელ-დინ ისფაჰანის თხზულების ერთადერთ ხელნაწერს და დაასკვნა, რომ ბონდარის არაფერი არსებითი ხასიათისა არ გამორჩენია, ის დაკმაყოფილებულა მხოლოდ ზოგიერთი ფრაზის სრულიად უმნიშვნელო შეცვლით<sup>10</sup>.

თუ ეს ასეა, ალ-ბონდარის თხზულება, რომელიც წინამორბედი ორი ავტორის თხზულებებს ემყარება, უფრო სრული და შევსებული ვარიანტია, რომელიც ძალიან საინტერესო და ძვირფას ცნობებს შეიცავს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და სახელმწიფო წყობილების მთელი რიგი საკითხების შესასწავლად. მასში მოკლედ, მაგრამ მაინც არის შემონახული ფრაგმენტუ-

<sup>6</sup> В. Розен, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 192.

<sup>7</sup> В. В. Бартольд, *Туркестан*, Соч., т. I, 1963, М., გვ. 74.

<sup>8</sup> ბონდარის თხზულება აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა მ. საღულაევმა. ხელნაწერი თარგმანი ინახება აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფონდში. იხ. Ал-Бондари, Таварих ал-Сельджук, перев. М. Садуллаева, Баку, 1947, рукопись, ИИФ.

<sup>9</sup> В. Розен, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 190. იხ. აგრეთვე ჰუსთმას შესავალი წერილი, დართული წყაროს თურქული თარგმანისადმი, გვ. XXX—XXXVIII.

<sup>10</sup> იქვე.



ლი ხასიათის ცნობები საქართველოს შესახებ. ბონდარის თხზულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ვ. ბარტოლდი. იგი აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ ბონდარის მიერ გადაკეთებული თხზულება ძნელად იკითხება უამრავი რიტორიკული გამოთქმისა და იშვიათი სიტყვების გამო, მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ყველაზე სრულ წყაროს სელჩუკთა ისტორიისათვის. მასში გადმოცემულია ბევრი ისეთი ფაქტი, რომლებიც სხვა წყაროებში არ გვხვდება<sup>11</sup>. ბონდარის თხზულების სრული არაბული ტექსტი, ვრცელი შესავალი წერილით გამოცა ჰუთამაჰ<sup>12</sup>, ხოლო მისი თურქული თარგმანი 1943 წელს დაბეჭდა კივაპედლინ ბურსლანმა<sup>13</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქულ გამოცემას ვრცელი შესავლის სახით (გვ. XXXIX—LXIII) წამდგარებული აქვს ნაწყვეტები თურქულ ენაზე იბნ ალ-ასირის თხზულებიდან. იბნ ალ-ასირის ცნობების ნაწყვეტები შეეხება ოღუზებსა და სელჩუკებს XI ს-ის პირველ ნახევარში, მომთაბარე ოღუზებს, მათ საქმიანობას, ოღუზების მიერ ჰამადანის ხელთ ჩაგდებას, დიარბექირში შესვლას, მოსულის მოსახლეობასთან ურთიერთობას, თოდრულ-ბეგის მიერ ხორასანში წარმოებულ საქმიანობას და სხვ. გარდა ამისა, ბონდარის თხზულების თურქულ გამოცემაში სქოლიოებში გადმოცემ-

<sup>11</sup> В. В. Бартольд, Туркестан, гв. 74.

<sup>12</sup> Recueil de textes relatifs à l'histoire des Seldjucides par M. Th. Houtsma, vol. II. Histoire des Seldjucides du Kerman par Muhammed Ibrahim. 1886; E. J. Brile. Histoire de Seldjucides de l'Iraq, par al-Bondârî, d'après Imad ad-din al-Kâtib al-Isfahânî. Texte arabe publié d'après les MSS. d'Oxford et de Paris, 1889. ამ ნაშრომის შესახებ იხ. ვ. როზენის რეცენზია — «Записки Восточного отделения императорского русского археологического общества», т. IV, 1889, гв. 449—450). ჯერ კიდევ ამ წყაროს ტექსტის გამოკვეყნებამდე ვ. როზენმა ამ წყაროს ხელნაწერიდან გამოაქვეყნა ერთი ნაწყვეტი შესავალი წერილით, არაბული ტექსტითა და რუსული თარგმანით, რომელიც ალფარსლანის მიერ მანასკერტთან 1071 წელს რომან დიოგენის დატყვევების ამბებს შეეხება. იხ. В. Р о з е н, Арабские сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом. II. Имад эд-дин Исфганский, гв. 189—202. ჩვენ თურქულ ტექსტთან ერთად ვსარგებლობდით აგრეთვე ნაწყვეტებით ბონდარის თხზულებიდან სელჩუკთა გამოჩენის ისტორიისა და ოღუზთა აჯანყების შესახებ ს. ვოლინის მიერ შესრულებული რუსული თარგმანით. (Материалы по истории туркмен и Туркменин, т. I, VII—XV вв., Арабские и персидские источники, под редакцией С. А. Волина, А. А. Ромаскевича и А. Ю. Якубовского, М.-Л., 1939, гв. 320—324 (შემდგომ ყველგან მითითებული იქნება М И Т Т, I).

<sup>13</sup> Irak ve Horasan Selçuklular tarihi, Imad ad-din al Kâtib al-Isfahânînin al Bondârî tarafından ihtisar edilen Zubdat al-Nuṣra va Nuḥbal al usra adlı Kitabının tercümesi M. Th. Houtsma tarafından 1889 da Leiden'de neşredilen metinden türkçeye çeviren Kivameddin Burslan. İstanbul, 1943.

ლის მიერ ვრცლად არის მოტანილი იბნ ალ-ასირის ცნობები თურქული თარგმანით და შეჯერებულია იგი ბონდარის თხზულების ამა თუ იმ ცნობასთან. ტექსტის გამოცემის ასეთი ხასიათი იბნ ალ-ასირის თხზულებაზე მუშაობას გვიადვილებდა. გარდა ამისა, ჩვენს განკარგულებაში იყო იბნ ალ-ასირის თხზულების რამდენიმე რუსული და ქართული თარგმანი<sup>14</sup>.

იბნ ალ-ასირის ბიოგრაფიის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. მან თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა მოსულში, სადაც მსახურობდა ათაბაგ ნურ ად-დინ არსლან-შაჰის კარზე მწერლად. ამ პერიოდში ის ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას ეწევა და დიდი ინტერესით სწავლობს წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებს. ეცნობა სხვადასხვა ხალხთა სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიას; ამავე დროს, დიდ ყურადღებას აქცევს მისი თანამედროვე ამბებზე შეკრებას. იგი „ცნობებს აგროვებდა სხვადასხვა საშუალებით, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შემთხვევის გამო. იგი ისმენდა ამა თუ იმ ქვეყნების ელჩების, ვაჭრების, მინიონერების, ტყვეებისა და ლტოლვილთა ნაამბობს, ერთმანეთს უდარებდა მათ და, როცა მოყოლის კვშმარიტებაში დარწმუნდებოდა, ის თავის დავთარში შექქონდა“<sup>15</sup>.

---

<sup>14</sup> П. Ж у з е, Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камил Ибн ал-Асфра, Баку, 1940. МИТТ-1, стр. 358—409; В. Р о з е н, Арабские сказания о поражении Романа Алп-Арсланом, I, Ибн ал-Асфр. Записки Восточного отделения императорского русского археологического общества, т. I, вып. I, 1887, СПб., стр. 19—22; ივ. შ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, „მოამბე“, თბილისი, 1898, № 1.

<sup>15</sup> ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 107. იბნ ალ-ასირის შესახებ ცნობები იხ. Ibn Khalikans, Biographical Dictionary, translated from the arabic by B. Mac Guckin de slanc; Notice sur la vie et les auvrages d'Ibn al-Athir el Djezeri. Recueil des histor. orient. des croisades, Paris, 1872, t. I. Т и з е н г а у з е н, Сборник материалов относящихся истории Золотой Орды, СПб., т. I, Ученые записки императорской академии наук по первому и третьему отделениям, СПб., 1854, т. II, вып. IV; П. Ж у з е-ს დასახ. ნაშრ. და სხვ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის შესახებ იბნ ალ-ასირის თხზულებაში დაცული ცნობების წყაროებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ლენინგრადელმა მეცნიერმა ო. ფროლოვამ. О. Б. Ф р о л о в а, Источники летописи Ибн ал-Асфра (XIII век) в разделах, посвященных истории народов СССР, Ленинград, 1953 (ხელნაწერი, საკანდიდატო დისერტაცია). მისი მტკიცებით, სელჩუკთა სახელმწიფოსა და ზორეზშაჰების ისტორიისათვის იბნ ალ-ასირი იყენებდა აბულ-ჰასან იბნ ზეიდ ბაიჰაყის, იბნ-ფუნდუკის თხზულებას (იგი გარდაიცვალა 565/1169—70 წელს. ი ქ ე ე, გვ. 55).

იბნ ალ-ასირი რამდენიმე შრომის ავტორია, მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა მსოფლიო ისტორიის შესახებ ვრცელი ნაშრომი, ე. წ. „თარხ ალ-ქაშილ“, სადაც ამბების გადმოცემა მოყვანილია 1231 წლამდე. ამ ნაშრომის დაწერისას ავტორი უხვად იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებს და ამდენად მისი ნაშრომი კომპილაციას წარმოადგენს, მაგრამ მასში დაცულია ისეთი ცნობებიც, რომლებიც წინარე ხანის ისტორიკოსებს არ ჰქონიათ შემონახული. ეს ცნობები ძირითადად ემთხვევა იმ პერიოდს, რომელსაც თვითონ მოესწრო, იყო თვითმხილველი და უშუალოდ ჰქონდა მოსმენილი თავისი თანამედროვეებისაგან (1160—1234 წლები). ამდენად იბნ ალ-ასირის ცნობილი ნაშრომი ძალიან ძვირფასი წყაროა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის საკითხების გასარკვევად ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. ის ვრცლად მოგვითხრობს ამიერკავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ, საქართველოს ვითარებისა და სელჩუკებთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ.

ამდენად დიდი იყო იბნ ალ-ასირის თხზულების, როგორც წყაროს მნიშვნელობა მომდევნო ხანის ისტორიკოსებისათვის, რომ ისინი უხვად იყენებდნენ ამ თხზულებაში დაცულ ცნობებს. ეს ისტორიკოსები იყვნენ: იბნ-ხალდუნი, რაშიდ ედ-დინი, იბნ ალ-ჯაუზი, აბულ-ფიდა და სხვ.<sup>16</sup>

სელჩუკთა პოლიტიკური ერთეულების შესახებ არსებული წყაროები მეტ-ნაკლებად მოგვითხრობენ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ, შესავლის სახით მოკლედ გადმოგვცემენ მათ მდგომარეობას, შემდეგ სელჩუკთა რომელიმე დინასტიის ისტორიას საგანგებოდ აღწერენ. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაარსების პირველი პერიოდიდანვე გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ამ ხანის შესახებ არსებული ძეგლები ძვირფასი წყაროა როგორც საკუთრივ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიისათვის, ასევე საქართველოსა და სელჩუკების ურთიერთობის საკითხების შესასწავლად. დიდ სელჩუკი სულთნებისა და ერაყის სელჩუკების საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სადრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალი ბენ ნაშირ ბენ ალი ალ-ჰუსეინის თხზულება „სელ-

---

<sup>16</sup> Ученые записки императорской академии наук по первому и третьему отделениям, СПб., 1854, т. II, вып. IV, стр. 637.

ჩუკთა სახელმწიფოს ისტორია<sup>17</sup>. აღნიშნული წყაროს ხელნაწერი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. წყაროს პირველი გამომცემლის ფენჯაბის უნივერსიტეტის პროფ. მოჰამედ ებალის შესავალი წერილი, სადაც განხილულია ავტორის ვინაობისა და წყაროს ღირებულებათა და მნიშვნელობის შესახებ, დართული აქვს ძეგლის ამ გამოცემას. მოჰამედ ებალის მიერ გამოქვეყნებული არაბული ტექსტის თურქული თარგმანი გამოსცა თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ ყოველგვარი კომენტარისა და შესავლის გარეშე<sup>18</sup>.

ამ წყაროს ღირებულებისა და მისი ავტორის ვინაობის შესახებ თავისი მოსაზრება გამოსთქვა პროფ. ჰუთსმამ იმ შესავალში, რომელიც მან წინ წაუძღვარა ერაყისა და ქერმანის სელჩუკების შესახებ გამოცემულ წყაროებს. ამ წყაროს იცნობდა ჩ. რიოც. მან თავის ცნობილ კატალოგში, რომელიც მიუძღვნა ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ არაბულ ხელნაწერებს, ეს თხზულებაც შეიტანა სათაურით Zübdet üf Tevarih (ზუბდეთ უთ-თევარიხ): ამ ძეგლის შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული K. Süsseim-ს<sup>19</sup>. მას გულდასმით და დიდი ყურადღებით აქვს გაანალიზებული ეს წყარო და გამოთქმული აქვს მოსაზრება ავტორის ვინაობის შესახებ. მისი აზრით, ნაშრომის ავტორი უცნობია. ის რიგი არგუმენტებით ამტკიცებს, რომ ზუბდეთ უთ-თევარიხის სადრ ედ-დინ ალ-ჰუსეინის ძველი ნაშრომია. ამ წყაროს ავტორობის აბულ ჰასან ალისათვის მიკუთვნება გადამწეროს მიერ დამწებული შეცდომააო. ქათიბმა წიგნის პირველ გვერდზე დააწერა: „Ahbar üd-devlet is Selçukıye“ (ახბარ უდ დევლეთ ის სელჩუკიე), ამიტომ

<sup>17</sup> Akhbar ud dawlat is-Saldjuqiyya by sadr'ud din Abul Hasan Ali Ibn naşir Ibn ali al-Husaini, Edited by Muhammad Iqbal, 1933, Lahore. ამ წყაროს გამოქვეყნებამდე ხელნაწერიდან ერთი ნაწყვეტი არაბული ტექსტითა და რუსული თარგმანით. მცირე შესავლით გამოაქვეყნა ვ. როზენმა. (В. Розен, Арабския сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом, III, Садр эд-дин ал-Хусейни, Записки восточного отделения императорского русского археологического общества, т. I, вып. IV, СПб., 1887, стр. 243—253).

<sup>18</sup> Sadruddin. Ebul-Hasan Ali Ibn Nâşir Ibn Ali El Hüseyini, Ahbâr üd-devlet is Selçukıye. Pencap Üniversitesi Farsça profesörü Muhammed Ikbali 1933-de Lahorda Neşrettiği metinden tercüme eden Necati Lügal. Ankara, 1943. ამ გამოცემიდან ჩვენ შევასრულეთ ქართული თარგმანი, რომლის ხელნაწერი თურქული ტექსტით, კომენტარით და გამოკვლევით 24 თაბახის მოცულობით ინახება საქ. სსრ მეც. აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში (ქვემოთ ყველგან მოითხოვებული იქნება—ახბარ).

<sup>19</sup> K. Süsseim, Prolegomena zu einer Ausgabe der im Britischen Museum zu London verwahrten «Chronik des Seldschukischen Reiches». Leipzig, 1911.

შეცდომით Zübdet üt-Tevarih-ის ავტორობას საღრ ედ-დინ აბულ ჰასან ალის მიაწერნო.

ამ ძეგლის გამომცემელი მოჰამედ ეყბალი მხარს უჭერს ზემოთ მოტანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წყაროს ავტორი უცნობია, და გაქოსთქვამს ვარაუდს, რომ მისი ავტორი XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, ნაშრომი 1225 წლის შემდეგაა დაწერილი. იგი მის ავტორს სასახლესთან დაახლოებულ პიროვნებად მიიჩნევს<sup>20</sup>.

ვ. ზუსეიმმა მაინც ვერ დაადგინა წყაროს ნამდვილი ავტორი და გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია არაბ ისტორიკოსთა შორის ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი იყოს ავტორი ამ ნაშრომისა. ეს პირებია: 1) ჯემალ ედ-დინ აბულ ჰასან ალი ელ-კიფთი, რომელიც ავტორია შრომისა „Tarih ül-Hükema“ და 2) აბულ-ჰასან ალი ბინ აბულ მანსურ ზაფირ ბინ ალ-ჰუსეინ ალ-ჰაზრეჯი ალ-მისრი, რომელიც 566/7 წლებში (1171—72 წ.) ეგვიპტეში დაბადებულა, ეიუბიის პრინციის ელ-ნელიქ ულ-ეშრეფის მსახურად ყოფილა სირიასა და ეგვიპტეში და ბევრი ნაშრომი დაუწერია. ზუსეიმს სავსებით დასამუშევად მიაჩნია, რომ ამ ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი ამ წყაროს ავტორი იყოს. ეს მოსაზრება არ გაიზიარა ჰუთსმამ. მას ამ წყაროს ავტორად არც ერთი მიაჩნია და არც მეორე, რადგანაც, მისი აზრით, ეს ავტორები ეგვიპტესა და სირიაში ცხოვრობდნენ, ხოლო წყაროს ნამდვილი ავტორი, როგორც თხზულების შინაარსიდან ჩანს, ისლამის სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში — აზერბაიჯანში, ხორეზმში და, შესაძლებელია, ბაღდადში ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ წყაროს ნამდვილი ავტორის დადგენის რამდენიმე ცდა იყო, მისი საბოლოოდ დამტკიცება ვერ მოხერხდა და დღესდღეობით მაინც პირობითად ამ წყაროს ავტორად მიიჩნევენ საღრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალი იბნ ნაშირ იბნ ალი ალ-ჰუსეინს. ამ პირის ავტორობით გამოიცა იგი პირველად 1933 წელს ლაჰორში და აგრეთვე ითარგმნა 1943 წელს თურქულ ენაზე.

კ. ზუსეიმი საინტერესო შეხედულებას გამოსთქვამს ამ ნაშრომის წყაროების შესახებაც. მისი აზრით, ამ თხზულების წყაროა Zubdat

<sup>20</sup> ა ხ ბ ა რ . . . , გვ. IX. ვ. ბარტოლდი სადავოდ არ მიიჩნევს, რომ ნაშრომი დაწერილია 1194 წლის შემდეგ ამირ საღრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალი ბ. ნასირ ალ-ჰუსეინის მიერ, რომელიც ხორეზმშაჰ თეჟიშუს სამსახურში იმყოფებოდა (იხ. В. В. Бартольд, Туркестан, Соч., I, გვ. 74). ასეთსავე მოსაზრებას გამოსთქვამს ჰუთსმაც (იხ. Recueil de texte..., ტ. I, გვ. X) და ვ. როზენიც. В. Розен, Арабския сказания о поражении Романа Диогена Алп-Арсланом, III; Садр эд-дин ал-Хусейни, Записки..., т. I, вып. IV, 1887, СПб., стр. 244.

ბი Tevarih (ზუბდათ უთ-თევარიჰ) და იმად ედ-დინ ალ-ქათიბ ალ-ისფაჰანის ნაშრომი. მისი თქმით, წყაროს ავტორმა ცნობების უმეტესობა ამ თხზულებიდან აიღო, მაგრამ ზუსტი მინც ვერ შესძლო ძეგლის ბოლო ნაწილის წყაროების დადგენა. ამ ძეგლის წყაროების დადგენაში მას მხარს უჭერდა ჰუთსმაყ. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა, რომ ავტორი მხოლოდ პირველი სელჩუკი სულთნების ისტორიის გადმოცემისას საარგებლობდა სხვა ქრონიკებით. ის იშვიათად ახდენდა თავისი წყაროების ციტირებას და ამიტომ შესაძლებელია პირდაპირ იწერდა მას. უფრო მნიშვნელოვანია ცნობები ავტორის თანამედროვე მოვლენების გადმოცემისას, აქ ის სხვა წყაროებში სავსებით უცნობ უამრავ მოვლენას გადმოგვცემს<sup>21</sup>.

წერილობითი წყაროების გარდა თხზულების ავტორი ხშირად იყენებდა ზეპირ გადმოცემებს. წყაროდან ჩანს, რომ ის მის მიერ აღწერილი ამბების მომსწრე და თვითმხილველი არ არის. ის თავის ნაშრომში იხსენიებს ორ პიროვნებას: იმამ მუშერეფ შირაზის და ემინ ჯდ-დინ მოჰამედ ალ-ზენჯანის, რომელთა მიერ გადმოცემული ამბები შეტანილი აქვს თავის თხზულებაში.

ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ წყაროს შეხებია, ერთხმად აღიარებს მის უდიდეს მნიშვნელობას დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის რიგი საკითხების გასარკვევად. კლოდ კაენი შენიშნავდა, რომ ეს ნაშრომი სელჩუკთა ისტორიის შესახებ დაწერილი ქრონიკებისთვის გვერდით რომ ამოგვეყენებინა, უფრო მეტი საფუძველი გვექნებოდა, ვიდრე ეს ძეგლი მიგვეჩინა უბრალო „ამბავთა კრებულად“<sup>22</sup>. იგი მნიშვნელოვანი წყაროა სელჩუკთა ბატონობის დამკვიდრებისა და მისი უკანასკნელი პერიოდის ისტორიისათვის. აქ ვრცლადაა გადმოცემული სელჩუკების ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხები, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამ ძეგლის პირველი გამომცემელი მოჰამედ ეყბალი, მასში სელჩუკების ქრისტიანთა სამყაროსთან ურთიერთობა, ქართველებთან ბრძოლები, ალფ-არსლანის რომანოსთან გამარჯვება ისე ვრცლადაა ასახული, რომ არც ერთ წყაროში ასე არ გვხვდება<sup>23</sup>.

წყაროს უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვს საქართველოს ისტორიისათვის. მასში უხვადაა დაცული ცნობები XI—XII სს-ის საქართველოს შესახებ. ვრცლადაა აღწერილი ქართველებსა და სელჩუკებს შორის მომხდარი ბრძოლები; მოკლედ, მაგრამ მინც არის ცნო-

<sup>21</sup> В. В. Бартольд, Туркестан, стр. 75.

<sup>22</sup> С. I. Cahen, Le Malik-Nameh et l'histoire des origines Seldjukides. Oriens, II, 1949, გვ. 33.

<sup>23</sup> ახბარ..., გვ. XII.

ბები თბილისის, ახალქალაქისა და მთელი სამხრეთ საქართველოს შესახებ: ასევე არანაკლებ საინტერესო და პირველხარისხოვანი ცნობებია დაცული წყაროში სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებ. მასში გადმოცემულია სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია, მისი ჩასახვა-განვითარება, აღწერილია დიდ სელჩუკი სულთნების საქმიანობა, მათი ურთიერთობა საქართველოსთან.

წყარო იძლევა ცნობებს ერაყის სელჩუკი სულთნების საქმიანობის შესახებ. ამ თხზულების მიხედვით ნათელი ხდება ის მკიდრო ურთიერთობა, რომელიც ერაყის სელჩუკებსა და საქართველოს შორის არსებობდა XII საუკუნეში. საქართველოს ურთიერთობა შირვანთან, აზერბაიჯანის ელდეგიზიანთა დინასტიასთან გარკვეულ ძაფს აბამდა ერაყის სელჩუკებთან, რამდენადაც მათი გავლენა ამ ქვეყნებშიაც ვრცელდებოდა.

ამ წყაროს მნიშვნელობა საკმაოდ დიდია საქართველოს XI—XII საუკუნეების ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად. ამასთანავე მას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის თვალსაზრისითაც, რამდენადაც მასში გადმოცემულია გაბმული ისტორია დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან ვიდრე ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს გადაშენებამდე. „სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია“ ნათელ წარმოდგენას იძლევა XI—XII საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. ეს ნაშრომი ასევე მნიშვნელოვანი წყაროა შუა აზიის ხალხთა ისტორიის რიგი საკითხების გასარკვევადაც, რამდენადაც სელჩუკთა პირველი მოძრაობები შუა აზიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა; სელჩუკთა ისტორიის პირველი პერიოდი განუყრელადაა დაკავშირებული თურქმენთა ისტორიასთან.

ალფ-არსლანის დროს სელჩუკთა დაპყრობითი ომების შესახებ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსის ქემალ უდ-დინ იბნ ულ-ადიმის თხზულება „Bugyet-ül-taleb fi tarihi Haleb“; („ბუგიეთ უთ თალებ ფი თარიხი ჰალებ“). იგი შეიცავს სელჩუკთა ხანის ისტორიასაც. ქემალ უდ-დინ იბნ ულ-ადიმი, სხვადასხვა დროს მუდარისად, ელჩად და ვეზირად ყოფნისას, ჩვენამდე მოუღწეველი, ძალიან საინტერესო პირველწყაროებით სარგებლობდა<sup>24</sup>. მას თხზულებაში არაერთგზის აქვს მოტანილი ცნობები „მალიქ-ნამედან“. ქემალ უდ-დინ იბნ ულ-ადიმის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ალფ-არსლანის მოღვაწეობის პერიოდს ეხება; არა-

<sup>24</sup> ქემალ უდ-დინ იბნ ულ-ადიმის ცხოვრებისა და თხზულების შესახებ დაწვრილებით იხ. ბრუკელმანის სტატია, «Kemaleddin». İslâm Ansiklopedisi, cüz 62, 33. 569.

ბული ტექსტი და თურქული თარგმანით გამოაქვეყნა თურქმა მეცნიერმა ალი სევიმმა<sup>25</sup>.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის ადრეული პერიოდის შესახებ სანდო პირველწყაროს წარმოადგენს XI ს-ის შუა წლების უცნობი ავტორის თხზულება „მალიქ-ნამე“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ნაწყვეტები ამ წყაროდან შემოგვინახეს XIII—XV სს. ავტორებმა. განსაკუთრებით ვრცელი ცნობები აქვს ამოკრეფილი მირხონდს. „მალიქ-ნამესგან“ ჩვენამდე მოღწეული ცნობები გაანალიზებული და სხვა აღმოსავლურ წყაროებთან შეგვრებული აქვს ფრანგ ორიენტალისტს კლოდ კაენს<sup>26</sup>.

სელჩუკთა პირველი მოძრაობების ისტორიისათვის, მათი ღაზნევიანთა სახელმწიფოსთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აბულ-ფაზლ მოჰამედ ბ. ჰუსეინ ბეიჰაყის თხზულებას, ღაზნელთა სულთნის მასუდის ისტორიის შესახებ<sup>27</sup>.

ბეიჰაყი მომსწრე და მონაწილე იყო (1030—41 წწ.) ყველა იმ ამბისა, რაც მას აქვს აღწერილი. ის დაწვრილებით გვიყვება ყველაფერს, რის მოწმეც თვითონ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი საინტერესო ნაშრომი ჰქონია დაწერილი, დღემდე მასუდის ისტორიის გარდა არც ერთი არ არის მეცნიერებაში ცნობილი<sup>28</sup>.

ვ. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ აბულ-ფაზლ ბეიჰაყის ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აბულ-ჰასან ბეიჰაყი თავის „ბეიჰაყის ისტორიაში“. იგი აგრეთვე იძლევა ზოგიერთ ცნობას მისი შრომების შესახებ. ის ამტკიცებს, რომ აბულ-ფაზლ ბეიჰაყის ნაშრომები 30 ტომზე მეტი იყო, ზოგიერთი მათგანი მას უნახავს სხვადასხვა წიგნსაცავებში, მაგრამ სრული სახით ისინი მისთვისაც უცნობი ყოფილა<sup>29</sup>.

აბულ-ფაზლ ბეიჰაყის თავისი თხზულების შედგენა სიცოცხლის ბოლო წლებში დაუწყია. მას, როგორც საკანცელარიო საქმეების გან-

<sup>25</sup> Ali Sevim, Bugyet-üt-taleb fi tarih-i Haleb'e göre Sultan Alp-Arslan. Belleten, Cilt XXX, Sayı. 118. Ankara, 1966. გვ. 205—242.

<sup>26</sup> C. I. Cahen, Le Malik-Nâme et l'histoire des origines Seldjukides. Oriens. vol. 2, Paris, 1949.

<sup>27</sup> А б у л - ф а з л Б е й х а к и, История Масуда 1030—1041. Вступительная статья, перевод и примечания А. К. Арндса, Ташкент, 1962, აგრეთვე ნაწყვეტი რომასკევიჩის თარგმანი წიგნში: М И Т Т, I, стр. 234—308.

<sup>28</sup> ბეიჰაყის შრომების გამოცემების შესახებ იხ. В. В. Бартольд, Соч., т. I, стр. 68. Иран, исторический обзор, Ташкент, 1926, гв. 67—68 და სხვა.

<sup>29</sup> В. В. Бартольд, Туркестан, стр. 68.



მკვლელს, ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ დოკუმენტზე. სასახლეში მომხდარი ყოველგვარი მოვლენის კურსში იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მის მიერ აღწერილი ამბები სიზუსტით ასახავს ლაზნევიანთა სახელმწიფოში მომხდარ მოვლენებს. ის დაწვრილებით აღწერს სელჩუკების ურთიერთობას ლაზნელთა სულთანთან. მისი ისტორიის წყარო ძირითადად ის ისტორიული დოკუმენტებია, რომელსაც თავის დროზე თვითონ ადგენდა. ის სხვადასხვა სახელმწიფოებში გასაგზავნ ოფიციალურ დოკუმენტებს თვითონ აფორმებდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში მის მიერ შედგენილი საბუთების პირები მას წაართვეს და გაანადგურეს<sup>30</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ნაშრომის შესადგენად ბეიპაყი მოკლებული აღმოჩნდა მის მიერ შედგენილ დოკუმენტურ წყაროებს, ის მაინც სიზუსტით გადმოგვცემს სასახლის ცხოვრებას, ინტრიგებს, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას. იგი მოვლენებს გადმოგვცემს, ვითარცა თვითმხილველი, ანდა მეორე პირის მეშვეობით გვიყვება. ბეიპაყი აღწერს საინტერესო ფაქტებს, ზოგჯერ დეტალებსაც კი, რასაც ადგილი ჰქონდა ლაზნევიანთა სახელმწიფოს კარზე. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ცნობები სელჩუკების შესახებ. როდესაც ის მოგვითხრობს ლაზნევიანთა ბრძოლის ამბებს სელჩუკების წინააღმდეგ, ნთელი ყურადღება გამახვილებული აქვს ზურგში მომხდარი ამბების აღწერაზე, რის თვითმხილველი და მონაწილეც თვითონ იყო. მისი თხზულება გამსჭვალულია ლაზნევიანთა სახელმწიფოსადმი მოახლოებული კატასტროფის შთაბეჭდილებით; ის აშკარად გრძნობდა სახელმწიფოს გარდუვალ დაღუპვას და ღრმა პესიმიზმით იყო გამსჭვალული, რაც ნათლად არის ასახული მის თხზულებაში.

ბეიპაყის თხზულება წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს სელჩუკთა პირველი მოძრაობების ისტორიისათვის. მასში დაწვრილებით არის გადმოცემული სელჩუკი უფლისწულების ბრძოლები ლაზნევიანებთან, აღწერილია რიგი ბრძოლების ეპიზოდები, მოცემულია ცნობები დენდანიქანის ბრძოლის შესახებ და სხვ. ბეიპაყის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილებს ვსარგებლობდით ა. არენდსისა და ა. რომასკევიჩის რუსული თარგმანებით<sup>31</sup>.

<sup>30</sup> В. В. Бартольд, Туркестан, стр. 69.

<sup>31</sup> А б у - л ф а з л Б е й х а к и, История Масуда 1030—1041. Вступительная статья, перевод и примечания А. К. Арендса; М И Т Т, I, гл. 234—308; ბეიპაყის ბიოგრაფიისა და მისი თხზულების შესახებ იხ. The Tarikh-i Bahaki, containing the life of Masaud, son of Sultan Mahmud of Ghaznin. Being the 7<sup>th</sup>, 8<sup>th</sup>, 9<sup>th</sup> and Part of the 6<sup>th</sup> and 10<sup>th</sup> vols of the tarikh-i Al-i Saboktakeen... ed, by, W. N. Morley... Calcutta, 1861—1862 (Bibliotheca Indica); В. В. Бартольд, Соч., т. I, 1963, стр. 67—70. მისივე სტატია ისლამის ენციკლოპედიაში, W. B a i h a k i, EI; М И Т Т, I, стр. 42—44.

სელჩუკთა პირველი გამოჩენისა და მათი მოძრაობის შესახებ XI ს-ის 30-იან წლებში მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გარდნიზი თავის სპარსულად დაწერილ თხზულებაში „ზეინ ალ-ახბარ“, რომელიც 1050 წელს დაიწერა.

აბუ საიდ აბდ ალ-ხაი იბნ აზ-ზაჰჰაჰ იბნ მაჰმუდ გარდნიზის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ის წარმოშობით იყო ავღანეთში, ქაბულის სამხრეთით მდებარე ქალაქ გარდნიზიდან<sup>32</sup>. გარდნიზის თხზულება საინტერესოა წყაროა XI ს-ის პირველი ნახევრის ხორასნის ისტორიის გასაშუქებლად. წყაროში აღწერილია სელჩუკთა ურთიერთობა მეზობლებთან, დენდანეკანის ბრძოლა და სხვ. გარდნიზი სარგებლობდა იმ წყაროთი, რომელსაც შემდეგში თავისი შრომისათვის იყენებდა იბნ ალ-ასირი. ეს წყარო იყო სამანის თხზულება. ა. ა. როსლიაკოვმა ყურადღება მიაქცია გარდნიზის ქრონოლოგიას და აღნიშნა, რომ გარდნიზის სელჩუკთა ბრძოლების რიგი მოვლენები დენდანეკანის ბრძოლის გარდა ერთი წლით წინ აქვს გადაწეული ბეიპაყისთან შედარებით. გარდნიზისეული ქრონოლოგია დაედო საფუძვლად იბნ ალ-ასირისა და მიჩხონდის ქრონოლოგიას<sup>33</sup>.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების, სამხედრო ორგანიზაციის, მმართველობის სისტემის, საზოგადოებრივი ცხოვრების მდგომარეობის და სხვა საკითხების გასათვალისწინებლად იშვიათ წყაროს წარმოადგენს სახელგანთქმული დიდ ვეზირისა და ათაბეგის, ნიზამ ალ-მულქის „სიასეთ-ნამე“ („პოლიტიკის წიგნი“). დიდ სელჩუკთა უზარმაზარ სახელმწიფოს სჭირდებოდა ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატი, მმართველობის მტკიცე სისტემა, ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია, რომლის ტრადიციები სელჩუკ სულთნებს არ მოსდგამდათ.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად, რომელმაც სულთან მელიქ-შაჰის დროს მიაღწია ძლიერების მწვერვალს და რომლის დროსაც მოხდა სახელმწიფო წყობილების ზრდა-განვითარების დასრულება, სულთანმა მელიქ-შაჰმა დაავალა სახელმწიფოს წარჩინებულ პირებს, რომ ეფექტათ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მის ავკარგიანობაზე; ყველაფერი დაეწერათ, რა იყო საჭირო და რა არ სრულდებოდა სახელმწიფო დივანში, რა ვალდებულება ემარ-

<sup>32</sup> გარდნიზის შესახებ იხ. Крачковский И. Ю., Избранные сочинения, т. IV, 1957, М.-Л., стр. 262; Бартольд В. В., Соч., т. I, 1963, М., стр. 66—67; М И Т Т, I, стр. 44; Бартольд В. В., Иран, Исторический обзор. Ташкент, 1926, стр. 66; მისივე სტატია ისლამის ენციკლოპედიაში Gardizi, IE, II.

<sup>33</sup> А. А. Росляков, Очерки военного искусства туркмен X—XII вв., Ашхабад, 1947 (ხელნაწერი, საკანდიდატო დისერტაცია), გვ. 99.

თათ წინა სულთნებს და როგორ ასრულებდნენ ისინი დაკისრებულ მოვალეობას; აღეწერათ ყველაფერი, რაც სელჩუკთა დინასტიას შეეხებოდა<sup>34</sup>.

დიდ სელჩუკი სულთნის მიერ წარჩინებულებისადმი ასეთი მოთხოვნის წაყენება სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო; ძლიერ სამხედრო ფეოდალურ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ახალი სისტემა სჭირდებოდა. სახელმწიფოს მეთაურს ბუნებრივია, უნდა დაესვა ეს საკითხი ასეთი გაძლიერებული სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული საქმიანობის დროს. სულთნის დავალებით რამდენიმე შრომა დაიწერა, მაგრამ მელიქ-შაჰმა მოიწონა მხოლოდ ნიჰამ ალ-მულქის თხზულება, რომლის შესახებ განაცხადა, რომ ამ ნაშრომის ყველა თავი დაწერილია ისე, როგორც ჩემს გულს უნდა, მას ვერაფერს დავუმატებ. ამ წიგნს მე გადავუკეცე ჩემს სახელმძღვანელოდ, მისი მიხედვით ვიმოქმედებ<sup>35</sup>.

ბუნებრივია, რომ თხზულება, რომელიც მელიქ-შაჰმა მოიწონა და მიიღო სახელმძღვანელოდ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობისათვის, შედარებით რეალურად გადმოგვცემს იმპერიის ვითარებას, იძლევა სახელმწიფო წყობილების მრავალი საკითხის შესახებ საყურადღებო ცნობებს. ამდენად, მას, როგორც პირველ წყაროს, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დიდ სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების რიგი საკითხების გასაშუქებლად. ამ წყაროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ვ. ბარტოლდი; იგი აღნიშნავდა, რომ „სიასეთ-ნამე“ უცილობლად წარმოადგენს მთავარ წყაროს აღმოსავლურ-მუსლიმანური სახელმწიფოების პოლიტიკური წყობილების შესასწავლად<sup>36</sup>.

ბ. ზახოდერი ასეთი ხასიათის თხზულების შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს სელჩუკთა კარზე არსებული ღაზნევიანთა ბიუროკრატიული ტრადიციების რეკონსტრუქციის ფაქტებს<sup>37</sup>. ახალ, ძლიერ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ახალი ფორმები სჭირდებოდა; ნიჰამ ალ-მულქის თხზულება რეალურად ითვალისწინებს სახელმწიფოში შექმნილ ვითარებას და სახავს ახალ გეგმებს იმპერიის ცენტრალიზაციისათვის. ის სასტიკად ილაშქრებს იკტას მფლობელთა მიერ პირობების დარღვევის წინააღმდეგ. მან კარგად იცის, რომ იკტას

<sup>34</sup> С и а с е т - н а м э, Книга о правлении вазира XI столетия Низам ал-Мулька, Перевод, введение в изучение памятника и примечания проф. Б. Н. Заходера. М.-Л., 1949, стр. 7.

<sup>35</sup> С и а с е т - н а м э..., стр. 307.

<sup>36</sup> В. В. Бартольд, Соч., т. I, стр. 71; С и а с е т - н а м э..., стр. 311.

<sup>37</sup> С и а с е т - н а м э..., стр. 307.

მფლობელთა მიერ მემკვიდრეობის უფლების მიღებისა და სხვა პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს ცენტრალიზაციის საქმე შეფერხდება. წყაროს ავტორი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე და იმპერიის ფაქტიური განმგებელი, მთელი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვითარების საქმის კურსში იყო. ის დაუღალავად იღვწოდა დიდ სელჩუკთა იმპერიის ცენტრალიზაციისათვის. ნიზამ ალ-მულქის თხზულების რუსული ზახოდერისეული თარგმანი ემყარება სპარსული ტექსტის ხელნაწერ და სტამბურ გამოცემებს<sup>38</sup>.

ასევე საინტერესო წყაროს წარმოადგენს ზაპირ ელ-დინ ნიშაბურის „სელჩუკ-ნამე“<sup>39</sup>, რომელიც აკად. ვ. ბარტოლდის აზრით, იყო ერთადერთი წყარო რავენდის თხზულების იმ ნაწილისა, რომელშიც აღრეული პერიოდი იყო გადმოცემული. ზაპირ ელ-დინ ნიშაბური იყო სულთან მასუდის (1133—1152) და სულთან არსლანის (1161—1177) აღმზრდელი. ის თავის თხზულებას წერდა ირანის უკანასკნელი სელჩუკი სულთნის თორღულის (1177—1194) დროს. ავტორი ამბების გადმოცემას იწყებს პირველი სელჩუკი სულთნებით და სულთან თორღულ იზნ არსლანის სულთნობის პირველი წლებით ამთავრებს. ის საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს XI ს-ის დიდ სელჩუკი სულთნების საქმიანობას, მათ ურთიერთობას საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებთან. ამ წყაროს ცნობებით უხვად სარგებლობდნენ მომდევნო ხანის ისტორიკოსები: რავენდი და რაშიდ ელ-დინი. ი. ბეკზადის დაკვირვებით რავენდომ მთლიანად შეიტანა თავის თხზულებაში ნიშაბურის ცნობები და თავის მხრივ დაუშატა კიდევ ზოგიერთი რამ<sup>40</sup>.

<sup>38</sup> წყაროს პუბლიკაციების, თარგმანებისა და ავტორის მიერ ამ წყაროს დაწერის ისტორიის ზოგიერთი დეტალის შესახებ იხ. В. В. Бартольд, Соч., т. I, стр. 70—72; С и а с е т - н а м э, стр. 241—312; I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 10; მისივე. Būyūk Selçuklu veziri Nizām ü-Mülkün eseri Siyaset-nâme ve türkçe tercümesi. Türkiyat Mecmuası. cilt, XII, İstanbul, 1955, გვ. 231—251 და სხვ. „სიასეთ-ნამეს“ სპარსული ტექსტი შესავალი წერილით, იარ შათერის წინასიტყვაობით, 1962 წელს თეირანში გამოაქვეყნა ემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა პუბერტ დარკემ. იხ. Siyar al Muluk also known as Siyaset-nama of Nizām al-Mulk. Edited with critical Notes and commentary by Hubert Darke. Lecturer in Persian at the University of Cambridge. Tahran, 1962.

<sup>39</sup> سلجوقنامه تأليف خواجه امام ظهير الدين نيشابورى كه تقريباً درحوالى سنه ۸۲۷هـ وفات کرده باذيل سلجوقنامه

<sup>40</sup> И. П. Бекзадн, Сочинение Равенди «Рахат-ас-судур ва аят-ас-сур», как исторический источник. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Баку, 1961, стр. 7.

ზაპირ ედ-დინის ბიოგრაფიის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. არც მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია ცნობილი. ამ წყაროს გამომცემელი ირანელი მეცნიერი ისმაილ ავშარი გამოსთქვამს პოაზარებას, რომ ნიშაბური უნდა გარდაცვლილიყო 552 (1186/7) წელს<sup>41</sup>.

ნიშაბური ამბების გადმოცემას იწყებს სელჩუკთა გამოჩენიდან ბუხარასა და მერვის რაიონში (X ს-ის 90-იანი წლებიდან) და თითქმის ორი საუკუნის ისტორიას გადმოგვცემს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ახაიათებს თითოეულ სულთანს, მის თვისებებს, საქმიანობას და სხვ.

ზაპირ ედ-დინ ნიშაბურის თხზულება საუკეთესო წყაროა XI—XII სს-თა სელჩუკთა სახელმწიფოსა და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად. ზაპირ ედ-დინ ნიშაბურის თხზულება, როგორც წყარო აზერბაიჯანის ისტორიისათვის შეისწავლა ა. ა. რაჰმანიძე<sup>42</sup>.

XI—XII საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში სელჩუკთა ბატონობის ისტორიის შესახებ საყურადღებო წყაროს წარმოადგენს XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისის ირანელი ავტორის აბუ ბექრ ნეჟმ ედ-დინ მოჰამედ ბ. ალი ბ. სულეიმან ბ. მოჰამედ ბ. აჰმედ ბ. ალ-ჰოსეინ ბ. ჰიმმეთ არ-რავენდის თხზულება — „Rāhat-ūs sudūr ve Āyet-ūs sūrūr“ — „რაჰათ უს სულდურ ვე აიეთ უს სურურ“ — (გულთა სიაჰე და სიხარულთა ნიშანი).

რავენდის თხზულებისადმი მეცნიერულ ინტერესს ზრდის ის, რომ ავტორი თანამედროვე და თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ბევრი მოვლენისა, ამასთან, როგორც ვ. ბარტოლდი შენიშნავდა, რავენდი ამბების გადმოცემისას განიჩქევა სიმოკლით და ახალი ფაქტების სიმცირით<sup>43</sup>.

რავენდის თხზულების ერთადერთი ნუსხა, დათარიღებული 635 წლის I რამაზანით (1238 წ. 17 აპრილი), ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში<sup>44</sup>. ეს ხელნაწერი სპარსული ტექსტითა და ფრან-

<sup>41</sup> سلجوقنامه, სელჩუკ-ნამე, თეირანი, 1952, გვ. 7.

<sup>42</sup> А. А. Рахмани, «Сельджук-Намэ» Захиреддина Нишабури, как источник по истории Азербайджана. «Известия» АН Азерб. ССР, Серия общественных наук, Баку, 1963, № 3, стр. 57—70.

<sup>43</sup> В. В. Бартольд, Туркестан, стр. 75.

<sup>44</sup> Catalogue des Manuscrits turcs par E. Blochet, t. I, Paris 1932, გვ. 276—277.

გული თარგმანით გამოსცა შეფერმა 1886 წელს<sup>45</sup>. წყაროს ეს გამოქვეყნებული ნაწილი ეხებოდა მხოლოდ სულთან სანჯარის (1117—1157) მოღვაწეობის პერიოდს. შემდეგში, 1897 წელს, შეფერმა ამ წყაროს პირველი ნაწილი, რომელიც მოიცავდა პერიოდს სელჩუკთა ისტორიის დასაწყისიდან სულთან მელიქ-შაჰის გარდაცვალებამდე, დამატების სახით დაურთო ნიჰამ ალ-მულქის „სიასეთ-ნამეს“ გამოცემას<sup>46</sup>. ამჯერად მან მხოლოდ სპარსული ტექსტი გამოაქვეყნა. წყაროს ინგლისური თარგმანი 1902 წელს გამოაქვეყნა პროფ. ედ. ბროუნმა<sup>47</sup>. სპარსული ტექსტი მთლიანად დაბეჭდა 1921 წელს მოჰამედ ეყბალმა<sup>48</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მოჰამედ ეყბალის მიერ გამოცემული ტექსტი მეცნიერულ-კრიტიკული ხასიათის არ იყო, მას მაინც დიდი ღირებულება ჰქონდა, რამდენადაც თხზულების სრული სპარსული ტექსტი პირველად გახდა ხელმისაწვდომი მეცნიერული წრეებისათვის.

ამ წყაროს სრული სპარსული ტექსტი ხელმეორედ გამოსცა 1951 წელს თეირანში მოჯთათა მინოვიმ, მაგრამ ის დიდად არ განსხვავდება მ. ეყბალის პუბლიკაციისაგან<sup>49</sup>.

აზერბაიჯანელმა მეცლევარმა ი. ბეკზადიმ საგანგებოდ შეისწავლა რავენდის თხზულება, როგორც ისტორიული წყარო და აღნიშნა მისი ნაკლოვანი და დადებითი მხარეები<sup>50</sup>.

რავენდის თხზულებისადმი ინტერესი იმთავითვე დიდი იყო. ჯერ კიდევ სულთან მურად II-ის (1421—1451) დროს იგი ითარგმნა თურ-

---

<sup>45</sup> *Tableau du règne de Moïzz ed din Aboul Harith, Sultan Sindjar, par Muhammed ibn Aly Ravendy, Texté persan publié... avec la traduction française, par ch. Schefer, «Nouveaux mélanges orientaux». 1886, გვ. 1—47, ამ წყაროს თარგმანში დაშვებული შეცდომების შესახებ აკად. ბარტოლდი აღნიშნავდა, რომ თარგმანი, სამწუხაროდ, სავსეა შეცდომებით, რომელიც მთლიანად ამახინჯებს აზრს.*

<sup>46</sup> *Ни́зам а́л-Му́льк, Изд. Шефера, 1897, приложение, стр. 70—114.*

<sup>47</sup> *Râhat üs-Sudûr ve Ayet-üs-Sûrûr, I cilt, Yazan Muhammed b. Ali b. Süleyman er-Ravendi, Ankara, 1957, გვ. X.*

<sup>48</sup> *The Rahat us-Sudur wa Ayat us-Sûrûr bëing a history of the Saljuqs by Muhammed ibn Ali ibn Sulayman ar-Ravandi. Ed... by Muhammad Iqbal. vol. II, Leyden-London, 1921.*

<sup>49</sup> *И. П. Бекзадн, Сочинение Равенди. «Рахат-ус-Судур ва айат-ус-сурур, как исторический источник (по истории Азербайджана и сопредельных стран). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Баку, 1961, стр. 4.*

<sup>50</sup> *იქვე, ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მთლიანი შრომა ავტორმა გამოაქვეყნა ცოტა მოგვიანებით აზერბაიჯანულ ენაზე, იხ. И. П. Бекзадн, Ра-вэндинин «Раһат-ус-Судур ва Ајәт-ус-Сурур» эсәри тарихи бир мәһбәт кит-ми, Баку, 1963.*

ქულად. რავენდის თხზულების ის ნაწილი, რომელიც მცირე აზიის სელჩუკებს ეხება და რომელთა ისტორიაც მთარგმნელის მიერ მოყვანილია 1225 წლამდე, აკად. ვ. ბარტოლდის აზრით ნამდვილად იბნ ბიბის თხზულების თარგმანს წარმოადგენს<sup>51</sup>, რომელიც ჰუთსმამ გამოსცა<sup>52</sup>. წყაროს თურქული თარგმანის რამდენიმე ნუსხაა ცნობილი. ერთი დრეზდენში ინახება, მეორე — ლონდონში და მესამე — სტამბოლში, თოფაჯის სასახლის წიგნთსაცავში<sup>53</sup>.

რავენდის თხზულების პირველი ნაწილი, რომელიც XI ს-ის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას მოიცავს, საინტერესო წყაროა მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად. რავენდი სელჩუკთა ისტორიის გადმოცემისას თანმიმდევრულად გამოხატავს გაბატონებული ფენების იდეოლოგიას. ის აღიღებს სელჩუკთა დაპყრობით პოლიტიკას და ზიზლით იხსენიებს ფართო მასების განმათავისუფლებელ ბრძოლებს, უწოდებს მათ მოჯანყებებს, მძარცველებსა და ყაჩაღებს.

აზრი ისტორიული თხზულების შექმნის შესახებ რავენდის სიცოცხლის ბოლო წლებში გაუჩნდა. ამავე დროს ის ფიქრობს შეადგინოს თავისი თანამედროვე პოეტების ლექსების კრებული. თავისი იდეა მან ერთად განახორციელა და ორივე ჩანაფიქრი ერთ ნაშრომში მოაქცია. ამდენად მისი თხზულება ითვლება როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ ნაშრომად<sup>54</sup>. რავენდიმ თხზულების წერა დაიწყო 1203 წელს, მოკლე ხანში დაასრულა და მისი პირველი ვარიანტი მიაჩთვა მცირე აზიის სელჩუკ სულთანს როქნ ედ-დინ სოლეიმან II (1196—1204); მაგრამ სულთანის გარდაცვალების გამო რავენდი იძულებული გახდა უკან წაეღო თავისი ნაშრომი, გადაეკეთებინა იგი და ტახტზე ახლად ასული სულთანის ყიას ედ-დინ ქაიხოსროვ იბნ ყილიჩ არსლანისათვის (1204—1210) მიერთმია<sup>55</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ რავენდის და მის ახლო ნათესავეებს, რომლებიც სულთანის კარზე იმყოფებოდნენ წლების მანძილზე, ხელი მიუწვდებოდათ სახელმწიფო დოკუმენტებზე, საარქივო მასალებზე და

<sup>51</sup> В. В. Бартольд. Соч., т. I, 1963, М., стр. 76.

<sup>52</sup> Histoire des Seldjucides d'Asie Mineure d'après Ibn-Bibi, Texte turc publié... par M. Th. Houtsma. Leiden, 1902; იბნ ბიბის თხზულების თურქული თარგმანი ხელმეორედ, ლათინური შრიფტით გამოიცა თურქეთში 1941 წელს იბ. Anadolu Selçukî Devleti Tarihi İbni Bibinin Farsça Muhtasar Selçuknamesinden Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman. Notlar ilâve eden F. N. Uzluk., Ankara, 1941.

<sup>53</sup> Rahat üs-Sudûr ve Ayet üs-Sûrûr, I, c., Ankara, 1957, გვ. XXIX.

<sup>54</sup> ი ქ ვ ე, გვ. XVI.

<sup>55</sup> ი ქ ვ ე, გვ. XVII; I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 5.

სახელმწიფო საქმეების კურსში იყვნენ. რავენდი ბევრი პოლიტიკური მოვლენის თვითმხილველი იყო, ყველაფერი ეს მან თავის ნაშრომში გადაიტანა, რაც უფრო ზრდის მისი თხზულების, როგორც წყაროს მნიშვნელობას.

რავენდი თხზულების შესავალ ნაწილში, შუა საუკუნეების ტრადიციის თანახმად გარკვეულ ადგილს უთმობს რელიგიურ მომენტებს, გამოსთქვამს საინტერესო შეხედულებებს მორალისა და ისტორიის საკითხებზე, თვითონ ვითარცა სუნიტი, წყველა-კრულვით იხსენიებს შიიტ მწვალებლებს.

შემდეგ ნაწილში ავტორი გადმოსცემს დიდ სელჩუკთა ისტორიას მათი ისტორიის სარბიელზე გამოჩენიდან ვიდრე გადაშენებამდე, სულთან სანჯარით დამთავრებული — 1157 წლამდე. აქვე მოთხრობილია ამბები ირანის უკანასკნელი სელჩუკი სულთნის თოღრულის გარდაცვალებამდე (1194 წ.). ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს თოღრულის სიკვდილის შემდეგ შექმნილ ვითარებას.

რავენდის თხზულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის საინტერესო საკითხების გასაშუქებლად. ის დაწვრილებით გადმოსცემს XI ს-ის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ვითარებას, მათს ურთიერთობას ქრისტიანულ საქართველოსთან, თოღრულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის მიერ მოწყობილ ლაშქრობებს. წყაროში მოკლედ, მაგრამ მაინც არის მოთხრობილი საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ამბები. ჩვენ ვსარგებლობდით თხზულების თურქული ტექსტით, რომელიც თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ გამოსცა 1957 წელს<sup>56</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემელს დაძებნილი აქვს წყაროს თითოეული საყურადღებო ცნობის პარალელები სხვა არაბულ-სპარსულ წყაროებში და სქოლიოებში ზუსტად აქვს მითითებული.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ საყურადღებოა ილხანთა სახელმწიფოს ცნობილი ვეზირის რაშიდ ედ-დინის თხზულების ის ნაწილი, რომელიც სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას ეხება. რაშიდ ედ-დინის თხზულების ამ ნაწილის სპარსული ტექსტი, ისევე როგორც სხვა ნაწილებიც, თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ გამოს-

---

<sup>56</sup> Râhat üs-Sudûr ve Ayet üs-Sürûr (Gönüllerin Rahatı ve Sevinç Alâmeti). I cilt. Yazan Muhammed b. Ali b. Süleyman er-Ravendî. Muhammed İkbâl'in 1921 de G. M. S. II de bastırıldığı Farsça metinden Türkçeye çeviren Ahmed Ateş. Ankara, 1957. რავენდის თხზულებიდან ნაწყვეტი, რომელიც სელჩუკთა პირველ მოძრაობებს შეეხება ითარგმნა რუსულად. М И Т Т, I, გვ. 350—358.



ცა<sup>57</sup>. რაშიდ ედ-დინის თხზულების ცალკეული ნაწილები მანამდე სხვა-განა მრავალჯერ იქნა გამოცემული.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ ვრცლად აქვს მოთხრობილი მონღოლთა ხანის ირანელ ისტორიკოსს ჰამდალამ მუსტოფე ყაზვინის (დაიბადა 680/1281/2 წ. გარდაცვალების თარიღი უცნობია), რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ისტორიული თხზულება „თარხე გოზიდე“ („რჩეული ისტორია“)<sup>58</sup> და დიდი გეოგრაფიულ-კოსმოგრაფიული ნაშრომი „ნოზჰათ ალ-ყოლუბ“ („გულთა სიამე“).

ჰამდალამ მუსტოფე ყაზვინის წინაპრები შთამომავლობით ასრულებდნენ სახელმწიფოს ფინანსთა კონტროლიორის (მუსტოფეის) თანამდებობას; აქედან მიიღო მისმა გვარმაც სახელწოდება — მუსტოფეი. თვით ჰამდალამსაც რამდენიმე პროვინციაში სჭერია ეს თანამდებობა წლების მანძილზე. მათ საგვარეულოს ეს თანამდებობა მონღოლთა ბატონობის დროსაც შეუნარჩუნებია.

ჰამდალამ ყაზვინის თავისი სამსახურებრივი კარიერა დაუწყო რაშიდ ედ-დინთან, რომელსაც იგი ყაზვინის, ზენჯანის, აპარისა და სხვა პროვინციების ფინანსთა განმგებლად დაუნიშნია. იგი რაშიდ ედ-დინის გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟთან — ყიას ედ-დინთან, განაგრძობდა საქმიანობას.

ამ თანამდებობაზე ყოფნისას ჰამდალამს ხელი მიუწვდებოდა საფინანსო დავთრებზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც უტყუარი წყარო იყო მისი თხზულებისათვის. ის სარგებლობდა აგრეთვე ქვეყნის ოფიციალური აღწერებით, რომლებიც მელიქ-შაჰის დროს იყო შედგენილი. ამიტომ ბუნებრივია, რომ მის თხზულებაში საინტერესო ცნობები იყრის თავს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის რიგი საკითხების გასარკვევად. ჰამდალამ ყაზვინის თხზულებას, როგორც წყაროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის ყურადღება მიაქცია ი. პეტრუშევსკიმ<sup>59</sup>.

<sup>57</sup> Rasid al-din Fazlallah, *Cami al tavarih* (Metin), cilt 2, cüz 5, Ankara, 1960.

<sup>58</sup> *Histoire des Seldjoukides, Extraite du Tarikhi Guzideh, ou Histoire choisie, d'Hamd-Allah Mustaufi, traduite et accompagnée de notes, par M. Defremery. Journal Asiatique, 4<sup>e</sup> serie, t. XI, 1848. Paris, გვ. 417—462; t. XII, 1848, გვ. 259—279, გვ. 334—370; t. XIII, 1849, გვ. 15—55.*

<sup>59</sup> И. П. Петрушевский, Хамдуллах Казвини как источник по социально-экономической истории Восточного Закавказья, *Известия АН СССР, Отделение общественных наук, М.-Л., № 4, 1937, стр. 873—920.*

ჰამდალაჰ ყაზვინის ისტორიული თხზულება კომპილაციას წარმოადგენს. მას მთელი თავები აქვს გადმოწერილი რაშიდ ედ-დინის, უტბის და სხვათა თხზულებებიდან, მაგრამ ბევრი ისეთი რამ აქვს შემონახული, რომელსაც ვერ ვხვდებით სხვაგან. მისი ისტორიის თხრობა გრძელდება 1330 წლამდე. ნაშრომი დაწერილია 1334/5 წელს<sup>60</sup>. ავტორმა იგი მიუძღვნა რაშიდ ედ-დინის ვაჟს, ილხან აბუ საიდის პირველ ვეზირს — ყიას ედ-დინ მოჰამედს.

„ეს თხზულება მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებია და ძირითადად რაშიდ ედ-დინის „ისტორიათა კრებულის“ მიხედვით არის შედგენილი“<sup>61</sup>.

ჩვენ ვსარგებლობდით ჰამდალაჰ ყაზვინის თხზულების იმ ნაწილით, რომელიც სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას ეხება<sup>62</sup> საერთოდ, და დიდ სელჩუკი სულთნების — თოდრულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის მოღვაწეობის პერიოდს, კერძოდ<sup>63</sup>. ჰამდალაჰ ყაზვინის თავისი ისტორიის ამ ნაწილში საინტერესო ცნობები აქვს შემონახული საქართველოს შესახებ, რომელთა ერთი ნაწილი ქართულად თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ვლ. ფუთურჩიძეს<sup>64</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის თხზულება საერთოდ კომპილაციური ხასიათის ნაშრომია, მას, როგორც წყაროს, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლაში.

თურქეთის საისტორიო საზოგადოება სისტემატურად აქვეყნებს სელჩუკთა ხანის შესახებ არაბულ, სპარსულ, სირიულ, სომხურ და

<sup>60</sup> ჰამდალაჰ მუსტოფის ბიოგრაფიის, მისი შრომების პუბლიკაციისა და თარგმანების შესახებ იხ. В. В. Бартольд, Соч., т. I, გვ. 98—99; Крачковский И. Ю., Соч., т. IV, М.-Л., 1957, გვ. 395—397; В. В. Бартольд, Иран, Исторический обзор, Ташкент, 1926, გვ. 79—81; МИТТ, I, გვ. 54—55; Brown E. G., A history of Persian Literature under Tartar dominion (a. D 1265—1502). Cambridge, 1920, გვ. 87—100; ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუთურჩიძისა, თბილისი, 1937, გვ. 17—43; რ. კიკნაძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება პულაგუიდას სახელმწიფოში, 1955, თბ. (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, გვ. 11—14).

<sup>61</sup> რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>62</sup> Histoire des Seldjoukides, Extraite du Tarikhi Guzideh, ou Histoire choisie, d'Hamd-Allah Mustaufa, traduite et accompagnée de notes par M. Defremèry. Journal Asiatique 4<sup>e</sup> serie, t. XI, 1848, Paris, გვ. 417—462; XII, 1848, გვ. 259—279, გვ. 334—370, XIII, 1849, გვ. 15—55.

<sup>63</sup> იქვე, XI, 1848, გვ. 417—462.

<sup>64</sup> ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუთურჩიძისა, გვ. 27.

სხვა ენებზე არსებული პირველწყაროების თურქულ თარგმანს სათანადო მეცნიერული კომენტარებითა და გამოკვლევებით. ერთი ასეთთაგანია ქერიმ ელ-დინ მაჰმუდ აყსარაის თხზულება მონღოლთა ხანის მცირე აზიის სელჩუკთა ისტორიის შესახებ. მისი ნაშრომი „სელჩუკთა სახელმწიფოების ისტორია“<sup>65</sup> შედგენილია 723 (1323) წელს. წყაროს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ვ. გორდლევსკი და ძალიან დაინტერესებული იყო მისი შინაარსით. იგი აღნიშნავდა, რომ «II Аксаран пока неизданный, тоже объяснил бы многое из истории сельджукидов после монгольского нашествия. Впервые В. В. Бартольд привел существенные выдержки из Аксаран (Хотя имя историка ему было еще неизвестно)»<sup>66</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ წყაროს უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვს მონღოლთა ბატონობის შემდეგდროინდელი მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის რიგი საკითხების გასაშუქებლად, მისი გამოქვეყნების შემდეგ დღემდე არავის უცდია აყსარაის თხზულების შესწავლა-გაანალიზება. მას, როგორც წყაროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხების გასაშუქებლად. მასში მონღოლთა ბატონობის შემდეგდროინდელი საქართველოს მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხების შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებია დაცული<sup>67</sup>.

აყსარაის თხზულების ორი ხელნაწერი ნუსხა არსებობს. ერთია აია სოფიისა და მეორე იენი ჯამის ხელნაწერი ნუსხა. თურქი მეცნიერის ფ. უზლუქის აზრით, იენი ჯამის ნუსხას შეცდომით აწერია ჯემალ ელ-დინ ალი იუსუფ ალ-კიფთის სახელი<sup>68</sup>.

აყსარაის თხზულება საკმაოდ ვრცელი ნაშრომია. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოკლედ მოთხრობილია ბიზანტიის, არაბეთისა და ირანის ისტორიის ადრეული პერიოდის შესახებ. შრომის მეორე ნაწილში გადმოცემულია ამბები მუჰამედის მექასა და

---

<sup>65</sup> Selçukî Devletleri Tarihi, Aksaraylı Kerimeddin Mahmud'un Mūsamerat-al-ahyar adlı Farsca tarihiniñ tercümesi. Türkçeye çeviren M. Nuri Gencosman. Onsöz ve notlar yazan F. N. Uzluk, Ankara, 1943.

<sup>66</sup> В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, Избранные сочинения, т. I, М.-Л., 1960, стр. 36.

<sup>67</sup> აყსარაის თხზულებას მაღალი შეფასება მისცა თურქმა მეცნიერმა მეჰმედ ფუად ქოფრულუმ. მისი სიტყვით, ამ წყაროში ბევრი ისეთი საინტერესო ცნობაა დაცული, რომელსაც სხვაგან ვერ შევხვდებით. M. Fuad Köprülü, Anadolu Selçukluları Tarihiniñ yerli kaynakları. «Belleten», Cilt, VII, Sayı 27, Ankara, 1943.

<sup>68</sup> აყსარაის დასახ. ნაშრ., გვ. 4.

მედინაში მოღვაწეობის პერიოდიდან, ვიდრე აბასელი ხალიფების უკანასკნელი წარმომადგენლის საქმიანობამდე.

ჩვენთვის საინტერესო იყო ნაშრომის მეორე ნაწილი, სადაც გადმოცემულია დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაარსებისა და პირველი დიდი სელჩუკი სულთნების საქმიანობის შესახებ (თურქ. გამოც. გვ. 105—116). წყაროს ეს ნაწილი მოკლედ ეხება დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის შედეგად წარმოქმნილ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს, მანასკერტის ბრძოლასა და სელჩუკების მცირე აზიაში დამკვიდრებას. მცირე აზიის სელჩუკების შესახებ მოთხრობილია 1246 წლამდე. მართალია, ძალიან მოკლეა წყაროში გადმოცემული სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა, მაგრამ მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს და სათანადო ადგილს იჭერს წყაროთა იმ წრეში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ.

წყაროს ბოლო, მეოთხე ნაწილში ამბები გადმოცემულია ყიას ელდინ ქეიხურევ II (1236—1246) სამი შვილის — იზ ელდინ ქეიქავუს III (1246—1259), როქნ ელდინ ყილიჩ-არსლან IV (1248—1264) და ალა ელდინ ქეიყოზად II (1249—1257) სასულთნო ტახტზე ასვლიდან ვიდრე 723 წლამდე (1323 წ.). წყაროს ამ ნაწილში ვრცელადაა მოთხრობილი ანატოლიაში მონღოლთა განმგებლების, ილხანების, სულთნების, ვაზირებისა და სხვათა საქმიანობის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აყსარაის თხზულება ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების გასაშუქებლად. მასში უხვადაა გაბნეული ცნობები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის, კერძოდ, XI—XIII სს-ის შესახებ.

არანაკლებ საინტერესო წყაროა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის ანონიმი ისტორიკოსის მიერ სპარსულ ენაზე შედგენილი თხზულება „ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია“, რომლის ხელნაწერი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მისი თურქული თარგმანი სპარსული დედნის ფოტობირებით გამოქვეყნდა თურქეთში 1952 წელს<sup>69</sup>.

---

<sup>69</sup> Anadolu Selçukluları devleti tarihi, III, Ankara, 1952. ამ გამოცემის თურქული ტექსტი ჩვენ მიერ შესრულებული ქართული თარგმანით, გამოკვლეითა და შენიშვნებით სულ 16 თაბახის მოცულობით ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში. ამ წყაროს სპარსულ დედანს ჭერ კიდევ 1943 წელს ყურადღება მიაქცია მ. ფუად ქოფრულუმ და აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიისათვის. M. F u a d K ö p r ü l ü, Anadolu Selçukluları Tarihinin Yerli Kaynakları..., გვ. 392.

ეს თხზულება საყურადღებო ცნობებს შეიცავს როგორც მცირე აზიის სელჩუკების, ასევე საქართველოს ისტორიისათვის. განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები თამარის მეფობის პერიოდის საქართველოს შესახებ. მის ავტორს XIV საუკუნეში უნდა ეცხოვრა, თუმცა წყაროში საამისო ცნობები არ არის შემონახული. თხზულების შინაარსიდანაც ირკვევა, რომ ავტორი სხვადასხვა წყაროებით სარგებლობდა.

წყაროს დართული აქვს გამომცემლის — ფერიდუნ ნაფიზ უზლუქის შესავალი წერილი (გვ. III—XII); მცირე აზიის სელჩუკთა ისტორიის გადმოცემამდე, თხზულების წინა ნაწილში (გვ. 1—22) მოკლედაა მოთხრობილი სელჩუკების ისტორიის სარბიელზე გამოჩენის შესახებ, დიდ სელჩუკი სულთნებისა და მათი მემკვიდრეების საქმიანობა, მათი საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის ზოგიერთი მომენტი. ჩვენთვის საინტერესო საკითხების გასაშუქებლად სწორედ წყაროს ეს ნაწილია საყურადღებო. ბოლოს ვრცლადაა განხილული მცირე აზიის სელჩუკების ისტორია, მათი ურთიერთობა მეზობლებთან.

შრომის ამ ნაწილში შედარებით ვრცლადაა გადმოცემული მცირე აზიის სელჩუკების ურთიერთობა მონღოლებთან, მათი ბატონობა მცირე აზიაში. შრომის ბოლო გვერდებზე ქრონიკის სახით მოცემულია ამა თუ იმ სულთანთა და გამოჩენილ პირთა ზეობის წლები, მნიშვნელოვანი მოვლენები და ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომელიმე უფლისწულის ან ბეგის სიცოცხლეში, შრომის ამ ნაწილშიც გვხვდება საინტერესო ცნობები საქართველოს ისტორიისათვის.

სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების, მმართველობის ორგანიზაციისა და სხვა საკითხების გასათვალისწინებლად საინტერესო დოკუმენტების კრებული გამოსცა თურქმა ისტორიკოსმა ოსმან თურანმა<sup>70</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ოსმან თურანი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა სელჩუკთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში. მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული შეიცავს სპარსულ ტექსტებს თურქული თარგმანითა და გამოკვლევით. დოკუმენტები საინტერესო ცნობებს გვაწვდის XI—XIII სს-ის სელჩუკთა პოლიტიკური წარმონაქმნების აღმინისტრაციული და სახელმწიფო წყობილების, ვაჭრობა-ხელოსნობისა და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად. აქვე არანაკლებ საინტერესო ცნობები მოიპოვება საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებაც.

<sup>70</sup> Türkiye Selçukluları hakkında resmi vesikaları, Metin, Tercüme ve Araştırmalar Osman Turan, Ankara, 1958.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესასწავლად საყურადღებო წყაროს წარმოადგენს თურქების კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე შედგენილი ისტორიული კალენდრები, სადაც მოყვანილია დიდ სელჩუკი სულთნების მოღვაწეობის ამსახველი ქრონოლოგიური ნუსხები<sup>71</sup>. ამ ნუსხებში შეტანილია ცნობები დიდ სელჩუკი სულთნების აღფარსლანისა და მელიქ-შაჰის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ. წყაროში ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული მცირე აზიის სელჩუკებისა და შემდგომი პერიოდის შესახებ, ვიდრე მურად II-მდე. აქ გადმოცემულია ისტორიული ამბები, გამოჩენილ პირთა და სახელმწიფო მოღვაწეთა გენეალოგიური ნუსხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ XI—XIV სს. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ცალკეული საკითხების დასაზუსტებლად. ამ კალენდრებში დაცულია ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც სხვა წყაროებში არ გვხვდება.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება XV ს-ის სპარსულენოვან ისტორიკოსს მირხონდს<sup>72</sup>. მირხონდი თავის „როუზათ ას-საფაში“ („სიწმინდის ბაღი“) დაწერილებით გადმოგვცემს სელჩუკთა სახელმწიფოს ჩასახვა-განვითარების ისტორიას. მირხონდის თხზულების ღირებულებას ზრდის ის, რომ ავტორი იყენებდა ისეთ ნაშრომებს, რომლებიც დღეისათვის დაკარგულად ითვლება. ასეთი იყო მაგალითად, „მალიქ-ნამე“ და სხვათა თხზულებები; ამიტომ ის ბევრ ახალ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს.

ოსმალთა ისტორიკოსთა შორის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს შემონახული XVII ს-ის ოსმალთა მეისტორიეს აჰმედ იბნ ლუთფულაჰს (გარდაიცვალა მექაში 1702 წელს), რომელიც ისტორიოგრაფიაში ცნობილია მუნეჯიმ-ბაშის სახელით, რაც ნიშნავს „მთავარ ასტრონომს“. იგი წარმოშობით სალონიკელი თურქი იყო. მისი დაბადების თარიღი ზუსტად ცნობილი არ არის. 1667-68 წელს გახდა კარის ასტრონომი. 1687 წელს გაიგზავნა ეგვიპტეში, იქიდან წავიდა მექაში და გახდა სასულიერო პირი — შეი-

<sup>71</sup> Istanbul'un fethinden önce yazılmış tarihi takvimler. Yayınlayan Osman Turan, Ankara, 1954. ამ წყაროს თურქული ტექსტის ჩვენ მიერ შესრულებული ქართული თარგმანი შენიშვნებითა და კომენტარით ხელნაწერის სახით ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში.

<sup>72</sup> М И Т Т, I, გვ. 450—468. მისი ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. იქვე, გვ. 60—61. მირხონდის თხზულების გერმანული თარგმანი გამოიცა გასული საუკუნის 30-იან წლებში. Mirchonds, Geschichte der Serdschuken aus dem Persischen zum ersten Mal Uebersetzt und mit historischen, geographischen und literarischen Anmerkungen erläutert Dr. Yohann August von Vullers, Gies- sen, 1838, გვ. 1—246.

ხი. იყო ავრეთვე მედინაში. მუნეჯიმ-ბაშის ეკუთვნის არაბულ ენაზე შედგენილი თხზულება „ჯაში აღ-დუვალ“ („დინასტიათა კრებული“). ეს თხზულება ძირითადად წარმოადგენს კომპილაციას, წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებში დაცული ცნობების კრებულს. მიუხედავად წყაროს ასეთი ხასიათისა, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მან-ლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ღირებულებას ზრდის ის, რომ მას გამოყენებული აქვს 70-ზე მეტი დასახელების პირველწყარო, რომელთაგან ზოგიერთი დღეისათვის დაკარგულად ითვლება. ამ შრომის მაღალი მეცნიერული ღირებულება იყო ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1720—1730 წლებში, ითარგმნა თურქულად, სათაურით „საჰაიფ აღ-ახბარ“ („ცნობათა ფურცლები“). ეს თარგმანი პირველად სტამბოლში დაიბეჭდა სამ ტომად 1868 წელს<sup>73</sup>. სამივე ტომი დაახლოებით 2 200 გვერდს შეადგენს.

მუნეჯიმ-ბაშის სამტომიანი თხზულება წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებს. მასში ავტორს გადმოცემული აქვს მრავალი დინასტიის, პოლიტიკური წარმონაქმნისა და ცალკეული საამიროების ისტორია. ავტორი თხრობას იწყებს უძველესი დროიდან. XI—XVII საუკუნეების საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის თვალსაზრისით ავტორს საინტერესო ამბები აქვს გადმოცემული II—III ტომებში.

მუნეჯიმ-ბაშის თხზულების არაბული ტექსტის შესწავლისა და თარგმნა-კომენტირების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცნობილმა ორიენტალისტმა ვ. მინორსკიმ<sup>74</sup>. მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტები შედადიანთა დინასტიის შესახებ ითარგმნა სომ-

---

<sup>73</sup> ١٢٨٥ استانبول، ١—٣ جلد، «ساحف الاخبار» მუნეჯიმ-ბაშის თხზულების თურქული თარგმანი ლათინოზირებული შრიფტით სტამბოლში გამოქვეყნდა 1940 წელს, მაგრამ სამწუხაროდ, სსრ კავშირის წიგნთსაცავებში ამ გამოცემას ვერ მივაკვლიეთ. იხ. Müneccim-Başı, Câmî ud-duvel. Türk terc. H. F. Turgal, nşr. M. Atsız. Istanbul, 1940. ასევე ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტების თურქული თარგმანი, რომელიც ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ეხება. იხ. H. F. Turgal, Anadolu Selçukileri Müneccim Başıya göre. İstarbul, 1936.

<sup>74</sup> V. Minor sky, Studies in Caucasian History „Cambridge Oriental Series“, London, 1953, № 6; V. Minor sky, A history of Sharvan and Darband, Heffer, Cambridge, 1958. ამ შრომის რუსული თარგმანი ა. ა. ალი-ზადეს შესავალი წერით იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963.

ხურ<sup>75</sup> და რუსულ ენებზე<sup>76</sup>. მუნეჯიმ-ბაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თხზულების, როგორც წყაროს მნიშვნელობის შესახებ საკმაოდ საინტერესო ლიტერატურა არსებობს<sup>77</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მუნეჯიმ-ბაშის ცნობებს XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიის შესახებ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყურადღება მიაქცია და შეუჭერა იგი ქართულ და სხვა აღმოსავლურ პირველწყაროებს რ. კიკნაძემ<sup>78</sup>.

მუნეჯიმ-ბაშის საქართველოს შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება. თხზულებაში უხვად არის გაბნეული ცნობები XI—XVII საუკუნეების საქართველოს შესახებ. მუნეჯიმ-ბაში საინტერესო ცნობებს გვაწვდის სელჩუკებისა და ქართველების ურთიერთობაზე, აგრეთვე, მცირე აზიის ცალკეული პოლიტიკური ერთეულების საქართველოსთან დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებით ვრცლად აქვს გადმოცემული ოსმალეთთან საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მომენტები.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ არსებული აღმოსავლური წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუცემელია და ინახება უცხოეთის წიგნთსაცავებში. სამწუხაროდ, მათი გათვალისწინება ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ

---

<sup>75</sup> А. А. Гер - Гевондян, Сведения анонимного источника XI—XII вв., о Шеддадидах Двина и Гандзак в историческом сочинении Мунеджим-Баши, „Вестник Матенадарана“, 6, 1962, Ереван.

<sup>76</sup> А. Дж. Мамедов, Ахмед ибн Лютфуллах (Мунеджим-Баши) „Джами ад-дувал“, Труды института истории АН Азерб. ССР, XII, Баку, 1957, гв. 205—251. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ამ ნაწილის შესახებ იხ. აგრეთვე, В. Ф. Минорский, Русь в Закавказье. Acta orientalia, 1953, t. III, fas. 3. მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტები ყარა ხანილების შესახებ ქერკიდევ XIX საუკუნეში ითარგმნა რუსულად იხ. В. В. Григорьев, Караханиды в Маврааннахре по тариху Мунеджим-Баши. СПб., 1874.

<sup>77</sup> N. A t s i z, Münecim-Başı Seyh Ahmed Efendi, Hayati ve eserleri, Istanbul, 1939; F. B a b i n g e r, Die Geschichtschreiber der Osmanen und ihre Werke, Leipzig, 1927; K r a m e r s, Enzyklopedie des Islam, wd. III, Leiden-Leipzig, 1937, гв. 779—780; В. В. Б а р т о л ь д, О некоторых восточных рукописях в библиотеках Константинополя и Каира, „Записки Восточного отделения императорского русского археологического общества“; т. XVIII, вып. IV, СПб., 1908, гв. 124—137; В. В. Б а р т о л ь д, Иран, I, 1927; И. Ю. К р а ч к о в с к и й, Избранные сочинения, т. IV, М.-Л., 1957, гв. 633.

<sup>78</sup> რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, თბ., 1960, გვ. 110—119.



წყაროების შესახებ მოკლე ცნობები მოცემული აქვს თურქ მეცნიერს იბრაჰიმ ქაფეზოლლუს სულთან მელიქ-შაჰის შესახებ თავისი მონოგრაფიული გამოკვლევის წყაროების მიმოხილვაში<sup>79</sup>.

დიდ სელჩუკთა უზარმაზარი იმპერიის შესახებ სპარსულ და არაბულ ენაზე დაწერილი პირველწყაროების გარდა ჩვენს განკარგულებაში იყო აგრეთვე იმ ხალხთა ენებზე შედგენილი პირველწყაროები, რომელთა ქვეყნები დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ანდა გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი. იქმნებოდა აგრეთვე თხზულებები ბერძნულ, სირიულ, სომხურ, ქართულ და სხვა ენებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბერძნული წყაროები XI—XII სს-ისა, სადაც საყურადღებო ცნობებია დაცული სელჩუკებისა და ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, ანატოლიაში სელჩუკთა დამკვიდრებისა და ქრისტიანულ სახელმწიფოებთან მათი დამოკიდებულების შესახებ. ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვთ დაცული ბიზანტიელ მწერლებს: მიხეილ ატალიატესს, ნიკიფორე ვრიენიოსს, მიხეილ პსელოსს, იოანე კინნამს, ნიკიტა ხონიატს, იოანე ზონარას, სკილიცე-კედრენეს, ანა კომნენესა და სხვ.

მიხეილ ატალიატესი კონსტანტინე დუქას დროს (1059—1067) მიიწვიეს სამსახურში სახელმწიფო საბჭოსა და უმაღლეს საიმპერატორო სასამართლოში. ის სამხედრო მოსამართლის თანამდებობით თან ახლდა რომან IV დიოგენს ლაშქრობებში. მან 1080 წლისათვის დაასრულა ნიკიფორე ბოტანიატისადმი მიძღვნილი „ისტორია“, რომელიც მოიცავდა პერიოდს 1034 წლიდან 1079 წლამდე. აქ მას აღწერილი აქვს თავისი თვალთ ხილული და გაგონილი ამბები, სასახლის ინტრიგები და სხვ.<sup>80</sup>

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ მიხეილ ატალიატესი ავსებს მისი წინამორბედი ისტორიკოსის მიხეილ პსელოსის მონაცემებს<sup>81</sup>. მისი თხზულება შეავსო და ქრონოლოგიურად გააგრძელა ნიკიფორე ვრიენიოსმა.

<sup>79</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu, İstanbul, 1953, გვ. 5—10.

<sup>80</sup> Michel Attaliates, Histoire, traduit par H. Gregoire, Byzantion, XXVIII, 1959, გვ. 325—362; Bruxelles; გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეექვსე. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 20—32.

<sup>81</sup> Michel Psellous, Chronographie ou histoire d'un siècle de Byzance (976—1077), tome I, 1926, Paris, tome II, 1928, Paris; გეორგიკა, ტ. VI, 1966, გვ. 1—19.

ნიკიფორე ვრიენოსის თხზულება, რომელიც მას დაუწერია ანა კომნენეს დედის — ირინას დავალებით და დაურქმევია „ისტორიული მასალები“, მოიცავს პერიოდს 976 წლიდან ვიდრე 1079 წლამდე<sup>82</sup>;

ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი წიგნისაგან. მასში 976—1070 წწ. ამბები მოკლედია მოთხრობილი, ხოლო შემდეგ პერიოდს ის დაწერილებით გადმოგვცემს; ნაშრომში უმეტეს წილად აღწერილია სასახლეში მიმდინარე მოვლენები, შინაგანი ინტრიგები; ავტორს ვრცლად აქვს გადმოცემული საგარეო ამბები, ბრძოლები სელჩუკებთან. კ. კრუმბახერი აღნიშნავდა, რომ „ვრიენოსის ნაწარმოები წარმოადგენს უფრო საოჯახო ქრონიკას, ვიდრე რომელიმე ეპოქის ისტორიას. წიგნში მოთხრობილია შინაგანი ბრძოლა, რომელსაც ამზადებდნენ კომნენები თავიანთი ოჯახის, გვარის წარჩინებისათვის... საგარეო საქმეებიდან მოთხრობილია უმთავრესად თურქების მხრიდან საშიშროების თანდათანობითი ზრდა“<sup>83</sup>. ნიკიფორე ვრიენოსის თხზულება აშკარად ტენდენციურია ავტორის სამეფო კართან მჭიდრო ურთიერთობის გამო. მიუხედავად ამისა მის თხზულებაში დაცული ცნობები ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა. მისი შრომის წყაროს ძირითადად წარმოადგენს მისი უფროსი თანამედროვეების ნაამბობი; ამასთანავე ის წერილობით წყაროებსაც იყენებს, აკეთებს ამონაწერებს. სელჩუკებისა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ვრიენოსი ძალიან დაწვრილებით გვიყვება. მიუხედავად ტენდენციურობისა, მისი ცნობები საყურადღებო მასალას შეიცავს XI ს-ის 70-იან წწ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხების გასაშუქებლად<sup>84</sup>.

<sup>82</sup> ნიკიფორე ვრიენოსის ბიოგრაფიისა და თხზულების შესახებ იხ. Очерки по истории Византии, под редакцией и с предисловием В. Н. Бенешевича, вып. II, 1912; Исторические записки Никифора Врениния (переведенная под редакцией проф. В. Н. Карпова), СПб., 1858; თ. ბრეგაძე, ნიკიფორე ვრიენოსი საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 233—247; გეორგიჯა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. მეხუთე, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 302—313.

<sup>83</sup> К. К р у м б а х е р, Византийские историки и хронисты, Очерки по истории Византии, под редакцией и с предисловием В. Н. Бенешевича, вып. III, 1912, стр. 40.

<sup>84</sup> ესარგებლობდით ნიკიფორე ვრიენოსის რუსული და ფრანგული თარგმანებით. Византийские историки, переведенные с греческого при С. Петербургской академии, т. I, Исторические записки Никифора Врениния, СПб., 1858; N. B r u e n i o s, Les Quatre livres des histoires. Traduction française avec Notes par Henri Gregoire, Byzantion, tome XXIII (1953); Bryxelles, 1954, გვ. 463—530, tome XXV—XXVI—XXVII, Fascicule 2; Bryxelles, 1955—56—57; Bryxelles, 1957.

ბიზანტიურ წყაროებს შორის საინტერესო წყაროს წარმოადგენს ანა კომნენეს თხზულება „ალექსიადა“, რომელშიც ბევრი ისეთი ცნობაა დაცული სელჩუკებისა და ბიზანტიის ურთიერთობის დამადასტურებელი, რომელიც სხვა წყაროებში არ გვხვდება; ანა კომნენეს თხზულება ფაქტიურად იყო გაგრძელება ნიკიფორე ვრიენიოსის ნაშრომისა, უფრო მეტიც, მას თავის „ალექსიადაში“ თითქმის სრულად აქვს მოტანილი ნიკიფორე ვრიენიოსის თხზულებაში დაცული ცნობები, ვიდრე 1079 წლამდე. მართალია, არაბულ, სომხურ, სირიულ წყაროებში არის ეპიზოდური ხასიათის ცნობები სელჩუკებისა და ბიზანტიელების ურთიერთობის შესახებ XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, მაგრამ „ალექსიადაში“ მოტანილი ცნობები ამ პერიოდის შესახებ ძალიან უხვი და ორიგინალურია; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ანა კომნენე რიგ მოვლენებს, კაპპანიებს დაწვრილებით აღწერს, მაინც მისი ცნობები მთელი ეპოქის სურათის წარმოსადგენად მთლად სრული ვერ არის. გარდა ამისა, ანა კომნენე უმეტეს შემთხვევაში ქრონოლოგიას ზუსტად ვერ იძლევა და ვერც სელჩუკ მხედართმთავართა თუ სხვა პირთა სახელებს გადმოსცემს ზუსტად. „ალექსიადაში“ მოცემული თურქული საკუთარი სახელები სხვა წყაროებში არსად გვხვდება.

ანა კომნენე, რომელსაც დაწვრილებით აქვს აღწერილი თავისი მამის, იპერატორ ალექსი კომნენეს (1081—1118) მოღვაწეობა, აზვიადებს მის საქმიანობას, მის მიღწევებს გარეშე მტრებთან ბრძოლაში. „ალექსიადაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ალექსი კომნენეს ურთიერთობას სელჩუკებთან: ალექსი კომნენემ ტახტზე ასვლისთანავე მიზნად დაისახა სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განდევნა რაც შეიძლება შორს აღმოსავლეთისაკენ. ალექსის ამ გეგმების განხორციელების, სელჩუკებთან იპერატორის დამოკიდებულების შესასწავლად, „ალექსიადა“ ერთადერთი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გაზვიადებულად გვიხატავს ალექსის საქმიანობას, მას მაინც უღაღესი მნიშვნელობა ენიჭება XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ანატოლიაში დამკვიდრებულ სელჩუკებთან დამოკიდებულების საკითხების შესასწავლად. მათ შესახებ აღმოსავლური წყაროების ცნობები ერთობ ფრაგმენტულია, რაც უფრო ზრდის „ალექსიადას“, როგორც წყაროს ღირებულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭერ კიდევ არ არის გარკვეული და სათანადოდ შესწავლილი სელჩუკებისა და ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიის საკითხები.

ანა კომნენე იყო მწუღლე მისი წინამორბედი ისტორიკოსისა და მხედართმთავრის ნიკიფორე ვრიენიოსისა. მისი თხზულება ნათლად მეტყველებს ანას ფართო განათლებასა და ერუდიციასზე. როდესაც 1136 წელს გარდაიცვალა მისი მეუღლე — ნიკიფორე ვრიენიოსი, 55

წლის ასაკში ანამ იტვირთა მისი შრომის დასრულება. მან გააგრძელა ერიენიოსის ისტორია და შექმნა ცნობილი „ალექსიადა“; მისი დაწერის თარიღი უცნობია. ანა კომნენემ „ალექსიადაში“ XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის დასაწყისის ბიზანტიის სრული სისტემატური ისტორია წარმოგვიდგინა. ანა კომნენე თავისი თხზულების წერისას იყენებდა როგორც წერილობით წყაროებს, ისე ზეპირ გადმოცემებსაც; გარდა ამისა იგი მის მიერ აღწერილი ამბების უმრავლესობის თვითმხილველი იყო. ანა ისტორიას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს, თუმცა ძალიან ხშირად ნაშრომში ამა თუ იმ ამბის გადმოცემისას წიაღსულებს აკეთებს და გაბმული თხრობიდან უხვევს.

„ალექსიადას“ ტექსტის პუბლიკაციისა და მისი თარგმანების შესახებ მნიშვნელოვანი ლიტერატურა არსებობს. იგი ითარგმნა მრავალ ენაზე; ჩვენ ამ წყაროს მეორე, სრული რუსული და ქართული გამოცემებით ვსარგებლობდით<sup>85</sup>.

ანა კომნენეს თანამედროვე და მისი „ალექსიადას“ პარალელური ცნობების შემცველი თხზულების ავტორი იყო იოანე ზონარა, რომელიც ერთ-ერთი უგანათლებულესი და უნიჭიერესი ავტორთაგანია. ის თავის ქრონიკას ცოცხალი ფაქტების დამოწმებით ქმნიდა. ქრონიკის ზოგიერთ ადგილს „ალექსიადას“ გამომცემელი უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე „ალექსიადას“. ის აღნიშნავს, რომ ზონარა კრიტიკულად ეპყრობა ალექსი კომნენეს და ანასაგან განსხვავებით იძლევა ალექსი კომნენეს უფრო ჭეშმარიტ შეფასებას<sup>86</sup>.

ზონარა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XI ს-ის მიწურულსა და XII ს-ის პირველ ნახევარში. ის იყო გავლენიანი პირი სასახლის კარზე. მწიგნობართუხუცესისა და სხვა თანამდებობები ეკავა. მოხუცებულობაში ბერად აღკვეცილა და სიციოცხლის ბოლო წლები წმინდა გლიკერიას კუნძულზე არსებულ მონასტერში გაუტარებია. მისი ბერად აღკვეცის მიზეზი ყოფილა ცოლ-შვილის დაღუპვა<sup>87</sup>. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ „იოანე ზონარას „მსოფლიო ქრონიკა“ ამ სახის ბიზანტიურ სხვა „ქრონიკებთან“ შედარებით მაღალი ღირსების თხზულებაა. ის სხვა ქრონიკებზე საფუძვლიანიცაა და გარდა ამისა, შეიცავს მრავალ ჩვენამდე მოუღწეველ კარგ საისტორიო წყაროებს, მაშინ, როცა სხვა ყამთა აღმწერლები კმაყოფილდებოდნენ ძველი ბიზანტიური კრებულებით... იოანე ზონარა, პირიქით, პოულობს უფრო ვრცელ ცველ საისტორიო შრომებს და იქიდან ღებულობს ახალსა და საინტე-

<sup>85</sup> А н н а К о м н и н а, Алексиада. Вступительная статья, перевод. Комментарий Я. Н. Любарского, М., 1963. გეორგია, ტ. 6, 1966, თბ., გვ. 33—122.

<sup>86</sup> А н н а К о м н и н а, დასახ. ნაშრ..., გვ. 20.

<sup>87</sup> გეორგია, ტ. 6, გვ. 177.

რესო მასალებს<sup>88</sup>. ზონარას თხზულებაში შემონახულია ცნობები ისეთი საინტერესო პირველწყაროებიდან, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ზონარას თხზულება იწყება სამყაროს შექმნიდან და თავდება 1118 წლის ამბებით. იგი 18 ნაწილისაგან შედგება. ზონარას სხვა ბიზანტიელ მსოფლიოს ქრონიკებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი ქრონიკის ღირსება ისაა, რომ ის სარგებლობდა საუკეთესო წყაროებზე<sup>89</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ ძვირფასი ცნობები აქვთ ბიზანტიელ მწერლებს იოანე სკილიცე-გიორგი კედრენეს. იოანე სკილიცეს მნიშვნელოვანი თანამდებობა ეჭირა ბიზანტიაში. თხზულების შესავალში იგი თავის თავს მიხეილ პსელოსის (1016—1070) თანამედროვედ აცხადებს. მის თხზულებაში ამბები გადმოცემულია 911 წლიდან 1079 წლამდე. ამ თხზულების ბერძნული ტექსტის უმეტესი ნაწილი კედრენეს ქრონიკაში გვხვდება. გიორგი კედრენეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კი არაფერი არაა ცნობილი. ვარაუდობენ, რომ ბერად აღკვეცილმა კედრენემ XI ს-ის მიწურულსა და XII ს-ის დასაწყისში შეადგინა მსოფლიოს ქრონოგრაფია, რომელშიც თხრობა იწყება სამყაროს გაჩენიდან და ბოლოს ამბები გადმოცემულია 811 წლიდან, ვიდრე 1079 წ-მდე. გიორგი კედრენეს თხზულება სიტყვასიტყვით გადმოსცემს იოანე სკილიცეს ქრონიკას და გრძელდება 1059 წლამდე<sup>90</sup>;

სკილიცე-კედრენეს თხზულებებში საინტერესო ცნობებია დაცული სელჩუთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ და, რაც მთავარია, საქართველოსა და კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის შესახებ. ამ თხზულების ერთი ადგილის გარკვევისათვის ჯერ კიდევ 1924 წელს საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა<sup>91</sup>.

<sup>88</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 178—179.

<sup>89</sup> Millel de S. Amaur, Cronique ou annales de J'ean Zonara, Lyon, 1560, Iohannes Zonaras, Epitome historiarum, III, ed, Büttner-Wobst, 1897, ზონარას ბიოგრაფიისა და თხზულებიდან საქართველოს შესახებ ამოკრული ადგილები ბერძნული ტექსტითა და ქართული თარგმანით, მ. კახაძის მიერ შესრულებული, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. იხ. გეორგიკა, ტ. 6, გვ. 175—240.

<sup>90</sup> გიორგი კედრენესა და სკილიცეს წყაროთა ურთიერთობის, ავტორთა საქმიანობისა და სხვათა შესახებ, იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეხუთე, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 7—82.

<sup>91</sup> ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ტურინოს კომპილაციისათვის. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, ტ. IV, 1925, ტფ., გვ. 351—355. ტურინოს კომპილაციის გამო ბოლო ხანებში საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა მაქსიმე ბერძნიშვილმა. იხ. შ ა ქ ს ი მ ე ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ტურინოს კომპილაციის გამო, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 159—166.

მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის რიგი საკითხების გასაშუქებლად ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სირიულ წყაროებს. სირიული ქრისტიანული ისტორიოგრაფიული ხასიათის პირველწყაროები ჩვენ გვაქვს V საუკუნიდან. სირიული ისტორიოგრაფია აღმავლობასა და განვითარებას განიცდიდა XIV ს-მდე შუა საუკუნეების სირიის ისეთ დიდ ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებში, როგორც იყო პალმირა, ედესა, პეტრა და სხვ. სირიული საერო თუ სასულიერო ხასიათის წყაროები მიუხედავად შინაარსის მრავალმხრიობისა საინტერესოა. სირიული წყაროების ღირსებისა და სანდოობის შესახებ რ. პუსტინოვი შენიშნავს «Сирийцы в эпоху средних веков распространялись на обширной территории Передней Азии и Дальнего Востока. Уменьше осваиваться в конкретной обстановке, мобильность и восприимчивость сделали их наблюдательными и осведомленными. Поэтому сведения сирийских источников — это, как правило, данные из первых рук»<sup>92</sup>.

შუა საუკუნეების სირიული ისტორიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენელია მიხეილ სირიელი (1126—1196); იგი დაიბადა ქალაქ მელიტენეში, სირიული სასულიერო პირის ოჯახში. წარმოშობით კინდაზის საგვარეულოს ეკუთვნოდა. მან არ დაარღვია თავისი ოჯახის ტრადიცია და ბავშვობიდან დაიწყო მომზადება სასულიერო საქმეებისათვის. მიხეილ სირიელმა თავისი ცხოვრება დაუკავშირა მელიტენესთან აბლო მდებარე ცნობილ სირიელ მონოფიზიტთა — იაკობინელთა ბარ-საუმის მონასტერს. იგი 1156 წელს გახდა ამ მონასტრის არქიმანდრიტი, ხოლო 1166 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უყო აღმოსავლეთის იაკობინელთა პატრიარქი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ის მუდამ მოგზაურობდა მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონებში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორ მანუელ კომნენესთან, რომელმაც ის მიიწვია კონსტანტინოპოლში.

მიხეილ სირიელი რომ დიდად მომზადებული პირი იყო, ჩანს მის როგორც სასულიერო მოღვაწეობაში, ასევე ისტორიოგრაფიული ხასიათის თხზულებების დამუშავებაშიც. მშობლიური სირიულის გარდა მან იცოდა არაბული და სომხური ენები. ჩვენამდე მოუღწეველი „საკლესიო ისტორიის“ გარდა მას ეკუთვნის ცნობილი „ქრონიკა“, რო-

---

<sup>92</sup> Р. А. Гусейнов, «Хроника» Мухамла Сирийца и «Всесвятая история» Бар Эбрея как источники по истории Юго-Восточной Европы (IX—XII вв.), Москва, 1966, стр. 2.

შელიც ძალიან საყურადღებო ცნობებს შეიცავს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისათვის.

„ქრონიკის“ სირიული ტექსტი დიდხანს უცნობი იყო მეცნიერებისათვის. არსებობდა მხოლოდ ტექსტის არაბული და სომხური თარგმანები. სირიული ტექსტი, რომელიც მიკვლეულ იქნა მხოლოდ XIX ს-ის 80-იან წლებში, 1560 წლის ნუსხიდან იყო გადაწერილი 1598 წ.<sup>93</sup> სირიული ტექსტი, ფრანგული თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევით გამოსცა ფრანგმა სირიოლოგმა ე. ბ. შაბომ<sup>94</sup>. ჩვენც ამ გამოცემით ვსარგებლობდით.

მიხეილ სირიელი თხრობას იწყებს სამყაროს შექმნიდან და ამთავრებს 1195 წლის ამბების გადმოცემით. ქრონიკა შედგება შესავლისა და ოცდაერთი წიგნისაგან, რომლებიც თავებადაა დაყოფილი, მას ერთვის ექვსი დანატება. I—VI თავებში გადმოცემულია ძველი ისტორიის საკითხები.

ავტორი ძირითადად იხილავს ეგვიპტის, საბერძნეთის, რომისა და ირანის ისტორიის საკითხებს. შეჰდევ VII—X თავებში გადმოცემულია IV—VI სს-ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის ამბები; XI—XIII თავები მოიცავს VII—X საუკუნეების ამბებს; დანარჩენი თავები ძირითადად XI—XII საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების ისტორიას გადმოგვცემს. ჩვენთვის საინტერესოა „ქრონიკის“ XIV და, განსაკუთრებით, XV თავები, სადაც გადმოცემულია სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის ცალკეული მომენტები, მათი ურთიერთობა ბიზანტიასთან. საგანგებოდ აქვს განხილული ავტორს მანასკერტის ბრძოლა. ეგება XI ს-ის II ნახევარში მცირე აზიაში შექმნილ ვითარებას და სხვა საყურადღებო მოვლენებს.

თავისი ნაშრომისთვის მიხეილ სირიელი იყენებდა წინამორბედი სირიელი და სხვა ავტორების თხზულებებს, საიდანაც ბევრი რამ შეჰქონდა თავის თხზულებაში ყოველგვარი კომენტარისა და გადაკეთე-

<sup>93</sup> მიხეილ სირიელის „ქრონიკის“ შესახებ იხ. P. A. Гусейнов, «Хроника Михаила Сирийца, «Палестинский сборник», вып. 5 (68), 1960; მისივე, «Хроника Михаила Сирийца и «Всеобщая история» Бар Эбрея как источники по истории Юго-Восточной Европы (IX—XII вв.)», зб. 1—6; მისივე, К истории тюрок IX—XII вв. (по материалам сирийской хроники XII в.), «Труды института истории», XII, Баку, 1957, стр. 96—99. მანვე მიხეილ სირიელის თხზულებას მიუძღვნა თავისი საკანდიდატო დისერტაცია; იხ. P. A. Гусейнов. Ненсследованный источник по истории сельджуков XI—XII вв. Л., 1954 (ხელნაწერი).

<sup>94</sup> Chronique de Michel le Syrien, patriarche Iacobite d'Antioche (1166—1199), editée pour la première fois et traduite en français par I.—B. Chabot, tomes I—IV, 1899—1924. Paris.

ბის გარეშე; სირიოლოგი ა. ბ. დიაკონოვი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ «Подобно многим компиляторам Михаил не заботился о переработке использованного им материала, а предлагает его почти в сыром виде»<sup>95</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სირიელის „ქრონიკა“ წარმოდგენს კომპილაციურ ნაშრომს, მას, როგორც წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის რიგი საკითხების გასაშუქებლად და სელჩუკების მცირე აზიაში გაბატონების, ჯვაროსნებთან ბრძოლისა და სხვა საკითხების შესასწავლად, კერძოდ, „ქრონიკის“ მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ მიხეილ სირიელის მიერ გამოყენებული ზოგიერთი პირველწყარო დღეისათვის დაკარგულად ითვლება. „ქრონიკაში“ მოცემულია ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც სხვაგან არსად გვხვდება.

მიხეილ სირიელის „ქრონიკები“ თავის მხრივ იყო წყარო მეორე უფრო მოგვიანო ხანის სირიელი ავტორის ბარ ჰებრაის (1226—1286) თხზულებისა. აკად. ე. კრაჩკოვსკი მას სირიულ-არაბული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლად მიიჩნევს იმის გამო, რომ იგი თავის თხზულებას არაბულ ენაზე წერდა და, რაც მთავარია, მას ირანელ ავტორებზე ნაკლები წვლილი არ შეუტანია არაბული ტრადიციების განვითარებაში<sup>96</sup>.

შუა საუკუნეების სირიული და, საერთოდ, ახლოაღმოსავლური კულტურის საუკეთესო წარმომადგენელი ბარ ჰებრაი აბულ-ფარაჯი იონ გრიგოლი დაიბადა მელიტენეში, შეძლებული ებრაელი ექიმის პარუნის სასახლეში. ბავშვობაში მას იოანე შეარქვეს, შემდეგში ამ სახელს ემატებოდა ახალ-ახალი სახელები, რომლებიც სხვადასხვა ენებზე სხვადასხვანაირად გამოითქმოდა<sup>97</sup>. ბარ ჰებრაის ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ სირიულ, არაბულ, ბერძნულ ენებს, წვრთნიდნენ ფილოსოფიასა და სამართალში. მისი ოჯახი ანტიოქიაში გადასახლდა და პატარა ბარ ჰებრაიმ აქ განაგრძო სწავლა. მან თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო, იმოგზაურა ბევრ ქვეყანაში. 1246 წელს დაინიშნა გუბოსის ეპისკოპოსად; ამ დროიდან დაიწყო მისი სასულიერ-

---

<sup>95</sup> А. Б. Дьяконов, Кир Батиский, СПб., 1912, стр. 2—3; Р. А. Гусейнов, К истории тюрок XI—XII вв., стр. 98.

<sup>96</sup> И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, IV, М.-Л., 1957, стр. 373.

<sup>97</sup> ბარ ჰებრაის სახელების ისტორიის შესახებ იხ. Gregory Abūl Faras (Bar Hebraeus), Abūl Faras tarihi, cilt I, Türkçeye çeviren Ömer Rıza Doğrul, Ankara, 1945, გვ. 9—11; Акад. И. Ю. Крачковский, Избр. соч., IV, М.-Л., 1957, стр. 373.



რო კარგია. მომდევნო წელს ის გადავიდა ეპისკოპოსად ლაკაბენში, სადაც იგი 6—7 წელს დარჩა; შემდეგ ალექოში წავიდა და იქ მონასტერში დაკვივდრდა. 1264 წელს ბარ ჰებრაი ალექოში არჩეულ იქნა უმაღლეს სასულიერო თანამდებობაზე — აღმოსავლეთის მათრიანად. იაკობინელთა ეკლესიაში ეს თანამდებობა უმთავრესი იყო პატრიარქის შემდეგ; ის თავისი ფუნქციებით ცვლიდა პატრიარქს. მისი რეზიდენცია ქალაქ ტაგრიდში იყო. იგი ტიგროსის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე იაკობინელთა მეთაურის მოადგილედ ითვლებოდა ეკლესიის საკითხში. სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ბევრს მოგზაურობდა მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონებში და მკვიდრო კონტაქტი ჰქონდა ადგილობრივ სასულიერო ფეოდალებთან და გამგებლებთან, რამდენადაც ქრისტიანულ ეკლესიას თავისი ტერიტორიები გააჩნდა რიგ ქვეყნებში<sup>98</sup>.

აღმოსავლეთის მათრიანის თანამდებობაზე ყოფნისას ბარ ჰებრაიმ მრავალი ღონისძიება ჩაატარა საეკლესიო საქმიანობაში. მისი პირადი ინიციატივით აშენდა მრავალი ეკლესია და სასახლე, შეკეთებულ იქნა ტაძრები. ბრწყინვალე ეკლესიები აიგო მარალაში, თავრიზში, ბართელლიში. მთელი სიცოცხლის მანძილზე პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა<sup>99</sup>.

ბარ ჰებრაის ცხოვრების გარკვეული პერიოდი დაკავშირებულია სამხრეთ აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქალაქ მარალასთან, სადაც იგი დიდხანს ცხოვრობდა. აქ დაწერა მან საყურადღებო ნაშრომი მსოფლიო ისტორიის შესახებ. აქვე გარდაიცვალა ის 1286 წლის 30 ივნისს<sup>100</sup>.

ბარ ჰებრაი ბევრს მუშაობდა მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც მის დროს იყო დაწინაურებული. იგი თავისი ეპოქის მეცნიერ ენციკლოპედისტად ითვლება. მისმა შრომებმა მეცნიერების მრავალ დარგში დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ საუკუნეებშიც. ისინი სრულ წარმოდგენას იძლევიან იმ დროის სირიის მეცნიერებასა და კულტურაზე. აკად. ი. კრაჩკოვსკი აღნიშნავდა, რომ «Для земляков-сирийцев его деятельность, несомненно, составила эпоху; в св-

<sup>98</sup> P. A. Гусейнов, «Хроника» Мухамла Сиррийца и «Всесобная история» Бар Эбрея как источники по истории Юго-Восточной Европы (IX—XII вв.), стр. 7.

<sup>99</sup> ბარ ჰებრაის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს მისი თხზულების თურქულად მთარგმნელი ომერ რიზა დოდრული. იხ. Gregory Abul Faras, დასახ. ნაშრ., გვ. 15—29.

<sup>100</sup> ბარ ჰებრაის აზერბაიჯანში მოღვაწეობის შესახებ იხ. P. A. Гусейнов, Бар Эбрей и Азербайджан, Из истории Сирийско-Кавказских связей, «Доклады АН Азерб. ССР», Баку, т. XIX, № 3, 1963.

რონეისკოი науке он известен главным образом как историк, сохраняющий частично значение и теперь»<sup>101</sup>.

ბარ ჰებრაის ნაშრომები ეხება ასტრონომიას, ისტორიას, მათემატიკას, პოეზიას, ფიზიკას, მედიცინას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველებას, ღვთისმსახურებას და მეცნიერების სხვა დარგებს. არსებობს მისი შრომების სია, სადაც ჩამოთვლილია 30-მდე ნაშრომი მეცნიერების სხვადასხვა დარგში<sup>102</sup>. ბარ ჰებრაიმ თავის ამ მრავალრიცხოვან ნაშრომებში ერთგვარად შეაჯამა მიღწევები მთელი სიბრძნული და ახლო აღმოსავლური კულტურისა, რომელიც დიდხანს ინარჩუნებდა თავის მაღალმეცნიერულ ღირებულებას და უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას.

ბარ ჰებრაის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომს მსოფლიო ისტორიის შესახებ, რომელიც საერო და საეკლესიო ისტორიად იყოფა. ჩვენთვის საინტერესოა „საერო ისტორია“<sup>103</sup>. ბარ ჰებრაის ეს ისტორიული თხზულება თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ ორ ტომად გამოსცა<sup>104</sup>.

ბარ ჰებრაი თბრობას იწყებს სამყაროს გაჩენიდან, თხზულების პირველ შვიდ თავში აღწერილია წინა აზიის უძველესი საუკუნეების ნახევრად ლეგენდარული ისტორია. განხილულია ეგვიპტის, ბაბილონის, ირანის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ისტორიის საკითხები. თხზულების VIII—IX თავები შეიცავს რომის იმპერიისა და ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიას, ბიზანტიის ურთიერთობას სასანიანთა სახელმწიფოსთან და სხვ. X თავი შეიცავს უკანასკნელ სასანიანთა, ბიზანტიის, არაბთა სახალიფოს ისტორიას. საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი სელჩუკთა დაპყრობითი ომების, მათი მახლობელ აღმოსავლეთში მოსვლისა და გაბატონების შესახებ. ასევე ვრცლადაა მოთხრობილი სელჩუკთა ურთიერთობაზე ქრისტიანულ სახელმწიფოებთან — ბიზანტიასთან, სომხეთსა და საქართველოსთან.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის თბრობას ბარ ჰებრაი 1036

<sup>101</sup> И. Ю. Крачковский, Избранные соч., т. IV, стр. 374.

<sup>102</sup> გეოგრაფიის საკითხებზე არსებული შრომები გაანალიზებული აქვს აკად. ი. კრაჩკოვსკის, იხ. И. Ю. Крачковский, Избранные соч., т. IV, стр. 374—375.

<sup>103</sup> Barhebraei Gregorii, Cronicon Syriacum, ed by P. Bedjan, Paris, 1890. «The Chronography of Gregori Abu'l Faraj», ed and transl. by E. A. W. Budge, London, 1932, vol. 1—2;

<sup>104</sup> Gregory Abu'l Farac (Bar Hebraeus), Abu'l Farac tarihi, Cilt I—II, Süryancadan ingilizceye çeviren Ernest A. Wallis Budge. Türkçeye Çeviren Ömer Rıza Doğrul, Ankara, 1945, 1950.

წლიდან იწყებს და 1095 წლით ამთავრებს. ის ძირითადად XI ს-ში დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს გაბმული ისტორიის თხრობით კმაყოფილდება. საგანგებოდ ეხება მანასკერტის ბრძოლას, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის საქმიანობას და მელიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ შექმნილ ვითარებას. ავტორი ცალკე საკითხად გამოყოფს ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიას. შემდეგ ვრცლად აღწერს მახლობელ აღმოსავლეთში მონღოლთა ბატონობის ამბებს.

ბარ ჰებრაის გადმოცემული აქვს თვით მონღოლთა სახელმწიფოს ისტორია, მათი საქმიანობა და ურთიერთობა დაპყრობილ ხალხებთან. მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ბიზანტიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და საერთოდ, მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისათვის.

XI—XII საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურ წყაროებს; სომეხი ისტორიკოსები სომხეთის ისტორიასთან ერთად ვრცლად მოგვითხრობენ მეზობელი ქვეყნების ისტორიასაც. ისინი საგანგებოდ ჩერდებიან სომხეთში სელჩუკთა შემოსევებსა და მათ საქმიანობაზე. სომეხ ისტორიკოსებს ძვირფასი ცნობები აქვთ შემონახული XI—XII სს. ა/კავკასიის ქვეყნებში სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე სომხური წყაროები ამ მიმართულებით არავის შეუსწავლია. სომხურ წყაროებს არანაკლები მნიშვნელობა აქვს თვით სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის საკითხების გასარკვევადაც, ამიტომ მათი მეცნიერული დირეზულება უფრო იზრდება.

სომეხ ისტორიკოსთა შორის ანგარიშგასაწევია არისტარქე ლასტივერტელის „ისტორია“, რომელიც გადმოგვცემს ამბებს XI ს-ის 70-იან წლებამდე. მისი თხზულება უმთავრესად სომეხ-ქართველ-ბიზანტიელთა სელჩუკებთან ურთიერთობას ეხება. არისტარქე ლასტივერტელი შესავალში აღნიშნავს, რომ ეს თხზულება დაწერილია მაშინ, როდესაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობები ძალზე გართულებული იყო. „აღმოსავლეთიდან მახვილი, დასავლეთიდან ხოცვა-ქლეტა, ჩრდილოეთიდან ცეცხლი და სამხრეთიდან სიკვდილი. აღიკვეთა მხიარულება პირისაგან მიწისა, დადუმდნენ ჩანგთა ხმები და დაფდაფთა ხმაური. ამაღლდა მტირალთა ღაღადება“<sup>105</sup>.

<sup>105</sup> ა რ ი ს ტ ა რ ქ ე ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ლ ი, „ისტორია“, (ხელნაწერი), გვ. 1 (ამ თხზულების სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, შენიშვნებითა და კომენტარით დასაბეჭდად გაამზადა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტ. მეცნ. კანდიდატმა ე. ცაგარეიშვილმა. მანვე სშუალება მოგვცა ქართულ თარგმანში გავცნობოდით ამ წყაროს, რისთვისაც მადლობას მოუახსენებთ).

სომეხ ავტორთა შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული მათე ურჰაელს, რომელიც XI საუკუნის ბოლოსა და XII ს-ის I ნახევარში ცხოვრობდა. მან მთელი სიცოცხლე ურფაში გაატარა, ამიტომ ბუნებრივია, რომ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ურფის ისტორიას, მახლობელ აღმოსავლეთში სელჩუკთა შემოსევებს და მათ გაბატონებას, ჯვაროსნებსა და სელჩუკებს შორის მომხდარ ბრძოლებს და სხვ. მათე ურჰაელს ბევრი ისეთი საყურადღებო ცნობა შემოუნახავს, რომელიც არ გვხვდება არაბულ, სირიულ, სპარსულ და ბიზანტიურ წყაროებში. მათე ურჰაელი თავის თხზულებაში განსაკუთრებით ორიგინალურ ცნობებს გვაწვდის ჯვაროსანთა ლაშქრობის შესახებ, რამდენადაც იგი თვითმხილველი და თანამედროვე იყო იმ პოლიტიკური მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა XI ს-ის მიწურულსა და XII ს-ის I ნახევარში.

მათე ურჰაელის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები უცნობია, არც მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვიცით რაიმე. მხოლოდ მისივე შრომიდან ვგებულობთ, რომ იგი დაიბადა ურფაში და იყო მონასტრის ბერ-მონაზონი, იქვე დაწერა თავისი თხზულებაც. ამბების თხრობას მათე ურჰაელი იწყებს 952 წლით და ამთავრებს 1136 წლით; საფიქრებელია, რომ იგი 1136 წლის შემდეგ მალე გარდაიცვალა. XVIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ჩამიჩიანის მტკიცებით მათე ურჰაელი 1144 წელს ღრმად მოხუცებული ცხოვრობდა ურფაში, სადაც მას თავს დაესხა ამირ ზენგი.

მათე ურჰაელის „ისტორიის“ თხრობა 1136 წლის შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 1162 წლამდე გააგრძელა მისმა მოწაფემ ვინმე გრიგოლ ხუცესმა, რომელიც ასევე არაფერს გვაუწყებს მათე ურჰაელის ბიოგრაფიის შესახებ.

მათე ურჰაელი თავისი თხზულების დასაწერად იყენებდა როგორც უფროსი თანამედროვეების ნააზობს, ასევე დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებს. იმ წყაროებს, რომლითაც მათე ურჰაელი სარგებლობდა, ჩვენამდე არ მოუღწევია.

მათე ურჰაელის „უამთაღმწერლობა“ ქრონოლოგიურად სამ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში ამბები გადმოცემულია 952 წლიდან ვიდრე 1052 წლამდე. მეორე ნაწილში მოთხრობილია 1053—1102 წლების ამბები, ხოლო ბოლო ნაწილი მოიცავს 1103—1136 წლების ისტორიას. მათე ურჰაელის ეს თხზულება სომხურად ორჯერ გამოიცა; პირველად იერუსალიმში 1869 წელს; მეორედ ეჩმიადინში — 1898 წელს. მათე ურჰაელის თხზულების ნაწყვეტის ფრანგული თარგმანი, რომელიც ჯვაროსანთა ლაშქრობებს შეეხებოდა, პირველად გამოაქვეყნ-

ნა 1850 წელს ფრანგმა ორიენტალისტმა დიულორიემ<sup>106</sup>. მანვე პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არსებული სამი ხელნაწერი ნუსხის საფუძველზე სრული ტექსტი ფრანგულად თარგმნა და საინტერესო შენიშვნებით გამოაქვეყნა<sup>107</sup>.

მათე ურპაელის სომხური ტექსტისა და დიულორიეს ფრანგული თარგმანის შეჯერების საფუძველზე პ. ანდრეასიანმა სრული ტექსტი თურქულად თარგმნა და 1962 წელს ანკარაში გამოაქვეყნა<sup>108</sup>. ჩვენ ვსარგებლობთ როგორც ფრანგული, ისე თურქული თარგმანით.

მათე ურპაელის „უამთააღმწერლობაში“ თანმიმდევრობით, საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი XI საუკუნეში სომხეთის ტერიტორიაზე მომხდარი თითქმის ყველა პოლიტიკური მოვლენა. ის განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს სელჩუკთა ლაშქრობებს, ბიზანტიასთან ურთიერთობას, სომხეთში ლაშქრობასა და იქ შექმნილ მძიმე ვითარებას, თორღულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის მიერ მოწყობილ ლაშქრობებს ამიერკავკასიის ქვეყნებში. მათე ურპაელის საინტერესო ცნობები მოეპოვება აგრეთვე XII ს-ის 1-ელი მეოთხედის საქართველოს შესახებ<sup>109</sup>.

მათე ურპაელის თანამედროვეს, ქალაქ ანისის მღვდელს სამუელ ანელს თავის ქრონოლოგიაში ამბები გადმოცემული აქვს სამყაროს შექმნიდან ვიდრე 1164 წლამდე. იგი საგანგებოდ აღწერს ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის ლაშქრობებს დასავლეთის მიმართულებით. ქრონოლოგიაში დაცული ცნობები მეტად საყურადღებოა სელჩუკთა ანატოლიაში გაბატონებისა და ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის თვალსაზრისით<sup>110</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სომეხი ისტორიკოსის ვართაპეტ ვარდანაჲ „მსოფლიოს ისტორია“, სადაც საინტერესო ცნობებია დაცული

---

<sup>106</sup> Recit de la premiere croisade extrait de la chronique de Matthieu d'Edesse. et traduit de l'Armenien... par M. Edouard Dulaurier, Paris, 1850.

<sup>107</sup> Chronique de Matthieu d'Edesse (926—1136) avec la continuations de Gregoire le Prêtre Susuen 1162. Bibliotheque Historique Armenienne... par M. Edouard Dulaurier. Paris, 1858.

<sup>108</sup> Urfalı Mateos Vekayi-Namesi (952—1136) ve Papaz Grigor'un Zeyli (1136—1162). Türkçeye çeviren Hrant Andreasyan, Ankara, 1962.

<sup>109</sup> ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურპაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 242—267.

<sup>110</sup> M. Brosset, Collection d'historiens Arméniens. tome II, St.-Petersbourg, 1876. სამუელ ანელის თხზულებიდან ჩვენთვის საინტერესო ცნობები დაბეჭდილია აგრეთვე ფრანგული თარგმანით დიულორიეს მიერ გამოცემულ კრებულში: იხ. Recherches sur la chronologie Arménienne Technique et Historique. Par M. Edouard Dulaurier, tome I<sup>er</sup>, Paris, 1859.

თორულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის აქემიანობის შესახებ<sup>111</sup>. ის ცნობები, რომელიც სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას ეხება თურქულად ითარგმნა<sup>112</sup>.

როდესაც ვარდანი სომხეთისა და მისი მეზობლების ისტორიას გადმოგვცემს საქართველოზეც ლაპარაკობს, კერძოდ, ახსენებს დავით აღმაშენებლის საქმიანობას. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის დაკვირვებით, ვარდანი ქართული წყაროებით სარგებლობდა მხითარ ანელის მეშვეობით<sup>113</sup>.

დიდ სელჩუკი სულთნების შესახებ მოკლე ცნობებს გვაწვდის XIII ს-ის I ნახევრის ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი, რომელიც ძირითადად ამიერკავკასიაში მონღოლთა ბატონობაზე მოგვითხრობს; კირაკოს განძაკელი დაიბადა 1200/1 წელს განჯაში, საიდანაც წარმოსდგა მისი სახელწოდებაც — განძაკელი. იგი სწავლობდა ნორ-გეტის მონასტერში ვარდანთან ერთად, სადაც განათლებას იღებდა სწავლულ ვარდაპეტებთან. ეს მონასტერი მდებარეობდა ყაზახის რაიონში კაენის ძველ მხარეში. მონღოლთა შემოსევების დროს კირაკოს განძაკელი ტყვედ ჩავარდა და მონღოლებმა მას დააეღეს მწერლობისა და თარჯიმანობის საქმე; ტყვეობაში ყოფნის დროს მან კარგად შეისწავლა მონღოლთა შინაგანი ცხოვრება, მათი ტრადიციები, ენა და შემდეგ ყოველივე დაწვრილებით აღწერა თავის „ისტორიაში“. კირაკოსმა მოახერხა მონღოლთა ტყვეობიდან გაქცევა. იგი გარდაიცვალა 1271 წელს და დაფლულ იქნა ნორ-გეტის მონასტერში, იქ, სადაც გაიზარდა და გაატარა სიცოცხლის უმეტესი ნაწილი; მან თავისი „ისტორიის“ წერა დაიწყო 1241 წელს და დაამთავრა მაშინ, როდესაც 65 წლისა იყო.

კირაკოს განძაკელი თავის „ისტორიას“<sup>114</sup> ორ ნაწილად ყოფს: პირველი ნაწილი მონღოლთა წინარე ხანას მოიცავს, სწორედ ამ პერიოდის აღწერისას ეხება იგი ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ საკითხს. მეორე ნაწილში კი მოთხრობილია უშუალოდ მონღოლთა შემოსევების შესახებ ამიერკავკასიის ქვეყნებში.

საყურადღებო ფაქტობრივი მასალა მოეპოვება XI ს-ის მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის XIII ს-ის

---

<sup>111</sup> В ардан Великий, Всеобщая история, (русский перевод с древнеармянского), М., 1861.

<sup>112</sup> Vardan Vekayinamesi, Türkçeye terc. H. D. Andriasyan; Müverrih Vardan: Türk Fütühali Tarihi. İstanbul Edebiyat Fakültesi. Tarih Semineri Dergisi, Sayı 1—2; İstanbul, 1937.

<sup>113</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგის, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 113.

<sup>114</sup> К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, Баку, 1946.

სომეხ ისტორიკოს სტეფანოს ორბელიანს. თავის ნაშრომში იგი საინტერესოდ გადმოგვცემს ორბელიანთა გვარის გენეალოგიას. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ცნობები საქართველოზე, კერძოდ, ლიპარიტის საქმიანობისა და მისი ტრაგიკული დაღუპვის შესახებ<sup>115</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული აგრეთვე სომეხ ისტორიკოსს მხითარ აირივანქელს. იგი თავის ქრონოგრაფიულ ისტორიაში ეხება ბაგრატ IV-ის მიერ თბილისის აღებას, მოგვიტხრობს ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის შესახებ<sup>116</sup>.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ჩასახვა-განვითარების, დაპყრობითი ომების, საქართველოსთან მისი ურთიერთობისა და რიგი საკითხების შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებს, მაგრამ ამ მიმართებით მათი შესწავლა და სხვა აღმოსავლურ წყაროებთან შეჭერება დღემდე არავეს უცდია. სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიისათვის განსაკუთრებით უხვადაა ცნობები დაცული „მატიანე ქართლისაჲში“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში<sup>117</sup>. ქართველი მემკვიდრეები, როცა სელჩუკ სულთნებს, ანდა მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვლენებს ახასიათებენ, ამჟღავნებენ დიდ ერუდიციას და ლაკონურად, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვის გარეშე გადაგვიშლიან ეპოქის ნამდვილ ვითარებას. ქართულ ნარატიულ წყაროებში მოკლედ და გასაგებადაა მოთხრობილი ალფ-არსლანის საქართველოში შემოსევის შესახებ, ასევე საქართველოში „დიდი თურქობის“ პერიოდის მდგომარეობის რეალური სურათია მოცემული. ქართველი ისტორიკოსები შესანიშნავად გადმოგვცემენ, თუ როგორ შეუთავსებელი და მიუღებელი იყო ქართული მზარდი ფეოდალური საზოგადოებისათვის თურქ-სელჩუკთა გაპეზობლება და მათი ჩამოსახლება. მათთვის ნათელი იყო მომთაბარე-მეჭოვე ტომების პრიმიტიული, ექსტენსიური მეურნეობის განსხვავება განვითარების გზაზე შემდგარი ქართული სამამულო მიწისმფლო-

<sup>115</sup> Stephanos Orbelian, Histoire de la Siouni, par M. Brosset. St.-Petersbourg, 1864. ორბელიანთა გენეალოგიის შესახებ ადგილები რუსულად ითარგმნა იხ. «О великом нахаратстве Орбеллианов», Исследования и статьи Н. О. Эшна, М., 1896, стр. 355—393.

<sup>116</sup> Histoire Chronologique par Mkhithar d'Airi-Vank, XIII<sup>e</sup>-s. Traduite de l'Armenien, sur le Manuscrit du Musée asiatique par M. Brosset. Mémoires l'Academie Impériale des Sciences de St.-Petersbourg, VII-e Serie, t. XIII, № 5, 1869. Хронографическая история составленная Отцом Мехитарам, Вардапетом Айриванским, перевод с армянского с предисловием и примечаниями К. Патканова, СПб., 1869.

<sup>117</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955.

ბელობისაგან, კულტურული, ინტენსიური სოფლის მეურნეობისაგან; ისინი კარგად ამჩნევდნენ სელჩუკთა მიზებით საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის შეფერხებას. ქართველი ისტორიკოსები დიდად განათლებული პირები მოჩანან. ისინი ამა თუ იმ მოვლენის განზოგადებისა და გაანალიზების დიდ უნარს ამჟღავნებენ. თუ აღმოსავლური წყაროები ერთ პატარა მოვლენასთან დაკავშირებულ ამბავს ძალიან ვრცლად აღმოგვცემენ, ქართული წყაროს ავტორები იმავე ამბავს მოკლედ და ნათლად წარმოგვიდგენენ. ამავე დროს, ამა თუ იმ მოვლენას ეპოქის შესაფერის კვალიფიკაციას აძლევენ. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს აღწერილი აქვს ლიპარიტ ერისთავის ლაშქრობა დვინზე ბერძენთა ლაშქრის დასახმარებლად და მათი უკან დაბრუნება. შემდეგ აღმოცენდება მომდევნო წელს, ე. ი. დაახლოებით 1048 წლისთვის სელჩუკთა მხედართმთავრის იბრაჰიმ იინალია ლაშქრობა ბასიანის მხარეში, მათ წინააღმდეგ ბიზანტიელთა ლაშქრის გამოსვლა და ლიპარიტის მიხმობა საშველად. ავტორი მოკლედ აღმოგვცემს ლიპარიტის დატყვევებას და შემდეგ მის განთავისუფლებას. იგი ზუსტ ფაქტებს გვაწვდის სელჩუკთა მიერ განძაში შექმნილ რეალურ ვითარებაზე, ბერძენ-ქართველთა მონაწილეობაზე სელჩუკების განძიდან განდევნაში და სხვ.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ეხება ალფ-არსლანის სამხრეთ საქართველოში შემოსევას და ჩამოთვლის მის მიერ დარბეულ ადგილებს. აღმოსავლური წყაროებისაგან განსხვავებით ქართველი მემატიანე რეალურად გვიხატავს ალფ-არსლანის მიერ დაკავებულ რიგ პუნქტებში შექმნილ ვითარებას, ქართველთა ბრძოლას ახალქალაქთან და მათ დამარცხებას, ალფ-არსლანისა და ბაგრატ IV-ის ურთიერთობას. ასევე აღმოცემულია საქართველოში ალფ-არსლანის მეორე შემოსევა რამდენიმე წლის შემდეგ, აღსართან კახთა მეფის ურთიერთობა სელჩუკებთან, მის მიერ ისლამის მიღება და ხარაჯის კისრება. ქართველი ავტორის მიხედვით, საქართველოზე თავდასხმის დროს ალფ-არსლანს მიეშველნენ კახთა მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კვირიცე და თბილისის ამირა. ამ უზარმაზარმა ლაშქარმა მთელი ქართლი დაიპყრა. ავტორს საგანგებოდ აქვს მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორი მდიდარი და სავსე იყო ქართლი დოვლათით ალფ-არსლანის შემოსევამდე და როგორ გაანადგურეს და ააოხრეს ქვეყანა სელჩუკებმა.

სელჩუკთა თარეშის შედეგად „მოისრა ურიცხვ სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა“, სელჩუკთა მარბიელი ლაშქარი არგვეთამდე, სვერის ციხემდე გადასულა. ისინი ამჯერად უფრო დიდხანს დაჩინენ საქართველოში. ქართველი მემატიანე მოკლედ მოგვითხრობს სელჩუკების



საქმიანობაზე. იგი შესანიშნავად ხედავს ალფ-არსლანის საქართველოში მეორე ლაშქრობის შემდეგ შექმნილ ვითარებას და ბაგრატ IV-სა და სულთნის ურთიერთობას. მისი სიტყვით, სულთანი ძღვენის მირთმევეითა და ტკბილი სიტყვით მეფეს ხარაჯას სთხოვდა, მაგრამ ბაგრატ IV ძღვენს უგზავნიდა მას, ხარაჯაზე კი უარს ამბობდა. „იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული“, ასკვნის მემატიანე. ასევე ზუსტად გადმოსცემს იგი ალფ-არსლანის მკვლელობის ამბებს. ალფ-არსლანი და ბაგრატ IV დაახლოებით ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ. ამასთან დაკავშირებით ქართველი ავტორი შენიშნავს, რომ „ვერღარა ცნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანეთისა სიკვდილი“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ფაქტიური მასალის გადმოცემის გარდა შესანიშნავად ერკვევა საქართველოსათვის სელჩუკთა გაქეზობლების უარყოფით შედეგებში. ავტორს ნათლად აქვს წარმოდგენილი სელჩუკთა მიერ ანატოლიის დაპყრობისა და იქ დამკვიდრების შედეგად საქართველოში შექმნილი მძიმე საგარეო პირობები; სელჩუკებმა, ამბობს მემატიანე „იწყეს მიერთგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა“.

„დიდი თურქობის“ შესასწავლად, მისი ნამდვილი ბუნების გაათვალისწინებლად ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს დავითის ისტორიკოსის თხზულება წარმოადგენს. ავტორი შესანიშნავად გადმოსცემს „დიდი თურქობის“ დროს სელჩუკთა თარეშს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მათ მიერ ქვეყნის აოხრებას. წყაროს ცნობით, სელჩუკები ყოველწლიურად მოდიოდნენ საქართველოში; გაზაფხულზე მოსულნი ზამთრამდე საზაფხულო იალაღზე დაჰყოფდნენ, ქვეყანას მოსჰამდნენ და ზამთრისთვის უკან ბრუნდებოდნენ. „რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმრიდნან, და ზამთრის წარვიდიან“.

დავითის ისტორიკოსის თხზულება საუკეთესო წყაროს წარმოადგენს „თურქობის“, როგორც სოციალურ-ეკონომიური მოვლენის დასახასიათებლად და ქართულ ფეოდალურ სინამდვილესთან მის შესადარებლად. დავითის ისტორიკოსი ნათლად წარმოგვიდგენს საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. მისი სიტყვით, თუ აქამდე სელჩუკები მთელი ფალანგებით ჩამოდებოდნენ მტკვრისა და იორის პირას და ავჭალასა და დიღომს მათი საზამთრო სადგომები იყო, დავით აღმაშენებლის მიერ ქვეყნის მოშენებისა და ლაშქრის გამრავლების შედეგად „თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“.

საქართველოში სელჩუკთა შემოსევებისა და მათი ბატონობის საკითხების გასარკვევად საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ

დოკუმენტურ წყაროებში, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ „დიდი თურქობის“ პერიოდის საქართველოს შესახებ<sup>118</sup>, საყურადღებოა აგრეთვე თრეხვის გამოქვაბულში ნაპოვნი ქვაჯვარის წარწერა<sup>119</sup>, რომელიც სელჩუკთა შემოსევის დროს მოსახლეობის თავშესაფარი ადგილების მშენებლობასა და სხვა თავდაცვით საქმიანობაზე მიგვითითებს.

ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები უპირატესად მაინც საქართველოს სინამდვილის წარმოსაჩენად იძლევიან უფრო მეტ ცნობებს, ვიდრე სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის რიგი საკითხების კვლევა-ძიების საქმეში საინტერესო პირველწყაროებს წარმოადგენენ მეჩეთებზე, საქველმოქმედო დაწესებულებებზე, რაბათებზე, ციხის კედლებზე, ნაგებობებსა და სხვა ადგილებზე არსებული წარწერები; ამ წარწერების ანალიზისა და სხვა ნარატიულ წყაროებთან შეჯერებისას ბევრი საინტერესო საკითხის დაზუსტება შეიძლება. ჩვენ გავეცანით ასეთი ხასიათის გამოქვეყნებულ წარწერებს და არქეოლოგიურ მონაპოვრებს<sup>120</sup>. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის დიდ სელჩუკი სულთნების სახელზე სხვადასხვა დროს მოჭრილ ოქროს, ვერცხლისა და სხვ. მონეტებს, რომელთა ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 30-მდე კოლექცია გამოქვეყნებულია<sup>121</sup>.

<sup>118</sup> კრონიები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, თბ., 1893, გვ. 206, 213, 229—230, 232. Ф. Ж о р д а н и я, К материалам по истории Грузии XI—XII вв. Москва, 1895. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 5—12; Э. Т а к а й ш в и л и, Сигель Грузинского царя Баграта IV (1027—1072), «Записки Восточного отделения императорского русского археологического общества», СПб., 1896, стр. 59—68.

<sup>119</sup> გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, „საქ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების შობაბუ“, 1961, № 1, გვ. 239—262.

<sup>120</sup> E. t. Comblie, I. Sauvaget et G. Wiet, Repertoire Chronologique d'epigraphie arabe. tome, VII, le Caire, 1936; I. Sauvaget, Inscriptions arabes (A. Gabriel: Voyages archeologiques dans la Turquie Orientale, Paris, 1940).

<sup>121</sup> B. Dorn, Inventaire des Monnaies de Khalifes orientaux et de plusieurs autres dynasties (2. fascicule). St.-Petersbourg, 1881. Markoff: Inventaire St.-Petersbourg, 1896. P. Casanova, Inventaire Sommaire de la Collection des Monnaies Musulmanes de S. A. la Princesse Ismail, Paris, 1896; E. von Zambaur: Contribution à la numismatique orientale. Vienne, 1905; I. Ostrup, Catalogue des Monnaies arabes et turques du cabinet Royal des médailles du Musée national de Copenhague. Copenhague, 1938.

ჩვენ ძიძოვიხილეთ ის ძირითადი წყაროები, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XI ს-ში. წყაროების ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ-დაუმუშავებელია და მასზე ხელი არ მიგვიწვდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში მეტად ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს პირველწყაროების პუბლიკაციის საქმეში, ბევრი საინტერესო თხზულება ჯერ კიდევ გამოუმუშავებული არ არის, მაგრამ ის აღმოსავლური დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, ვფიქრობთ მაინც შესაძლებლობას იძლევიან XI ს-ის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად საერთოდ, და საქართველოსა და სელჩუკთა სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიის წარმოსაჩენად კერძოდ.

2. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. სელჩუკების შემოსევებისა და მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში მათი ბატონობის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე შეიქმნა საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს მეურნეობის ხასიათსა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის მათ მნიშვნელობაზე დღემდე ქართულად მონოგრაფიული ნაშრომი არ დაწერილა, მაგრამ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული.

ჯერ კიდევ XVIII ს-ის სახელოვანმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელიც ძირითადად ქართულ წყაროებს ეყრდნობოდა, მოგვითხრო XI ს-ში საქართველოში სელჩუკთა მრავალჯისი შემოსევების შესახებ<sup>122</sup>. მან საქართველოს ისტორიის სხვა საკითხების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სელჩუკებისა და საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას. ვახუშტი ძირითადად „მატიანე ქართლისაჲს“ და დავითის ისტორიკოსის თხზულებას ემყარებოდა. როგორც ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელს მას სოციალურ-ეკონომიური ისტორია არ აინტერესებდა. იგი მხოლოდ პოლიტიკური ისტორიით დაკმაყოფილდა.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ სელჩუკების საქართველოსთან ურთიერთობის საკითხები მნიშვნელოვნად გამოიკვლია აკადემიკოსმა მარი ბროსემ<sup>123</sup>, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტო-

<sup>122</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885, გვ. 157—172.

<sup>123</sup> M. B r o s s e t, Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie, St.-Petersbourg, 1851.

რის კვლევა-ძიების საქმეს. მან პირველმა შეკრიბა და გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური წყაროები.

საყურადღებო დაკვირვებები აქვს ჩატარებული თ. ჟორდანიას, რომელმაც არა ერთი ქართული დოკუმენტური წყარო გამოავლინა სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. ამ წყაროების მეცნიერული კომენტარების დროს თ. ჟორდანიას საინტერესო კვლევა-ძიებას ატარებდა საქართველოში სელჩუკთა შემოსევების თარიღების დადგენისა და სხვა საკითხების წარმოჩენაში<sup>124</sup>.

ისევე როგორც საქართველოს ისტორიის რიგ პრობლემებზე, XI ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის მრავალ საკითხზეც თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვა ივ. ჭავჭავიძემ. მან ჯერ კიდევ 1914 წელს გამოცემულ „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში რამდენიმე თავი დაუთმო საქართველოს XI ს-ის საშინაო და საგარეო ვითარების შესწავლას. ქართული, სომხური და ბიზანტიური წყაროების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ივ. ჭავჭავიძელს შესწავლილი აქვს საქართველოს საგარეო ვითარება და გამოთქმული აქვს არა ერთი საყურადღებო მოსაზრება. მართალია, ივ. ჭავჭავიძელს საგანგებო ნაშრომი არ დაუწერია სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ, მაგრამ საქართველოს ისტორიის სხვა საკითხების კვლევისას საკმარის საფუძველიანად აქვს შესწავლილი საქართველოს მდგომარეობა სელჩუკთა შემოსევებისა და ე. წ. „დიდი თურქობის“ დროს, ბაგრატ IV-ისა და ალფ-არსლანის, გიორგი II-სა და მელიქ-შაჰის ურთიერთობა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა და სხვ.

თურქ-სელჩუკთა მომთაბარე-მეჭოვე ტომების შემოსევათა ხასიათისა და მათი ყოფის ზოგადი დახასიათება მოცემული აქვს ნ. ბერძენიშვილს<sup>125</sup>. იგი სელჩუკების შემოსევათა ხასიათს განასხვავებს ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. ნ. ბერძენიშვილს საგანგებოდ აქვს ნაჩვენები თუ როგორ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან თურქ-სელჩუკთა მომთაბარულ-მეჭოვეური მეურნეობა და ქართული ფეოდალური მეურნეობა, როგორ ფერხდებოდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროს ქართული ფეოდალური ინტენსიური მეურნეობა და როგორი საფრთხის წინაშე დგებოდა იგი.

ნ. ბერძენიშვილს ხაზგასმული აქვს თუ რა დიდი ზიანის ფასად შეინარჩუნა საქართველომ სახელმწიფოებრიობა, თურქ-სელჩუკებთან

<sup>124</sup> Ф. Ж о р д а н и я. К материалам по истории Грузии XI—XII вв., Москва, 1895, стр. 7—10.

<sup>125</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, თბ., 1954, № 6, გვ. 123—124.

საპყვდრო-სასიციოცხოლო ბრძოლაში, როგორ შესძლო საკუთარ ძალთა სრული მობილზაცია და კავკასიის განმათვისუფლებლის როლში წარმატებით გამოსვლა.

XI—XII სს-თა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხს საყურადღებო გამოკვლევები უძღვნა პროფ. ს. კაკაბაძემ. ის თავის ერთერთ ნაშრომში<sup>126</sup> აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის დროს შემოღებულ იქნა „საკარგავების“ სისტემა, რომელიც თითქოს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოდან იქნა გადმოღებული; ეს მოსაზრება ს. კაკაბაძემ გაიჟეორა ახლახან გამოსულ ნაშრომშიც<sup>127</sup>, სადაც ასკვნის, რომ „დავითის დროს გატარებული ყოფილა საკარგავების რეფორმა — რენტის მაგივრად მოსაკარგავებზე მამულების გაცემით“. ავტორის აზრით, ეს რეფორმა 1100—1105 წლისათვის უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო<sup>128</sup>.

მოსაზრება საკარგავების სისტემის თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსაგან გადმოღების შესახებ საქართველოში დააჭერებელი არ არის. მართალია, საკარგავების სისტემა იკტას ინსტიტუტის სახით ნიზამ აღმულქმა შემოიღო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში, მაგრამ იგი მანამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა მახლობელ აღმოსავლეთში. თავისი არაენობის მანძილზე იკტას ინსტიტუტი მთელ რიგ ცვლილებებს განიცდიდა. ნიზამ აღმულქმა პირველმა დააწესა ეს ინსტიტუტი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში, მაგრამ მანვე გამოუცხადა პირველად სასტიკი ბრძოლა მას და მოითხოვა მისი გაუქმება ახალი შინაარსით შევსების გამო. იკტას ინსტიტუტის ეკოლუციამ დააჩქარა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის პროცესი.

ვ. დონდუას შესწავლილი აქვს XI—XII სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორია, სადაც ჩვენთვის საყურადღებო მომენტებია გაშუქებული<sup>129</sup>. მასვე ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა XI ს-ში საქართველოს, სომხეთისა და ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიის შესახებ<sup>130</sup>.

<sup>126</sup> С. Н. К а к а б а д з е, Краткий обзор истории Грузии, 1941, Сухуми, стр. 23.

<sup>127</sup> ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, თბ., გვ. 200.

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> В. Д. Д о н д у а, Грузия в IX — первой четверти XIII в., Очерки истории СССР IX—XIII вв. в двух частях. ч. I, М., 1953, стр. 538—589.

<sup>130</sup> В. Д. Д о н д у а, К истории Грузино-Византийских политических взаимоотношений (XI в). ვარლამ დონდუა, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 32—47.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ „მატიანე ქართლისაჲს“ რუსულ ენაზე თარგმნილ და მეცნიერული კომენტარებით გამოქვეყნებულ ნაწილს<sup>131</sup>.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს პროფ. ვ. გაბაშვილის რედაქციით გამოსული კრებული<sup>132</sup>, სადაც X—XII სს. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგად საკითხებთან ერთად მოკლედ შესწავლილია დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, მათი შემოსევები და ბატონობა, საქალაქო ცხოვრება და სხვ.

იქტას ინსტიტუტსა და სოციალური მოძრაობის საკითხებს ეხება პროფ. ვალერიან გაბაშვილის ნაშრომი, სადაც საგანგებოდაა განხილული IX—XIII საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები<sup>133</sup>.

XI—XII სს-თა საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარებას, სელჩუკებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხება და საყურადღებო მოსაზრებებს გამოსთქვამს პროფ. შოთა მესხია თავის ნაშრომებში<sup>134</sup>.

აღმოსავლური წყაროების ქართულ წყაროებთან შეჭერების საფუძველზე სელჩუკებთან საქართველოს დამოკიდებულების შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული რევაზ კიკნაძეს<sup>135</sup>. მან პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში მუენეჯიმ-ბაშის, საღრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალი ბენ ნაშირ ბენ ალი ალ-ჰუსეინის თხზულებებსა და სხვა აღმოსავლურ წყაროებში საქართველოს შესახებ დაცული ცნობები შეუჭერა ქართულ ნარატიულ წყაროებს და მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა.

---

<sup>131</sup> В. Д. Д о и д у а, Грузия в XI в. (по «Матнанэ Картლის»), Хрестоматия по истории СССР, М., 1960, стр. 342—354.

<sup>132</sup> ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 118—158.

<sup>133</sup> ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1966.

<sup>134</sup> Ш. А. М е с х и а, Города и Городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв. Тбилиси, 1959; მ ი ს ი ვ ე, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962. მ ი ს ი ვ ე; დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, შოთა რუსთაველის ეპოქა (საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XII საუკუნეში). თსუ-ს კრებული, თბ., 1966.

<sup>135</sup> რ. კ ი კ ნ ა ძ ე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით). ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V, ნაკვ. I, თბ., 1960. მ ი ს ი ვ ე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ, „ციცქარი“, 1958, № 10.

XI—XII სს-ის საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება პროფ. შარიამ ლორთქიფანიძე<sup>136</sup>. იგი საგანგებოდ ჩერდება რუსთაველის ხანის საქართველოს საშინაო და საგარეო პირობებზე. მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს XI საუკუნის საქართველოს საგარეო მდგომარეობას.

საქართველოს XI ს-ის ისტორიის საკითხებს განიხილავს აგრეთვე როინ მეტრეველი<sup>137</sup>. მას საგანგებოდ აქვს განხილული დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები, მისი პირველი ღონისძიებები სამეფო ხელისუფლების განსამტკიცებლად, სამხედრო რეფორმა და სხვ.

ქართული ნარატიული წყაროების საფუძველზე მცირე მოცულობის სტატია გამოაქვეყნა ი. სიხარულიძემ, რომელიც ეხება სელჩუკთა შემოსევებს აჭარაში XI—XII სს-ში<sup>138</sup>. მასში ავტორი ძალიან მოკლედ გადმოსცემს ქართლის ცხოვრებაში მოცემულ ცნობებს სელჩუკების აჭარაში შემოსევების შესახებ. რა თქმა უნდა, იგი ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენს ინტერესს საქართველოში სელჩუკთა საქმიანობის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XI ს-ის საქართველოს ისტორია მეტწილად შესწავლილია და არსებობს ჩარკვეული ლიტერატურა, მაგრამ მისი დამოკიდებულების ფორმები გარეპოლიტიკურ სამყაროსთან, კერძოდ, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსთან, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია, როგორც აღნიშნული გვქონდა, დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია. არც რუსულ ისტორიოგრაფიაში მოგვეპოვება ისეთი ნაშრომი, სადაც საგანგებოდ იყოს შესწავლილი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია და მისი ურთიერთობა ამიერკავკასიის ქვეყნებთან. არსებობს მხოლოდ ცალკეული წერილები, რომლებიც გარკვეულ შუქს ფენენ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს. სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების საკითხებს მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნეს ვ. ბარ-

<sup>136</sup> შ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966.

<sup>137</sup> რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965.

<sup>138</sup> ი. სიხარულიძე, სელჩუკთა შემოსევები აჭარაში, „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1958, № 3, გვ. 84—87.

ტოლდმა<sup>39</sup>, ა. იაკუბოვსკიმ<sup>40</sup>, ბ. ზახოდერმა<sup>41</sup>, ბ. გაფუროვმა<sup>42</sup> და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. პეტრუშევსკისა<sup>43</sup> და ა. ნოვიჩევისა<sup>44</sup> მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის რიგ საკითხებზე.

ვ. გორდლევსკიმ განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას და მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა მიუძღვნა მას<sup>45</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი დღესდღეობით ერთადერთია, რომელიც ეხება მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას, მისი დაარსებიდან გადაშენებამდე, მას მაინც არა აქვს პრეტენზია მთელი სისრულით შეისწავლოს ანატოლიის სელჩუკების ისტორიის ძირითადი საკითხები, რომ არაფერი ეთქვათ დიდ სელჩუკთა ისტორიაზე. ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდა თურქოლოგია, გამოვლინდა მრავალი ახალი აღმოსავლური პირველწყაროები, გამოქვეყნდა მეცნიერული გამოკვლევები, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, რომელთა გათვალისწინებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის შესაწავლად, და კერძოდ XI—XII სს. საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების გადასაწყვეტად. XI—XII სს-თა მანძილზე ამიერკავკასიის ხალხებს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა სელჩუკებთან, მაგრამ დღემდე მათი ურთიერთობის ისტორია საგანგებო კვლევის საგანი არ გამზდარა. იმ დროს, როდესაც აღმოსავლურ, უპირატესად არაბულ-სპარსულ და აგრეთვე სირიულ, სომხურ და ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში საინტერესო ცნობებია დაცული როგორც სელჩუკთა სახელმწი-

<sup>39</sup> В. В. Бартольд. Очерк истории туркменского народа, Сочинения, т. II, часть I, М., 1963.

<sup>40</sup> А. Ю. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI веке, «Известия» АН СССР, Отделение общественных наук, 1937, № 4, М.-Л., стр. 921—946; А. Ю. Якубовский, Махмуд-Газневы, К вопросу о происхождении и характере газневидского государства, сб. «Фердовси», Л., 1934.

<sup>41</sup> Б. Н. Заходер, Хорасан и образование государства сельджуков. «Вопросы Истории», 1945, № 5—6; Б. Н. Заходер, Денданекан, «Исторический журнал», 1943, № 3—4.

<sup>42</sup> Б. Г. Гафуров, История таджикского народа, I, М., 1952.

<sup>43</sup> Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1953.

<sup>44</sup> А. Д. Новичев, История Турции, Л., 1963.

<sup>45</sup> В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, Избранные сочинения, I, М., 1960.



ფოს ისტორიის, ისევე ამიერკავკასიის ქვეყნებთან მათი ურთიერთობის ისტორიის შესახებაც.

ბოლო ხანებში სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიისა და განსაკუთრებით XI—XII სს-ში მისი აზერბაიჯანთან ურთიერთობის საკითხებისადმი ყურადღება გაამახვილეს ა. ა. ალი-ზადემ<sup>146</sup>, მ. შერიფ-ლიპმა<sup>147</sup>, რ. ჰუსეინოვმა<sup>148</sup>.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიის მიღწევები სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის კვლევის დარგში. გამოქვეყნდა მონოგრაფიები, წერილები სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ცალკეულ საკითხზე. საყურადღებო ნაშრომები გამოაქვეყნეს თურქმა მეცნიერებმა მეჰმედ ალთაი ქოიუნმა<sup>149</sup>, იბრაჰიმ ქაფეაოღლუმ<sup>150</sup>, მუკრიმინ ჰალილ ინანმა<sup>151</sup> და სხვ. მათ შრომებში უხვად არის გამოყენებული აღმოსავლური პირველწყაროები და განსაკუთრებით ის საარქივო მასალა, რომელზედაც, სამწუხაროდ, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ჭეშოვან ყურადღებას არ აქცევენ სოციალურ საკითხებს, არ სწავლობენ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, საგადასახადო სისტემას, მწარმოებელი საზოგადოების ისტორიას; ისინი ძირითადად სელჩუკთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიას იხილავენ და საგანგებოდ სწავლობენ დიდ სელჩუკი სულთნების მიერ ჩატარებულ ლაშქრობებს. ისინი სელჩუკთა დაპყრობით ომებს გამართლებულად, ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ. ყურადღებას არ ამახვილებენ მათი დაპყრობითი ომების ნამდვილ მიზეზებზე და ისლამის რელიგიის თვალთახედვით სავსებით კანონზომიერად

<sup>146</sup> А. А. Али-Задё, К некоторым вопросам, относящимся к истории владчества Сельджуков на Среднем Востоке и в Закавказье, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.

<sup>147</sup> М. Х. Шерифли, Азербайчан IX—XII эсрлэрдэ, Труды института истории АН Азерб. ССР, т. XII, Баку, 1957.

<sup>148</sup> Р. А. Гусейнов, Последствия битвы у Манцикерта (1071 года) для Закавказья, Тезисы докладов, седьмая всеобщая конференция византистов в Тбилиси, 13—18 декабря 1965 г., Тбилиси, 1965. Р. А. Гусейнов, К истории тюрок XI—XII вв. (по материалам сирийской хроники XII в.), „Труды института истории“, XII, Баку, 1957.

Р. А. Гусейнов, Ненследованный источник по истории Сельджуков XI—XII вв., Л., 1954 (ხელნაწერი).

<sup>149</sup> М. А. Кюмён, Selçuklu Devri Türk Tarihi, Ankara, 1963.

<sup>150</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu, İstanbul, 1953.

<sup>151</sup> М. Н. ЯINANÇ, Türkiye tarihi, Selçuklular devri, I, Anadolunun fethi, İstanbul, 1944.

თელიან სელჩუკთა მიერ უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნას. თურქი მეცნიერები ტენდენციურად განიხილავენ დიდ სელჩუკთა იმპერიის ბატონობის ქვეშ მოქცეული ქრისტიანული ქვეყნების ისტორიას.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ სელჩუკთა იმპერიის შესახებ დაწერილ ზოგიერთ გამოკვლევას ბოლოში დართული აქვს რუკა, სადაც აღნიშნულია ყველა ის სახელმწიფო, რომელიც დიდ სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა სულთან მელიქ-შაჰის სულთნობის პერიოდში. ამ რუკების მიხედვით XI ს-ში დიდ სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში საქართველო მოქცეულია მთლიანად, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საისტორიო წყაროების ანალიზი სრულებით არ იძლევა იმის საშუალებას, რომ XI ს-ის II ნახევარში საქართველო სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში ვივარაუდოთ. ამ პერიოდისათვის საქართველო გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმით იყო დაკავშირებული დიდ სელჩუკ სულთანთან. საქართველო მხოლოდ ხარაჯის გადახდით კმაყოფილდებოდა და სრულ დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებდა. საქართველომ სელჩუკთა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან ბრძოლაში, მეზობელი სომხეთისა და ალბანეთისაგან განსხვავებით, დიდი ზიანის მიუხედავად მაინც მოახერხა შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. საქართველო ხარაჯადაც არ უხდიდა დიდხანს სელჩუკებს. გიორგი II-ის მიერ 80-იან წლებში მიცემული ხარაჯა დავით აღმაშენებელმა შეუწყვიტა 1097 წელს და იგი მეთოდურად, თანდათანობით ერეკებოდა საქართველოში ჩამოსახლებულ თურქულ ტომებს. ასე, რომ საქართველო არასდროს არ ყოფილა სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში მოხარკეობის პრინციპით იყო დაკავშირებული დიდ სელჩუკთა ხელისუფლებასთან.

თანამედროვე თურქ ისტორიკოსებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ზოგიერთი ქრისტიანული ქვეყნის შესახებ არსებულ პირველწყაროებზე, რომლებიც კონკრეტულად იძლევიან საყურადღებო ცნობებს სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ამა თუ იმ ქრისტიანი ხალხის ისტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებში რიგი საკითხებისა ცალმხრივად არის განხილული, მათ შრომებს გარკვეული კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც იქ ბევრი ახალი საინტერესო საარქივო მასალა და ნარატიული წყაროა განხილული და წარმოდგენილი.

## თავი II

### სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა

სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული შუა აზიის ხალხთა ცხოვრებასთან. სელჩუკთა სახელმწიფოს თავდაპირველ ტერიტორიად შუა აზიას მიიჩნევენ. სელჩუკთა დინასტიის წინაპრები ოღუზთა ტომებს ეკუთვნოდნენ, რომლებიც X ს-ის II ნახევარში მცირე ტომთა გაერთიანებებს შეადგენდნენ. XV საუკუნის ოსმალ ოსტორიკოსი მეჰმედ ნეშრი შენიშნავდა, რომ სელჩუკები „კინიკ ბინ დინგიზ ჰან იბნ-ი ოღუზის ტომისანი არიანო“<sup>1</sup>.

ოღუზები მომთაბარე მეჯოგე ტომები იყვნენ. ისინი X ს-ის II ნახევარში არალის ტბასა და ურალს შორის მდებარე ველებში მომთაბარეობდნენ<sup>2</sup>. თურქი ისტორიკოსი მ. ა. ქოიმენი არკვევს ოღუზთა ტომის გენეალოგიას და აღნიშნავს, რომ ოღუზები 24 შტოდ აყოფოდნენ. სელჩუკები ოღუზთა ერთ-ერთ შტოს — კინიკის ეკუთვნოდნენ<sup>3</sup>. „მალიქ-ნამეს“ ავტორიც სელჩუკებს კინიკის ოღუზთა ტომს აკუთვნებს<sup>4</sup>. ამ ცნობას იმეორებენ მოგვიანო ხანის ავტორებიც. მაჰმუდ ქაშლარელსაც, კინიკელები ოღუზთა წარჩინებულ ტომად მიაჩნია.

ოღუზთა ტომის საქმიანობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ ოღუზთა ტომის სათავეში იაბლუს<sup>5</sup> ტიტუ-

<sup>1</sup> M e h m e d N e ş r i, Kitâb-ı Cihan-Nüma, Neşri Tarihi, I cilt, Ankara, 1949, გვ. 23.

<sup>2</sup> I. K a l e s o ğ l u, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 1. M. A. K ö y m e n, Selçuklu İmparatorluğunun Kuruluşu, Ankara Üniversitesi Dil ve Tarih Coğrafya Fakültesi Dergisi. cilt XV, Sayı 1—3, Ankara, 1957, გვ. 97.

<sup>3</sup> M. A. K ö y m e n, Selçuklu Devri Türk tarihi, Ankara, 1963, გვ. 13.

<sup>4</sup> C l a u d e C a h e n, Le Malik-Nameh et l'histoire des origines Seljukides, Oriens, Leiden, 1940, გვ. 40.

<sup>5</sup> იაბლუს მნიშვნელობის შესახებ იხ. Ahmed Ateş Yabgulular Meselesi. Belleten. cilt XXIX, Sayı 115, Ankara, 1965, გვ. 517—525.

ლის მატარებელი პირი იდგა. აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ ოღუზებისათვის ცხვარი აღებ-მიცემობის მთავარი საგანი იყო და ყველაზე გაცხოველებული ვაჭრობა ხორეზმის სასაზღვრო პუნქტებში ამ საქონლით მიმდინარეობდა<sup>6</sup>. ↓

ოღუზთა ცალკეული მეთაურები ცდილობენ დამოუკიდებლად აწარმოონ საქმიანობა. ოღუზთა ტომის შიგნით ხდება ქონებრივი უთანასწორობის საფუძველზე ურთიერთმტრობა და პირველობისათვის ბრძოლა. მართალია, იაბლუს, როგორც ტომის მეთაურს, შეეძლო გაეგზავნა ზოგიერთ ადგილზე თავისი მოადგილეები, ან, როგორც იბნ-ფადლანი აღნიშნავს, კუდერკინები, მაგრამ იგი მაინც არ იყო თავისი ხალხის ნამდვილი ერთპიროვნული მმართველი; მისთვის უცხო იყო პოლიტიკური ერთიანობისაკენ სწრაფვა. ტომის შიგნით ყოველ დაჯგუფებას თავისი მეთაური ჰყავდა.

წითურქი მეცნიერი მ. ქოიმენი ოღუზთა ტომის მეთაურთა განმგებლობას დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ „კოლექტიური პასუხისმგებლობის სისტემას“ უწოდებს<sup>7</sup>, მაგრამ ასეთი თანასწორუფლებიანი განმგებლობა ოღუზთა ტომის მეთაურთა შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს ნათლად ჩანს იაბლუსა და სელჩუკის წინაპრების ურთიერთობიდანაც, რომელთაც ერთმანეთთან ახლო კავშირი და სიახლოვე ჰქონდათ. ოღუზთა ტომში სელჩუკის წინაპრების გაძლიერებასთან ერთად თანდათანობით დასუსტდნენ ოღუზთა სხვა მეთაურები<sup>8</sup>. ოღუზთა ტომში სელჩუკის მამა — დუჟაკი ერთი ყველაზე უფრო ხალხმრავალი მეთაურთაგანი იყო და იაბლუს ლაშქარში შედიოდა. დუჟაკი უფრო ხშირად ეჩრდოდა იაბლუსთან ერთად დიდმნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტაში და დიდი გავლენით სარგებლობდა მთელ ტომში.

---

<sup>6</sup> В. В. Бартольд, Очерк истории Туркменского народа, Сочинения, т. II, часть I, М., 1963, стр. 564.

<sup>7</sup> М. А. К ö y m e n, Selçuklu Devri Türk Tarihi, Ankara, 1963, გვ. 23.

<sup>8</sup> ოღუზთა ტომის გეოგრაფიული განლაგების, მათი სახელმწიფოს წარმოშობისა და დაცემის შესახებ საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული ომელიან პრიტსაკს, იხ. O. P r i t s a k, Der Untergang des reiches des oğuzischen Yabğū. 60. doğum yili münasebetiyle Fuad Köprülü armağanı. İstanbul, 1953, გვ. 397—410. ოღუზთა ეთნოგენეზისის საკითხების შესახებ იხ. M. F. K ö p r ü l ü z a d e, Oğuz Etnolojisiine dair tarihi notlar, Türkiyat Mecmuası, I, İstanbul, 1925; Louis B a z i n, Notes sur les Mots «Oğuz» et «Turk», Oriens, vol. 6, № 2, 1953, Leiden, გვ. 315—322. Г. И. К а р п о в, Туркмены-огузы (Материалы к этногенезу туркменского народа), Известия Туркменского филиала АН СССР, 1945, № 1, стр. 3—9.

დუკაჲს იაბლუსთან ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს „მალიქ-ნამეს“ ავტორს. ეს ცნობები თავის თხზულებაში უცვლელად აქვს შეტანილი მიზნოდ. შემდეგში „მალიქ-ნამეს“ ცნობებით სარგებლობდა ყველა ავტორი, ვინც კი სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის დასაწყის პერიოდს განიხილავდა.

„მალიქ-ნამეს“ მიხედვით დუკაჲი შორსმკვლევარი იყო სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში და ქვეყნის მართვა-განმგებლობაზე სწორი შეხედულება ჰქონდა. მის მამაცობასა და კეთილშობილებაზე ყველგან ლაპარაკობდნენ. იაბლუ სიტუმატურად იწვევდა მას სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად<sup>9</sup>. უფრო მოგვიანო წყაროს ავტორი საღრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალი იბნ ნაშირ იბნ ალი ალ-ჰუსეინი სელჩუკის მამის შესახებ აღნიშნავს, რომ „იაკაჲ იყო მამაცი, გულადი, გონიერი და გონებაშავილი კაცი. თურქთა მელიქმა ხელისუფლება იაკაკს გადასცა. ის განათებული იყო თავისი აზრისა და გონების ჩირალდნით“<sup>10</sup>. ამასვე იმეორებს XVII ს. ოსმალთა ისტორიკოსი მუნეჯიმ-ბაში: იგი აღნიშნავს, რომ სელჩუკის „წინაპარი დიდებული იაკაკია, რაც რკინის ისარს ნიშნავს. იგი თურქისტანის მხარეში ხალხის წინამძღოლი, წინდახედული, საქმიანი კაცი იყო. თათართა ტომის უმეტესობა მას ემორჩილებოდა“<sup>11</sup>.

ზევით მოტანილი ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ სელჩუკის წინაპარს ოღუზთა შორის დიდი ავტორიტეტი და გავლენა მოუბოვებია. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთელ ტომში და უფრო და უფრო ხშირად ერეოდა სახელმწიფოს საქმეებში, მონაწილეობდა ლაშქრობებში. სირიელი ავტორი ბარ ჰებრაჲი „მალიქ-ნამეს“ დამოწმებით აღნიშნავს, რომ „ხაზართა ხაყანის ლაშქრობის დროს მას ტურტაქის სახელწოდების ერთი მებრძოლი ახლდა. ამ კაცს თავისი სიძლიერის გამო თემურ იალიგ, ანდა დემირი-აი-ს სახელი ებოძა“<sup>12</sup>. წყაროების მონაცემებიდან ჩანს, რომ სელჩუკის წინაპრები თავიანთ ტომებთან ერთად. უფრო ძლიერ მომთაბარე თურქული ტომების ბელადთა სამსახურში იპყობებოდნენ და თანდათანობით ძლიერდებოდნენ, ხალხში მეტ ავტორიტეტსა და გავლენას იხვეჭდნენ და სხვა ბელადებს უპირისპირდებოდნენ. წყაროებში მოთხრობილია ერთი ინციდენტი, რო-

<sup>9</sup> МИТТ, I, стр. 450.

<sup>10</sup> ახბარ... გვ. 1, შტრ. Anadolu Selçukluları devleti tarihi, III, 1952, Ankara, გვ. 2. იბნ ალ-ასირი, დამოწმებულია ბონდარის შრომის მიხედვით, გვ. LIII.

<sup>11</sup> გვ. 521; منجم باش، صحائف الاخبار، جلد ۲، استانبول، ۱۲۸۵

<sup>12</sup> Gregory Abūl Farac (Bar Hebraeus), Abūl Farac Tarihi, cilt I, Türkçeye çeviren Omer Riza Doğrul, Ankara, 1945, გვ. 292.

მელიც ნათლად მოწმობს თუ როგორ გაიზარდა სელჩუკის მამის პრესტიჟი ოღუზთა ბელადის წინაშე.

მირხონდი, რომელსაც სიტყვასიტყვით მოაქვს ადგილები „მალიქ-ნამედან“ აღნიშნავს, რომ, ერთხელ, იაბლუმ გადაწყვიტა ვაელაშქრა ერთ-ერთი უდანაშაულო თურქული ტომის წინააღმდეგ. ეს რომ დუკაკმა გაიგო, დაეწია გზაში და უხეში სიტყვებით წასვლა დაუშალა. იაბლუმ მას ისე გადაუჭირა მათარახი, რომ სისხლი აღინა. მაშინ დუკაკმაც შეუბრუნა ხელი და ფადიშაჰი ცხენიდან ჩამოაგდო. როდესაც წარჩინებულთა შეკრებაზე დუკაკი ამ დანაშაულის გამო გაასამართლეს, იძულებული გახდნენ გაემართლებინათ მისი საქციელი და იაბლუმთან შეერიგებინათ. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო განაღიდა დუკაკი<sup>13</sup>. დუკაკი ამ წყაროში დახასიათებულია, როგორც გაძლიერებული ფეოდალი, რომელიც ისლამის მომხრეა და მხარს უჭერს შუა აზიის სხვა ფეოდალთა დაჯგუფებებს. დუკაკის მდგომარეობა ოღუზთა ტომებში დღითიდღე უმჯობესდებოდა და მტკიცდებოდა. ბუნებრივია, რომ გაძლიერებულ დუკაკსა და იაბლუმ შორის პირველობისათვის იქნებოდა უთანხმოება.

ზემომოყვანილი ფაქტი აშკარად მოწმობს, თუ რაოდენ ძლიერი იყო დუკაკი და ოღუზთა შორის რამდენად შორს წასული მოკლენა იყო ქონებრივი და უფლებრივი უთანასწორობა .

წყაროებში სელჩუკის მამის — დუკაკის შესახებ მცირე ცნობებია შემონახული. ანონიმი ავტორის თხზულებაში აღწერილია დუკაკის ქორწინება და მათი პირველი შვილის — სელჩუკის დაბადება. დუკაკი მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მისი შვილი სელჩუკი 17—18 წლისა იყო.

სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის სათავე სწორედ ამ ტომის პირველი დაწინაურებული ბელადის, სელჩუკის მამის — დუკაკის დროიდან იწყება, რომელიც X ს-ში ოღუზთა ტომის ბელადის სამსახურში იმყოფებოდა. ყველა ავტორი, ვინც კი შეხებია სელჩუკთა სახელმწიფოს. წარმოშობის საკითხს აღიარებს, რომ ეს ტომი X ს-ის ბო-

---

<sup>13</sup> М И Т Т, I, გვ. 450; შდრ. ა ხ ბ ა რ, გვ. 1, აღ-ქუსეინი დასძენს, რომ „ასეთი ინციდენტის შემდეგ იაბლუმ ამირ იაკაის სიყვილამდე ვერაგობა გულში შეინახა“ (იქვე, გვ. 1). სელჩუკის მამის სახელი — დუკაკი სხვადასხვა წყაროებში სხვადასხვანაირად გვხვდება. იგი წყაროებში აღნიშნულია ტუკაკის (ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 292), დუკაკის („მალიქ-ნამე“ მირხონდის მიხედვით, М И Т Т—I, გვ. 450), იაკაის (ა ხ ბ ა რ, გვ. 1) და იაკის ან ტაკის (იბნ ა ლ - ა ს ი რ ი, ხონ-დემირი), ანდა—ლოქმანის სახით (რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 86). ასევე სელჩუკის მამად ლოქმანს ასახელებს ანონიმი ავტორი (Anadolu Selçukluları..., გვ. 24).

ლომდე თურქმენულ ტომებში ცხოვრობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ოღუზებთან.

ღუჯაკია გარდაცვალების შემდეგ იაბლუმ მის შვილს სელჩუკს სუბაში (მხედართმთავრის) ტიტული უბოძა და რაზმის მეთაურად დანიშნა. წყაროს ცნობით, „როდესაც იაკაკის შვილმა ამირ სელჩუკმა სრულწლოვანებას მიაღწია, იაბლუმ მას ამირობა, მხედართმთავრობა და სუბაშის ტიტული მიანიჭა“. სელჩუკისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ იაბლუმ მას პატივისცემით ეპყრობოდა. ბარ ჰებრაი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მცირეწლოვანი სელჩუკი იაბლუმ სასახლეში გადაიყვანა, იქ ზრდიდა და ძალიან შეუყვარდა<sup>14</sup>. სელჩუკი სწრაფად დაწინაურდა. მის აღზევებასთან დაკავშირებით მირხონდი შენიშნავს, რომ სელჩუკის მდგომარეობა იაბლუმსთან დღითიდღე იმდენად უმჯობესდებოდა, რომ სახელმწიფოს წარჩინებულებმა მას შერის თვალთ დაუწყეს ყურება<sup>15</sup>.

სელჩუკის ასე ადრე დაწინაურება და განდიდება დამახასიათებელი იყო ოღუზთა არისტოკრატიისათვის, რომელიც ისწრაფოდა მემკვიდრეობითობის უფლების მიღება-შენარჩუნებისათვის. სელჩუკის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა იაბლუმს. წყაროებში პირდაპირაა მითითებული იმ უკმაყოფილების შესახებ, რომელიც სელჩუკის დამოუკიდებელი საქმიანობისა და თავისუფალი მოქმედების შედეგად წარმოიშვა. მირხონდის ცნობით, იაბლუმს ცოლი თავის ქმარს არწმუნებდა, რომ ეს ახალგაზრდა ძალიან თავისუფლად იქცევა, ძლიერება და მნიშვნელობა, რომელიც მას ახლა გააჩნია, კიდევ თუ გაიზარდა, მაშინ ცხადი გახდება რით გათავდება საქმე<sup>16</sup>.

მირხონდის მიხედვით, იაბლუმს ცოლი აშკარად ვერ გამოსთქვამს სელჩუკისადმი მტრული დამოკიდებულების ნამდვილ მიზეზებს. სხვა წყაროს ცნობით, იაბლუმს ცოლი პირდაპირ ასახელებს მიზეზებს, რომელთაც წარმოშვეს უკმაყოფილება იაბლუმსა და სელჩუკს შორის. „თურქთა მეფის ცოლი“ თავის ქმარს არწმუნებს, რომ იაკაკის სიკვდილის შემდეგ სელჩუკის ნდობა და მასთან ერთად ქვეყნის გამგებლობა შეუძლებელია; მოსალოდნელია, რომ სელჩუკმა მას სამფლობელოები წაართვას და ამიტომ საჭიროა მისი სასწრაფოდ მოშორება. იაბლუმს ცოლი შიშობს, რომ მისი ქმრის მიერ დაწინაურებული სელჩუკი, ახლო მომავალში მას წაართმევს სამფლობელოებს. შესაძლებელია სელჩუკის მამასთან „თურქთა მეფის“ ურთიერთობის გაუარე-

<sup>14</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 292.

<sup>15</sup> М И Т Т, I, стр. 451.

<sup>16</sup> იქვე; ბარ ჰებრაი, I, გვ. 292.

სების მთავარი მიზეზი სწორედ ეს უნდობლობა და ძალთა დაპირისპირება ყოფილიყო. წყაროში ვკითხულობთ: „თურქთა მეფის ცოლი თავის ქმარს უშლიდა, რომ ამირ სელჩუკის იმედი ჰქონოდა და სულ აფრთხილებდა... ერთხელ სთქვა: „სამფლობელო ამაოებაა და მისი საზიაროდ მართვის ატანა შეუძლებელია. თუ სელჩუკი არ მოიკვლება...“, შენ ხელისუფლების სრულყოფილი პატრონი არ იქნები და შენს სახელმწიფოს კარგი რამ არ მოელის, რადგანაც, უეჭველია, ახლო მომავალში სამფლობელოებიდან გაგაგდებს და შეეცდება შენს დაღუპვას“<sup>17</sup>.

ზემოთ მოყვანილი ცნობიდან აშკარად ჩანს სამფლობელოების დატაცების და მის ნიადაგზე უთანხმოების ჩამოგდების ტენდენცია, როგორც სელჩუკის მამასთან, ისე თვით სელჩუკთანაც, რომელიც სწრაფად დაწინაურდა თავის ტომში და საფრთხეს უქმნის თვით ამ ტომთა ბელადს. ამ პერიოდში სელჩუკი გაძლიერებულია ეკონომიურად, ფლობს უამრავ საქონელს. ეს აშკარად ჩანს ბარ ჰებრაის ცნობიდანაც<sup>18</sup>. სწორედ ამ ქონებრივი უთანასწორობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგი იყო ის, რომ სელჩუკი უკვე საშიში ხდება „თურქთა მეფისათვის“ და მათ შორის სერიოზული წინააღმდეგობა იჩენს თავს.

სელჩუკისათვის საიდუმლოდ არ დარჩენილა ის მტრული განწყობილება, რომელიც იაბლუს ცოლმა ინტრიგების მოწყობით შექმნა მის მიმართ. სელჩუკი იძულებული გახდა კავშირი გაეწყვიტა თურქთა წინამძღოლთან და უამრავი საქონლითა და სიმდიდრით წასულიყო სხვაგან. ბარ ჰებრაის ცნობით, როდესაც სელჩუკს მისდამი მტრული განწყობილების შესახებ საიდუმლოდ აუწყეს, მანაც ჩუმად შეკრიბა თავისი ერთგული პირები, თავი მოუყარა უამრავ ცხენს, აქლემს, ცხვარს, ძროხასა და თურანის ანუ თურქთა მხრიდან ირანისკენ გაემართა<sup>19</sup>. მირხონდის ცნობით, სელჩუკს ჰყოლია 100 მხედარი, 1500 აქლემი და 50000 ცხვარი. იგი თავისი ქონებით სამარყანდისკენ წასულა<sup>20</sup>. ამ ცნობების მიხედვით, იაბლუსთან შედარებით სელჩუკი მაინც სუსტია და მას ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს იაბლუს; ამიტომ სელჩუკი არჩევს გაეცალოს მას და თავი შეათაროს სხვა მხრებზე. სელჩუკმა გარს შემოიკრიბა იაბლუსადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, ოღუზთა ტომის ის ფენა, რომელშიაც ფეოდალიზ-

<sup>17</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 2.

<sup>18</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 292; შდრ. МИТТ, I, стр. 451.

<sup>19</sup> МИТТ, I, стр. 451; ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 292.

<sup>20</sup> МИТТ, I, გვ. 451.



მის პროცესი უფრო ღრმად იყო შეჭრილი და დაიწყო აშკარა მტრულა გამოსვლები მის მიმართ. ]

თურქი მეცნიერი მ. ქოიმენი სელჩუკის მიერ ოღუზებთან კავშირის გაწყვეტასა და ჯენდში მოსვლას დაახლოებით 930—935 წლებში მიიჩნევს<sup>21</sup>.

სელჩუკის მიერ თურქთა წინამძღოლთან კავშირის გაწყვეტასა და სხვაგან წაავლას უეჭველია ხელი შეუწყო საძოვრების კრიზისმაც. უპირავე საქონლის მფლობელს ახალ-ახალი საძოვრები სჭირდებოდა. პამდალაჰ ყაზვინი პირდაპირ მიუთითებს, რომ სელჩუკები თურქესტანიდან მავერანნაჰრში საძოვართა ნაკლებობამ გამოიყვანა<sup>22</sup>. რავენდიც ამასვე შენიშნავს. სელჩუკები „ოჯახების სიმრავლისა და საძოვრების სიმცირის გამო თურქესტანიდან მავერანნაჰრის ვილაიეთში მოვიდნენ. ზამთარს ნურ-ბუხარაში, ზაფხულს კი სოლდ-სამარყანდში ატარებდნენ“<sup>23</sup>.

სელჩუკი იყო პირველი, რომელმაც გაწყვიტა კავშირი თურქთა წინამძღოლთან, თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით მავერანნაჰრში გადავიდა, მიიღო ისლამი და საფუძველი ჩაუყარა სელჩუკთა სახელმწიფოს. ის ითვლება სელჩუკთა სახელმწიფოს დამაარსებლად და მისი სახელიდანვე წარმოსდგა თვით ამ ტომის სახელიც — სელჩუკები ანუ სელჩუკიანი თურქები<sup>24</sup>.

<sup>21</sup> M. A. Köymen, Selçuklu Devri Türk Tarihi, Ankara, 1963, გვ. 24.

<sup>22</sup> პამდალაჰ ყაზვინი, გვ. 421.

<sup>23</sup> რავენდიც, I, დასახ. ნაშრ..., გვ. 85.

<sup>24</sup> „სელჩუკი“ — ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ საინტერესო დაკვირვება აქვს ჩატარებული უნგრელ მეცნიერს ლ. რასონის. ის აღმოსავლურ პირველწყაროებში დაცული ცნობების ანალიზის საფუძველზე ადგენს სიტყვა „სელჩუკის“ შესაძლებელ მნიშვნელობას. მისი აზრით ყარა-თეგინში—პამირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ IX ს-ში ცხოვრობდნენ ოღუზები, რომელთათვის ცნობილი იყო „სელთაუს“ სახელწოდების მყინვარი. იგი აღმოაჩინა 1879 წელს ოშანინმა. მისი აზრით, „სელჩუკი“ შეიძლებაოდა წარმოშობილიყო ან მყინვარის სახელწოდება „სელ“-ისთვის თურქმენული კინობითი წინსართის „ჩუკ“-ის დართვით, ანდა შეიძლებაოდა ტოპონიმიური სახელი გადაქცეულიყო ადამიანის საკუთარ სახელად და შემდეგ გავრცელებულიყო მთელ ტომზე. იხ. L. Rasonyi, Selçuk adının menşesine dair. Belleten, cilt III, Sayı 10, 1, Nisan, Ankara, 1939, გვ. 377—384; იხ. აგრეთვე, M. F. Köprülü, Anadolu Selçukluları Tarihinin Yerli Kaynakları, Belleten, cilt VII, sayı 27, Ankara, 1943, გვ. 474; İ. Kafesoğlu, Sultan Melikşah Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu. İstanbul, 1953, გვ. 1; В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, гв. 48; А. А. Семенов, К вопросу о происхождении слова «Сельджук», «Бюллетень Академии Наук Уз. ССР», 1946, № 3, Ташкент, стр. 17—18.

სელჩუკის მაცერანნაპრში გადასვლა და ისლამის მიღება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სამხედრო-მოძთაბარულ ზედა ფენაში ფეოდალიზაციის პროცესი უკვე შორს წასული მოვლენა იყო. მას აღარ აკმაყოფილებდა ძველი, პრიმიტიული შეხედულებები და ახალი ყოფის შესაფერისი ახალი იდეოლოგია სჭირდებოდა. საამისო პირობები სელჩუკს იაბლუსთან ყოფნისას არ ჰქონდა. იგი იძულებული იყო გაეწყვიტა იაბლუსთან კავშირი, დაახლოებოდა სხვა მეზობელ ტომებს, რომლებიც განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ და გააჩნდათ შესაფერისი იდეოლოგია. ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარ სელჩუკთა ტომებისათვის სავსებით მისაღები და შესაფერისი იდეოლოგია სწორედ ისლამი იყო. ამით სელჩუკი არსებითად კავშირს წყვეტდა იაბლუსთან და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა.

სელჩუკის მიერ იაბლუსთან კავშირის გაწყვეტისა და ისლამის მიღების გამო ა. როსლიაკოვი შენიშნავს, რომ ეს იყო დუკაკის პოლიტიკის ლოგიკური შედეგი<sup>25</sup>. სელჩუკი არ იყო ჩვეულებრივი მოჯანყებუნი. იგი უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო იმ წარჩინებული ფეოდალური ფენისა, რომელიც ვითარდებოდა და მტკიცდებოდა თურქმენთა საზოგადოებაში. სელჩუკი ვერ შეაშინა პირველმა წარუმატებლობამ. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ის ელემენტი, ვინც ისლამის მიმდევარი იყო და ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლას სურვილს გამოთქვამდა. მან აშკარად დაიწყო ბრძოლა იაბლუს წინააღმდეგ. იაბლუს მოწინააღმდეგე ელემენტები სელჩუკთან გადადიოდნენ. მისი ძალები სწრაფად იზრდებოდა.

თავისი ხალხით ჯენდის მიდამოებში დასახლებულმა სელჩუკმა დაიწყო აშკარა ბრძოლა ოღუზთა იმ ტომის წინააღმდეგ, რომელთანაც კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი. მირხოზდის ცნობით, როცა მას ურწმუნობებმა მოსთხოვეს ხარაჯი, რომელსაც ჯენდის მფლობელი ყოველწლიურად იხდიდა, სელჩუკმა მთელი თავისი ძალები შეკრიბა. ხოლო ჯენდის მოსახლეობა და განმგებელი ფულით და სამხედრო ძალით დაეხმარა<sup>26</sup>. ჯენდის განმგებლისა და მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერა გარკვეულ მიზნებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული; მათ სელჩუკში დაინახეს თავიანთი ინტერესების დამცველი და ამიტომ ყოველნაირად უწყობდნენ მას ხელს. მუნეჯიმ-ბაში პირდაპირ მიუთითებს, რომ ჯენდის მიდამოებში დაბინავებული სელჩუკი იმ რაიონს ქაფირ თურქთა თავდასხმისაგან იცავდა, რის გამოც ისლამის

<sup>25</sup> А. А. Росляков, Первые сельджуки, «Известия Туркменского филиала Академии Наук СССР», 1951, №3, стр. 39.

<sup>26</sup> М И Т Т, I, стр. 451.

როსახლეობა გაძლიერდა. მან ქაფირთა მიერ ადრე აოხრებული ვილაიეთებიც გაათავისუფლა. როგორც კი სამანიანთა მელიქი ქაფირთურქებთან ბრძოლაში ჩაება, სელჩუკმა დიდი დახმარება გაუწია მას<sup>27</sup>.

შოკლე ხანში სელჩუკი იმდენად გაძლიერდა, რომ მზად იყო იაბლუს წინააღმდეგ საბრძოლველად. როდესაც იაბლუს მომხრეებმა მისი აქტემები გარეკეს, სელჩუკი თავისი რაზმით გამოეცადა მათ, მთელი ნადავლი დაატოვებინა და გამარჯვებული დაბრუნდა. მალე იგი ისე მომძლავრდა, რომ მეზობელ ხალხებსაც კი ეხმარებოდა მათი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მირზონდის მიხედვით, სელჩუკის ძლიერების დროში იმდენად ამალდა, რომ მას დასახმარებლად მიმართავდა თურქესტანის ხალხი და განაპირა ოლქების წარჩინებულნი. სელჩუკებს კარვები ბუხარის მიდამოებში ჰქონდა გაშლილი<sup>28</sup>.

სელჩუკის ძლიერების წყარო ოღუზი თურქები იყვნენ, რომლებიც მის მხარეზე გადადიოდნენ. ისინი ჯენდის სასაზღვრო რაიონებში არამუსლიმანი თურქების წინააღმდეგ ბრძოლამ გააძლიერა. გარდა ამისა, სელჩუკის მიმდევართა ოჯახები სწრაფად მრავლდებოდა. რაც ერთგვარად ხელს უწყობდა სელჩუკის განდიდებას. ასე რომ, სელჩუკის ძლიერების ორი წყარო არსებობდა: ერთი იყო საგარეო მოვლენები ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობის სახით, მეორე — შინაგანი ძალები, ე. წ. ოჯახების სწრაფი გამრავლება. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა საქონლის სიმრავლეს, რაც ახალ-ახალი საძოვრების ხელში ჩაგდებასა და ადგილების გადანაცვლებას მოითხოვდა.

სელჩუკის საქმიანობის შესახებ მეჰამედ ნეშრი გადმოგვცემს, რომ თურქთა მელიქს სელჩუკის ხალხის სიმრავლის შეეშინდა და გადაწყვიტა მისი მოკვლა, სელჩუკმა ეს გაიგო და შიშაბ ედ-დოვლე კადირ-ხან ბენ ჰარუნთან გაიქცა. ჯენდში დასახლდა და ქაფირების გასანადგურებლად კადირ ხანს დახმარება სთხოვა. კადირ-ხანმაც მას დიდი ლაშქარი გაუგზავნა და ქაფირები ამოხოცა<sup>29</sup>. სადრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალ-ჰუსეინის თქმით, სელჩუკმა „გასაჩერებლად აირჩია ჯენდის მიდამოები, გარეკა ურჯულოთა მმართველები და იქ დასახლდა“<sup>30</sup> (ქაფირებში იგულისხმება არამუსლიმანი ოღუზური ტომები, რომლებთანაც სელჩუკმა აწარმოვა ბრძოლები საძოვრების ხელში ჩასაგდებად).

27 მ უ ნ ე ჟ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 521.

28 М И Т Т, I, стр. 451.

29 ნ ე შ რ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

30 ა ხ ბ ა რ, გვ. 2.

ჰამდალაჰ ყაზვინის მიხედვით<sup>31</sup> სელჩუკები მავერანნაჰრში მოვიდნენ 985/6 წელს. მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, სელჩუკმა იაბღუსთან კავშირი გაწყვიტა და ისლამის ქვეყნისაკენ გადმოვიდა; მან მუსლიმანობა მიიღო დაახლოებით 350 (961/2) წელს<sup>32</sup>. სელჩუკები, აქ თავის მეზობლებზე თავდასხმებს აწარმოებდნენ, სირ-დარიასა და თალასის რაიონებში იალაღებსა და ყიშლაღებში მომთაპარეობდნენ. თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ კაფესოღლუს გამოკვლევით, როდესაც სელჩუკები მავერანნაჰრში გაჩერდნენ, ჰაზარის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე მდებარე ჯურჯანის რაიონებამდე გაშლილი ვრცელი ველები სხვადასხვა ტომის თურქებს ჰქონდათ დაკავებული. მონღოლეთის მხრიდან მოსული ოღუზები მდინარე სირ-დარიის ჩრდილოეთით იყვნენ დაბანაკებული. კარლუკებსა და კალაჩებთან ერთად თურქმენ ტომთაგან ზოგერთი სირ-დარიასა, თალასსა და ჩუს აუზში მომთაპარეობდა. ოღუზების ერთი ჯგუფიც ამუ-დარიასა და ჯურჯანს შორის იმყოფებოდა. იმთავითვე სელჩუკთა ოჯახებთან დაკავშირებული თურქმენები კი მეოთხე ჯგუფს ქმნიდნენ და ჯენდის მიდამოებში იყვნენ დაბანაკებული<sup>33</sup>.

სელჩუკებს მავერანნაჰრში საძოვრებისათვის წარმოებულ ბრძოლებში ბევრი მომხრეები გაუჩნდათ თურქმენთა სხვადასხვა ტომების სახით.

სელჩუკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სანანიანთა და ყარახანიანთა შორის მავერანნაჰრის განმგებლობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ისინი თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ხან ერთის მხარეზე იყვნენ, ხან მეორის, მაგრამ, სამანიანთა სახელმწიფოს (874—999) გადამენების შემდეგ, როდესაც ორ სახელმწიფოს შორის წინააღმდეგობა მოისპო და მავერანნაჰრი მთლიანად ყარახანიანთა (932—1212) ხელში გადავიდა, სელჩუკთა მდგომარეობაც შეიცვალა. სელჩუკები ყარახანიანთა ბატონობის ქვეშ მოექცნენ<sup>34</sup>.

<sup>31</sup> ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 421.

<sup>32</sup> მ უ ნ ე ჟ ი მ ბ ა შ ი, გვ. 521.

<sup>33</sup> I. Kafesoğlu, Doğu Anadoluya ilk Selçuklu Akını (1015—1021) ve tarihî ehemmiyeti. 60. doğum yılı münasebetiyle Fuad Köprülü Armağanı. Melanges Fuad Köprülü. İstanbul, 1953, გვ. 259.

<sup>34</sup> ყარახანიანებსა და სამანიანთა შორის სელჩუკის მემკვიდრეთა ურთიერთობის საკითხები სავანგებოდ აქვს განხილული თურქ მეცნიერს მეჰმედ ალთაი ქოიშენს, იხ. M. A. Köymen, Büyük Selçuklu İmparatorluğunun kuruluşu..., გვ. 122—140. მისივე, Selçuklu Devri Türk Tarihi, გვ. 27—31; İslâm Anıskılopedisi, cüz 104, 1964, İstanbul, გვ. 335—338.

წყაროების მიხედვით, სელჩუკი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ჯენდში და იქ 1009—1010 წ. გარდაიცვალა 107 წლის ასაკში<sup>35</sup>. მისი ჯენდის სასახლგრო რაიონში საქმიანობის შესახებ წყაროებში ცოტა ცნობაა დაცული. ცნობილია, რომ, როდესაც ის ჯენდის მიდამოებში დასახლდა, მაშინ მცირე ძალებისა და ქონების პატრონი იყო, მაგრამ თავისი გონებამახვილური საქმიანობის წყალობით მოკლე ხანში გაძლიერდა, ბევრი მომხრე გაიჩინა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მავურანნაპრის ცხოვრებაში. ჯენდში დასახლებულ სელჩუკს სხვა ამოცანები და გეგმები გაუჩნდა; ვიდრე ოღუზთა ტომებთან ერთად ცხოვრების დროს. თურქი ისტორიკოსის მ. ქოიმენის განცხადებით, სელჩუკი თავისი საქმიანობითა და ისლამის რელიგიისადმი სამსახურით სარწმუნოებისათვის მებრძოლთა მეთაური იყო<sup>36</sup>. სელჩუკმა ჯენდის სასახლგრო ზოლში ყოფინასა მრავალი ბრძოლა გადაიხადა სარწმუნოებისათვის, რამაც ძალიან გაუთქვა სახელი და დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა. ამის გამო მთელი მუსლიმანური მოსახლეობა სელჩუკებს მიემხრო, იგი ძალაუნებურად დაუპირისპირდა იაბლუს და დამოუკიდებელი გახდა. სელჩუკის მიერ ჩატარებულმა ფართო მასშტაბის ღონისძიებებმა საფუძველი შეუქმნეს მის მემკვიდრეებს უფრო გაეღრმავებინათ მამას ნიერ წამოწყებული საქმიანობა.

სელჩუკს ოთხი შვილი ჰყავდა, რომელთაგან მხოლოდ სამმა მიაღწია სრულწლოვანებას. ესენი არიან: მიქაილი, მუსა და არსლანი. ეს უკანასკნელი იაბლუს ტიტულს ატარებდა. ზაპირ ედ-დინ ნიშაბური ამ ტიტულს მუსას მიაკუთვნებს; ბეიჰაყი არ ასახელებს მუსას, მაგრამ თორღულისა და ჩაღრი-ბეგის ბიძად მიიჩნევს მას.

იაბლუს ტიტულის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ იგი მიეკუთვნებოდა ოჯახის უფროსს. სხვადასხვა პერიოდში იგი შეიძლებოდა ეტარებინა სხვადასხვა პიროვნებას. დროთა ვითარებაში ამ სახელმა დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და გახდა ზედმეტი სახელი, რომელიც ემატებოდა ამა თუ იმ პირის საკუთარ სახელს და არ გააჩნდა ზუსტი მნიშვნელობა.

წყაროს მიხედვით, სელჩუკის მემკვიდრენი იყვნენ „ამირ მიქაილი, ამირ მუსა, ისრაილად წოდებული, ამირ იაბლუ არსლანი. ამ ამირ-

<sup>35</sup> C. I. Cahen, *Le Malik-Nameh...*, გვ. 10. შტრ. იბნ ალ-ასირის ნაშრ. ბონდარის მიხედვით, გვ. LIV.

<sup>36</sup> M. A. Köymen, *Büyük Selçuklu İmparatorluğunun kuruluşu...*, გვ. 113.

თა საცხოვრებელი იყო ადგილს მავერანნაჰრში, რომელსაც ერქვა ნური-ბუხარა“<sup>37</sup>.

უეკველია, სელჩუკის მემკვიდრე მეჯოგე-მომთაბარე ტომთა ხორასნის მიმართულებით წასვლა გამოწვეული იყო საძოვრების კრიზისით. ამასთანავე ანგარიშგასაწევია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად შეხვდებოდა სელჩუკთა დამკვიდრებას მათ ტერიტორიაზე. წყაროში პირდაპირ მითითებულია რომ ჯენდის მიდამოებში სელჩუკთა ჩამოსახლებით ადგილობრივი ხელისუფალნი უკმაყოფილონი იყვნენ.

სელჩუკმა აიძულა ოღუზების ერთი ნაწილი მავერანნაჰრში მის გარშემო შემოკრებილიყო. მისი გარდაცვალების შემდეგ პირველი პოლიტიკური წარმონაქმნები შვილებს შორის დანაწილდა. სამფლობელოთა უმეტესი ნაწილი უფროს შვილს — მიქაილს გადაეცა და ძმებს შორის მეთაურად იქნა აღიარებული<sup>38</sup>. წყაროს მიხედვით, ამირ მიქაილი სულთან ულ-ლაზი იამინ ელ-დოვლე აბულ ყასიმ მაჰმუდ იბნ სეებუქ-თეჟინის სამსახურში იმყოფებოდა<sup>39</sup>.

ამირ მიქაილი სულთანს მალე განუდგა და ხორასნისკენ გადაწყვიტა წასვლა. გაბრაზებულმა სულთან მაჰმუდმა იგი შეიპყრო, სიკვდილით დასჯას უპირებდა, მაგრამ ბოლოს შეიწყნარა და გაათავისუფლა. ამირ მიქაილი ხორასნის ახლოს დაბანაკდა და შეწყალებისათვის სულთანს სამი ცხენი, ათი აქლემი და 305 ცხვარი გაუგზავნა<sup>40</sup>.

სელჩუკის მემკვიდრეებს უკვე ძლიერი და მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდათ, ბევრი სიმდიდრე. დაუგროვდათ და დღითიდღე აფართოვდნენ ტერიტორიებს საძოვრებისათვის. იმად ელ-დინ ისფაჰანი აღნიშნავს, რომ სელჩუკებს გააჩნდათ ძლიერი შეიარაღებული ლაშქარი, ისინი არავის არ ემორჩილებოდნენ და ახლოს არ ეკარებოდნენ არც ერთ ქალაქს. მიქაილი იყო მათი საპატიო ბელადი და პატივსაცემი მეთაური. ისინი იმყოფებოდნენ მდიდარ საძოვრებზე.

<sup>37</sup> ა ბ ბ ა რ, გვ. 2.

<sup>38</sup> სელჩუკის შვილებისა და შვილისშვილების შესახებ იხ. I. Kafesoğlu, Selçukun Oğulları ve Torunları, Türkiyat Mecmuası, cilt XIII, İstanbul, 1958, გვ. 117—130.

<sup>39</sup> ა ბ ბ ა რ, გვ. 2.

<sup>40</sup> ი ქ ვ ე, 2.

მათვიან წინააღმდეგობის გაწევა არავის შეეძლო. სულთნები გაურბოდნენ მათთან კონფლიქტს, მათ კი არ ეშინოდათ სულთნისა<sup>41</sup>.

წყაროებიდან აშკარად ჩანს სელჩუკთა ძალების სწრაფად დაწინაურება. ისინი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შუა აზიის ხალხთა ცხოვრებაში. მათ ხშირად უხდებოდათ კონფლიქტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მთავარი მიზეზი მათი კონფლიქტისა თავდასხმები და ნადავლის ხელში ჩაგდება იყო.

სელჩუკის შვილები ადრე ჩამოსცილდნენ პოლიტიკურ ასპარეზს და დიდი პოლიტიკური როლის შესრულება სელჩუკის შვილისშვილებს — განსაკუთრებით თორღულ-ბეგსა და ჩაღრი-ბეგ დაუდს მოუხდათ. სელჩუკთა სახელმწიფოს ნამდვილი ფუძემდებლები სწორედ ესენი იყვნენ. ისინი ერთ ხანს ყარახანიანებს, შემდეგ ბუხარას რაიონში ალი თეგინა და მის შვილებს ექვემდებარებოდნენ, მერე თანდათანობით გაძლიერდნენ და დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

არსლანის ძმამ მუსამ იინალისა და იაბლუს ტიტულები მიიღო და 1064 წლამდე იცოცხლა. თორღული და ჩაღრი ბეგების ტიტულს ატარებდნენ და არსლანის გავლენის ქვეშ იყვნენ. სელჩუკის გარდაცვალების შემდეგ მავერანნაჰრში მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისა და საერთოდ, სელჩუკთა მოძრაობის საქმეს არსლანი მეთაურობდა. მისი საქმიანობის შესახებ მავერანნაჰრში მცირე ცნობებია შემონახული. ფაქტია, რომ არსლანი ჯენდის მიდამოებში იყო დაბანაკებული და იქიდან აწარმოებდა მარბიელი ხასიათის ლაშქრობებს მეზობლების ტერიტორიაზე. ზუსტად ვერ ხერხდება თვალის მიდევნება, თუ სანაპივე დარჩნენ სელჩუკები არსლანის მეთაურობით ჯენდის მიდამოებში. მათ, როგორც აღვნიშნეთ, მკიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სამანიანთა სახელმწიფოსთან, რომლის გადაშენების შემდეგ მალე იძულებული ხდებიან დასტოვონ ჯენდის მიდამოები და გადასახლდნენ მავერანნაჰრში. ჯენდის მეზობლად მდებარე ველებში ყოფნის დროს სელჩუკთა მეთაურის არსლანის მფარველობის ქვეშ მომთაბარებოდნენ თორღულ-ბეგი და ჩაღრი-ბეგი, რომლებიც თავის ნებაზე მოქმედებდნენ. ამ პერიოდში არსლანი მთელი სელჩუკების მეთაურია. ასეთად დარჩა ის, ვიდრე მისი გაძლიერებით შეშინებულმა დაზნეულთა სულთანმა არ დაატყვევა. იგი კალინჯერის ციხეში გარდაიცვალა.

სელჩუკების მავერანნაჰრში გადასახლების გამო ისინი მექანიკურად მოექცნენ ყარახანიანთა განმგებლობის ქვეშ, რამდენადაც მავერანნაჰრის ტერიტორია მათ სამფლობელოში შედიოდა. სელჩუკები

<sup>41</sup> МИТТ, I, стр. 320; ბონდარი, გვ. 2—3; რავენდო, I, გვ. 85; ჰამდალას ყაზვინი, გვ. 421—422.

მავერანნარში დამკვიდრების პირველ პერიოდში ყველასათვის შეუძინებელი იყვნენ; ისინი წლების განმავლობაში ახლომახლო ტერიტორიებზე თავდასხმებითა და ნადავლის ხელში ჩაგდებათ კმაყოფილდებოდნენ, მომთაბარეობდნენ. მეზობელი ქვეყნების განმგებლები მათ ყურადღებას არ აქცევდნენ. მაგრამ დროთა ვითარებაში ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ ყარახანიანების სახელმწიფოს შინაგანი საქმეების მოწესრიგებაში. სელჩუკები უკავშირდებიან ყარახანიანთა მეთაურს — ალი თეგინს; მათი დაახლოების მიზნად თურქი მეცნიერი მ. ქოიშენი თვლის იმას, რომ სელჩუკებს ისეთი ლაშქარი ჰყავდათ, როგორც ყარახანიანებს არ გააჩნდათ, სამაგიეროდ, ყარახანიანებს მიწა ჰქონდათ, სელჩუკებს კი არა. ეს ორი მხარე ერთმანეთის მოთხოვნილებას ავსებდა, რაც ხელს უწყობდა მათ დაახლოებას<sup>42</sup>.

ყარახანიანთა განმგებელი თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებდა სელჩუკთა ძალებს. ამ პერიოდში სელჩუკები საკმაოდ ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. ისინი უკვე დაუპირისპირდნენ ლაზნელთა სახელმწიფოს, რომელსაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდა სელჩუკთა მოკავშირე — ყარახანიანების განმგებელთან.

მარქსი და ენგელსი სელჩუკის მემკვიდრეების საქმიანობის შესახებ აღნიშნავენ, რომ სელჩუკის შვილის ისრაილის დროს სელჩუკები მტკიცედ დამკვიდრდნენ მდ. ჯეიჰუნის აქეთა მხარეს და ილქ-ხანს დახმარება გაუწიეს ბუხარას დამორჩილებაში. იქვე დასახლდნენ იაბლუ, თოღრულ-ბეგი და ჩალრი-ბეგ დაუდი<sup>43</sup>.

XI ს-ის I მეოთხედში სელჩუკები დაბანაკდნენ ბუხარას ახლომახლო მიდამოებში და ექსპანზირობდნენ ალი თეგინს. მათ მკიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ ლაზნევიანთა სახელმწიფოსთან. სელჩუკების ლაზნელებთან ურთიერთობისა და საერთოდ, სელჩუკთა მეთაურის ისრაილის ანუ არსლანის საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ შემონახული რავენდის<sup>44</sup>, ჰამდალაჰ ყაზვინის<sup>45</sup> და სხვა ავტორებს. რავენდის ვრცლად აქვს აღწერილი სულთან მაჰმედ ლაზნევისთან ისრაელის აუდიენცია, რომელიც ჯერ დიდი პატივით მიიღეს და ბოლოს დააპატიმრეს. დატყვევებული ისრაილი სულთანს 7 წელი კალინჯერის ციხეში ჰყავდა გაპოკეტილი, სადაც იგი 1032 წელს გარდაიცვალა. წყაროებიდან ჩანს, რომ ლაზნელთა სულთნის გადაჭარბებული ყურადღება ისრაილისადმი, მისი დიდი პატივით

<sup>42</sup> M. A. Köymen, Būyūk Selçuklu İmparatorluğunun kuruluşu..., 83-145.

<sup>43</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, стр. 110.

<sup>44</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 85—92.

<sup>45</sup> ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ვ ე ი ნ ი, გვ. 422.



მცლბა, საინტერესო საუბრები და ბოლოს მისი დაპატიმრება<sup>46</sup>, აშკარად გამოწვეული იყო სელჩუკთა ძალების სიძლიერით, რაშიც ღაზნელთა სულთანი მასთან საუბრის დროს დარწმუნდა. სულთან მაჰმუდი აშკარად გრძნობდა სელჩუკთა ძალების მომძლავრებას და მათგან მოსალოდნელ საშიშროებას. მაჰმუდ ღაზნევის ასეთი მოქმედებით კარგად ჩანდა, თუ რაოდენ საშიში იყო გაძლიერებული სელჩუკთა ძალები მეზობელი ქვეყნებისათვის. სელჩუკები იმთავითვე მტრულ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ ღაზნელებთან. ღაზნელებსა და ყარახანიანებს შორის არსებული წინააღმდეგობის ამა თუ იმ მხარისათვის დადებითად გადაწყვეტაში სელჩუკები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. სელჩუკების მიმართ ღაზნელთა მიერ თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება სელჩუკებში უნდობლობას იწვევდა და ღაზნელებთან მტრულ დამოკიდებულებას აძლიერებდა. XI ს-ის დასაწყისში სელჩუკებმა ვერ მოაგვარეს კეთილმეზობლური ურთიერთობა ვერც ხორეზმთან და ვერც ღაზნელებთან. მათთან მტრობის მთავარი მიზეზი საძოვრების უკმარობა იყო. მომთაბარე სელჩუკებს ახალ-ახალი ტერიტორიები სჭირდებოდათ. მათ ბუხარადან ხორეზმში გადაინაცვლეს, მაგრამ ხორეზმმაჰ ჰარუნის სიკვდილის შემდეგ დაწყებული არეულობის გამო იქ არ დაედგომებოდათ და ამიტომ სთხოვეს სულთანს ადგილები ნესასა და ფერავეს რაიონში. ამის სანაცვლოდ სელჩუკები ჰპირდებოდნენ სამსახურს და წესრიგის დამყარებას. ისინი ამბობდნენ: „ჩვენ დედამიწაზე ადგილი არა გვაქვს“, ამიტომ ღაზნელებისაგან ითხოვდნენ სასაზღვრო ზოლებს, სადაც შეიძლებოდა მომთაბარული მესაქონლეობის წარმოება და ნაწილობრივ მიწათმოქმედების განვითარება. ამასთანავე მათ კვლავინდებურად საშუალება ეძლეოდათ მეზობელ რაიონებში განეგრძოთ ძარცვა და თარეში.

სელჩუკები არსლანის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს მეთათურის გარეშე დარჩნენ. სელჩუკის შემდეგ არსლანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სელჩუკთა სახელმწიფოს საფუძვლების შექმნის საქმეში. მისმა დაღუპვამ გარკვეულად შეაფერხა სელჩუკთა დაწინაურების საქმე. თურქი ისტორიკოსი მ. ქოიმენი არსლანის მოღვაწეობის პერიოდს, სელჩუკთა ისტორიაში მობრუნების პერიოდს უწოდებს<sup>47</sup>. არსლანის შემდეგ სელჩუკთა მეთათურებად მისი ძმის, მიქაილის შვილები — თორღულ ბეგი და ჩაღრი-ბეგი გვევლინებიან, რომლებმაც

<sup>46</sup> M. A. Köymen, Büyük Selçuklu İmparatorluğunun kuruluşu..., s. 155—159.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 163.

დიდი როლი შეასრულეს სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნასა და განვითარებაში.

თორღულ-ბეგი და ჩალრი-ბეგი ჯერ კიდევ XI ს-ის დასაწყისში მავერანნაჰრში მომთაბარეობდნენ, ისინი სწრაფად დაწინაურდნენ. ადგილობრივ მმართველთან ილექ-ხანთან ხან კეთილმეგობრული განწყობილება ჰქონდათ, ხან კიდევ ეომებოდნენ. ისინი ბუხარადან 20 ფარსახის მანძილზე მომთაბარეობდნენ. როდესაც ჩალრი-ბეგმა და თორღულ-ბეგმა გაიგეს ილექ-ხანის განზრახვა — დაუფლებოდა მთელ თურქესტანს და დამოუკიდებელი განმგებელი გამხდარიყო, დაიწყეს მის ტერიტორიაზე თავდასხმები. ამის საპასუხოდ ილექ-ხანმა უზარმაზარი ლაშქარი შეკრიბა და წარჩინებულთა სხდომაზე ითათბირა, როგორ გასწორებოდა სელჩუკებს<sup>48</sup>. სელჩუკებმა გადაწყვიტეს არ შებოდნენ ილექ-ხანის უზარმაზარ არმიას და არჩიეს იქაურობას გასცლოდნენ; ჩალრი-ბეგის რჩევით სელჩუკებმა დასტოვეს ბუხარას მიდამოები და დასავლეთით ყარახანიანების განმგებელს ბულრა-ხანს შეაფარეს თავი. ბულრა-ხანმა სიამოვნებით მიიღო სელჩუკები და მათ წარმომადგენელს განუცხადა, ამიერიდან ქვეყნის საქმეების განმგებლობა განხორციელდება სელჩუკის მემკვიდრეებთან თანამშრომლობის საფუძველზე<sup>49</sup>. მართალია, ბულრა-ხანი ფორმალურად სიამოვნებით შეხვდა სელჩუკთა გამოჩენას მის ტერიტორიაზე, მაგრამ სინამდვილეში მათი ჩამოსახლებით კმაყოფილი არ იყო, ის ცდილობდა თორღულ-ბეგისა და ჩალრი-ბეგის ხელთ ჩაგდებას და სელჩუკთა საშიშროებისაგან თავის დაღწევას. ჩალრი-ბეგმა შესანიშნავად განჭვრიტა ჩანაფიქრი და მიზანშეწონილად არ ჩათვალა მთელი ძალებით ხლებოდა ბულრა-ხანს. მან თორღულ-ბეგს უთხრა: ყოველი ჩვენგანი კვირაში სამ დღეს იმორიგეებს ხანის ბანაკში. თუ იგი რაიმე ვერაგობის ჩადენას გადაწყვეტს, ამას აშკარად ვერ მოახერხებს. ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანის დაქერას შესძლებს, გადარჩენილი ეცდება გამოსავალი იპოვოს<sup>50</sup>.

სელჩუკებმა დედაქალაქიდან ორი ფარსახის მანძილზე გაშალეს კარავები და აქედან რიგრიგობით დადიოდნენ ბულრა-ხანთან. ბულრა-ხანმა ორივე ძმის ერთად დაქერა ვერ მოახერხა და იძულებული გახდა მარტო თორღულ-ბეგი დაეჭირა, თანაც რაზმები გააგზავნა ჩალრი-ბეგის დასატყვევებლად. ამ უკანასკნელმა სსატიკად დაამარცხა ბულრა-ხანის ძალები და ხელთ იგდო 130 წარჩინებული<sup>51</sup>. როდესაც ბულრა-

<sup>48</sup> М И Т Т, I, стр. 452.

<sup>49</sup> ი ქ ვ ე.

<sup>50</sup> ი ქ ვ ე.

<sup>51</sup> ი ქ ვ ე, გვ. 452—453; M. A. Köymen, Selçuklu devri Türk Tarihi, გვ. 32. მისივე, Büyük Selçuklu İmparatorluğunun kuruluşu... გვ. 166.

ხანი დარწმუნდა. რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა ჩალრი-ბეგთან. იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა თორღულ-ბეგი, ებოძებინა მისთვის უამრავი საჩუქრები, 40 ლულამი და საუკეთესო ქალები, ამას გარდა მიეცა მისთვის 10.000 დინარი და პატივისცემით გაეშვა იგი; მის სანაცვლოდ სთხოვა ჩალრი-ბეგს გაეთავისუფლებინა მისი 130 მხედართმთავარი<sup>52</sup>. ჩალრი-ბეგმა ბულრა-ხანის ტყვეები გაათავისუფლა. ძმები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბულრა-ხანის ოლქი და სამარყანდიაკენ წასულიყვნენ.

თორღულ-ბეგისა და ჩალრი-ბეგის მომთაბარე ტომების სამარყანდიაკენ გადნაცვლება შეუძმინეველი არ დარჩენია ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც მტრულად შეხვდა მათ და ლაშქარი მოაზადა მათი ძალების შესაკავებლად. სელჩუკებმა მიზანშეწონილად არ ჩასთვალეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან შებრძოლება და გადაწყვიტეს გაცლოდნენ იქაურობას. ჩალრი-ბეგმა თავის ძმას — თორღულს ურჩია, თავისი რაზმით წასულიყო უდაბნოსაკენ, ხოლო მისთვის ნება დაერთო საბრძოლველად სხვაგან გადაენაცვლებინა. ძმები შეთანხმდნენ და ჩალრი-ბეგი 30000 ჯარისკაცით ხორასნისკენ გაემართა იმ განზრახვით, რომ იქიდან სომხეთისაკენ წასულიყო<sup>53</sup>. ჩალრი-ბეგმა გაითვალისწინა ადგილობრივი ხელისუფლების სიძლიერე და მოერიდა მასთან ურთიერთობის გამწვავებას, არჩია შორეული, მარბიელი ხასიათის ლაშქრობები მოეწყო ბიზანტიის საზღვრებისაკენ. მისი ძმა თორღულ-ბეგი კი აღმოსავლეთში „შორეულ და ძნელად გასასვლელ“ სტეპებში მოქმედებდა. სელჩუკი ბეგების თარეშის მიზანი იყო საარსებო საშუალებების ძიება, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივ ძლიერ ხელისუფლებასთან ბრძოლაში სასარგებლოს ვერაფერს პოვებდნენ, გადაწყვიტეს სხვაგან ეძიათ მდიდარი საძოვრები და უფრო სუსტი მოწინააღმდეგენი.

სელჩუკები შუა აზიაში მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდნენ; ეს პერიოდი მათთვის მეტად მძიმე იყო, ამიტომ სელჩუკმა უფლისწულებმა შეიმუშავეს გარკვეული გეგმა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

თორღულ-ბეგისა და ჩალრი-ბეგის როლი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სელჩუკთა ცხოვრებაში. სულთან მამუდის მიერ არსლანის დატყვევებისთანავე იზინი ჩაუდგნენ სელჩუკებს სათავეში და ცდილობდნენ მის განთავისუფლებას (1025 წელს).

<sup>52</sup> МИТТ, I, стр. 453.

<sup>53</sup> იქვე, Mirchondi, *Historia Seldschukidarum*, ed. T.A. Vullers, Gissal, 1837, გვ. 12.

3. ქომენი ვრცლად განიხილავს თორღულ-ბეგისა და ჩაღრი-ბეგის მიერ სელჩუკების სათავეში ჩადგომის საკითხს, მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და მათ მოღვაწეობას კოლექტიური ხელმძღვანელობის სისტემას უწოდებს<sup>54</sup>.

სადოვრების კრიზისმა და მავერანნაპრის განმგებელთა შევიწროებამ სელჩუკები აიძულა სხვაგან ეძიათ თავშესაფარი. სელჩუკთა წარმომადგენლები 1025 წლისათვის ღაზნელთა სულთანს აშკარად მიმართავენ თხოვნით: „ეს ტერიტორია ჩვენთვის საკმარისი არ არის, ეს სადოვრები ჩვენს საქონელს არ ყოფნის და ნება მოგვეცით მდინარე გადავლახოთ და ნესასა და ბავერდს შორის დავებანაკდეთ“<sup>55</sup>. სელჩუკები აღნიშნავენ, რომ მათ უამრავი საქონელი ჰყავთ და სულ შეადგენენ 4000 ოჯახს. თუ სულთანს დასთანხმდებოდა, მათგან ლაშქარი მოემატებოდა<sup>56</sup>. სელჩუკთა ამ თხოვნის თაობაზე ღაზნელთა სარდალი არსლან ჰაჯიბი სულთანს ურჩევს, არ მისცეს სელჩუკებს ხორასნის გზა და ხელი არ შეუწყოს მათ ჩამოსახლებას. იგი აღნიშნავს: „მე ესენი მიმაჩნია ღონიერ და მძლავრ ხალხად. რათა დაჯერებული ვიყო მათ უვნებლობაში და არ შეშინოდეს მათი მუხანათობისა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, თითოეულ მათგანს მდინარეზე გადასვლისას მოეჭრას ცერი თითი“<sup>57</sup>. სულთანმა ყურადღება არ მიაქცია არსლან ჰაჯიბის რჩევას და სელჩუკებს ნება დართო გადაელახათ ჭვიპუნი. სელჩუკთა თხოვნამ დიდი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინა სულთან მასუღზე და სელჩუკებს გამოუყო საცხოვრებელი ადგილი; ეს იყო მისი დიდი შეცდომა. სულთან მაჰმუდი ჰაჯიბ არსლანის პასუხად აღნიშნავდა: „... როგორ შემიძლია შენი ნათქვამის მიხედვით დავსაჯო ის მუსლიმანები, რომელთა მიერ ჩადენილი არც ერთი დანაშაული დადასტურებული არ არის“<sup>58</sup>. სულთანმა სელჩუკებს გამოუყო ნესას, ფერავესა და

<sup>54</sup> М.А. К о м е н , Büyük Selçuklu İmparatorluğunun..., გვ. 178—189.

<sup>55</sup> რ ა ვ ე ნ დ ი , I, გვ. 91.

<sup>56</sup> М И Т Т , I, გვ. 229; ბეიჰაყის მოტანილი აქვს ამ წერილის სრული ტექსტი, რომელიც სელჩუკებმა ხორასნის განმგებლის — ამირ სურის საშუალებით ღაზნელთა სულთანს მიართვეს, სადაც ისინი ითხოვდნენ ნესასა და ფერავეს რაიონს. (М И Т Т , I, გვ. 246—247). სელჩუკთა ამ თხოვნის გამო ღაზნელთა ვეზირი აღნიშნავდა, რომ აქამდე ჩვენ საქმე გვექონდა თურქმენ მწყემსებთან, ახლა ქვეყნის დამპყრობი ამირები მოვიდნენ (ი ქ ვ ე , გვ. 247); შდრ. Б. Н. З а х о д е р , Хорасан и образовании государства Сельджуков, Вопросы истории, 1945, № 5—6, стр. 138.

<sup>57</sup> ა ხ ბ ა რ , გვ. 3; ჰამდალაჰ ყაზვინი, გვ. 423; რ ა ვ ე ნ დ ი , I, გვ. 91; М И Т Т , I, стр. 229.

<sup>58</sup> ა ხ ბ ა რ , გვ. 3, რ ა ვ ე ნ დ ი , I, გვ. 92.

აბივერდის რაიონი, მაგრამ სულ რაღაც ორი წლის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა თავის მბრძანებელს მოახსენებდა იმ შევიწროებინა და ჩაგვრის შესახებ, რომელსაც სელჩუკები ჩადიოდნენ.

სელჩუკებმა ჭიჭუნა გადალახეს და ხორასანში დამკვიდრდნენ<sup>59</sup>. მათთვის ხორასანში ჩამოსახლების ნებართვის მიცემა ძვირად დაუჯდა ლაზნელთა სულთანს. წყაროების მიხედვით, მან შემდეგ ინანა თავისი პირვანდელი ნაბიჯი. მას რომ დროზე მიეღო სასწრაფო გადაწყვეტილება დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, ძალიან ბევრ უბედურებას აიცილენდა თავიდან.

სელჩუკთა ტომების დენდანეჯანის ველზე შეჩერება მეზობელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშიში აღმოჩნდა, რადგან მათ მეზობლებთან მტრული ურთიერთობა ჰქონდათ. წყაროებში ლაპარაკია სულთან მაჰმუდის მიერ დაშვებულ შეცდომაზე, რაც დენდანეჯანის ველზე სელჩუკთა დაბანაკების ნებართვის მიცემაში გამოიხატებოდა. ბეიჰაყი აღნიშნავს რომ მაჰმუდმა დაუშვა ისეთი შეცდომა, რომლის გამოსწორება სელჩუკების ხორასანიდან განდევნამდე ვერ მოხერხდა<sup>60</sup>.

წყაროში პირდაპირ მითითებულია, სულთანს „ნანობდა, რომ სელჩუკთა ჩამომავალნი თავის ქვეყანაში დაასახლა. მას ეშინოდა მათი და არ მოსწონდა მათი შეჩერების ადგილი<sup>61</sup>“. სულთანს სრული საფუძველი გააჩნდა ამ სინანულისათვის. სელჩუკთა ჩამოსახლების ხანაში ლაზნელთა სახელმწიფოში შინაგანი ვითარება გამწვავებული იყო. მაჰმუდ ლაზნევის მიერ მეზობლებთან წარმოებული განუწყვეტელი ომები დიდ ხარჯებს მოითხოვდა და ამიტომ მთელი ეს სიმძიმე მწარმოებელ საზოგადოებას აწვა. სულთანმა მძიმე გადასახადები შეაწერა ადგილობრივ მოსახლეობას. საზოგადოების თითქმის ყველა ფენა უკმაყოფილო იყო სულთნის ასეთი საგადასახადო პოლიტიკით. ქვეყნის შინაგანი ვითარების გართულება დაემთხვა სელჩუკთა გამოჩენას და ამიტომ „დეჰყანებმა თურქ-სელჩუკებში დაინახეს ძალა, რომლის შემწეობით შეაძლებელი ჩანდა ლაზნელთა ბატონობის დამხობა. ირანის მრავალმა ქალაქმა გაუღო თავისი ალაყაფები თურქ-სელჩუკებს. ირანელი წარჩინებულები ზეიმით ზედებოდნენ მათ. დრტვინავდა და დელავდა მხოლოდ „დაბალი ხალხი“, რომელსაც გაგონილი ჰქონდა თურქ-სელჩუკთა ძარცვა-რბევის ამბავი შუა აზიის ქალაქებში“<sup>62</sup>.

<sup>59</sup> სელჩუკების ხორასანში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ლაზნელთა სულთნის მიერ მიღებული ღონისძიების შესახებ იხ. M. A. K ö y m e n, Būyüç Selçuklu İmparatorluğunun kuruluşü..., გვ. 51—59.

<sup>60</sup> M H T T, I, стр. 235.

<sup>61</sup> ი ქ ვ ე. გვ. 93.

<sup>62</sup> ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში..., გვ. 22.

სელჩუკებმა იმთავითვე მტრული პოზიცია დაიკირეს ღაზნელე-ბის მიმართ. მათ მიემხრო ადგილობრივ თურქმენტა ტომები, რომლებიც ღაზნელებს დაუპირისპირდნენ. სელჩუკებმა დაამარცხეს ჰაჯიბ არსლანი. მაჰმუდ ღაზნევი იძულებული გახდა ხორასნის სელჩუკების მეთვალყურედ თავისი შვილი მასუდი დაენიშნა. მასუდს სელჩუკებთან თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგში მდგომარეობა გაუარესდა.

წყაროდან ჩანს, რომ სელჩუკებს ხორასანში მეზობლებთან მტრული დამოკიდებულება ჰქონიათ და მათზე მეთვალყურეობა დაუწყეს-ბიათ<sup>63</sup>. წყაროში ხაზგასმულია, რომ სელჩუკები გაუმადლობას იჩენდნენ და მეზობელთა ქონებას იტაცებდნენ, არავის არ ინდობდნენ. სელჩუკთა თარეშით შეწუხებულმა სულთან მასუდმა საგანგებო ღონისძიებებს მიმართა. მან სელჩუკების წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა, დაამარცხა ისინი, მეტი წილი დაატყვევა და სიკვდილით დასაჯა. „ამას გარდა დატყვევებულ იქნა დიდი წინამძღოლი ამირ იაბლუ არსლანი, რომელსაც ისრაილ ბენ სელჩუკს ეძახდნენ. ის ღაზნაში გაგზავნეს... ისრაილი იქ მოკვდა“<sup>64</sup>. მათ შორის მტრობა უფრო გაძლიერდა“<sup>65</sup>.

ანონიმი ავტორი სელჩუკთა და ღაზნელებს შორის არსებულ მტრობას სულ სხვანაირად ხსნის. მისი სიტყვით, სელჩუკები ძალიან გაანაწყენა სულთან მასუდმა, როდესაც მათ არ დაუბრუნა დატყვევებული ბილუ. იგი აღნიშნავს: „როცა სულთან მასუდი ტახტზე ავიდა, თორღული და ჩადრი-ბეგი ხორასანში მივიდნენ, სულთანს თაყვანი სცეს და ბილუ მოსთხოვეს; სულთან მასუდმა არ მისცა. ამის გამო იმედგაწყვეტილი სელჩუკების გულში მტრობამ გაიღვიძა და ყველგან ნგრევას მიყვეს ხელი“<sup>66</sup>.

წყაროების ცნობით სელჩუკთა ცალკეული რაზმები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ადგილობრივ მოსახლეობას. სელჩუკები ღაზნელებთან პირველი შეტაკებისთანავე დამარცხდნენ<sup>67</sup>.

სელჩუკების ისტორიის ადრეული პერიოდის შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია. ცნობილია, რომ ისინი X—XI სს. მიჯნაზე მომთაბარულ ცხოვრებას მისდევდნენ მავერანაჰრში — ბუხარასა და

<sup>63</sup> Anadolu Sekçukluları devleti Tarihi, III, გვ. 3.

<sup>64</sup> ისრაილის საჰმინობის და მისი ღაზნელების წინააღმდეგ მოწყობილი ბრძოლების შესახებ, მისი დატყვევებისა და იქ გარდაცვალების შესახებ შედარებით ვრცელ ცნობებს გვაწვდის ჰერბი ედ-დინ აყსარაი. იხ. Selçukî Devletleri Tarihi Aksaraylı Kerimeddin Mahmudun..., გვ. 107—108.

<sup>65</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 4; ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 3; М И Т Т, I, стр. 321.

<sup>66</sup> Anadolu Selçukluları devleti Tarihi, III, Ankara, 1952, გვ. 4.

<sup>67</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 3; М И Т Т, I, стр. 321.

სამარყანდს შორის, თავს ესხმოდნენ მეზობელ ოლქებს, დაყოფილი იყვნენ რაზდენიმე ჯგუფად; ერთი ნაწილი ხორასანში შეიჭრა და იქ მომთაბარეობდა. წყაროებში საგანგებოდაა მითითებული XI ს-ის 30-იან წლებში მათი ირანისაკენ გადანაცვლების შესახებ; მიუხედავად იმისა, რომ თურქმენები სელჩუკის შვილის არსლანის (ირაილის) საგვარეულოდან იყვნენ, მათ სელჩუკებთან კავშირი გაწყვიტეს და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს<sup>68</sup>.

სელჩუკები თანდათანობით ძლიერდებოდნენ. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ მათი მეზობელი ლაზნელები სუსტდებოდნენ და ლაზნელი სულთნების დაპყრობითი პოლიტიკა მარცხს განიცდიდა. მასულ ლაზნევის მიერ მოპოვებულ საბრძოლო წარმატებებს სახელმწიფოსათვის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

წყაროში პირდაპირ მითითებულია, რომ მაჰმუდ ლაზნევის მიერ ქვეყნის შიგნით გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ ერთგვარად ხელი შეუწყო სელჩუკთა წარმატებებს და მათ მიერ ხორასნის ხელში ჩაგდებას<sup>69</sup>.

ლაზნევიანთა დასუსტებულ სახელმწიფოს საზღვრებზე თურქმენთა ტომებმა გააძლიერეს თარეში. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თოღრულ-ბეგი, დავუდი და მუსა იაბლუ. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ მასულ ლაზნევის მთავრობამ ავტორიტეტი დაკარგა და ხალხში დიდ სიძულვილს იწვევდა. მასულის მრავალრიცხოვანი ლაშქარიც იშლებოდა და ბრძოლისუნარიანობას კარგავდა უდისციპლინობისა და უვარგისი ხელმძღვანელობის გამო. ამასთანავე ლაზნევიანთა ლაშქარში უმრავლესობა თურქები იყვნენ; ისინი კი ბრძოლის ველს ყველაზე კრიტიკულ მომენტში სტოვებდნენ და თურქმენების მხარეზე გადადიოდნენ. ლაზნევიანთა ვეზირი, რომელიც რეალურად გრძნობდა სელჩუკთა თანდათანობით გაძლიერების საშიშროებას და თავისი სახელმწიფოს დასუსტებას, სელჩუკთა გულის მოგებას სხვა გზით ფიქრობდა და სულთანს უმტკიცებდა, რომ „სელჩუკთა გული საპატიო ხალათებით უნდა მოვინადიროთ. ჩვენ დავპირდეთ მათ ნესას თავისი საზღვრებით, ფერავეს რაბათს და სხვა ადგილებს და ამით ვასიამოვნოთ“<sup>70</sup>. მაგრამ, სულთანმა არ მიიღო ვეზირის რჩევა, მას ბრალი დასდო სელჩუკებისადმი კეთილ დამოკიდებულებაში და დასაჯა იგი. ლაზნელთა სულთანს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა

<sup>68</sup> Очерки из истории Туркменского народа и Туркменистана, в VIII—XIX вв., Ашхабад, 1954, стр. 95.

<sup>69</sup> М И Т Т, I, стр. 344.

<sup>70</sup> ა ბ ბ რ, გვ. 4.

შეფასებული სელჩუკთა ძალები და ამიტომ ითხოვდა დაუყოვნებლივ მათ წინააღმდეგ გალაშქრებას.

სულთან მასულმა მოამზადა ლაშქარი და ლაშქრის მეთაურებიც თვითონვე აირჩია; ბეიჰაყის ცნობით, ლაშქრის საერთო მეთაურად დანიშნა ჰაჯიბ ბეგდოღდი და ქეთხუდების უფროსად ხოჯა ჰუსეინ ბ. ალი ბ. მიქაილი. მან 15 ათასი კარგად შეიარაღებული მხედარი და ორი ათასი სასაჯლის მონა გამოიყვანა საბრძოლველად<sup>71</sup>. სულთან მასულდის ლაშქარი თავს დაესხა სელჩუკებს. სელჩუკებმა ხერხი იხმარეს. ისინი გაიქცნენ, თავიანთი კარვები, ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონება კი დატოვეს და დაიძალნენ. „როდესაც სულთან მასულდის ლაშქარი მთელ მათ ქონებას იტაცებდა, სელჩუკები გამოვიდნენ საფარიდან, ეძგერნენ მათ და დაამარცხეს. სულთნის დამარცხებული ჯარი ნიშაბურში წავიდა“<sup>72</sup>. როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, მიუხედავად სულთან მასულდის საგანგებო მომზადებისა, სელჩუკებმა სძლიეს მის ლაშქარს. სელჩუკები უკვე მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ და ღაზნევიანთა დინასტიის დაუძინებელი მტრები იყვნენ. სავსებით მართალი აღმოჩნდა სულთან მასულდის ვეზირი, როდესაც მას ურჩევდა, სელჩუკებს პატივითა და შეპირებებით ვასიამოვნოთო. ვეზირი დარწმუნებული იყო სელჩუკების სიძლიერეში, რაც სწორად ვერ შეაფასა სულთან მასულმა. სელჩუკები ასეთ მრისხანე ძალად იქცნენ მას შემდეგ, რაც ამირ მიქაილი გარდაიცვალა და მის შვილებს შორის მთელი ძალაუფლება თორღულ-ბეგმა ჩაიგდო ხელთ.

ღაზნელებთან ბრძოლა ფერავესა და შაჰრესთანს შორის გაშლილ ველზე მოხდა 1035 წელს. სელჩუკებმა ამ ბრძოლაში ხელთ იგდეს ღაზნელი სულთნის ხაზინა, რომელშიც ათი მილიონი დინარი ყოფილა, იარაღი, სხვა ნივთები და საქონელი<sup>73</sup>. ჰაჯიბ ბეგდოღდი ამ ბრძოლიდან გაიქცა და ჰუსეინ ბ. ალი ბ. მიქაილი მარტო დარჩა.

ღაზნელები სასტიკად დამარცხდნენ. ეს სელჩუკების პირველი დიდი გამარჯვება იყო ღაზნელებთან ომში.

სელჩუკთა ელჩისა და ღაზნელთა მეთაურთა მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ სელჩუკებისათვის დაეთმოთ ნესა, ფერავე და დეჰისტანი და მათთვის გაეგზავნათ საპატიო ხალათები, ფირმანი და დროშა. ღაზნელთა წარმომადგენელს სინის დაევალა წასულიყო სელჩუკებთან, გადაეცა მათთვის ეს ხალათები და დაევალდებულენინა ისინი ქედი მოეხარათ და თაყვანი ეცათ სულთნის უზენაესობისათვის ნიშნად მათი მომავალი მორჩილებისა. სელჩუკები ვალდებულებას

<sup>71</sup> М И Т Т, I, стр. 950.

<sup>72</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 4; რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 93; М И Т Т, I, стр. 250—253.

<sup>73</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 94.



კისრულობდნენ ამ საპი ოლქით დაკმაყოფილებულიყვნენ. როდესაც სულთანი ბალხში მოვიდოდა, რომელიმე მათგანი უნდა ხლებოდა მას ნიშნად მისი უსაფრთხოებისა. ამ პირობის საფუძველზე დეჰისთან დაუღს ერგო, ნესა — თორღულ-ბეგს და ფერავე — იაბლუს. სელჩუკ ბეგებს „დეჰისთანის“ ტიტულები ებოძათ. გარდა ამისა სულთანმა მათ სამი საპატიო ხალათი გაუგზავნა ნიშნად პროვინციის განმგებლობისა, უბოძა ორრქიანი ქულები, დროშა, ტანისამოსი, ცხენი, უნაგირი, ოქროს ქაპარი, ყოველგვარი სახის ქსოვილები თითოეულს ოცდაათი<sup>74</sup>.

სელჩუკთა მეთაურებმა ამ დროისათვის იმდენად განიმტკიცეს პოზიციები. რომ ღაზნელთა მიერ ბოძებული საჩუქრების პასუხად თორღულ-ბეგმა წერილი გაუგზავნა ღაზნელთა სულთანს. ამ წერილმა აიძულა სულთანი ბრძანება გაეცა, რომ „ნიშაბურისა და მისი მიდამოების ხარაჯა ამათთვის (სელჩუკებისათვის — ნ. შ.) გაეცათ“<sup>75</sup>.

სელჩუკებისაგან დაბრუნებული ღაზნელთა წარმომადგენელი — სინი, თავის ვეზირსა და დივანის გამგებელს მოახსენებდა, რომ სელჩუკები სანდონი არ არიან, მათ ყველას თავში ქარი უქრით. მათ ფეხქვეშ გათელეს სულთნის მიერ გაგზავნილი ორრქიანი ქუდი. სულთანი ნუ წაუა ჰერათში, რადგან ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოყვესო. სინი იხსნიდა პასუხისმგებლობას სელჩუკთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან<sup>76</sup>.

მართალია, ღაზნელთა დამარცხებული სულთანი უხვად გაუმასპინძლდა გამარჯვებულთ, მაგრამ იგი სელჩუკებთან გადამწყვეტ ბრძოლისათვის მაინც ემზადებოდა. მისთვის ყოვლად წარმოდგენელი იყო ღაზნელთა ტერიტორიებზე სელჩუკთა გაბატონება. სელჩუკები კი ამ პერიოდში გაძლიერებული იყვნენ და მათი საქმიანობა შორს იყო წასული<sup>77</sup>. სელჩუკები ისევე განაგრძობდნენ თავდასხმებს ჩრდილოეთ ხორასანში. ერთ-ერთი მხედართმთავარი, რომელსაც სულთან მასუდისაგან ჰქონდა საგანგებოდ დავალებული სელჩუკთა განდევნა ხორასანიდან, სულთანს მოახსენებდა, სელჩუკების საქმე იმდენად წინაა წასული, რომ მე და ჩემისთანებს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეგვიძლიათ<sup>78</sup>.

<sup>74</sup> М И Т Т, I, стр. 255; ახბარ, გვ. 4; იბნ ალ-ასირის ნაშრომი, Bondar-ის მიხედვით, გვ. LVII; M. A. Köymen, Büyük Selçuklu İmparatorluğunun Kuruluşu..., გვ. 69; მისივე, Selçuklu devri Türk Tarihi, 1963, Ankara, გვ. 43; İslam Ansiklopedisi, cüz 104, 1964, გვ. 361.

<sup>75</sup> ახბარ, გვ. 4.

<sup>76</sup> М И Т Т, I, стр. 256.

<sup>77</sup> რავენდი, I, გვ. 94; М И Т Т, I, стр. 257—259.

<sup>78</sup> ქამდალაპყაზვინი, გვ. 424; რავენდი, I, გვ. 95.

ვ. ბარტოლდი შენიშნავს, რომ სელჩუკებთან ბრძოლის დროს დაზნეულთა ლაშქარი ყოველთვის უფრო მრავალრიცხოვანი იყო და უკეთ შეიარაღებულიც, მაგრამ სელჩუკები მათ წინააღმდეგ მთელი მომთაბარე ტომებით მიემართებოდნენ. ამასთანავე მათ დაახმარებლად ახალ-ახალი ძალები მოდიოდა მავერანნაჰრიდან<sup>79</sup>. სულთან მასულთან ბრძოლებში სელჩუკები ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ. წყაროში აღნიშნულია, რომ „რაკი სულთნის ვეზირები და ამირები ხორასანს არავითარ ზედმეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და სელჩუკთა ამირებს როგორც დამცირებულებს, ისე უყურებდნენ. ამიტომ ძლიერდებოდა მათი (ე. ი. სელჩუკების—წ. შ.) სიხარბე და გაჰმდობა დაზნეულთა სასულთნოს მიმართ“<sup>80</sup>. ამიტომ, სულთან მასულმა ვაღა-წყვიტა სელჩუკები საბოლოოდ განედევნა ხორასანიდან. ამ მიზნით შეკრიბა დიდი ლაშქარი, თვითონ ინდოეთში წავიდა სალაშქროდ, ხოლო სელჩუკების წინააღმდეგ გამზადებულ, ნიშაბურში მყოფ დაზნეულთა ლაშქარს მეთაურად ჰაჯიბ სუბაში დაუნიშნა. ბარ ჰებრაის ცნობით, დაზნეულები სელჩუკების წინააღმდეგ 30000 ჯარისკაცით გამოვიდნენ<sup>81</sup>. სარახსთან მომხდარ ბრძოლაში 1038 წელს ჩაღრი-ბეგის დიდი მეცადინეობით დაზნეულები დამარცხდნენ. ჰაჯიბ სუბაში ბრძოლაში დაიჭრა. ამ გამარჯვებას სელჩუკებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შემდეგ ისინი უფრო გაძლიერდნენ. ეს იყო სელჩუკთა მეორე დიდი გამარჯვება დაზნეულებზე, რომლის შედეგადაც ხორასანი მათ ხელში გადადიოდა. ამ ბრძოლის მსვლელობა და მისი შედეგები, იბრაჰიმ იინალის ნიშაბურში შესვლა და მორჩილების მოთხოვნა, მოსახლეობის განწყობილება, წარჩინებულთა თათბირი და პასუხი იბრაჰიმ იინალის მოთხოვნაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მორჩილების გამოცხადება, შემდეგ თორღულ-ბეგის შესვლა ქალაქში და მისი ურთიერთობა ყადისთან და ქალაქის სხვა წარჩინებულებთან ბეიჰაყის, როგორც ამ ამბების თვითმხილველსა და მონაწილეს, დაწვრილებით აქვს აღწერილი<sup>82</sup>.

ამ გამარჯვების შემდეგ „თორღულ-ბეგი ნიშაბურში მოვიდა და შადიახის ბაღში ბედნიერ ტახტზე დაჯდა“<sup>83</sup>. თორღულ-ბეგი დიდი ზემოთ შევიდა ნიშაბურში. მას მიაცილებდა 3000-მდე ცხენოსანი. მის სახელზე ხუტბა იქნა წაკითხული მეჩეთში. სელჩუკთა მეთაურებმა დაზ-

<sup>79</sup> В. В. Бартольд, Соч., т. I, М., 1963, гл. 365.

<sup>80</sup> ახბარ, გვ. 5.

<sup>81</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 296.

<sup>82</sup> Абул-Фазл Бейхაკи, История Масуда, стр. 488—493.

<sup>83</sup> რავენდი, I, გვ. 95; ჰამდალაკ ყაზვინი, გვ. 424; М. А. Кюмენ, Selçuklu devri Türk Tarihi, Ankara, 1963, гл. 47—48.

ნელთა დაპყრობილი ტერიტორიები დაინაწილეს. ჩადრი-ბეგმა მერვი დაისაკუთრა, მუსა იაბღუმ — სარახსი; თოღრულ-ბეგმა კი — ნიშაბურში<sup>84</sup>.

ნიშაბურში სულთან მასუდის ტახტზე თოღრულ-ბეგის ასვლით იწყება დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია. ამ სახელმწიფოს ფუძემდებლად თოღრულ-ბეგია მიჩნეული, რადგან ოფიციალურად პირველად მან დაიჭირა სულთნის ტახტი და სულთნის ტიტული მიიღო. ნასერ-ე ხოროვის ცნობით, თოღრულ-ბეგმა, რომ ნიშაბურში ტახტი დაიკავა, ბრძანა ქალაქის მოსახლეობა სამი წლით გადასახადისაგან გაეთავისუფლებინათ<sup>85</sup>. შემდეგ მან ხალიფას ელჩი აახლა ბაღდადში და ოღუზთაგან მიყენებული ზარალის გამო დახმარება შესთავაზა. ეს კი სელჩუკთა სულთნის მიერ ხალიფას ცნობას ნიშნავდა<sup>86</sup>.

ხალიფამაც ელჩი გაუგზავნა თოღრულ-ბეგს ნიშაბურში და მთელ ხორასანსა და თურქმენთა შორის მისი ძალაუფლება ოფიციალურად სცნო<sup>87</sup>.

ხორასანში სელჩუკთა წარმატებებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ღაზნის სულთანი; ერთ-ერთი ამირი, რომელსაც ხორასანის მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, სელჩუკებთან დამარცხების შემდეგ სულთანს მოახსენებდა: „სელჩუკები ისეთი მეომარი ხალხია, რომ ომის სურვილს უმოქმედია მათ სულზე... ხმლებითა და ისრებით მათთან ვერ მიხვალ; ისეთი მხედრები არიან, რომ სიკვდილი მათ თვალში არაფერია“<sup>88</sup>. სელჩუკებთან ბრძოლის წარუმატებლობის მიზეზს ხორასანის ამირი სულთნის დაუდევრობასა და ქვეყნის დასუსტებაში ხედავდა. ის აღნიშნავდა, რომ „ეს სახელმწიფო მობერდა, ხოლო სიბერისაგან არავითარი წამალი არ არსებობს“<sup>89</sup>. ამირი ღაზნელთა სახელმწიფოს გარდუევალ დაღუპვას უწინასწარმეტყველებდა.

ღაზნევიანთა სახელმწიფოს გარდუევალი დაღუპვისა და გადაშენების შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა აგრეთვე სელჩუკებთან ბრძოლაში დამარცხებული სუბაში, რომელსაც სულთან მასუდი ბრალს დებდა წარუმატებლობაში; იგი სულთან მასუდს მიმართავდა:

<sup>84</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 6; *İslâm Ansıklopedisi*, cüz, 104, 1964, გვ. 361.

<sup>85</sup> Н а с и р и Х у с р а у, Сафар-намэ, перевод и вступительная статья Е. Э. Бертельса, М.-Л., 1933, стр. 198.

<sup>86</sup> I. K a f e s o ğ l u, Sultan Melikşah Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu, İstanbul, 1953, გვ. 35.

<sup>87</sup> ბ ა რ ჰ ე რ ა ი, I, გვ. 296; *İslâm Ansıklopedisi*, cüz 104, 1964, İstanbul, გვ. 361.

<sup>88</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 6.

<sup>89</sup> ი ქ ვ ე.

„როგორ შეუძლია ექიმს მოხუცი გაანახლავდეს და როგორ შეუძლია მოგზაურს მოჩვენება ღვინოდ აქციოს? ყოველ სახელმწიფოს აღმავლობის პერიოდი აქვს; ყოველ ბრწყინვალეობას დაბნელება მოსდევს, ყველა ერს თავისი ბედნიერების დღე აქვს და ყოველ ხანას თავისი მეფე ჰყავს“<sup>90</sup>.

სულთან მასუდმა რომ შეიტყო ხორასანში სელჩუკთა გამარჯვებების ამბავი, სასწრაფოდ დაიწყო ღონისძიებათა მიღება; იგი 300 მეზობლი სპილოთი, 50000 მხედრითა და ქვეითთ ბალხში მოვიდა და სასწრაფოდ სარახსში გადავიდა. ჩაღრი-ბეგი ამ დროს თალეყანისა და ფარიაბის მხარეებს იპყრობდა, ხოლო ჯარის ერთი ნაწილი კი ბალხის გალავანსაც იყო მიმდგარი<sup>91</sup>.

სელჩუკებსა და დაზნელთა მრავალრიცხოვან ლაშქარს შორის შეტაკება მოხდა 1039 წლის მაისის თვეში. ამ ბრძოლაში სელჩუკები დამარცხდნენ; ბრძოლის მონაწილე და თვითმხილველი აბულ-ფაზლ ბეი-ჰაყი დაწვრილებით აღწერს ბრძოლის მსვლელობას<sup>92</sup>, რომელიც თითქმის მთელი წელი გაგრძელდა.

სელჩუკთა მოწინავე ლაშქართან შეტაკება პირველად სარახს-ალიაბადის ველზე მოხდა. აქედან გზა სარახსისაკენ გადიოდა, სადაც მასუდი სელჩუკებთან გადამწყვეტ ბრძოლას აპირებდა. სელჩუკების ძირითადი ძალები სარახსთან შეხვდა სულთან მასუდს; ძლიერი ბრძოლის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გამარჯვება სულთან მასუდს დარჩა. მაგრამ სულთან მასუდს კარგად ეამოდა, რომ ეს გამარჯვება დროებითი იყო, ჯერ კიდევ წინ იყო ბრძოლები და გენერალური შეხვედრისათვის კარგად უნდა მომზადებულიყო. ერთ-ერთი წარჩინებული სულთან მასუდს არწმუნებდა, რომ დროებით შეეწყვიტა ბრძოლები სელჩუკებთან, მოლაპარაკებოდა მათ და თვითონ ჰერათში წასულიყო, იქ მოეგროვებინა ძალები, რათა შემდეგში სელჩუკებისთვის ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო. სულთან მასუდმა შეისმინა ეს დარიგება, მაგრამ ჰერათში გამგზავრებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, რადგან ჯარის შეგროვება ადგილობრივი ფეოდალებისათვის გადაიქცა მოსახლეობის ახალი ძარცვის საბაბად. ჰერათის ოლქი მოკლე ხანში გავერანდა; მოსახლეობა გარბოდა თავისი ადგილსაცხოვრისიდან. სულ-

<sup>90</sup> ახზარ, გვ. 7.

<sup>91</sup> *İslâm Ansiklopedisi*, cilt 9, cüz 104, 1964; İstanbul, გვ. 361—362.

<sup>92</sup> *М И Т Т*, I, გვ. 273—292; შდრ. *İslâm Ansiklopedisi*, cüz. 104, გვ. 362; ახზარ, გვ. 7; *M. A. Köymen, Büyük Selçuklu İmparatorluğunun Kuruluşu...*, გვ. 73; მისივე, *Selçuklu devri Türk Tarihi...*, გვ. 47—53.

თნის ხელისუფლებამ დაკარგა ყოველგვარი ავტორიტეტი, ლაშქარში დისციპლინა მოიშალა.

სელჩუკები თანდათანობით იკავებდნენ ქალაქებს: ნიშაბურს, რეის. ხორასანს, მერვს და სხვ. სულთან მასუდის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ამასთანავე ლაზნევიანთა პოლიტიკაო უკმაყოფილო იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენები, რომლებიც აურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში განუდგნენ ლაზნევიანებს და სელჩუკებს მიენხრნენ. მაგალითად, ირანელი ფეოდალები სიხარულით ხვდებოდნენ სელჩუკებს; მხოლოდ მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის იყო მძიმე სელჩუკების გამოჩენა, რომელთაც განადგურების მეტი არაფერი მოჰქონდათ მწარმოებელი საზოგადოებისათვის. ლაზნევიანთა წინააღმდეგ მიმართული ფართო სახალხო მოძრაობები იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სელჩუკთა წარმატებისა.

სულთან მასუდის ლაშქარი ხორასანისკენ გაემართა და სელჩუკები განდევნა ტუხიდან, ნიშაბურიდან და სხვა ქალაქებიდან. თორღულ-ბეგმა კი ნესას მხარეს მიაშურა.

სელჩუკთა მიერ დროებით დატოვებული ქალაქები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ: ისინი სელჩუკებმა გაანადგურეს და გაავერანეს.

გალატაკებული მოსახლეობა შიმშილისაგან იხოცებოდა. ამ მძიმე მდგომარეობის თვითმხილველი ბეიჰაყი დაწვრილებით გადმოგვცემს სელჩუკთა მიერ განადგურებული ქალაქების ვითარებას.

ამჟამად იყო სელჩუკთა ძლიერება შუა აზიაში. ქერიმ ედ-დინ აყსარაი აღნიშნავს, რომ „თორღულ-ბეგის ქვეყანა დღითი დღე ფართოვდებოდა, ძლიერდებოდა. ხორეზმი, თაბარისტანი, მაზანდარანი, ფარსი, ქერმანი, აზერბაიჯანი მათ ხელში გადავიდა. არანი დაპყროვილი იქნა“<sup>93</sup>. ამრიგად, XI ს-ის 40-იანი წლებისათვის სელჩუკები ისე გაძლიერდნენ, რომ თავიანთი ძალაუფლება რამდენიმე ქვეყანაზე გაავრცელეს. სელჩუკთა ამ პერიოდის მოძრაობის შესახებ მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ მათ დაიპყრეს მრავალი ქვეყანა; ისინი გზად გავლისას ყველაფერს ანადგურებდნენ, რომ სელჩუკები «снялись с места, опустошая все на своем пути, вторглись в пустыни Кухистана и в горы Ирак-Аджема, а частью поселились в Азербайджане»<sup>94</sup>.

სელჩუკთა მიერ ვრცელი ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ სელჩუკთა უფლისწულებმა ქვეყანა გაიყვეს. თორღულ-ბეგსა და ჩაღრი-ბეგს ერგო ტერიტორია მდ. ჯეიჰუნიდან ნიშაბურამდე; იბრაჰიმ

<sup>93</sup> აყსარაი, გვ. 109.

<sup>94</sup> Архив Маркса и Энгельса, стр. 110.

ინნალის — ყოპესთანი და ჟურჯანი; აბუ ალი ალ-ჰასან იბნ მუსა იბნ სელჩუკს — პერათი, ბუშენჯი, სეჯესთანი და ღურის ქვეყანა<sup>95</sup>. სელჩუკის მემკვიდრეთა ხელში ცალკეული ქვეყნების გადასვლამ, სელჩუკებთან ბრძოლაში დაზნეულთა ლაშქრის სისტემატურმა დამარცხებებმა, სელჩუკთა გაძუდმებულმა თარეშმა მათ საზღვრებზე და სხვა მთელმა რიგმა მიზნებმა დაზნევიანთა სახელმწიფო დაცემის პირამდე მიიყვანეს. ლაშქარში დისციპლინა მოიშალა, ხელმძღვანელობა სრულებით არ იყო; ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინტენსიურად ხდებოდა დაზნევიანთა ლაშქრისა და მოსაზღვრე ზონების გათურქება; ხოლო ეს ჩამოსახლებული თურქული მოდგომის ტომები კრიტიკულ მომენტში დალატობდნენ დაზნეულებს და სელჩუკთა მხარეზე გადადიოდნენ. დაზნევიანთა სახელმწიფოს დაღუპვა გარდუქალი ჩანდა.

წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ სელჩუკების დაზნეულებთან შეტაკებებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც გრძნობდა დაზნევიანთა ხელისუფლების სისუსტეს, აშკარად გადადიოდა სელჩუკთა მხარეზე. სელჩუკთა ამირები დაზნევიანთა წინააღმდეგ ხან ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, ხან კიდევ გაერთიანებული ძალებით ესხმოდნენ თავს. სულთან მასუდი ხელს მაინც არ იღებდა ლაშქრობაზე სელჩუკების წინააღმდეგ. ბეიჰაყი დაწვრილებით გადმოგვეცემს სელჩუკებისა და დაზნეულების გადამწყვეტ ბრძოლას დენდანეკანის ველზე. იგი ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო და სულთანს თან ახლდა ვითარცა დაახლოებული პირი<sup>96</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, სულთან მასუდს გადაწყვეტილი ჰქონდა გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა სელჩუკებთან და ამით ბოლო მოეღო მათი ძლიერებისათვის. ამ მიზნით სულთან მასუდი უზარმაზარი ლაშქრით გაემართა მერვის გზით სელჩუკთა მთავარ ძალებზე თავდასასხმელად. გადამწყვეტი ბრძოლა სელჩუკებსა და დაზნეულებს შორის მოხდა 1040 წლის 22—24 მაისს, დენდანეკანის ველზე, სარახსსა და მერვს შორის.

დენდანეკანთან დაზნეულები სასტიკად დამარცხდნენ. დენდანეკანმა ჭაერთოდ დიდი როლი შეასრულა სელჩუკთა ცხოვრებაში. იგი მდებარეობდა მერვის სამიწათმოქმედო ოაზისსა და მომთაბარეთა ველის საზღვარზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სელჩუკ-თურქმენული სახელმწიფოს წარმოქმნაში; ათ წელზე მეტი ხნის განმავ-

<sup>95</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 6; შღრ. М И Т Т, I, стр. 322; Anadolu Selçukluları..., III, გვ. 4.

<sup>96</sup> М И Т Т, I, стр. 293—300.

ლობაში ეს რაიონი წარმოადგენდა სელჩუკთა ძალების კონცენტრაციის ცენტრს<sup>97</sup>.

დენდანეკანთან დაზნელთა დამარცხების მიზეზად წყაროები ერთხმად აღიარებენ დაზნელთა ლაშქრის უწყლოდ დარჩენას ბრძოლის ველზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით სელჩუკებს. მათ წინასწარ ამოავსეს ქები. ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სელჩუკთა გამარჯვებაში დაზნელთა ლაშქრის ერთი ნაწილის დალატმა და, ბოლოს, დაზნელთა მთავარსარდლობაში მტკიცე ხელმძღვანელობის უქონლობამ და ლაშქრის უღისციპლინობამ<sup>98</sup>.

ამ გამარჯვებით სელჩუკებს ურიცხვი ქონება ჩაუვარდათ ხელში. ბეიჰაყი საგანგებოდ აღნიშნავს, სელჩუკთა ხელში ნადავლის სახით ჩავარდნილ ოქროსა და ვერცხლს, ტანისამოსსა და საქონელს საზომი არა აქვს<sup>99</sup>. დამარცხებული სულთან მასუდი ასიოდე მხლებლით გაიქცა<sup>100</sup>. სულთნის მთელი ხაზინისა და ბანაკის ხელში ჩაგდების გარდა სელჩუკებმა დაზნელთა წარჩინებულებიც მიიმხრეს და ამით უფრო გაძლიერდნენ. ბეიჰაყის გადმოცემით სელჩუკებმა გამარჯვებისთანავე დასცეს კარაგი, ტახტი მოიტანეს და ზედ თოღრული დასვეს. მოვიდნენ წარჩინებულები და მას მიესალმნენ, როგორც ხორასნის ამირს<sup>101</sup>.

სელჩუკთა გამარჯვება აშკარად დიდი იყო. სელჩუკმა უფლისწულებმა თავისი გამარჯვების საილუსტრაციოდ წერილები, დაუგზავნეს თურქმენ ხანებსა და წარჩინებულებს. ამ წერილებთან ერთად მათ გააგზავნეს ფირმანი მასუდ დაზნევის ბეჭდით და სამხედრო დროშებით.

---

<sup>97</sup> Б. Н. Заходер, Денданекан, „Исторический журнал“, № 3—4, 1943, стр. 76. ავტორი არქეოლოგიური დაზვერვებისა და კვლევა-ძიების შედეგად ახდენს დენდანეკანის ლოკალიზაციას. მისი აზრით, დენდანეკანის დღევანდელი სახელწოდება არის თამ-რბადი. დენდანეკანის შესახებ იხ. აბულ-ფაზლ ბეიჰაყი, დასახ. ნაშრ., გვ. 674—5; Очерки по истории туркменского народа, стр. 107—108; С. А. Ершов, Данданекан, (Археологические разведки у Таш-Рабата в 1942 г.), «Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института истории материальной культуры», XV, 1947, М.-Л., стр. 126—136; ჰამდ აღლაჰ ყაზვინი, стр. 425—6; ახბარ, გვ. 8.

<sup>98</sup> რავენდი, I, გვ. 99; М И Т Т, I, стр. 293—300; Очерки по истории туркменского народа и туркменистана в VIII—XIX вв., стр. 107; М. А. К ö y m e n, Selçuklu devri Türk Tarihi, Ankara, 1963, გვ. 52—53.

<sup>99</sup> ბეიჰაყი, დასახ. ნაშრ., გვ. 555.

<sup>100</sup> რავენდი, I, გვ. 99—100; ახბარ, გვ. 9; İslâm Ansiklopedisi, cüz 104; İstanbul, 1964, გვ. 362.

<sup>101</sup> ბეიჰაყი, გვ. 554; М И Т Т, I, стр. 299; М. А. К ö y m e n, Selçuklu devri Türk Tarihi..., стр. 53.

წიშნად იმისა, რომ სელჩუკებმა ნამდვილად საბოლოოდ დაამარცხეს ღაზნელები<sup>102</sup>.

სელჩუკები დენდანეკანთან გამარჯვებით ერთიორად გაძლიერდნენ. ხორასნის სხვადასხვა რაიონში დაფანტული ლაშქარი მათ შეუერთდა<sup>103</sup>. ამ გამარჯვებით სელჩუკების ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა; ამით მათ საბოლოოდ ჩასცეს ლახვარი ღაზნევიანთა ძლიერებას და საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ ძალაუფლებას. ამ გამარჯვების შემდეგ სელჩუკებს გზა ხსნილი ჰქონდათ ირანის, ერაყის, მცირე აზიისა და კავკასიის მიმართულებით. „დენდანეკანის ბრძოლის შედეგი მხოლოდ ღაზნევიანთა სახელმწიფოს არსებობის საკითხს არ სწყვეტდა. გაძლიერებულმა თურქ-სელჩუკებმა შეტევა განავითარეს ერაყის, მცირე აზიის და კავკასიის მიმართულებით, მათი ტალღა თვით შორეულ ეგვიპტეს მისწვდა“<sup>104</sup>.

დენდანეკანთან გამარჯვების შემდეგ სელჩუკთა სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის მეთაურების თორღულ-ბეგის, ჩალრი-ბეგისა და იაბლუ-მუსას ხელმძღვანელობით სელჩუკები მერვში, სარახსში, აბივერდში, ნესაში, ფერავესა და სხვა ძველ ადგილსამყოფელ რაიონებში არ გაჩერებულან. ისინი დაიძრნენ ირანის, მცირე აზიისა და კავკასიისაკენ. ამ ქვეყნებში სელჩუკთა შემოსევებით დასაბამი ეძლევა ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას სირიაში, ქერმანში, მცირე აზიაში, ერაყში. დაპყრობილი ტერიტორიები თორღულ-ბეგმა და მისმა ძმებმა გაინაწილეს. ამავე დროს მათი ლაშქარი ცალ-ცალკე აწარმოებდა დაპყრობით ომებს.

ა. იაკუბოვსკი ღაზნევიანთა სახელმწიფოს დახასიათებისას გაკვირვებას გამოთქვამდა სელჩუკთა მიერ დენდანეკანთან ღაზნელების ასე მოულოდნელად საბოლოოდ დამარცხების გამო. მისი თქმით, მასულმა ვერ მოახერხა სელჩუკთა მეთაურობით მოქმედ თურქმენტა ძალების შეკავება და კატასტროფა მოხდა იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი — ხორასნის მხარეს<sup>105</sup>.

საინტერესოა თურქულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული უცნაური მოსაზრება იმის შესახებ, ოითქოს დენდანეკანთან მომხდარი ბრძო-

<sup>102</sup> М И Т Т, I, стр. 300; ბ ე ი ჰ ა ყ ი, გვ. 554; Очерки из истории туркменского народа, стр. 107.

<sup>103</sup> რ ა ე ე ნ დ ი, I, გვ. 100.

<sup>104</sup> ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში..., გვ. 122.

<sup>105</sup> А. Ю. Я к у б о в с к и й, Махмуд Газневи, к вопросу о происхождении и характере газневидского государства, сб. «Фердовси», Л., 1934, стр. 296.



ლა სელჩუკების დამოუკიდებლობისათვის წარმოებდა<sup>106</sup>. სინამდვილეში ეს ბრძოლა არაფრით არ განსხვავდებოდა სელჩუკთა მიერ წარმოებულ სხვა ბრძოლებსაგან და იგი წმინდა დაპყრობით ხასიათს ატარებდა. მომთაბარე-მეჯოგე სელჩუკებისათვის არსებობის ძირითადი პირობა ახალ-ახალი საძოვრების ძიება იყო. სწორედ საძოვრების კრიზისი იყო მათი ბრძოლების წარმოების მიზეზი. მართალია, დენდანეკანის ველზე გამარჯვებით სელჩუკებმა დაზნელთა მტაცებლური ხელისუფლებისაგან გაათავისუფლეს ხორასანი, მაგრამ ერთი უცხო დამპყრობლის ნაცვლად მოვიდა მეორე ძალა — სელჩუკთა სამხედრო-მომთაბარე არისტოკრატია, რომელმაც არანაკლებ მძიმე დღეში ჩააგდო ხორასნის მწარმოებელი საზოგადოება, ვიდრე ადრე დაზნელთა ბატონობისას იყო.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა მითითებული, რომ სელჩუკების მიერ წარმოებულ ომები დაპყრობითი და მძარცველურა ხასიათისა იყო. აღნიშნულია, რომ სელჩუკთა მიერ დაზნელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები გადაიზარდა დაპყრობით და მძარცველობით ომებში<sup>107</sup>. აკად. ა. ალი-ზადე, ეხება რა სელჩუკებისა და დაზნელების გაუთავებელ ბრძოლების შედეგებს, მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დაზნევიანთა სახელმწიფოს გადაშენებას<sup>108</sup>.

დენდანეკანთან გამარჯვების შემდეგ სელჩუკებმა უფრო გააძლიერეს აგრესიული პოლიტიკა და მოკლე ხანში მოახერხეს უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობა. თურქი ისტორიკოსი ი. ქაფესოღლუ აღნიშნავდა, რომ „სელჩუკ-თურქებმა, ისტორიის ეს პირველი გამოცდა კარგად ჩააბარეს. ამის შემდეგ ისინი ისლამის ოლქების დაპყრობას თავიანთ საქმედ უყურებდნენ“<sup>109</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, დენდანეკანთან სელჩუკთა გამარჯვების შემდეგ თოღრულ-ბეგი სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანად აკურთხეს და, ტრადიციის თანახმად, მეზობელი ქვეყნების მზრძანებლებს დაპყრობათა წიგნები დაეგზავნათ. იმავე პერიოდში მერვში შეიკრიბნენ სელჩუკთა მეთაურები და თოღრულ-ბეგის ინიციატივით მნიშვნელოვანი

<sup>106</sup> İslâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 104, İstanbul, 1964, გვ. 362.

<sup>107</sup> Очерки из истории Туркменского народа, стр. 109.

<sup>108</sup> А. А. Али-заде, К некоторым вопросам, относящимся к истории владычества Сельджуков на Среднем Востоке и в Закавказье. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1965, გვ. 267.

<sup>109</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu, გვ. 35.

გადაწყვეტილებანი მიიღეს<sup>110</sup>. უპირველეს ყოვლისა, მათ ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს და საგანგებოდ ხაზი გაუსვეს ერთმანეთთან მტკიცე კავშირის აუცილებლობას. შემდეგ თორღულ-ბეგის წინადადებით ხალიფა ალ-ჟაიმს წერილი გაუგზავნეს ელჩის — აბუ ისჰაკ ალ-ფუჟას ხელით; ამ წერილში ვრცლად იყო გადმოცემული უკანასკნელ ხანებში სელჩუკთა საქმიანობა და წარმატებები, ისლამის რელიგიისადმი მათი ერთგულება. წერილში აგრეთვე ეხებოდნენ დაზნელების დამარცხებას, სელჩუკების ხორასანში ლაშქვიდრებასა და ხალიფასადმი ერთგულებას<sup>111</sup>. ამავე შეკრებაზე გადაწყდა, რომ სელჩუკების მიერ დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიებიც გაენაწილებინათ; მათ სამფლობელოები შემდეგნაირად გაიყვეს: ტურქოს ძმას ჩაღრი-ბეგს ერგო ჯეიჰუნსა და ბალხს შორის მდებარე ტერიტორიები, სარახსისა და ბალხის ჩათვლით. სატახტო ქალაქად მან მერვი გაიხადა. მუსა იაბლუმ საგამგეოდ მიიღო ბუსთასა და სისთანს შორის მდებარე ტერიტორიები ჰერათით. სულთნის ტიტულით ნიშაბურში დარჩა თორღულ-ბეგი, რომელმაც თავისთვის დაიტოვა ერავი და მისი დასავლეთი ნაწილი. იბრაჰიმ იინალმა მიიღო ყოჰესთანი, არსლან იაბლუმს შეიღმა ყუთულშიშმა — გურგანი და დამლანი. ჩაღრი-ბეგის შეიღმა ქავერდმა — ქერმანის რაიონი, ყველას მეთაურად თორღულ-ბეგი ითვლებოდა<sup>112</sup>. სელჩუკი უფლისწულები ცალ-ცალკე წარმატებით განაგრძობდნენ დაპყრობით ომებს. დენდანეჯანის ბრძოლის შემდეგ მთელი ხორასანი მათ ხელში გადავიდა.

სელჩუკი უფლისწულები უკვე საბოლოოდ გაყოვილნი არიან. თორღულ-ბეგი დაპყრობებს აწარმოებს დასავლეთით, ჩაღრი-ბეგი — აღმოსავლეთის მიმართულებით. იაბლუ-მუსა და შემდეგ მისი შვილი ჰასანი ჰერათში რჩებიან<sup>113</sup>. სელჩუკ უფლისწულთა მიერ ქვეყნის განაწილება აშკარად მიუთითებს, რომ სელჩუკთა ტომებს შორის ფეოდალიზაციის პროცესი შორან წასული მოვლენაა, ადგილი აქვს განკერძოებისადმი მიდრეკილებას; მომთაბარულ-მეჯოგეობასთან ერთად ისი-

<sup>110</sup> İslâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 104. İstanbul, 1964, გვ. 362.

<sup>111</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 101—102; ბ ა რ - ქ ე ბ რ ა ი, I, გვ. 299.

<sup>112</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 102—103; ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 7—8; ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 426—427; М И Т Т, I, стр. 343; ა ხ ბ ა რ, გვ. 12. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი წყარო ტერიტორიების დანაწილების თარიღს—430 წელს ასახელებს (1038/39), რაც ზუსტი არ უნდა იყოს. სხვა წყაროების მიხედვით სელჩუკებმა ტერიტორიები გაინაწილეს დენდანეჯანის ბრძოლის შემდეგ. İslâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 104, გვ. 362 (M. A. Köymen, Selçuklu devri Türk Tarihi..., გვ. 54—55).

<sup>113</sup> М И Т Т, I, стр. 300; 345—355

ნი ეწევიან მკვიდრ ბინადარ ცხოვრებას, მკვიდრო კავშირს ამყარებენ დაპყრობილი ქალაქების მოსახლეობასთან. სელჩუკი ამირები თავიანთ ადგილსამყოფელად დიდ ქალაქებს ირჩევენ. მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ «Тоғрул-бек делает дальнейшие завоевания; он назывался уже в 1039 султаном Персии, передал восточные провинции Персии своему брату, учредил свою резиденцию сначала в Рее, потом 1045 в Хамадане. 1050 Тоғрул-бек отнял у Газневидов также Исфаган»<sup>114</sup>.

თორღულ-ბეგი შესანიშნავად ართმევდა თავს რთულ პოლიტიკურ სიტუაციებს; მთელი მისი საქმიანობა იმაზე მეტყველებდა, რომ იგი იმთავითვე სახავდა სელჩუკთა მომავალი პოლიტიკის ძირითად ხაზს. გონივრული პოლიტიკისა და თანმიმდევრული დაპყრობითი ომების შედეგად თორღულ-ბეგი თავის საგამგეო ქვეყანას დღითიდღე აფართოებდა.

სელჩუკთა იმპერიის წარმოშობა წარმოადგენდა რთულ პროცესს, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ძალები, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების, ისე პოლიტიკური მიმართულების თვალსაზრისითაც. ამ ძალებს აერთიანებდა ის, რომ მათ კავშირი გაწყვიტეს აბასელთა სახალიფოს სისტემასთან. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს გამოჩენა აბასელთა სახალიფოს ნანგრევებზე ამ ძალების საქმიანობის შედეგი იყო<sup>115</sup>.

სელჩუკთა მოძრაობამ მთელი წინა აზიის ფეოდალური სამყაროს ყურადღება მიიქცია. ისინი სწრაფად ამყარებდნენ კონტაქტს დაპყრობილი ქვეყნების ქალაქების მოსახლეობასთან. მათი დაპყრობების საწინდარი იყო ის, რომ პირველ ხანებში სელჩუკის მემკვიდრეებს შორის არ არსებობდა წინააღმდეგობა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, რაც შემდეგში უფრო მეტად გამოემყვანდა. სელჩუკი უფლისწულები მეზობელი ქვეყნების დაპყრობისას ერთად მოქმედებდნენ; ამ მხრივ საინტერესოა ზაპირ ედ-დინ ნიშაბურისა და რავენდის ცნობები იმის შესახებ, რომ სელჩუკთა წინამძღოლებმა — ჩადრი-ბეგმა და თორღულ-ბეგმა, მათმა ბიძებმა მუსამ, იუნუსმა და სხვა ნათესავებმა ფიცი დასდეს, დახმარებოდნენ და გვერდში ამოდგომოდნენ ერთმანეთს ყოველგვარ პირობებში. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ის,

<sup>114</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, стр. 111.

<sup>115</sup> Б. Н. Заходер, Хорасан и образование государства сельджукидов; «Вопросы истории», 1945, № 5—6, стр. 141.

რომ ამის გარეშე დაპყრობილ ტერიტორიებს დაკარგავდნენ, ხოლო სი-  
ნანულოთ მერე საქმეს ველარ ეშველებოდა<sup>116</sup>.

სელჩუკები პირველ ხანებში მტკიცედ იცავდნენ ამ ფიცს, და,  
გარკვეული კუთხით, მათი დაპყრობათა წარმატების ერთ-ერთი მიზეზი  
სწორედ ეს იყო; გარდა იმისა, რომ სელჩუკი უფლისწულები ერთი-  
ნაღ გამოდიოდნენ მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმების დროს, მათ გა-  
მარჯვებებს ხელს უწყობდა ადგილობრივ მმართველებს შორის არსე-  
ბული დიდი წინააღმდეგობანი. ისინი თავს ესხმოდნენ ერთმანეთს,  
ეწეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აღვირახსნილ ექსპლოატაციას,  
რითაც თავიანთ წინააღმდეგ ამხედრებდნენ მწარმოებელ საზოგადოე-  
ბას. ამით ისინი ქვეყანას აუძლურებდნენ, რაც ხელსაყრელ პირობებს  
უქმნიდა სელჩუკებს დაპყრობითი პოლიტიკის წარმატებით განხორ-  
ციელებისათვის.

ამრიგად, XI ს-ის 40-იანი წლებისთვის, განსაკუთრებით დენ-  
დანეკანის ველზე სელჩუკთა გამარჯვების შემდეგ, საფუძველი ეყრება  
სელჩუკთა სახელმწიფოს, რომლის პირველი სულთანი გახდა თოდ-  
რულ-ბეგი; მის სახელზე 1040/41 წელს ნიშაბურში ფული იქნა მოჭ-  
რილი, რომელსაც ეწერა ალ-ამირ ალ-აჯილ (დიდებული ამირი); უფ-  
რო გვიან, 1042/43 წელს, რეიში, ისევ თოდრულ-ბეგის სახელზე მოჭ-  
რილ მონეტაზე ეწერა ალ-ამირ ას-სეიიდ (სეიდთა ამირი)<sup>117</sup>. თოდრულ-  
ბეგის სახელზე ფულის მოჭრა სიმბოლურად გამოხატავდა მის უზე-  
ნაესობას და ხელისუფლების სიძლიერეს როგორც სხვა სელჩუკ უფ-  
ლისწულთა შორის, ისე მთელ სელჩუკ ტომებში. ის ოფიციალურად  
პირველ ერთპიროვნულ მბრძანებლად ცხადდებოდა სელჩუკთა მიერ  
დაპყრობილ მთელ ტერიტორიაზე. ამიერიდან არსებობას იწყებდა დიდ  
სელჩუკთა სახელმწიფო, რომლის ფუძემდებლად და პირველ სულთ-  
ნად თოდრულ-ბეგი ითვლებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სელჩუკთა უფლისწულებმა XI ს-ის 40-იანი  
წლებისათვის მათ მიერ დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიები  
დაინაწილეს. დენდანეკანთან გამარჯვების შემდეგ ცალკეული უფ-  
ლისწული წარმატებით განაგრძობდა ახალ-ახალი ტერიტორიების  
დაპყრობას, თოდრულ-ბეგის უმაღლეს ხელისუფლებას დამორჩილე-  
ბულმა ჩაღრი-ბეგმა, იბრაჰიმ-ინალმა და ყუთულმშიშმა განაგრძეს თა-  
ვიანთი დაპყრობითი ომები სხვადასხვა მიმართულებით. უფროსმა  
უფლისწულმა ჩაღრი-ბეგმა 1040 წლის შემოდგომაზე ბალხში გაი-

<sup>116</sup> Захир ад-дин Нишабури, Сельджук-намэ, стр. 17; რ ა -  
გ ე ნ დ ი, I, გვ. 101.

<sup>117</sup> M. A. Köymen, Selçuklu devri Türk Tarihi, გვ. 55.

ლაშქრა, სულთან მავდუდის ლაშქარი დაამარცხა და ქალაქი დაიკავა. ქალაქის გავლებელი ალთუნ-თაში ჩალრი-ბეგის სამსახურში შევიდა. შემდეგ ჩალრი-ბეგმა ჯუზჯანი, ბადლისი, ხუთალანი და თოხარისთანის სხვა ქალაქები დაიმორჩილა და მერვე სატახტო ქალაქად გაიხადა<sup>118</sup>. მიუხედავად ამისა ლაზნელები მაინც აწარმოებდნენ თავდასხმებს ჩალრი-ბეგის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე; ლაზნელებმა 1043/4 წელს ისარგებლეს ჩალრი-ბეგის ავადმყოფობით და თავს დაესხნენ მის ლაშქარს; ამ უკანასკნელმა თავისი შვილის — ალფ-არსლანის მეთაურობით ლაშქარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად; სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს ლაზნელები<sup>119</sup>. სელჩუკებმა უდიდესი ნაწილი ამოხოცეს. ალფ-არსლანმა, ერთ-ერთი მეთაური დაატყვევა, უთვალავი ცხენი და იარაღი ჩაიგდო ხელში, რითაც მამა ძალიან გაახარა<sup>120</sup>. პელიქ დავუღმა ბალხის, თოხარისთანის, თერმეზის, ყობადიანის... ვილაეთების მართვა სულთან არსლანს მიანდო<sup>121</sup>.

სელჩუკი უფლისწულების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების განმგებლები უპეტეს შემთხვევაში, როგორც კი სელჩუკ მბრძანებლებს შორს გაიგულებდნენ, მაშინვე დამოუკიდებლობას აცხადებდნენ; მაგალითად, როდესაც ჩალრი-ბეგი ლაზნელებს ებრძოდა, მოულოდნელად აუჯანყდა ხორეზმი და იგი იძულებული გახდა სასწრაფოდ გაეგზავნა ლაშქარი მის დასამორჩილებლად.

წყაროში აღნიშნულია, რომ ჩალრი-ბეგს „ხორეზმის მფლობელი აუჯანყდა. მელიქ დავუღი ზემოხსენებულის დასასჯელად ხორეზმში გაემართა. ერთ კვირაში ჰაზარასფი, შემდეგ გურგანჩი და ბოლოს სხვა ვილაიეთები დაიპყრო“<sup>122</sup>. ჩალრი-ბეგმა რომ აჯანყებული ხორეზმი დაიმორჩილა, ყივჩაღთა ტომის მეთაურს დაუნათესავდა<sup>123</sup>. ამავე დროს ჩალრი-ბეგი კარგად ხედავდა, რომ სულთან მასუდი მის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა და წინასწარ მოემზადა. სულთან მასუდმა კავშირი შეკრა თურქესტანის ხაყან არსლან-ხანთან და ბუვეიანთა მბრძანებელ აბუ ყალიჯართან<sup>124</sup>. მას არ დასცალდა ჩალრი-ბეგის წინააღმდეგ გალაშქრება და გზაში გარდაიცვალა. უმეთაუროდ დარჩენილი ლაშქარი კი უკან დაბრუნდა. ასეთივე ბედი ეწია მის მოკავშირეთა

<sup>118</sup> İslâm Ansiklopedisi, cilt 3, cüz 24, გვ. 326.

<sup>119</sup> ი ქ ვ ე.

<sup>120</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 18.

<sup>121</sup> ი ქ ვ ე, გვ. 19.

<sup>122</sup> ი ქ ვ ე, გვ. 19; İslâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 104, გვ. 363.

<sup>123</sup> ა ხ ბ ა რ, 13.

<sup>124</sup> İslâm Ansiklopedisi, cilt 3, cüz 24, გვ. 326.

ლაშქარს, რომლებმაც არ იცოდნენ სულთან მასუდის გარდაცვალების ამბავი. ნაწილი ამ ლაშქრისა ჩალრი-ბეგმა განდევნა.

წყაროს ცნობით, ამასობაში ალფ-არსლანის მიერ „წარმოებული ბრძოლას შედეგად ღაზნის ლაშქარი დამარცხდა და ბევრი დიდი სახელმწიფო მოღვაწე სებუქთეგინს ტყვედ ჩაუვარდა... შემდეგ სებუქთეგინის მიმდევრებსა და სელჩუკთა შორის შეთანხმება მოხდა, რათა თავ-თავის ქვეყნებში ეცხოვრათ და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არაფერი ჩაედინათ“<sup>125</sup>. პირობის თანახმად ორივე მხარეს უნდა დაეცვა მათ ხელთ მყოფი ოლქები და ვალდებულება ექისრათ თავდაუხმელობის შესახებ. მათი ტერიტორიები ჰინდუქუშის მთებით იყოფოდა. ეს შეთანხმება ნახევარ საუკუნეს უნდა დარჩენილიყო ძალაში. ზავის პირობების შემდგენელი იყო აბულ-ფაზლ ბეიჰაყი.

მართალია, ჩალრი-ბეგი წარმატებით აწარმოებდა დაპყრობით ომებს სხვადასხვა მიმართულებით და ასევე წარმატებით განაგრძობდნენ სელჩუკ უფლისწულთა მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას მისი მემკვიდრეები, მაგრამ იგი ყოველთვის არ უწყევდა ანგარიშს თავის ძმას თოდრულ-ბეგს. 1058 წელს მან გაილაშქრა თოდრულ-ბეგის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთიანი საბრძოლო გეგმები ჰქონდათ, მათ შორის ნაინც არსებობდა დამოუკიდებლობისა და პირველობისათვის სწრაფვის ტენდენციები. ჩალრი-ბეგი 70 წლის ასაკში ქ. სარახსში გარდაიცვალა მძიმედ დაავადებული. დროებით იგი იქვე დაკრძალა, შემდეგ კი ალფ-არსლანის მიერ მერვში სპეციალურად აგებულ აკლდაში გადაიტანეს. მისი მემკვიდრეები იყვნენ ხორასნის რაიონში მოქმედი ალფ-არსლანი და ქერმანის სასულთნოს ფუძემდებელი — ქავერდი. ერთი შვილი — იაკუთი, აზერბაიჯანის ვალი იყო. ასევე სხვადასხვა რაიონებში იყვნენ ამირებად ჩალრი-ბეგის შვილები — ბაჰრამ-შაჰი და სულეიმანი, მისივე ქალ-შვილი — ხათიჯე არსლან-ხათუნი — ხალიფა ალ-ქაიმ ბი ამრ ილაჰის მეუღლე იყო.

ჩალრი-ბეგის სიკვდილის შემდეგ მისი შვილის, სულეიმანის დედა სულთან თოდრულ-ბეგზე დაქორწინდა და დიდი გავლენაც მოიპოვა მოხუც სულთანზე. მან თავისი შვილი სულეიმანი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. სულეიმანმა სასულთნო ტახტი ვერ დაიჭირა. იგი ალფ-არსლანმა მიიღო. სულეიმანი მის სამსახურში შევიდა და ბალხში იყო ვალის თანამდებობაზე. არის მოსაზრება, თითქოს ეს ის ყუთულმბიშის შვილი სულეიმანია, რომელმაც შემდეგში მთელი ანატოლია დაიპყრო და საფუძველი ჩაუყარა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს<sup>126</sup>.

<sup>125</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 19—20.

<sup>126</sup> İslâm Ansiklopedisi, cilt 3. cüz 24, İstanbul, 1945, გვ. 327.

ჩაღრი-ბეგმა თავის ძმასთან — თორღულთან ერთად მთელი ირანი ღა მახლობელი აღმოსავლეთი დაიპყრო. როდესაც სელჩუკთა მბრძანებლობა მთელს აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონებში ვრცელდებოდა, დასავლეთის მიმართულებით წარმატებით განაგრძობდა თავის დაპყრობით პოლიტიკას თორღულ-ბეგი. ასევე წარმატებით აწარმოებდნენ ბრძოლებს მათი მემკვიდრეები, რომლებმაც შემდეგში დამოუკიდებელი სასულთნოები დააარსეს. პირველი დამოუკიდებელი სასულთნო ქერმანში დააარსა ჩაღრი-ბეგის შვილმა ქავერდმა, რომელმაც დენდანეკანის ბრძოლის შემდეგ მისთვის განკუთვნილი ტერიტორიების დასაპყრობად დაიწყო ლაშქრობა.

დენდანეკანთან სელჩუკთა გამარჯვების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, სელჩუკ უფლისწულებს შორის მათ მიერ დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიები დანაწილდა. ამ განაწილების დროს ჩაღრი-ბეგის შვილს — ქავერდს ქერმანი ერგო წილად. ქავერდმაც წარმატებით დალაშქრა ქერმანი 1041 წელს. მან საფუძველი ჩაუყარა ქერმანის სელჩუკთა სახელმწიფოს, რომელმაც იარსება 1041 წლიდან ვიდრე 1187 წლამდე<sup>127</sup>. მაგრამ ფორმალურად ის სრულ დამოუკიდებლობას ვერ ინარჩუნებდა; ქერმანის სელჩუკთა სახელმწიფო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ექვემდებარებოდა, მაგრამ ქავერდი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვების გარდა დიდ სელჩუკთა სასულთნო ტახტი დაეკავებინა. ქავერდი დიდ სელჩუკთა წინააღმდეგ სამჯერ აჯანყდა. პირველად ის 1064 წელს აუჯანყდა ალფ-არსლანს. ანატოლიის დაპყრობით გართულმა ალფ-არსლანმა სასწრაფოდ პირი იბრუნა ქერმანისაკენ და გადამდგარი ძმა დაიმორჩილა; ქავერდი მეორედ 1067 წელს აუჯანყდა ალფ-არსლანს, როცა მან მელიქ-შაჰი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა; როდესაც ქავერდს უბრძანეს, ქერმანში მელიქ-შაჰის სახელზე ხუტბა წაეკითხვინებინა. მან ტახტის მემკვიდრედ არ სცნო მელიქ-შაჰი და მის სახელზე ხუტბის წაკითხვაზე უარი განაცხადა. ალფ-არსლანმა მაშინვე გამოგზავნა ჯარი ქერმანში; დამარცხებული ქავერდი ჯირუფთში ჩაიკეტა და პატიება ითხოვა. თუმცა ალფ-არსლანი მას არ ენდობოდა და მუდამ კონტროლს უწევდა, მაინც აპატია. მან ანდერძად დასტოვა, მისი შვილი მელიქ-შაჰი მის ტახტზე დაესვათ, მისი ქვრივი მის ძმაზე ქავერდ-ბეგზე დაქორწინებინათ, ხოლო სულთნის ადგილსამყოფელი

<sup>127</sup> ქერმანის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ იხ. M. A. Köymen, Kirman Selçukluları Tarihi, Ankara Dil ve Tarih-Coğrafya Fakültesi Tarih Bölümü, c. II, № 1, 1943, გვ. 127—134; İslâm Ansiklopedisi, c. VI, cüz 60, 1953, İstanbul, გვ. 456—458; იქვე, cilt 9, cüz 104, გვ. 363, 378—379 და სხვ.

შირაზში ჰქონოდა, რათა ქავერდის ოლქებისა და ციხეებისათვის საკ-  
მაო კონტროლი გაეწია<sup>128</sup>. ალფ-არსლანმა კარგად იცოდა, რომ ქავერ-  
დი ყოველთვის საშიში იქნებოდა დიდ სელჩუკთა იმპერიისათვის. ქა-  
ვერდი მესამედ მაშინ აჯანყდა, როდესაც მელიქ-შაჰის მიერ ტახტის  
დაკავების ამბავი გაიგო; ახლა იგი აშკარად აცხადებდა ტახტზე პრე-  
ტენზიას და მელიქ-შაჰს წერდა: „მე უფროსი ძმა ვარ და შენ — უმც-  
როსი შვილი. მე შენზე უფრო მეტად მეკუთვნის ჩემი ძმის სულთან  
ალფ-არსლანის მემკვიდრეობა“<sup>129</sup>.

ქავერდმა სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი და რეის ხელთ ჩასაგდებად  
გზას გაუდგა. ახალგაზრდა სულთანმა და დიდვეზირმა სწორად შეა-  
ფასეს ამ აჯანყების მოსალოდნელი შედეგები და მთელი ძალებით გაი-  
ლაშქრეს; მათ სასტიკად დაამარცხეს ქავერდი და დაატყვევეს. იგი  
სულთნისაგან დაფარულად მოახრჩვეს; ქავერდის მემკვიდრეების დრო-  
საც არ შეწყვეტილა დიდ სელჩუკთა სასულთნო ტახტისათვის ბრძო-  
ლა; მელიქ-შაჰმა ქავერდის სამფლობელოები მის მრავალრიცხოვან  
შვილებს დაურიგა და გაიერთგულა<sup>130</sup>, მაგრამ ეს ერთგულება დროე-  
ბითი იყო. შემდეგში ამ გაერთგულებული ბიძაშვილების დამორჩი-  
ლება მელიქ-შაჰს რამდენჯერმე იარაღით მოუხდა. ისინი ყოველთვის  
მზად იყვნენ დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

ქერმანის სელჩუკთა სახელმწიფო იყო პირველი დამოუკიდებე-  
ლი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელმაც შემდეგში წარმოშობილ  
პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით ყველაზე ადრე განაცხადა და-  
მოუკიდებლობის პრეტენზიები აღმავალი გზით მიმავალ დიდ სელჩუკ-  
თა სახელმწიფოში. ქერმანის სელჩუკთა სახელმწიფოს ძლიერების ხა-  
ნა სწორედ ქავერდის განმგებლობის პერიოდს ემთხვევა. მის დროს  
ქვეყანა ეკონომიურად გაძლიერდა. ეს შედარებით მშვიდობიანი პე-  
რიოდი იყო ქვეყნის ცხოვრებაში. ამ დროს განმტკიცდა ქავერდის  
მიერ მოჭრილი მონეტების კურსი და სხვ.

თორღულ-ბეგმა ნიშაბურში სასულთნო ტახტის დაკავების შემ-  
დეგ ფართოდ გაშალა დაპყრობითი ომები და დიდ წარმატებებსაც მი-  
აღწია. იგი ჩადრი-ბეგთან ერთად წინასწარ შედგენილი გეგმით აწარ-  
მოებდა დიდი ქალაქებისა და მთელი რიგი რაიონების ხელში ჩაგდე-  
ბას. მან დაიპყრო თაბარისთანი, ჯურჯანი და 1041/2 წელს იქ გაბა-

<sup>128</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 325—326; İslâm Ansiklopedisi. ქავერდზე  
სტატია, გვ. 458.

<sup>129</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 39; მათ შორის მომხდარი ბრძოლებისა და სხვა ამბების  
შესახებ დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 39—41; I. Kafesoğlu, Sultan Me-  
likşahı Devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu, გვ. 20—24.

<sup>130</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 41.



ტონებული დინასტიები დაიმორჩილა<sup>131</sup>. დენდანეკანთან გამარჯვების შემდეგ თორღულ-ბეგმა, რომლის სამბრძანებლოში შედიოდა ერაყის ოლქის ნაწილი, იბრაჰიმ იინალსა და იაკუთთან ერთად კასპიის ზღვის სანაპირო რაიონების დაპყრობაში მძიმე მონაწილეობა<sup>132</sup>. იბრაჰიმ იინალმა ირანის უმნიშვნელოვანესი ცენტრი რეი დაიპყრო, ხელთ იგდო ბერუჯერდი და ჭებალის რაიონში მდებარე ქალაქი ჰამადანი. ეს ადგილები მან სელჩუკებს დაუმორჩილა (1045/6 წ.). წყაროს ცნობით, დენდანეკანის ბრძოლის შემდეგ სელჩუკებმა ხორეზმი აიღეს. თორღულ-ბეგმა დაიმორჩილა თაბარისტანი, რეი, ისფაჰანი, ჰამადანი; დედაქალაქად მან რეი გაიხადა<sup>133</sup>. ამის შემდეგ თორღულ-ბეგმა მოახერხა სასწრაფოდ დაეპყრო ირანის ისეთი ქალაქები, როგორცაა ყაზვინი, ისფაჰანი, დეჰისტანი და მისი მიდამოები. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი დამორჩილდა მას, ნაწილი კი იძულებით დაიმორჩილა. იბრაჰიმ იინალმა და ყუთულმშიმა დინავერი, კარმისინი და ჰულვანი დაიპყრეს 1042—48 წლებში. ჰულვანში სულთან თორღულ-ბეგისა და იბრაჰიმ იინალის სახელზე ხუტბა წაიკითხეს<sup>134</sup>. ამის შემდეგ იბრაჰიმ იინალმა ჩქარა აიღო შეჰრიზორი, ქინქივერისა და სერმაჯის ციხეები და თორღულ-ბეგის ბრძანებით აზერბაიჯანში გაილაშქრა<sup>135</sup>.

თორღულ-ბეგისა და მისი ხელქვეითი უფლისწულების — იბრაჰიმ იინალის, ყუთულმშიმის და თვით ჩადრი-ბეგის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ანატოლიასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობას ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით და დაწვრილებით განვიხილავთ სელჩუკთა ლაშქრობებს ამ მიმართულებით.

თორღულ-ბეგმა ირანის ტერიტორიაზე დაპყრობით ომებში წარმატებების მოპოვების შემდეგ მიზანში ბალდადის სახალიფო ამოიღო და, როგორც აღვნიშნეთ, 1043/4 წელს ელჩი გაუგზავნა ხალიფას; თორღულ-ბეგი შეეცადა ხალიფასთვის ეცნობებინა სელჩუკთა დამსახურების ამბავი და ითხოვდა ოფიციალურად მისი უზენაესობის აღიარებას<sup>136</sup>. ამ დროისათვის ბალდადის სახალიფო იმდენად დასუსტებული იყო, რომ, როგორც ა. ალი-ზადე აღნიშნავს, თვით ხალიფა ქაიმის

<sup>131</sup> *İslâm Ansiklopedisi*, cüz 104, გვ. 364.

<sup>132</sup> ამ ლაშქრობების შესახებ დაწვრილებით იხ. M. H. Yinanç დასახ. ნაშრ., გვ. 44—50.

<sup>133</sup> *MHTT*, I, стр. 349.

<sup>134</sup> I. Kafesoğlu, *Selçukun Oğulları ve Torunları*, გვ. 126.

<sup>135</sup> *İslâm Ansiklopedisi*, cilt 9, cüz. 104, გვ. 364.

<sup>136</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I გვ. 299.

(1031—1075) არსებობა სელჩუკ მბრძანებლებზე იყო დამოკიდებული<sup>137</sup>.

სულთან თორღულ-ბეგის წერილის პასუხად ხალიფა ქაიმი ურჩევდა შეეწყვიტა დიდი მასშტაბის დაპყრობები და ნგრევები, და ყოფილიყო ისლამის მტკიცე დამცველი<sup>138</sup>. მაგრამ თორღულმა არ შეისმინა ხალიფას რჩევა, მას თავისი მტკიცე კურსი ჰქონდა აღებული ახალ-ახალი ტერიტორიების დასაპყრობად; ის ხალიფას ელჩს ეუბნებოდა: „ჩემი ლაშქარი ძალიან დიდია და ეს ქვეყნები მათთვის საკმარისი არ არისო“<sup>139</sup>.

თორღულ-ბეგი ხალიფასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო: ბარ ჰებრაის ცნობით, ჯერ კიდევ 1048 წ. გარკვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით ხალიფამ თორღულ-ბეგს უბოძა „კანონიერი მბრძანებლის“, „მუსლიმანთა მფარველის“ და „როქნ ელ-დინ სულთან თორღულ-ბეგის“ ტიტულები. ამ ტიტულების სანაცვლოდ სულთანმაც ხალიფას მრავალი თხოვნა შეუსრულა და მას საჩუქრად 20000 დინარი გაუგზავნა; ასეთივე თანხა უბოძა მან სახალიფოს წარჩინებულებსაც. თვითონ კი ამ დროიდან მოკიდებული თავის ბეჭედზე ისარი მოაქედვინა და ეს ტიტულები აღაბეჭდინა<sup>140</sup>. რამდენიმე წლის შემდეგ სულთანმა ხალიფას ელჩი გაუგზავნა, და ბაღდადში მისვლის უფლება ითხოვა; ამ გადაწყვეტილებას იმით ამართლებდა, რომ ყოველგვარ წესიერებას აღადგენდა გზაზე და ამავე დროს მუჰამედისათვის ილოცებდა მექაში; იგი ხალიფას წერდა: „წინასწარმეტყველის სამსახურისათვის, მის პატივსაცემად მინდა მოსვლა. მექაში წავალ, იქ ვილოცებ და ამრიგად, განვადიდებ მას... გზებზე მოჯანყე მომთაბარეებს გავანადგურებ, შემდეგ ადგილობრივ სირიელებსა და მაცდურ გზაზე დამდგარ ეგვიპტელებთან ალაჰის სახელით ომს ვაწარმოებ“<sup>141</sup>. სულთანი ხალიფასაგან ოფიციალურად ითხოვდა დასტურს თავისი დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად; ხალიფა, რომელიც ამ დროისათვის საკმაოდ დასუსტებული იყო, ნათლად ხედავდა თორღულ-ბეგის მიზნებს და იძულებული იყო ოფიციალურად მიეწვია ბაღდადში. ამავე წყაროს ცნობით, გარკვეული წრეები თორღულ-ბეგის ბაღდადში მისვლის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ისინი ხმამაღლა გაიძახოდნენ: „ოღუზების ბაღდადში მოსვლა საჭირო არაა. თუ მოვლენ ხმლის ამოსადე-

<sup>137</sup> А. А. Алп-З а д е, К некоторым вопросам, относящимся к истории владычества Сельджуков на Среднем Востоке и в Закавказье, стр. 267.

<sup>138</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 302.

<sup>139</sup> ი ქ ვ ე.

<sup>140</sup> ი ქ ვ ე, გვ. 305.

<sup>141</sup> ი ქ ვ ე, გვ. 306.

ბად მზად ვართო<sup>142</sup>. ხალიფას მიერ მიწვეული სულხუეები რამდენიმე დღეში ბაღდადთან მივიდნენ; სულხუეებს მოწინააღმდეგე წრებთან შეტაკება მოუხდათ. სასტიკად დასაჯეს ისინი, ყველანი დახოცეს და ბაღდადში შევიდნენ. სულთანმა გახდა ბაღდადის ბატონ-პატრონი, მან თავისი კაცები დანიშნა ვალისა და თაჰსილდარის თანამდებობებზე<sup>143</sup>. სულთანმა ხალიფას სასახლის გვერდით საგანგებოდ ააშენებინა სასახლე, სადაც იგი ძვირფასი ქვებით მოკვდილ ოქროს ტახტზე დაჯდა; იგი ბაღდადში 13 თვეზე მეტ ხანს დარჩა. ბარ ჰებრაის აღწერილი აქვს სულთან თორღულ-ბეგის საზეიმო მიღება ბაღდადში, ის საზეიმო ცერემონიალი, რომელიც ხალიფამ სპეციალურად სულთანს გაუმართა და სხვ.<sup>144</sup>

ხალიფას ასეთი კეთილი დამოკიდებულება სულთანთან გარკვეულ პოლიტიკურ გეგმებთან იყო დაკავშირებული; როგორც აღვნიშნეთ, ხალიფა ძლიერ დასუსტებული იყო ამ პერიოდში და იგი ცდილობდა სულთანის საშუალებით დაეცვა თავისი უფლებები სახალიფოში; ხალიფაადმი ასეთ კეთილ დამოკიდებულებაში სულთანიც გარკვეულ მიზნებს ისახავდა, მას თავისი დაპყრობითი პოლიტიკისა და მოპოვებული ძალაუფლების ოფიციალური აღიარება სჭირებოდა. ამიტომ იყო, რომ ორივე ერთმანეთს უწყობდა ხელს აღნიშნული გეგმების განხორციელებაში. წყაროში ნათქვამია, რომ ხალიფამ „თორღულს შვიდი ხალათი ჩააცვა, კისერზე ყელსაბამი და მაჯებზე სამაჯურები გაუქეთა და გამოსცა ფირმანი, რომელიც თორღულს უფლებას აძლევდა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს ისე დაპატრონებოდა, როგორც სურდა. ამის შემდეგ მისი დიდებულება და სიძლიერე გაიზარდა და მისი სახელმწიფო გაფართოვდა“<sup>145</sup>.

თორღულ-ბეგის სახელზე ბაღდადში ხეტბა წაიკითხეს, მისი სახელით მონეტა მოაჭრევენეს, ხოლო სულთანს „როქნ ედ-დოვლე აბუ თალიზ თორღულ-ბეგ ბ. მოჰამედ ბ. მიქაილ იამინ ამირ ალ-მუმინი“-ს ტიტული მიენიჭა<sup>146</sup>. წყაროების მიხედვით, თორღულ-ბეგის სახელის შემდეგ ხეტბაში იხსენიებდნენ ბუვეიანთა მბრძანებელს მელიქ რაჰიმს, რაც თორღულ-ბეგისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო; მით უმეტეს, ხალიფასათვის იგი საშიშ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა; ამიტომ საჭირო იყო მისი დამარცხება; ხალიფას თხოვნით თორღულ-ბეგმა მელიქ რაჰიმის წინააღმდეგ გაილაშქრა და იგი სასტიკად დაამარცხა

<sup>142</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 306.

<sup>143</sup> იქვე, გვ. 307.

<sup>144</sup> იქვე, გვ. 309.

<sup>145</sup> ახბარ, გვ. 13.

<sup>146</sup> რავენდი, I, გვ. 104; ჰამდალაჰ ყაზვინი, გვ. 427—428.

ნეპრივანთან. ბუვეიანთა ჩამოშავალი ტახტიდან ჩამოაგდო, მელიქ რაპიმი დაატყვევა და რეიში გაგზავნა თაბარქის ციხეში, სადაც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ამით ბოლო მოეღო ბუვეიანთა 127-წლიან ბატონობას<sup>147</sup>. მელიქ რაპიმიან ერთად იმყოფებოდა ბაღდადის ლაშქრის მეთაური ბესასირი, რომელიც ხალიფას არავითარ ანგარიშს არ უწევდა და მის წინააღმდეგ გამოდიოდა. ბესასირის შესახებ წყაროში ნათქვამია: „აბულჰარის არსლან ალ-ბესასირი ხალიფა ქაიმ ბი ამრ ილაჰის ხალიფობის დროს თურქთა წინაჰმდლოლი იყო. ბესა სპარსეთის ქვეყნიდანაა. ბესასირი ხალიფა ქაიმ ბი ამრ ილაჰს ბრძანების კილოთი მიმართავდა, არავითარ პატივისცემას არ იჩენდა მისდამი და ამით ძალიან მოაბეზრა თავი“<sup>148</sup>. იგი ხალიფას ვაზირი იყო და რაის არ-რუჰასას ტიტული ჰქონდა.

როდესაც თოღრულ-ბეგმა მელიქ რაპიმის წინააღმდეგ გაილაშქრა, მასთან მყოფმა ბესასირმა მიატოვა იგი, თოღრულ-ბეგის შიშით გაიქცა და ეგვიპტის მფლობელს შეაფარა თავი. ბესასირი მიხვდა, რომ სელჩუკების წინააღმდეგ გალაშქრება არ შეიძლებოდა, სულთანს ელჩები გაუგზავნა და ზავი ითხოვა. სულთანი ამაზე დათანხმდა, ზავი შეკრა მასთან და პატივისცემის ნიშნად ხალათები ჩააცვა<sup>149</sup>.

თოღრულ-ბეგმა, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო მოუღო ბუვეიანთა ბატონობას და ბაღდადში თავის შექნედ დანიშნა აი-თეგინი, რომელმაც თავისი ფული მოსჭრა და ხელი დასდო ხაზინას. ხალიფას მდგომარეობა მეტად უმწეო იყო. წყაროებიდან ჩანს, რომ სახალიფოს ტერიტორია სელჩუკთა გამგებლობის ქვეშ იყო მოქცეული. გამონაკლისს შეადგენდა ხალიფას კუთვნილი მიწები, რომელთა შემოსავლითაც ცხოვრობდა იგი.

როგორც კი წამოვიდა თოღრულ-ბეგი ბაღდადიდან, ხალიფას ბესასირი აუჯანყდა. ხალიფას თხოვნით თოღრულ-ბეგი სასწრაფოდ დაბრუნდა ბესასირის დასამორჩილებლად, მაგრამ მას გზაში მესამედ აუჯანყდა თავისი დედით-ძმა იბრაჰიმ იინალი, რომელიც სულთნის ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას<sup>150</sup>. სულთან თოღრულ-ბეგი იძულებული გახდა დახმარება ეთხოვა ალფ-არსლანისათვის; იგი ალფ-არს-

<sup>147</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 104; ქ ა მ დ ა ლ ა კ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 428; ა ხ ბ ა რ, გვ. 13; Islâm Ansiklopedisi. cüz. 104, გვ. 366.

<sup>148</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 15; ბესასირის შესახებ იხ. Islâm Ansiklopedisi, cüz. 18. გვ. 567.

<sup>149</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 309;

<sup>150</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 106; ა ხ ბ ა რ, გვ. 14; ი. ქ ა ფ ე ს ო ლ ლ უ, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

ლანა წერდა: „ჩემს ძმას სურს ძალაუფლება წამართვას და ზიანი მიაცუნოს ჩემს ხელისუფლებას. უსათუოდ უნდა მოხვიდე“<sup>151</sup>.

თორღულ-ბეგმა აღფ-არსლანის დახმარებით მოახერხა იბრაჰიმ იინალის აჯანყების ჩაქრობა. მეამბოხე დაიჭირეს და თორღულ-ბეგს მიჰგვარეს, რომელმაც იგი სიკვდილით დასაჯა. იბრაჰიმ იინალის აჯანყებიდან ამჟამად ჩანს სელჩუკ უფლისწულთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ტენდენცია. რაკი თორღულ-ბეგი დაკავებული აღმოჩნდა იბრაჰიმ იინალის აჯანყების ჩაქრობით და ვერ მოახერხა ბაღდადში შესვლა, ამით ისარგებლა ბესასირმა. შევიდა ბაღდადში და ხალიფა გადააყენა: შემდეგ ეგვიპტის ხალიფა მუსთანსირი ბაღდადში ხალიფად აკურთხეს და მის სახელზე ოქროსა და ვერცხლის ფული მოაჭრევენა<sup>152</sup>.

ბაღდადში ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფას გაბატონება მიუღებელი იყო სელჩუკი სულთნებისათვის. გარდა იმისა, რომ ბაღდადის ხალიფათან კეთილშეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თორღულ-ბეგს და ეს აძლევდა მას საფუძველს ებრძოლა ბაღდადში დროებით გაბატონებული ფატიმიანი ხალიფას წინააღმდეგ, სელჩუკთა ძირითადი პოლიტიკური ხაზი მაინც ის იყო, რომ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ წელში გაეტეხათ ეგვიპტის სიძლიერე და გაენადგურებინათ ის ფატიმიანი ხალიფები, რომლებმაც რელიგიური უთანხმოების გაღრმავებას შეუწყვეს ხელი<sup>153</sup>.

გადაყენებულმა ხალიფა ჭაიმმა შექმნილი ვითარება სასწრაფოდ აცნობა თორღულ-ბეგს; მანაც მოაგვარა თუ არა იბრაჰიმ იინალის ამბოხების ამბები, მაშინვე ბაღდადისკენ გასწია დიდი ჯარით და დატყვევებული ხალიფა სასწრაფოდ დააბრუნებინა ბაღდადში. წყაროებში ვრცლადაა აღწერილი თორღულ-ბეგის ბაღდადში შესვლა და შეხვედრის ცერემონიალი ხალიფას ტახტზე აღდგენილ ჭაიმთან. ხალიფამ მისი უფლებების რესტავრატორი დიდი პატივითა და საჩუქრებით მიიღო<sup>154</sup>. თორღულ-ბეგმა მოუბოდიშა ხალიფას და აუხსნა მიზეზი მისი დაგვიანებისა<sup>155</sup>; ხალიფას ტახტზე ჭაიმის აღდგენის შემდეგ თორღულ-ბეგი ბესასირის შესაპყრობად გაემართა; იგი ხელთ იგდო და სიკვდილით დასაჯა.

თორღულ-ბეგმა აბასელი ხალიფას ტახტზე დაბრუნებით სუნიტობა აღადგინა და ამით გამოხატა თავისი სიმპათიები ისლამის ამ მიმდინარეობის მიმართ. ხალიფა მზად იყო მისთვის მადლობის ნიშნად სამაგიერო

<sup>151</sup> ახბარ, გვ. 15.

<sup>152</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 313—314; ახბარ, გვ. 14; რავენდი, I, გვ. 106.

<sup>153</sup> I. Kafesoğlu, Selçukun oğulları..., გვ. 127.

<sup>154</sup> ახბარ, გვ. 16; ბარ ჰებრაი, I, გვ. 3 15.

<sup>155</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 315.

გადაეხადა. სხვა პრივილეგიებთან და ტიტულებთან ერთად. თორღულ-ბეგი ხალიფას მიერ აღიარებულ იქნა „აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულთანად“, რომლის სიმბოლური გამოხატულება იყო ორრქიანი გვირგვინი, რომელიც თორღულ-ბეგს დაადგეს თავზე<sup>156</sup>. „ისლამის სარწმუნოების სუნიტური მიმართულება თურქ-სელჩუკებმა იმთავითვე გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს დაუკავშირეს; კერძოდ, მარჯვედ გამოიყენეს იგი შიიტი ბუვეიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი დაპყრობით ომებს სუნიტობის ალპით აწარმოებდნენ, მაგრამ ხალიფას გაძლიერება მათს ანგარიშში სრულიადაც არ შედიოდა“<sup>157</sup>.

თორღულ-ბეგმა ისარგებლა ხალიფასთან კეთილი დამოკიდებულებით და ქალიშვილი სთხოვა ცოლად<sup>158</sup>. ხალიფა პირველ ხანებში სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა, მაგრამ სულთანმა იგი აიძულა დათანხმებულიყო.

თორღულ-ბეგის ხალიფას ქალიშვილზე ქორწინებასთან დაკავშირებული ამბებიდანაც აშკარად ჩანს ხალიფას დამოკიდებულება სელჩუკიან სულთანთან. როდესაც თორღულ-ბეგმა გაიგო ხალიფას უარყოფითი აზრი მისი ქალიშვილის მითხოვების თაობაზე. ბაღდადში მყოფ ვეზირს ამიდ აღ-მულქს დაავალა, შეეწყვიტა შემოსავლის გაცემა ხალიფასთვის. ხალიფა იმდენად იყო დამოკიდებული თორღულ-ბეგზე, რომ იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ ქორწინებაზე<sup>159</sup>. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, სულთანს ეს ქორწინება ასი ათასი დინარის საფასურად დაუჯდა<sup>160</sup>. მაგრამ ეს საქორწინო კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა. 1063 წლის 4 ივლისს თორღულ-ბეგი 70 წლის ასაკში გარდაიცვალა<sup>161</sup>. იგი მერვეში დაკრძალეს მისი ძმის ჩაღრი-ბეგის გვერდით.

თორღულ-ბეგმა უდიდესი როლი შეასრულა სელჩუკთა სახელმწიფოს მშენებლობაში. ის იყო პირველი სხვა სელჩუკ უფლისწულთა შორის, რომელმაც ითავა სელჩუკთა დაპყრობითი ომების ხელმძღვანელობა, წინასწარ დასახული გონივრული პოლიტიკით წარმართა მთელი საქმიანობა და კეთილმეგობრული ურთიერთობა დაამყარა სხვა სელჩუკ უფლისწულებთან. ამასთანავე, სათითაოდ, ყველა მათგანი

<sup>156</sup> ხალიფასა და თორღულ-ბეგის ურთიერთობის შესახებ დაწერილებით იხ. ბონდარი, გვ. 5—24; მინანი, დასახ. ნაშრ., გვ. 50—52.

<sup>157</sup> ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, გვ. 124.

<sup>158</sup> რავენდის მიხედვით თორღულ-ბეგმა ხალიფას მისი და სთხოვა ცოლად, (გვ. 109); სხვა წყაროებში ერთხმად დასახელებულია ხალიფას ქალიშვილი.

<sup>159</sup> რავენდი, I, გვ. 109; ჰამდალამ ყაზვინი, გვ. 438.

<sup>160</sup> ახბარ, გვ. 15.

<sup>161</sup> ჰამდალამ ყაზვინი, გვ. 438; რავენდი, I, გვ. 109—110; ბონდარი, გვ. 24.

აქეთ უფლებებს დაუქვემდებარა, საჭირო შემთხვევაში მათ წინააღმდეგაც ილაშქრა და სასტიკად დასაჯა. ის იყო სელჩუკთა პირველი სულთანი და ამ სახელმწიფოს ფუძემდებელი. მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები და დასახული გეგმები შემდეგში განავითარეს და ფართო პაპშტაბით წარმართეს მისმა მემკვიდრეებმა ალფ-არსლანმა და მელიქშაჰმა.

თორულ-ბეგის გარდაცვალების შემდეგ სულთნის ტახტი დაიჭირა მისმა ძმისშვილმა ალფ-არსლანმა (1063—1072)<sup>162</sup>, მაგრამ ეს ფაქტი უმტყვენულოდ არ მომხდარა. ბონდარის გადმოცემით, როდესაც თორულ-ბეგი რეიში გარდაიცვალა, მისი დიდ ვეზირი ამიდ ალ-მულქი რეიდან 70 კმ დაშორებით იმყოფებოდა. იგი სასწრაფოდ მოვიდა დედაქალაქში, სულთანი დაასაფლავა, ხალხი დააწყნარა და ტახტზე სულთნის ძმისშვილი სულეიმან ბენ დაუდი დასვა<sup>163</sup>. ამავე ავტორის ცნობით, სულეიმანის დედა ჩალრი-ბეგ დაუდის გარდაცვალების შემდეგ თორულ-ბეგზე დაქორწინდა. თორულ-ბეგმა კი სულეიმანის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. ამიდ ალ-მულქმა ამიტომაც აიყვანა იგი თორულ-ბეგის ტახტზე და სჯემე ამით დაამთავრა<sup>164</sup>. ამ ფაქტის გამო რავენდი სულეიმანს თორულ-ბეგის უმცროს შვილად მიიჩნევს. სულეიმანს ტახტზე ჯდომა დიდხანს არ დასცალდა. მისმა ძმამ ალფ-არსლანმა, რომელიც ჩალრი-ბეგის საქმეებს განაგებდა მისი გარდაცვალების შემდეგ და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხორასნის ვალი იყო, ბიძამისის ტახტზე პრეტენზია განაცხადა; ბარ ჰებრაი შენიშნავს, რომ „რადგანაც სულეიმანის ძმა ალფ-არსლანი ძლიერი პიროვნება იყო, მან სულეიმანის სიცოცხლეს ბოლო მოუღო და მის ადგილზე მბრძანებლობა განაგრძო“<sup>165</sup>. ალფ-არსლანი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იღებდა მთელ რიგ დაპყრობებში მონაწილეობას. ამ ბრძოლებში მან თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და გამბედავმა მეთაურმა.

ანონიმი ავტორის ცნობით, თორულ-ბეგმა ალფ-არსლანს თავის სიცოცხლეშივე მისცა გარკვეული ტერიტორიები: სირია, ერაყი და ლამასკო<sup>166</sup>.

<sup>162</sup> რავენდის მიხედვით ალფ-არსლანი დაიბადა 431 წლის (1039/40) მოჰარა-მის თვის ორ რიცხვს, პარასკეე დღეს. იბნ ალ-ასირის მიხედვით კი — 424 წელს (1032/3). ამ უკანასკნელ თარიღს იმეორებენ რაშიდ ელ-დინი, მირხონდი, ხონ-დეპირი.

<sup>163</sup> ბონდარი, გვ. 24. *İslâm Ansiklopedisi*, cüz 104, გვ. 367.

<sup>164</sup> ბონდარი, გვ. 24—25; რავენდი, I, გვ. 114.

<sup>165</sup> ბარჰებრაი, I, გვ. 316.

<sup>166</sup> *Anadolu...*, III, გვ. 7.

მამამისმა იგი სიცოცხლეშივე გამოაცხადა თავის ტახტის მემკვიდრედ. ჩაღრი-ბეგ დაუდმა თავისი ძლევაშისილი ლაშქრობების დროს „ბალხის, თოხარისთანის, თერმეზის, ყობადიანის და სხვა ვილაიეთების მართვა ალფ-არსლანს მიანდო<sup>167</sup>, ხოლო, როდესაც ჩაღრი-ბეგი გარდაიცვალა<sup>168</sup>, მთელი მისი ძალაუფლება მთლიანად ალფ-არსლანს გადაეცა; ამიტომ ბუნებრივია, რომ გაძლიერებული ალფ-არსლანი პრეტენზიას განაცხადებდა სელჩუკთა ტახტზე. როდესაც ალფ-არსლანის ძმა სულეიმანი ტახტზე ავიდა, ბეგების დიდმა ნაწილმა მას მხარი არ დაუჭირა და ალფ-არსლანს შეპყვიცა ერთგულება. დიდ ვეზირი, რ. ი. ნელმაც ცოტა ხნის წინათ სელჩუკთა ტახტზე დასვა სულეიმანი, იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის გადაწყვეტილებაზე. ხალიფა ალქაიმის მიერ შეკრებილ მეჯლისში 456 წ. 7 ჯომადი ალ-ავვალის (27 აპრილს 1064) ალფ-არსლანი საზეიმო ვითარებაში აღიარეს სულთანად<sup>169</sup>.

ალფ-არსლანის მიერ ტახტის დაკავება ამით არ დამთავრებულა; სხვა ბიძაშვილებმა და ნათესავებმაც განაცხადეს ტახტზე პრეტენზია; საკირო იყო მოწინააღმდეგე ძალების დათრგუნვა. ალფ-არსლანმა ისინი დასაწყისშივე დაამარცხა, მაგრამ ახლა საშიშ მეტოქედ თავისი ნათესავი ყუთულშიში მოეკვლინა, რომელიც აცხადებდა, ფადიშაჰობა ჩვენ გვერგება, რადგანაც მამაჩვენი ამ საქმისათვის იქნა მოკლული, სელჩუკთა შთაჰომავლობიდან წლოვანებით ყველაზე უფროსი ის იყო<sup>170</sup>. ყუთულშიში „ითხოვდა სულთნობას თავისთვის და ამიტომ მიდამოებს კალიებივით შეუსია თავისი ჯარი“<sup>171</sup>.

მ. ინანჩის გამოანგარიშებით ყუთულშიშს ალფ-არსლანის წინააღმდეგ 50 000 ჯარისკაცი გამოუყვანია<sup>172</sup>. იბნ ალ-ასირის ცნობით, ალფ-არსლანი იმავე წლის მოჰარამის თვის ბოლოს ნიშაბურიდან გამოვიდა და, როდესაც დამლანში მოვიდა, ყუთულშიშს ელჩი გაუგზავნა და მოუწოდა ხელი აეღო განზრახვაზე, მაგრამ ყუთულშიშმა მას ყურადღება არ მიაქცია და რეის სოფლები ააოხრა. მაშინ ნიშამ ალ-მულქმა<sup>173</sup> ალფ-არსლანს ხორასნის უზარმაზარი არმია მიაშველა. სადრ ელ-დინ

<sup>167</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 19.

<sup>168</sup> ჩაღრი-ბეგის გარდაცვალების თარიღად წყაროება სხვადასხვა დროს დებენ; ალ-ჰუსეინის მიხედვით ის გარდაიცვალა 452 წლის საფერის თვეში (=1060), ბონდარის მიხედვით 450 წელს (1058/59), იბნ ალ-ასირის მიხედვით — 451 წელს (1059/60).

<sup>169</sup> *Islâm Ansiklopedisi*, c. I, cüz 5, 1941, გვ. 384; ბონდარი, გვ. 23; Cl. Cahen, *Qutulmûch et ses fils, Des Islâm*, 1964, გვ. XXXIX.

<sup>170</sup> ქერიმ ელ-დინ აყსარაი, გვ. 111.

<sup>171</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 91; ქერიმ ელ-დინ აყსარაი, გვ. 111.

<sup>172</sup> მ. ინანჩ, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

<sup>173</sup> ი ქ ვ ე.



აბუ-ჰასან ალ-ჰუეინი დაწვრილებით აგვიწერს ბრძოლას, რომელიც დაჰლანის სანახებში გაიმართა. ყუთულმიშის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და თვითონაც ამ ბრძოლას შეეწირა<sup>174</sup>. ყუთულმიში რეიში დაკრძალეს, სულთან თორღულის გვერდით.

ყუთულმიშის აჯანყების შემდეგ ალფ-არსლანმა ტახტი განიმტკიცა: ქვეყნის მდგომარეობაც გაუმჯობესდა. არაბული წყაროს ცნობით, „როდესაც სულთან ალფ-არსლანის საქმეები მთლიანად წესრიგში ჩადგა და იგი სულთნის ტახტზე დაჯდა, მისმა მართლმსაჯულეობამ მთელი მოსახლეობა მოიცვა. იგი დაქმდებოდა მოსახლეობისაგან წელიწადში ხარაჯის ორჯერ აღებით“<sup>175</sup>.

ალფ-არსლანს ტახტის მოპოვებისა და მისი განმტკიცების საქმეში უდიდესი დახმარება გაუწია ნიზამ ალ-მულქმა, რომელიც მისი ვეზირი იყო. ჯერ კიდევ ჩალრი-ბეგის დროიდან ალფ-არსლანის ვეზირ აბუ-ალი ბენ შადანის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი ნიზამ ალ-მულქმა დაიჭირა<sup>176</sup>. ამასთანავე არანაკლები სამსახური გაუწია ალფ-არსლანს თორღულ-ბეგის ცნობილმა დიდ ვეზირმა ამიდ ალ-მულქმა. ალფ-არსლანი მას დიდად სცემდა პატივს. ბონდარის ცნობით, ამიდ ალ-მულქის ასეთი განდიდება ვერ აიტანა ნიზამ ალ-მულქმა და იგი დააქერინა.

ამიდ ალ-მულქის მოშორებისა და მისი საქმეების ხელში ჩაგდების შემდეგ ნიზამ ალ-მულქი ძალიან დაწინაურდა მთელს სახელმწიფოში. მისი აღზევების ამბავს საგანგებოდ აღნიშნავს ბონდარი<sup>177</sup>.

სულთან ალფ-არსლანმა ტახტის მოპოვებისთანავე ყუთულმიშის გამოსვლის განადგურების გარდა ქვეყანაში სხვა წინააღმდეგობებიც დასძლია; კერძოდ, ჰერათში მან ჩააქრო თავისი ბიძის — მუსა იაბლუსა და ქავერდის აჯანყებები; ქავერდი მას რამდენჯერმე აუჯანყდა. ბონდარის ცნობით, ალფ-არსლანის ძმა ქავერდი 1063 წელს ალფ-არსლანს აუჯანყდა, შირაზი იგდო ხელთ და იქ მყოფი დეილემიები ამოხოცა. იქიდან თავის შესათარებლად ქერნანში, ბერდესირის სახელწოდების ყაბაბაში ჩაიკეტა. ალფ-არსლანმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ, შეიწყალა იგი. ამის შემდეგ ალფ-არსლანმა ისთახრის ციხე აიღო. ციხისთავი დიდი საჩუქრებით ეახლა სულთანს. სულთანმა ქვეყანაში წესრიგი აღადგინა<sup>178</sup>.

<sup>174</sup> ბონდარი, გვ. 28; ქერიმ ედ-დინ აყსარაი, გვ. 111; ჰამ-დალაქ ყაზვინი, გვ. 431—439.

<sup>175</sup> ახბარ, გვ. 20—21.

<sup>176</sup> ახბარ გვ. 18.

<sup>177</sup> ბონდარი, გვ. 30.

<sup>178</sup> იქვე.

ამრიგად, ალფ-არსლანმა, როგორც კი დასძლია ყოველგვარი სიძნელე ქვეყნის შიგნით, მაშინვე შეუდგა თავისი წინამორბედი სულთნების მიერ დასახული გეგმების განხორციელებას; მან ფართოდ გაშალა დაპყრობითი ომები. აყსარაი პირდაპირ მიუთითებს, რომ როგორც კი ავიდა ტახტზე „ალფ-არსლანი, მთელი ქვეყნების დაპყრობის უდიდესმა სურვილმა შეიპყრო და ყოველ მხარეში მარბიელი ლაშქარი დაგზავნა“<sup>179</sup>

ალფ-არსლანმა დიდი მასშტაბის ბრძოლები აწარმოვა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართულებით და მნიშვნელოვნად გააფართოვა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრები. მას ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობასთან ერთად ხშირად უხდებოდა ქვეყნის შიგნით ცალკეულ უფლისწულთა მიერ მოწყობილი აჯანყებების დაწყება და ქვეყნის შემომტყიება. მიუხედავად იმისა, რომ იგი 40 წლისა გარდაიცვალა, ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მოკლედ და ზუსტად აღმოგვცემს ალფ-არსლანის მკვლელობის ამბავს. ალფ-არსლანის მკვლელობის წელი დაემთხვა საქართველოში ბაგრატ IV გარდაცვალებას. ალფ-არსლანის სიკვდილის შემდეგ, ანდერძის თანახმად, ტახტი დაიკავა მისმა შვილმა მელიქ-შაჰმა (1072—1092). ალფ-არსლანის გარდაცვალება სამი დღე საიდუმლოებით იყო მოცული. ამ ხნის განმავლობაში ამირებმა მელიქ-შაჰი ტახტზე აიყვანეს. მელიქ-შაჰის ძმებს მის წინააღმდეგ არ გაულაშქრიათ<sup>181</sup>. ამირებმა და მელიქებმა მელიქ-შაჰს მორჩილება გამოუცხადეს და შეთანხმებით, რაც სურდათ, ყველაფერს მიადნეს. წყაროების მიხედვით, ალფ-არსლანმა მოასწრო ანდერძის დატოვება იმის შესახებ, რომ „მორჩილნი ყოფილიყვნენ მისი შვილის მელიქ-შაჰისა და ვეზირ ნიჰამ ალ-მულქს ამაზე ერთგულების ფიცი მიაღებინა“<sup>182</sup>. მელიქ-შაჰმა წარჩინებულებს ქონება დაუბრუნა და ირგვლივ მყოფნი და ლაშქარი გაიერთგულა. მხოლოდ ამის შემდეგ დაგზავნა ცნობა შორეულ ვილაიეთებში და მეზობელ ქვეყნებში მამის სიკვდილისა და თავისი გასულთნების შესახებ; მოსთხოვა მორჩილება და ხუტბაში თავისი სახელის მოხსენიება. მაგრამ ამ ცნობის მიღებისთანავე მავერანნაჰრში, ღაზნაში, ქერმანში ერთდროულად დაიწყო მელიქ-შაჰის წინააღმდეგ გამოსვლა. როდესაც ყარახანიანთა დასავლეთი მხარის განმგებელმა — სამარყანდის ხანმა გაიგო ალფ-არსლანის მკვლელობისა და მელიქ-შაჰის ხორასნიდან დაბრუნების ამბავი, მაშინვე ამოქმედდა, თერმეზში

<sup>179</sup> ქ. ე. რ. ი. მ. ე. დ. დ. ი. ნ. ა. ყ. ს. ა. რ. ა. ი. გვ. 111.

<sup>180</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 314.

<sup>181</sup> Anadolu Selçukluları devleti tarihi, III, გვ. 8.

<sup>182</sup> ა. ხ. ბ. ა. რ., გვ. 38.

მივიდა. ბალხში გაილაშქრა, ეს რაიონები ააოხრა, უკან გაბრუნდა და თავის სახელზე ხუტბა წააკითხა<sup>183</sup>. მეორე მხრივ, ალფ-არსლანის სიკვდილით ისარგებლეს ღაზნელებმაც და მავერანნაპრს თავს დაესხნენ. აპასთანავე აჯანყდა მელიქ-შაჰის ბიძა, ქერმანის განმგებელი ქავერდ-ბეგი. რომელმაც მოისურვა ძმის ტახტის დაკავება.

ნიზამ ალ-მულქი დიდად ეცადა, ქავერდ-ბეგი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ქავერდ-ბეგმა გადაწყვიტა ალფ-არსლანის ტახტის ხელში ჩაგდება და ამ მიზნით რეისკენ გამოემართა. მელიქ-შაჰმა და ნიზამ ალ-მულქმა ორი დღით ჩაასწრეს რეიში. ალფ-არსლანის ხაზინიდან 500 000 დინარი, 5 000 ხელი საქურველი და იარაღი გამოიტანეს. რეიდან გამოვიდნენ და ჰამადანთან შეებრძოლნენ ქავერდ-ბეგს. „ქავერდს შვიდი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ზოგი მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა, ზოგი მარცხენაზე. ზოგი კი მამასთან ერთად ცენტრში იდგა“<sup>184</sup>. წყაროებში დაწვრილებითაა აღწერილი მელიქ-შაჰისა და ქავერდის ურთიერთობა, მათ შორის არსებული მიმოწერა და ბრძოლა. ბრძოლაში ქავერდი დამარცხდა და ჰამადანის მთებში დაატყვევეს. იგი სულთანს პატიებას სთხოვდა, სამაგიეროდ, ერთგულ სამსახურსა და თავისი იტყების მიცემას პირდებოდა. იგი ამბობდა: „მე გამათავისუფლეთ. რათა უმანის ქვეყნებისაკენ წავიდე და სულთნისთვის ვიყო უმორჩილესი ბიძა და მწყალობელი მამა. მე არ ძალმიძს სხვა რაიმე მოვთხოვო სულთანს“<sup>185</sup>. სულთნის მსახურებმა იგი დაახრჩვეს ისე, რომ მისი თხოვნა სულთანს არ გააგებინეს.

აჯანყებული ბიძის ლაშქრის დამარცხების შემდეგ მელიქ-შაჰმა ქერმანის ქვეყანა ქავერდის მემკვიდრეებს მისცა და ისინი გაიერთგულა, ხოლო თავის ერთ-ერთ ძმას — შეჰაბ ად-დოვლე მელიქ თოქიშს ხალათი უბოძა და ბალხი და თოხარისთანი მისცა საგამგებლოდ. მეორე ძმას მელიქ ბორი ბარსს ლურისა და ღარჯისთანის ქვეყნები და ჰერათის ვილაიეთი მისცა. მელიქ-შაჰმა თავისი ძმები ბოძებული ქვეყნებით მაინც ვერ გაიერთგულა. ისინი მისთვის სანდონი ვერასდროს ვერ გაზდნენ. პირიქით მელიქ-შაჰს ყოველთვის უხდებოდა მათი ძალით დამორჩილება. თითქოს და ფორმალურად ერთგული ძმა მელიქ შეჰაბ ად-დოვლე რამდენიმეჯერ განუდგა. მემატთანე გადმოგვცემს, რომ „ეშმაქმა ის ისევ შეიყვანა შეცდომაში, მტრობისა და აჯანყების გზას დაადგა“<sup>186</sup>. მელიქ-შაჰი მის დასასჯელად გაემართა. შეჰაბ ად-დოვლე თერ-

<sup>183</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde, გვ. 19.

<sup>184</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 39; ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 48—49; ბ ა რ ქ ე ბ რ ა ი, I, გვ. 326; მ უ ნ ე ქ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 535.

<sup>185</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 40.

<sup>186</sup> ი ქ ე ე; პ ა მ დ ა ლ ა პ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 444—445.

მეზის ციხეში გამოიკეტა, სულთანმა იგი ძალით ჩამოიყვანა ციხიდან და სიკვდილით დასაჯა.

მელიქ-შაჰმა ტახტზე ასვლისთანავე ქვერდის აჯანყების ჩაქრობისა და სხვა ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ქვეყნის განმტკიცების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. ქვერდის დაპარცხებისათვის ლაშქარმა ნიზამ ალ-მულქს ხელფასის მომატება მოსთხოვა. ნიზამ ალ-მულქმა შესძლო მათი დაწყნარება ხელფასის მოუმატებლად: უკმაყოფილო ლაშქარმა ხელი მიჰყო მოსახლეობის ქონების დატაცებას. ლაშქრის მეთაურები ფიქრობდნენ, რომ ნიზამ ალ-მულქი იყო წინააღმდეგი იმისა, რომ სულთანს მათთვის ფულები მიეცა. ნიზამ ალ-მულქმა საქმის ვითარება სულთანს გააცნო; მან კი საქმის მოგვარება მიანდო ნიზამ ალ-მულქს, რომელმაც მშვიდობიანად გადაწყვიტა ეს საკითხი<sup>187</sup>.

ყველა წყარო ერთხმად აღნიშნავს ნიზამ ალ-მულქის დიდ როლს მელიქ-შაჰის გასულთნებისა და ქვეყნის განმტკიცების საქმეში.

მადლიერმა სულთანმა დაათვა ნიზამ ალ-მულქის დამსახურება. მისი სულთანად გახდომისა და ქვეყნის საქმეების მოგვარების გამო მას იქტები უბოძა; იქტად გასცა აგრეთვე მისი მშობლიური ქალაქი ტუსიც; ათაბაგის ტიტულიც უბოძა. მთელი ქვეყნის განმგებლობა მას ჩააბარა<sup>188</sup>. ნიზამ ალ-მულქმაც წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მთელი პოლიტიკური და სამხედრო საქმეები მისი ხელმძღვანელობით წარიმართებოდა.

ქვეყნის საშინაო ვითარების მოგვარების შემდეგ მელიქ-შაჰი ერთპიროვნული მმართველი გახდა. მას ახლა მხოლოდ ხალიფასაგან სკირდებოდა ფორმალურად აღიარება და მისი უფლებების ცნობა. ამ მიზნით მელიქ-შაჰმა საად აღ-დოვლე გოვჰარაინი ბაღდადში გაგზავნა ხალიფასთან, ხალიფა ქაიმმა მელიქ-შაჰის მიერ გამოგზავნილი პირი დიდი პატივით მიიღო, საგანგებო მეჭლისი მოიწვია; საზეიმო ცერემონიალში ხალიფამ მელიქ-შაჰი სულთანად აღიარა და წაიკითხა პირობის წიგნი (აპილ-ნამე); მელიქ-შაჰისათვის გადასაცემი ღრრუა იქვე გოვ-

<sup>187</sup> М И Т Т, I, стр. 377; ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 444.

<sup>188</sup> М И Т Т, I, стр. 377; ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 49—50; მუნეჯიმ-ბაში აღნიშნავს, რომ 1072/3 წელს „მელიქ-შაჰმა ნიზამ ალ-მულქს ათაბაგის ტიტული უბოძა. მთელი ხელისუფლების მართვა-გამგებლობა მას ჩააბარა და უთხრა: შენ მაშაჩემივით საყვარელი პიროვნება ხარ; მთელი ჩემი ქვეყანა შენი მეოხებითა და იმედითაა. მაშაჩემის დროს არსებული მიწები კვლავ მას დაუტოვა და ნიზამის სამშობლო ქალაქი ტუსიც მას სახასოდ მისცა“, მუნეჯიმ-ბაში, გვ. 535.

პარაინს გადასცა; მელიქ-შაჰს კი ახალი ტიტული — კასიმ ემირ ილ მუშინისა და მუიზზ უდ-დინ, ჯელალ უდ დევლე ვედ დინ უბოძა<sup>189</sup>. ამრიგად, მელიქ-შაჰმა ხალიფასაგან სულთნობის უკანასკნელი ფორმალური დასტურა მიიღო. სამეფო ტახტის შემომტკიცების შემდეგ მელიქ-შაჰმა განაგრძო თავისი წინაპრების მიერ დაწყებული დაპყრობითი ბრძოლები როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებითაც. ის ყოველნაირად ცდილობდა ქვეყნის ტერიტორიების გაფართოებას და სახელმწიფოს დედაქალაქის ისტაჰანში გადატანის მზადებას შეუდგა. სულთანად გახდომის პირველ წლებში მას მოუვიდა ცნობა თავისი ძმის აიაზის გარდაცვალების შესახებ, რომელიც ბალხში იპოფებოდა. მელიქ-შაჰმა აიაზის გარდაცვალების შემდეგ ბალხი და თოხარისთან თავის მეორე ძმას შეჰაბ აღ-დოვლეს უბოძა<sup>190</sup>. ამასთანავე ღაზნის სახელმწიფოსთან ნათესაური კავშირი დაამყარა, თავისი ქალიშვილი ჯოვჰარი ღაზნის ტახტის მემკვიდრეზე — მასუდზე დააქორწინა: წყაროს ცნობით, როდესაც ღაზნის სულთნის იბრაჰიმის ელჩები უამრავი ფულითა და საჩუქრებით რეიში მოვიდნენ მელიქ-შაჰის ქალიშვილის ხელის სათხოვნელად, სულთანს ძალიან გაუხარდა, „მათი სურვილები დააკმაყოფილა და მაჰდულ ერაცის მეტსახელით ცნობილი თავისი ქალიშვილი ჯოვჰარი მელიქ სულთან მასუდ ბენ იბრაჰიმს მისცა“<sup>191</sup>.

ამის შემდეგ სულთანი რეიდან ჯურჯანისკენ დაიძრა; გზაზე მას ბიძის ემირ ალ-უმარა ოსმანის ელჩები შეხვდნენ და ოსმანის ადგილსამყოფელ სარახსსა და ბადლისში მიიპატივეს. ბიძა მას დიდი პატივით შეხვდა და მელიქ ალ-მოაიფედ როქნ ედ-დინის ტიტული მისცა და ვილაიეთი უბოძა<sup>192</sup>. აქედან მელიქ-შაჰმა კიდევ ზოგიერთი ქვეყანა მოინახულა. ღურისა და ღარჯინთანის ქვეყნები და ჰერათის ვილაიეთი თავის ძმას მელიქ ბორი ბარსს მისცა.

ამრიგად, მელიქ-შაჰმა თავისი სულთნობის პირველი წლები შინაგანი არეულობების დაწყებამდე, აღმოსავლეთის საზღვრების გაფართოებასა და იმპერიის შიგნით მშვიდობიანობის ჩამოგდებას მოახმარა. ქვეყნის შემომტკიცების შემდეგ იწყება მთავარი ბრძოლები და სახელმწიფოს გაფართოება როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით. როდესაც მელიქ-შაჰი ქვეყნის შემომტკიცების საქმეებით იყო დაკავებული, ანატოლიასა და სირიაში გრძელდებოდა

<sup>189</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 50; მ უ ნ ე ჯ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 535.

<sup>190</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 41.

<sup>191</sup> ი ქ ვ ე.

<sup>192</sup> ი ქ ვ ე, გვ. 41; I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

ცალკეულ სელჩუკიან უფლისწულთა დაპყრობები და ახალ-ახალი ტერიტორიების შემომტკიცება. მელიქ-შაჰის ტახტზე ასვლის შემდეგ სელჩუკები თანდათანობით იპყრობენ ბიზანტიის სამფლობელოებს მცირე აზიაში. ეს კი უფიდეისი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო, რომლის საბედისწერო შედეგები უფრო გვიან გაიგეს ბიზანტიის ხელისუფლებმა, მაგრამ მისი გამოსწორება უკვე მათ ძალას აღემატებოდა. ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ რაიმე ელონათ მათ წინააღმდეგ<sup>193</sup>.

სელჩუკთა მარბიელი ლაშქარი სისტემატურად მოდიოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში და მელიქ-შაჰიც განაგრძობდა დიდ დაპყრობით ომებს სხვადასხვა მიმართულებით. სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის ცნობით მელიქ-შაჰმა 1086 წლისათვის ამირ ბოზანი დიდი ლაშქრით ქალაქ ურფისკენ გაგზავნა. სელჩუკთა ლაშქარი ქალაქის კართან დაბანაკდა და ქალაქი ალყაშემორტყმული იყო. თვითონ სულთანიც მოსულა აქ მცირე ძალებით და პარანის ველზე დაბანაკებულა. ამირ ბოზანი გულმოდგინედ განაგრძობდა ურფაზე თავდასხმებს. ბოზანის თავდასხმებით შეწუხებული ადგილობრივი მოსახლეობა თავის წინამძღოლს ბარსამს აუჯანყდა. ბარსამმა აჯანყებული მოსახლეობის წინააღმდეგ ვერაფერი იღონა და ბოზანთან გააბა კავშირი. თვითონ ციხიდან ჩამოსვლის დროს დაიმტვრა და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. წარჩინებულებმა ქალაქი ბოზანს ჩააბარეს. მან ქალაქის ვალად სალარი დანიშნა და თვითონ ირანში დაბრუნდა<sup>194</sup>. იმავე წელს ამირ ბოზანი დიდი ლაშქრით განჯას დაესხა თავს. მათე ურჰაელის ცნობით, მთელი ირანის ლაშქარი აქ იყო თავმოყრილი. სელჩუკებმა ქალაქი ხელთ იგდეს და ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენა გამონახეს. ქალაქის კათალიკოსი — სტეფანოსი ბოზანის ლაშქარში მყოფმა სომეხმა ჯარისკაცებმა გაათავისუფლეს<sup>195</sup>. წყაროებიდან ჩანს, რომ მელიქ-შაჰი 1086 წლისათვის ისევ მოვიდა ამიერკავკასიაში. მისი ლაშქრობა ამ ქვეყნებში ამჯერადაც ისეთივე წარმატებული იყო, როგორც წინა ლაშქრობები. მან მთელს სომხეთში „თავისი კანონები დაადგინა“, როგორც ამას აღნიშნავს მათე ურჰაელი. ამ ლაშქრობისას მას ანისის ამირი მანუჩარ აბულ-ფაზლ II ეახლა და მორჩილება გამოუცხადა; ამით აპირმა თავისი თანამდებობა შეინარჩუნა. ასევე დამორჩილდა შირვანშაჰი ფარბუტურზი, რომელმაც ხარკის გადახდა იკისრა წლიურად 70 000 დინარის ოდენობით<sup>196</sup>.

<sup>193</sup> Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, М.-Л., стр. 98.

<sup>194</sup> მათე ურჰაელი, გვ. 173.

<sup>195</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>196</sup> I. Kafesoglu, დასახ. ნაშრ..., გვ. 116.

მათე ურპაელის ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ სელჩუკთა ცალკეული მხედართმთავრები ყოველწლიურად მოდიოდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა პუნქტებში და აღვილობრივ მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ. თანდათანობით ხდებოდა თურქული ელემენტის მთელს ამიერკავკასიაში გაბატონება. სელჩუკებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს სომხური ქრისტიანული მოსახლეობა. განსაცდელის თავიდან აშორების მიზნით სომეხთა კათალიკოსმა ბარსელმა, რომელიც კარგად ხედავდა ქრისტიანთა მძიმე მდგომარეობას, ეკლესიების წარყენას, მონასტრების მძიმე გადასახადებით დაბეგვრას და სხვა მისთანებს, 1086 წელს გადაწყვიტა ხლებოდა სულთან მელიქ-შაჰს; მან საჩუქრებად წაიღო 10 000 ოქროსა და ვერცხლის მონეტა, ძვირფასი ქსოვილები და ტანსაცმელი, თან წაიყვანა სამღვდელთა წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ამალა და ეახლა დიდ სულთანს<sup>197</sup>. მელიქ-შაჰმა კათალიკოსი დიდი პატივით მიიღო და თხოვნა აღუსრულა. მათე ურპაელის ცნობით, სულთანმა გადასახადისაგან გაათავისუფლა მთელი ეკლესია-მონასტრები და სომეხთა კათალიკოსს ფირმანები უბოძა. თვითონ ბარსელი კი სულთნის ბრძანებისამებრ თანმხლებ პირებთან ერთად უკან დაბრუნდა<sup>198</sup>.

სულთნის მიერ სომეხთა კათალიკოსის ასეთი დიდი პატივით მიღება გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. როდესაც მელიქ-შაჰი ეკლესია-მონასტრებს გადასახადებისაგან ათავისუფლებდა, მის სანაცვლოდ კათალიკოს ბარსელის ხელით თავისთვის უფრო სასარგებლო საქმეს აკეთებდა. შესაძლებელია ეკლესია-მონასტრების გადასახადებისაგან განათავისუფლება მთელ რიგ პოლიტიკურ მოსაზრებებთან ყოფილიყო დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, მელიქ-შაჰმა ტახტზე ასვლისთანავე წარმატებით განაგრძო თავის წინამორბედთა მიერ დაწყებული დაპყრობითი ომები. სახელმწიფოს გაფართოებისა და განმტკიცებისათვის ზრუნვამ მის დროს უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. გარდა იმისა, რომ ცალკეულ სელჩუკ მხედართმთავრებს განაწილებული ჰქონდათ დაპყრობის ობიექტები და წარმატებით ახორციელებდნენ სულთნის მიერ დასახულ ამოცანას, თვითონ მელიქ-შაჰიც წარმატებით ხელმძღვანელობდა დაპყრობებს როგორც ამიერკავკასიაში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ამასთანავე იგი იძულებული ხდებოდა დაემორჩილებინა ცალკეული პროვინციების განმგებელი ამირები, რომლებიც ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვე-

<sup>197</sup> მათე ურპაელი, გვ. 176.

<sup>198</sup> იქვე.

ბას. მელიქ-შაჰის სულთნობის პერიოდში, მიუხედავად მისი სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ძლიერებისა, შეიმჩნევა ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავების შედეგად ცალკეული ქვეყნების განმგებელთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ტენდენციები. უფრო მეტიც, მელიქ-შაჰის დროს იქმნება სელჩუკიანთა რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ეს პოლიტიკური წარმონაქმნები ნომინალურად დიდ სელჩუკ სულთანს ექვემდებარებიან, მაგრამ რეალურად ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ.

მელიქ-შაჰის სულთნობის წლებში ცალკეული უფლისწულები განაგრძობდნენ ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ გარშემო ირანელები იყვნენ ფეოდალური დაჯგუფებები, რომელთა პოლიტიკურ ინტერესებს სრულებითაც არ შეადგენდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. სელჩუკი უფლისწულები დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ბაზაზე ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ამას გარდა, დამოუკიდებლობისა და განკერძოების ტენდენციებს იჩენენ ცალკეული ქვეყნის მმართველი ფეოდალებიც. ასეთი სეპარატული ტენდენციების წინააღმდეგ გადამკრელი ღონისძიებების მიღება უხდება მელიქ-შაჰს. იგი ქმნის მუდმივ ფეოდალურ ლაშქარს, რომელსაც უპირისპირებს განკერძოების გზაზე შემდგარ ფეოდალებს ერთი მხრივ, და აწარმოებს ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას მეორე მხრივ. ქვეყნის შიგნით მელიქ-შაჰის გაუთავებელი ლაშქრობების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებასა და ცენტრალიზაციას ითვალისწინებდა. იგი დაუღალავად იღვწოდა, რათა თავისი ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა ადგილობრივ ფეოდალთა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ძალაუფლება; ცდილობდა მტკიცედ დაედგინა ვასალის სიუზერენისადმი დამოკიდებულებისა და ვალდებულების ნორმები და სხვ.

მელიქ-შაჰი თითქმის მთელი თავისი სულთნობის პერიოდში ენერგიულად ეწეოდა ადგილობრივ ფეოდალთა დამორჩილებას, დაპყრობილი ქვეყნების შემომტკიცებას და ახალ-ახალი ტერიტორიების ხარკზე იმპერიის გაფართოებას. მელიქ-შაჰის სახელმწიფო არ იყო ცენტრალიზებული პოლიტიკური ერთეული; ცალკეული ქვეყნების განმგებლები უარს ამბობდნენ მორჩილებაზე და გადასახადებზე; სულთანი იძულებული ხდებოდა ხელმეორედ გაელაშქრა და დაემორჩილებინა ესა თუ ის განდგომილი ქვეყანა. 1080/1 წლისათვის სულთნის გაძლიერებულმა ძმამ, მელიქ შეჰაბ ედ-დოვლე თოქიშმა მელიქ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო; ბონდარის ცნობით, ამ აჯანყების მიზეზი ყოფილა მელიქ-შაჰის მიერ ლაშქრიდან გაგდებული 7000 სომხის გადა-



სულა თოქიშის სამსახურში, რომელმაც ამით თავისი ძლიერება განიმტკიცა და მელიქ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყდა<sup>199</sup>.

მუნეჯიმ-ბაში აღნიშნავს, რომ 1080/1 წელს მელიქ-შაჰმა ლაშქრის შემოწიპება მოახდინა და 7000 სომეხი სიფაჰი, რომელნიც სულთნის სამსახურში იყვნენ შესული, გაათავისუფლა. მათ განთავისუფლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნიზამ ალ-მულქმა, რომელიც სულთანს უმტკიცებდა, ესენი უცხო სარწმუნოებისანი არიან და ჩვენს საქმიანობას სიძულვილით მოეკიდებიან, აჯანყებას მოგვიწყობენო. სულთანის სამსახურიდან გაქევებული სომეხთა რაზმი მელიქ-შაჰის ძმას შეუერთდა, რომელმაც თავის მხრივ სასწრაფოდ გამოიყენა უკმაყოფილო ელემენტები და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრა<sup>200</sup>. სულთანმა სასწრაფოდ გაილაშქრა ძმის წინააღმდეგ. იგი ხორასანში გადავიდა და თოქიშზე ადრე დაიკავა ნიშაპური; თოქიში იძულებული გახდა თერმეზის ციხეში გამაგრებულიყო; ცოტა ხნის შემდეგ იგი სულთანს დანებდა, მორჩილება გამოუცხადა<sup>201</sup>, მაგრამ როგორც კი თოქიშმა სულთანი შორს გაიგულა, ისევ აჯანყდა<sup>202</sup>. სულთანი იძულებული გახდა ერთხელ განდგომილი და დამორჩილებული ძმის წინააღმდეგ ისევ გამოსულიყო და მის წინააღმდეგ გაელაშქრა. სულთანმა იგი სიმაგრისაგან ძალით ჩამოიყვანა, თვალები დაათხარა და ციხეში გამოკეტა. მხოლოდ ასეთი მკაცრი ღონისძიებების მიღებით ახერხებდა მელიქ-შაჰი ქვეყნის შემომტკიცებას, ერთსა და იმავე ქვეყანაში რამდენიმეჯერ ლაშქრობდა; არაბი ავტორის ცნობით, თოქიშის მიერ გამაგრებული ციხე მისი დამარცხების შემდეგ „მესამედ გადავიდა სულთან მელიქ-შაჰის ხელში“<sup>203</sup>.

მელიქ-შაჰს ასევე არაერთგზის მოუხდა ბალხის განმგებლის წინააღმდეგ გალაშქრება; ბალხის განმგებელმა ხაყანმა შამს ალ-მულქმა მელიქ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო და თერმეზის ციხე ხელთ იგდო; მელიქ-შაჰმა მოახერხა ციხის უკან დაბრუნება და ხაყანის ლაშქრის დამარცხება<sup>204</sup>, მაგრამ ეს სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რათა ხაყანი მელიქ-შაჰის საბოლოოდ ერთგული და მორჩილი გამხდარიყო. იგი ისევ განუდგა სულთანს. მელიქ-შაჰს საგანგებო ღონისძიებების მიღება დასჭირდა მის დასამორჩილებლად. ასევე არაერთგზის ილაშქრა მელიქ-შაჰმა მავერანნაჰრში. გზაში მან გამაგრე-

<sup>199</sup> ბონდარი, გვ. 70.

<sup>200</sup> მუნეჯიმ-ბაში, გვ. 536.

<sup>201</sup> ახბარ, გვ. 40; შდრ. М И Т Т, I, стр. 377.

<sup>202</sup> М И Т Т, I, стр. 378; ახბარ, გვ. 40. ბონდარი, გვ. 70.

<sup>203</sup> ახბარ, გვ. 40.

<sup>204</sup> იქვე, გვ. 40.

ბული ადგილები და ციხეები სათითაოდ დაიპყრო. შემდეგ ბუხარა აიღო და სამარყანდს ალყა შემოარტყა. ბონდარის ცნობით, მელიქ-შაჰმა „სამარყანდში გაილაშქრა, რაც ორ კვირაზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. როდესაც სამარყანდში მოვიდა, მის გვერდით დაბანაკდა და ქალაქი გარემოიკვა. მიზი ხანი ხელთ იგდო ქვეყნის შუაგულში. მელიქ-შაჰსა და ხანს შორის დიდი ბრძოლა მოხდა. ამ ბრძოლაში მელიქ-შაჰმა ლაშქარი დაამარცხა, გაანადგურა და თვით ხანი დაატყვევა“<sup>205</sup>. რავენდის ცნობით, დატყვევებული ხანი ისფაჰანში გაგზავნეს, ბოლოს შეიწყალეს და საჩუქრებით უკან გამოისტუმრეს<sup>206</sup>. სამარყანდის აღებისას მელიქ-შაჰი სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, თუმცა, როგორც ვ. ბარტოლდი შენიშნავს იზნ ალ-ასირის დამოწმებით, ადგილობრივი მოსახლეობა სელჩუკთა ლაშქარს სურსათით ამარაგებდა<sup>207</sup>. მიიხვედრებით, მოსახლეობის სიმპათიები სელჩუკთა ლაშქრისადმი იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ადგილობრივი ხანი ავიწროებდა მოსახლეობას, რომელმაც სასულიერო წოდების წარმომადგენლები გაუგზავნა და დასახმარებლად მელიქ-შაჰს მიმართა. ამ მხარის დასაპყრობად მოსული მელიქ-შაჰი განმათავისუფლებლად გამოჩნდა ადგილობრივი შევიწროებული მოსახლეობის თვალში, რომელიც ამის გამო მას მიემხრო.

ამრიგად, სამარყანდის აღების შემდეგ მისი განმგებელი მორჩილებისა და სამსახურის შესრულების პირობით ისევ დატოვეს თანამდებობაზე. მაგრამ, როგორც კი გაიგულებდა სულთანს, ხანი მაშინვე არღვევდა დადებულ პირობას და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ზრუნავდა.

მელიქ-შაჰის დროს არსებული დიდ სელჩუკთა უზარმაზარი სახელმწიფო არ იყო მყარი პოლიტიკური ერთეული; მელიქ-შაჰი მთელი თავისი სულთნობის პერიოდში ახალ-ახალი დაპყრობების პარალელურად ყოველთვის ცდილობდა მორჩილებაში ჰყოლოდა მის განმგებლობაში შემავალი ქვეყნები. ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა ხშირად მოენახულებინა ესა თუ ის განმგებელი. ჰამდალაკ ყაზვინის ცნობით „მელიქ-შაჰი სხვადასხვა დროს ორჯერ გაუდგა გზას თავისი

<sup>205</sup> ბონდარი, გვ. 56 — 57, ახბარ, გვ. 44; რავენდი, I, გვ. 125.

<sup>206</sup> რავენდი, I, გვ. 125; ბონდარის მიხედვით, დატყვევებული ხანი ერაყში გაგზავნეს; სამარყანდის დაპყრობის თარიღი წყაროებში სხვადასხვანაირადაა მოცემული. რავენდის მიხედვით, მელიქ-შაჰმა სამარყანდი დაიპყრო 1078/9 წელს. იზნ ალ-ასირთან კი 1089/90 წლის ამბებთან დაკავშირებითაა გადმოცემული. ბონდარის საერთოდ არა აქვს თარიღი აღნიშნული. ჰამდალაკ ყაზვინის მიხედვით, მელიქ-შაჰმა სამარყანდს ალყა შემოარტყა 1078/9 წელს.

<sup>207</sup> В. В. Бартольд, Сочинения, т. I, 1963, М., стр. 379.

სახელმწიფოს პროვინციების მოსახილველად და მოინახულა ისინი ანტიოქიიდან მავერანნაპრაზდე და ჩინეთისა და ხოთანის მიდამოებამდე; შემდეგ კასპიის ზღვიდან უმანისა და თაიფის საზღვრებამდე<sup>208</sup>.

თავისი ვრცელი სახელმწიფოს ასეთი შემოვლის შედეგი იყო ის, რომ მან სამარყანდი ხელახლა დაიმორჩილა. სამარყანდიდან იგი მეორე წელს ოზგენდში გაემგზავრა. რავენდის ცნობით, ოზგენდში მგზავრობისას ხათასა და ხოთანის საზღვრებამდე ყოველი ქალაქის განმგებელი და იქტას მფლობელი დაექვემდებარა მას და არაასაურველი კანონები გააუქმა<sup>209</sup>. მისივე ცნობით, მელიქ-შაჰმა თავისი სულთნობის პერიოდში ანტიოქიიდან ოზგენდში მეორედ ილაშქრა<sup>210</sup>. ოზგენდში ლაშქრობის დროს სულთან მელიქ-შაჰს მოუვიდა ანატოლიაზე გაწერილი გადასახადი<sup>211</sup>. ასევე ამ ლაშქრობის დროს, როცა მელიქ-შაჰმა ისფაჰანს მიაღწია, „რუმის ელჩმა ჯიზიას სახით ბევრი ქონება მოუტანა, თუქცა ნიზამ ალ-მულქმა ამ ელჩს კეთილი მიღება მოუწყო, მაგრამ სურვილები არ შეუსრულა და ვიდრე თვითონ ქაშლარის სასახლეში არ ჩამოხდა, ისინი თავიანთ ქვეყანაში არ დააბრუნა“<sup>212</sup>.

ეს ცნობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ რუმის ქვეყნების ქვეშ აქ საქართველო იგულისხმება. ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით 80-იან წლებში საქართველოსა და სელჩუკების დამოკიდებულებაზე; ამაყვრალ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზემოთ მოტანილ ცნობაში მაინც

---

<sup>208</sup> ვ ა მ დ ა ლ ა კ ყ ა ხ ვ ი ნ ი, გვ. 448. ამასთან დაკავშირებით ა. კრიმსკი აღნიშნავს, რომ «В течении своего двадцатилетнего царствования Мелникшах несколько раз объехал свое обширное государство, чтобы лично убедиться все ли в порядке и хорошо ли несут свою службу правители, положим, некоторые такие поездки могли совмещаться с его военно-походными движениями на границах» (А. К р ы м с к и й, История Персии, ее литературы и дервишеской теософии, т. I, № 2. М., 1914, стр. 134); ა. კრიმსკი, იქვე მალკოლმის მისამართით სქოლიოში შენიშნავს, გაზვიადებული ჩანს ცნობა, რომ თოქტოს მელიქ-შაჰს თავისი სამფლობელოები თორმეტჯერ შემოეწვლია.

<sup>209</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 127.

<sup>210</sup> ი ქ ე ე, გვ. 126.

<sup>211</sup> ბ რ ნ დ ა რ ი, გვ. 57.

<sup>212</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 52; მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, მელიქ-შაჰი „რუმის იმპერატორისაგან ძალითა და სასჯელით ჯიზიას იღებდა“ (მუნეჯიმ-ბაშის, გვ. 542); ცოტა ზემოთ მუნეჯიმ-ბაში, შენიშნავს, რომ 482 (1089/90) წელს, როდესაც სულთანმა მავერანნაპრაზზე გასალაშქრებლად ჯარი შეკრიბა, რუმის იმპერატორისაგან ელჩი მოვიდა, მათზე შეწერილი გადასახადი მოიტანა, ნიზამ ალ-მულქმა ის ელჩიანად გამოგზავნა. როდესაც მდინარე ყვიპუნის ნაპირზე მოვიდნენ, ელჩის მოტანილი ქონება აიღეს და ლაშქარს დაურიგეს მდინარის გადალახვისას“ (იქვე, გვ. 539).

არ ჩანს თუ რა რაოდენობის ჯიზია იყო და რამდენს უხდილა საქართველო სელჩუკებს.

არაბულ წყაროში დატულია ცნობა იმის შესახებ, რომ მელიქ-შაჰს მავერანნაჰრზე ლაშქრობის დროს შირვანშაჰმაც გამოუტყხადა მორჩილება და იკისრა ყოველწლიური გადასახადის გადახდა 70 000 დინარის ოდენობით<sup>213</sup>.

ამ ლაშქრობისას მელიქ-შაჰმა დაიმორჩილა მთელი ამ მხარის განმგებელი და ისფაჰანში გაგზავნა, დიდი პატივით მოექცა და თავის ქვეყანაში დააბრუნა<sup>214</sup>. ალ-ჰუსეინის სიტყვით, „ხაყანი სულთანთან მოვიდა, მასთან შევიდა, მიწას ეამბორა და სამარადისოდ მოსახსენებელი რომ დარჩება ისეთ წყალობასა და მოწყალებას ეღიკრა და თავის ქვეყანაში პატივისცემით წავიდა“<sup>215</sup>. ქაშლარის გამგებლის დამორჩილებასთან დაკავშირებით საინტერესოა მელიქ-შაჰის სიტყვები, საიდანაც აშკარად ჩანს მისი სიხარული და სიამაყე თავისი ძლევამოსილების გამო. იგი ამბობს: „საკვიროა დაიწეროს ისტორია იმისა, რომ ქაშლარის ხაყანმა სულთანს უამრავი საჩუქარი გამოუგზავნა და ითხოვა პატიება და შეწყნარება“<sup>216</sup>.

ოზგენდამდე წასულმა სულთანმა ქაშლარის ხანს მოსთხოვა მორჩილების ნიშნად ხუტბაში მისი სახელი მოეხსენებინათ, მონეტაზე მელიქ-შაჰის სახელი ამოეკრათ და გადასახადის გაღება ეკისრათ. მავერანნაჰრზე ლაშქრობისას მელიქ-შაჰმა ქაშლარის ოლქი და ყარახანიანთა ტერიტორიები დაიმორჩილა; ძლევამოსილი სულთან 1090 წლისათვის ისფაჰანში დაბრუნდა; მაგრამ იმავე წლის ბოლოსათვის იგი იძულებული გახდა ხელახლა გაელაშქრა მავერანნაჰრის წინააღმდეგ<sup>217</sup>, მაგრამ როგორც კი ადგილობრივმა წარჩინებულებმა შორს გაიგულეს სულთანი, მაშინვე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

მათე ურჰაელის ცნობით, 1086/1087 წლისათვის მელიქ-შაჰმა, უზარმაზარი ლაშქრით დასავლეთის მიმართულებით, ბიზანტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი სიტყვით, სულთანი ყოველგვარი ბრძოლის გარეშე რამდენიმე ვილაიეთისა და ქალაქის გამგებელი გახდა. ის დაეუფლა მთელ სომხეთსა და რუმის ოლქებს<sup>218</sup>. ავტორი მელიქ-შაჰის ასეთი უმტკივნეულო წარმატების მიზეზად გულუბრყვილოდ მიიჩნევს სულთნის გულკეთილ დამოკიდებულებას ქრისტიანებისადმი; სინაჰლ-

<sup>213</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 53.

<sup>214</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 57.

<sup>215</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 52.

<sup>216</sup> ი კ ე ე.

<sup>217</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

<sup>218</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 171.

ვილში სულთანს ხელახლა უხდებოდა ერთხელ დაპყრობილი და დამორჩილებული ქრისტიანული ტერიტორიების შემოვლა და დამორჩილება. თუ ამ შემთხვევაში მის მრისხანე ძალას ისინი წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ და სულთანიც მკაცრად არ ექცეოდა მათ, ეს სრულებით არ ნიშნავდა მის გულკეთილ დამოკიდებულებას ქრისტიანების მიმართ; ბიზანტიისა და სომხეთის დამორჩილების შემდეგ სულთანი ანტიოქიისაკენ გაემართა, მასთან ერთად ალექსოც დაიპყრო. რავენდის ცნობით, მელიქ-შაჰმა ანტიოქიაში უკანასკნელად 1088 წელს ილაშქრა. ამ პერიოდში ზღვის სანაპიროებზე გავიდა და ქალაქი ლადიკია დაიმორჩილა<sup>219</sup>. ამას გარდა მას დაექვემდებარა ქალაქები შაიზარი, ქაფართაბი, ფამია და სხვ.<sup>220</sup>.

მათე ურჭაელის ცნობით, ამ დროისათვის მელიქ-შაჰმა ძალიან გააფართოვა თავისი სამფლობელოს საზღვრები, რომელიც კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაკიმული; მთელს ამ ტერიტორიაზე არსებული სამეფოები მის გამგებლობაში შედიოდა; მას ემორჩილებოდა და გადასახადს უხდიდა 12 ქვეყანა<sup>221</sup>.

მელიქ-შაჰმა მამამისთან შედარებით უფრო ინტენსიურად წარმართა ახალი დაპყრობითი ომები და ღირსეულად განაგრძო წინაპრების მიერ დასახული გეგმის განხორციელება. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებისათვის მან უზარმაზარი სახელმწიფო შექმნა, მაგრამ მელიქ-შაჰის სახელმწიფოს „ტერიტორიულ გაფართოებასთან დაკავშირებული ალაფის და ნადავლის მოპოვებამ მხოლოდ დროებით შეასუსტა შინაგანი ხაზიათის წინააღმდეგობანი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში“<sup>222</sup>. მელიქ-შაჰის დროინდელი თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო უდიდესი პოლიტიკური წარმონაქმნი იყო მთელს აღმოსავლეთში. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ვ. ბარტოლდი, თურქ-სელჩუკებმა ისეთი მნიშვნელობა მოუპოვეს მუსლიმანურ სამყაროს, როგორც საშუალო საუკუნეების არც ერთი თურქული მოდგმის ხალხს არ მოუპოვებია<sup>223</sup>.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლებისათვის მელიქ-შაჰმა მოახერხა ჰიჯაზის და იამანის დამორჩილება. ამ ადგილების დაპყრობა დავალებ-

<sup>219</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 126.

<sup>220</sup> Islam Ansiklopedisi, cüz 77, გვ. 670; I. Kafes oğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

<sup>221</sup> მ ა თ ე უ რ ჭ ა ე ლ ი, გვ. 171—172; რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 126.

<sup>222</sup> ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, გვ. 124.

<sup>223</sup> В. В. Бартольд, Туркмения, т. I, Л., 1929, стр. 27. შდრ. Е. А. Беляев, Периодизация средневековой истории Турции, Известия, АН СССР, серия истории и философии, т. IV, № 1, 1947, стр. 87.

ბული ჰქონდა საად აღ-დოვლე გოკპარაინს, რომელმაც თავისი ამირი თურშეკი გააგზავნა ჯერ ჰიჯაზის დასაპყრობად. შემდეგ კი იაჰანის დასამორჩილებლად<sup>224</sup>. საად აღ-დოვლეს გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი იარინქუშმა დაიჭირა. მან წარმატებით განაგრძო დაწყებული ბრძოლები და მოკლე ხანში იაჰანის გარდა აღენი და მისი მიდამოებიც სელჩუკთა მბრძანებლობას დაუქვემდებარა<sup>225</sup>. ამას გარდა „სულთან მელიქ-შაჰი იერნით გაემართა ჰარკაკათის ქვეყნებისაკენ და თარაზის მფლობელი სურჰამი დაიმორჩილა<sup>226</sup>.

ქელიქ-შაჰის სულთნობის ბოლო წლებში დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. ფეოდალიზაციის პროცესი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში შორს წასული მოვლენა იყო, რასაც სახელმწიფოს ფეოდალური დაქვემდებარება, დაშლა მოჰყვა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შედეგად დიდ სელჩუკთა სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად. მელიქ-შაჰის მიერ დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყნები არ იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან მტკიცედ დაკავშირებული მყარი პოლიტიკური ერთეულები. თითოეული მათგანი ცდილობდა ესარგებლა საშინაო და საგარეო გართულებებით და დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. მელიქ-შაჰის სულთნობის ბოლო წლები განსაკუთრებით აღინიშნა დიდი სოციალური და რელიგიური ძვრებით. ამასთანავე ქვეყნის დეცენტრალიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისმაილიანთა ორდენის გაძლიერებამ, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. ქვეყანაში გამწვავებული შინაგანი ვითარების ქაშის სულთან მელიქ-შაჰი მოკლეს 38 წლის ასაკში (1092 წ.).

<sup>224</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 50.

<sup>225</sup> I. K a f e s o ğ l u, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

<sup>226</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 51.

### თ ა ვ ი III

#### დიდ სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხები

დიდ სელჩუკთა უზარმაზარ პოლიტიკურ წარმონაქმნს სახელმწიფო წყობილების ორგანიზაციის დიდი გამოცდილება და მისი პრაქტიკული განხორციელება ჭირდებოდა. საამისოდ კი დიდ სელჩუკ სულთნებს არც გამოცდილება ჰქონდათ და არც ტრადიციები მოსდგამდათ. მომთაბარე-პეჩოგე, ველის კულტურის მატარებელი ოღუზთა ტომების მიერ შექმნილმა დიდ სელჩუკთა სახელმწიფომ, რომელმაც თავისი ძლიერების მწვერვალს მელიქ-შაჰის მეფობის პერიოდში მიაღწია, ძალაუვნებურად შეითვისა და გადაიღო დაპყრობილი კულტურული ხალხების სახელმწიფოს მმართველობის ტრადიციები. ველებში, იალღებსა და ყიშღალებში მომთაბარე სელჩუკთა ტომები, როდესაც ირანში შეიჭრნენ და დაიპყრეს ძველი ტრადიციების მქონე ქალაქები: ნიშაბური, მერვი, ჰერათი, ისფაჰანი, ჰამადანი და სხვ., მათგან მთლიანად გადმოიღეს სახელმწიფო ორგანიზაციის სისტემა და მმართველობის წესები. ისინი ძალაუვნებურად აღმოჩნდნენ დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ცენტრებში და თვით მოექცნენ ადგილობრივი კულტურული ტრადიციების გავლენაში. სახელმწიფო მოხლეჩებად ყველგან ირანელები იყვნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საკითხების ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდათ ამიდ ალ-მულქს, ნიზამ ალ-მულქს და სხვა ირანელ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომელთაც სახელმწიფო მმართველობაში დიდი გამოცდილება ჰქონდათ და რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ორგანიზაციის საქმეში. ნიშანდობლივია, რომ ნიზამ ალ-მულქს თავის „სიასეთ-ნამეში“ უხვად მოაქვს მაგალითები სასანიანთა, სამანიანთა, აბასელთა და ლაზნელთა სახელმწიფო წყობილების შესახებ და მათ იყენებს სელჩუკთა სახელმწიფოს ორგანიზაციის საქმეში. თურქ-სელჩუკთა ბატონობის შედეგად გაქრა

ადგილობრივ მიწისმფლობელ ფეოდალთა კლასი, რომელიც კულტურულ, ინტენსიურ მეურნეობას უძღვებოდა; მისი ადგილი დაიჭირეს სელჩუკმა ამირებმა, რომლებიც სახელმწიფოს წინაშე რაიმე დამსახურების სანაცვლოდ იღებდნენ ადგილობრივ ფეოდალთა მიერ დაკარგულ მიწებს. ადგილობრივ ფეოდალთა მოქმედების ასპარეზი მნიშვნელოვნად შეიკვეცა, ისინი უმეტეს წილად სამოქალაქო სამსახურში გადავიდნენ, სამდივანმწიგნობრო და საფინანსო დაწესებულებებში მოკალათდნენ. სელჩუკთა ბატონობის ხანაში ადგილობრივ ფეოდალთა მდგომარეობის შეცვლა და მათი უფლებების შეზღუდვასთან ერთად ისინი თურქ-სელჩუკთა ბატონობის დასაყრდენი გახდნენ, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. გაბაშვილი, „ასე დაუკავშირდა დამპყრობელთა ზედა ფენა ადგილობრივი ფეოდალების იმ წრეს, რომელმაც მიწები სამსახურის პირობით შეინარჩუნა და რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი XI ს-ში „დიდ სელჩუკთა“ ვეზირი და პირველი ათაბეგი ნიზამ ალ-მულქი იყო“<sup>1</sup>.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში ვეზირ ამიდ ალ-მულქის მიერ სახელმწიფოს მმართველობაში ადგილობრივი ტრადიციების გამოყენება ჭერ კიდევ თორღულ-ბეგის დროიდან, ნიზამ ალ-მულქმა განავითარა. ირანული ტრადიციები ძლიერი იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში და ამ ტრადიციების მკაფიო გამომხატველი ნიზამ ალ-მულქი იყო; მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებები ირანულის დიდ გავლენას განიცდიდა, არ იყო უგულვებელყოფილი თურქული ადათები და ტრადიციები<sup>2</sup>. ირანული წარმოშობის სახელმწიფო მოხელეები დიდი ხელოვნებით ათავსებდნენ ერთმანეთთან თურქულ-მომთაბარულ და ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს. ასეთი პოლიტიკის პირველი გამტარებელი იყო ნიზამ ალ-მულქი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ მისი მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხზე.

1. ნიზამ ალ-მულქი. ნიზამ ალ-მულქი განათლებული და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე იყო. იბნ ალ-აჰირის ცნობების მიხედვით, ნიზამ ალ-მულქ აბუ ალი ალ-ჰასან იბნ ალი იბნ ისჰაყი დაიბადა

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში..., გვ. 130.

<sup>2</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ..., გვ. 137. სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების სისტემაზე სხვადასხვა ჭეყვნების სახელმწიფოებრივი ტრადიციების გავლენისა და მისი შემდგომი სახეცვლილებების შესახებ იხ. M. F. Köprülü, Bizans Müesseselerinin Osmanlı Müesseselerine Tesiri Hakkında bazı mülahazalar. Türk Hukuk ve İktisat Tarihi Mecmuası, cilt 1, 1931, İstanbul, გვ. 165—314.



ქ. ტუსში 1017 წელს ღარიბი დეპყანის ოჯახში. ნიზამ ალ-მულქი ჯერ კიდევ ძუძუთმწოვარა ბავშვი იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. მამამისმა შეძლო მისთვის მიეცა აუცილებელი განათლება — ესწავლებინა არაბული ენა, შარიათი, საკანცელარიო საქმის წარმოება, ისტორია და ლიტერატურა<sup>3</sup>.

დადგენილია, რომ სკოლაში სწავლის დროს მას ორი მეგობარი ჰყავდა. რომლებიც შემდეგში სახელგანთქმული მოღვაწეები გახდნენ. ერთი მათგანი იყო შემდეგში დიდი პოეტი და მეცნიერი ომარ ხაიაპა, მეორე კი — ასასინების სექტის ფუძემდებელი — ჰასან იბნ საბაპი<sup>4</sup>.

ნიზამ ალ-მულქი ახალგაზრდობაში ისლამის რელიგიის დოგმებს სწავლობდა, სამოხელეო საქმეებაც ეცნობოდა, რაშიაც დიდი ნიჭი გამოამჟღავნა. იგი ბევრს მოგზაურობდა ხორასნის ქალაქებში. ერთი მოგზაურობის დროს ერთ-ერთ მუთასარიფთან ერთად ღაზნაში მოხვდა. შეპყვებ მან ალფ-არსლანის მამის ჩაღრი-ბეგ დაუდის საქმეთა მწარმოებლის აბუ-ალი იბნ შაზანისთან დაიწყო საქმიანობა ბალხში. აქ მან თავი გამოიჩინა სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებაში. მუნჯეიმ-ბაშის თქმით, ის აქ „თანდათანობით განდიდდა და სანასაბურში გაცემულ ბრძანებებს ღირსეულად ასრულებდა, საქმიანი სახელმწიფო მოღვაწე გახდა“<sup>5</sup>.

ნიზამ ალ-მულქის ზედამხედველმა იბნ შაზანმა სიკვდილის წინ უფლისწულ ალფ-არსლანს აუწყა მისი სიბეჯითისა და საქმიანობის ამბავი. ალფ-არსლანმა ნიზამ ალ-მულქს ჩააბარა თავისი საქმეების წარმოება. ახალგაზრდა ნიზამ ალ-მულქი სავსებით მომზადებული იყო სახელმწიფო დივანში სამსახურისთვის. მისთვის კარგად იყო ცნობილი ხორასნის ეკონომიური ვითარება. მან თავი აქაც გამოიჩინა პრაქტიკული საქმიანობით და მალე ალფ-არსლანის ვეზირი გახდა.

ნიზამ ალ-მულქმა უცბად გაითქვა სახელი სელჩუკთა სახელმწიფოს კარზე. მალე იგი სახელმწიფოს ფაქტიური ხელმძღვანელი და სულთნის უშუალო მრჩეველი გახდა. მისი ხელით კეთდებოდა მთელი სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმეები. სელჩუკთა სახელმწიფოს წარმატებანი უშუალოდ მის სახელთან იყო დაკავშირებული. იგი დაუღალავად იღვწოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა ქვეყნის წარჩინებულთა სეპარატული ძალების აღაგმვა.

<sup>3</sup> М И Т Т, I, стр. 380; მ უ ნ ე ქ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 539—540.

<sup>4</sup> Haroon Khan Sherwani, The political thought of Khwaja Nizam ul-Mülk Tusi, „Islamic Culture“, VIII, № 2. Hyderabad, 1934, გვ. 291.

<sup>5</sup> მ უ ნ ე ქ ი მ-ბ ა შ ი, გვ. 540.

ნიზამ ალ-მულქი დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან ჩამოაყალიბა სახელმწიფო მმართველობის ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც შემდეგში თავის პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებდა.

ნიზამ ალ-მულქის მოღვაწეობის მთელი პროგრამა იმაში მდგომარეობდა, რომ ფეოდალთა იმ ფენას დაყრდნობოდა, რომლებიც ხელს არ შეუშლიდნენ ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის შექმნას. რგი მთელი თავისი გულისყურით ისწრაფვოდა ხელთ ჰყოლოდა დიაციპლინირებული და კარგად შეიარაღებული ლაშქარი, რომელზე დაყრდნობით შეიძლებოდა ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება, ამავე დროს ქვეყნის შიგნით განკერძოების გზაზე შემდგარი გამგებლების ალაგმვა და სახალხო მოძრაობების დაწყვნარება. ნიზამ ალ-მულქი დაუღალავად იბრძოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად. იგი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა მოწინააღმდეგე დასის გასანადგურებლად; ენერგიას არ იშურებდა განსაკუთრებით ისმაილიანთა მოძრაობის წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი დასაყრდენი პუნქტები ჩრდილოეთ ირანის კარგად გამაგრებულ ციხე-კოშკებში ჰქონდათ. ისმაილიანები ისწრაფვოდნენ სასანური ტრადიციებით ირანული არისტოკრატის ძალაუფლების აღდგენისაკენ. ნიზამ ალ-მულქს კარგად ესმოდა, რომ იქტას მემკვიდრეობითი ფლობა ერთგვარად ასუსტებდა ცენტრალურ ტენდენციებს, ამიტომ იგი აშკარად ილაშქრებდა ამ ინსტიტუტის ფართოდ გავრცელების წინააღმდეგ.

მიუხედავად ენერგიული საქმიანობისა, ნიზამ ალ-მულქმა მაინც ვერ მოახერხა თავისი პროგრამის განხორციელება; მისმა გეგმებმა ძირითადად მარცხი განიცადეს.

განათლებული და ჰკვიანი დიდგვირი უვიცი სულთნების ხელში შესანიშნავად ართმევდა თავს სახელმწიფო რთულ ბიუროკრატიულ აპარატს. იგი ბრწყინვალედ აკეთებდა იმას, რაც ალფ-არსლანმა და მელიქ-შაჰმა უცოდინარობის გამო ვერ შეძლეს.

ნიზამ ალ-მულქმა სელჩუკი სულთნების წინაშე თავიდანვე დიდი ნდობა და ავტორიტეტი დაიმსახურა. რავენდის ცნობით, ნიზამ ალ-მულქი ძალიან პატივცემული და ძლიერი მბრძანებელი იყო<sup>6</sup>. როდესაც მას ცილი დასწამეს და ალფ-არსლანთან დააბეზდეს, სულთანმა იხმო ვეზირი, ის ნაწერი გადასცა და უთხრა „ეს ქალალი აიღე, წაიკითხე, და თუ იქ დაწერილი სწორია, შენი მოქმედება და ჩვევები გამოსწორე, და თუ ტყუილს ლაპარაკობენ, აპატიე; დივანის საქმეების გაკეთება დაავალე მათ, რათა ხელი აიღონ ასეთ ცილისწამებებზე და დაბეზდებებზე“<sup>7</sup>. მიუხედავად ასეთი დიდი ნდობისა, ნიზამ ალ-მულ-

<sup>6</sup> რ ა ე ე ნ დ ი, I, გვ. 129.

<sup>7</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 22.

ქი მაინც ფრთხილობდა ალფ-არსლანთან. მას ამის საფუძველი ჰქონდა, რადგან ისინი ისლამის რელიგიის სუნიტური სექტის სხვადასხვა მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ; სულთან ალფ-არსლანი იმამ აბუ ჰანიფას მოძღვრების მიმდევარი იყო, ხოლო ნიზამ ალ-მულქი შაფის მიმდინარეობას უჭერდა მხარს. ეს კი ალფ-არსლანის თვალში დიდი ცოდვა იყო; ამის გამო ნიზამ ალ-მულქი მასთან ურთიერთობაში ყოველთვის შეშინებული იყო. იგი აღნიშნავს, ალფ-არსლანი იმდენად მტკიცე იყო მმართველობაში, რომ ძრწოლას იწვევდა და მეც ყოველთვის შიშით ვეპორჩილებოდი, რადგან შაფიტების მოძღვრებას იგი ეპქით უცჭერდაო<sup>9</sup>.

ნიზამ ალ-მულქმა განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მელიქ-შაჰზე, რომლის აღმზრდელ ათაბეგათაც ითვლებოდა იგი<sup>9</sup>. ნიზამ ალ-მულქმა მთელი რიგი სამხედრო, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით დიდი როლი შეასრულა სახელმწიფოს კეთილმოწყობის საქმეში. მისი თაოსნობით აშენდა ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი ბაღდადში — ნიზამიე. ამას გარდა მან სასულიერო სასწავლებლები ააგო მთელ რიგ ქალაქებში; წყაროს ცნობით: „ირანისა და არაბეთის ერაცის ქვეყნებში და ხორასანში მან ააგებინა ნიზამიეს მედრესეები, ხოლო ბაღდადში მდებარე ნიზამიეს მედრესეს აშენება აბუ სადელ სუფის მეშვეობით 468 წელს (1075/6 წელს) დამთავრდა“<sup>10</sup>.

<sup>9</sup> С и а с е т - н а м э, Книга о правлении везира XI столетия Низам ал-Мулъка, перевод, введение в изучение памятника и примечания профессора Б. Н. Заходера, М.-Л., 1949, стр. 102.

<sup>9</sup> ათაბეგობის ინსტიტუტის შესახებ ამ უკანასკნელ ხანებში საინტერესო სტატია გამოაქვეყნა რ. ჰუსეინოემა (P. A. Гусейнов, Институт Атабеков, «Палестинский Сборник», вып. 15(78), 1966, стр. 181—196; მისი განცხადებით ნიზამ ალ-მულქმა განაახლა და ახალი შინაარსით შეავსო ძველი თურქული თანამედრობა — ათა, საფუძველი ჩაუყარა ათაბეგობის ინსტიტუტს მახლობელ აღმოსავლეთში და პირველი წარმომადგენელიც თავად იყო. პირველ ხანებში ათა ნიშნავდა გამზრდელს, სახელმწიფო წესრიგის მეთვალყურეს, მაგრამ დროთა ვითარებაში, განვითარებული ფეოდალური საზოგადოების გავლენით ამ ტერმინის შინაარსიც შეიცვალა. «Ата трансформировался в атабека как по форме, так и по содержанию. Возникнув в качестве ремниисценции и сравнительно отвлеченного понятия, термин быстро обрел качественно новое, хотя первоначально и несколько расплывчатое значение» (გვ. 183). ნიზამ ალ-მულქის შემდეგ ათაბეგობის ინსტიტუტი მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელდა და ახალი შინაარსით შეიცვალა. მნიშვნელოვან სახელოდ იქცა ათაბეგის თანამედრობა უფრო გვიანდელ, XII—XIII სს. საქართველოს სახელმწიფოს სამეფო კარზე.

<sup>10</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 49; ცნობილი ნიზამიეს მედრესეს მშენებლობისა და მისი ისტორიის შესახებ, აგრეთვე მშენებლობაში ნიზამ ალ-მულქის აქტიური მონაწილეობის შესახებ დაწერილებით იხ. A s a d T a l a s, La Madrasa Nizamiyya et son Histoire, Paris, 1933.

ამ მედრესეში მოუყარა მან თავი თავისი დროის სწავლულებს, შექმნა ბრწყინვალე ბიბლიოთეკები და სისტემატურად ზრუნავდა მათი წიგნით მომარაგების საქმეზე. ცნობილია, რომ ნიზამ ალ-მულქისათვის არავითარი საჩუქარი ისე სასიამოვნო არ იყო, როგორც წიგნი. მან ყველა ნაჩუქარი წიგნი ბაღდადის სასწავლებლის ბიბლიოთეკას აჩუქა<sup>11</sup>. ბონდარის ცნობით, როდესაც მელიქ-შაჰმა მოინახულა ბაღდადი 1086/7 წელს, მას თან ახლდა ნიზამ ალ-მულქი, რომელმაც ქალაქში შესვლისთანავე დაათვალიერა მედრესე და მისი ბიბლიოთეკა<sup>12</sup>.

ნიზამ ალ-მულქი გადამკრელ ღონისძიებებს იღებდა ქვეყნის კეთილმოწყობისათვის, აარსებდა ობსერვატორიებს, ბიბლიოთეკებს, გაპყავდა გზები, არხები, აშენებდა ხიდებს, აარსებდა ახალ ქალაქებს. რავენდის ცნობით, სულთანმა სატახტო ქალაქად ისფაჰანი აირჩია და ქალაქის შიგნით და გარეთ სასახლეები, ფუნდუკები ააშენა, მეჩეთები და ციხე-კოშკები ააგო<sup>13</sup>. მის აღმშენებლობით საქმიანობაზე მოგვითხრობს აგრეთვე ბონდარიც; მისი ცნობით, ნიზამ ალ-მულქმა ვილაიეთები გაამშვენა და მეჩეთების მშენებლობა ერთიმეორეზე მაყოლებით დაამთავრა<sup>14</sup>.

მელიქ-შაჰის დროს შედარებით ფართო გასაქანი მიეცა კულტურულ მშენებლობას. დაწინაურდნენ ქალაქები, განვითარდა ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება. სახელმწიფოში დიდი ყურადღება მიაქციეს მეცნიერებისა და განათლების განვითარებას. თურქ ისტორიკოსს ი. ქაფესოღლუს დაწვრილებით აქვს ჩამოთვლილი და დახასიათებული იმ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა სახელები და საქმიანობა, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს კულტურული ცხოვრების განვითარებაში<sup>15</sup>. მისი სიტყვით, სახელმწიფო, სამხედრო აღმშენებლობითი და კულტურული საქმიანობის გაშლის თვალსაზრისით სულთან მელიქ-შაჰის ხანა სელჩუკთა იმპერიის უბრწყინვალესი პერიოდი იყო<sup>16</sup>.

სულთან მელიქ-შაჰის ყოველი მგზავრობა ბაღდადში ჯამეებისა და მინარეთების მშენებლობით აღინიშნებოდა. ასევე სპეციალური შენობები იგებოდა ბაღდადში სულთნისთვის. ნიზამ ალ-მულქს ფართო

---

<sup>11</sup> Haroon Khan Sherwani, The Political thought of Khwaja Nizamul-Mulk Tusi, «Islamic culture», VIII, № 2, 1934, Hyderabad, გვ. 292.

<sup>12</sup> ბონდარი, გვ. 82.

<sup>13</sup> რავენდი, I, გვ. 129.

<sup>14</sup> ბონდარი, გვ. 59.

<sup>15</sup> I. Kafesoglu, დასახ. ნაშრ., გვ. 166—195.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 167.

აღმშენებლობითი საქმიანობა ჰქონდა გაჩაღებული ბაღდადში. აღსანიშნავია, რომ მელიქ-შაჰმა მექასა და მედინას გზებს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. ამ გზებზე წყაროები გაიყვანა და ქარვასლები მოაწყო. მთელ გზაზე სხვადასხვა ადგილას ციხეები ააგო და მიმოსვლა უფრო თავისუფალი და უსაფრთხო გახადა. ამას გარდა, ნიზამ ალ-მულქის თაოსნობით მთელს სახელმწიფოში გაჰყავდათ არხები, აგებდნენ ხიდებს, ხოლო შორეულ გზებზე სასტუმროებს. ნიზამ ალ-მულქი განსაკუთრებით დიდ მიდრეკილებას იჩენდა მედრესების მშენებლობასადმი. საკმარისია დავასახელოთ მისი ინიციატივით ბაღდადში მდინარე დიჯლეს სანაპიროზე აგებული ცნობილი მედრესე — ნიზამიე. შემდეგში ამ ნიზამიემ უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერებისა და კულტურული ცხოვრების დაწინაურების საქმეში. აქ იყვნენ თავმოყრილი საუკეთესო სწავლულები, იზრდებოდნენ შემდეგში ცნობილი პირები, რომლებიც სხვადასხვა კუთხეებში იგზავნებოდნენ მალალ თანამდებობებზე. ამ დაწესებულების ბაზაზე შეიქმნა მთელი რიგი ნიზამიეზა, რომელთაც სათავეში ედგნენ აქ გამოზრდილი სწავლულები და ცნობილი მოღვაწენი; ისლამის რელიგიის სუნიტური მიმდინარეობის გასაძლიერებლად ნიზამიეს მედრესესა და სხვა სასულიერო ცენტრებში იქმნებოდა მდიდარი ბიბლიოთეკები. ამ პერიოდში ახალ საფეხურზე ავიდა ზუსტი მეცნიერებანი, კალიგრაფია, ფილოსოფია და ლიტერატურა<sup>17</sup>. ნიზამ ალ-მულქის კულტურულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია ახალი საკალენდრო-სისტემის შემოღების ცდა. მუნეჯიმბაში შენიშნავს, რომ ახალი საკალენდრო-სისტემის შემოსაღებად ნიზამ ალ-მულქმა დანიშნა ცნობილი და გამოცდილი ასტრონომები: ომარ ხაიამი, აბულ-მუზაფერი, სეფერარი, მიმუნი, ახადი, მოჰამედ ხაზანი და კიდევ ბევრი სხვა, რომლებიც მელიქ-შაჰის გარდაცვალებამდე საქმიანობდნენ, შემდეგ კი ეს საქმე მივიწყებულ იქნა<sup>18</sup>.

ნიზამ ალ-მულქის მიერ ჩატარებული ღონისძიებები და სხვადასხვა ხასიათის რეფორმები ქვეყნის ცენტრალიზაციისა და ინტენსიური მეურნეობის დანერგვის უშუალო გამოვლინება იყო. ვ. ბარტოლდი შენიშნავდა, რომ ნიზამ ალ-მულქი იმდენად დიდი ფიგურა იყო, რომ იგი შეიძლება თავისი დროის პოლიტიკურ დროშად მივიჩნიოთ<sup>19</sup>.

<sup>17</sup> I. Kafesoğlu, Büyük Selçuklu İmparatorluğunun dünya tarihinden rolü. V, Türk Tarih Kongresi, Ankara 12—17 Nisan, 1956, Ankara, 1960, გვ. 274.

<sup>18</sup> მუნეჯიმბაში, გვ. 535.

<sup>19</sup> Очерки из истории туркменского народа и Туркменистана в VIII—XIX вв., Ашхабад, 1954, стр. 974.

ნიზამ ალ-მულქი ენერგიულად იღვწოდა სოფლის მეურნეობის, ქალაქების, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისათვის. მისი აზრით, სულთნის უპირველესი მოვალეობა იყო ქვეყნის შიგნით გაეყვანა სარწყავი არხები და ამით შეექმნა პირობები ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის, დიდ მდინარეებზე აეგო ხიდები, გაემაგრებინა ციხეები, დაეარსებინა ახალი ქალაქები, კეთილმოწყობილი და უშიშარი გაეხადა სავაჭრო გზები.

ნიზამ ალ-მულქს თავის ცნობილ „სიასეთ-ნამეში“ საგანგებოდ აქვს გადმოცემული და განხილული ის საკითხები, რომლებიც სახელმწიფოს საკეთილდღეოდ უნდა განხორციელებულიყო. ამ ნაშრომში ღასმული საკითხებითა და მთელი თავისი საქმიანობით ნიზამ ალ-მულქი გამოხატავდა ირანულ კულტურულ-პოლიტიკურ ტრადიციებს, იგი მათი დაუდალავი გამტარებელი იყო. მას ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული ამ ირანული კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციების განხორციელების მნიშვნელობა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს განმტკიცება-განვითარების საქმეში.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობისთანავე საფუძველი ჩაეყარა ორ ტენდენციას, ორ მიმართულებას: ერთ მიმართულებას შეადგენდნენ სახელმწიფოს ცენტრისკენული ძალების მომხრენი, რომელთაც სათავეში ნიზამ ალ-მულქი ედგა. მეორე მიმართულების მომხრენი იყვნენ თვითონ სელჩუკთა დინასტიის წევრები. მხედართმთავრები, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვოდნენ და ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომას და დამოუკიდებლობას მოპოვებას. ნიზამ ალ-მულქმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამანიანთა და ლაზნევიანთა სახელმწიფოებრივი ტრადიციები აღედგინა. მისი აზრით, სახელმწიფო დივანს უნდა დამორჩილებოდა ქვეყნის ყველა ოლქი, რომელიც კი დინასტიის ცალკეული წევრების ხელთ იყო. მაგრამ ცალკეული სელჩუკი უფლისწულების სეპარატული ტენდენციები და ფეოდალთა განკერძოებისადმი სწრაფვის სურვილები იმდენად ძლიერი იყო, რომ ნიზამ ალ-მულქმა მაინც ვერ მოახერხა მათი ალაგმვა.

სახელმწიფოს უმეტეს შემთხვევაში ძირს უთხრიდნენ თვით სელჩუკთა დინასტიის წევრები, რომლებიც ცალკეულ პროვინციებს იღებდნენ იქტას წესით, და დროთა ვითარებაში ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობას იძენდნენ. ასეთი სეპარატული ტენდენციები დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში აშკარად შეიმჩნეოდა ჭერ კიდევ ალფ-არსლანის დროს.

ნიზამ ალ-მულქისათვის მეტად რთულ საკითხს წარმოადგენდა მომთაბარე სელჩუკების მკვიდრ ბინადარ ცხოვრებაზე გადაყენების საქ-

მე. დაპყრობილ ტერიტორიაზე გაბატონებულ სელჩუკებს არ სურდათ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა და ისევ მომთაბარეობას არჩევდნენ; ადგილობრივი ბიუროკრატიული აპარატისათვის სრულიად მიუღებელი ფორმა იყო სელჩუკთა ცხოვრების წესი. სელჩუკთა ახალ-ახალი ტალღები, რომლებიც სისტემატურად მოდიოდნენ შუა აზიიდან, ძირს უთხრიდნენ და ასუსტებდნენ სახელმწიფოს ცენტრალურ ბიუროკრატიულ აპარატს. როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. ბარტოლდი, «Многочисленные отряды их были источником постоянных беспорядков, но принимать крутые меры против них было неудобно, вследствие их родства с династией и их заслуг перед ней»<sup>20</sup>.

ნიზამ ალ-მულქმა გადამჭრელი ღონისძიებები ჰიიღო მომთაბარე სელჩუკთა ძალების სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში ჩასაყენებლად. მან საგანგებო მუხლი შეიტანა „სიასეთ-ნამეში“ მომთაბარეთა საქმიანობის შესახებ. ნიზამ ალ-მულქი იქვე აღნიშნავს თურქმენტა მრავალრიცხოვნობას, მათ დამსახურებას სახელმწიფოს წინაშე და მათ ჰიერ ჩადენილ უმსგავსოებასაც. ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ თურქმენტა შვილები სასახლეში დულამებად უნდა იყვნენ, სადაც ისინი შეისწავლიან იარაღის ხმარების ხელოვნებას, სამსახურს, იცხოვრებენ ხალხში და თანდათანობით დაკარგავენ თავიანთ ველურ თვისებებს. ამით ისინი სამსახურს გაუწევენ სახელმწიფოსაც და თვითონაც კმაყოფილი იქნებიან<sup>21</sup>, მაგრამ ასე ადვილად ვერ მოახერხა ნიზამ ალ-მულქმა მომთაბარე-მეჯოგე სელჩუკთა მკვიდრ-ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანა. მისთვის ძნელი შეიქნა მომთაბარე სელჩუკთა ინტერესების დაახლოება ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებთან.

ნიზამ ალ-მულქის ცდა — ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა სელჩუკთა მომთაბარე ტომები, მარცხით დამთავრდა.

მისთვის სავსებით ნათელი იყო თუ რა ვითარებაში აღმოჩნდებოდა აღმოსავლეთის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ფეოდალური, ინტენსიური კულტურული მეურნეობა სელჩუკთა მეჯოგური მეურნეობის პირობებში. ამიტომ იგი დაუღალავად ზრუნავდა ამ მომთაბარეთა ქვეყნის განაპირა მხარეებში — ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებისაკენ განსახლებისათვის, და ამას არც მალავდა<sup>22</sup>. ალბათ

<sup>20</sup> В. В. Бартольд. Сочинения, I, стр. 371.

<sup>21</sup> Сиасет-намэ, стр. 109.

<sup>22</sup> А. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI веке. Известия АН СССР, Отд. обществ. наук, 1937, № 4. М.-Л., стр. 945.

ანიტომაც იყო. რომ თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა მცირე აზიისა და კავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. მისი უშუალო მონაწილეობით: სელჩუთა ლაშქარი საქართველოშიც მოვიდა. „ნიზამ ალ-მულქი დაუნათესავედა ბაგრატ IV-ს, მაგრამ ეს მას, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდა მუდამ მხედველობაში ჰქონოდა მთავარი მიზანი: მცირე აზიასა და კავკასიაში თურქ-სელჩუთა მეურნეობიანთვით საპირო მიწის ფართობების განთავისუფლებით, ამ მიწების იალაღებად და ყიშლაღებად გადაქცევის გზით მომთაბარეთა ენერჯიის შესუსტება საკუთრივ ირანში“<sup>23</sup>.

ნიზამ ალ-მულქს „სიასეთ ნამეში“ გადმოცემული აქვს სახელმწიფოს განმტკიცებისათვის საპირო პირობები. აქვე მას აღნიშნული აქვს მისი ხელისშემშლელი პირობებიც. სახელმწიფოს ცენტრალიზაციის საქმეში ერთ-ერთ ხელისშემშლელ მოვლენად მას ქალები მიაჩნდა. მისი აზრით, ქალები არ უნდა ერეოდნენ სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში, არ უნდა გამოსცენ ბრძანებები. თუ ხელმწიფის ცოლები დაიწყებენ ბრძანებათა გაცემას, ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ სახელმწიფოს, რადგანაც ისინი იმას ბრძანებენ, რასაც ბოროტი აღაპიანები ეტყვიან. მათი განკარგულებები ეწინააღმდეგება ქვეშარიტებას. ამიტომ სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხოლო მის სახელსა და იდიდებას ჩირქი ეცხება<sup>24</sup>. როგორც ჩანს, სახელმწიფო საქმეებში სასახლის კარზე თავმოყრილი ძალებისა და სხვათა ჩარევის შედეგად ქვეყანას მძიმე შედეგები მიუღია და ანიტომაც ნიზამ ალ-მულქი იძულებული გამხდარა საგანგებოდ გაეფრთხილებინა ამის შესახებ ქვეყნის გამგებლებიც. ბონდარის ცნობით, ნიზამ ალ-მულქი კარგად ხედავდა, რომ „ფადიშაჰს ახლობლები და ნათესავეები ჰყავდა. მათ ფადიშაჰთან დაახლოების გამო ყველაფრის ხელში ჩაგდება სურდათ. ნათესავეები დაწინაურდნენ და მოსახლეობის ჩაგვრა მოინდოვეს. ნიზამ ალ-მულქმა ამათ ხელები დაუპოკლა და ჩაგვრა აკრძალა. კარგი ღონისძიებით, მმართველობითა და პოლიტიკით ამათი საქმეები გამოასწორა“<sup>25</sup>.

ნიზამ ალ-მულქმა მეტად დიდი როლი შეასრულა სელჩუთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში. იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ალფ-არსლანის და მელქი-შაჰის ეროვნული მსახური იყო. ნიზამ ალ-მულქი ვრცელი იმპერიის მმართველობის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყოველგვარ

<sup>23</sup> ვ. გაბაშვილი. დიდ სელჩუთა სახელმწიფო, გვ. 125—126.

<sup>24</sup> Сиясет-наме. стр. 179.

<sup>25</sup> ბონდარი, გვ. 59.



საშინაო და საგარეო საკითხებს განაგებდა. თავის მხრივ ისიც სარგებლობდა სულთნისაგან მიცემული შეუზღუდველი უფლებებით. მან ახლებურად მოაწყო სახელმწიფო მართვა-გამგებლობის სისტემა და საეკუთარი თავი ყველაზე ძლიერ და გავლენიან პირებზე მალა დააყენა<sup>26</sup>. რავენდის ცნობით, მას 12 შვილი ჰყავდა, რომელთაც სათითაოდ მალა-ლი თანამდებობები უბოძა და ვილაიეთები მისცა<sup>27</sup>. მან მხედრებისაგან საგანგებო კორპუსი შექმნა, რომელსაც მისი პიროვნების დაცვა ევალებოდა. ნიზამ ალ-მულქი დიდი პატივითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს მუსლიმანურ სამყაროში.

ალფ-არსლანმა ნიზამ პატივისცემისა თავისი ცოლყოფილი, ბაგრატ IV-ის ქალიშვილი შერთო ცოლად. ასევე, ხალიფამ მას რაზი-ამირ ალ-მუმინის ტიტული უბოძა, იმ დროს, როდესაც წესით ასეთი ტიტული მხოლოდ უფლისწულებისთვის იყო განკუთვნილი. იმდენად ძლიერი იყო მისი ხელისუფლება და ავტორიტეტი, რომ ვერც ხალიფა ჯა გერც სულთანი ვერ ბედავდნენ მისი სურვილის წინააღმდეგ გალაშქრებას. წყაროში ნათქვამია, რომ „ნიზამ ალ-მულქი ძალიან დიდი ავტორიტეტის პატრონი იყო, მისი მონათა რიცხვი ოც ათასამდე აღწევდა“<sup>28</sup>.

ნიზამ ალ-მულქს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა. თვითონ სულთანიც კი ბოლო დროს გულგრილობას იჩენდა მის მიმართ. გავლენიან ვეზირს სულთნის წინაშე ხშირად აბეზღებდნენ და ცილს წამებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ცილისწაპების შესახებ არაბულ წყაროში ვკითხულობთ: თავ ალ-მულქმა სულთანს მოახსენა: „ნიზამ ალ-მულქი ყოველ წელს შარიათის მცოდნე პირებს, სუფიებს და ყურანის მკითხველებს 300 000 დინარ ფულს აძლევს. თუ ამ ფულით ჯარს შევაიარალებთ, მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება კონსტანტინოპოლის ზღუდეებიც კი დავიპყროთ“<sup>29</sup>. მაშინ სულთანმა ვეზირი იხმო; ამ უკანასკნელმა კი თავი იმართლა და სულთანს უთხრა: „იმ ფულით, რომელიც მე დაეხარჯე, ისეთ ლაშქარს შევაიარალებ, რომ მისი ლოცვები ისარივით მეშვიდე ცას მისწვდება ჯა იმისათვის. რომ მან ღმერთს მიაღწიოს, არავითარი დაბრკოლება

<sup>26</sup> M. Th. Houtsma, The Death of Nizam al-Mulk and its Consequences. «Journal of Indian History», 1924, September, vol. III, Parte 2, გვ. 152.

<sup>27</sup> რ ა ე ე ნ დ ი. I. გვ. 129. პამდალაქყაზვინის ცნობით, ნიზამ ალ-მულქის 12 შვილის ხელთ იყო მთელი ძალაუფლება (პამდალაქყაზვინი, გვ. 456). ამასვე აღატურებს ბონდარიც (გვ. 60).

<sup>28</sup> ა ხ ბ ა რ. გვ. 47.

<sup>29</sup> ი ქ ვ ე. გვ. 48.

არ შეხვდებამ<sup>30</sup>. სულთანმა მაშინვე დართო ვეზირს ნება როგორც უნდოდა, ისე მოქცეულიყო და, რამდენიც სურდა, იმდენი თანაზ ვაეცა სასულიერო პირებისათვის. ნიზამ ალ-მულქის მიმართ მსგავსი ცილისწამების მაგალითი წყაროებში უხვადაა მოტანილი. ნიზამ ალ-მულქი ყოველთვის ახერხებდა სულთნის წინაშე თავის გამართლებას და უკმაყოფილო ელემენტების ალაგმვას.

ჰამდალაკ ყაზვინი აღნიშნავს, რომ სულთნის მეუღლე „თურქან-ხათუნი წარამარა აბეზღებდა ნიზამს და მის ვაეებს სულთანთან და მათ ყველაზე უფრო დასაძრახ საქციელს მიაწერდა. ამ გზით მან შექლო მისი დამოკიდებულების შეცვლა ვეზირის შიშარათ<sup>31</sup>. მართლაც, წყაროების ცნობებიდან ირკვევა რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, უკვე საკმაოდ ხანდაზმულ ნიზამ ალ-მულქს, სულთანი ეკვის თვალთ უყურებდა.

ბონდარის ცნობით, სიცოცხლის ბოლო წლებში ნიზამ ალ-მულქი ძალიან მოხუცებული და ძალაგამოლეული იყო<sup>32</sup>. ჩანს, უამრავმა ცილისწამებამ და თვით ნიზამ ალ-მულქის განდიდებამ სულთანი დააქვია თავისი ერთგული დიდვეზირის საქმიანობაში; იგი აშკარად გამოსთქვამდა თავის გულისწყრომას მის მიმართ. არაბულ წყაროში ნათქვამია: „ნიზამ ალ-მულქი სულთნის თვალში დაეცა და ძალიან ეზიზღებოდა; დაიწყო მისი შეძულება; რადგანაც ჯარს იგი ძალიან უყვარდა, სულთანს შეეშინდა მისი განთავისუფლების“<sup>33</sup>. ჩანს, რომ ძალიან განდიდებული და დიდი ავტორიტეტის მქონე დიდვეზირი სულთნისათვის არც თუ ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა. სულთანს მის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა უჭირდა.

თუ რაოდენ ძლიერი პიროვნება იყო ნიზამ ალ-მულქი და როგორ იყო მის ხელისუფლებაზე დამოკიდებული სულთნის ძლიერება, ამას თვითონ აღნიშნავდა ვეზირი. მაშინ, როდესაც სულთნის ელჩები მიუვიდნენ მას და მოახსენებდნენ სულთნის გულისწყრომას მისი განდიდების, გაძლიერების და მისი შვილების ხელაღებული საქმიანობის გამო და მათ გადასცეს სულთნის მუქარა, რომ იგი დაკარგავდა ამ თანამდებობას, ნიზამ ალ-მულქმა უხეში პასუხი ვასცა ელჩებს. სულთანი მიმართავედა ნიზამ ალ-მულქს: „შენ ჩემი მამული და სახელმწიფო დაიპყარი და ჩემი ქვეყნები შენს შვილებს, სიძეებსა და შონებს დაუნაწილე. შენ ისე იქცევი, თითქოს მოზიარე იყო ჩემი მამულისა და სა-

<sup>30</sup> ახბარ, გვ. 48.

<sup>31</sup> ჰამდალაკ ყაზვინი, გვ. 456.

<sup>32</sup> ბონდარი, გვ. 62.

<sup>33</sup> ახბარ, გვ. 47; ბონდარი, გვ. 62.

ხელმწიფოსია. იქნებ გუბრს, ვეზირობის თანამდებობიდან მოგხსნა და ხალხი გავაჯიფოთოლო შენზე თავდასხმებისაგან“<sup>34</sup>.

ნიზამ ალ-მულქმა მოაგონა მელიქ-შაჰს ელჩების პირით, რომ სულთანმა ასეთ ძლიერებას მხოლოდ დიდვეზირის მეცადინეობით მოაღწია. რომ მან ჩააქრო აჯანყება მელიქ-შაჰის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც მისი მამა ალფ-არსლანი მოკლულ იქნა. მოაგონა აგრეთვე, თუ როგორ არ იშორებდა მას გვერდიდან სულთანი, როდესაც მძიმე მდგომარეობაში იყო. ხოლო როცა ნიზამ ალ-მულქის მეშვეობით უამრავი ქვეყანა დაიპყრო და გაძლიერდა, მაშინ დაიწყო მის წინააღმდეგ საქმიანობა და ცილისწამებებისათვის ყურის გდება. ბოლოს ვეზირმა ვაფრთხილა სულთანი: „ჩემი ჩალმა და თქვენი გვირგვინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული“<sup>35</sup>.

ნიზამ ალ-მულქის პასუხი სულთნისადმი მეტად მკაცრი და თამაზი იყო. ფაქტია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულთნისა და დიდვეზირის ურთიერთობა ძალზე გამწვავებულია. ნიზამ ალ-მულქი იმდენად იყო გაძლიერებული, რომ სულთანი აშკარად თითქმის ვერაფერს ახერხებდა მის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ სულთნისა და დიდვეზირის ასეთი უკმაყოფილება დიდხანს არ გაგრძელებულა; ვეზირი მალე მოკლეს. მისი მკვლელობა საიდუმლოებით არის მოცული. წყაროებში უხვადაა ცნობები იმის შესახებ, თითქოს ის ისმიალიანთა მიერ იყოს მოკლული; ამასთანავე ნათქვამია ისიც, თითქოს ნიზამ ალ-მულქის მკვლელობაში მელიქ-შაჰი იყოს დამნაშავე; ფაქტია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ათასგვარი ინტრიგებისა და ცილისწამებების გზით სულთანს შეაძულეს ეს სახელგანთქმული დიდვეზირი; სულთანი საიდუმლოდ ყოველნაირად შეეცდებოდა მის თავიდან მოშორებას, მაგრამ ნიზამ ალ-მულქის აშკარად მოსპობა სულთანს არ შეეძლო, მისი დიდი ავტორიტეტისა და სიძლიერის გამო. წყაროების ერთი ნაწილი ნიზამ ალ-მულქის მკვლელობაში თაჯ ალ-მულქის დაინტერესებას აღნიშნავს, რადგანაც მას დიდვეზირის თანამდებობა სურდა; მან მართლაც მიიღო ეს სახელო ნიზამ ალ-მულქის მკვლელობის შემდეგ. გარდა ამისა. წყაროების უმეტესობა მკვლელობის მიზეზად ისმიალიანებთან ნიზამ ალ-მულქის მტრობას მიიჩნევს. ისმიალიანებს მართლაც ქონდათ იმის საფუძველი, რომ ნიზამ ალ-მულქის წინააღმდეგ თავიანთი ძალები გამოეგზავნათ. ეს ვერაია ყველაზე უფრო სარწმუნო ჩანს, რადგან ისმიალიანები ნიზამ ალ-მულქში ყველაზე დიდ და დაუძინებელ

<sup>34</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 47.

<sup>35</sup> ქ ა მ დ ა ლ ა ქ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 436; МИТТ, I, стр. 379; ბონდარი, გვ. 63. - ვეზირის თანამდებობა, რომელიც შენ მე მომუცა დაკავშირებულია შენს სახელმწიფოს გვირგვინთან. როგორც კი წამართმევ, შენი გვირგვინიდანაც კვალის არ დარჩება“ (ა ხ ბ ა რ, გვ. 43).

მოწინააღმდეგეს ხედავდნენ. წყაროების ცნობით, ნიზამ ალ-მულქი პირველი ადამიანი იყო, რომელსაც ისმაილიანებმა სიკვდილი გადაუწყვიტეს<sup>36</sup>.

ნიზამ ალ-მულქის მკვლელობამ უდიდესი არეულობა და ძალთა გადაჯგუფება გამოიწვია დიდ სელჩუკთა სახელმწიფო კარზე. გამართლდა ნიზამ ალ-მულქის წინასწარ განკერძოება იმის შესახებ, რომ თითქოს მის თანამდებობასთან ყოფილიყო სულთნის ტახტიც დაკავშირებული.

2. სასახლის კარის ორგანიზაცია. ნიზამ ალ-მულქმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სულთნის სასახლის ორგანიზაციის საქმეში. დიდ სელჩუკი სულთნის სასახლე რთულ ადმინისტრაციულ აპარატს წარმოადგენდა; იგი შედგებოდა 12 სახელოსაგან:

1) ჰაჯიბები (ანუ — ალაჯიბები) უზენაეს მბრძანებელსა და დივანს შორის დამაკავშირებელი პირები იყვნენ. ჰაჯიბების მეთაური — ჰაჯიბ ალ-ჰუჯჯაბი ანუ ჰაჯიბ-ე ბოზორგი დიდ სულთნის შემდეგ ყველაზე გაულენიანი პირი იყო სასახლეში. მეღიქ-შაჰის დროს ჰაჯიბ ალ-ჰუჯჯაბი ამირ კუმაჯი იყო.

2) ჰაჯიბების შემდეგ თანამდებობით მოდიოდნენ ჩუბდარები (დეინეკჯიბები), რომელთა უპირველესი მოვალეობა იყო სულთნის დაცვა. ნიზამ ალ-მულქის მიხედვით, ეს სახელო ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ სახელოს მატარებელნი სულთნის ნება-სურვილის აღმსრულებელნი და მისი ბრძანებების სისრულეში მომყვანნი იყვნენ ხოლმე; თუ სულთანი ბრძანებდა ვინმეს სიკვდილით დასჯას, თავის ან ხელის მოკვეთას, ჩამოხრჩობას და მისთანებს, ჩუბდარებს ევალებოდათ მისი სისრულეში მოყვანა. მათ ხელში იყო ყოველთვის დოლი და ალა-მი. ნიზამ ალ-მულქი ჩივის, რომ ამ სახელომ დროთა ვითარებაში დაკარგა თავისი გავლენა და ამიტომ მან საგანგებოდ მოითხოვა მისი გაძლიერება. ნიზამ ალ-მულქი მოითხოვდა მათ უზრუნველყოფას მატერიალურადაც; მას სურდა, რომ ამ სახელოს უფრო მეტი ავტორიტეტი და პატივისცემა მოეხვეჭა<sup>37</sup>. რითაც ნიზამ ალ-მულქი ფიქრობდა სულთნის ზელისუფლების განმტკიცებას, ცენტრალური აპარატის ავტორიტეტის ამაღლებას, სახელმწიფოს გაძლიერებას და დამსჯელი და აღმასრულებელი დაწესებულებების როლის წინ წამოწევას.

3) სილაჰდარი იყო სულთნის იარაღის მცველი, სახელმწიფო იარაღის საწყობების — არსენალის მცველთა მეთაური. ამ არსენალს ეძახდნენ ზარად-ხანეს, ზირჰ-ხანეს.

<sup>36</sup> M. Th. Houtsma. The Death of Nizam al Mulk and its Consequences..., გვ. 147—160; Karl Rippe, Über den sturz Nizam ul-Mulks. 60 doğum yılı münasebetiyle Fuad Köprülü Armağanı. İstanbul, 1953, გვ. 423—435.

<sup>37</sup> Сиадет-наме, стр. 143.

4) ამირ-ე ალამ იყო სახელმწიფო დროშების გამგებელი. სულთნის დროშის მცველი და მფარველი პირების მეთაური.

5) ჭაქედარი იყო სულთნის ტანისამოსის შემნახავი და დამცველი.

6) შარაბდარი იყო სულთნის სასამეღების გამგებელი. მის მოვალეობას განსაზღვრულ დღეებში, მეჩლისში, სადილებზე სულთნისათვის სამსახურის გაწევა შეადგენდა.

7) თაშთდარი ანდა აბდარი იყო სულთნის ხელ-პირის ბანის დროს დოქისა და სხვა მოწყობილობის მიმართმევი პირი და მათი შემნახველი.

8) ამირ-ე ჩაშნაგირ — სულთნის საქმლის დამამზადებლების, მისი სუფრაზე მიმტანების მეთაური.

9) ამირ-ე ახორ — სულთნისა და სასახლის ცხენების ზედამხედველი.

10) ვეჟილ-ე ხასს იყო სასულთნო ხასის, სულთნის შვილების და მისი თანმზღები პირების ზედამხედველი. ვეჟილ-ე ხასის შინაარსი და ნამდვილი დანიშნულება „სიასეთ-ნამეში“ ნათლად არ არის განსაზღვრული. ამ წყაროს ცნობით, მისი ნამდვილი მნიშვნელობა მელიქ-შაჰის დროს ძალიან დაცემულა და ბოლოს მას მაცნეს დანიშნულება შერჩენია; ამ თანამდებობაზე ყოველთვის საიმედო და ცნობილი პიროვნება ინიშნებოდა, რომელსაც სასახლეში ყოფნა და ყველგან და ყველადრისთვის თვალყურის დევნება ევალებოდა და სულთნისათვის ყოველგვარი ცნობები უნდა მოეხსენებინა<sup>38</sup>.

11) სერჰენკი იყო პირი, რომელსაც სულთნის გამგზავრებამდე გზის დათვალიერება და სულთნის ამაღლისათვის მისი მომზადება ევალებოდა.

12) ნადიმები, მუსაჰიბები იყვნენ პირები, რომელთაც ევალებოდათ მუდამ სულთნის გვერდით ყოფნა და მასთან ყოველგვარ საკითხებზე საუბარი; „სიასეთ-ნამეში“ დაწვრილებით არის-გადმოცემული ნადიმების უფლება-მოვალეობანი. ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვნენ ნადიმები: ბუნებით კეთილის მქონენი და კეთილის მაცნენი, წმინდანი, საიდუმლოების შემნახავი, სასიამოვნო მოსაუბრენი; უნდა ცოდნოდათ ბევრი გადმოცემები, ჭადრაკისა და ნარდის თამაში. კარგი იქნებოდა თუ რაიმე საკრავზე დაკვრა და იარაღის ხმარებაც ეცოდინებოდათ. ნადიმებს არ ჰქონდათ უფლება სულთნისთვის ჰკუთვნეს ესწავლებინათ, ანდა ეთქვათ, ეს კარგია და ეს არ ვარჯაო.

ნიზამ ალ-მულქი ჩამოთვლის იმ სასარგებლო მხარეებს, რომელიც შედეგად მოყვებოდა ნადიმების საქმიანობას; მისი თქმით, ნადიმის ერთ-ერთი სასარგებლო საქმიანობა ის არის, რომ იგი სულთნის

<sup>38</sup> Силасет-намэ, стр. 93.

ახლო მეგობარი ხდება. ამასთანავე, იმყოფება რა დღე და ღამე სულ-თანთან, ხდება მისი პირადი მცველიც და რაიმე მოულოდნელი შექ-თხვევის დროს საკუთარ თავსაც სწირავს სულთნის საკეთილდღეოდ; ამასთანავე ნადიმები აუწყებენ სულთანს ახალ-ახალ ცნობებს მეფე-ებისა და სხვათა შესახებ; ნიზამ ალ-მულქის აზრით რაც უფრო გა-მოცდილი არიან ცხოვრებაში და, რაც უფრო მეტი ქვეყნები ექნებათ მოვლილი, მით უფრო დასაფასებელი არიან ნადიმები. როდესაც ხალხს სურს გაიგოს სულთნის ხასიათი და თვისებები, მაშინ ისინი აშ-ზე ნადიმების თვისებებით და ხასიათების მიხედვით მსჯელობენ<sup>39</sup>.

ნადიმებსა და მუსაჰიბებს იარაღის მტყორცნელი ღულამებისაგან საგანგებოდ არჩევდნენ. საპირო შემთხვევაში მათ უნდა სკოდნოდათ შვილდ-ისრის ხმარება, იარაღის მომზადება და სხვ. ამ განსაკუთრე-ბული ჯგუფის მეთაური ამირები სულთნის ღირსეული პირები იყვნენ, ამათ იკტად ბოძებულ ქვეყნებში ვალის თანამდებობაც ეძლეოდათ<sup>40</sup>.

3. დ ი დ ი დ ი ვ ა ნ ი. დიდ სელჩუკთა იმპერიის ძლიერების ბა-ნაში სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის სისტემაში დიდ როლს ასრულებდა ე. წ. დიდი დივანი, რომლის ორგანიზაციას სა-ფუძველი ჩაუყარა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სათავეში ედგა ნიზამ ალ-მულქი. თურქი ისტორიკოსი ი. ქაფესოღლუ შენიშნავს, რომ მისი წყალობით სულთნის ავტორიტეტი ყოველთვის იგრძნობოდა იმ-პერიის შორეულ კუთხეებში<sup>41</sup>. ძირითადი მმართველობის სადავეები სწორედ ამ დივანს ექვემდებარებოდა.

პროვინციის გამგებელი ამირები, იკტას მფლობელნი სულთანს ემორჩილებოდნენ, მის სახელზე ხუტბას კითხულობდნენ და ფულს კრიდნენ. ფირმანებზე დიდი სულთნის თულრა უნდა დაერტყათ. მე-ლიქ-შაჰს საგანგებო ხელრთვა ჰქონდა; მისი ხელრთვა იყო: **الله على الامام** (დიდება ალაჰს)<sup>42</sup>. სულთანი თვითონ იღებდა მონაწი-ლეობას ლაშქრობაში; ამ დროს მას ლაშქრის საგანგებო ნაწილები ემ-სახურებოდა. წესის თანახმად სულთანს კვირაში გარკვეულ დროს უნ-და ხლებოდნენ წარჩინებულები, ამირები. აქვე ისმენდა იგი ხალხის საჩივრებს. „სიასეთ-ნამეს“ მიხედვით, რეგლამენტირებულია ცერე-

<sup>39</sup> Снасет-намэ, стр. 94—95.

<sup>40</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ..., გვ. 145.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 142.

<sup>42</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ..., გვ. 143. სელჩუკთა ხანის თულრის შესახებ იხ. Claude Cahen, La tuğra Seljukide. «Journal Asiatique», publie par la Societe Asiatique, tome CC XXXIV, 1943—1945, Paris, გვ. 167—172.

მონიაცის თათოვული დეტალი<sup>43</sup>. ნიზამ ალ-მულქი მიუთითებს, რომ სულთანის სასახლეში მიღება-არმილების შემთხვევაში საგანგებო ნიშნები უნდა იქნას გამოყენილი, რომ სულთანთან მოსულმა პირმა მაშინვე გაიგოს საქმის ვითარება. რადგან მისი სიტყვით, წარჩინებული პირისათვის იმაზე უარესი და უმძიმესი არაფერია, როდესაც იგი გაემარლება სასახლისაკენ და სულთნის უნახავად გამობრუნდება. ამ შემთხვევაში ნიზამ ალ-მულქი წარჩინებულების ავტორიტეტს უფროთხილდება: ამავე დროს ითვალისწინებს სულთანსა და წარჩინებულებს შორის ნორმალური ურთიერთობის განმტკიცებას. ნიზამ ალ-მულქის აზრით, საჭიროა ხშირ-ხშირად მოეწყოს მიღებები, და, თუ სულთანი ამის წინააღმდეგი იქნება, მაშინ პროვინციის მმართველები, ამირები, სეიდები, იმამები მაინც მიიღოს მისალმებისათვის. ამ თანამდებობის პირების პლედისას სულთანთან არიან მხოლოდ სასახლის ხალხი, დოლაშები<sup>44</sup>.

ნიზამ ალ-მულქი ასე კატეგორიულად იმიტომ მოითხოვდა სულთანთან მისალმებისათვის პროვინციის გამგებელთა და სხვა თანამდებობის პირთა აუცილებელ ხლებას, რათა უფრო მკვიდრო კავშირი და მორჩილებითი ურთიერთობა დაემყარებინა მათ შორის. ამით იგი პროვინციის გამგებელთა ერთგვარ შემოწმებას ახდენდა, რადგანაც მათ თვალი დამოუკიდებლობისაკენ ეკირათ.

ველიქ-შაჰის დროს ნიზამ ალ-მულქის მიერ ორგანიზებული ე. წ. დიდი დივანი ხუთი დივანისაგან შედგებოდა, რომელთაც სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა უბანი ებარათ. ეს დივანები იყო: 1) სავაზირო დივანი, 2) ისთიფა დივანი, 3) თულრას დივანი, 4) იშრაფ დივანი და 5) არზ თლ-ჯეიმ დივანი.

1. სავაზირო დივანი. სავაზირო დივანის სათავეში მდგომი პირი ამავე დროს სხვა ოთხი დივანის საქმიანობაზეც იყო პასუხისმგებელი. სხვა დივანის გამგებლები მას ემორჩილებოდნენ. სავაზირო დივანის რაისი ერთ-ერთი პირველი მოხელე იყო მთელს სახელმწიფოში. იგი დიდი დივანის მირისა და გამგებლის მუდმივი ვეჟილი იყო. მას სულთანის დივანის გამგებლის ტიტული ებოძებოდა<sup>45</sup>. სავაზიროს ნიშანი ოქროსგან დამზადებული აღმოსავლური საწერი მოწყობილობა იყო, რომლის დამკველი მსახური — დავათდარი ამავე დროს ვაზირის საიდუმლო მასალების მომამზადებელიც იყო. ნიზამ ალ-მულქი ვაზირის ავკარგიანობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახელ-

<sup>43</sup> Спасет-намэ, стр. 124.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ..., გვ. 145.

მწიფოს მართვა-განმგებლობაში<sup>46</sup>. იგი სასურველად მიიჩნევდა, რომ ეაზირის თანამდებობა მემკვიდრეობითი ყოფილიყო. ვ. ბარტოლდი შენიშნავს, რომ ეაზირის ძალაუფლების დაცემის შემდეგ ჩვეულებრივ მისი სახელო მისი მტრის ხელში გადადიოდა და მხოლოდ მრავალი წლის გავლის შემდეგ უბრუნდებოდა მის შთამომავლებს<sup>47</sup>.

2) ისთიფა დივანი. დიდ დივანში სავაზიროს შემდეგ თავისი მნიშვნელობით მოდიოდა ისთიფა დივანი, რომლის მოვალეობას შეადგენდა გადასახადების აკრეფა. მისი მეთაური რაისი-ი მუსტაფა იყო. მას მუსტაფის დივანიც ეწოდებოდა. იგი შედგებოდა ორი ხაზინისაგან: შემოსავლისა და გასავლის ხაზინისაგან. მთელს მწარმოებელ საზოგადოებაზე შეწერილი გადასახადები, დაქვემდებარებულ სახელმწიფოებზე ფულის სახით დაკისრებული წლიური ვალდებულებანი, ხარაჯა და საჩუქრები — შემოსავლის ხაზინაში შედიოდა<sup>48</sup>.

ნიზამ ალ-მულქი საჭიროდ მიაჩნდა სახელმწიფოში ორი ხაზინის არსებობა. ამაში ხედავს ნიზამ ალ-მულქის უმაღლეს იდეალს ვ. ბარტოლდი. როცა შენიშნავს: «...Причем в одном хранились бы деньги для расходов, а другое считалось бы неприкосновенным фондом, в случае крайне необходимости, причем только взаимно-образно»<sup>49</sup>. ის თანხა, რომელიც ვილაიეთების საფინანსო მოხელეების მიერ იკრიფებოდა, დიდი დივანის გადაწყვეტილების საფუძველზე ვასავლის ხაზინაში მიდიოდა. ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ მოითხოვდა, რომ ხაზინიდან გაცემული დასახარჯი თანხა ყოველთვის ნაკლები ყოფილიყო შემოსავალზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო საშიშროება, რომ ხაზინა უტბად დაცლილიყო და სასწრაფო საქმისათვის თანხის გაცემა გაძნელებულიყო; იგი აფრთხილებდა სახელმწიფო მოხელეებს, რომ ხაზინის ანგარიშის წარმართვა ყოველთვის წესრიგში ყოფილიყო და რაიმე დაბრკოლებას არ ჰქონოდა ადგილი. მას ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული ის, თუ სახელმწიფო მმართველობისათვის რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ხაზინაში წესრიგი<sup>50</sup>.

სახელმწიფოს ხაზინაში შემოსული თანხები ძირითადად ოქროსა (დინარი) და ვერცხლის (დირჰემი) ფულისაგან შედგებოდა. სახელმწიფო მიწოქცევაში ოქროსა და ვერცხლის მონეტები იყო: მედიქ-შაჰის სახელზე მოჭრილი მონეტები სწორედ ოქროსა და ვერცხლის

<sup>46</sup> Снасет-намэ, стр. 25.

<sup>47</sup> В. В. Бартольд. Соч., т. I, стр. 288.

<sup>48</sup> Снасет-намэ, стр. 23а.

<sup>49</sup> В. В. Бартольд. Соч., т. I, стр. 289.

<sup>50</sup> Снасет-намэ, стр. 230.



იყო. არსებობდა აგრეთვე სპილენძის ფულიც. მონეტის ერთ მხარეზე ალაპისა და ხალიფას სახელები ეწერა, მეორე მხარეზე კი — მელიქ-შაჰის სახელი. ნაპოვნია მელიქ-შაჰისდროინდელი 22-მდე ოქროსა და ვერცხლის მონეტა, რომლებიც ნიუ-იორკის, ბრიტანეთის, ამსტერდამის, კოპენჰაგენის, სტამბოლისა და სხვა ქვეყნების მუზეუმებსა და კოლექციებშია დაცული<sup>51</sup>.

დიდ სელჩუკთა უზარმაზარი სახელმწიფოს წლიური შემოსავალი, ჰანდალაპ ყაზვინის ცნობით, 21 500 ოქროს წითელ თუმანს შეადგენდა. გარდა ამისა, დაქვემდებარებული ქვეყნებიდან ხარაჯას სახით ყოველწლიურად შემოდებოდა 20 000 მისხალი ოქრო<sup>52</sup>. სახელმწიფო შემოსავლის უმეტესი ნაწილი სავხედრო ორგანიზაციასა და ქვეყნის ერთილი მოწყობის საქმეებს ხმარდებოდა. ბონდარის ცნობით, დივანის გამგებლად იყო შერეფ ალ-მულქი, რომელიც დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მელიქ-შაჰის დროს<sup>53</sup>.

3) თულრას დივანი. თულრას დივანის მოვალეობას შეადგენდა სულთნისაგან გამოცემული ფირმანებისა და ბრძანებების მომზადება, ოფიციალურ დოკუმენტებზე სულთნის მონოგრამის — თულრას დასმა. აგრეთვე პროვინციის გამგებლებთან და უცხო სახელმწიფოების მეთაურებთან ამბების მიტანა. სხვა სახელმწიფოებთან დაკავშირება ელჩების საშუალებით ხდებოდა. ნიზამ ალ-მულქს საგანგებოდ აქვს განხილული თუ როგორ უნდა მოექცნენ უცხო ქვეყნების ელჩებს სელჩუკთა იმპერიაში მოსვლისა და მგზავრობის დროს. „სიასეთ-ნამეში“ საგანგებოდ არის რეგლამენტირებული უცხო ქვეყნების ელჩებთან ურთიერთობის ნორმები. ამ წყაროს მიხედვით, როდესაც ელჩი მოდის მეზობელი ქვეყნიდან, ამის შესახებ არავის არ ეცნობება, ვიდრე იგი სასულთნო კარს არ მიაღწევს. როგორც კი ელჩი გამოჩნდება იმპერიის საზღვარზე, ადგილობრივ მოხელეებს ევალებათ მაშინვე გამოუგზავნონ ცნობა თუ ვინ არის იგი, ვინ ახლავს, როგორი შეიარაღება აქვს და რისთვის მოდის; მოსაზღვრე რაიონის მოხელეს ევალება მიუჩინოს მას სანდო პირი და გააყოლოს ახლო ქალაქამდე, სადაც მას სხვა შეცვლის და ასე გაგრძელდება ელჩის მგზავრობა, ვიდრე იგი სულთნის სასახლეს არ მიაღწევს<sup>54</sup>.

ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ ჩერდება ელჩების ნამდვილ საქმიანობაზე, მათ მიზნებზე. მისი სიტყვით, ელჩებს ათასი წვრილმანი დავალება აქვთ მიცემული საიდუმლოდ. იგი დაწვრილებით ჩამოთვლის

<sup>51</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ..., გვ. 146—147.

<sup>52</sup> ჰანდალაპ ყაზვინი, გვ. 449.

<sup>53</sup> ბონდარი, გვ. 60.

<sup>54</sup> Сиясет-наме, стр. 230.

ყოველგვარ წვრილმან საკითხებს, რომლითაც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის ელჩის ყურადღება იყოს დაკავებული საიდუმლოდ. ნიზამ ალ-მულქი არ ტოვებს არც ერთ უმნიშვნელო დეტალს, რომელსაც შეიძლება ყურადღება მიაქციოს უცხო ქვეყნის ელჩმა და სათანადო დასკვნები გააკეთოს მისთვის საინტერესო საკითხებზე. ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ელჩების მრავალმხრივ და პუნქტუალურ საქმიანობაზე.

თულრას დივანის გამგებელი, ე. წ. თულრაი, სულთან თან ახლდა, ნადირობის დროს იგი ნაიბის მოვალეობას ასრულებდა. ბონდარის ჩამოთვლილი აქვს იმ პირთა სახელები, რომლებიც მელიქ-შაჰის დროს ფლობდნენ თულრაის სახელოს; მისი ცნობით, ეს სახელო ეკავათ ქემალ ად-დოვლე აბუ-რიზა ფაზლულლას, შემდეგ მის შვილს სეიდ არ-რუასა აბულ-მაჰსინს; ამ უკანასკნელის ნიზამ ალ-მულქთან კონფლიქტის გამო თულრაის თანამდებობა დაიკავა ნიზამ ალ-მულქის შვილმა — მოაიედ ალ-მულქმა<sup>55</sup>.

წყაროს ცნობით, ნიზამ ალ-მულქს ბევრი მეგობარი ჰყავდა. ისინი მმართველობაში დახმარებას უწევდნენ. ერთი მათგანი ყოფილა თულრას დივანის გამგებელი ქემალ ედ-დინი<sup>56</sup>.

4) იზრაფ დივანი. ამ დივანის მოვალეობას შეადგენდა სახელმწიფოს საერთო მეთვალყურეობის და კონტროლის ხელმძღვანელობა. მის ფუნქციებში შედიოდა სახელმწიფოს შიგნით სამხედრო და სასამართლო საქმეებზე თვალყურის დევნება. იგი კონტროლს უწევდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალ-გასავლის წარმოებას. ამ დივანში მსახურობდნენ მუშრიფები, ნაიბები და საფინანსო საქმის მცოდნე პირები: ამ დაწესებულებაში უნდა ყოფილიყვნენ ყველაზე წესიერი და კეთილსინდისიერი პირები, რომლებიც წმინდად დაიცავდნენ სახელმწიფოს ინტერესებს. ისინი სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების კურსში იყვნენ. იზრაფ დივანის მეთაური ვალდებული იყო თავისი წარმომადგენლები ჰყოლოდა პროვინციებში, ყველა ქალაქში. წყაროში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ ეს პირები უნდა იყვნენ კეთილსინდისიერნი და კეთილგონიერნი, რომ მათ საქმიანობაში რაიმე დამახინჯებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. დივანის მეთაური ვალდებული იყო თითოეულ ქალაქში გაეგზავნა თავისი გონიერი და კეთილსინდისიერი მოადგილეები, რომელნიც ყოველგვარი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენების კურსში იქნებოდნენ.

<sup>55</sup> ბონდარი, გვ. 61.

<sup>56</sup> იქვე. გვ. 47.

ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ იძლევა გაფრთხილებას, რომ ამ დივანის მომსახურე პერსონალის შესანახად თანხები გაიცეს ბეით ალ-მალიდან; იგი მოითხოვს ამ პირთა მაქსიმალურ მატერიალურ დაკმაყოფილებას იმისათვის, რომ მათ უმსგავსო საქციელი არ ჩაიდინონ და არ დაიწყონ მექრთავეობა<sup>57</sup>. ნიზამ ალ-მულქი აცხადებს, რომ ამ დივანის მსახურთა შესანახი თანხა და მთელი სიმძიმე ხალხს არ უნდა დააწვესო: მისი ეს გაფრთხილება თავისთავად გვაფიქრებინებს თუ რა მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ამ სამოხელეო აპარატის შენახვა მწარმოებელ საზოგადოებას.

აკად. ვ. ბარტოლდის აზრით, მუშრისების მოვალეობას შეადგენდა ძირითადად კონტროლი გაეწიათ სულთნის სასახლის კარის შესანახად დახარჯულ თანხებზე. იგი წერს: «Можно заключить, что их контроль главным образом касался сумм, предназначенных на содержание двора<sup>58</sup>. ამგვარ მოსაზრებას გამოსთქვამს პროფ. ა. ი. იაკუბოვსკიც<sup>59</sup>.

5) არზ ულ-ჯეიმ დივანი. ამ დივანის მოვალეობას შეადგენდა მხოლოდ ლაშქრისათვის ხელფასის გაცემის დროს მეთვალყურეობის გაწევა ხელფასის საქმეში, ყოველგვარი დამაზიანებების აღკვეთის მიზნით. ლაშქრის ორგანიზაცია, წვრთნა და ამდაგვარი საკითხები მას არ ეკითხებოდა<sup>60</sup>.

სულთნის სამდივნოში დივანთა მეთაურების გარდა სხვადასხვა რანგის მოხელეები იყვნენ: ნაიბები, დივანის მსახურები, ქათიბები და სხვ. დიდი სულთნის უფროს მეუღლეს ემსახურებოდა ერთი ვეზირი. ნიზამ ალ-მულქის ვაჟი — თაჯ ალ-მულქი მეღიქ-შაჰის მეუღლის — თურქან-ხათუნის ვეზირი იყო<sup>61</sup>.

მთელს სახელმწიფოში სამართლის მწარმოებელი იყო ყადი. ყადიების მიერ გადაწყვეტილი სამართალი საყოველთაოდ დაჯანონებულად ითვლებოდა. ყადიების საქმიანობა, ნიზამ ალ-მულქის განცხადებით, კეთილსინდისიერი და პატიოსანი უნდა ყოფილიყო. იმისათვის, რომ მათ სამართალი კეთილსინდისიერად წარმართონ კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით, ნიზამ ალ-მულქი მოითხოვს მათ დაჯილდოებას და მატერიალურ უზრუნველყოფას. ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ მოითხოვდა ყადიების ავტორიტეტის ამაღლებას, სამართლის უხეშად დამრღვევთა დასჯას და სახელმწიფო მოხელეთაგან ყადის ავტორიტე-

<sup>57</sup> Снасет-намэ, стр. 64.

<sup>58</sup> В. В. Бартольд, Соч. I, Стр. 290.

<sup>59</sup> История узбекской ССР, т. I, стр. 220.

<sup>60</sup> I. Kafesogli, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

<sup>61</sup> იქვე.

ტისა და საქმიანობის წარმართვაში დახმარების გაწევას. მისი სიტყვით, თუ ერთმა ყადიმ უმართებულო გადაწყვეტილება მიიღო, მეორეს მართებს მას არ დაეთანხმოს, ხელი არ მოაწეროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მისი ასეთი საქციელის შესახებ უმაღლეს მბრძანებელს მოახსენოს. დამნაშავე ყადი კი სასტიკად უნდა დაიხაჯოს<sup>62</sup>. ნიზამ ალ-მულქი იქვე განაგრძობს, რომ ყადიები ფაქტიურად ქვეყნის უმაღლესი მბრძანებლების მოადგილეებად ითვლებიან, ამიტომ სულთანი ვალდებულია თვითონ იზრუნოს ყადიების ღირსებისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე, მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე, რამდენადაც ყადიების საქმიანობა მიმართულია იქით, რომ სულთნის ნებასურვილი და ავტორიტეტი აამაღლონ<sup>63</sup>.

ამრიგად, ყადიები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში და ამიტომაცაა, რომ ნიზამ ალ-მულქი დაბეჭდვით მოითხოვს მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიზამ ალ-მულქი ხატიბებსაც, რომლებიც მეჩეთებში კითხულობენ ყურანის სურებს; მისი აზრით, საჭიროა ამ ღვთისმსახურების პატივისცემა და ხალხში მათი ავტორიტეტის ამაღლება. ისინი საგანგებოდ უნდა იქნენ შერჩეულნი<sup>64</sup>.

ნიზამ ალ-მულქი მოითხოვს, რომ სახელმწიფო აღმინისტრაციულ და სხვა თანამდებობის მუშაკებს მთავრობისაგან მხარდაჭერა და ხალხში ავტორიტეტი უნდა ჰქონდეთ. ამ მოხელეთა სიძლიერე მას მიაჩნია ბატონობის ერთ-ერთ წესად. ქალაქის მოხელეთა შორის იგი საგანგებოდ ასახელებს მუჰთასიბს, რომელიც ყოველ ქალაქში იყო დავალებოდა საქონლის ფასების, სასწორის სიზუსტის, ვაჭრობის საქმის კონტროლი. ის ქალაქის მართველობის საქმეებს განაგებდა<sup>65</sup>.

მუჰთასიბის გარდა ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის დამამყარებელი იყო ამირ-ე დად, რომელსაც თავის მხრივ ჰყავდა წარმომადგენლები ქვეყნის ყველა კუთხეში. ქვეყნის საგარეო საკითხების გადაწყვეტაში ყადისთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამირ-ე დადი. მეღიქ-შაჰის დროს ამირ-ე დადი ჰაბეშ ბენ ალთუნთაში იყო<sup>66</sup>. ყადი თითოეულ ქალაქში ინიშნებოდა და საქმეებს მუსლიმანური სამართლის მიხედვით არჩევდა. რ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ მუსლიმანური სასულიერო პირები დიდი გავლენით სარგებლობდნენ აღმოსავლურ ფეოდალურ ქალაქში. ისინი განაგებდნენ მეჩეთებისა და

<sup>62</sup> Снасет-намэ, стр. 44.

<sup>63</sup> ი ქ ვ ე, გვ. 46.

<sup>64</sup> ი ქ ვ ე, გვ. 150.

<sup>65</sup> ი ქ ვ ე, სტრ. 47.

<sup>66</sup> I. K a f e s o ğ l u, „Sultan Melikşah devrinde...“, გვ. 149.

წმინდა ადგილებისათვის შეწირულ ქონებას — ვაკეებს და მსხვილი ნაწათმფლობელებიც იყვნენ<sup>67</sup>. თურქი მეცნიერის იბრაჰიმ ქაფესოღლუს ცნობით. არსებობს მელიქ-შაჰისდროინდელი კანუნი-ნაიფი, სადაც საგანგებოდაა გადმოცემული ქორწინების წესები, ქონების ყიდვა-გაყიდვის უფლებები, მულქების საკითხი, ყადის სამართალი და სხვ<sup>68</sup>.

ნიზამ ალ-მულქი, როგორც არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, ყოველნაირად ცდილობდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციას. ამ მხრივ იგი ღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფო წყობილების ორგანიზაციას, სამოხელეო აპარატის, უწყებების განმტკიცებას. ნიზამ ალ-მულქი დაულალავად იღვწოდა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულების განმტკიცებისათვის. მისი ეს მისწრაფება მკაფიოდ არის გამოხატული „სიასეთ-ნამეში“.

ამ ნაშრომში დაწვრილებით არის წარმოდგენილი იმპერიის მთელი ბიუროკრატიული აპარატი; მოცემულია საგანგებო რეცეპტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს ესა თუ ის საქმე სახელმწიფო აპარატში.

4. ადმინისტრაციული სისტემა. დიდ სელჩუკთა უზარმაზარი სახელმწიფო ბევრი ცალკეული პროვინციისაგან შედგებოდა. იგი ვილაიეთებად იყოფოდა, რომელსაც სათავეში ედგა ამიდი. ამიდი დიდ დივანთან იყო დაკავშირებული და ვილაიეთში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმიანობას უძღვებოდა. ვილაიეთში შემავალ ქალაქებს სათავეში ედგა რაისი. ციხე-სიმაგრეებისა და მასთან დაკავშირებული დასახლებული პუნქტების გამგებლად ქუთვალი ინიშნებოდა.

სახელმწიფოს ცალკეული პროვინციების პოლიტიკური მმართველობა ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული იყო. ასევე განსხვავებული იყო პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმებიც ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მთელი სახელმწიფო სულთნის ოჯახის წევრებსა და სასახლის კარზე აღზევებულ პირებს ჰქონდათ სამმართველოდ ბოძებული. განაპირა დაპყრობილი პროვინციები უმეტეს წილად არ სცნობდნენ დიდ სელჩუკი სულთნის უზენაესობას და დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ; ბალხს განაგებდა აიაზი, თოხარისთანს — თექეში, სირიას — თუთუში, ჰერათსა და ღარჯისთანს — ბორი ბარსი, გურგანჩისა და სავეს — არსლან არღუნი, არანში — ყოთბ ედ-დინ ისმაილი იჯდა. ქერმანში — ქავერდის შვილები, ანატოლიაში — სულეიმან შაჰი, ალუპოში — აყსუნყური, ურფაში — ბოზანი, ფარსში — ხუ-

<sup>67</sup> რ. კი ე ნ ა ძ ე, ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X—XII საუკუნეებში, ნაკრევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. გვ. 144.

<sup>68</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 150.

მართეგიანი და სხვა მრავალი, რომელთაც დროთა ვითარებაში მეტ-ნაკლებად მოახერხეს დამოუკიდებლობის მოპოვება და თავიანთ პროვინციებში საკუთარი ადმინისტრაციული და სამოხელეო აპარატები შექმნეს. თითოეულ მათგანს ახასიათებდა მთელი რიგი თავისებურებანი, რომელიც მას განასხვავებდა სხვა დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებისაგან. გარდა ამისა, იყო მთელი რიგი ქრისტიანული სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა დიდ სელჩუკ სულთანთან ყოველწლიურად გარკვეული გადასახადების გადახდასა და სხვა ვალდებულებებში გამოიხატებოდა. ასეთი ხელდებული პოლიტიკური ერთეულები, რა თქმა უნდა, პირველი შესაძლებლობისთანავე შეუწყვეტდნენ დიდ სელჩუკთა ცენტრალურ ხელისუფლებას გადასახადების გადახდას და სხვა ვალდებულებების შესრულებას; ასევე იყო საქართველოც, რომელმაც XI საუკუნის მიწურულს ისარგებლა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების დაქუცმაცებით და სელჩუკებს გადასახადი შეუწყვიტა. დავით აღმაშენებელმა „არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“. XI საუკუნის მიწურულისათვის დაქვემდებარებული მბრძანებლები სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ თავიანთ ტერიტორიებზე.

როგორც აღნიშნული იყო, სახელმწიფოს მთელი ტერიტორია მელიქ-შაჰის განკარგულებით დინასტიის წევრებს, დაქვემდებარებულ გამგებლებსა და თურქმენ ბეგებს ეძლეოდათ იქტას წესით. დიდ სელჩუკი სულთნის მორჩილებაში მყოფი პროვინციის გამგებლები დამოუკიდებლად განაგებდნენ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებს, სჭრიდნენ მონეტებს, რომლის ერთ მხარეზე თავიანთი სახელები ჰქონდათ ამოტვიფრული, მონეტის მეორე მხარეზე კი დიდი სულთნის სახელი იყო წარწერილი.

ვრცელი სახელმწიფოს განაპირა მხარეებიდან ცენტრალურ ხელისუფლებასთან სასწრაფოდ დაკავშირებისა და ახალი ამბების ცნობებისათვის, ნიზამ აღ-მულქი აუცილებლად მიიჩნევს სათანადო დაწესებულების შექმნას. ასეთ თანაშემწეობად მას მიაჩნდა საპიბ-ბარიდეს შემოღება. მისი აზრით, ასეთი პირებისაგან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში შეკრებილი ცნობების შედეგად სულთანი სასწრაფოდ იღებდა შესაფერის გადაწყვეტილებას<sup>69</sup>. ნიზამ აღ-მულქი საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ თანამდებობის დიდ მნიშვნელობას სახელმწიფოს ძლიერებისათვის და კონკრეტულად მიუთითებს, თუ ვის და როგორ პირებს უნდა დაევალოთ ქვეყნის ახალ-ახალი ამბების სულთანთან მი-

<sup>69</sup> Справедлив. стр. 65.

ტანა. ამ საქმეებით უნდა იყოს დაკავებული ის პირი. ვიზედაც ექვს არავინ არ აიღებს და ამავე დროს იქნება წესიერი და კეთილსინდისიერი. მათს საქმიანობაზეა დამყარებული მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობაც და უბედურებაც. ამიტომ ამ თანამდებობაზე პირებს თვითონ სულთანი უნდა არჩევდეს და ისე ნიშნავდესო. ამავე დროს ისინი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ გულთადად და კეთილსინდისიერად იმუშაონ<sup>70</sup>.

ნიზამ ალ-მულქი ვრცლად ჩერდება ამ თანამდებობის წარმოშობაზე, სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში მის სარგებლიანობაზე. ჩანს, რომ მას დიდი სურვილი აქვს ამ თანამდებობის შემოღებაა. ი. ქაფესოლლუს გამოკვლევით, ეს სახელო ალფ-არსლანმა გააუქმა; წყაროების მიხედვით არ ჩანს იგი მელიქ-შაჰმა კვლავ აღადგინა თუ არა და არც თურქი მეცნიერი ამბობს რაიმეს მის შესახებ<sup>71</sup>. ფაქტია, რომ ნიზამ ალ-მულქი ყოველნაირად უწყობდა ხელს სახელმწიფოში ამ თანამდებობის გავრცელებას.

5. ი კ ტ ა. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და ახალ-ახალი ტერიტორიების შემოსაერთებლად საჭირო იყო რეგულარული ჯარის შექმნა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარებოდა. ნიზამ ალ-მულქმა ამ მხრივ დიდი შრომა გასწია და მისი ინიციატივით შეიქმნა კიდევ ასეთი ჯარი. ნიზამ ალ-მულქი „სიასეთ-ნამეში“ საგანგებოდ იძლევა რეცებტებს, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ლაშქარი; მისი აზრით, როდესაც ლაშქარში თავმოყრილია ერთი ეროვნების ხალხი, ეს საშიშია, რამდენადაც უფრო ნაკლები გულმოდგინებაა და უწყესრიგობაც მეტია. სასურველია და საჭირო ლაშქარი შედგებოდეს სხვადასხვა ტომებისაგან. მას სასურველად მიაჩნია მის ლაშქარში იყვნენ ქართველებიც, ვანაიდან ისინი კარგი მეომრები არიან<sup>72</sup>. ნიზამ ალ-მულქის მოსაზრებით, როცა ლაშქარი ასეთი ჭრელი ეთნიკური შემადგენლობის იქნება, ყოველი ეროვნების წარმომადგენელი შეეცდება თავი გამოიჩინოს და, როდესაც იარაღს მოკიდებენ ხელს, მანამდე არ შეეშვებიან, ვიდრე მოწინააღმდეგის ლაშქარს არ დაამარცხებენ. როცა ლაშქარი ძლევამოსილი გახდება და მტერთან ერთ-ორ გამარჯვებას მიაღწევს, მერე მას წინააღმდეგობას ვერეინ გაუწევს, განაპირა ქვეყნის ლაშქარი ყოველთვის შიშით იქნება მის მიმართ<sup>73</sup>.

<sup>70</sup> Спасет-намэ, стр. 66.

<sup>71</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

<sup>72</sup> Спасет-намэ, стр. 107.

<sup>73</sup> ი კ ე ე.

ნიზამ ალ-მულქი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ დაქვემდებარებული ხალხების: არაბების, ქურთების, ბერძენებისა და სხვების ამირებს ცალ-ცალკე გამოეგზავნათ ერთი წლით სასახლის კარზე შვილი, ან ძმა, რომ მათი რიცხვი აუცილებლად ხუთასი ყოფილიყო. ერთი წლის გასვლის შემდეგ მათი შემცვლელი უნდა გამოეგზავნათ. ადრე გამოგზავნილები კი უკან უნდა დაებრუნებინათ. ასეთ შემთხვევაში, ნიზამ ალ-მულქის აზრით, მძევლების წყალობით ვერავინ შესძლებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლას<sup>74</sup>.

ნიზამ ალ-მულქის ღონისძიებებიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ იღწოდა იგი ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. საამისო პირობად მას, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი ლაშქრის შექმნის აუცილებლობა მიაჩნდა. როდესაც ნიზამ ალ-მულქი ცალკეული ქვეყნის ამირებს ავალდებულებდა მძევლების სახით შვილის ან ძმის გამოგზავნას სასახლის კარზე, ამით ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეს ისახავდა მიზნად. ჯერ ერთი, ესა თუ ის გამგებელი ძალაუნებურად ვერ განუდგებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, მეორეც ყოველი შემთხვევისათვის სასახლის კარზე ორგანიზებული ხუთასი კაცი ეყოლებოდა, მაგრამ ნიზამ ალ-მულქის იდეალი მაინც დიდი ფეოდალური ლაშქრის შექმნა იყო, რომელიც ქვეყანას განამტკიცებდა შინაგანად და ამავე დროს ახალ-ახალ ტერიტორიებს დაიპყრობდა კიდევ.

მელიქ-შაჰის დროს ნიზამ ალ-მულქის უშუალო მონაწილეობით ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული მუდმივი ჯარის შექმნასთან დაკავშირებით პროფ. ვ. გაბაშვილი შენიშნავს, რომ „დავით აღმაშენებლის მიერ ყიფჩაღთაგან შემდგარი ლაშქარი, შეიძლება ვიფიქროთ, მელიქ-შაჰის ამ ღონისძიებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო სელჩუკთა ახალი ორგანიზაციისათვის ახალი ძალის დაპირისპირება“<sup>75</sup>.

ნიზამ ალ-მულქის აზრით, ძლიერი ლაშქარი ხელს შეუწყობდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, დაუპირისპირდებოდა განკერძოების გზაზე შემდგარ სელჩუკთა დინასტიის წევრებს და ცალკეულ ამირებს, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვოდნენ. ნიზამ ალ-მულქი კატეგორიულად მოითხოვდა, ზუსტად გაერკვიათ ლაშქრის მდგომარეობა. მისი გადმოცემით, წინათ იკტას არ იძლეოდნენ, თითოეულ მათგანს ხაზინიდან შესაბამისად აძლევდნენ ჯამაგირს

<sup>74</sup> Спассет-намэ, стр. 103.

<sup>75</sup> ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, გვ. 125.



წელიწადში ოთხჯერ და ისინი ყოველთვის კმაყოფილები იყვნენ. ამი-  
ლები კრეფდნენ გადასახადებს და ხაზინაში აბარებდნენ. ხაზინიდან  
კი ჯარისკაცებს ეძლეოდათ<sup>76</sup>. ნიზამ ალ-მულქის ამ ცნობებს აღას-  
ტურებს ბონდარიც. რომელიც აღნიშნავს, რომ „ძველად წესი იყო  
ფული მოეგროვებინათ და ლაშქრის საჭიროებისათვის დაეხარჯათ.  
იქტა არავისთვის არ იყო. ნიზამ ალ-მულქმა რომ დაინახა ქვეყნის  
უწესრიგობისა და მოშლილობის გამო ფული არ იკრიფებოდა, სანო-  
ვაგე არ გროვდებოდა, მიწა ლაშქარს იქტად დაუნაწილა და იგი ლაშქ-  
რის შემოსავლის წყაროდ აქცია. ამრიგად, ლაშქარი ამ მიწის დამუშა-  
ვებით წახალისდა და მოღონიერდა. მოკლე ხანში ქვეყანა ძალიან გაძ-  
ლიერდა“<sup>77</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სამხედრო ძალების გასაძლიერებლად  
ნიზამ ალ-მულქს ფულადი ჯამაგირის ნაცვლად იქტას წესით მიწები  
გაუცია. იქტას წესით მიწების გაცემა პირველ ხანებში მაინც ერთგვა-  
რად ხელს უწყობდა სამხედრო საქმის გამოსწორებას. იქტადარი და-  
ინტერესებული იყო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მისთვის ბოძე-  
ბულ მიწაზე დასახლებული გლეხებისგან რაც შეიძლება მეტი გადასა-  
ხადი აეკრიფა. მაგრამ იქტას ინსტიტუტმა დიდ სელჩუკთა სახელმწი-  
ფოში ევოლუცია განიცადა. იქტა დროთა განმავლობაში ახალი შინაარ-  
სით შეივსო, თურქ-სელჩუკებისათვის იგი ყველაზე მისაღებ ფორმას  
და შემოსავლის საუკეთესო წყაროს შეადგენდა. თურქ-სელჩუკთა სამ-  
ხედრო-ნომადური არისტოკრატის წარმომადგენლები ცდილობდნენ  
სახელმწიფოსაგან ისეთი მიწები მიეღოთ, სადაც მოსახლეობის სიმ-  
ჭიდროვე უფრო მეტი იქნებოდა და ინტენსიური მეურნეობა უფრო  
განვითარებული, რადგან მოსახლეობის, ე. წ. რაიათის რაოდენობაზე  
იყო დამოკიდებული გადასახადების ოდენობაც. ასე, რომ თურქულ-  
მომთაბარული არისტოკრატია ინტენსიურად ეწეოდა ბინადარი კულ-  
ტურული მიწის მუშების, მებაღეების, მევენახეების, მებაბრეშუმეების  
ძარცვას. ეს იყო გლეხთა ინტენსიური ექსპლოატაცია სახელმწიფოს  
მეშვეობით, რომელსაც თურქულ-მომთაბარული არისტოკრატია ეწეო-  
და და იგი მათთვის სავსებით მისაღები ფორმა იყო. პროფ. ვ. გაბაშვი-  
ლის სიტყვით „იქტა თურქ-სელჩუკიანთა სამხედრო-ნომადურ არის-  
ტოკრატიას საშუალებას აძლევდა მიწაზე დაუჯდომლად წელიწადში  
რამდენჯერმე მიეღო ხარაჯი. იქტაში თურქ-სელჩუკები ხედავდნენ სის-  
ტემატური და უეჭველი შემოსავლის საუკეთესო ფორმას“<sup>78</sup>.

<sup>76</sup> Снасет-намэ, стр. 106.

<sup>77</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 54; İslâm Ansiklopedisi, cüz, 49.

<sup>78</sup> ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, გვ. 131. იქტას ინსტი-  
ტუტის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, Cf. Cahen, L'evro-

XI საუკუნისათვის ძლიერდება მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესი, ამ დროისათვის ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ფეოდალური მიწისმფლობელობის უფრო განვითარებულ ფორმებთან. განსაკუთრებით განვითარება განიცადა ამ პერიოდში იკტას ინსტიტუტმა, მეტადრე ე. წ. იკტა ალ-ისთიკლალმა, რომელიც მხოლოდ მიწის შემოსავლით სარგებლობის უფლებას გულისხმობდა. როდესაც მიწა ჯერ კიდევ არ შეადგენდა იკტას მფლობელის ე. წ. „მუკტას“ საკუთრებას, იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღო მოკლე დროში; ამის გამო მწარმოებელი საზოგადოებისა და წვრილი მიწისმფლობელების მდგომარეობა მკვეთრად უარესდებოდა. უმეტეს შემთხვევაში მათ ძალით ართმევდნენ მიწის ნაკვეთს, ანდა აიძულებდნენ გაეყიდათ იგი. იკტას ინსტიტუტის განვითარება დაკავშირებული იყო სოფლად სამხედრო პირთა და მათ მეთაურთა დასახლებასთან. იკტას მფლობელნი მეტწილად სამხედრო პირნი იყვნენ. ამასთანავე არ იყო გამორიცხული იგი საფინანსო მოხელეებსა და გადასახადის ამკრეფთ სჭეროდა.

იკტას საფუძველზე დაქირავებული ლაშქრის რაოდენობა იზრდებოდა. იკტას მფლობელნი თვითონ კრეფდნენ გადასახადებს, ასე რომ, მოხდა ერთგვარი შერწყმა სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელთა და საფინანსო მოხელეებისა. მიწის მთელი შემოსავალი მთელ რიგ რაიონებში მუკტას ხელში გადადიოდა, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს ხაზინას არაფერს უხდიდა. თუ მანამდე მწარმოებელი საზოგადოება გადასახადს უხდიდა ხაზინას, აჭერად, მთელი შემოსავალი მუკტას ხელში გადადიოდა, ხაზინა ცარიელი იყო. სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

წყაროებიდან ჩანს, რომ ნიზამ ალ-მულქმა ახალი რეგულარული არმიის შესანახად საგანგებო გზები გამოახა. ხარჯების ნახევარი მან

lution de l'iqta du IX-e au XIII-e siècle: Contribution à une histoire comparée des sociétés médiévales—«Annales (Economies. Sociétés. Civilisations)». 8-e année, Paris, 1953, № 1; მისივე, Le Régime de la terre et l'occupation turque en Anatolie. Cahiers D'histoire Mondiale of World Journal History Cuadernos de Historia Mundial, Paris, 1955, volume II, № 3. Ikta. İslâm Ansiklopedisi, cüz 49, İstanbul, 1951; Н. В. П и г у л е в с к а я, А. Ю. Я к у б о в с к и й, И. П. П е т р у ш е в с к и й, Л. В. С т р о е в а, Л. М. Б е л е н и ц к и й, История Ирана с древнейших времен до конца 18 века. Л., 1958, стр. 154—155; С. Б. П е н з н е р, Икта в Египте в конце XIII—XIV вв., сб. «Памяти академика И. Ю. Крачковского», Л., 1958; А. А. А л и - 3 а д е, К вопросу об институте «Икта» в Азербайджане при Ильхангах (XIII—XIV вв.), стр. 127—136, «Сборник статей по истории Азербайджана», I, Баку 1949; ე. ს. გ. ხ. რ. ლ. ი. კ., აზახლთა სახალფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII—IX საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან..., გვ. 74—86 და სხვ.

სამპრყანდის მხარეს შეაწერა, ნახევარი კი — საქართველოდან შემოსული გადასახადებით დაფარა; არაბული წყაროს ცნობით, ნიზამ ალ-მულქმა „წარს ათასი დინარი სახარაჯო გადასახადი მიუჩინა. მისი ნახევარი სამპრყანდიდან შემოსული გადასახადი იყო და ნახევარი კი — რუმის ქვეყნებიდან შემოსული. აქედან არავის არ შეეძლო ერთი ღირ-  
კეპიც კი დაეგვიანებინა“<sup>79</sup>.

ნიზამ ალ-მულქის მიერ ორგანიზებული მუდმივი ჯარი, რომელიც ყოველთვის თან ახლდა მელიქ-შაჰს, რავენდის ცნობით, 45 000 კაცს შეადგენდა<sup>80</sup>. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით კი — 47 000<sup>81</sup>. ნიზამ ალ-მულქი ყოველნაირად ცდილობდა ლაშქრის რაოდენობის გაზრდას. მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა სელჩუკთა ლაშქარი 700 000-მდე გაეზარდა და დაეპყრო აღმოსავლეთი აზია, აფრიკა და საბერძნეთი<sup>82</sup>. ნიზამ ალ-მულქი ძლიერი და ღიდი არმიის ყოლაში ხედავდა სახელმწიფოს სიძლიერეს და ამავე დროს წყაროს ახალ-ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. მას აღშფოთებდა მელიქ-შაჰის მიერ შედგენილი პროექტი ლაშქრის შემცირების შესახებ და ყოველნაირად ცდილობდა სულთანი დაეყოლიებინა, ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

როგორც აღვნიშნეთ, რეგულარული სამხედრო ძალების შესაქმნელად ნიზამ ალ-მულქმა ხელფასის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთები მასზე დასახლებული გლეხებითურთ დაურთა იმ პირობით, რომელთაც სანაცვლოდ სამხედრო სამსახური ევალებოდათ. წყაროს ცნობით, ნიზამ ალ-მულქი „პირველი იყო, რომელმაც იკტა თურქებს დაუწესა“<sup>83</sup>.

თურქ-სელჩუკთა ხანაში იკტას ინსტიტუტმა უფრო სრული სახე მიიღო. იკტას საფუძველი იმთავითვე წყალობა იყო და იგი დროებით მფლობელობას გულისხმობდა. იკტას მფლობელს უფლება ჰქონდა აეკრიფა მიწაზე დაწესებული გადასახადის ის წილი, რომელიც სახელმწიფოს მისთვის ჰქონდა გარდაკვეთილი. ეს უფლება მას პირველ ხანებში გარკვეული დროის განმავლობაში ჰქონდა. სელჩუკების დროს იკტას უპირატესად იძლეოდნენ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. „თურქ-სელჩუკების დროს მკაფიოდ გამოკვეთილი სახით ჩამოყალიბდა სამხედრო-ლენური სისტემა“<sup>84</sup>. სელჩუკთა ხანაში ფართო ხასიათი მიიღო იკტას გაცემამ პირობით მფლობელობაში. წინარე ხანისაგან

<sup>79</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 49; ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 59.

<sup>80</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 128.

<sup>81</sup> ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 462.

<sup>82</sup> В. Е. Бартольд, დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

<sup>83</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 50.

<sup>84</sup> ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებულა. ფეოდალიზმის ხანაში..., გვ. 133.

განსხვავებით იქტა ეძლეოდათ არა მარტო სელჩუკთა არისტოკრატიის ზედა ფენებს, არამედ იგი მასობრივად გაიცემოდა ფეოდალური ლაშქრის თითოეულ წევრზე, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე მის ნაცვლად გარკვეული ვალდებულება უნდა შეეარაღებინა.

წყაროების ცნობით, მარტო ასეთი კატეგორიის პირებზე გაცემული იქტა დაახლოებით 50 000 დინარს შეადგენდა. ა. ალი-ზადე იქტას სამხედრო პირებზე გაცემის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი აკმაყოფილებდა როგორც სახელმწიფოს, ასევე ბინადარ და მომთაბარეთა მეურნეობის ინტერესებსაც. ხაზინა ამით ჯარის შენახვაზე ზრუნვისაგან თავისუფლდებოდა. იმ მომთაბარეებს, რომლებიც ბინადარ და ნახევრად ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ, საშუალება ეძლეოდათ სისტემატური ექსპლოატაცია გაეწიათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ისინი ადგილობრივ ფეოდალთა რიგებს ავსებდნენ<sup>85</sup>, ხოლო სამხედრო-ლენური სისტემა ერთ ხანს ნიადაგს უქმნიდა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის საქმეს, რადგან ფეოდალური ლაშქრის შექმნა ცენტრალისტურ ტენდენციებს ემსახურებოდა. მაგრამ იქტას ფეოდალური ინსტიტუტის შემდგომმა განვითარებამ დეცენტრალისტური მიმდინარეობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. იქტას მემკვიდრეობით გასაკუთრების ტრადიციამ დააჩქარა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლა-გადაშენება. ეს პროცესი ობიექტურად მიმდინარეობდა სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების შედეგად. ალბათ იქტას ინსტიტუტი ჰქონდა მხედველობანი ენგელსს, როდესაც აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთში მხოლოდ თურქები მისდევდნენ განსაკუთრებული სახის მიწათმფლობელურ ფეოდალიზმს<sup>86</sup>. იქტას ყველაზე დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ მას ფეოლში გადაზრდის ტენდენცია გააჩნდა. ამ მიმართულებით წარიმართა შემდეგში, ძირითადად, ფეოდალური ურთიერთობის გაღრმავება. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში იქტას ინსტიტუტის განვითარებისა და მის საფუძველზე ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაციის ბუნებრივი შედეგი იყო ის, რომ XI ს-ის დამლევისათვის წარმოიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები ქერმანში, მცირე აზიასა და სირიაში. მარქსსა და ენგელსს იქტას ინსტიტუტის შემდგომი განვითარების შედეგად წარმოქმნილი ცალკეული პოლიტიკური ერთეულების მაგალითად მცირე აზიისა და სირიის სელჩუკთა სახელმწიფოები მოჰყავთ, რომელნიც თავის დროზე იქტას სახით უბოძა მელიქ-შაჰმა სელჩუკთა დინასტიის წევრებს<sup>87</sup>.

<sup>85</sup> А. А. Алп-Задее, К некоторым вопросам, относящимся к истории владения сельджуков на Среднем Востоке и в Закавказье, стр. 272.

<sup>86</sup> Собрание сочинений Маркса и Энгельса, т. XIV, стр. 179.

<sup>87</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, стр. 113.

სელჩუკი უფლისწულები მხოლოდ ნომინალურად სცნობდნენ დიდ სელჩუკი სულთნების ხელისუფლებას. იქტას ინსტიტუტის განვითარების საფუძველზე წარმოიშვა ათაბეგთა სამფლობელოები აზერბაიჯანში. ფარაში. „სულთნის ხელისუფლება ცენტრალური პოლიტიკის თვალსაზრისით უყურებს ფეოდალების სალაშქრო მოვალეობას, მაგრამ ფეოდალების უშუალო დამოკიდებულება გარკვეული ტერიტორიების მოსახლეობასთან ნიადაგს უქმნის დამოუკიდებელი ათაბეგების წარმოშობას“<sup>88</sup>.

ნიზამ ალ-მულქი, რომელმაც დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში პირველმა დაურიგა იქტა მთელ რიგ პირებს სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. გარკვეული ხნის შემდეგ მისი სასტიკი წინააღმდეგი გახდა, რადგან იქტა განვითარებისა და ახალი შინაარსით შევსების გამო უკვე ასუბტებდა და ძირს უთხრიდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის ტენდენციებს. ნიზამ ალ-მულქი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ იქტა მის მფლობელთა ხელში პირობით და განსაზღვრული სახით ყოფილიყო<sup>89</sup>. ნიზამ ალ-მულქის აზრით, სელჩუკთა სამხედრო არისტოკრატია იქტას ინსტიტუტის შემოღებით საშუალება ეძლეოდა, გადასახადები ისე აეკრიფა გლეხებისაგან, რომ თვითონ არ გადასულიყო ბინადარ ცხოვრებაზე. XI ს-ის მანძილზე იქტამ მთელი რიგი ცვლილებები განიცადა. იქტადარის მიერ განსაზღვრული გადასახადის დროებითი აკრეფის უფლებიდან იგი მთელი სიცოცხლით გადასახადის აკრეფის უფლებაში გადაიზარდა. შემდეგ კი მას მეკვიდრეობის უფლება დაემატა. მთელი XI—XII სს. განმავლობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც იქტადარები არა მარტო გადასახადის აკრეფის უფლებას ფლობენ, არამედ თვით მიწებსაც, და ბოლოს, იძენენ ფაქტიურ უფლებას მიწაზე დასახლებული გლეხობის შრომასა და ქონებაზე. ნიზამ ალ-მულქი თავიდანვე გრანობდა იქტას ინსტიტუტში მოსალოდნელ ცვლილებებს და ამიტომ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ იქტადარები და ამილები დიდხანს არ ყოფილიყვნენ ერთი და იმავე ტერიტორიების მფლობელნი. იგი შიშობდა, რომ იქტას მფლობელნი არ დამკვიდრებულებიყვნენ მათ მიერ ბოძებულ ტერიტორიებზე<sup>90</sup>. იქტას მფლობელნი უკვე ძველებურად აღარ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე. ხშირად არღვევდნენ თავიანთ ვალდებულებას და დროულად აღარ ცხადდებოდნენ სამხედრო ძალებით. ნიზამ ალ-მულქი იძულებული ხდება საგანგებოდ აღნიშნოს ეს გარემოება და გაათვთხილოს იქტას მფლო-

<sup>88</sup> ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალზმის ხანაში..., გვ. 133.

<sup>89</sup> Снасет-намэ, стр. 106.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 43.

ბელნი, რომ თავიანთი ლაშქარი ყოველი შემთხვევისათვის იყოლიონ მზად. რაიმე საპატიო მიზეზის დროს წინასწარ განაცხადონ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულების დამარღვევნი დაისჯებიან ან დაჯარიმდებიან<sup>91</sup>.

ნიზამ ალ-მულქის გაფრთხილებიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ ირღვეოდა იქტას მფლობელობის თავდაპირველი წესი.

ყარახანიანთა მაგალითზე დაყრდნობით პროფ. ა. იაკუბოვსკი იძლევა XI ს-თვის იქტას ინსტიტუტის ნამდვილი ბუნების დახასიათებას. მისი განმარტებით ყარახანიანი გამგებლები იქტას თავიანთი პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ყარახანიანთა მომთაბარე სამხედრო არისტოკრატიას ბინადარ ცხოვრებაზე ერთბაშად გადასვლა გაუძნელდა, საამისოდ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი იყო საჭირო, სულ ცოტა საუკუნე მაინც. იქტას მფლობელ მომთაბარე სამხედრო არისტოკრატიას არ სურდა და არც შეეძლო ეცხოვრა განსაზღვრულ ქალაქსა და სოფელში, მისი სურვილი იყო „Не усседая, .получать систематические доходы с земель, которые обрабатывались трудолюбивыми руками крестьян. Что же могло быть более соответствующим этому желанию, чем икта—эта восточная форма бенефиция“<sup>92</sup>.

სელჩუკებს ასევე ესახებოდათ იქტა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც, სადაც ინტენსიური კულტურული მეურნეობა იყო გაბატონებული.

მომთაბარე სელჩუკებისათვის, ბუნებრივია, ძნელი იქნებოდა ბინადარ ცხოვრებაზე ერთბაშად გადასვლა და კულტურული მეურნეობის წარმართვა. საამისოდ მათ გარკვეული დრო და პირობები ქირღებოდათ. იქტას ინსტიტუტი კი ამ მხრივ მათთვის ძალიან ხელსაყრელი იყო, რადგან ერთი მხრივ საშუალება ეძლეოდათ ეწარმოებინათ მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობა, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მეშვეობით ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაცია წარემართათ.

პროფ. ვ. გაბაშვილი შენიშნავს, რომ „თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი იყო მიწების ახალი გადანაწილება და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება თურქ-სელჩუკური სამხედრო-ნომადური არისტოკრატის სასარგებ-

<sup>91</sup> Спасет-намэ, стр. 106.

<sup>92</sup> А. Ю. Я к у б о в с к и й, Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века (VI—XV вв.). «Краткие сообщения института истории Материальной культуры АН СССР», XXVIII, 1949, стр. 40; შტრ. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII საუკუნეებში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, თბ., 1966, ვ. გაბაშვილის რედაქციით, ვვ. 18.

ლოდ. ადგილობრივი ფეოდალების გვერდით გაჩნდნენ თურქი ფეოდალები. რომელიც ბინადარი, ინტენსიური მეურნეობის მიმდევარი მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობდნენ და არსებობდნენ<sup>93</sup>. ამრიგად, იკტას საშუალებით სელჩუკთა მომთაბარე არისტოკრატია ეძლეოდა საშუალება ქვეყნის შიგნით ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიური ექსპლოატაცია ეწარმოებინა და შემოსავლის ძირითად წყაროდ მათი ძარცვა-ვლევის შედეგად მიღებული შემოსავალი გაეხადა. იკტას მფლობელი სამხედრო ნომადური არისტოკრატია ყოველნაირად ცდილობდა სახელმწიფოსაგან ისეთი ნოყიერი მიწები მიეღო, სადაც განვითარებული იქნებოდა კულტურული მეურნეობა და ამავე დროს მჭიდროდ იქნებოდა დასახლებული, რადგანაც დასახლებულ გლეხთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული გადასახადების ოდენობაც. რაც უფრო მეტად იყო დასახლებული ესა თუ ის ტერიტორია. მისი იკტადარი უფრო მეტ გადასახადს იღებდა მოსახლეობისაგან. სრულებითაც არ იყო სავალდებულო იკტას მფლობელს იმ ადგილებში ეცხოვრა, სადაც მას სახელმწიფოსაგან ჰქონდა ტერიტორია ნაწყალობევი. სელჩუკთა ნომადური არისტოკრატისათვის ეს ხელსაყრელი იყო, რადგან იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მომთაბარეული ცხოვრების წესთან.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. გაბაშვილი, „სახელმწიფოს მეშვეობით გლეხთა ექსპლოატაცია, ჩანს. გაგრძელდა მანამდე, სანამ სელჩუკი მიწისმფლობელები გაფეოდალებას მოასწრებდნენ. ადგილობრივმა ფეოდალურმა სინამდვილემ გააძლიერა იკტას განვითარების ის ტენდენცია, რომელიც ამ ფეოდალურ ინსტიტუტს უკვე X ს-ში შევნიშნეთ. XI ს-ის დასაწყისს იკტადარები ხელს სდებენ არა მარტო სამსახურის სანაცვლოდ ნაწყალობევი მიწას, არამედ მიწაზე მსხდარ გლეხებსაც“<sup>94</sup>. დროთა ვითარებაში თურქულ მომთაბარულმა არისტოკრატებმა შეიგნო, რომ ადგილობრივ ფეოდალურ მეურნეობას უფრო მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე მომთაბარულ-ნომადურ მეურნეობას. ამიტომ არისტოკრატის მცირე ნაწილი იძულებული გახდა სოფლისა და ქალაქის მეურნეობას დაკავშირებოდა. სინამდვილეში მოხდა ადგილობრივი ფეოდალური მეურნეობის გამარჯვება ექსტენსიურ მეურნეობასთან ბრძოლაში. მეჯოგე-მომთაბარე არისტოკრატის უპირატესობა ნაწილმა ფეოდალურ მეურნეობას მოჰკიდა ხელი. ამის

<sup>93</sup> ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII საუკუნეებში..., გვ. 18.

<sup>94</sup> ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში..., გვ. 131—132.

მიზეზი კი იქტას ინსტიტუტის განვითარება და ახალი შინაარსით შევსება იყო. ნიზამ ალ-მულქი, რომელიც აშკარად გამოხატავდა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებს, ყოველნაირად ცდილობდა იქტას ინსტიტუტის წესების დაცვას. „სიასეთ-ნამეში“ მოტანილი ცნობა<sup>95</sup> აშკარად ადასტურებს, თუ როგორ იცვალა იქტამ სახედროთა ვითარებაში და როგორ გახდა იგი სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი მიზეზი. იქტას შესახებ ნიზამ ალ-მულქის მიერ მოტანილი ცნობის მნიშვნელობას მაშობელი აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაციის საქმეშიც აღნიშნავენ ა. იაკუბოვსკი, ი. პეტრუშევსკი, ბ. ზახოდერი და ვ. გაბაშვილი.

„სიასეთ-ნამეში“ აშკარადაა გამოკვეთილი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში იქტას თავდაპირველი ბუნება: აქ ხაზგასმულია, რომ იქტადარს ხელი არ მიუწვდება მიწაზე დასახლებულ მწარმოებელ საზოგადოებაზე. მას უფლება აქვს მხოლოდ კანონიერი გადასახადები აკრიფოს. ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კანონიერი გადასახადის გარდა იქტას მფლობელს ხელი არ მიუწვდება მოსახლეობის ქონებაზე, მათ სამფლობელოებსა და ცოლ-შვილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ხელჰყოფს გლეხის პირად ქონებას, ოჯახს, მას ჩამოერთვას იქტა და სამაგალითოდ დაისაჯოს. ნიზამ ალ-მულქის მიერ იქტადარების ასეთი საყოველთაო გაფრთხილება ნათლად მეტყველებს ამ უკანასკნელთა თავაშეებულ საქმიანობაზე. აშკარად ჩანს, რომ იქტადარები გადასახადების გარდა უკვე ხელს სდებენ გლეხის მთელს მეურნეობას და მის პირად ოჯახს. ეს კი აჩანავდა ინტენსიურ მეურნეობას; კულტურული მეურნეობის ნაცვლად მეჯოგურ-მომთაბარული მეურნეობა იკიდებდა ფეხს. ეს შესანიშნავად ესმოდა ნიზამ ალ-მულქს, რომელიც თავგამოდებით იცავდა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებსა და ფეოდალურ მეურნეობას, ერთი მხრივ, და დიდ სელჩუკთა ცენტრალიზებული სახელმწიფოს სამხედრო ფეოდალურ ძლიერებას, მეორე მხრივ; ნიზამ ალ-მულქის მიერ იქტას შესახებ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი შენიშნავს, რომ „მართალია ნიზამ ალ-მულქი უარყოფს გლეხთა მიწაზე მიმაგრების იურიდიულ გაფორმებას, მაგრამ საამისო პროცესი მის დროს, უკვე დაწყებული ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ დასჭირდებოდა იმის თქმა, რომ იქტადარს უფლება აქვს აკრიფოს მხოლოდ კანონიერი გადასახადი და რომ მას ხელი არ მიუწვდება გლეხის პიროვნებასა და ქონებაზე. საჭირო არ იქნებოდა აგრეთვე ამ წესის

<sup>95</sup> Спасет-намэ, стр. 34; შდრ. ვ. გაბაშვილი. მაშობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში... კვ. 122.



დარღვევის პასუხისმგებლობის აღნიშვნა სახელმწიფოს წინაშე და დამნაშავის დასჯის მოთხოვნა იპისათვის, რომ სხვებისათვის ეს მაგალითად ყოფილიყო“<sup>96</sup>.

ამრიგად, იქტას ინსტიტუტის ევოლუციამ, მისი ახალი შინაარსით შევსებამ დიდი როლი შეასრულა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციის საქმეში. ღრთა ვითარებაში იქტას გასაკუთრების ტენდენციამ ხელი შეუწყო იპპერიის სხვადასხვა მხარეში ცალკეული პოლიტიკური ერთეულების წარმოშობას. ნიზამ აღ-მულქის დაუღალავმა მეცადინეობამ — შეეზღუდა დეცენტრალისტური ძალები, ნაყოფი ვერ გამოიღო: სახელმწიფოში შეიქმნა მთელი რიგი ახალი სიძნელეები; ნათელი გახდა სელჩუკთა დაპყრობების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ხასიათის შედეგები. „იქტას ფეოდალური ინსტიტუტის საყოველთაოდ გავრცელება, ან ინსტიტუტის ევოლუცია და მის საფუძველზე სამხედრო-ლენური სისტემის ჩამოყალიბება თურქ-სელჩუკების დროს... ამირობებდა მწვავე კლასობრივ ბრძოლას და ნიადაგს უქმნიდა მანობრივ სოციალურ მოძრაობებს როგორც სოფლად, ისე ქალაქებში“<sup>97</sup>. სელჩუკთა მომთაბარე არისტოკრატიის ხარჯზე სწრაფად ძლიერდებოდა ფეოდალური საზოგადოება. მათი ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე ძირითადად იქტას ინსტიტუტს ემყარებოდა, იქტამ ფართო ხასიათი მიიღო მთელს სახელმწიფოში. დიდ სელჩუკი სულთნები იქტას იძლეოდნენ: ფარსში, ქერმანში, სირიაში, ყოქესთანში. ტაბარიკანში, ხორეზმში და მათ მიერ დაპყრობილ სხვა ტერიტორიებზე. სამხედრო ნომადურმა არისტოკრაციამ, რომელმაც იქტა უკვე მემკვიდრეობით მიიღო, მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაცია გააძლიერა. დაპყრობილი ტერიტორიების გლეხობა სელჩუკთა მომთაბარე არისტოკრატიის უშუალო დამოკიდებულებაში აღმოჩნდა. მკვეთრად გაძლიერდა გლეხთა ექსპლოატაცია როგორც სოფლად, ასევე ქალაქად.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა და ბატონობამ მახლობელ აღმოსავლეთში, ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებამ უკიდურესად გააძვირა კლასობრივი წინააღმდეგობანი და საზოგადოების სხვადასხვა ფენები დაპყრობელთა წინააღმდეგ დარაზმეს; ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ისპაილიტთა მოძრაობის განვითარებასა და გავრცელებას.

<sup>96</sup> ე. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში... გვ. 132—133.

<sup>97</sup> ე. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII საუკუნეებში... გვ. 15.

მ. ს ა მ ხ ე დ რ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. დიდ სელჩუკთა უზარმაზარ სახელმწიფოს კარგი დისციპლინის მქონე და ორგანიზებული სამხედრო ძალა სჭირდებოდა. როგორც აღნიშნული იყო, მუდმივი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციისათვის დიდი მეცადინეობა გასწია ნიზამ ალ-მულქმა. ნიზამ ალ-მულქისა და მელიქ-შაჰის მიერ შედგენილი ლაშქარი ხუთი სახეობისა იყო: 1) სასახლის ღოღამები, 2) სახასო ლაშქარი, 3) ღოღამების, ვალიების და სახელმწიფო მოხელეთა მიერ ორგანიზებული ლაშქარი, 4) პროვინციის გამგებელთა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი თურქმენტა ძალები, 5) დამოკიდებული სახელმწიფოების სამხედრო ძალები.

1. სასახლის ღოღამების მოვალეობა იყო სასახლისა და სულთნის დაცვა. ჭარის ეს სახეობა სხვადასხვა ქვეყანაში მოგროვილი ან ნაყიდი სხვადასხვა ეროვნების ღოღამებისაგან შედგებოდა. ლაშქრის ეს სახეობა ძალიან დისციპლინირებული და გამოწრთობილი იყო. მისი რაოდენობა ოთხი ათასი უნდა ყოფილიყო, ამათგან ათასი მუდამ სულთნის უშუალო განკარგულებას ემორჩილებოდა. დანარჩენნი კი სიფაქსალარებისა და ამირების მეთაურობით სასახლეში რჩებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში იქ მსახურობდნენ<sup>98</sup>. კანონით სასახლეში ყოველთვის უნდა ყოფილიყო ორასი კაცი, რომელთაც მუფრიდებს ეძახდნენ. ისინი გარეგნულად განსაკუთრებით კარგი შესახედადნი უნდა ყოფილიყვნენ, მამაცნი, გულადნი და წარმოსადგენიც. ამ ორასი კაციდან აუცილებლად ასი ხორასნელი უნდა ყოფილიყო. ასიც — დეილეშელი<sup>99</sup>. ამ ჭარისკაცთა 50—50-კაციან რაზმებს ნაყიბები მეთაურობდნენ, რომლებმაც ამ ჭარისკაცთა ყოველგვარი წვრილმანი იცოდნენ. ეს ჭარისკაცები ვალდებული იყვნენ ცხენებზე ამხედრებულნი ყოფილიყვნენ სრული შეიარაღებით<sup>100</sup>.

კანონი ითვალისწინებდა აგრეთვე ლამაზად გამოწყობილი ოცე შეიარაღებული ღოღამის მუდმივად ყოფნას ხაზინაში, ხოლო სასახლეში უცხო ელჩების მიღების დროს მათ ევალდებოდათ სულთნის ტახტის გარშემო იარაღსხმული მდგარიყვნენ მორიგეობით<sup>101</sup>. სასახლის ღოღამებს სამსახურის საწაცვლოდ, ლაშქრის სხვა სახეობათა მსგავსად, იჭტა ეძლეოდათ, ხოლო ხაზინიდან სამ თვეში ერთხელ იღებდნენ გასამრჯელოს — ფიშეგანის<sup>102</sup>. ნიზამ ალ-მულქი დიდ ყურადღებას აქცევდა სასახლის კარზე მყოფი ღოღამების მატერიალურ დაკმაყო-

<sup>98</sup> Спассет-намэ, стр. 99.

<sup>99</sup> ი ქ ე ე.

<sup>100</sup> ი ქ ე ე.

<sup>101</sup> ი ქ ე ე. გვ. 100.

<sup>102</sup> ი ქ ე ე. გვ. 106.

ფილებს და მათ ორგანიზაციას; მას კარგად ესმოდა, რომ ღოღამები არ უნდა ყოფილიყვნენ უკმაყოფილონი და მათთვის რეგულარულად უნდა მიეცათ ხელფაი. ნიზამ ალ-მულქს მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ თვითონ სულთანს დაერიგებინა თავისი ხელით ღოღამებისათვის ხელფასი. ამით იგი უფრო შეაყვარებდა მათ თავს და სამსახურის დროს ერთგულებასა და სიმტკიცეს გამოაქვლავებდნენ<sup>103</sup>.

სასახლის ამ მსახურთა გარდა ნიზამ ალ-მულქის გადაწყვეტილებით კიდევ უნდა ყოფილიყო 500-მდე სათადარიგო ღოღამი. ისინი ამირების და სხვა წარჩინებულთა მიერ გამოგზავნილი მძევლებისაგან შედგებოდნენ. ნიზამ ალ-მულქი ამით ორ საქმეს აკეთებდა. ჯერ ერთი, სასახლის მსახურთა რიგებში საიმედო სათადარიგო შემადგენლობა ჰყავდა, ამასთანავე. მათი გამოგზავნილი ამირები ასე ადვილად ვერ ახერხებდნენ აჯანყების მოწყობას და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას.

2) სახასო ლაშქარი. დიდ სელჩუქთა ძირითადი სამხედრო ძალა სახასო ლაშქარი იყო. იგი ისფაჰანის სანახებში იყო დაბანაკებული და მეთაურობდა სალარი, რომელიც უშუალოდ სულთანს ემორჩილებოდა. წყაროების მიხედვით, სახასო ლაშქრის რაოდენობა 46—47 ათასს შეადგენდა, მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ამ ლაშქარში სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები შედიოდნენ. ამას განსაკუთრებით მოითხოვდა ნიზამ ალ-მულქი, რომელსაც საამისოდ წინ დაზნელთა მაგალითი ჰქონდა<sup>104</sup>. სახასო ლაშქარი, რომელიც სიფაჰის სახელსაც ატარებდა, იკტას მფლობელი იყო. მოლაშქრეთა სახელები და იკტას შემოსავალი დივანის დავთრებში იყო გატარებული. ცალკეული ლაშქრის მეთაურად სიფაჰსალარის ტიტულის მატარებელი ამირა ითვლებოდა. ლაშქრისათვის საჭირო ყოველგვარი ორგანიზაციული ჰაკითხები, სურსათ-სანოვაგის, ალაფის მომარაგება დივანი არ ულ-ჯეიშს ევალებოდა. ნიზამ ალ-მულქი საგანგებოდ ვანიხილავს ლაშქრობის დროს ჯარის ალაფით უზრუნველყოფის საკითხს და აღნიშნავს, რომ იგი დროზე უნდა იქნას მიწოდებული და მისი აღება ნაწილ-ნაწილ შეიძლება იმ ტერიტორიების მოსახლეობისაგან, სადაც ლაშქარი გზად გაივლიდა და დაბანაკდებოდა, იქნებოდა ის იკტას საფუძველზე გაცემული, თუ სახელმწიფო საკუთრების სოფელი ან გარეუბანი<sup>105</sup>.

ისედაც წელში გაწყვეტილ და უამრავი გადასახადებით დაბეგრულ მწარმოებელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწევბოდა ახლო-

<sup>103</sup> Снасет-намэ, стр. 157.

<sup>104</sup> ი ქ ვ ე, გვ. 107.

<sup>105</sup> ი ქ ვ ე, გვ. 105.

მახლო რაიონში დაბანაკებული სახასო ლაშქრისთვის ალაფის მიწოდება. ნიზამ ალ-მულჯი საგანგებოდ აღნიშნავდა, როდესაც ლაშქარს აღარ დასჭირდებოდა ალაფის მიწოდება, სოფლის მოსახლეობა მაინც ვალდებული იყო ალაფისთვის განკუთვნილი პროდუქტები გაეყიდა და ფული ხაზინაში შეეტანა, რომ სახელმწიფო საქმეებში დაბრკოლება არ შექმნილიყო<sup>106</sup>.

სახასო ლაშქრის საერთო მეთაურად ოფიციალურად დიდი სულთანი ითვლებოდა, მაგრამ სალაშქროდ ჩვეულებრივ, ცალკეულ ამირებს აგზავნიდა და სახასო ლაშქრიდანაც მხოლოდ ნაწილს ატანდა ამირას რაზმის გასაძლიერებლად. თურქი მეცნიერი ი. ქაფესოღლუ აღნიშნავს, რომ ქართველთა წინააღმდეგ წასული ამირ აჰმედის გასაძლიერებლად გაიგზავნა ამირ ბორსუკი, ამირ ბოზანი და ფახრ ალდაველი<sup>107</sup>. მაგრამ, სამწუხაროდ, ი. ქაფესოღლუ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ეს ლაშქრობა, საამისოდ იგი წყაროსაც არ უთითებს.

ლაშქრის ეს კატეგორია — ფეოდალური ლაშქარი, როგორც აღვნიშნეთ, იკტას საფუძველზე იყო ორგანიზებული და სახელმწიფო ხაზინისაგან ფულს არ იღებდა. მათ ჯამაგირები მიწიდან მიღებული შემოსავლის სახით ეძლეოდათ. მთელი სახელმწიფო ტერიტორია იკტას საფუძველზე იყო გაბოძებული სამხედრო და ადმინისტრაციული სამსახურის სანაცვლოდ. თურქი მეცნიერის დაკვირვებით, იკტას მფლობელ სამხედრო პირს ლაშქრობის დროს უფლება ჰქონდა თავისი გასამრჩელო ახლომასლო ტერიტორიებზე არსებული იკტადან აეღო და არ დალოდებოდა საკუთარი იკტადან შემოსავლის მოსვლას. მაგალითად, იკტას ხორასნელი მფლობელი თუ სირიაში იბრძოდა, იგი ადგილზე მიიღებდა თავის გასამრჩელოს და ხორასნიდან არ დაელოდებოდა ჯამაგირს<sup>108</sup>. ლაშქრობის დროს სულთნის მოწოდებისთანავე იკტას მიწებზე დასახლებული პირები სხვადასხვა ვილაიეთებიდან სახალხო ლაშქარს უერთდებოდნენ და ქმნიდნენ ძლიერ და მრავალრიცხოვან ძალას; ასეთ გაერთიანებებს თავისი პროვინციის სახელი ერქმეოდა; მაგალითად, ასეთი ლაშქარი შეიძლებოდა ყოფილიყო ხორასნის, ფარსისა და სხვა პროვინციების.

3) ლოლამების, მელიქებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეებისაგან იყო ორგანიზებული სელჩუკთა ლაშქრის მესამე სახეობა. ეს ლაშქარიც იკტას საფუძველზე იყო შექმნილი. ვალიებს, მელიქებს, სახელ-

<sup>106</sup> Сиясет-наме, стр. 105.

<sup>107</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

<sup>108</sup> იქვე.

მწიფო მოხელეებს სამსახურის სანაცვლოდ იქტა ჰქონდათ მიცემული. მათ მიერ ორგანიზებული ლაშქარი იქტას პირობებს ითვალისწინებდა. იქტას მფლობელი პირები თავისუფლად აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს. ასევე იყენებდნენ ამ ლაშქარს დიდ სელჩუკი სულთნის წინააღმდეგაც როდესაც ჯანყდებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში დიდ სელჩუკი სულთნის დავალებით ეწეოდნენ ბრძოლებს ახალ-ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. თუ მელიქები და უფლისწულები თავიანთი სამხედრო ძალებით ხშირად ილაშქრებდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, სამაგიეროდ, ასე არ იქცეოდნენ ღოლამთა ვალიები, რომელთაც ასევე იქტას საფუძველზე ჰქონდათ მიწები და ლაშქარი ორგანიზებული.

დამახასიათებელია, რომ ნიზამ ალ-მულქს, რომელიც დიდძალ მიწებს ფლობდა იქტას წესით, ურიცხვი ლაშქარი ჰყავდა. როგორც აღვნიშნეთ, მისი მონათა რიცხვი ოცი ათასამდე აღწევდა. ამიტომაც იყო, რომ ასე გაძლიერებულ დიდვეზირს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვერაფერი მოუხერხა მელიქ-შაჰმა<sup>109</sup>; ნიზამ ალ-მულქს შეეძლო საკუთარი ლაშქარი თავისი სურვილისამებრ გამოეყენებინა. ასევე იყვნენ სხვა, დაბალი რანგის მოხელე ჩინოვნიკები, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში ჰყავდათ გარკვეული რაოდენობის ლაშქარი. ოფიციალურად ისინი ვალდებული იყვნენ სულთნის სამსახურში ყოფილიყვნენ და მისი ნებასურვილის მიხედვით ეწარმოებინათ დაპყრობითი ომები.

4) თურქმენთა ძალები. თურქმენთა ძალებმა უდიდესი როლი შეასრულა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. ჯერ კიდევ XI ს-ის დასაწყისისათვის სელჩუკის მემკვიდრეები, სელჩუკთა სახელმწიფოს ფუძემდებლები, თურქმენთა ცალკეული გაერთიანებების მეთაურები იყვნენ. მაგრამ დროთა ვითარებაში, როდესაც სელჩუკის მემკვიდრეებმა უფრო და უფრო გააძლიერეს დაპყრობები და თავიანთი ბატონობის ქვეშ მოაქციეს მთელი წინა აზია, ირანი, ანატოლიის ნაწილი და მრავალი სხვა ტერიტორია, მათ გაწყვიტეს კავშირი მომთაბარე თურქმენებთან და ბინადარ ცხოვრებაზე იწყეს გადასვლა. მათ ადვილად შეითვისეს სახელმწიფოს მართვა-ორგანიზაციის სასანურ-აბასური ტრადიციები; როგორც აღვნიშნეთ, ირანული სახელმწიფოებრივი ტრადიციების დაუღალავი გამტარებელი ნიზამ ალ-მულქი ყოველნაირად ცდილობდა თურქმენთა ახალ-ახალი ტაღლების შეკავებას და მათ გასახლებას განაპირა ტერიტორიებზე, რადგანაც XI ს-ის ბოლოსათვისაც ვერ მოხერხდა მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანა; თურქმენთა მეჭოგურ-მომთაბარული ტრადიციები საფრთხეს უქმნიდა

<sup>109</sup> ა ბ ბ რ. გვ. 49.

ადგილობრივ კულტურულ მეურნეობას, საქალაქო ცხოვრებასა და ვაჭრობა-ხელოსნობას; მიუხედავად იმისა, რომ თურქმენთა უზარმა-ზარმა მეჯოგე-მომთაბარულმა ტომებმა გადაწყვეტი როლი შეასრულეს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს გაფართოების საქმეში, ისინი მალე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით ირანის ადგილობრივ ფეოდალურ ელემენტებთან ურთიერთობაში, რაც ხშირად იწვევდა მთელ რიგ უკმაყოფილებებსა და წინააღმდეგობებს<sup>110</sup>.

თურქმენთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განმტკიცებაში, თურქმენთა ზედაფენა ყოველნაირად ცდილობს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსთან, რამდენადაც მათთვის აშკარაა, რომ თავის თანამეტომეებზე ბატონობისათვის საჭიროა კლასობრივი ბატონობის ძლიერი აპარატი. თურქმენთა ტომები სელჩუკთა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ქვეშ მოექცნენ; მათ მომთაბარულ ცხოვრებას ნაწილობრივ დაეტყო ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ნიშნები. თურქმენთა შორის გახშირდა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა, მაგრამ ძირითადი მასა მაინც მომთაბარეებად დარჩა. „თურქმენული ტომებიც ისევე იყვნენ დახარკული, როგორც გლეხები და ხელოსნები. ოღუზებს, მაგალითად, ყოველწლიურად 24 000 ცხვარი უნდა მიეცათ სულთნის სამზარეულოსათვის. იშვიათი არ იყო არც ძალადობა მათ მიმართ, მაგრამ არც ღარიბი მომთაბარეები რჩებოდნენ ვალში მჩაგვრელებს“<sup>111</sup>. თურქმენთა შორის ჩქარა დაწინაურდა გარკვეული ფენა, რომელიც გარდაიქმნა ტიპიურ ფეოდალთა კლასად. თურქმენებმა, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხეს ირანელთა გადაქცევა მომთაბარე-მეჯოგეებად და არც ჰქონიათ საამისო სურვილი, რამდენადაც გაძნელებული იყო ურთიერთობა დაპყრობილ ირანელ ადგილობრივ მოსახლეობასა და თურქმენებს შორის; თურქმენი ბეგები დაკმაყოფილდნენ იმით, რომ გაინაწილეს დაპყრობილი ტერიტორიები და გადასახადები შეაწერეს მოსახლეობას. თურქმენთა ძირითადმა მასამ კი მიიღო ტერიტორიების გარკვეული ნაწილი და წინანდებურად განაგრძობდა მომთაბარეობას.

<sup>110</sup> ბოლო ხანებში თურქმენთა ტომების აჯანყებების შესახებ საინტერესო წერილები გამოაქვეყნა თურქმა მეცნიერმა მ. ქოიენმა. იხ. M. A. Köymen, Büyük Selçuklular İmparatorluğunda Oğuz İsyanı; Ankara Üniversitesi Dil ve Tarih Coğrafya Fakültesi dergisi, V, გვ. 159—173; მისივე, Büyük Selçuklu İmparatorluğu Tarihinde Oğuz İstilası; იმავე კრებულში, გვ. 563—620; Z. V. Togan, Türkmencilik meselesi. Umumî Türk Tarihine giriş.

<sup>111</sup> ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, გვ. 128.

ლაზნევიანთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ირანი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით სწრაფად წავიდა წინ. „В завершающемся процессе его феодализации нашли свое место и туркменские вожди, они превратились в феодальных государей, а дань, получаемая ими:— в феодальную ренту“<sup>112</sup>. სელჩუკებმა მტკიცედ გადაწყვიტეს საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი თურქმენთა მომთაბარე ტომებთან, რამდენადაც ეს უკანასკნელნი მათთვის უკვე ხელისშემშლელი იყვნენ სახელმწიფო წყობილების ორგანიზაციისა და კულტურული მეურნეობის წარმართვისათვის. სელჩუკთა მიერ თურქმენებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული თურქმენთა გადმოცემებში, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ სელჩუკები პირველ ხანებში, ვიდრე ისინი სახელმწიფო მეთაურები გახდებოდნენ, როგორ აღიარებდნენ თურქმენთა მემკვიდრეობას. ისინი თავდაპირველად აღნიშნავენ, რომ ეკუთვნიან თურქმენთა ტომს — კინიკის შთამომავლებს, მაგრამ, როდესაც სელჩუკები გახელმწიფდნენ, მათ დაიწყეს მტკიცება, რომ ისინი აფრასიაბის მოდგმისანი არიან<sup>113</sup>.

განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად დაწინაურებულ და სახელმწიფოებრიობის მქონე სელჩუკებს სრულებით არ აწყობდათ ურთიერთობა მომთაბარე თურქმენთა ტომებთან; ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მათ შეზღუდვას და მათთან კავშირის გაწყვეტას. როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. გაბაშვილი, „თურქ-სელჩუკთა გაფეოდალებული ზედა ფენა ადრევე მოსწყდა და გამოეთიშა თანამეტომეთა მასებს, რომელთათვისაც ისევ მომთაბარული ტრადიციები და პატრიარქალური წყობის ძლიერი გადმონაშთები იყო დამახასიათებელი. შემდგომი ფეოდალიზაცია საკირო პირობებს უქმნიდა მომთაბარეთა ძირითადი მასების ფეოდალურ ექსპლოატაციას“<sup>114</sup>.

თურქმენები დიდ სელჩუკი სულთნის მიერ ბეგებისადმი ბოძებული იქტას ტერიტორიებზე განუწყვეტლივ მომთაბარეობენ, იალაღებსა და ყიშღაღებში დახეტიალობენ; ისინი ერთი სასაზღვრო რაიონიდან მეორეში გადადიოდნენ დედაწულიანად. დიდ სელჩუკი სულთ-

<sup>112</sup> А. А. Р о с л я к о в, Очерки военного искусства туркмен X—XII вв., Ашхабад, 1947 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), стр. 91.

<sup>113</sup> А б у - Г а з и - Б а х а д у р - х а н, Родословная туркмен. Перевод А. Туманского, Асхабад, 1897, стр. 61.

<sup>114</sup> ვ. გაბაშვილი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, გვ. 128.

ნების ერთი ყველაზე მწვავე საკითხი მომთაბარე თურქმენული ტომების ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისათვის დამორჩილება იყო.

სელჩუკებს თურქმენები მხოლოდ სასაზღვრო რაიონების დასაცავად, გასამაგრებლად და ტერიტორიის გასაფართოებლად სჭირდებოდათ. თავის დროზე თურქმენთა ძალებმა უდიდესი როლი შეასრულეს სელჩუკთა დაპყრობითი ომების წარმატებით წარმართვაში. ი. ქაფესოღლუს აზრით, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში შემავალი ქვეყნების სამი მეოთხედი თურქმენების მიერ იყო დაპყრობილი<sup>115</sup>. სელჩუკთა შემოსევების დროს ანატოლიაში თურქმენთა 24 სხვადასხვა მონათესავე ტომი დამკვიდრდა. ამ ტომთა გაერთიანების სახელები საგანგებოდ აქვს ჩამოთვლილი თურქ მეცნიერს მ. ინანჩს<sup>116</sup>. მასვე აქვს მოყვანილი წყაროებიდან ციფრები, თუ რამდენი იყვნენ თურქმენები სელჩუკთა მიერ ანატოლიის დაპყრობის დაწყების დროს. ავტორის ვარაუდით მათი რიცხვი 550—600 ათასს შეადგენდა, ხოლო მთელს სახელმწიფოში კი — ერთ მილიონს აღწევდა<sup>117</sup>.

სულთან მელიქ-შაჰის დროს 400 000 მოლაშქრეა რეგისტრირებული „სიასეთ-ნამეში“, რომელთაც სულთანი თავისი მიზნებისათვის იყენებდა. იმპერიაში ასეთი უზარმაზარი ძალების არსებობა მეტად ხელშემწყობი ფაქტორი იყო სელჩუკთა დაპყრობითი პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის წარმატების საქმეში თურქმენთა ძალებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

5) დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სახელმწიფოებიდან გამოყვანილი ლაშქარი. დიდი სულთნის ნება-სურვილით ვასალური ქვეყნების ლაშქარი ბევრჯერ გამოსულა მელიქებისა და თურქმენთა ბელადების დასახმარებლად. ასევე, ვასალური ქვეყნების გამგებლები ვალდებული იყვნენ დაძახებისთანავე სულთნის ლაშქარს შეერთებოდნენ ანდა საპირობების მიხედვით რომელიმე მელიქის, ან ვალის დასახმარებლად გამოსულიყვნენ. მთელი ლაშქრის საერთო მეთაურები ჰიფაჰსალარის, ამირ ალ-უმარას, ამირ-ე სალარის, მოკადდამ ულ-ჯეიმის, სარჰანგის, ნაყიბის და სხვათა ტიტულებს ატარებდნენ<sup>118</sup>.

<sup>115</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

<sup>116</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 173—174.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 175—176.

<sup>118</sup> I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 163.



დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ტერიტორიების გაფართოების და პოლატიკური სიძლიერის ძირითადი საფუძველი სამხედრო ორგანიზაცია იყო. სახელმწიფოს სიმტკიცე დამოკიდებული იყო ძლიერი სამხედრო ძალების ორგანიზაციაზე, მის სიმრავლეზე. ამიტომაც იყო, რომ ნიზამ ალ-მულქი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას და უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა მტკიცე, რეგულარული ლაშქრის შესაქმნელად.

## თ ა ვ ი IV

### სელჩუკთა პირველი ლაშქრობები ანატოლიასა და ამიერკავკასიაში

XI საუკუნის 30-იან წლებში თოდრულ-ბეგთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, სხვა სელჩუკი უფლისწულებიც აწარმოებდნენ ლაშქრობებს სხვადასხვა მიმართულებით. თითოეულ უფლისწულს გამოყოფილი ჰქონდა დასაპყრობი ობიექტი. ჩალრი-ბეგი დასავლეთით აწყობდა დაპყრობით ლაშქრობებს. მან მარბიელი ლაშქრობის ასპარეზად აღმოსავლეთი ანატოლია აირჩია. მან გაითვალისწინა თავისი მეზობლების, განსაკუთრებით, ალი თეგინის სიძლიერე, ამიტომ მოერიდა მასთან ურთიერთობის გამწვავებას და არჩია მარბიელი ხასიათის შორეული ლაშქრობები მოეწყო ბიზანტიის მიმართულებით. ამ დროს მისი ძმა თოდრულ-ბეგი აღმოსავლეთის ველებში მოქმედებდა. თურქი ისტორიკოსის ქაფესოღლუს აზრით, ჩალრი-ბეგმა 1016 წელს 30 000 ჯარისკაცით აღმოსავლეთ ანატოლიის გზა დაიჭირა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> I. Kafesoğlu, Doğu Anadolu'da ilk Selçuklu akını (1015—1021 ve tarihi ehemiyeti. 60 doğum yılı münasebetiyle Fuad Köprülü Armağan. İstanbul, 1953, გვ. 263. ქაფესოღლუს მოსაზრება ჩალრი-ბეგის 1016 წელს ანატოლიისაკენ გალაშქრების შესახებ გაკრიტიკებულ იქნა საბჭოთა მეცნიერების მიერ. იხ. С. Г. Агаджанов и К. Н. Юзбашян, К истории тюркских набегов на Армению в XI в., «Палестинский сборник», вып. 13(76), 1965, стр. 145—158. უფრო ადრე ი. ქაფესოღლუ ამიერკავკასიისა და ანატოლიაში სელჩუკთა პირველი ლაშქრობის თარიღთან დაკავშირებით გააკრიტიკა მისმა თანამემამულემ მ. ქოიმენმა (M. A. Köymen, Büyük Selçuklu İmparatoru Melikşah devrinde dair bir eser münasebetiyle. Belleten, Ankara, 1953, cilt XVII, sayı 68) გვ. 557—601); და ფრანგმა ორიენტალისტმა კლოდ კაენმა (Cl. Cahen, A propos de quelques articles du Köprülü Armağanı, Journal Asiatique, t. CCXLII, 1954, გვ. 275—279). ი. ქაფესოღლუმ ჩალრი-ბეგის 1016 წელს ანატოლიასა და ამიერკავკასიისაკენ გალაშქრების საკითხი უფრო გააღრმავა და მათე ურპაელისა და ვარდანის ცნობების საფუძველზე დაასაბუთა თავის სხვა ნაშრომში (Sultan Melikşah devrinde Büyük Selçuklu İmparatorluğu. İstanbul, 1953, გვ. 2—3).

ჩალრი-ბეგმა სასწრაფოდ გაიარა ხორასანი და ერაყში შევიდა. იქ ძალები შეიერთა და აზერბაიჯანისაკენ აიღო კურსი. იმ დროს, როდესაც ჩალრი-ბეგი ანატოლიისაკენ დაიძრა, ამიერკავკასიაში ბიზანტია თავის აღმოსავლეთის პოლიტიკას დაბეჯითებით ატარებდა. ამიერკავკასიაში ბიზანტიელთა თავდაცვითი ძალების სისუსტე, სომეხ-ბიზანტიელთა წინააღმდეგობა, ქართველთა და ბიზანტიელთა ბრძოლები და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არარსებობა ჩალრი-ბეგის მარბიელ ლაშქარს საშუალებას აძლევდა მიეღწია მიზნისათვის. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში არაბები უკვე დასუსტებული იყვნენ და მათ თითქმის დაცლილი ჰქონდათ ასპარეზი. ბიზანტიის კეისარი ცდილობდა აქ არაბებს აღგილი დაეჭირა, მაგრამ მის წინ ახალი დაბრკოლება იქმნებოდა. „ამიერკავკასიაში საქართველოსა და სომხეთის დიდი პოლიტიკური ერთეულები ყალიბდებოდნენ და ბიზანტიას უკვე ამათ დამორჩილებზედაც უნდა ეზრუნა. ბუნებრივი იყო, რომ ეს ძველი დამპყრობელი საქართველოს, ისევე როგორც სომხეთის, გაერთიანება-გაძლიერებას მხარს არ უჭერდა და ამის წინააღმდეგ, რაც გაეწყობოდა, იბრძოდა“<sup>2</sup>.

საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება საგონებელში აგდებდა არაბთა დარჩენილ ნაშთებს ამიერკავკასიაში; საქართველო-სომხეთის გაერთიანება მათ გაქრობას მოასწავებდა. ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდში განძის ამირა ფადლონი მტრულ ურთიერთობაში იყო გაერთიანების გზაზე შემდგარ საქართველო-სომხეთთან. „როცა მეფემ ჰერეთ-კახეთი დანარჩენ საქართველოს შეუერთა, განძის ამირამ ეს თავისთვის უშუალო საფრთხედ მიიჩნია და საპასუხოდ ჰერეთ-კახეთის განაპირა კუთხეების ბოლომოუღებელი აოხრება წამოიწყო“<sup>3</sup>.

ამ დროს ბაგრატ III გაგიკ სომეხთა მეფის ლაშქართან ერთად განძის საამირო დაარბია და შამქორს შემოართყა ალყა; ფადლონი აიძულა ყმანდაფიცობის პირობაზე ზავი ეთხოვა; ბაგრატმა ფადლონს ყოველწლიური ხარაჯის გადახდა დააკისრა და საჭიროების შემთხვევაში დაავალა ლაშქრობა ქართველთა სასარგებლოდ. „როცა ბაგრატ მეფე გარდაიცვალა (1014 წ.), საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. თბილისი და მისი ოლქი ისევ არაბ ამირას ხელში რჩებოდა. არც დიდი აზნაურები შერიგდებოდნენ თავიანთ ბედს, ეს რეაქციონერები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და ძველი მდგომარეობის აღდგენაზე ოცნებობდნენ“<sup>4</sup>.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 134.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>4</sup> იქვე.

სწორედ ასეთ ვითარებაში ილაშქრა ჩაღრი-ბეგმა აღმოსავლეთ ანატოლიაში<sup>5</sup>. ამ მარბიელი ლაშქრობის ტალღა ამიერკავკასიის ქვეყნებსაც მისწვდა, უპირატესად სომხეთს და აზერბაიჯანს, ჩაღრი-ბეგის ლაშქარი ხორასანზე გავლით ჯერ აზერბაიჯანში შევიდა, იქიდან ვანის ტბის გარშემო მდებარე ვასპურაკანის სომხური სამეფოს ტერიტორიაზე შეიჭრა. ჩაღრი-ბეგის სომხეთში შემოჭრის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სომეხი ისტორიკოსები არისტარქე ლასტივერტელი, მათე ურპაელი, ვარდანი და სხვ. არისტარქე ლასტივერტელი ჩაღრი-ბეგის ლაშქარს „თურქესტანიდან მოსულ მომთაბარებელად“ მიიჩნევს. ვარდანის მიხედვით კი სელჩუკები ირანელები ან არაბები არიან. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ჩაღრი-ბეგის ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის თარიღის შესახებ. ზოგიერთის მოსაზრებით ჩაღრი-ბეგის ლაშქარი შედგებოდა დეილემელი და თურქი მოჯანყებისაგან.

სომხურ წყაროებში ერთმანეთშია არეული ჩაღრი-ბეგისა და თორღულ-ბეგის ლაშქრობები და ამიტომ დასავლეთში გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში<sup>6</sup> აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში სომხეთს თავს ესხმოდა თორღულ-ბეგი და არა ჩაღრი-ბეგი. ეს შეცდომა აღმოსავლური წყაროების ანალიზის საფუძველზე გაასწორა პაილი ინანჩმა<sup>7</sup>.

სომხური წყაროების ცნობით, სელჩუკები სწრაფმავალ ცხენებზე ისხდნენ და მათი გარეგნული სახე, გრძელი თმები და მოკაზმულობა აშფოთებდა ვასპურაკანის მოსახლეობას; ისინი ცხენდაცხენ იბრძოდნენ და გრძელი შუბებით და ისრებით დიდ ზიანს აყენებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას<sup>8</sup>. მათე ურპაელისა და არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, სელჩუკთა ბრძოლის ტაქტიკის გამო ადგილობრივი ლაშქარი გასაოცარ დაბნეულობას იჩენდა<sup>9</sup>.

სელჩუკებმა ვასპურაკანის სამეფოში გააძლიერეს გამანადგურებელი თარეში და რუმთენიკის მიმართულელებით დაწინაურდნენ. სო-

<sup>5</sup> ჩაღრი-ბეგის დასავლეთში ლაშქრობის ამბებს ვრცლად გადმოგვცემს ქოიშენი. *op. M. A. Köymen, Büyük Selçuklu İmparatorluğunun Kuruluşu*, გვ. 170—178.

<sup>6</sup> F. Macher, *Armenia, The Cambridge medieval history*, IV, 1936, გვ. 164.

<sup>7</sup> M. H. Yinanç, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 35—36; *İslâm Ansiklopedisi*, c. III, cüz 24.

<sup>8</sup> Laurent, *Byzance et les Turcs Seldjoudides dans l'Asie Mineure, leurs traites anterieurs á Alexis Comnene, Byzantin*, II. Athées, 1911, გვ. 116.

<sup>9</sup> M. Brosset, *Thomas Ardzouni, Continuation Collection d'historiens arméniens*, I, St.-Petersbourg, 1874), გვ. 246; E. Dulaurier, *Chronique de Matthieu d'Edesse*, Paris, 1856, გვ. 41.

მცხთა მეფემ სენეპერიმმა თავის მხედართმთავარს შაბუჰს დაავალა სელჩუკთა განდევნა და მას თავისი უფროსი შვილი დავითი დაუნიშნა დამხმარედ. შაბუჰმა დავითთან და ვასპურაკანის წარჩინებულებთან ერთად შეკრიბა ძალები და თურქმენების წინააღმდეგ სასწრაფოდ გაილაშქრა. მათე ურჰაელის ცნობით, სომეხთა ძალებმა პირველი შეტევისთანავე დიდი მარცხი განიცადეს. მეწინავე ლაშქარში იყო უფლისწული დავითიც, რომელმაც ბრძოლის დაწყებისთანავე, მართალია, უკუაქცია სელჩუკთა ძალები, მაგრამ ბოლოს ტყვედ ჩავარდნის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და შაბუჰის დახმარებით მოახერხა გაქცევა. ამ ძნელ ბრძოლაში სომეხები დამარცხდნენ<sup>10</sup>.

ამ გამარჯვების შემდეგ ჩალრი-ბეგს დაბრკოლებები შეექმნა რუმთენიკის რაიონში, იქ მან დიდძალი ნადავლიც ჩაიგდო ხელთ. როგორც არწრუნი გადმოგვცემს, ვანის ციხის მსგავსი ბევრი ადგილი დაიპყრო და ვასპურაკანის სამეფოს დასავლეთი ნაწილის გამგებელი გახდა<sup>11</sup>.

გამარჯვების შემდეგ სელჩუკები ჩრდილოეთით, შედადიანთა ტერიტორიაზე შევიდნენ და ნახჭევანის რაიონში მოხვდნენ. ინანჩის გამოკვლევით, სელჩუკებმა, როგორც კი ნახჭევანთან აღმოჩნდნენ 1018—1021 წლებში, დაიწყეს ქართველთა ქვეყნის ძარცვა. სელჩუკთა წინააღმდეგ გამოსულა ლიპარიტი 5000 მებრძოლით, მაგრამ ძალები არ ეყო, ვერ გაუმკლავდა მათ და გაიქცა, ხოლო მთელი ტერიტორია გასანადგურებლად სელჩუკებს დაუტოვა<sup>12</sup>. თურქი მეცნიერის მსჯელობა ამ შემთხვევაში სომხურ წყაროებს ემყარება.

ვარდანის ცნობით, „სელჩუკები მოვიდნენ 1021 წელს. მათ თორულ-ბეგი მეთაურობდა. ნახჭევანთან მათ ხუთი ათასი ჯარისკაცით შეხვდა ლიპარიტი; როდესაც სელჩუკები მივიდნენ ღვიწში და მოსახლეობის განადგურება დაიწყეს, მათ შესახვედრად გამოვიდა ვასაკი და სასწაულები ჩაიდინა“<sup>13</sup>.

სომეხი ისტორიკოსის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ავტორი ერთმანეთში ურევს თორულ-ბეგსა და ჩალრი-ბეგს. სინამდვილეში ამ პერიოდში თორულ-ბეგს ამიერკავკასიასა და ანატოლიის მიმართულებით

<sup>10</sup> Chronique de Matthieu, გვ. 41 და გვ. 392, შენიშვნა 1—2.

<sup>11</sup> არწრუნი, დასახ. ნაშრ., გვ. 246—247.

<sup>12</sup> M. H. Y i n a n ç, დასახ. ნაშრ., 1, გვ. 36; M. A. K ö y m e n, Selçuklu Devri Türk Tarihi, 1963, Ankara, გვ. 33; ამ პერიოდში სელჩუკთა მიერ ქართველთა ქვეყნის ძარცვის შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება, რაც ადასტურებს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიაში სელჩუკთა ლაშქრობები არ ყოფილა.

<sup>13</sup> В а р д а н В е л и к и й, Всеобщая история, М., 1861, стр. 122.

არ ულაშქრია. ის დაკავებული იყო ლაშქრობებით აღმოსავლეთში და ამ მხარისკენ მარბიელი ლაშქრის მეთაურად მან ჩალრი-ბეგი დანიშნა, რომელსაც ნადავლის ხელში ჩაგდების გარდა ამ მხარეში დაზვერვითი ექსპედიციების ჩატარება ევალებოდა, რათა შემდეგში უფრო საფუძვლიანი და დიდი მასშტაბის ლაშქრობები მოეწყო. ასეც მოხდა; მაგრამ სომხური წყაროების ცნობა 1018—21 წლებში სელჩუკთა ამიერკავკასიასა და საქართველოში ლაშქრობის შესახებ სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ჩვენ უფრო სარწმუნოდ და დამაჯერებლად მიგვაჩნია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სელჩუკთა პირველი ლაშქრობები ამიერკავკასიის ქვეყნებში უნდა მომხდარიყო 1032—34 წლებში, და არა 1018—21 წლებში, როგორც ეს თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული. თურქ მეცნიერთა მოსაზრების შეცდომის სათავე სომხური წყაროების ანაქრონიზმიდან მომდინარეობს.

ამიერკავკასიაში პირველი ლაშქრობის დროს სელჩუკები დვინს აპყენენ უფრო ჩრდილოეთით, ნიკის რაიონში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა დაატყვევეს და ეკლესიები დაანგრეს. ჩალრი-ბეგმა აქაც მძიმე ომი გადიხზა. ნიკის რაიონში ბეჯნის ციხის მეთაურმა სომეხთა მხედართმთავარმა ვასაკ ფაქლავუნმა ყველგან დაგზავნა ცნობა იმის შესახებ, რომ ქრისტიანებს სელჩუკები ავიწროებენ, მონასტრები გაანადგურეს და მოუწოდებდა წინააღმდეგობის გასაწევად. ვასაკს თავის ლაშქარში 5 000-მდე მხედარი და ქვეითი ჰყავდა. ვარდანი ვრცლად აგვიწერს ამ ბრძოლას<sup>14</sup>; მის მიხედვით სელჩუკებმა სომეხები დახოცეს და დაფანტეს; ვასაკი თავისი ძალების ნაწილით გაიქცა და, როდესაც სერგევილის სახელწოდების რაიონში დაბანაკებული ისვენებდა, სელჩუკები დაეწივნენ და მოკლეს. ჩალრი-ბეგმა ამ გამარჯვების შემდეგ აქაც განაგრძო ქვეყნის ძარცვა და დიდძალი ქონება ჩაიგდო ხელში. სომეხთა და ქართველთა ქვეყნებში ერთ ხანს ყოფნის შემდეგ იგი მავერანნაჰრში, თოღრულ-ბეგთან დაბრუნდა<sup>15</sup>.

ჭერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩალრი-ბეგი სალაშქროდ მოდიოდა ამიერკავკასიაში, არსლან ჯაზიბს დაზნელთა სულთნისაგან ნაბრძანები ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გზა არ მიეცა ჩალრი-ბეგისათვის და მისი ლაშქარი გაენადგურებინა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა; არსლან ჯაზიბმა ჩალრი-ბეგს ვერც უკან დაბრუნებისას მოუხერხა ვერაფერი და მან მშვიდობიანად მიაღწია თოღრულ-ბეგთან.

<sup>14</sup> ვ ა რ დ ა ნ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 173.

<sup>15</sup> İslâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 358.

ჩაღრი-ბეგის ამიერკავკასიაში ლაშქრობის თარიღი წყაროებში სხვადასხვანაირადაა დასახელებული. მათე ურჰაელის მიხედვით ჩაღრი-ბეგს უნდა ელაშქრა 1018—1019 წლებში. არწრუნის მიხედვით კი — 1021 წლამდე. სამუელ ანელს აღნიშნული აქვს 1016 წელი. არის-ტარქე ლატივერტელი საერთოდ არ ეხება მას.

ზემოთ მოტანილი ცნობების მიხედვით ჩაღრი-ბეგის ამიერკავკასიაში ლაშქრობის თარიღი დაახლოებით 1016—1021 წლებში ჩანს სავარაუდებელი, მაგრამ როგორც აღნიშნული იყო, ამ ბოლო ხანებში სომხური დოკუმენტური და ნარატიული, აღმოსავლური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის საგანგებო შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე ს. ალაჯანოვმა და კ. იუზბაშიანმა დააზუსტეს სომხეთსა და მთელს ამიერკავკასიაში სელჩუკთა პირველი ლაშქრობის თარიღი<sup>16</sup>. მათი მტკიცებით, 1016—1021 წლებში სომხეთში შემოჭრილი თურქთა ტომები არ ექვემდებარებოდნენ სელჩუკებს. ისინი სულ სხვა ტომები იყვნენ, რომელთა შესახებ ცნობები დაცულია სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში. ეს თურქული ტომები ჯერ კიდევ X ს-ის II ნახევრიდან იყვნენ ჩამოსახლებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და სწორედ ისინი დაესხნენ სომხეთს. მათი მტკიცებით, სინამდვილეში სელჩუკთა პირველ ლაშქრობას ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა XI ს-ის 30-იან წლებში, კერძოდ, 1032—34 წლებში.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, როდესაც ჩაღრი-ბეგი მავერანნაჰრიდან გამოვიდა, მის განკარგულებაში 3 000 ცხენოსანი იყო, მაგრამ მას ხორასანში შეუერთდნენ მნიშვნელოვანი ძალები. ამას გარდა, მან სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ მუსლიმანური საამიროებიდან, კერძოდ, შედადიანთაგან მიიღო გარკვეული დახმარება. როგორც „მალიქ-ნამეშია“ აღნიშნული, ჩაღრი-ბეგმა ამიერკავკასიაში მცხოვრებ მუსლიმანებს მოუწოდა ქრისტიანების წინააღმდეგ. ამან თავისი შედეგი გამოიღო და ჩაღრი-ბეგის ძალები მნიშვნელოვნად გააძლიერა. ჩაღრი-ბეგის მიერ ამიერკავკასიაში 3 000 ჯარისკაცით წამოსვლა საეჭვო ჩანს; ეს რიცხვი ძალიან მცირეა და ჯარის ამ რაოდენობით ჩაღრი-ბეგს გაუჭირდებოდა ამიერკავკასიაში მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების განხორციელება. უფრო სარწმუნო უნდა იყოს მირზონდის ცნობა, რომ მას 30 000 ჯარისკაცი ჰყავდა. ამას გარდა მას შეუერთდნენ კიდევ თურქმენთა ტომები რუმის საზღვარზე<sup>17</sup>.

ჩაღრი-ბეგის ამიერკავკასიაში ლაშქრობა უფრო დაზვერვით ხანიათს ატარებდა; იგი ამ ლაშქრობის დროს სწავლობდა ქვეყნის ეკო-

<sup>16</sup> С. Г. Агаджанов и К. Н. Юзбашян, К истории тюркских набегов на Армению в XI в., стр. 144—145.

<sup>17</sup> М И Т, I, стр. 453.

ნომიურ მდგომარეობას, სახელმწიფოთა პოლიტიკურ ვითარებას. ამ მარბიელი ხასიათის ლაშქრობით ეცნობოდა ქვეყანას და უფრო ფართო ხასიათის ექსპედიციებისათვის ამზადებდა პირობებს. როდესაც ჩაღრი-ბეგი დაბრუნდა მავერანნაპრში, თავის ძმას თოღრულ-ბეგს აქეზებდა ამიერკავკასიაზე ხელახალი ლაშქრობისათვის. ჩაღრი-ბეგი ითვალისწინებდა სელჩუკთა არც თუ ისე კარგ პირობებს შუა აზიაში, მათ მტრულ და დაქვემდებარებულ დამოკიდებულებას მეზობლებთან და ამავე დროს თავიანთთვის ხელსაყრელ პირობებს ამიერკავკასიაში ხელახალი ლაშქრობისა და გაბატონებისათვის, და თავის ძმას თოღრულ-ბეგს მოახსენებდა, რომ „აქ ორი დიდი ვალი ბატონობს... ჩვენ მარტო მათი სამართლით ვერ ვივლით, რადგანაც აღმოვაჩინე, რომ ხორასნისა და არმენიისაკენ შეეძლებოდა წასვლას. რადგანაც იქ ადგილობრივთა შორის ისეთი ვინმე არ არის, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა შეეძლოს“<sup>18</sup>.

ჩაღრი-ბეგის ამ სიტყვიდან ჩანს, რომ მან კარგად შეისწავლა ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების მდგომარეობა, ყოფაცხოვრების პირობები, გაითვალისწინა აგრეთვე სელჩუკთა მდგომარეობაც მავერანნაპრის ტერიტორიაზე და დასახა შემდეგი ლაშქრობების გეგმები, როგორც ამიერკავკასიაში, ისე მცირე აზიის მიმართულებითაც. თოღრულ-ბეგმა შეისმინა ჩაღრი-ბეგის სიტყვები; მათ მდინარე ჭეიჭუნი გადალახეს და ქალაქ დამლანის წინააღმდეგ გაილაშქრეს, შემდეგ ქალაქები სემნანი და რეი აიღეს, მოსახლეობა დახოცეს, ქალაქები დაანგრეს, ნადავლი აიღეს, გადასახადები დააყისრეს და უკან გაბრუნდნენ<sup>19</sup>.

ჩაღრი-ბეგის ამიერკავკასიაში დაზვერვითი ლაშქრობის შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ მალე სელჩუკები ისევ დაბრუნდნენ ამიერკავკასიაში. იბნ ალ-ასირის ცნობით, XI ს-ის 30-იან წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ოღუზთა ტომები მომძლავრდა. ოღუზთა ამ ტომებს მეთაურობდნენ ბულა, გოქთაში, მანსური და დანა. ისინი მარალაში გადავიდნენ, ქალაქში შევიდნენ და გაანადგურეს<sup>20</sup>. როდესაც ოღუზებმა დაინახეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აღსდგა მათ წინააღმდეგ, ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი ნაწილი, რომლის მეთაური ბულა იყო, რეიში მყოფ ოღუზებთან წავიდა. მანსურისა და გოქთაშის მორჩილებაში მყოფმა ოღუზებმა ჰამადანი გარემოიცივეს<sup>21</sup>. იბნ ალ-ასირი იქვე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ურმიაში იყო ოღუზთა ერთი

<sup>18</sup> ბ ა რ ჯ ე ბ რ ა ი, I, გვ. 293.

<sup>19</sup> ი ქ ე ე, გვ. 294.

<sup>20</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი (ბონდარის მიხედვით), გვ. XLII.

<sup>21</sup> ი ქ ე ე, გვ. XLIII.



ტომი. რომელმაც სომხეთში გაილაშქრა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლა აწარმოვა, ბევრი ხალხი დახოცა, დაატყვევა და ნადავლი ხელთ იგდო. შემდეგ ოღუზები ურმიასა და აბულ-ჰეიჯანის გამგებლობაში არსებულ ოლქებში დაბრუნდნენ. როცა გაიგეს, რომ ადგილობრივ ქურთებს ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ ოღუზებთან, მათთან ბრძოლა აწარმოეს, ბევრი დახოცეს და ამ მხარის სოფლები გაანადგურეს<sup>22</sup>.

იბნ ალ-ასირის ზემოთ მოტანილ ცნობებს ადასტურებს მუნეჯიმ-ბაში, რომელიც გადმოგვცემს, რომ 420 წელს (1029) სელჩუკები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შევიდნენ, ბევრი რაიონი გაანადგურეს და დაანგრეს. ამ მხარეში მათ თურქთა ლაშქარს უწოდებენ<sup>23</sup>.

მათე ურჰაელის ცნობით, 1035/6 წელს სელჩუკებმა ურფასკენ გამოილაშქრეს, გზად მთელი მოსახლეობა გაანადგურეს და დატყვევებული ქრისტიანები წაიყვანეს. ბიზანტიელთა ლაშქარი იმპერატორ ჰიხელიის ძმის მეთაურობით მალათიამდე მოვიდა, მაგრამ ვერ გაბედა სელჩუკებთან შებმა. სელჩუკები უკან დაბრუნდნენ, როგორც კი გაიგეს მათი მოსვლა, მაგრამ სელჩუკები ჩქარა ისევ გამოჩნდნენ და ქრისტიანი მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს<sup>24</sup>.

იბნ ალ-ასირის და მუნეჯიმ-ბაშის ცნობას იმის შესახებ, რომ სელჩუკებმა XI ს-ის 30-იან წლებში ამიერკავკასიის ქვეყნებში ილაშქრეს და ადგილობრივი მოსახლეობა გაანადგურეს, ადასტურებს ერთი ქართული დოკუმენტური წყარო, რომლის მიხედვით, 1029 წელს ბაგრატ მეოთხეს სელჩუკთა წინააღმდეგ გაულაშქრია. ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს შემონახული ცნობები ამ პერიოდში საქართველოში სელჩუკთა ლაშქრობის შესახებ, მაგრამ წყაროების მონაცემების მიხედვით, თურქთა ტომების გამუდმებული თარეში სომხეთსა და აზერბაიჯანში არ შეიძლებოდა თავისებურად, უარყოფითად არ ასახულიყო საქართველოს სინამდვილეში. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროს ცნობით, 1029 წელს „აბა ბგ<sup>რ</sup>ატ (ბაგრატ) კულაპალატი სულტანსა დაესხა“<sup>25</sup>. როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში ბაგრატ IV აქტიურ მონაწილეობას იღებს თურქული ტომების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში სომხეთსა და აზერბაიჯანში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, ცნობა იმის შესახებ, რომ ბაგრატ მეფე 1029 წლისათვის კუ-

<sup>22</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი (ზონდარის მიხედვით), გვ. XLIII.

<sup>23</sup> მ უ ნ ე ჯ ი მ - ბ ა შ ი, გვ. 222.

<sup>24</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 58—59.

<sup>25</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, გვ. 169.

როპალატია, საეკეო ჩანს. ბაგრატი მეფის კუროპალატობის საკითხს აბათილებს იგივე წყარო, რომლის მიხედვით 1030 წლით დათარიღებული წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნის წარწერის პირი შემდეგნაირად იკითხება: „დაიწერა წმინდა ეს წიგნი... ქ ა რ თ ლ ს ა მ თ ა ე რ ო ბ ა ს ა ბ ა გ რ ა ტ - ყ რ მ ი ს ა ს ა , კ რ ო მ ს ა კ ა კ ო ბ ა ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ა“<sup>26</sup>.

ამგვარად, 1030 წლისათვის ბაგრატი მოხსენიებულია ყრმად და არა კუროპალატად; ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ბაგრატის ყრმად მოხსენიება, ვიდრე კუროპალატად. ახლად გამეფებულ სრულიად ახალგაზრდა 12—14 წლის ბაგრატს ბიზანტიის კეისარი კუროპალატობას არ მისცემდა. ამიტომ, 1029 წელს ბაგრატ კუროპალატის სულთანზე თავდასხმა ნაადრევი ჩანს. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სელჩუკებმა ამიერკავკასიაში ილაშქრეს 1032—34 წლებში. ჩვენის აზრით, ბაგრატის 1029 წლით დათარიღებული ლაშქრობა სულთანის წინააღმდეგ უფრო გვიანდელი ამბავი უნდა იყოს, არა უადრეს 1032—34 წლებისა. გამორიცხული არ არის, რომ სელჩუკთა ძალები ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩენილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს საზღვრებზე სელჩუკთა მომძლავრება ფაქტია, რამაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეფე ბაგრატ IV აიძულა თავს დასხმოდა სელჩუკებს და განედევნა ისინი საქართველოს სამეფოს მოსაზღვრე რაიონებიდან.

ბარ ჰებრაის ცნობით, 1037 წელს „ოღუზებმა არმენიის წინააღმდეგ გაილაშქრეს, იქ მცხოვრები ქურთები და არაბები ხმლით აკუწეს და დიდი ნადავლი აიღეს. აქედან აზერბაიჯანის ქალაქ ურმიისაკენ გაემართნენ. ქვეყანა დაანგრეს... სომხეთის გამგებლმა ვათაფის შვილი ხედავდა, რომ ორ მტერს შორის — ბიზანტიელებსა და თურქებს შორის იყო ჩავარდნილი, ამიტომ ბიზანტიელებთან ზავი დადო“<sup>27</sup>. მისივე ცნობით, სელჩუკთა სომხეთში გალაშქრებას დაემთხვა მათ მიერ მარალას აღება და ადგილობრივი მოსახლეობის განადგურება. მაგრამ „მათ წინააღმდეგ მთელი ქურთები შეიკრიბნენ და ოღუზები დაამარცხეს. [ისინი] აზერბაიჯანიდან გავიდნენ და ხორასანში დაბრუნდნენ“<sup>28</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობებიდანაც აშკარად ჩანს ოღუზთა ტომების გაძლიერება სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ამ ფაქტს არ

<sup>26</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოკეპული თ. ჟორდანიას მიერ I, ტფილისი, 1892, გვ. 169.

<sup>27</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 295—6.

<sup>28</sup> ი კ ე ვ.

შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საქართველოს შინაგან ვითარებაზე. სომხეთსა და აზერბაიჯანში სელჩუკთა მიერ ჩადენილმა საშინელებებმა საქართველო მოსალოდნელი რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. ადვილი შესაძლებელი იყო ოღუზთა ტომების შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. მათე ურჰაელის ცნობით, 1036/7 წელს სომეხი სასულიერო პირი ჰოვანესი თავისი ქვეყნის წარჩინებულებს ვრცელი სიტყვით მიმართავდა, სადაც ახასიათებდა სელჩუკთა შემოსევების შედეგად სომხეთში შექმნილ მძიმე ვითარებას და აფრთხილებდა მომავალში მათი მოსალოდნელი ინტენსიური თავდასხმების შესახებ; იგი რეალურად ხედავდა სელჩუკთა თავდასხმების გამო კარს მომდგარ საფრთხეს და ხალხს მოუწოდებდა ქვეყნის გადასარჩენად ღონისძიების მიღებას<sup>29</sup>.

ამავე წყაროს ცნობით, ამ პერიოდში სომეხთა წარჩინებულმა ქანდზიმ ლაშქარი შეკრიბა და სელჩუკებს ხელიდან გამოგლიჯა ქალაქი ბერქრი<sup>30</sup>.

სწორედ ამ პერიოდს ეხება იბნ ალ-ასირის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით ბაგრატ IV თბილისის აღებაში ხელი შეუშალა სელჩუკების ლაშქრობამ სომხეთსა და აზერბაიჯანში. იბნ ალ-ასირი აღნიშნავს: 1037/8 წ. „აფხაზთა მეფემ თბილისი გარემოიკვა. რადგანაც თბილისის მოსახლეობა არ დანებდა, გარემოიკვა გააძლიერეს და გააგრძელეს... თბილისის მოსახლეობამ აზერბაიჯანში კაცი გაგზავნა და მუსლიმანები დასახმარებლად მოიწვია... ქართველებს მათი შეეშინდათ, როგორც კი გაიგეს. რომ ოღუზები აზერბაიჯანს მოუახლოვდნენ და შეიტყვეს რა ჩაიღინეს მათ სომხებთან, ისინი თბილისიდან აიყარნენ და წავიდნენ“<sup>31</sup>.

ჩაღრი-ბეგის ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემდეგ სელჩუკები სისტემატურად აწუხებდნენ ლაშქრობებს მცირე აზიის მიმართულებითაც; მთელ მახლობელ აღმოსავლეთში თანდათანობით ხდებოდა თურქული ეთნიკური ელემენტის მომრავლება.

როგორც ცნობილია, მათ დაპყრობის თავისებური მეთოდები ჰქონდათ. ისინი მთელი ოჯახებით, გადმოსახლებით მოდიოდნენ.

ჩაღრი-ბეგის პირველ ლაშქრობებს ამიერკავკასიაში მაინც დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა; ეს იყო ერთგვარი წინასწარი სამზადისი ანატოლიის მომავალი დიდი დაპყრობითი ომებისათვის, რომლებიც 1071 წლიდან, მანასკერტთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ინტენსიურად დაიწყო. მანამდე სელჩუკები ანატოლიასა და ამიერკავკასიაში

<sup>29</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 63—64.

<sup>30</sup> ი ქ ვ ე, გვ. 65.

<sup>31</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი (ბონდარის მიხედვით), გვ. L.; M. H. Yinanc, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

თანდათანობით მოდიოდნენ; ადგილი ჰქონდა სელჩუკ უფლისწულთა მთელ რიგ ცალკეულ ლაშქრობებს.

ი. ქაფესოღლუ ჩალრი-ბეგის ამიერკავკასიაში ლაშქრობას ხსნის არა მძარცველური მიზნებით, არამედ შუა აზიაში მათი ცხოვრების მძიმე პირობებით. იგი აღნიშნავს, რომ სელჩუკებს „მავერანნაპრში თავისუფლად ცხოვრების საშუალება არ ჰქონდათ და ეს უბიძგებდა ახალ ადგილებში ხელსაყრელი კლიმატური პირობები ეძებნათ<sup>32</sup>. ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი მაინც სელჩუკთა მეურნეობის ხასიათში უნდა ვეძებოთ; მათ დაპყრობებისა და ძარცვა-გლეჯის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, მათი არსებობის მთავარი პირობა მეჭოგეობა იყო და საამისოდ ახალ-ახალი ტერიტორიები სჭირდებოდათ, ამიტომაც იყო, რომ სელჩუკებმა ვერ მოაგვარეს მეზობლებთან კეთილმეგობრული ურთიერთობა.

ამიერკავკასიის ქვეყნებში ჩალრი-ბეგის ლაშქრობამ სომხეთში არწრუნისა და ბაგრატიუნის დინასტიების დამოუკიდებლობის დაკარგვა დააჩქარა.

ამრიგად, წყაროების, განსაკუთრებით იბნ ალ-ასირისა და მირხონდის ცნობების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სელჩუკთა პირველი ლაშქრობები ამიერკავკასიაში XI ს-ის 30-იან წლებში მოეწყო, არა უადრეს 1032—34 წწ. ეს იყო თურქთა პირველი მარბიელი ლაშქრის გამოჩენა ამიერკავკასიაში, რომლის შემდეგ სისტემატურად ეწყობოდა ლაშქრობები როგორც ამიერკავკასიაში, ისე ანატოლიის მიმართულლებითაც. ჩალრი-ბეგის ეს ლაშქრობა ერთ-ერთი პატარა ღონისძიება იყო იმ დიდ დაპყრობით ომებში, რომელთაც სელჩუკის მემკვიდრენი ის-ის იყო იწყებდნენ. ჩალრი-ბეგის სხვა ნათესავები ასეთ-სავე ლაშქრობებს აწყობდნენ მეზობელ სახელმწიფოებთან შუა აზიაში. მათი ასეთი დაპყრობების მიზეზი პირველ ხანებში მაინც, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ახალ-ახალი საძოვრების ძიება და მეზობელი ქვეყნების ძარცვა-გლეჯის ხარჯზე საარსებო პირობების გაუმჯობესება იყო.

საინტერესოა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში სელჩუკთა პირველი ლაშქრობების შესახებ ქართულ წყაროებში არაფერი არ არის ნათქვამი, იმ დროს, როდესაც უფრო მოგვიანო ხანაზე დაწვრილებითი და საინტერესო ცნობებია დაცული; სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვიწვინა ხსნის სომეხმა ისტორიკოსებმა. ვარდანი, მათე ურპაელი, არისტარქე ლასტივერტელი და სხვა ავტორები ეხებიან ამიერკავკასიის ქვეყნებში სელჩუკების ლაშქრობას და ანატოლიაში

<sup>32</sup> I. Kafesoğlu, Doğu Anadoluya ilk Selçuklu..., გვ. 273.

მათ საქმიანობას. არანაკლებ საინტერესო ცნობები აქვთ შემონახული ბიზანტიელ ისტორიკოსებსაც.

ჩალრი-ბეგის, ამიერკავკასიასა და ანატოლიის რაიონში, მარბიელი და დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობების შემდეგ სელჩუკები თანდათანობით მოიწვედნენ დასავლეთის მიმართულებით, ისინი სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ანატოლიის საზღვრებზე; ამ ტერიტორიებზე ისინი თანდათანობით მომრავლდნენ. წყაროების ცნობით, როდესაც ჩალრი-ბეგის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი ნადავლით უკან დაბრუნდა, მეორე ნაწილი აზერბაიჯანში დარჩა. მათ მდ. არაქსი გადალახეს და არანის ოლქში შევიდნენ. 40-იან წლებში სელჩუკები უფრო ინტენსიურ ლაშქრობებს აწყობენ ამ მიმართულებით.

მათე ურჰაელი ვრცლად მოგვითხრობს სელჩუკთა მიერ 1040/1 წ. მარტში სომხეთში ლაშქრობის შესახებ. მისი ცნობით, სელჩუკთა 150 000-იანი ლაშქარი ამიერკავკასიისაკენ გამოემართა და 400-მდე გამაგრებული ადგილი იგდო ხელთ, სადაც ერთ წლამდე დარჩა. მათე ურჰაელს გადმოცემული აქვს ამიერკავკასიის ქრისტიანული პოლიტიკური ერთეულების მესვეურთა ღონისძიებანი სელჩუკთა თავდასხმების წინააღმდეგ. მათ მოუწყვიათ კოალიციური ლაშქრობა, სადაც ქართველთა მეფე ბაგრატ IV 4 000 ჯარისკაცი გამოუყვანია. ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ლაშქარმა არანის გამგებლის აბულ-სოვარის შემოტევა მოიგერია და დამარცხებული უკუაქცია<sup>33</sup>. სელჩუკთა წინააღმდეგ მოწყობილ ამ ლაშქრობაში ბაგრატ IV მონაწილეობა ნათლად მიუთითებს, რომ ქართველ მეფეს კარგად ესმოდა ჩვენი ქვეყნისათვის მოსალოდნელი საშიშროება სომხეთში თურქთა გამარჯვების შემთხვევაში.

სელჩუკთა ტალღები სისტემატურად მოიწვედნენ ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ. ბუნებრივია, სელჩუკთა მხედართმთავარი ვერ შეურიგდებოდა დამარცხებას და კვლავ შეეცდებოდა ამიერკავკასიაში გამოლაშქრებას.

მათე ურჰაელის ცნობით, სელჩუკები 1042 წელს ისევ გამოჩნდნენ არაქსის სანაპიროზე და ბეჯნის ციხის ასაღებად მოემზადნენ. „ვასაკ ფაჰლავუნის შვილმა დიდმა უფლისწულმა გრიგოლმაც ბეჯნის დიდი ციხის ახლოს მდინარე ჰურასთანის<sup>34</sup> სანაპიროზე დაიბანჯა. მუსლიმანთა ლაშქარმა სომეხების წინააღმდეგ გაილაშქრა. მოხდა ძლიერი ბრძოლა. სომეხთა ლაშქარმა სასტიკად გაანადგურა ირანელები მდინარე ჰურასთანის სანაპიროზე. თურქთა ლაშქრის მეთაურები დაატყ-

<sup>33</sup> მათე ურჰაელი, გვ. 67—70.

<sup>34</sup> მდ. ჰურასთანის ანუ ჰრაზთანის, ვანის ტბიდან გამოდის და ერეენის სამხრეთ მდ. არაქსს ერთვის.

ვევს, დარჩენილი ლაშქარი კი ირანში გაიქცა<sup>35</sup>. სომეხი ისტორიკოსის ეს ცნობა შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ სელჩუკები უკვე უფრო ინტენსიურად მოდიან ამიერკავკასიის ქვეყნებში; მათ უფრო ხშირად უხდებოდა ურთიერთობის დაწყება სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებთან; სომხების სელჩუკებზე გამარჯვება დროებითი იყო. სელჩუკთა სხვა მარბიელი ლაშქარი, რომელიც ურმიის რაიონში მოქმედებდა, სამხრეთისკენ გაემართა, ადგილობრივ მოსახლეობას თავს დაესხა, სასტიკად გაანადგურა და დიდი ნადავლით უკან დაბრუნდა<sup>36</sup>.

ასევე მოქმედებდნენ სელჩუკები აზერბაიჯანში, სადაც ისინი შედარებით უფრო ადრე გამოჩნდნენ. იბნ ალ-ასირის ცნობით, სელჩუკებმა 1041/2 წ. დატოვეს აზერბაიჯანი. სელჩუკების მეთაურად ამჯერად იბრაჰიმ იინალი იყო. რომელიც დასავლეთის მიმართულებით ეწეოდა დაპყრობით ომებს. იბრაჰიმ იინალის რეიში წასვლით ისარგებლეს სხვა სელჩუკმა მოთარეშეებმა და სასწრაფოდ შეიჭრნენ აზერბაიჯანში, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილან<sup>37</sup>.

სელჩუკთა ერთ მოთარეშე ჯგუფს ცვლიდა მეორე, რომელთაც განადგურების მეტი არაფერი არ მოჰქონდათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამასთანავე თვითონ სელჩუკებს შორის არსებობდა წინააღმდეგობა დასაპყრობი ტერიტორიების განაწილებისას. როდესაც იბრაჰიმ იინალი შორს გაიგულეს, სელჩუკთა სხვა ჯგუფები მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს თავს დაესხნენ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი შიში და რიდი ჰქონდათ როგორც იბრაჰიმ იინალის, ისე მათი პირდაპირი მეთაურების, თოღრულ-ბეგის და დაუდ-ბეგის.

ამ პერიოდისათვის სელჩუკები უკვე თანდათანობით უახლოვდებოდნენ საქართველოს. მათი თავდასხმები მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე უფრო და უფრო ხშირდებოდა, რაც თავისებურ გავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

<sup>35</sup> მ ა თ ე უ რ ქ ა ე ლ ი. გვ. 74.

<sup>36</sup> Материалы по истории Азербайджана из Тарих ал-камилъ Ибн ал-Асфра. Баку, 1940, стр. 112; შდრ. ბონდარი, გვ. XLIII.

<sup>37</sup> ი ქ ვ ე, გვ. 113.

სომხეთში სელჩუკთა შემოსევის ხასიათის შესახებ არისტარქე ლასტივერტელი აღნიშნავს, რომ „თურქეთიდან დაიძრნენ დიდძალი ჯარები, რომელთა ცხენები სწრაფმავალი იყვნენ, როგორც არწივნი, მათი ჩლიქები — კლდესავით მტკიცე, მათი მშვილდები — მოზიდული, ისრები წამახული... ამოვიდნენ ვასპურაკანის გავარში, ეკვეთნენ ქრისტიანებს, როგორც მშიერი, საჭმელს დახარბებული მგლები. მოვიდნენ ბასიანის გავარამდე, დიდ დაბამდე, რომელიც ვალარშავანად იწოდებოდა. დაანგრიეს და ააოხრეს ოცდაოთხი გავარი“<sup>38</sup>.

1045 წ. სელჩუკთა დიდი ლაშქრობის შესახებ დასავლეთის მიმართულებით ვრცელ ცნობებს გვაწვდის მათე ურჰაელი. იგი გადმოგვცემს, რომ ამ დროისათვის თორღულის დივანიდან დიდი ლაშქრით გადმოვიდა სამი მხედართმთავარი: ბოდი, ბუგი და ანაზუგლი და გეზი პირდაპირ არაბთა ქვეყნისაკენ აიღეს. ისინი მოსულის საზღვარზე მდინარე არიანის<sup>39</sup> ნაპირზე დაბანაკდნენ<sup>40</sup>. მოხდა ძლიერი შეტაკება, რის შედეგადაც სელჩუკებმა არაბები სასტიკად დაამარცხეს და აიძულეს გაქეუულიყვნენ. განმეორებით ბრძოლაში არაბები ისევ დამარცხდნენ. თურქებმა მთელ ტერიტორიებზე მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა და ტყვეები ირანში წაასხეს<sup>41</sup>. ამავე ისტორიკოსის ცნობით, ამ გამარჯვების შემდეგ სელჩუკები არქემში მოვიდნენ, რომელსაც მაშინ ბიზანტიელი მხედართმთავარი სტეფანე კატაპანი გამგებლობდა. სელჩუკმა მეთაურებმა მას დიდი საჩუქრები გაუგზავნეს და გზის მიცემა სთხოვეს. მაგრამ კატაპანი შეედავა მათ და თავს დაესხა. თურქებმა ბიზანტიის ლაშქარი დაამარცხეს, თვითონ სტეფანე კატაპანი ტყვედ ჩაიგდეს, თავიანთ ქალაქში გაგზავნეს და სიკვდილით დასაჯეს<sup>42</sup>.

<sup>38</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 43.

<sup>39</sup> აქ იგულისხმება ის მდინარე, რომელიც მდ. დიჯლეს აღმოსავლეთიდან ვრთვის.

<sup>40</sup> მათე ურჰაელი, გვ. 82.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 83—84; გ. კედრენესა და ზონარას ზემოთ მოყვანილი ცნობები შემდეგნაირად აქვთ გადმოცემული: თორღულ-ბეგმა თავისი ძმისწული ყუთულში არაბების წინააღმდეგ გაგზავნა. მან ყურეიში და დუბეისი დამარცხებული გააქცია. ვასპურაკანის ვალის — კონსტანტინეს შვილი — ეთიენე მოიპატრია, რადგანაც ეთიენემ უარით უპასუხა, მას თავს დაესხა, დაატყვევა და გასაყიდად თავრიზში გაგზავნა.

სელჩუკები ამ რაიონში რამდენიმე ნაწილად იყვნენ დაყოფილი: ერთი ნაწილი ვანის ტბის რაიონში ვასპურაკანის სამეფოში შევიდა და არზრუმამდე გაშლილ ტერიტორიებზე „არწივებივით სწრაფმავალი ცხენებით“ დაჰქროდა<sup>43</sup>. სელჩუკთა მეორე ნაწილი კი დიარბექარის მიდამოებში, მაიაფარიკინისა და მარდინის რაიონში დაწინაურდა. ნაწილიც სინჯარის, ნუსაიბინისა და ჰულვანის ტერიტორიებზე შეიჭრა, მაგრამ მათი წინსვლა შეაჩერა ადგილობრივმა მოსახლეობამ. აქედან გამობრუნებული სელჩუკები აზერბაიჯანში წამოვიდნენ<sup>44</sup>.

მიხეილ ატალიატეს ცნობით, ამ პერიოდისათვის სელჩუკები „აღმოსავლეთით იბერიის საზღვრებს მიუახლოვდნენ; შეუტყეს რამდენადაც შეეძლოთ ძლიერად და, ალყა შემოარტყეს რა სირიის სამფლობელოს, რომელთა სარდალი ცოცხლად შეიპყრეს, რომელსაც მეტსახელად ერქვა ლიხუდე. ხალხი განუწყვეტელ თავდასხმებს ახდენდა ყოველწლიურად და ამით არა მცირედი ვნება მიაყენა რომაელთა ქვეყანას“<sup>45</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის სელჩუკები საქართველოს საზღვრებზე უკვე ხშირად არიან. დასავლეთის მიმართულებით სელჩუკების მოწყობილი ლაშქრობების დროს ისინი ბიზანტიელების წინააღმდეგობასაც წააწყდნენ. ბიზანტიელები ამ დროს დიდ როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად ხშირად იყენებდნენ ლიპარიტ ერისთავს, რომელიც ამ დროისათვის გაძლიერებული იყო. როგორც ივ. ჯავახიშვილი, აღნიშნავს, „იმის გარდა, რომ ლიპარიტი თვით იყო ერმრავალი, ძლიერი და მდიდარი — მას ბიზანტიის კეისრისგანაც ზურგი ჰქონდა გამაგრებული; ესეც კია, რომ ბერძნებისათვისაც ძალიან ხელსაყრელი იყო ლიპარიტის მეგობრობა. თითქმის ყოველს დიდს ლაშქრობაში, რომელიც კი ბერძნებს აღმოსავლეთში შემთხვევით, ბიზანტიელების მოკავშირედ ლიპარიტი იყო“<sup>46</sup>.

<sup>43</sup> P r u d' h o m e, Histoire d'Arménie, Comprenant la fin du Royaume d'Ani et la Commencement des invasions des Seldjoudides. Paris, 1864, გვ. 72.

<sup>44</sup> Islâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 364.

<sup>45</sup> გეორგიკა, ტ. 6, 1966, თბ., გვ. 344.

<sup>46</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ.



საქართველოს მიმართ ბიზანტიის მტრულ დამოკიდებულებას აშკარად აღნიშნავს მიხეილ ატალიატი. მისი სიტყვით, დაახლოებით ამ პერიოდში ბიზანტიელებმა „დიდი სიმძაფრით მოარბიეს მთელი იბერია, გაძარცვეს ქალაქები და სოფლები, მოსპეს უდიდესი მხარეები და ქვეყანა უდაბური გახადეს. ეს ყველაფერი მოხდა მეფის, შემდეგ ხანებში, სიხარბის გამო. მეგრძოლმა ჯარმა რომ იბერია გარემოიკვა და ზოგიერთი ახლოვდებარე სახალხო ადგილები სარჩენად გაიხადა, მეფემ ეს ადგილები ჩამოართვა და ასეთი დიდი ძალის გამოყენებით არა მარტო თავისი მოკავშირეები დაჰკარგა, არამედ თვით მტრებიც ძლიერი გახადა“<sup>47</sup>. ამ ცნობიდან აშკარად ჩანს ბიზანტიის პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. მაგრამ, თავისი გეგმების განხორციელებაში იგი აშკარა წინააღმდეგობას წააწყდა სელჩუკების სახით, რომლებიც გაცილებით უფრო ფართო გეგმებს იახავდნენ ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ხალხთა მიმართ, ვიდრე ბიზანტიელები.

იმ ბრძოლაში, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა სელჩუკების წინააღმდეგ დვინთან აწარმოვა, მონაწილეობას იღებდა ლიპარიტ ერისთავიც. არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, ბიზანტიის ლაშქარში 60 000 ცხენოსანი იყო. ბიზანტიელები იძულებული გახდნენ დახმარება ლიპარიტისათვის ეთხოვათ, ხოლო ეს უკანასკნელი კი „უხვი განძებით მოვიდა“<sup>48</sup>. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, „გარეჲ-გარე წარვიდა ლიპარიტ მითვე ლაშქრითა დვინად, და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქუეყანად“<sup>49</sup>. ამ ლაშქრობის დროს თორღულ-ბეგმა იბრაჰიმ იინალთან ერთად ერაყის ლაშქრობაში მყოფი ყუთულშიში დიდი ლაშქრით აზერბაიჯანში გაგზავნა. მათ მუსა იაბღუს შვილი ჰასანიც შეუერთდა. სელჩუკთა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა განჯასთან ახლოს დაამარცხა ბიზანტიელები (438—1046 წელს). თურქი ისტორიკოსის მიხედვით, ამის შემდეგ ვასპურაკანში ბასიანის დასაპყრობად წასული ჰასანი, როდესაც სამხრეთით მიემართებოდა, დაამარცხა ბიზანტიელ-სომეხ-ქართველთა ლაშქარმა,

<sup>47</sup> გეორგოვა, ტ. 6, გვ. 24.

<sup>48</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია გვ. 59.

<sup>49</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 302.

რომელსაც თითქოს ლიპარიტი მეთაურობდა (1047 წელს)<sup>50</sup>. მოახზრება ამ ბრძოლაში ლიპარიტ ერისთავის მონაწილეობის შესახებ სწორი არ უნდა იყოს. წყაროების მიხედვით, როდესაც თოღრულ-ბეგმა ამ ბრძოლის შემდეგ, იბრაჰიმ იინალი გამოგზავნა ბიზანტიის დასაპყრობად, ბიზანტიელებმა ლიპარიტი მხოლოდ მაშინ იხმეს დასახმარებლად. ჰასანის ლაშქრის დამარცხებასთან დაკავშირებით ბიზანტიურ წყაროებში ლიპარიტი არ არის მოხსენიებული. იქ აღნიშნულია, რომ სულთანის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ გამოგზავნილმა ჰასანმა გაიარა თავრიზი, თბილისი და ვასპურაკანში შევიდა. გზად ყველაფერს ანადგურებდა. მაშინ ვასპურაკანის მმართველი იყო აპარონ ვესტი, რომელმაც დასახმარებლად წერილი გაუგზავნა ანისის და იბერიის მმართველს კეკავენად წოდებულ ვესტის. კეკავენი მას მიეშველა და ბიზანტიელებსა და თურქებს შორის ბრძოლა მოხდა მდინარე სტრაგნაზე, სადაც თურქები სასტიკად დამარცხდნენ და მათი მეთაური ჰასანიც მოკლეს<sup>51</sup>.

ამ წყაროებში მოტანილი ცნობა იმის შესახებ თითქოს ჰასანმა ვასპურაკანში ბრძოლის გამართვამდე თბილისზე გაიარა, საეჭვო ჩანს.

ჰასანის წარუმატებლობის შემდეგ სულთანი ახალ ძალებს გზავნის ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ვერც მარტოდ დარჩენილი ყუთულშიშის მიერ განჯის გარემოცვამ გამოიღო შედეგი; ამიტომ თოღრულ-ბეგმა იბრაჰიმ იინალი, ვითარცა აზერბაიჯანის ვალი, ბიზანტიის წინააღმდეგ გაგზავნა. გიორგი კედრენეს ცნობით, სულთანმა ამ დამარცხების გამოსასწორებლად „შეადგინა რჩეული ჯარი თურქთა, კაბირთა და ლიმნიტთაგან დაახლოებით ასი ათასი, ჩააბარა ეს ჯარი თავის ნახევარ ძმას აბრამ ალიმს (იბრაჰიმ იინალის — ნ. შ.) და გაგზავნა რომაელების წინააღმდეგ“<sup>52</sup>. ყუთულშიშიც მათ შეუერთდა. სელჩუკმა შეჭმადეებმა არზრუმის ველამდე წაიწიეს და ვრცელი ტერიტორია დაიპყრეს.

იბნ ალ-ასირის ცნობით, იბრაჰიმ იინალმა 440 (1048/9) წელს ბიზანტიელების წინააღმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა ისინი და დიდი ნადავლი ჩაიგდო; მათ შეუერთდა შუა აზიიდან მოსული ოღუზთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც იბრაჰიმ იინალი ურჩევდა გაელაშქრა ბიზანტიელთა წინააღმდეგ ნადავლის ხელთ ჩასაგდებად, ვინაიდან

<sup>50</sup> İslâm Ansiklopedisi, ciiiz 104, გვ. 365.

<sup>51</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 68—70; К. Г а н, Известия древних Греческих и Римских писателей о Кавказе. Часть II, Византийские писатели, 1890, Тип-лис, стр. 45; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ტურინოს კომპილაციისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის შოამბე, ტ. IV, 1924, ტფ., გვ. 353—354; В. Н. Б е н е ш е в и ч, Три арийские надписи XI века из эпохи византийского владычества, Петербург, 1921, стр. 6—7.

<sup>52</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 70.

შას ჭარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეეძლო. მათ ერთიანი ძალით გაილაშქრეს მანასკერტამდე, არზრუმამდე, კალიკალამდე და ტრაპიზონამდე<sup>53</sup>.

ამ ცნობას ქართველი მემკვიდრეები მოკლედ გადმოგვცემს: „შემდგომად წელიწადისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი სულტნისანი ბარაჰიმ ილმისანი<sup>54</sup> ქუეყანასა ბასიანისასა“<sup>55</sup>.

სელჩუკთა ასეთი უზარმაზარი მარბიელი ლაშქრის წინააღმდეგ დაიძრა ბიზანტიის კეისარი, რომელმაც მოუწოდა კლდე-კარის ერისთავს ლიპარიტს გამოსულიყო მის დასახმარებლად თავისი ლაშქრით. ლიპარიტი ამ პერიოდში ძლიერი ფეოდალი იყო და ზურგს ბიზანტია ემაკრებდა. ამიტომ, ბიზანტია პირველსავე შემთხვევაში ლიპარიტს ნიშნავდა დასახმარებლად. იგი დიდ ძალას წარმოადგენდა იმპერატორისათვის.

<sup>53</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 316.

<sup>54</sup> „ბარაჰიმ ილმი“ იბრაჰიმ იინალი, რომლის შესახებაც წყაროები სხვადასხვაგვარ ცნობებს გვაწვდიან. იბნ ალ-ასირის მიხედვით, იინალი უფლისწულს ტიტული. ი. ქაფესოღლუს გამოკვლევით, იინალის ნამდვილი სახელი წყაროებს მიხედვით იუსუფია, ხოლო იუსუფი იინალის ტიტულის მატარებელი პირის — იბრაჰიმის სახელითაა ცნობილი. იბრაჰიმ იინალი თორღულ-ბეგის ბიძაშვილი იყო, მაგრამ ამავე დროს დედით ძმა. რადგან ტრადიციით გარდაცვლილი ძმების ცოლებზე დაქორწინება დასაშვებია იყო, თვით თორღულ-ბეგის დედა თორღულ-ბეგის მამის — მიქაილის გარდაცვალების შემდეგ, მიქაილის ძმაზე — იუსუფზე დაქორწინდა. მისგან ეყოლა იბრაჰიმ იინალი. მისი დაბადების თარიღი ცნობილი არ არის. გარდაიცვალა 1059 წელს (იხ. I. Kafesoğlu, Selçukun oğulları ve torunları, Türkiye Mecmuası, cilt XIII, İstanbul, 1958, გვ. 121). იბრაჰიმ იინალს დიდი დამსახურება მიუძღვის ირანის ერასულა და ალჯირში სელჩუკთა ძალაუფლების გავრცელების საქმეში. იგი დენდანეანის ბრძოლამდე იინალის ტიტულის მატარებელი ძალების მეთაურად გამოდიოდა. ერთხანს ხორასნის ამირი იყო (ბარ ქებრაი, I, გვ. 298), შემდეგ თორღულ-ბეგმა ჰამადანსა და ისფაჰანში გაგზავნა სალაშქროდ. იბრაჰიმმა პირნათლად შეასრულა თორღულ-ბეგის დავალება და დიდი ნადავლით რეში დაბრუნდა. ამით ისარგებლა ჰამადანის გამგებელმა აბუ კალიჯარმა და ქალაქი დაიბრუნა (1041/2 წელს). იბრაჰიმმა ჰამადანი ისევ დაიპყრო. ამის შემდეგ მან დინავერი და გარმსირი აიღო. იბრაჰიმ იინალი წარმატებით ეწეოდა დაპყრობით ომებს. თორღულ-ბეგმა ის ერთ ხანს აზერბაიჯანის ვალად დანიშნა და ამიერკავკასიაში სელჩუკთა ძალების გასაძლიერებლად გაგზავნა. იინალი ყუთულდამითან ერთად ეწეოდა ბრძოლებს სომეხ-ქართველ-ბიზანტიელთა ლაშქრის წინააღმდეგ და არზრუმამდე მივიდა. ამის შემდეგ იინალმა ალჯირში ილაშქრა. მან მთელი რიგი ტერიტორიებისა დაიპყრო აზერბაიჯანში, ალჯირსა და ჯიბალში, გაძლიერდა და პრეტენზიას აცხადებდა დამოუკიდებლობაზე. ამიტომ იყო, რომ თორღულ-ბეგს სამჭერ განუდგა და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა. თორღულ-ბეგმა იგი სამჭერეე დაამარცხა და ბოლოს სიკვდილით დასაჯა.

<sup>55</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

ბერძნული წყაროების მიხედვით, როდესაც ბიზანტიელებთან ბრძოლაში სელჩუკები დაპარცხდნენ და მათი მეთაური ჰასანი მოკლეს, თორღულ-ბეგმა ახალი ძალა გამოგზავნა მათ წინააღმდეგ. ამასობაში ბიზანტიელთა სარდლებმა აპარონმა და კეკავმენმა რჩევისათვის მიმართეს იმპერატორს; პასუხის მიღებამდე იბერიაში წავიდნენ და ღია ცის ქვეშ დაბანაკდნენ ერთ დაბლობში, რომელსაც ოსურტრუ ეწოდება. მხედართმთავრებს შორის თანხმობა არ იყო. კეკავმენი მოითხოვდა თურქებს შეებოდნენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, აპარონი მოითხოვდა მტრის ჯარი შეეკავებინათ, ქალაქები და ციხეები გაემაგრებინათ. ყველაფერი ციხეებში ჩაეკეტათ, ამბავი კი მეფისათვის შეეტყობინებინათ. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ. მათ იმპერატორისაგან მიიღეს ცნობა, თავი შეეკავებინათ ბრძოლისაგან, ვიდრე ღიპარიტი არ მიეშველებოდათ. იმპერატორმა კი თავის მხრივ ღიპარიტს მოუწოდა ლაშქრით მიშველებოდა სარდლებს<sup>56</sup>. იმპერატორი ღიპარიტს წერდა: „თუ რომაელთა მოკავშირედ და მეგობრად თვლი თავს, სასწრაფოდ წამოიყვანე მთელი ჯარი, რაც კი შენ ხელთაა, მოდი და შეუერთდი რომაელთა სარდლებს და მათთან ერთად იომე ბარბაროსების წინააღმდეგ“<sup>57</sup>.

ვიდრე ღიპარიტი ჯარს შეკრებდა, სელჩუკთა ლაშქარმა მრავალი პუნქტი დაიკავა. კედრენეს ცნობით, „სანამ ღიპარიტი საკუთარ ჯარებს შეაგროვებდა და დროც მიდიოდა, აბრამი ვასპურაკანში ჩავიდა“<sup>58</sup>. როგორც კი ბიზანტიელებმა გაიგეს, მისივე ცნობით, იბრაჰიმ იინალის ვასპურაკანში მოსვლა, ისინი იბერიაში წავიდნენ. იბრაჰიმ იინალი მათ უკან დაედევნა და ჩქარობდა მათთან შებმას. ბიზანტიელებმა ღიპარიტის მოშველებამდე თავი შეაფარეს „ერთ ძნელ მისასვლელსა და ციცაბო ადგილს, რომელიც ყოველი მხრიდან გარემოცული იყო თხრილებით, და იქ დადგნენ, ხოლო ღიპარიტს მისწერეს, ჩქარა მოდი, ნუ იგვიანებო“<sup>59</sup>. მეორე ბიზანტიელი მწერლის ზონარას ცნობით, ვიდრე ბიზანტიელთა ლაშქარი ჩაკეტილი და გამაგრებული იყო, „ალიმმა ვერ შეძლო თავს დასხმოდა იმ ნაწილებს, სადაც ისინი იყვნენ გამაგრებულნი და ამიტომ გაემართა არქესაქენ“<sup>60</sup>. ზონარასვე გადმოცემით, დაბა არქე მკვიდროდ იყო დასახლებული; აქ იყო ვაქარ-

<sup>56</sup> К. Г а н, Известия древних Греческих и Римских писателей о Кавказе, часть II, Византийские писатели, стр. 45—46; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ო ი, ტურინოს კომპილაციისათვის, გვ. 354; გეორგია, ტ. 5, გვ. 72.

<sup>57</sup> გეორგია, ტ. 5, გვ. 72.

<sup>58</sup> ი ქ ვ ე.

<sup>59</sup> ი ქ ვ ე, გვ. 73.

<sup>60</sup> გეორგია, ტ. 6, გვ. 236.

თა ძლიერი ფენა, რომელიც დიდ სიმდიდრეს ფლობდა. სელჩუკებმა რსარგებლეს იმიტ, რომ დაბა დაუცველი იყო. „ბარბაროსები იმედოვნებდნენ, რომ მას ვაუჭირვებლივ, გზად ჩავლით ჩაიგდებდნენ ხელში. ეს ამბავი მოხერხებით გაიგეს და არკეს თავს დაესხნენ“<sup>61</sup>, მაგრამ მოსახლეობამ შემოსასვლელი გზები ჩაკეტა და მთელი კვირის განმავლობაში მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. მიუხედავად ამისა, სელჩუკებმა მთელი დაბა ცეცხლს მისცეს და დიდძალი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელთ. არკეს ხელში ჩაგდებისა და განადგურების შემდეგ კვლავ რომაელების წინააღმდეგ გაემართნენ. უკვე ლიპარიტიც მოსულიყო იბერიელთა ჯარით<sup>62</sup>.

არისტარქე ლასტივერტელი მოკლედ გადმოგვცემს ამ პერიოდში სელჩუკთა მასობრივი შემოსევების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ სელჩუკები „მოეფინენ გარნიასა და ბასიანის ფართო ველებს. თავდამსხმელებმა ქვეყნის სამივე მხარე დაიპყრეს. დასავლეთით — ქალდიის გავარამდე, ჩრდილოეთით სპერამდე და ტაოსა და არშარუნისკის ციხესიმაგრემდე, ხოლო სამხრეთით — ტარონისა და ჰაშტეანქის გავარებამდე და ხორძენის ტყემდე. ისინი შეჩერდნენ თოთხმეტი დღე და... დაიპყრეს მთელი ქვეყანა“<sup>63</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს სელჩუკთა შემოსევების შედეგად შექმნილი ვითარება. ბიზანტიელთა ლაშქართან გადამწყვეტ შებამდე მათ მოაოხრეს და გაანადგურეს მთელი რიგი ადგილები. სანამ სელჩუკებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ბიზანტიელები ლიპარიტის ძალების მოშველებას ელოდნენ, სელჩუკებმა დიდი ზიანი მიაყენეს ადგილობრივ მოსახლეობას. ბიზანტიელთა მიერ ლიპარიტის მოწვევასთან დაკავშირებით ზონარა აღნიშნავს: „მას შემდეგ, რაც ლიპარიტმა დიდი ნაწილი იბერიისა ხელთ იგდო, გაგზავნა რომაელთა მიმართ (მოციქულები) და დახმარება აღუთქვა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თურქების ჯარი იდგა ერთ ადგილას და რომაელები მათთან შებრძოლებას ვერ ბედავდნენ მანამ, ვიდრე მათ, მეფის ბრძანებისამებრ არ შეუერთდებოდა იბერიელთა ჯარი“<sup>64</sup>. საქმე ისაა, რომ ლიპარიტის მიშველებამდე სელჩუკთა ჯარი ერთ ადგილზე არ იდგა და არ ელოდებოდა ბიზანტიელებთან ბრძოლის დაწყებას, როგორც ამას ზონარა გვაუწყებს. სელჩუკებმა გადამწყვეტი ბრძოლის გამართვამდე დაიკავეს და ააოხრეს მრავალი რაიონი.

<sup>61</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 236.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 237.

<sup>63</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 46.

<sup>64</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 236.

მათე ურპაელი შედარებით ვრცლად გადმოგვცემს ამ პერიოდში სელჩუტა ლაშქრის შემოსვლას სომხეთისა და ბიზანტიის ტერიტორიაზე და მათს საქმიანობას არზრუმისა და ტრაპიზონის მიდამოებში. მისი გადმოცემით, სულთან თოღრულის ბრძანებით ირანიდან იბრაჰიმი და ყუთულშიში უზარმაზარი ლაშქრით გამოვიდნენ და სომხეთის წინააღმდეგ გამოილაშქრეს. მთელი სომხეთი ბიზანტიელებმა უმეტადად უფროდ დატოვეს, რადგან მათი სამხედრო ძალები აღმოსავლეთიდან შორს იყო და ამ ადგილების დაცვა მხოლოდ მეციხოვნეებს ჰქონდათ დავალებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიელები თავიანთი უნიათო პოლიტიკით აღმოსავლეთში და, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ქვეყნებში ობიექტურად ხელს უწყობდნენ სელჩუტა მომძლავრებას ანატოლიის ბერძნულ პროვინციებში. ისინი ყოველ მხრივ ავიწროებდნენ სომეხ და სხვა ეროვნებათა მოსახლეობას, არ იჩენდნენ განსაკუთრებულ მზრუნველობას სელჩუტა თავდასხმებისაგან მათ დასაცავად.

ამ დროს სელჩუტები უვნებლად მიადგნენ არზრუმს. ქალაქის ადგილობრივი მოსახლეობა სელჩუტების წინააღმდეგ გამოვიდა და ქალაქის მისადგომებთან ძლიერი ბრძოლა გაიმართა. სელჩუტებმა ქალაქი აიღეს და დიდძალი სიძლიდრე იგდეს ხელთ. მათე ურპაელი არზრუმს მიიჩნევს სომხეთის ქალაქთა შორის პირველად, რომელიც სელჩუტებმა ძალით დაიპყრეს<sup>65</sup>. მეორე სომეხი ისტორიკოსი არისტარქე ლასტივერტელი დაწვრილებით მოგვითხრობს სელჩუტა შემოსევების თაობაზე სომხეთში და მათ მიერ ჩადენილ საშინელებებზე. მას საგანგებოდ აქვს აღწერილი ამ პერიოდში სელჩუტა მიერ არზრუმის აღება და ადგილობრივი მოსახლეობის განადგურება. აქვე აქვს მოცემული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მდიდარ და მნიშვნელოვან ეკონომიურ და სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა მანამდე არზრუმი<sup>66</sup>.

ამ პერიოდში სელჩუტა მიერ მოწყობილ ლაშქრობას ეხება მუნეჯიმ-ბაშის ცნობა, რომლის მიხედვით 440 (1048/9) წელს თოღრულის ძმის მუსას და იბრაჰიმ იინალის ურიცხვმა ლაშქარმა რუმისკენ გაილაშქრა, ქაფირთა ლაშქარი დაამარცხა და ტრაპიზონამდე მივიდა. სელჩუტებმა 100 000-მდე კაცი დაატყვევეს და ხელთ იგდეს საქონლით სავსე 10 000-მდე ურემი. უამრავი და უთვალავი ნადავლით დატვირთულნი ევენებელნი დაბრუნდნენ<sup>67</sup>.

<sup>65</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 86—87; გეორგიკა, ტ. V, გვ. 73—75. სხვათა შორის, ივ. ჭავჭავაძის სამართლიანად შენიშნავს, რომ მათე ურპაელს ამ ბრძოლის თარიღად შეცდომით 1049—1050 წელი აქვს დასახელებული (ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, თბ., გვ. 146).

<sup>66</sup> ა რ ი ს ტ ა რ ქ ე ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ლ ი, ისტორია, გვ. 53—58.

<sup>67</sup> მ უ ნ ე ჯ ი მ ბ ა შ ი, გვ. 524.

როდესაც სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქარი ამიერკავკასიის ქვეყნებში ყველაფერს ანადგურებდა, ბიზანტიის იმპერატორმა ლიპარიტს მოუწოდა დასახმარებლად. სელჩუკთა წინააღმდეგ „გამოვიდა ბერძენთა ჰეფისა ლაშქარი, და უხმეს ლიპარიტს და წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ლაშქრითა ამის ზედაჲს კერძისათა“<sup>68</sup>. მათე ურპაელის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორის მიერ სელჩუკების წინააღმდეგ შეკრებილი ლაშქარი შედგებოდა ბერძენ-ქართველ-სომეხთა ძალებისაგან, რომელთაც მეთაურობდნენ ბერძენი კეკავემნი, ვასაკის შვილი — გრიგოლი და რატის ძმა — ლიპარიტი<sup>69</sup>.

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ამ ლაშქრობაში ლიპარიტს გამოუყვანია 700 წარჩინებული, 16 000 მებრძოლი და ბაგრატ მეოთხის 10 000 კაცი, იმ დროს, როდესაც ბიზანტიელთა ლაშქარში მხოლოდ 15 000 კაცი ყოფილა. სულ 41 000 ცხენოსანი მხედარი იყო<sup>70</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტეფანოს ორბელიანი ლიპარიტის მიერ მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ იგი ფლობდა ივერიის სამეფოს ნახევარსო; მართალია, ლიპარიტ ერისთავი ძლიერი ფეოდალი იყო და მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდა საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრებაში, მაგრამ იგი არ შეიძლებოდა ამ პერიოდისათვის ივერიის სამეფოს ნახევრის მფლობელი ყოფილიყო.

ამასთან დაკავშირებით საესებით სამართლიანად შენიშნავს ვ. კობალიანი: „700 დიდი აზნაური გაზვიადებული რიცხვი ჩანს. თუ XI ს-ის ქართველი დიდი აზნაურის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ხედრით წონას გავითვალისწინებთ, არ შეიძლებოდა ლიპარიტს ამ ბრძოლაში 700 დიდი აზნაური ჰყოლოდა“<sup>71</sup>. ასევე ლიპარიტის მიერ გამოყვანილი, „10 000 კაცისაგან შემდგარი სამეფო ლაშქარი“ ვ. კობალიანს მიაჩნია ბიზანტიის ლაშქრად, „რომელიც საქართველოში იყო შემოჭრილი და ლიპარიტის მეთაურობით ბაგრატ მეოთხეს ებრძოდა“<sup>72</sup>.

იბნ ალ-ასირის ცნობით, ბიზანტიელთა და ქართველთა ლაშქარში 50 000 კაცი ყოფილა<sup>73</sup>. გიორგი კედრენეს მიხედვით, ლიპარიტი ქართ-

<sup>68</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

<sup>69</sup> მათე ურპაელი, გვ. 87.

<sup>70</sup> О великом пахарарстве Орбеллианов, Исследования и статьи Н. О. Эммина, Москва, 1896, стр. 359; M. Brosset, Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie. St.-Petersbourg, 1851, გვ. 223.

<sup>71</sup> ვ. კობალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962, გვ. 168.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 116.

ველთა ლაშქრით ბერძნებს უერთდება მთის ძირას კაპეტრონის ციხესთან დაბლობში<sup>74</sup>. მათე ურჰაელის მიხედვით, მოკავშირეთა ლაშქარი არჩოვითის სახელწოდების ადგილზე გაბუთრუს ციხესთან შეიკრიბა. მათე ურჰაელი ლიპარიტს ამ ბრძოლის გმირად იხსენიებს; მისი ცნობით, სელჩუკები პირველად ლიპარიტისაკენ წამოვიდნენ. ლიპარიტმა კი მათ დასახვედრად თავისი დისწული ჩორთვანელი გაგზავნა, რომელიც სელჩუკების წინააღმდეგ ლომივით იბრძოდა<sup>75</sup>.

ჩორთვანელი ღამე თავდასხმების დროს მოკლეს სელჩუკებმა; როდესაც ლიპარიტს ამ თავდასხმის ამბავი შეატყობინეს და უთხრეს, სელჩუკებმა ალყა შემოგვარტყესო, მან უპასუხა „დღეს შაბათია და ქართველები საბრძოლველად არ გამოდიანო“. გიორგი კედრენეს ცნობით „თურქები რომ მოდიოდნენ დაფანტულად, კეკავემმა კვლავ ურჩია რომაელებს შებმოდნენ მათ, სანამ ჯერ კიდევ დაფანტულად და უმწყობროდ იყვნენ. მაგრამ ლიპარიტმა არ მოინდომა იმ დღეს ბრძოლა, ვინაიდან შაბათი იყო, სექტემბრის თვის თვრამეტი რიცხვი, მეორე ინდიქტიონისა, ხოლო ლიპარიტი უბედურ დღეთა რიცხვს მიაკუთვნებდა შაბათს, და ამ დღეს ომის წარმოებაზე უარი უნდა თქმულიყო“<sup>76</sup>.

ბიზანტიელთა ლაშქრის მარჯვენა ფრთას კეკავემი მეთაურობდა, მარცხენას — აარონი, ხოლო შუა ნაწილს — ლიპარიტი. კეკავემს დაუპირისპირდა აბრამი (იბრაჰიმ იინალი — ნ. შ.), აარონს — თურქთა სხვა სარდალი, ხვარასნელი, ხოლო ლიპარიტის წინააღმდეგ კი დადგა ასპაჰ სალარი (ისპაჰანის სალარი — ნ. შ.), აბრამის ნახევარძმა<sup>77</sup>.

ჩორთვანელის სიკვდილმა ლიპარიტი ისე გაამძვინვარა, რომ ჩაება ბრძოლაში, მუსლიმანები გაფანტა და მიწა მათი სისხლით შეღება. ასეთი გამირობის შემყურე ბიზანტიელები შურით აღივსნენ. ლიპარიტი მუსლიმანებს შეატოვეს და გაიქცნენ. მუსლიმანებმა ბიზანტიელების ღალატი რომ დაინახეს, უკან გამობრუნდნენ და ქართველებთან ბრძოლა განაახლეს. იმ დროს როცა ლიპარიტი მტრის ლაშქარს ლომივით ებრძოდა, ზურგიდან ქართველებმა ხმლით მის ცხენს ფეხის ძარღვები გადაუჭრეს, ლიპარიტი დაეცა. იგი დაატყვევეს და თოდრულბეგთან ხორასანში გაგზავნეს<sup>78</sup>.

<sup>74</sup> გეორგია, ტ. 5, გვ. 75.

<sup>76</sup> ეს ბრძოლა სომხური და ბიზანტიური წყაროების საფუძველზე შეისწავლა ფრანგმა მეცნიერმა რენე გრუსემ (Rene Grousset, Histoire de l'Armenie de Origines 1071, Paris. 1947, გვ. 587—591).

<sup>78</sup> გეორგია, ტ. 5, გვ. 75.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>78</sup> მათე ურჰაელი, გვ. 89—90.



ძალიან საყურადღებო და დამახასიათებელი ცნობაა. ჩანს, რომ ქართველთა და ბიზანტიელთა ლაშქრის მეთაურებს შორის ბრძოლის დროს უთანხმოება ყოფილა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ბიზანტიელთა ლაშქრის ღალატი გადაწყვეტ მომენტში. აშკარაა, ერთიანობა მოკავშირეთა შორის არ ყოფილა. არისტარქე ლასტივერტელი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ბიზანტიელები ლიპარიტთან ვერ შეთანხმდნენ, „ბრძოლის დროს ბულღარის შვილი აპარონი გაიქცა და მით გააბედვინა მტრებს ლიპარიტს გარს შემორტყმოდნენ თავიანთი მხნე კაცებით დიდი შეძახილებით“<sup>79</sup>.

სტეფანოს ორბელიანი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს ამ ბრძოლას და საგანგებოდ ხაზს უსვამს ლიპარიტის გმირობას, მიუთითებს ქართველ წარჩინებულთა ღალატზე, რომლის წყალობითაც ლიპარიტი ტყვედ ჩაუვარდა თურქებს. სტეფანოს ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ივერიის დიდებულებს შეეშინდათ ლიპარიტის უზომო განდიდების და ამიტომ მოუწყვეს შეთქმულება და ცხენიდან გადმოაგდეს<sup>80</sup>. სტეფანოს ორბელიანის მიხედვით ლიპარიტს ბრძოლის ველზევე კლავენ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. იგი დატყვევებული წაიყვანეს ხორასანში.

გიორგი კედრენეს გადმოცემით, „ბრძოლა რომ დაიწყო. კეკავმენმა და აარონმაც მათ პირისპირ განლაგებული რაზმები გააქციეს და სდიეს მამლის ყვილამდე, ხოლო ლიპარიტი, რომელიც ძალიან განიცდიდა თავისი ბიძაშვილის დაღუპვას, ძლიერი შეტევით ეძგერა მტერს. ტყვედ ჩავარდა“<sup>81</sup>. როგორც ვხედავთ, ბიზანტიელი ავტორი ბერძენთა მხედართმთავრებს დამარცხებულად არ იხსენიებს. მისი ცნობით თითქოს კეკავმენმა და აარონმა სძლიეს სელჩუკებს, და უკანაც დაედევნენ, მხოლოდ ლიპარიტი დამარცხდა ამ ბრძოლაში. გიორგი კედრენეს ზემომოტანილ ცნობას იმეორებს იოანე ზონარაც<sup>82</sup>, რომელიც ალბათ გიორგი კედრენეს თხზულებით სარგებლობს. ქართველი მემკვიდრეანი კი სულ სხვანაირად გვიხატავს ვითარებას.

არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, ამ ბრძოლაში „ზოგნი მოკლეს, სხვები კი შეიპყრეს, მახვილით დაუკვეთეს მათ ცხენებს ძარღვებზე. სხვა ჯარებმა დაინახეს რა ეს, გაიქცნენ. მტრები მათ მიჰყვნენ უკან და ურიცხვი [ხალხი] ამოწყვიტეს“<sup>83</sup>.

<sup>79</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 60.

<sup>80</sup> О великом нахарарстве Орбеллианов, Исследования и статьи Н. О. Эмина, стр. 360.

<sup>81</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 67.

<sup>82</sup> იქვე, ტ. 6, გვ. 237.

<sup>83</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 60.

დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს ბრძოლის დროს ბიზანტიელთა გაუტანლობას და ლიპარიტის გააოცარ ვაჟეაცობას. იგი წერს: „ბერძნები შურით უმზერდნენ იმის გასაოცარ ვაჟეაცობას და არ ჰსურდათ, რომ დიდება ძლევისა ქართველისათვის მიეწერათ. ამისათვის ისინი უკუსდგნენ... გაცეცხლებულს ომში, როდესაც ლიპარიტი გაშმაგებული სკრიდა, ერთმა იმისმა მემამულეთაგანმა... უკანიდან მოჰკვეთა ლიპარიტის ცხენს ორივე ფეხი. ლიპარიტი დაეცა, მაგრამ ერთი ხრმლის მოქნევით გააპო მოღალატე. ქართველნი ზოგნი იქვე დაიხოცნენ, ზოგნი განიბნენ“<sup>84</sup>.

წყაროების ანალიზიდან ჩანს, რომ ამ ბრძოლის გმირი მაინც ლიპარიტია. ჩანს აგრეთვე ბიზანტიელთა თავდაპირილი დამოკიდებულება ამ ბრძოლისადმი. იბნ ალ-ასირის ცნობით, ამ ბრძოლის დროს უპირატესობა ხან ერთის მხარეზე იყო, ხან მეორის, ბრძოლა რამდენიმეჯერ განახლდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება სელჩუკებს დარჩათ. სელჩუკთა მიერ დატყვევებულთა შორის უამრავი იყო წარჩინებული, მათ შორის ლიპარიტიც<sup>85</sup>. ამ ბრძოლაში არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, „ზოგი მახვილით მოკლეს, ბევრი კი, ვინაიდან უკვე ბნელოდა, კლდეებიდან და მალალი ადგილებიდან გადმოაგდეს, ხოლო დარჩენილნი, გაშიშვლებულნი, გაძარცულნი ფეხით საღ შესძლებდნენ წასვლას, აქ დარჩნენ“<sup>86</sup>.

ქართველი მემბტიანე ძალიან მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ გვიჩატავს ამ ბრძოლის ვითარებას. იგი ბრძოლის ადგილსაც უთითებს და აღნიშნავს, რომ ბერძენ-ქართველთა და სელჩუკთა ლაშქარი „შეიბნეს ორდროსა და უკუმბასა ქუემოთ, და გააქციეს ყოველი სპა საბერძნეთისა და ლიპარიტისა თურქთა. იქმნა მოსვრა დიდი, და შეიპყრეს ლიპარიტი და წარიყვანეს ხუარასანს სულტანსა თანა“<sup>87</sup>. ლიპარიტი მარ-

<sup>84</sup> დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, 1027—1072, ტფ., 1880, გვ. 31.

<sup>85</sup> Материалы по истории Азербайджана..., стр. 116. აშკარა შეცდომაა ვ. ბენეშევიჩის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ამ ბრძოლაში ბიზანტიელთა ყოალიციურმა ლაშქარმა გაიმარჯვა სელჩუკებზე. ის აღნიშნავს, რომ «10 сентября 1048 г. соединенным силам Аарона Кекавмана, грузинского князя Липарита и Месопотамского дуки, Магистра Григория Пахлавунни удалось при Капетре справиться и с другим туркменским полководцем Ибрагимом-Иналем». (В. И. Бенешевич, Три анникские надписи XI века из эпохи византийского владычества, Петербург, 1921, стр. 7). მიუხედავად იმისა, რომ ვ. ბენეშევიჩი აქვე წყაროებსაც უთითებს, სინამდვილის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. პირიქით, ბიზანტიელთა ლაშქარი ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა.

<sup>86</sup> ა რ ი ს ტ ა რ ქ ე ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ლ ი, ისტორია, გვ. 60.

<sup>87</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

ტო არ ჩავარდნია ტყვედ სელჩუკებს. მასთან ერთად იყვნენ სხვა იბერ-  
ნიც. არისტარქე ლასტივერტელი შენიშნავს, რომ ბრძოლის დამთავ-  
რების შემდეგ სელჩუკებს უამრავი სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელთ, „წა-  
ვიდნენ თავიანთ ქვეყანაში და ურიცხვი ნადავლით აავსეს მთელი ქვე-  
ყანა; ხოლო ქართველთა მთავარი წაიყვანეს და მიჰგვარეს ხალიფას,  
როგორც დიდი განძი და ყველა ტყვეთაგან ყველაზე უფრო სასია-  
მოვნო“<sup>88</sup>.

ტყვედ ჩავარდნილ ლიპარიტს მაშინვე მოლაპარაკება გაუმართავს  
იბრაჰიმ იინალთან და დიდ საჩუქარსა და ძღვენს შეჰპირებია განთა-  
ვისუფლების სანაცვლოდ, მაგრამ იბრაჰიმ იინალი არ დასთანხმებია.  
იბნ ალ-ასირის ცნობით, ლიპარიტს იბრაჰიმ იინალისათვის შეუთავა-  
ზებია 300 ათასი დინარი და 100 ათასი საფასურის საჩუქრები<sup>89</sup>.

ლიპარიტის სახელი და ავტორიტეტი საქვეყნოდ განთქმული იყო  
იმ პერიოდში. მათე უარპაელი საგანგებოდ აღნიშნავს, რადგანაც ლი-  
პარიტის სახელი დიდი ხნიდან ცნობილი იყო, მისი გმირობის ამბავი  
სულთანმაც იცოდაო<sup>90</sup>. როგორც აღვნიშნეთ, ლიპარიტთან ერთად  
სელჩუკებმა ურიცხვი ნადავლით სხვა წარჩინებულებიც იგდეს ხელთ.

მუნეჯიმ-ბაში ამ ბრძოლაში ლიპარიტის საქმიანობის შესახებ მოკ-  
ლედ შენიშნავს, რომ ერთი ქაფირი ბერძენთა ბრძოლის ველზე იქნა  
დატყვევებული. რუმის იმპერატორმა მისი განთავისუფლება ითხოვა.  
თოლრულ-ბეგმა იგი გაათავისუფლა ყოველგვარი საზღაურის გარეშე.  
იმპერატორი ძალიან კმაყოფილი დარჩა და დიდი ძღვენი და საჩუქარი  
გაუზღავნაო<sup>91</sup>. ასევე მოკლედ გადმოგვცემს მიხეილ ატალიატე ლიპა-  
რიტის დატყვევების, სულთანთან ურთიერთობისა და მისი დიდი პა-  
ტივით სამშობლოში დაბრუნების ამბავს<sup>92</sup>.

ეს ბრძოლა ვ. მინორსკის აზრით, 1048 წლის 18 ივლისს მომხდა-  
რა<sup>93</sup>. ამ ბრძოლაში სელჩუკებმა არზრუმი დაიპყრეს და ვანის ტბის

<sup>88</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 387.

<sup>89</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 116.

<sup>90</sup> მათე უარპაელი, გვ. 90.

<sup>91</sup> მუნეჯიმ-ბაში, გვ. 524.

<sup>92</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 24—26.

<sup>93</sup> V. Minor sky, Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 61,  
შენიშვნა 2; მარი ბროსე ამ ბრძოლის თარიღად 1048 წლის ენკენისთვის ვარა-  
უდობს (იხ. M. Brosset, Additions et éclaircissements a l'histoire de la  
Georgie..., გვ. 227); ივ. ჯავახიშვილიც ამ თარიღს უთითებს (იხ. ქართველი ერის  
ისტორია, ტ. II, 1965, გვ. 146), რაც ყველაზე უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.  
ფრანგი მეცნიერი რენე გრუსე ამ ბრძოლის თარიღად 1049 წლის 18 სექტემ-  
ბერს მიიჩნევს (Rene Grousset, Histoire de l'Arménie des Origines  
a 1071, Paris, 1947, გვ. 589).

მიდამოებიდან მოკიდებული ტრაპიზონამდე დათარეშობდნენ. ამავე პერიოდში იბრაჰიმ იინალის მიერ განადგურებულ იქნა ყარსის მიდამოები<sup>94</sup>. არისტარქე ლასტივერტელი ნათლად გვიხატავს სელჩუკთა მიერ ყარსის სასტიკ აოხრებას, რომელსაც მისი სიტყვით, „ადრინდელი დროიდან უბედურება არ განუცდია“. სელჩუკებმა ამ ქალაქზე მოაწყვეს ღამის თავდასხმა და მოსახლეობა გაანადგურეს; მათ დაანგრეს სახლები, შემდეგ ცეცხლს მისცეს და გადასწვეს მთელი ქალაქი, თან წაიყვანეს ტყვეები და წაიღეს ქალაქის ნადავლი და წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში“<sup>95</sup>.

ლიპარიტის დატყვევება საქართველოს მეფე ბაგრატ IV-სათვის სასიხარულო უნდა ყოფილიყო, რადგან მისი გაძლიერების გამო ბაგრატ IV მეფობა უჭირდა. რაკი ბაგრატ მეფის საშიში მტერი ლიპარიტი სელჩუკებს ჰყავდათ ტყვედ, წარჩინებულებმა დრო იშოვნეს და გახიზნული მეფე ბაგრატ IV გამოიყვანეს. მემატიანე გადმოგვცემს, რომ „დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისთა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოება და გამოიყვანეს მეფე მეფედ“<sup>96</sup>.

მეფე ბაგრატ IV კვლავ ძალები მოირთო, გაძლიერდა და დაიწყო ურჩი ფეოდალებისათვის ანგარიშის გასწორება; პირველ რიგში თავისი მოსისხლე მტრის ლიპარიტის შვილები შეიპყრო და უფლისციხე ხელთ იგდო; „შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისანი, აღიღო უფლისციხე და გაუშუა ივანე“<sup>97</sup>.

ანატოლიაში იბრაჰიმ იინალის დიდი გამარჯვების შემდეგ თურქები ისევ გამოჩენილან განჯაში და მისი აღებაც უკვე გადაწყვეტილი საქმე ყოფილა, მაგრამ მის გადასარჩენად ბიზანტიის იმპერატორს დიდი ლაშქარი გაუგზავნია. ბიზანტიის იმპერატორს აჭერად ამიერკავკასიაში თავის მოიმედედ და მტკიცე მოკავშირედ არავინ ჰყავდა; მისი ერთგული ლიპარიტი სელჩუკთა ტყვეობაში იყო; ამიტომ ერთადერთი ბაგრატ IV იყო, რომელსაც შეეძლო მოკავშირეობა გაეწია ბიზანტიელებისათვის სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში; როდესაც „გამოგზავნა თავისა ნაცვლად ბერძენთა მეფემან ლიხტური ლაშქრითა დიდითა, და აწვეს ბაგრატ ყოვლითა ლაშქრითა მისითა“, საქართველოს მეფე ბიზანტიის კეისრის გულის მოსაგებად და მასთან კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად „წაჰყვა თანა, დაემართნეს თურქთა; და მოვიდეს განძას კარსა“<sup>98</sup>. მართალია, ბრძოლა არ შედ-

<sup>94</sup> Rene Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 595—596.

<sup>95</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 63.

<sup>96</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> იქვე.

გა. მაგრამ ამ გაერთიანებული ძალების მოსვლის გამო „მირიდეს ოურქთა, და დაარჩინეს განძის ქუეყანა და შემოიქცეს მშვიდობით“<sup>99</sup>.

ბაგრატ IV ამ ნაბიჯით ბიზანტიის კეისარს დაუახლოვდა და მისი გული მოიგო. გარდა ამისა, თანდათანობით მისი საშინაო საქმეებიც სწორდებოდა, რადგანაც ძლიერი მოწინააღმდეგე და საშიში მტერი ლიპარიტ კლდეკარის ერისთავი თავიდან მოშორებული ჰყავდა. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მართალია, განძისთან თურქების წინააღმდეგ ბაგრატ IV მიეშველა ბიზანტიის კეისარს და მოკავშირის როლში გამოვიდა, მაგრამ კეისარისათვის ლიპარიტის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო, როგორც თავისი პოლიტიკის გასატარებლად ამიერკავკასიაში, ისევე სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიის კეისარი თავდადებით ცდილობდა თავისი ერთგული და ძლიერი ქართველი მოკავშირის ტყვეობიდან დახსნას. ლიპარიტის დატყვევებისთანავე, ბიზანტიური წყაროს ცნობით, იმპერატორმა თოდრულ-ბეგს ლიპარიტის გასათავისუფლებლად ნოტარ გიორგი დროზი საგანგებო საჩუქრებითა და ფულით გაუგზავნა<sup>100</sup>.

მათე ურპაელის ცნობით, ლიპარიტი ტყვეობაში ორ წელიწადს ყოფილა. საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, თუ რატომ გაათავისუფლა სულთანმა ლიპარიტი. მისი გადმოცემით, ლიპარიტმა ტყვეობაში ყოფნის დროს სხვადასხვაგვარი გმირობა ჩაიდინა. ერთხელ მას სულთნის წინაშე ძლიერი მუსლიმანი ზანგი დააქიდეს. ლიპარიტმა სძლია და ზანგი მოკლა. ამის გამო სულთანმა იგი გაათავისუფლა და დიდი საჩუქრებით ბიზანტიაში გაგზავნა<sup>101</sup>.

მათე ურპაელის ეს ცნობა სინამდვილეს სავსებით არ შეესაბამება; შესაძლებელია მსგავსი რამ მართლაც ჩაიდინა ლიპარიტმა ტყვეობაში ყოფნისას და თავიც გამოიჩინა, მაგრამ ამის სანაცვლოდ თოდრულ-ბეგი მას არ გაათავისუფლებდა. უფრო სარწმუნო ჩანს სირიელი ავტორის ბარ ჰებრაის ცნობები. მას ვრცლად აქვს გადმოცემული ლიპარიტ ერისთავის ტყვეობიდან გამოსახსნელად ბიზანტიის იმპერატორის მეცადინეობა. მისი სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ არმენიის ვალის მერვან ოლღუს, რომელთანაც კეთილშეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თოდრულ-ბეგს, აცნობა: „ბიზანტიის წარჩინებულთა ტყვეობიდან გასათავისუფლებლად თქვენს დახმარებას ვითხოვ. ვიცი, რომ სულთან თოდრულ-ბეგი კეთილი გულის პატრონია. თუ თქვენ მას ჩემი სახელით თხოვთ, ის ამ ტყვეს არ დააკავებს“<sup>102</sup>.

<sup>99</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302; İslâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 365.

<sup>100</sup> К. Гаи, Известия, стр. 48.

<sup>101</sup> მათე ურპაელი, გვ. 90.

<sup>102</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 304—305.

მერვან ოღლუმ ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა თოღრულ-ბეგს გადასცა. „მანაც კეთილშობილურად შეხედა და ამის სანაცვლოდ არაფერი გამოართვა. ბიზანტიის ტყვე თავის ელჩთან ერთად ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა“<sup>103</sup>.

მერვან ოღლუს შუამდგომლობის გარდა ამ საქმიანთვის ბიზანტიის იმპერატორმა ლიპარიტის გამოსასყიდად სულთანს ელჩი გაუგზავნა ურიცხვი საჩუქრებით. სულთანმა ლიპარიტი გაათავისუფლა და ბიზანტიასთან ზავის დასადგებად თავისი ელჩი აბულ-ფაზლ ნასირ ბემ ისმაილ ალ-ალაფი გაუგზავნა<sup>104</sup>.

გიორგი კედრენეს ცნობით, როდესაც სულთანმა იმპერატორის ელჩი მიიღო, „მოინდომა ეჩვენებინა, რომ ის უფრო დიდშულოვანი მეფეა, ვიდრე უღირსი ვაჭარი, და მეფეს საჩუქრად გაუგზავნა იგი (ლიპარიტი), გამოსასყიდი აიღო, ხოლო მთლიანად ლიპარიტს მისცა და თან ურჩია: ეს დღე სამუდამოდ დაიხსომე და არასდროს არ მოინდომო იარაღის ხელში აღება თურქების წინააღმდეგ“<sup>105</sup>. იოანე ზონარას ცნობით, კეისარმა „კაცები გაუგზავნა სულტანს დიდი გამოსასყიდი თანხითა და საჩუქრებით, ითხოვა ლიპარიტის განთავისუფლება და რომაელებსა და თურქებს შორის ზავის დადება. სულთანმაც თავის მხრივ ლიპარიტის ხელით საჩუქრებიც გაუგზავნა მეფეს და მისთვის გაგზავნილი თანხაც უკან დაუბრუნა“<sup>106</sup>.

თითქოს უცნაური ჩანს წყაროთა ცნობები თოღრულ-ბეგის გულუხვობისა და ბიზანტიის იმპერატორის თხოვნისადმი ასეთი ჰუმანური დამოკიდებულების შესახებ. ერთი შეხედვით სულთანმა არავითარი გამოსასყიდი არ აიღო იმპერატორიანგან და ლიპარიტიც დიდი პატივითა და საჩუქრებით გამოისტუმრა. სულთანი ამ „გულუხვობით“ უფრო დიდ მიზნებს ისახავდა. მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ საჩუქრები. ლიპარიტის განთავისუფლებასთან ერთად, იოანე ზონარას ცნობით, სულთანმა საგანგებო ელჩი გამოუგზავნა კეისარს, რომელსაც დიდი გადასახადი მოსთხოვა. იოანე ზონარა აღნიშნავს, რომ „გამომართა სერიფი დიდი ქალაქისაკენ (ე. ი. კონსტანტინოპოლისაკენ), მე-

<sup>103</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 305; ბარ ჰებრაი მერვან ოღლუს შეცდომით არმენიის ვალიდ მიიჩნევს. ნასირ ად-დოვლე აჰმედ ბ. მერვანი ამ დროს დიარბექრის გამგებელი იყო, რომელთანაც თოღრულ-ბეგს კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

<sup>104</sup> İslâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 365; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

<sup>105</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 78.

<sup>106</sup> იქვე, ტ. 6, გვ. 238.

ფის სანახავად მოვიდა. წარუდგინა მას დიდი გადასახადი, სულტანი რომ ითხოვდა [რომაელებისაგან], და უკან გაბრუნდა<sup>107</sup>. სწორედ ამ დიდ გადასახადებს ითხოვდა სულთანი ლიპარიტის გამოსასყიდლად და არა იმ მცირე ძღვენსა და საჩუქარს, რომელსაც კეისარი უგზავნიდა მას. წყაროების ცნობით, სულთანმა ეს საჩუქრები უკან გამოატანა ლიპარიტს და თავის მხრივ კიდევ მისცა საჩუქრები. სულთანს ამ შემთხვევაში არ აკმაყოფილებდა მცირედი საჩუქარი და უფრო სასარგებლოდ მიაჩნდა ყოველწლიური დიდი ხარკის მიღება.

ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, „ლიპარიტი“ სულტანს 1051 წელს განუთავისუფლებია და ტყვეობაში ყოფილა 3 წელიწადს<sup>108</sup>. ლიპარიტთან ერთად თოღრულ-ბეგის მიერ გამოგზავნილმა ელჩმა კონსტანტინოპოლში მოლაპარაკება გამართა იმპერატორთან, ის იქ დიდხანს დარჩა. მათი შეთანხმების თანახმად იმპერატორმა კონსტანტინოპოლში არსებული დანგრეული მეჩეთი შეაკეთებინა, შიგ შუქურები ჩამოკიდა, ხალიფას მიერ გამოგზავნილ იმამებს ხუთჯერ ნამაზი აღავლენინა და იქ თოღრულ-ბეგის სახელზე ხუტბა წააკითხა. იმპერატორი მხოლოდ წლიური ხარკის გაღებაზე არ დათანხმდა და აღმოსავლეთის ქალაქების გალაგებისა და ციხეების გამაგრება დაიწყო<sup>109</sup>.

სულთანს სწორედ ყოველწლიური ხარკი აინტერესებდა, ამ გადასახადის გადაუხდელობა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ „ამ დროიდან განრისხდა სულტანი რომაელებზე და გაემართა მათ წინააღმდეგ, ამიერიდანვე დაიძრა თურქთა ტომი აღმოსავლეთიდან, დაიპყრო ყველა ადგილი და ბიზანტიის გაღმა მდებარე ქვეყნებამდე მიაღწიეს“<sup>110</sup>.

ბიზანტიის იმპერატორმა მაინც მიაღწია თავის მიზანს და სელჩუქთა ტყვეობიდან თავისი ერთგული მოკავშირე — ლიპარიტი დაიხსნა. ახლა ბიზანტიის იმპერატორს უფრო მეტი საშუალება ჰქონდა ლიპარიტი გამოეყენებინა საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად. ამიტომ იყო, რომ ტყვეობიდან დაბრუნებულ ლიპარიტს იმპერატორმა მოწყალების თვალით

<sup>107</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 238.

<sup>108</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 147.

<sup>109</sup> ბარკებრაი, I, გვ. 305, ბარკებრაის მიხედვით, უკან დაბრუნებულ ელჩს თოღრულ-ბეგთან იმპერატორმა ურიცხვი საჩუქრები გაატანა, მათ შორის „1,000 საპალნე აბრეშუმის ქსოვილი და სხვა ქსოვილები 500 სახისა, 500 ცხენი, 300 ეგვიპტური სახედარი და მსხვილფეხა საქონლის გარდა 100 თხა გაუგზავნა“ (იქვე); *Islâm Ansiklopedisi*, cüz 104, გვ. 365; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 48; *Claude Cahen, La premiere pénétration turque en Asie-Mineure (Seconde Moitié du XI<sup>e</sup> s) «Byzantion», t. XVIII (1946—1947), 1948, გვ. 16.*

<sup>110</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 239.

შეხედა; ლიპარიტის განთავისუფლებით სულ სხვა ვითარება შეიქმნა საქართველოში; ბაგრატ IV მდგომარეობა ისევ გაუარესდა; მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მომავალი საქმიანობა საქართველოში ლიპარიტისა, რომლის ზურგს უკან ამიერიდან „იყო მოყუარედ მისსა ხუარასანს დოდრულ-ბეგ სულტანი და საბერძნეთს მეფე ბერძენთა“<sup>111</sup>.

როდესაც ლიპარიტი სელჩუკთა ტყვეობაში იმყოფებოდა, ქართული წყაროს მიხედვით, „კუალად უხმეს თბილელთა და მისცეს ტფილისი ბაგრატს და შეიყვანეს შინა და იყო სიხარული და მშვიდობა დიდი“<sup>112</sup>. მაგრამ ბაგრატის ხელში თბილისი ამჯერადაც დიდხანს არ დარჩენილა. როგორც კი ლიპარიტი ტყვეობიდან გაათავისუფლეს ბაგრატმა მისი შიშით მაშინვე დატოვა ქალაქი და ჭავჭავთის წავიდა. „ამის შემდგომად დაეხსნა ლიპარიტ თურქთა, და შემოვიდა ანისს. დააგდო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტისა გზითა, აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჭავჭავთს“<sup>113</sup> — მოგვითხრობს მემატიანე.

ბაგრატ მეფე, რა თქმა უნდა, ვეღარ დაუდგებოდა წინ ლიპარიტის ძალებს, რადგანაც „მსახურებისათვის ბერძენთა მეფისა ტყუე-ქმნილი“ ქართველი ფეოდალი უხვად დასაჩუქრებული და გაძლიერებული დაბრუნდა საქართველოში. მათე ურპაელის ცნობით, „მონომახი მისი (ლიპარიტის — ნ. შ.) ნახვით ძალიან კმაყოფილი დარჩა, მას ძვირფასი საჩუქრები უბოძა და თავის სახლში — ცოლშვილთან გამოისტუმრა“<sup>114</sup>. ამასვე ადასტურებს ქართული წყაროც. ლიპარიტი „წარვიდა საბერძნეთს, და ნახა ბერძენთა მეფე და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი“<sup>115</sup>. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, „ვერღარა დაუდგა ბაგრატ“. ამასთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავიშვილი შენიშნავს, რომ „ბაგრატ მეფეს ისედაც წინააღმდეგობა ვერ გაეწია ლიპარიტისათვის და კეისრის დახმარებით ხომ ლიპარიტი სრული მბრძანებელი გახდებოდა“<sup>116</sup>. ამიტომ ბუნებრივია, საქართველოში დაბრუნებულმა ლიპარიტმა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, „დაიპყრნა თჳსნი ყოველნი“.

საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობა. თითქოს თურქთა ტყვეობიდან დაბრუნებულმა ლიპარიტმა ბიზანტიის ლაშქრის მეშვეობით საქართველოში გამოილაშქრა, ბაგრატ მეფე დაატყვევა, იმპერატორს გაუგზავნა და თვითონ გახდა მთელი სამფლობელოს ბა-

<sup>111</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

<sup>112</sup> ი ქ ე ე, გვ. 304.

<sup>113</sup> ი ქ ე ე, გვ. 303.

<sup>114</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 90.

<sup>115</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 303.

<sup>116</sup> ი ვ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 148.



ტონ-პატრონი<sup>117</sup>. სინამდვილეში, ლიპარიტს არ დაუტყვევებია ბაგრატ მეფე. მაგრამ ისე კი შეუღიწროებია, რომ ის იძულებული გამხდარა საქართველო დაეტოვებინა და ბიზანტიაში წასულიყო იმპერატორთან თავის შესაფარებლად.

ბაგრატ IV თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი, ბიზანტიაში გამგზავრებამდე, აფხაზთა მეფედ აკურთხა ქუთაისში.

თ. უორდანი 1058 წლით დათარიღებულ ბაგრატ IV მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელის დახასიათებისას შენიშნავს, რომ საქართველოში დაბრუნებული ლიპარიტი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს დაეუფლა ლიხის მთამდე და ისე შეავიწროვა ბაგრატ IV, რომ ეს უკანასკნელი აიძულა კონსტანტინოპოლში წასულიყო ლიპარიტის წინააღმდეგ დახმარების მისაღებად<sup>118</sup>.

ლიპარიტის მიერ შევიწროებული „ბაგრატი მდინარე ფაზისის, სვანთა და კოლხთა ქვეყნის გზით გაემართა და ჩავიდა ტრაპეზუნტში, და იქიდან მაცნეები გაუგზავნა მეფეს და აუწყებდა, რომ სურს სამეფო ქალაქში ჩასვლა და მასთან შეხვედრა. როდესაც მან ეს ნება მიიღო, ჩავიდა ბიზანტიაში“<sup>119</sup>.

ბაგრატის საქართველოდან წასვლით ლიპარიტი სრული ბატონ-პატრონი ხდებოდა ქვეყნისა. ლიპარიტმა სრულ გამარჯვებას მიაღწია ბაგრატ IV-თან კიდილში, თვითონ გახდა საქართველოში ყოვლის შემძლე. მეფე კი საზღვრებიდან გადახვეწა. ივ. ჭავჭავიძის მიხედვით ლიპარიტის სიძლიერის ნიშნად იმას მიიჩნევს, რომ „ბაგრატმა ბიზანტიაში გამგზავრებამდე თავისი შვილი გიორგი მთელი საქართველოს, ქართლის, მესხეთისა და აფხაზეთის მეფედ კი არ დასვა, არამედ მარტო „სამეფოსა ზედა აფხაზეთისას“. როგორც ჩანს, ქართლი და მესხეთი ლიპარიტსა სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა“<sup>120</sup>. ივ. ჭავჭავიძის დაკვირვებით, ბაგრატ IV ბიზანტიაში წასულა 1054 წელს და იქ სამი წელი დაუყვია, 1057 წელს დაბრუნებულა<sup>121</sup>.

მაქსიმე ბერძნიშვილის ვარაუდით, ბაგრატ IV დედითურთ კონსტანტინოპოლში ჩავიდოდა 1052 წელს. ის იქ იყო უკვე 1052 წლის აპრილის შემდეგ<sup>122</sup>.

<sup>117</sup> Всеобщая история Вардана Великого, стр. 361.

<sup>118</sup> Ф. Ж о р д а н и я, К материалам по истории Грузии XI—XII вв., М., 1895, стр. 9—10.

<sup>119</sup> გეორგიჯა, ტ. 5, გვ. 67—68.

<sup>120</sup> ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 148.

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> მაქსიმე ბერძნიშვილი, ტურინოს კომპილაციის გამო, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, გვ. 163—164.

ბიზანტიამი ბაგრატის სამი წლით შეგვიანება იქვე ლიპარიტის მიერ მოწყობილი საქმე იყო. მემატიანე შენიშნავს, რომ „ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერლარა შემოიქცა ბაგრატ. თავის მამულსა ზუდა; და დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა“<sup>123</sup>.

გიორგი კედრენეს გადმოცემით, ბაგრატმა, ბიზანტიამი ყოფნიასა, უსაყვედურა კეისარს საქართველოს მეფეზე უფრო მეტი პატივიაცემისა და ყურადღების გამოჩენა ლიპარიტისადმი. ამავე დროს საგრატ მეფემ მას ლიპარიტთან შერიგება სთხოვა. იმპერატორმა თხოვნა შეუსრულა და ასე შეათანხმა: „ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო, ლიპარიტი — ერთი ნაწილის, მესხეთის მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს სცნობს ბატონად და მეფედ“<sup>124</sup>. ამ ცნობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ, მაშასადამე, ბაგრატი უნდა ყოფილიყო „მთელი იბერიისა და აფხაზეთის არხეგოსად, ხოლო ლიპარიტი. სანამ ცოცხალი იყო, მესხეთის მთავრად (არხონტად)“<sup>125</sup>. ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრების გამო ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ „ლიპარიტი — თანახმად ბიზანტიის კეისარის წყალობით დადებული ზავისა — მთელი მესხეთის მეთაურად კი არ იქმნა აღიარებული, არამედ მხოლოდ ნაწილის. გიორგი კედრენე იხსენიებს ლიპარიტს არხონტად და არა არხეგოსად, და სრულიად სამართლიანადაც: ლიპარიტი შეიძლება იყოს მესხეთის ნაწილის მხოლოდ არხონტად, რადგან არხეგოსი ბაგრატ მეფეა, რომელსაც ხელშეკრულების ძალით თვით ლიპარიტი სცნობს პატრონად და მეფედ“<sup>126</sup>.

ს. ყაუხჩიშვილს „ტურინოს კომპილაციისა“ და კედრენეს ცნობების საფუძველზე ბაგრატ-ლიპარიტის ურთიერთობაში შენიშნული აქვს ახალი მომენტი. კერძოდ, მისი დაკვირვებით, „კეისარი კონსტანტინე მონომახი იმის საფასურად, რომ მან დააზავა ბაგრატ მეფე და აჯანყებული ლიპარიტი, ახდენს საქართველოს ზოგიერთი ნაწილის ანექსიას. ტფილისის, ანისის (რომელიც მაშინ საქართველოს ეკუთვნოდა) „ოტრუ“-დ წოდებული ქვეყნისა და კიდევ ზოგიერთი სხვა ადგილების, რომლებსაც ტურინოს კომპილაციის ავტორი ქართველების სამფლობელოდ თვლის (არბე, კასტროკომი, ვანი)“<sup>127</sup>.

ბაგრატ IV კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ამ შეთანხმებითა და თავის ურჩ ფეოდალთან შერიგებით. ბაგრატის საქართველოში არყოფნის დროს ლიპარიტი უფრო განდიდდა. მან მთელი რიგი ღონისძი-

<sup>123</sup> ქართლის ცხოვრება I, გვ. 303.

<sup>124</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 68.

<sup>125</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 148.

<sup>126</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ტურინოს კომპილაციისათვის, გვ. 352.

<sup>127</sup> იქვე, გვ. 353.

ბები ჩაატარა საქართველოში თავისი ხელისუფლებისა და ავტორიტეტის გასაძლიერებლად. ბაგრატ მეფის საქართველოში დაბრუნებისთანავე, იმპერატორთან შეთანხმების თანახმად, „ლიპარიტ მოიჩქუნა ზემოა კერძსა დაუკლებელად... ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუეპოთი კერძი დაწყობით“<sup>128</sup>.

ლიპარიტი კვლავ ძლიერ და გავლენიან პირად დარჩა საქართველოში, რადგანაც მას ზურგს უმაგრებდა, როგორც ბიზანტიის კეისარი. ისე სელჩუკთა სულთანნი თოღრულ-ბეგი, რომელთანაც სამი წელი ტყვეობაში გაატარა. თ. ჟორდანიას შენიშვნით, ლიპარიტი აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა 1050—1056 წლებში, ვიდრე ის მოულოდნელად არ დაიპირეს და ბაგრატ მეფეს არ გადასცეს, ამ უკანასკნელმა კი მას წაართვა ყველა მამული და კლდეკარის ციხე<sup>129</sup>.

ლიპარიტ ერისთავი ძალიან საინტერესო პიროვნებაა მთელი იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი დიდ როლს ასრულებდა ამ პერიოდის მახლობელი აღმოსავლეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში და საყოველთაოდ ცნობილი და ძლიერი ფეოდალი იყო, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ როგორც საქართველოსა და ბიზანტიის მბრძანებლები, ისე სელჩუკიანი სულთანიც<sup>130</sup>.

წყაროებში აღნიშნულია, რომ 1050 წელს ბიზანტიელთა მიერ მისი ელჩების შეურაცხყოფით გაბრაზებული სულთანი თავს დაესხა ბიზანტიელთა ქვეშევრდომებს. ის კომიამდე მოვიდა, მაგრამ ხელთ ვერაფერი იგდო, რადგან მოსახლეობა ციხეებში გამოიკეტა. ეს ციხეები

<sup>128</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 304.

<sup>129</sup> Ф. Ж о р д а н и я, К материалам по истории Грузии XI—XII вв. стр. 10.

<sup>130</sup> ლიპარიტისა და მისი დინასტიის შესახებ იხ. Э. Т а к а й ш в и л и, Сигель Грузинского царя Баграта IV (1027—1072), «Записки Восточного Отд. Императ. Русского Археол. Общ-ва», СПб., 1895, стр. 65—66; Ф. Ж о р д а н и я, К материалам по истории Грузии XI—XII вв., стр. 9—10; B r o s s e t M., Additions et éclaircissement a l'histoire de la Georgie, 1851, St.-Petersbourg, გვ. 214—216; U r f a l i M a t e o s, გვ. 85—90; С. Е р е м я н, Приемники полководца Липарита и вопрос происхождения рода Данишмандидов. «Известия АН Арм. ССР», общественные науки, № 8, 1947, Ереван, стр. 65—79 (სომხურ ენაზე); О великом Нахарапстве Орбеллианов, Исследования и статьи Н. О. Э м и н а, Москва, 1896; ვ. ქ ვ ა ლ ი ა ნ ი, კლდეკარის საერისთავო, 1949, თბ. (ხელნაწერი); ვ. ქ ვ ა ლ ი ა ნ ი, ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის-ძის ურთიერთობიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., გვ. 241—277; მ. ქ ა ხ ა ძ ე, ლიპარიტ ლიპარიტის-ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, „ენიმეის მოამბე“, XIV, 1944.

იბერიაში მდებარეობდა და კარგადაც იყო გამაგრებული. სულთანის იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო „ძალიან გაჭავრებული და რაღაც დიდი ბოროტების ჩადენის მსურველი“<sup>131</sup>. ამავე წყაროს ცნობით, როდესაც იმპერატორმა შეიტყო სელჩუკთა ძალების შემოჭრის ამბავი, „შეაიარაღა თხუთმეტი ათასი პაქჩანიკი და გადასხა ხრისოპოლისში. მეგზურად გააყოლა მათ პატრიციოსი კონსტანტინე, რომელიც მათ იბერიაში მიაცილებდა... მელიტენემდე მოვიდნენ“<sup>132</sup>, აქ მათ თათბირი გამართეს იმის თაობაზე, განეგრძოთ წინსვლა თუ გამაგრებულიყვნენ და მოეგერიებინათ სელჩუკთა თავდასხმები. ერთი ნაწილის მოსაზრებით „არავითარ შემთხვევაში იბერიაში მისვლა არ იყო საჭირო, ამ შორეულ და უცხო ქვეყანაში, სადაც მტრებად თვლიან არა მარტო რომაელთა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაც“<sup>133</sup>. ეს ცნობა მეტად საინტერესოა ქართველთა და ბიზანტიელთა ურთიერთობის თვალსაზრისით. ამჟამად, რომ ბიზანტიელები მხარდაჭერას ვერ პოულობენ საქართველოში, რადგან ქართველებისათვის ისინი ისეთივე დამპყრობელები იყვნენ, როგორც სელჩუკები.

სელჩუკთა ამიერკავკასიაში ლაშქრობისას დიდ წარმატებებს მიიღწია იბრაჰიმ იინალმა. თორღულ-ბეგს იბრაჰიმ იინალის ასეთი წარმატებანი ბიზანტიის მიმართ ერთი მხრივ ახარებდა, მაგრამ ამასთან სულთანი აშკარად გრძნობდა მის მოსალოდნელ განდგომას. ამიტომ ფიქრობდა როგორ მოეშორებინა თავიდან და საამისო საბაბსაც ეძებდა. სელჩუკთა შორის წინააღმდეგობისა და პირველობისათვის სწრაფვის დამადსტურებელია გიორგი კედრენეს ცნობა, სადაც იგი ლიპარიტის დატყვევებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იბრაჰიმ იინალმა „სულტანს მოაჩვენა ისე, თითქოს ძალიან გაიხარა ლიპარიტის დატყვევებით, ხოლო ძმის ასეთი ბედნიერი წარმატება შურდა, და ყოველნაირად ცდილობდა და საბაბსაც ეძებდა, რომ ის თავიდან მოეშორებინა“<sup>134</sup>.

იბრაჰიმ იინალი, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ბრძოლები ბიზანტიის კოალიციურ ლაშქართან, ერაყისა და ალჟირისაკენ გაემართა; იგი მეტად გაძლიერდა აზერბაიჯანში და თორღულ-ბეგის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდა. მან თორღულ-ბეგს მოსთხოვა ჯიბალის რაიონი, მაგრამ სულთანს წინ ველარ დაუდგა და იძულებული გახდა სერმაჯის ციხეში გამოკეტულიყო. მაგრამ შემდეგ მაინც ძალაუვნებურად გამოცხადდა სულთნის წინაშე და ცოდვები მოინანიო. სულთანმა

<sup>131</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 80.

<sup>132</sup> ი ქ ვ ე. გვ. 79.

<sup>133</sup> ი ქ ვ ე.

<sup>134</sup> ი ქ ვ ე. გვ. 78.

ამჯერადაც შეიწყნარა იგი და კვლავ ჯიბალისა და აზერბაიჯანის გამგებლად დასტოვა<sup>135</sup>. თოღრულ-ბეგს ადრე ასევე უფლისწული ყუთულ-ნიშიც აუჯანყდა. მანაც მოინანია თავისი დანაშაული. თოღრულმა ის თან წაიყვანა ბაღდადში<sup>136</sup>. თოღრულ-ბეგმა ისფაჰანი ბაღდადის ბუვეიანთა შთამომავლებს ხელიდან გამოატაცა და შემდეგ თავისი ძალების ერთი ნაწილი ხუზისტანის რაიონის დასაპყრობად გაგზავნა. ცარსში ბუვეიანთა შთამომავლების საბოლოოდ განადგურების შემდეგ ხუზისტანსა და ალყირში სელჩუთა ხელისუფლება გაავრცელა<sup>137</sup>.

იბრაჰიმ იინალის ამიერკავკასიასა და ანატოლიაში წარმატებით ლაშქრობებიდან რაჰდენიმე წლის შემდეგ თვითონ თოღრულ-ბეგმა მოაწყო მარბიელი ხასიათის ლაშქრობები ამ ტერიტორიებზე. თ. ყორღანის ცნობით, თოღრულ-ბეგს 1053 წელს ულაშქრია საქართველოში. მისი დაკვირვებით, სელჩუთა ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს (1050—1053 წწ.). სელჩუტებს მხოლოდ საქართველოს სამხრეთი ნაწილი — სამცხეს რაიონი გაუნადგურებიათ<sup>138</sup>.

თოღრულ-ბეგის საქართველოში ლაშქრობის მიზეზი, ბიზანტიური წყაროს ცნობით, სულთანის წინააღმდეგ ყუთულშიშის აჯანყება ყოფილა. როდესაც სულთანს იბრაჰიმ იინალი აუჯანყდა, მას მიემხრო ყუთულშიში და მის დევნაში ლაშქრით საქართველოში შეიჭრა. სულთანმა გაანადგურა და დასწვა ყველაფერი, რასაც მისწვდა. იმპერატორმა სასწრაფოდ გამოიძახა მხედართმთავარი აკოლიტი და იბერიაში გაგზავნა. როცა სულთანმა ბიზანტიელთა ლაშქრის მოსვლა გაიგო, აშალა თავისი ბანაკი და წავიდა. გიორგი კედრენეს ცნობით, „სულტანი მას (ალბათ ყუთულშიშს — ნ. შ.) უკან დაედევნა და თავისი ჯარებით იბერიაში მოვიდა. ეს რომ ყუთულშიშმა შეიტყო, გაიქცა საბასკენ და ბედნიერი არაბეთისაკენ. სულტანი რომ იბერიაში ჩავიდა, რაც კი შეხვდა გზაზე დაარბია და გადაასწვა. ამიტომ მეფემ სასწრაფოდ დაიბარა დასავლეთიდან მიხაელ აკოლუთოსი და იბერიაში გაგზავნა. ეს რომ იქ ჩავიდა, შეკრობა ხალდიასა და იბერიაში გაბნეული ფრანგები (ბრანჯები) და ვარანგები და იჩქაროდა რამენაირად შეეფერხებინა სულტანის თავდასხმები (სულტანი აიყარა და თავრიზისკენ წავიდა)“<sup>139</sup>. საინტერესოა, რომ თოღრულ-ბეგის ამ ლაშქრობას საქარ-

<sup>135</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 6; Islâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 365.

<sup>136</sup> M. H. Y i n a n ç, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

<sup>137</sup> Islâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 365.

<sup>138</sup> Ф. Ж о р д а н и я, К материалам по истории Грузии XI—XII вв., стр. 7.

<sup>139</sup> გეორგიე, ტ. 5, გვ. 81.

თველოში ბიზანტიური წყარო 1052 წელს იხსენიებს. არაბული და სირიული წყაროების მიხედვით, 1054—55 წლებში თოდრულ-ბეგმა თვითონ ილაშქრა ბიზანტიის ქვეყნების წინააღმდეგ.

როდესაც თ. ჟორდანია სელჩუკთა 1053 წ. შემოსევებზე ლაპარაკობს, მ. ბროსეს გამოკვლევას ეყრდნობა<sup>140</sup>. მართალია, მ. ბროსე დაბეჭდილებით აღნიშნავს 1053 წლისათვის სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის შემოსვლას იბერიაში და მოსახლეობის განადგურებას, მაგრამ წყაროს არ იმეორებს. მას ალბათ ზემოთ მოტანილი ბიზანტიური წყარო ჰქონდა მხედველობაში. სირიულ, სომხურ, არაბულ და ქართულ წყაროებში მსგავსი ცნობები არ მოიპოვება.

წყაროების მიხედვით ცნობილია თოდრულ-ბეგის შემოსევები 1054/5 წელს ანატოლიასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით სომხეთსა და აზერბაიჯანში, მაგრამ არაფერია ნათქვამი სელჩუკ უფლისწულთა დასჯის მიზნით სულთნის დადევნებისა და მათი იბერიაში შეჭრის შესახებ, როგორც ეს კედრენეს აქვს აღნიშნული.

ბარ ჰებრაის ცნობით, 1054 წელს „როქნ ედ-დინ თოდრულ-ბეგმა ირანელთა მთელი ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ პირი ბიზანტიისაკენ იბრუნა და მანასკერტის ციხეს თავს დაესხა. მართალია, აქ ერთხანს დარჩა, მაგრამ ციხე ვერ აიღო, თუმცა მისი შემოგარენი ხელთ იგდო, შემდეგ არზრუმის ქვეყნები დაიპყრო... თოდრულ-ბეგმა ზამთარი აზერბაიჯანში გაატარა და ისევ ბიზანტიისკენ სურდა დაბრუნება“<sup>141</sup>. ბარ ჰებრაის ცნობას ადასტურებს გიორგი კედრენეს მონაცემებიც, რომელიც აღწერს ამ პერიოდში ბიზანტიის განაპირა ტერიტორიებზე სელჩუკთა გამუდმებული თავდასხმების შედეგად შექმნილ ვითარებას. მისი სიტყვით, ამ ტერიტორიებზე სელჩუკთა თავდასხმების შედეგად, ყველაფერი ინგეროდა და ნადგურდებოდა. „იბერიის მღვდარი ქვეყანაც, რომელმაც უკვე წინათაც განიცადა რბევა და დასუსტებული იყო, საბოლოოდ დაეცა და განადგურდა“<sup>142</sup>. კედრენეს ცნობაში ნათლად ჩანს სელჩუკთა შემოსევის შედეგად საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში შექმნილი ვითარება.

თუ აქამდე თოდრულ-ბეგი დასავლეთის მხარეში ცალკეული უფლისწულების გაგზავნით კმაყოფილდებოდა, ამიერიდან თვითონ ჩაუდგა სათავეში ამ მიმართულებით ლაშქრობას; ამ პერიოდისათვის მან თითქმის მთელი ირანი დაიპყრო, საკმაოდ განიმტკიცა მდგომარეობა

<sup>140</sup> M. Brosset, Additions et éclaircissements a l'histoire de la Georgie, გვ. 225—226.

<sup>141</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 306.

<sup>142</sup> გეორგიკა, ტ. 5, გვ. 82.

აღმოსავლეთში და მთელი ყურადღება ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ მიმართა<sup>143</sup>.

თორულ-ბეგის მიერ ამ პერიოდში სომხეთსა და აზერბაიჯანში ლაშქრობის შესახებ დაწვრილებით ცნობებს იძლევიან მათე ურჰაელი, არისტარქე ლასტივერტელი, იბნ ალ-აირი და სხვები. მათე ურჰაელის მიხედვით, თორულ-ბეგი 1054—55 წელს ირანიდან ურიცხვი ლაშქრით გამოვიდა, სომხეთისაკენ გაილაშქრა, ქალაქ ბერგრიში<sup>144</sup> მოვიდა და იერიშით აიღო. ვინც წინ აღუდგა დაზოცა და დაატყვევა. სხვა ქალაქებიც გაანადგურა და ხალხი გაელიტა<sup>145</sup>.

თორულ-ბეგის მიერ სომხეთის წინააღმდეგ მოწყობილი ამ ლაშქრობის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები აქვს შემონახული არისტარქე ლასტივერტელს. მისი ცნობით, თორულ-ბეგმა ლაშქარი ოთხ ნაწილად დაყო. ლაშქრის სამი ნაწილი სომხეთის შუაგულისა და ჩრდილოეთისაკენ წამოვიდა და პონტოს, ტაოს და ჭოროხის ნაპირებამდე ყველაფერი მოაოხრა. ლაშქრის მეოთხე ნაწილს კი, რომელიც მანასკერტის ალყის შემოსარტყმელად წამოიყვანა, თვითონ მეთაურობდა. წყაროში ნათქვამია: თორულ-ბეგი მოვიდა „ქალაქ მანასკერტთან და ყველა ფართო ველ-მინდვრებს დაეპატრონა. მან მარბიელი ჯარი მოჰფინა ქვეყნის სამ მხარეს. ჩრდილოეთით — აფხაზთა ციხემდე, და პარზარის მთამდე და კავკასიის მთის კალთებამდე, დასავლეთით ჭანეთის ტყემდე, ხოლო სამხრეთით — სიმის მთამდე“ დაიპყრეს ნიელი ქვეყანა...<sup>146</sup>.

სელჩუკთა მიერ ამ რაიონში ჩადენილი ძარცვა-გლეჯის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ სომეხი ისტორიკოსები. საინტერესოა, რომ სომეხი ისტორიკოსები, რომლებიც დაწვრილებით აღწერენ სელჩუკთა მიერ სომხეთისა და ბიზანტიის წინააღმდეგ 1054/5 წელს მოწყობილ ლაშქრობებს, არაფერს ამბობენ მანამდე თორულ-ბეგის აზერბაიჯანში შემოსვლაზე. იბნ ალ-აირის ცნობით, სელჩუკებს ჯერ აზერბაიჯანი დაუმორჩილებიათ. თორულ-ბეგს მთელი ეს მხარე უბრძოლველად დაუკავებია. აქ მისთვის საჩუქრები მიუერთმევიათ და მისი უზენაესობის ცნობის ნიშნად მის სახელზე ხუტბა წაუყითხავთ. ამ

<sup>143</sup> მ. ქომენი აღნიშნავს, რომ მართალია, პირადად თორულ-ბეგის მიერ ანატოლიაში ლაშქრობის შესახებ წყაროები არაფერს გვაძენობენ, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, იგი პირველი სელჩუკი მბრძანებელია იმ ტერიტორიებისა, რომელსაც დღევანდელი თურქეთი მოიცავს. იხ. M. A. Köymen, Selçuklu Devri Türk Tarihi, Ankara, 1963, გვ. 248.

<sup>144</sup> ბერგრი, ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით და არქუშის აღმოსავლეთით მდებარეობს. დღეს ვანის ვილაიეთში ბერგრი ამავე სახელწოდების კაზას ცენტრია.

<sup>145</sup> მათე ურჰაელი, გვ. 100; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

<sup>146</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 63.

შხარის გამგებელმა ვაჰსუდინმა მას თავისი შვილი გაატანა მძევლად<sup>147</sup>. თორღულ-ბეგი თავრიზიდან განჯისკენ გაემართა. ადგილობრივმა გამგებელმა აბულ-ასვარამაც ვასალური დამოკიდებულება იკისრა თორღულ-ბეგის მიმართ, ძვირფასი საჩუქრები მიართვა და მძევლები გაატანა. თორღულ-ბეგის სახელზე მანაც ხუტბა წააკითხა. ანუ მოიქცნენ აზერბაიჯანის სხვა გამგებელი ფეოდალებიც, რომლებმაც ამ გზით ძალაუფლება შეინარჩუნეს. იბნ ალ-ასირის ცნობების მიხედვით, თორღულ-ბეგს სომხეთში გამოლაშქრებამდე თითქმის უბრძოლველად დაუპყრია მთელი აზერბაიჯანი. მუნეჯიმ-ბაში შენიშნავს, რომ 446 (1054/5) წელს სელჩუკები აზერბაიჯანში, არანსა და შირვანში შემოიჭრნენ. მათი გამგებლები დაიმორჩილეს, მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს, შემდეგ რუმის ვილაიეთში გაილაშქრეს და მრავალი ტყვე და დიდი ქონება იგდეს ხელთ<sup>148</sup>. რუმის ვილაიეთში ამ შემთხვევაში სწორედ სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიები<sup>149</sup> იგულისხმება. მ. შერიფლი შენიშნავს, რომ სელჩუკებმა 1020 წლიდან 1054 წლამდე აზერბაიჯანში ოთხჯერ ილაშქრეს, მოსახლეობა გაანადგურეს, დაატყვევეს და დიდი ნადავლი ჩაიგდეს<sup>150</sup>.

აზერბაიჯანის უბრძოლველად დამორჩილების შემდეგ თორღულ-ბეგი პირდაპირ სომხეთის მიმართულებით წამოსულა, რის შესახებაც დაწვრილებით მოგვითხრობენ სომეხი ისტორიკოსები. სამაგიეროდ, იბნ ალ-ასირი უფრო სიტყვაძუნწია სელჩუკების სომხეთსა და ბიზანტიის ტერიტორიების წინააღმდეგ ლაშქრობის აღწერისას. სომეხ ისტორიკოსებს სელჩუკთა სომხეთის ტერიტორიაზე გამოჩენა და მათ მიერ მანასკერტში მისვლამდე ჩატარებული ღონისძიებები საკმაოდ ვრცლად აქვთ გადმოცემული. ისინი მოგვითხრობენ, რომ როგორც კი სელჩუკებმა ფეხი შედგეს სომხეთის ტერიტორიაზე და ქალაქი ბერჯრი აიღეს, მაშინვე არქეშში მოვიდნენ, რვა დღის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ, მოსახლეობის წინააღმდეგობა გასტეხეს და დაიმორჩილეს. სულთანს დიდი სიმიდრე ჩაუვარდა ხელში. მოსახლეობამ თორღულ-ბეგს უამრავი საჩუქრები მიართვა და ურჩია მანასკერ-

<sup>147</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 117; შდრ. История Азербайджана, I, Баку, 1958, стр. 138.

<sup>148</sup> მ უ ნ ე ჯ ი მ - ბ ა შ ი, გვ. 525.

<sup>149</sup> მინორსკის აზრით, მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში აღნიშნული რუმის ქვეყანა ნიშნავს საქართველოს იხ. V. Minorsky, Studies in Caucasian History, the oriental series of the University of Cambridge, vol VI, გვ. 65; შდრ. რ. კ ი ე ნ ა ძ ე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 114, შენიშვნა 21; შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 56.

<sup>150</sup> M. X. Ш е р и ф л и, Азербайжан IX—XII эсрлэрдэ. Труды Института истории АН Азербайджанской ССР, т. XII, 1957, Баку, стр. 64.



ტრაკენ გალაშქრება. თორღული არქეშიდან კმაყოფილი წავიდა და პირდაპირ მანასკერტიაკენ გაილაშქრა. იგი ქალაქს მიადგა და ბრძანა მისი იერიშით აღება. ქალაქის მოსახლეობამ ყოველგვარი ზომა მიიღო გალავნის განაპირებლად. მანასკერტის დაცვას მეთაურობდა უფლისწული ვასილი, რომელიც მამით სომეხი იყო, დედით კი — ქართველი. ის ბიზანტიის იმპერატორის მიერ მანასკერტის გამგებლად იყო დანიშნული. მათე ურჰაელს ვრცლად აქვს აღწერილი ადგილობრივი მოსახლეობის ცდა ქალაქის გასამაგრებლად და თორღულ-ბეგის ღონისძიებანი ზღუდის დასანგრევად. მისი ცნობით, თორღულ-ბეგმა კედელსანგრევი მანქანებიც კი მოატანინა, მაგრამ ქალაქის მცხოვრებნი ისე თავდადებით იბრძოდნენ, რომ სულთანი იძულებული გახდა უკან დაეხია და ხელი აეღო თავის განზრახვაზე. მან ციხე დატოვა, რადგანაც ზამთარი ახლოვდებოდა. საგანგებოდ მოტანილი კედლის სანგრევი მანქანები ქალაქის მოსახლეობამ გაანადგურა<sup>151</sup>.

წყაროების მიხედვით, მანასკერტის დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ ევროპელთა დაქირავებული ჯარის ნაწილები. თორღულ-ბეგის კედლის სანგრევი იარაღების განადგურებაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ნორმანდიელებმა. ქალაქის ხელში ჩაგდებას ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. მ. ქოიმენის გამოკვლევით, ამ გარემოცვაში თორღულ-ბეგს მხოლოდ 400 კაცი ჰყავდა. ზამთრის მოახლოების გამო მან ერთთვიანი ალყა მოხსნა და აზერბაიჯანში გადავიდა იმ განზრახვით, რომ გაზაფხულზე ისევ განაახლებდა თავდასხმას, მაგრამ ხალიფასაგან მოწვევა მიიღო და რეიზე გელით ბალდაღში წავიდა. ამის შემდეგ თორღულ-ბეგი ანატოლიასა და ამიერკავკასიაში არ გამოჩენილა<sup>152</sup>.

თორღულ-ბეგის მიერ ამ წელს მოწყობილი ლაშქრობებიდან მანასკერტი ერთადერთი იყო, სადაც მან მარცხი განიცადა, ამავე დროს მისი ლაშქრის ნაწილები ამავე რაიონში განაგრძობდნენ ბრძოლას. მათ მოახერხეს ვანის ტბის სანაპიროებზე მდებარე ქალაქების აღება; ლაშქრის ერთმა ნაწილმა ქოროხის აუზში ბაიბურთის აღებაც შეძლო და შემდეგ ტრაპიზონის რაიონში დაიწყო თავდასხმები. ასევე, პარალელურად წარმოებდა თავდასხმები აღრისა და ყარსის რაიონებში<sup>153</sup>.

<sup>151</sup> მათე ურჰაელი, გვ. 100—102; არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 67—71; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 48; Rene Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 596—8.

<sup>152</sup> M. A. Köymen, Selçuklu Devri Türk Tarihi..., გვ. 251.

<sup>153</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 48; Cl. Cahen, Le première pénétration turque en Asie-Mineure (Seconde Moitié du XI<sup>e</sup>s) «Byzantion», XVIII, გვ. 17.

ისინი აქ ბიზანტიის ლაშქრის წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. როდესაც თოდრულ-ბეგის ძალები ანატოლიაში მოქმედებდნენ და ზედიზედ იპყრობდნენ ბიზანტიის ტერიტორიას, იბნ ალ-ასირის ცნობით, თოდრულ-ბეგს მორჩილება გამოუცხადა დიარბექრის გამგებელმა ნასირ ად-დოვლე იბნ მერვანმა, რომელმაც სცნო მისი უზენაესობა და, რაც მთავარია, მის სახელზე ხუტბა წააკითხვინა მეჩეთში<sup>154</sup>.

იბრაჰიმ იინალის ექსპედიციებთან შედარებით პირადად თოდრულ-ბეგის ანატოლიაში ლაშქრობების უპირატესობას თურქი ისტორიკოსი მ. ქოიმენი იმაში ხედავს, რომ თოდრულ-ბეგის ლაშქრობის ობიექტი უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ამასთანავე ბიზანტიელი მხედართმთავრები სელჩუკ-მბრძანებელთან შეხვედრისას თავს დამარცხებულად ცნობდნენ და გარბოდნენ<sup>155</sup>.

1054/5 წ. თოდრულ-ბეგის მიერ ანატოლიასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში მოწყობილ ექსპედიციებს თან სდევდა ამ მხარის საშინელი აოხრება-განადგურება. არისტარქე ლატივერტელი გვიხატავს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც სელჩუკთა შემოსევების შედეგად შეიქმნა ამიერკავკასიაში. იგი წერს: „მთელი ქვეყანა გვაშინებდა აივანო. ნაშენი და უშენი... ყველა სამოსახლო ადგილები ცეცხლს მისცეს. გადაწვეს სახლები და ეკლესიები... ააოხრეს ჩვენი ქვეყანა, არა თუ ერთხელ, სამჯერ ერთმანეთის მიყოლებით, სანამ საჯავბით არ ამოწყდა მოსახლეობა“<sup>156</sup>. ავტორის სიტყვით, სელჩუკთა თავდასხმების შედეგად „ქვეყანა აოხრებული, მცხოვრებთაგან დაცარიელებული, ქალაქები დანგრეული, ველები ყამირად და ნარ-ეკლიან [ადგილებად] ქცეული“<sup>157</sup> წარმოგვიდგება.

აი, ასეთი საშინელება დაატრიალეს სელჩუკებმა სომხეთის ტერიტორიაზე და ასევე იქცეოდნენ ისინი ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევებისას მოსახლეობა ან დაიფანტა და გაიქცა სხვადასხვა ქვეყნებში, ანდა დაიხოცა მათთან ბრძოლაში. სელჩუკთა მიერ სომხური პროვინციების ასე განადგურების საქმეს, ჩანს, გულგრილად უყურებდა ბიზანტიის ხელისუფლებმა აღმოსავლეთში თავისი არაშორსმკვრეტელური პოლიტიკის მეოხებით. განსაკუთრებით სუსტი იყო ბიზანტიის დამხარება სომხეთის სასაზღვრო ზოლისა და ციხე-სიმაგრეების გამაგრების საქმეში. ამით სელჩუკებს უფრო ფართო ასპარეზი ეძლეოდათ თავდასხმებისათვის.

<sup>154</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 117.

<sup>156</sup> M. A. K ö y m e n, Selçuklu Devri Türk Tarihi, გვ. 251.

<sup>157</sup> არისტარქე ლატივერტელი, ისტორია, გვ. -63.

<sup>157</sup> იქვე, გვ. 81.

თოღრულ-ბეგის ამ ლაშქრობის დროს ყველაზე მეტად დაზარალდა ბიზანტიის სომხური პროვინციები, მაგრამ გამორიცხული არ იყო, რომ სელჩუკთა ტალღა ამ დროს საქართველოსაც გადასწვდომოდა. სელჩუკთა ასეთი გრანდიოზული ექსპედიციები საქართველოს მეზობელ ქვეყნებში არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ასახულიყო ქართულ სინამდვილეში. საინტერესოა ერთი თურქული ქრონიკა, სადაც დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს თოღრულ-ბეგმა დაიპყრო საქართველო. წყაროში არ არის მოყვანილი არც თარიღი. არც სხვა რაიმე ფაქტები. იქ პირდაპირ ჩამოთვლილია ის ქვეყნები, რომელთა დაპყრობა თოღრულ-ბეგმა მოახერხა. აღნიშნულია, რომ თოღრულ-ბეგმა დაიპყრო ერავი, აზერბაიჯანი, მაზანდარანი, ყოქესთანი, და საქართველო<sup>158</sup>. სამწუხაროდ, თოღრულ-ბეგის მიერ საქართველოს დაპყრობის დამადასტურებელი სხვა ცნობები ჩვენ ვერ მოვიძიეთ. ამ წყაროს ავტორს ალბათ მხედველობაში ჰქონდა სამხრეთ-საქართველოს ის მოსაზღვრე ტერიტორიები, რომლებიც სელჩუკთა ბიზანტიის სომხურ ტერიტორიებზე თავდასხმის დროს დაზარალდა. თურქული ქრონიკის ზემოთ მოტანილ ცნობას თოღრულ-ბეგის საქართველოში შემოსევის შესახებ ავსებს და აკონკრეტებს არისტარქე ლასტივერტელი. იგი აღნიშნავს: „ხოლო ტაოს ქვეყანაში შეკრიბილ მტრები, მთელი ქვეყნის დამპყრობნი, მოვიდნენ მდინარე ჭოროხამდე და მისი დინების გაყოლებით წავიდნენ ქალდიის ქვეყანაში და ააოხრეს და ტყვედ წაიყვანეს რა [ხალხი] უკან მობრუნდნენ და მოვიდნენ ბაბერდის ციხე ქალაქამდე“<sup>159</sup>.

სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულების შესახებ სელჩუკთა ასეთი შემოტევების მიმართ. არც ამ პერიოდში საქართველოში სელჩუკთა ლაშქრობის შესახებ გვაქვს რაიმე ცნობა. საინტერესოა თ. ჟორდანიას ცნობა, რომ თითქოს სელჩუკები თოღრულ-ბეგის მეთაურობით საქართველოს სამხრეთ ნაწილს შემოესივნენ 1050—1053 წლებში, მაგრამ IV-ის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს, ხოლო უფრო მოგვიანებით 1055 წელს სელჩუკთა მიერ განადგურებულ იქნა მესხეთის ნაწილი, ახლანდელი ოლთისისა და არტაანის მხარე. იგი აღნიშნავს: «В 1055 г. эта самая Месхийская область (ныне Олтийская и Ардаганская) была снова опустошена сельджукскими турками, приглашенными Эрпставом Иваном, сыном вышеупомянуто-

<sup>158</sup> Osman Turan, *Istanbulun fethinden önce yazılmış tarihi takvimler*, Ankara, 1954, გვ. 87.

<sup>159</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 65—66.

გი ლიპარითა»<sup>160</sup>. ამ ცნობის დამადასტურებელი საბუთებიდან ჩვენ ჯერჯერობით ვიციტ მხოლოდ თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ერთი ქართული დოკუმენტური წყარო. საიდანაც ვგებულობთ, რომ მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევების დროს საქართველოს სამხრეთი ნაწილი მართლაც მოჰყვა მათი თავდასხმების ქვეშ. მაგრამ, იქ არაფერია ნათქვამი ლიპარითის შვილის მეწინავეობისა და მეგზურობის შესახებ. თ. ჟორდანიას აზრით, ლიპარითის შვილს სელჩუკთა ამ ლაშქრობის დროს გაუწევია მეგზურობა. მანამდე მოწყობილი ლაშქრობისას, რომელსაც თოღრულ-ბეგი მეთაურობდა, მისი აზრით, აუოხრებიათ სამცხე. ამ ცნობას ამტკიცებს მის მიერ გამოქვეყნებული ერთი ქართული დოკუმენტი. საკვებით დასაშვებია, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სელჩუკთა ასეთი მომძლავრების შედეგად მათი ტალღა საქართველოს სამხრეთ ნაწილსაც გადასწვდომოდა. ბაგრატ IV-ის მიერ 1057 წელს შიო მღვიმის ლავრისთვის შეწირულების სიგელში ლაპარაკია წარმართთა დიდი ლაშქრის მიერ მანგლისის ხევში ბორცვის ჯვარის მამულის აოხრების შესახებ. ტექსტი შერყვნილია და ძნელდება მისი შინაარსის გაგება, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ეხება სელჩუკთა შემოსევას სამხრეთ საქართველოში და მის აოხრებას. სიგელში ნათქვამია: „[ლაშქარი დიდი წარმართნი... და ვე[რ და] ვიმორჩილეთ ლაშქარნი, და აღაოხრეს მამულნი] წმიდისა უდაბნოსისა ლავრისა მღუიმისანი. და [ესე წმიდათა მამათა მღუიმელთა ფრიალ] დაუძძიმდა, რომლისათვისცა გულს ვიდგინეთ შესაქვებლად აღოხრებულისა მამულისა წმიდის ლაქრისა და დაკლებულობისა მათისა განსაკურნებლად, მ[ოსახსენებლად] სულ[ო]სა პირველ გარდაცვალებულთა მეფეთა... შეეს[წირე] მაჰასა შიოს, ლავრასა მღუიმისასა და წმიდათა მამათა მღუიმელთა მანგლისის] ხევს ადგილი ბორცუის ჯუარი, ყოველითა მზღვრითა მისითა...“<sup>161</sup>.

ზემოთ მოყვანილ ცნობაში წარმართთა დიდი ლაშქრის მიერ ბორცვის ჯუარის აოხრებას თ. ჟორდანია სამართლიანად მიაწერს თოღრულ-ბეგის ამიერკავკასიაში ლაშქრობის პერიოდს. რომელსაც ის 1050—53 წლებში ვარაუდობს. ამ დოკუმენტს ხელს აწერს ივანე ლი-

<sup>160</sup> Ф. Жордания, К материалам по истории Грузии XI—XII вв., стр. 7.

<sup>161</sup> თ. ჟორდანიას ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვახტანგის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 3; მისივე ქრონიკები..., I, გვ. 204; Е. Т а к а й ш в и л и ш, Сигель Грузинского царя Баграта IV (1027—1072), стр. 59; ქართული სამართლის ძეგლები. II საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 5.

პარატის ჰე, რომელიც თ. ყორღანის განცხადებით, საქართველოს სამხრეთ ნაწილში თორღულ-ბეგის ლაშქრობის შემდეგ სელჩუკთა განმეორებულ ექაპედიციას წინ მიუძღოდა ვითარცა მეგზური.

თორღულ-ბეგმა ანატოლიიდან წასვლის შემდეგ დინისა და განჯის გამგებლად აბულ-ასვარი დასტოვა, რომელიც მის ვასალად ითვლებოდა. აბულ-ასვარი სისტემატურად აწარმოებდა თავდასხმებს ქრისტიანული სახელმწიფოების ტერიტორიაზე; მან ანისამდე ილაშქრა, გაანადგურა ყველაფერი და ნადავლით დაბრუნდა უკან. ბიზანტიის იმპერატორმა მის წინააღმდეგ გაგზავნა ლაშქარი ნიკიფორეს მეთაურობით. რომელმაც განჯამდე სდია და აბულ-ასვარი აიძულა ბიზანტიის ვასალობაზე დათანხმებულიყო. მაგრამ ანატოლიასა და ამიერკავკასიაში კვლავ დათარეშობდნენ სელჩუკთა ცალკეული ჯგუფები<sup>162</sup>. ერთ-ერთი ასეთი ძალა იყო 3000 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც თორღულ-ბეგმა დატოვა აღმოსავლეთ ანატოლიაში. ამ ჯგუფმა სასწრაფოდ გაილაშქრა აბულ-ასვარისა და ბიზანტიის წინააღმდეგ.

თურქთა ზოგიერთი რაზმი ამ დროისათვის ბიზანტიის ლაშქრის სამსახურში იყო შესული. ანატოლიაში ჩქარი ტემპით ხდებოდა თურქული ელემენტის მოზღვაება და ჩამოსახლება; თანდათანობით ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომებისაგან თვით ბიზანტიის ლაშქარიც კი იყო დაკომპლექტებული. ბიზანტიის სამსახურში მყოფი ნორმანდიელი მხედართმთავარი ჰერვე პირველი იყო, რომელმაც კავშირი დაამყარა სელჩუკებთან<sup>163</sup>, მაგრამ იგი ამხილეს და იძულებული გახდა ხლათში გაქცეულიყო, სადაც დაატყვევეს კიდევ; მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მ. ქოიშენი ამ პერიოდში ლიპარიტის შვილის, ივანეს, ბიზანტიის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ. მისი სიტყვით, როდესაც 1057/8 წლებში ბიზანტიაში შინაური ბრძოლები მიმდინარეობდა, ლიპარიტის შვილმა ივანემ ბიზანტიის ტერიტორიების განადგურებით არზრუმამდე იარა, მაგრამ, როდესაც ივანემ გაიგო, რომ მის წინააღმდეგ გამოსული ანისის ვალის კატაკალონის წინაშე ვერაფერს გახდებოდა, დასახმარებლად სელჩუკებს მიმართა. სელჩუკები მიეშველნენ, მაგრამ ანისში მტკიცედ გამაგრებულ კატაკალონა ბრძოლა არ დაუწყეს. სამსახურისა და მხარდაჭერის სანაცვლოდ ივანეს დასაპყრობი და საძარცვავი ტერიტორიები მოთხოვეს. ივანე მათ ტრაპიზონის აუზში, ქალდიისკენ წაუძღვა. სელ-

<sup>162</sup> R. G r o u s s e t, Histoire de l'Arménie de origines a 1071, Paris, 1947, გვ. 600—601; M. A. K ö y m e n, Selçuklu Devri Türk Tarihi, გვ. 252.

<sup>163</sup> M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 252; R. G r o u s s e t, დასახ. ნაშრ., გვ. 603.

ჩუკებმა ბაიბურთის სამხრეთ-დასავლეთით, ქოროხის აუზში მდებარე ტერიტორიები გაანადგურეს და უკან გაბრუნდნენ<sup>164</sup>.

ლიპარიტის შვილის ივანეს ასეთი საქმიანობის შესახებ საგულისხმო ცნობებს სომეხი ისტორიკოსებიც გვაწვდიან, მაგრამ ისინი არ აღნიშნავენ იმ მიზეზს, რაზეც აიძულა ივანე ასე მოქცეულიყო. მათე ურპაელი მხოლოდ მიუთითებს, რომ ლიპარიტის შვილი მუსლიმანებს შეუკავშირდა და მათ წინ მიუძღვებოდა<sup>165</sup>. ივანეს მიერ თურქთა მოწვევას და სომხეთის აოხრებას ეხება თ. ყორდანიაც, მაგრამ იგი წყაროს არ ასახელებს და არც ივანეს ასეთი საქციელის მიზეზს აღნიშნავს<sup>166</sup>.

ს. ერემიანი, რომელიც საგანგებოდ იკვლევს ლიპარიტის წინაპრებისა და მისი შთამომავლობის საქმიანობას, მათთან დაკავშირებულ დანიშმენდიანთა დინასტიის წარმომავლობის საკითხს, აღნიშნავს, როდესაც სელჩუკებმა დატყვევებული ლიპარიტი გაათავისუფლეს, მძევლად მისი შვილი რატი დაიტოვეს. სწორედ ეს გამუსლიმანებული რატი მიუძღვოდა სელჩუკებს ქანეთამდე და დასავლეთ საქართველომდე. მისივე მტკიცებით, რატი ისე დაწინაურდა სელჩუკთა სამსახურში, რომ აღფ-არსლანის შვილების ლალად დაინიშნა. რატი ხშირად მონაწილეობდა თურქ-სელჩუკთა დაპყრობით ლაშქრობებში. სულთანმა მას უწყალობა მცირე არმენია, რომელიც შემდეგში დანიშმენდიანთა სამკვიდრო სამფლობელოდ იქცა, ხოლო ქალაქი ახალი კესარია მათი პოლიტიკური ცენტრი გახდა<sup>167</sup>.

საქმე იმაშია, რომ რატის წინამძღოლობით სელჩუკთა მიერ სამხრეთ საქართველოს მოოხრების შესახებ წყაროებში არაფერია ნათქვამი. სომხური წყაროები ყველგან ივანეს ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ ივანეს მიერ სელჩუკთა მოწვევისა და ქვეყნის მოოხრების ნამდვილი მიზეზებისა და ლაშქრობის შესახებ განსხვავებულ ცნობებს იძლევა არისტარქე ლასტივერტელი. მისი თქმით, ივანე ლიპარიტის

<sup>164</sup> M. A. K ö y m e n. დასახ. ნაშრ., გვ. 252; R. G r o u s s e t. დასახ. ნაშრ., გვ. 603—604; Cl. C a h e n, La première penetration turque en Asie-Mineure..., გვ. 22.

<sup>165</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 107.

<sup>166</sup> Ф. Ж о р д а н и я, К материалам по истории Грузии XI—XII вв., стр. 7.

<sup>167</sup> ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, მხედართმთავარ ლიპარიტის შთამომავალი და დანიშმენდიანთა საგვარეულოს წარმომავლობის საკითხისათვის (სომხურ ენაზე), «Известия АН Арм. ССР», общественные науки, 1947, № 8., Ереван, стр. 65—79 (ჩვენთვის საინტერესო ადგილები სომხურიდან გვითარგმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა კ. კუციამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ნ. შ.).

ძის მიერ სელჩუკთა ძალების მოწვევის მიზეზი ბიზანტიელებთან მისა-  
 ურთიერთობის გაუარესება ყოფილა. „ჰორომთა ბრძოლის დროს ლი-  
 პარიტის შეიღმა ივანემ, რომელსაც საცხოვრებლად ძღვნად ჰქონდა-  
 მიღებული პაშტენაქის გავანში დიდი დაბა ერიზა თავისი მიდამოებით,  
 რა შეიტყო სამეფოს ორად გაყოფის ამბავი, წავიდა და მოტყვილებით  
 აიღო ეზანც ბერდის ციხე-სიმაგრე თავისი ხელქვეითით, დაიმორჩი-  
 ლა იგი და დაბრუნდა ალორის გავარში, ჰავაქაქის ციხე-სიმაგრეში“<sup>168</sup>.  
 ამ ადგილების დამორჩილებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების შემ-  
 დეგ ივანე ლიპარიტის ძე კარნუ ქალაქისაკენ წავიდა და შეეცადა  
 მოტყვილებით ქალაქის ხელში ჩაგდებას. იგი ქალაქის კარის გაღებას  
 და მის ჩაბარებას იმ მიზეზით ითხოვდა, თითქოს მას მეფისაგან ჰქონ-  
 და ასე ნაბრძანები. როდესაც ქალაქის ნებით ჩაბარება ვერ მოახერხა,  
 ბრძოლა დაიწყო. კარნუ ქალაქის გამგებელმა ვითარება აუწყა ანისის  
 მთავარს, რომელმაც ივანეს წინააღმდეგ ჯარი გამოგზავნა. „ხოლო ეს  
 რა გაიგო [ივანემ], მარბიელი მოჰფინა ქვეყანას, თვითონ კი თავის ად-  
 გილას დაბრუნდა და სპარსეთში გაგზავნა (მოციქული) დასახმარებ-  
 ლად ჯარების გამოსაგზავნად“<sup>169</sup>. ივანეს მოწვევა სიამოვნებით მიიღეს  
 სელჩუკებმა, მაშინვე შეკრიბეს ლაშქარი და მის დასახმარებლად გა-  
 მოემართნენ. ამჯერად სელჩუკებს ლაშქრობის მიზეზი ჰქონდათ. რო-  
 დესაც სელჩუკებმა „შეიტყვეს [ივანეს მიერ] მათი მიწვევის ამბავი,  
 ერთმანეთს უხმეს, დაუყოვნებლივ ერთ ადგილას შეიკრიბნენ და სას-  
 წრაფოდ მასთან მივიდნენ“<sup>170</sup>. უცბად კარსმომდგარმა სელჩუკთა  
 ურაცხემა ჯარმა შეაშინა ივანე ლიპარიტის ძე, რადგანაც „არავინ იყო  
 [ამ ჯარისათვის] წინააღმდეგობის გამწევი“. თვითონ ერთ დიდ ციხეში  
 გამაგრდა. „მაშინ მოვიდნენ ჯარები და უთხრეს [ივანეს]: გვიჩვენე გზა  
 ძარცვა-გლეჯისათვის, ხელცარიელი უკან არ დავბრუნდებით; ხოლო  
 სასოწარკვეთილმა [ივანემ] მისცა მათ წინამძღოლი თავის კაცთა-  
 გან“<sup>171</sup>.

ივანეს მიერ მიცემული წინამძღოლი, რომელიც კარგად იცნობ-  
 და ადგილობრივ ვითარებას, ნადავლის ხელთ ჩასაგდებად და სათარე-  
 შოდ წარუძღვა სელჩუკთა უზარმაზარ ძალებს და „თავს დააცხრნენ  
 ხალთიქის გავარს. უზრუნველად მყოფი მცხოვრებლები, რომლებიც  
 კი შეხვდნენ [სპარსელებს].., მახვილით ამოწყვიტეს ქანეთის ტყემდე,  
 რომელსაც ხართი ეწოდებოდა. მათ ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი  
 და ტყვე და დიდი წარმატებით უკან მობრუნდნენ, წავიდნენ ბორო-

<sup>168</sup> ა რ ი ს ტ ა რ ქ ე    ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ლ ი,    ისტორია, გვ. 82—83.

<sup>169</sup> ი ქ ვ ე,    გვ. 83.

<sup>170</sup> ი ქ ვ ე.

<sup>171</sup> ი ქ ვ ე,    გვ. 84.

ტების მოთავესთან (ე. ი. ივანესთან — ნ. შ.) და დიდი ძლევით მაღლობა მოახსენეს მას იმ გამარჯვებისათვის, რასაც გზაზე მიაღწიეს<sup>172</sup>.

ამრიგად, არისტარქე ლასტივერტელი დაწვრილებით გადმოგვცემს ივანე ლიპარიტის ძის მიერ სელჩუკთა ძალების მოწვევის მიზეზს. მის ცნობით, თვითონ ივანეს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მეგზურობაში, მაგრამ მისი კაცის მეშვეობით მოუოხრებიათ სელჩუკებს მთელი ტერიტორიები ვიდრე ჭანეთის ტყემდე. ბუნებრივია, სელჩუკებმა ამჯერადაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს ადგილობრივი მოსახლეობა. ფაქტია, რომ თურქებმა ივანეს მეშვეობით ერთხელ კიდევ მოაოხრეს მთელი სამხრეთი ნაწილი და დიდი ნადავლათ უკან დაბრუნდნენ. მათ ისარგებლეს ივანეს გულუხვობითა და ქვეყნის უპატრონობით და იმავე წელსვე დაბრუნდნენ. ამჯერად თერჯანის აღმოსავლეთით მდებარე მანანალისის რაიონში გადავიდნენ და ორად გაიყვნენ. „ერთი ნაწილი წავიდა ეკლესიის გავარისაკენ და ღამით თავს დაესხნენ ქალაქს, რომელიც იხილეს მოუმზადებელ და გაუფრთხილებელ [მდგომარეობაში]<sup>173</sup>. იქიდან არზრუმის რაიონში გადავიდნენ და დასავლეთით მდებარე ქალაქ ბლურს დაესხნენ თავს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ციხის კედლები გაამაგრა. არზრუმის მოსახლეობის უმეტესობა აქ აფარებდა თავს. თურქებმა მათი წინააღმდეგობა გასტებეს. არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, „ანვირთებული ნიაღვრის მსგავს ურჯულოების მოსვლისას [ამ ზღუდემ] მათგან [მიღებული] დარტყმებისას ერთი წუთითაც ვერ გაუძლო წინააღმდეგობას და უმაღვე დაინგრა“<sup>174</sup>, სელჩუკები ქალაქში შევიდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა დახოცეს. ამასობაში სელჩუკთა მეორე რაზმმა ჰანძეთისა და ხორძეანისკენ სასწრაფოდ გაიარა და ევფრატის მარცხენა მხარეზე მდებარე ჰათავის ციხე იერიშით აიღო<sup>175</sup>.

მართალია, თოდრულ-ბეგი შორს იყო ანატოლიიდან, მაგრამ სელჩუკთა რაზმები სისტემატურად მოდიოდნენ და ანადგურებდნენ ანატოლიის ბერძნულ პროვინციებს. ისინი წელიწადში რამდენჯერმე ახერხებდნენ შემოსვლას. ანატოლიის სხვადასხვა ტერიტორიებზე სხვადასხვა რაზმები მოქმედებდნენ. ამავე წელს სელჩუკთა ლაშქარი ბიზანტიის საზღვრებს ჭკუფ-ჭკუფად მოადგა და თავისუფლად მოვიდა ქამახამდე. აქ კი ორ ნაწილად გაიყო. ერთმა ნაწილმა შებინკარაპისა-

<sup>172</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 84.

<sup>173</sup> იქვე.

<sup>174</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>175</sup> იქვე, გვ. 87—88; M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 252—253; R. Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 605.



რისაკენ გაილაშქრა. არისტარქე ლასტივერტელი სელჩუქთა განუწყვეტელი თავდასხმების ხასიათის შესახებ აღნიშნავს, რომ მათ „ზამთარ-ზაფხულ არ შეუწყვეტიათ სომეხთა ქვეყნის აოხრება. მზვერავების [საშუალებით] გებულობდნენ სად იყო დასახლებული ადგილები. ღამით მივიდოდნენ იქ, უეცრად თავს დაესხმოდნენ [მცხოვრებლებს] და საშინელი აოხრებით უწყალოდ სპობდნენ ყველაფერს. უდარდელად და უშიშრად ისინი დიდხანს რჩებოდნენ იქ, სანამ არ დაჩხრკედნენ სახლებს; თუ კი სადმე რაიმე იყო გადამალული, ყველაფერი გამოჰქონდათ, ძირფესვიანად და აღმომფხვრელი აოხრებით ანკრევდნენ იმ ადგილებს, იღებდნენ ნადავლსა და ტყვეებს და ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში“<sup>176</sup>.

მათე ურჰაელის ცნობით, 1058/9 წლისათვის სელჩუქები მეორედ მოვიდნენ. მათ დიდ ლაშქარს ძლიერი ამირი დინარი მეთაურობდა. იგი უვნებლად მივიდა ქალაქ მალათიაში. მალათია ამ დროს განთქმული იყო თავისი ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასეულობით. სომეხი ავტორის ცნობით, სელჩუქებს ამ ლაშქრობაში წინ მოუძღოდა ლიპარიტის შვილი ივანე. სელჩუქებმა ქალაქი აიღეს, მოსახლეობა სასტიკად გაანადგურეს და უკან გაბრუნდნენ<sup>177</sup>. ბარ ჰებრაის ცნობით, 1058 წლის ზამთარში 3 000 თურქი მოვიდა და მალათია გაანადგურა. თურქები იქ 20 დღე დარჩნენ, ქალაქი დაწვეს და უკან გაბრუნდნენ. როდესაც სანსანას მთას მიაღწიეს, ძლიერი ზამთარი დადგა, სომეხები მოვიდნენ და ყველანი დახოცეს<sup>178</sup>. მათე ურჰაელის მიხედვით, ბიზანტიელები დაეწივნენ სელჩუქებს, მაგრამ მათ ბრძოლაში სიძამაცე არ ეყოთ და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ<sup>179</sup>.

სელჩუქები ისევ და ისევ განაგრძობდნენ სომხეთისა და ბიზანტიის სხვა ტერიტორიების დაპყრობას, გაიზამთრებდნენ და გაზაფხულზე ხელახლა აწყობდნენ თავდასხმებს ნადავლის ხელში ჩასაგდე-

<sup>176</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 78—79.

<sup>177</sup> მათე ურჰაელი, გვ. 107—108; მალათიას აღებაში ივანე ლიპარიტის ძის მონაწილეობის შესახებ არაფერს ამბობს არისტარქე ლასტივერტელი, თუმცა დაწერილობით გადმოგვცემს სელჩუქთა მიერ მალათიას აღებისა და მათ მიერ ჩადენილი სისასტიკის ამბებს. არისტარქე ლასტივერტელს, როგორც აღწერილი ამბების თვითმხილველსა და თანამედროვეს, უფრო დაეჯერება, ვიდრე ურჰაელს, რომელიც უფრო მოგვიანებით მოღვაწეობდა. არც მიხეილ სირიელი აღნიშნავს ივანეს მონაწილეობას მალათიას აღებაში. იგი უბრალოდ ახსენებს სელჩუქთა მიერ მალათიას აღებას და აღწერს შექმნილ მძიმე ვითარებას (Chronique de Michel le Syrien..., ტ. III, გვ. 165).

<sup>178</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 312—313.

<sup>179</sup> მათე ურჰაელი, გვ. 108; R. Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 605—7; M. A. Kōymen, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

ბად. ისინი რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ და სხვადასხვა მიმართულებით დათარეშობდნენ.

ანატოლიის პროვინციებში სელჩუკთა განუწყვეტელი თარეშის შედეგი იყო ამ მხარის საშინელი განადგურება, მეურნეობის მოშლა, მოსახლეობის გაწყვეტა და, რაც მთავარია, ქრისტიანული მოსახლეობის გვერდით, მუსლიმანური, თურქული ეთნიკური ელემენტის მომრავლება, რაც წინაპირობას ჰქმნიდა მომავალში ამ მხარის საბოლოო გათურქებისათვის. მ. ქოიშენი, რომელიც საგანგებოდ სწავლობს ამ პერიოდის სელჩუკთა სახელმწიფოს დაპყრობით ომებს, სახელმწიფოს ბუნებასა და ხასიათს, აღნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის დასავლეთის მიმართულებით სელჩუკთა მიერ წარმოებულ თავდასხმების უდიდესი შედეგი ის იყო, რომ მათ პირველად დაიპყრეს და გაანადგურეს ეფფრატის აუზში მდებარე დიდი და მდიდარი ქალაქი მალათია. სელჩუკებმა მხოლოდ ათი წლის თავდასხმების შემდეგ მოახერხეს ეფფრატის გადალახვა<sup>180</sup>. მალათიას ალების შემდეგ სელჩუკებმა მოკლე ხანში იგდეს ხელთ ისეთი დიდი ქალაქი ანატოლიაში, როგორცაა სივასი და ალყა შემოარტყეს ურფას. ამ ტერიტორიების დასაპყრობად სელჩუკებმა ურიცხვი ლაშქარი გამოიყვანეს და საგანგებო ღონისძიებები მიიღეს. თოღრულ-ბეგის განკარგულებით ანატოლიის მიმართულებით მოწყობილი ლაშქრობის მეთაურებად დაინიშნენ სამუკი, დიდი ამირი და კიჯაჯიკი. სელჩუკთა ამ დიდ და ორგანიზებულ ლაშქრობას სპეციალურად ეხება მათე ურჰაელი. მისი გადმოცემით, სამი სელჩუკი მხედართმთავრის მეთაურობით ურიცხველ ლაშქარი წამოვიდა სომხეთის ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, გზად მრავალი საშინელება ჩაიდინეს. საყოველთაოდ ცნობილ ქალაქ სივასში მოვიდნენ და ქრისტიანი მოსახლეობის ერთიანად გაწყვეტა მოინდომეს. სელჩუკებს სომეხთა მეფის სენექერიმის შვილების — ატომისა და აბუ საჰლის ხელში ჩაგდება სურდათ, მაგრამ მათ ციხე ქავადანექს შეაფარეს თავი<sup>181</sup>. სელჩუკებმა ქალაქ სივასს ალყა შემოარტყეს და აიღეს, ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობა და წარჩინებულები ამოხოცეს.

როდესაც სელჩუკთა ერთი ნაწილი სივასს იპყრობდა, მეორე ნაწილი ხორასნის სალარის მეთაურობით ქალაქ ურფისათვის ალყის შემორტყმით იყო დაკავებული, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიიღწია<sup>182</sup>.

<sup>180</sup> M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

<sup>181</sup> მათე ურჰაელი, გვ. 110; R. Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 608, ქავადანექი დღევანდელი დეველია.

<sup>182</sup> M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

სელჩუკთა მიერ ბიზანტიის სომხური ტერიტორიების ასე სასტიკად განადგურება-აოხრებაში მათე ურპაელი ბრალს სდებს ბიზანტიის ხელისუფალთ, რომელნიც არ იჩენდნენ სათანადო ყურადღებასა და შზრუნველობას ამ ტერიტორიების მიმართ. ის პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ბერძნებმა სომხეთის ციხის სრული განადგურების საქმეში დიდი მეცადინეობა გამოიჩინეს და ირანელთა ხელმეორე თავდასხმის დროს მოპოვებული გამარჯვებები მათ დაუთმეს<sup>183</sup>. სომეხი ისტორიკოსი გარკვევით მიუთითებს სომეხ-ბერძენთა წინააღმდეგობაზე და მათი ტერიტორიების განადგურების უშუალო მიზეზად სწორედ ბიზანტიელთა გულგრილ დამოკიდებულებას ასახელებს.

ამრიგად, სელჩუკებმა 1059 წლისათვის ანატოლიაში ვანის ტბის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები ხელთ იგდეს, მდ. მურადი გადალახეს და მდ. ევფრატის შესართავამდე დალაშქრეს და სამხრეთით წავიდნენ<sup>184</sup>. ამის შემდეგ სელჩუკები რამდენიმე წელიწადს აღარ გამოჩენილან ანატოლიაში. წყაროებში სელჩუკთა ამ პერიოდის საქმიანობაზე არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ, იქ გადმოცემულია, რომ სელჩუკები ფართო ხასიათის ღონისძიებებს ატარებდნენ აღმოსავლეთში.

როდესაც გიორგი ათონელი ანტიოქიიდან საქართველოში მოდიოდა, მას გზაში გაეგო სელჩუკთა მიერ ბიზანტიის მთელი რიგი ტერიტორიების დაპყრობის ამბავი. იგი აღნიშნავს, რომ „თურქთა დაუპყრავს შუა-მდინარე და ისაური და საბერძნეთი, ხოლო ჩუენ, გუესმა რაა ესე, შევიქეციით მიერ და სევასტიით კერძო მივიღოდეთ, გუეგონა, ვითარჲედ მათ კერძოთა მშვიდობა არს. ხოლო უწინარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი, და აელო ქალაქი იგი და დაეწუა“<sup>185</sup>. სელჩუკთა მიერ საქართველოსკენ გზების დაკეტვის გამო გიორგი ათონელი იძულებული გამხდარა დღედაღამე სვლით კესარიამდე მოსულიყო. იქიდან სამსუნამდე წამოსულიყო, და მერე ზღვით აფხაზეთზე გავლით ფოთიდან ქუთაისს ჩამოსულიყო<sup>186</sup>.

ჩანს, რომ სელჩუკებს ამ პერიოდისათვის თითქმის მთელი მცირე აზია დაუპყრიათ და ანტიოქიიდან საქართველოსაკენ მომავალი უმოკლესი სახმელეთო გზები, მნიშვნელოვანი პუნქტები და ქალაქები დაუტყვევებიათ. რამდენიმე წლის შემდეგ, 1062/3 წლისათვის სელჩუკები უფრო დიდი მარბიელი ლაშქრით ისევ გამოჩნდნენ ანატოლიაში.

<sup>183</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 111.

<sup>184</sup> M. H. Yinanc, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

<sup>185</sup> გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა. „ჩუენი საუნჯე“, I, 1960, თბ., გვ. 378.

<sup>186</sup> ი ქ ე ე.

თოდრულ-ბეგის ბრძანებით სელჩუკთა ლაშქარი, რომელსაც ზორაანის სალარი, ჭემქემი და ისულუ მეთაურობდნენ, ქრისტიანების წინააღმდეგ ანატოლიისაკენ დაიძრა. მათე ურპაელი ამ ლაშქრობის შესახებაც დაწვრილებით გვიამბობს. მისი სიტყვით, სელჩუკები უდიდესი ლაშქრით ბაგინის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ და უამრავი ქრისტიანი აკუწეს ხმლით, მთელი მოსახლეობა დაატყვევეს და გაანადგურეს. აქედან უფრო წინ წავიდნენ და თილქუმისა და ერგანის რაიონში, სადაც მათ არ მოელოდნენ, მოვიდნენ. როდესაც მოსახლეობა მშვიდად იყო, უცბად წამოადგნენ თავს; ეს ტერიტორია ძალიან ჰკიდროდ იყო დასახლებული და მდიდარი რაიონიც იყო; მათ სასტიკად ააოხრეს და გაანადგურეს აქაურობა. შემდეგ მათე ურპაელს აღწერილი აქვს სელჩუკთა სისასტიკე ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, რომელმაც ეკლესიას შეაფარა თავი და ლოცვა დაიწყო. სელჩუკებმა ალყა შემოარტყეს ეკლესიას და ყველანი ერთიანად ამოწყვიტეს. თვით მოძღვარიც კი თავისი შვილებით იქვე დახოცეს<sup>187</sup>. სელჩუკთა სისასტიკემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი დიდი ნადავლით გამარჯვებულნი დაბრუნდნენ უკან; მათი თავდასხმების შესახებ ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ გვიან მიიღო ცნობა; მან მაშინვე შეკრიბა ლაშქარი, მეთაურად დაუნიშნა აღმოსავლეთის ისტორიაში ფრანკოპოლოდ წოდებული მხედართმთავარი ნორმანდიელი პერვე და თილქუმის რაიონში გაგზავნა<sup>188</sup>. ურფის დუკამ, ცნობილმა მეომარმა ტავატანოსმაც შეკრიბა ურფის, გარგარისა და ჰისნიმანსურის ლაშქარი და სელჩუკების წინააღმდეგ გაილაშქრა<sup>189</sup>. მათე ურპაელი აღნიშნავს, რომ ბიზანტიის ლაშქარი წავიდა ქრისტიანთა დაღვრილი სისხლის შურის საძიებლად და თილქუმის ველზე დაბანაკდა. მთელმა ლაშქარმა საკუთარი თვალთ ნახა ცოტა ხნის წინათ მომხდარი თარეშისა და ხოცვა-ჟლეტის შედეგები; სელჩუკთა ლაშქარი კი ბრძოლას მოერიდა და გაიქცა. სომეხი ისტორიკოსის ცნობით, სელჩუკთა წინააღმდეგ გამოსულ ბიზანტიელთა ლაშქრის მეთაურებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამასთანავე ფრანკოპოლოსთან სელჩუკებს საიდუმლო კავშირი შეუკრავთ და ის 80 000 დრაჰკანით მოუსყიდიათ. მეორე მეთაურმა ტავადანოსმა ეს რომ გაიგო, მასთან კავშირი გაწყვიტა და, როდესაც ტავადანოსი ქალაქ ამიდის კართან მოვიდა, მას წინ შეხედა სელჩუკთა სასწრაფოდ შეკრებილი ლაშქარი. ფრანკოპოლომ

<sup>187</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 114; R. Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 609.

<sup>188</sup> R. Grousset, დასახ. ნაშრ., გვ. 609—610.

<sup>189</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 116.

გაპცემლობით ტავადანოსი სელჩუთა წინააღმდეგ მარტო დასტოვა, თვითონ მთელი ლაშქრით უკან დაიხია და დადგა. მის განკარგულებაში იყო 60 000 ცხენოსანი მეომარი<sup>190</sup>. მათე ურპაელი აგვიწერს სელჩუკებსა და ტავადანოსის ლაშქარს შორის მომხდარ ბრძოლის ამბებს. აღნიშნავს მათ დამარცხებას. ტავადანოსის ლაშქრის დარჩენილი ნაწილი ფრანკოპოლოს ლაშქარს შეუერთდა, რომელმაც თავის მხრივ ტავადანოსის ლაშქრის დამარცხების შემდეგ გაუმართა ბრძოლა სელჩუკებს. მაგრამ თვითონაც დამარცხდა, 15 000 კაცი დაკარგა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა<sup>191</sup>. იმავე წელს ფრანკოპოლო არზრუმისაკენ გაემართა და შეხვდა თურქთა ძალებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ ოილქუმის რაიონი გაანადგურეს. ორმხრივი ბრძოლის შედეგად სელჩუკები დამარცხდნენ. ფრანკოპოლომ სელჩუთა ლაშქარი მთლიანად გაანადგურა, დიდი ნადავლი აიღო და ტყვეები გაანთავისუფლა<sup>192</sup>. ამ ბრძოლას სელჩუთა ამირი იუსუფიც შეეწირა. მაგრამ ამ გამარჯვებით ფრანკოპოლომ იმპერატორის წინაშე თავისი დანაშაული ვერ გამოიხიდა. ბრძოლის ველზე ჩადენილი ღალატი მას ძვირად დაუჯდა. იმპერატორმა როგორც კი გაიგო ფრანკოპოლოს ღალატით ტავადანოსის სიკვდილი, იგი დედაქალაქში გაიწვია და სიკვდილით დასაჯა<sup>193</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, 1059 წლის ლაშქრობის შემდეგ სელჩუკები ანატოლიაში სამი წელი აღარ გამოჩენილან. ბარ ჰებრაის გადმოცემით, თორღულ-ბეგს სიკვდილის წინ რამდენიმე ხნით ადრე უბრძოლია ბიზანტიელთა წინააღმდეგ. წყაროში ნათქვამია: 1063 წელს ბიზანტიელთა ლაშქარი გამოვიდა და მთელი დღეები ქალაქ ამიდთან იდგა. ბიზანტიელთა წინააღმდეგ შეიკრიბა თურქთა და არაბთა ლაშქარი. ორივე მხრით დიდი ხოცვის შემდეგ ბიზანტიელებმა ქალაქი დატოვეს და წავიდნენ<sup>194</sup>. მათ ამაყრად გაუმართლდათ იმედები სელჩუკებთან ბრძოლაში. ბიზანტიელთა ამ დამარცხების შემდეგ, სულ მოკლე ხანში თორღულ-ბეგი გარდაიცვალა<sup>195</sup>.

თორღულ-ბეგის სიცოცხლეში სელჩუკებმა საკმაოდ გაიფართოვეს ტერიტორიები ანატოლიაში. მათ ხელში გადავიდა მთელი ტერიტორია სივასისა და მალათიას აღმოსავლეთით. თორღულ-ბეგის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სელჩუკებმა ინტენსიურად დაიწყეს

<sup>190</sup> მათე ურპაელი, გვ. 116; R. Grousset, დასახ. ნაწი., გვ. 610.

<sup>191</sup> მათე ურპაელი, გვ. 117.

<sup>192</sup> იქვე.

<sup>193</sup> იქვე.

<sup>194</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 316.

<sup>195</sup> ბონდარი, გვ. 23.

თავდასხმები ანატოლიის მიმართულებით და თითქმის მთელი მცირე აზიის უმეტესი ნაწილი დაიპყრეს. სელჩუკთა გამოჩენით ანატოლიაში ძირფესვიანად იცვლებოდა ვითარება. ბიზანტიის კულტურულ-სოციალურ წყობას უპირისპირდებოდა ნახევრად პატრიარქალური და ნახევრად მომთაბარული მეურნეობის მქონე სრულიად ახალი, უცხო საზოგადოება, რომელიც საგრძნობლად ცვლიდა დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას. ამიტომ იყო, რომ მარქსი და ენგელსი სელჩუკების შესახებ აღნიშნავდნენ: „Их появление изменяет все отношения в Передней Азии“<sup>196</sup>.

მარქსსა და ენგელსს მხედველობაში ჰქონდათ სელჩუკთა სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაბალი დონე, რომელიც უპირისპირდებოდა მათ მიერ დაპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობის პროგრესულ მეურნეობას, ანადგურებდა, ანგრევდა საწარმოო ძალებს და აფერხებდა კულტურული მეურნეობის განვითარებას.

XI ს-ის 60-იანი წლებისათვის სელჩუკებმა დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს, მის ინტენსიურ მეურნეობას, მწარმოებელ საზოგადოებას. სელჩუკთა მარბიელმა თარეშებმა და საქართველოს მეზობელ ქვეყნებზე მრავალჯობის თავდასხმებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა. წყაროებში მრავალჯობისაა მითითებული თუ როგორ ნადგურდებოდა ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო რაიონები სელჩუკთა შემოსევების შედეგად. ბიზანტიის ლაშქარი უძლური იყო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია მტრისთვის. წყაროებიდან ჩანს, რომ განაპირა პროვინციები ბიზანტიის ინერტული მოქმედების გამო ნადგურდებოდა. არ იყო შეთანხმებული მოქმედება გაერთიანებული სამხედრო ძალების მეთაურთა შორის. ამასთანავე, სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლა მთელი ძალ-ღონის დაძაბვასა და განსაკუთრებულ ღონიძიებებს მოითხოვდა. სელჩუკები თითქმის ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ ბიზანტიის ტერიტორიაზე თავდასხმების დროს. თურქი ისტორიკოსის განცხადებით, სელჩუკთა ამ თავდასხმებს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. მათ ამ თავდასხმებით ნიადაგი მოამზადეს უფრო დიდი და საფუძვლიანი ლაშქრობებისათვის<sup>197</sup>.

თოღრულ-ბეგი გარკვეული, გონივრული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. ჭერ კიდევ თავისი საქმიანობის დასაწყისში მან გადაწყვიტა ლაშქრობები ეწარმოებინა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით. როდესაც ნიშაბურში თოღრულ-ბეგი სასულთნო

<sup>196</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 109.

<sup>197</sup> М. А. К о у т е н, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

ტაბტზე ავიდა. მთავარი ყურადღება დასავლეთის მიმართულებით დაპყრობებს მიაქცია. ამ მიზნით მან უფლისწულებს იბრაჰიმ იინალს, ჩალრი-ბეგის შვილს იაყუტს და თავისი ბიძის, არსლან იაბლუს შვილს — ყუთულში დაავალა დასავლეთის მიმართულებით მარბიელი ხასიათის ლაშქრობები. ამ მხრივ ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა იბრაჰიმ იინალმა. ამ უფლისწულებმა მოკლე ხანში დაიპყრეს დასავლეთი ირანი და კავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ქრისტიანულ მოსახლეობასთან კონტაქტი დაამყარეს. თოღრულ-ბეგმა იმდენად გააფართოვა დასავლეთის მიმართულებით თავისი სამფლობელოები, რომ 1044 წელს აღმოსავლეთ ირანში მდებარე ქალაქ ნიშაბურიდან ტაბტი დასავლეთ ირანის ქალაქ რეიში გადაიტანა.

თოღრულ-ბეგი გონებაშახვილურ პოლიტიკას ატარებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დაპყრობითი ომების დროს. მან თავისი პოლიტიკის წყალობით თანდათანობით ბოლო მოუღო აღმოსავლეთში ბუვეიანთა სახელმწიფოს. ამას გარდა, მან წვრილ-წვრილი პოლიტიკური ერთეულების ნაწილი საბოლოოდ გაანადგურა, ნაწილი კი ვასალური დამოკიდებულების პირობით სელჩუკთა სახელმწიფოს შემოუერთა: რჩებოდა მხოლოდ ფატიმიანთა შიიტური სახელმწიფო და ბიზანტიის იმპერია. სელჩუკთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ორ მომენტს შეიცავდა, თუ თოღრულ-ბეგი და მისი მომდევნო სულთნები დასავლეთის მიმართულებით გააგრძელებდნენ ლაშქრობებს, მათ წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერია გამოდიოდა. ამავე დროს, თუ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ისლამის დროშის ქვეშ წარმართავდნენ დაპყრობებს, მათ წინაშე ფატიმიანთა სახელმწიფო იდგა. ამიტომ, საჭირო იყო დასახული მიზნების ცალ-ცალკე განხორციელება. თოღრულ-ბეგმა გაითვალისწინა ისიც, რომ შიიტობა თანდათანობით უფრო ფართო ადვილს იჭერდა და ამიტომ მკიდრო ურთიერთობა და კავშირი დაამყარა სუნიტური სექტის დამცველ ბაღდადის აბასელ ხალიფასთან. რომელიც თავისთავად უპირისპირდებოდა ფატიმიანთა შიიტურ სახელმწიფოს. ამასთანავე თოღრულ-ბეგმა კარგად განჭკრიტა ბიზანტიის შინაგანი მდგომარეობა, რაც მას თავისი გეგმების განხორციელებაში ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ამიტომაც იყო, რომ თოღრულ-ბეგმა თავისი დაპყრობის ობიექტად ბიზანტია გაიხადა და დასავლეთის მიმართულებით მარბიელი ლაშქრის სისტემატური გაგზავნა დაიწყო. თოღრულ-ბეგის მიერ დაწყებული დაპყრობითი ომები ბიზანტიის მიმართულებით გააგრძელეს მისმა მომდევნო სულთნებმა ალფ-არსლანმა და მელიქ-შაჰმა, რომელთა დროს დიდ სელჩუკთა უხარმაზარმა სახელმწიფომ თავის ძლიერების მწვერვალს მიაღწია.

## თ ა ვ ი V

### დიდ სელჩუკთა სახელმწიფო და საქართველო XI ს. 60—70-იან წლებში სელჩუკების ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიასთან XI ს-ის 60—70-იან წლებში

აღფ-არსლანმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დასავლეთის მიმართულებით, ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობებზე; 1064 წლისათვის მან უზარმაზარი ლაშქარი შეკრიბა და ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად მარანდში მოვიდა. აქ მას შეუერთდა და მორჩილება გამოუცხადა თურქმენთა ერთ-ერთმა ამირმა თულ-თეგინმა, რომელიც ამ რაიონში დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა ბიზანტიის წინააღმდეგ და კარგად იცნობდა ადგილობრივ ვითარებას. მან მეგზურობა გაუწია სულთან აღფ-არსლანს<sup>1</sup>. თულ-თეგინმა აღფ-არსლანი ნახჭევანმდე მოიყვანა და აცნობა, რომ „ურუმთა მფლობელობაში მყოფი ქართველთა ქალაქები მოიცვა ურჯულოებამ. აჯანყებამ და აღვირახსნილობამ“<sup>2</sup>. აღფ-არსლანმა ბრძანა ნაევების დამზადება მდინარე არაქსის გადასალახავად და ლაშქარი ორ ნაწილად დაყო; იმ ნაწილის ხელმძღვანელად, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ უნდა დაძრულიყო, თვითონ დადგა, ხოლო მეორე ნაწილის მეთაურობა კი თავის შვილს მელიქ-შაჰს და ნიზამ ალ-მულქს მიანდო. მათ ბიზანტიის მოსაზღვრე ციხეების დაპყრობა დაევეალათ<sup>3</sup>.

იბნ ალ-ასირის ცნობით, როდესაც აღფ-არსლანი ნახჭევანში იდგა და საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა, მოუვიდა ცნობა, რომ მას განუდგა ხოისა და სელმასის მოსახლეობა; იგი იძულებული გახდა მათ წინააღმდეგ ლაშქარი გაეგზავნა. ხორასნის გამგებელმა დაიმორჩილა ისინი და ამ ქვეყნების ლაშქარიც მას მოუვი-

<sup>1</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 24; ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, გვ. 118.

<sup>2</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 24.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე.



ღა ნახჭევანში<sup>4</sup>. მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, საქართველოში ლაშქრობის წინ არანის, შირვანის, ბაბ ალ-აბვაბის და სხვა ტერიტორიების გამგებლები და ამირები მივიდნენ ალფ-არსლანთან, მორჩილება გამოუცხადეს და თავიანთი ლაშქრით სამსახური შესთავაზეს<sup>5</sup>.

სომხეთში სელჩუკთა საქმიანობის შესახებ ანონიმი ავტორი შენიშნავს, რომ ალფ-არსლანმა „456 (1064) წელს სომხეთისაკენ გაილაშქრა. ოთხი თვის განმავლობაში შვიდი ქალაქი, ოცი შესანიშნავი ციხე დაიპყრო და ისლამის სამფლობელოს შეუერთა“<sup>6</sup>.

ალფ-არსლანის ლაშქრობის დროს სელჩუკებმა ააოხრეს სომხეთი. მოსპეს ცოცხალი საქონელი და უკაცრიელი გახადეს ქვეყანა. ამ დროს დაინგრა სომხეთში ქალაქები: ანისი, არწნი, მანასკერტი და სხვ.<sup>7</sup>

ალფ-არსლანის უზარმაზარი ლაშქრის იმ ნაწილმა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა, დიდი საშაღდისის შემდეგ გადალახა მდინარე არაქსი და საქართველოსაკენ გამოემართა. ვიდრე ალფ-არსლანი საქართველოს დალაშქრავდა, მელიქ-შაჰმა და ნიზამ ალ-მულქმა ახლომახლო ადგილების დაპყრობა დაიწყეს. მათ პირველი იერიში მიიტანეს ბიურაჯანის (ანბერდის) ციხეზე<sup>8</sup>. ამ ციხის ბიზანტიელი დამცველები მოულოდნელად თავს ესხმოდნენ სელჩუკებს, ზიანს აყენებდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ. მელიქ-შაჰმა ციხეზე იერიში მიიტანა, მაგრამ მცველებმა მუსლიმანთა ლაშქრის უმეტესობა დახოცეს. ბოლოს სელჩუკებმა ციხის მეთაური მოკლეს, ციხე აიღეს და ყველანი ამოხოცეს<sup>9</sup>. აქედან სელჩუკები სურმარის ციხისკენ გაემართნენ. ამ ციხის გარშემო გამდინარე წყლები და ბაღები იყო; მელიქ-შაჰმა ეს ციხე და მასთან ახლოს მდებარე მეორე ციხეც ხელთ იგდო. წყაროს ცნობით, მელიქ-შაჰმა მოინდომა მისი დანგრევა, მაგრამ ნიზამ ალ-მულქმა დაუშალა და უთხრა, ეს ციხე მტკიცეა, ამავე დროს საზღვარზეა და იგი გამოგვადგებაო. ნიზამ ალ-მულქმა შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენა, მოამარაგა საკურველითა და სურსათ-სანოვაგით. ეს ციხე მათ ნახჭევანის გამგებელს გადასცეს და თვითონ წინ წავიდნენ მარიამ-ნიშად წოდებული ციხის ასაღებად<sup>10</sup>.

<sup>4</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 118.

<sup>5</sup> მ უ ნ ე ჯ ი მ - ბ ა შ ი, გვ. 528.

<sup>6</sup> А л а д о л и ..., III, გვ. 7.

<sup>7</sup> История армянского народа, I, Ереван, 1944, стр. 167.

<sup>8</sup> მ. ქოიძენი, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

<sup>9</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 118; ა ხ ბ ა რ, გვ. 24.

<sup>10</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 118; ა ხ ბ ა რ, გვ. 24; წყაროებში მარიამ-ნიშად წოდებული ქალაქი მარმარაშენია.

არაბული წყაროების მიხედვით, ეს ქალაქი ქრისტიანების სალო-  
ცავი ადგილი იყო, სადაც ცხოვრობდნენ ბერები, მღვდლები. აქ მო-  
დიოდნენ სალოცავად ქრისტიანთა მეფეები და მოსახლეობა. ქალაქი  
ძალიან მტკიცედ იყო ნაშენი. მისი კედლების ქვები რკინის ზო-  
დებით იყო ერთმანეთთან შეერთებული. გვერდით დიდი მღი-  
ნარე ჩაუდიოდა. ნიზამ ალ-მულქი ამ ადგილის დასაპყრობად საგანგე-  
ბოდ მოემზადა. ბრძოლა დღედაღამე მიჰდინარეობდა. ადგილობრივი  
მოსახლეობა დაიქანცა, ბოლოს „სულთან მელიქ-შაჰმა ციხის კედ-  
ლის აივნისებრ ადგილს მოაბა თოკი და ამ თოკით კედელზე აცოცდა...  
მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მათ მოინდომეს ნაჯახებით ციხის კედ-  
ლების გახვრეტა, ძალიან იწვალეს. ამ დარტყმით ნაჯახებს პირი გაუ-  
ფუჭდათ, რადგანაც კედლის ქვები რკინის ზოდებით იყო შეერ-  
თებული“<sup>11</sup>. ამავე წყაროს ცნობით, იმავე დამეს მოხდა მიწისძვრა,  
რომლის შედეგადაც ციხის აღმოსავლეთი კედელი ჩამოინგრა და სელ-  
ჩუკები ქალაქში ადვილად შევიდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა გაე-  
ლიტეს, ეკლესიები დაანგრიეს<sup>12</sup>. „იმდენი ქაფირი დახოცეს, რომ და-  
ხოცილთა გვამებისაგან ისლამის ლაშქრის უმრავლესობა ციხეში ვერ  
შევიდა. ამას გარდა ბევრი ციხე და ქვეყანა იქნა დაპყრობილი“<sup>13</sup>.

როდესაც მელიქ-შაჰი და ნიზამ ალ-მულქი ამ დაპყრობებით იყვ-  
ნენ დაკავებული, ალფ-არსლანი საქართველოს მიმართულებით იყო  
წასული. უცხოურ წყაროებში, სამწუხაროდ, არ არის აღნიშნული თუ  
რა გააკეთა ამ დროს ალფ-არსლანმა, საქართველოს რომელი მხა-  
რები დალაშქრა. თურქი ისტორიკოსი წყაროს მიუთითებლად აღ-  
ნიშნავს, რომ მაშინ, როცა ნიზამ ალ-მულქი და მელიქ-შაჰი აქ დაპყ-  
რობებს აწარმოებდნენ, ალფ-არსლანმა საქართველო დაიმორჩილა და  
დაბრუნებულმა თავისი შვილის მიერ მოპოვებული წარმატებით გაი-  
ხარაო<sup>14</sup>.

ზუსტი არ უნდა იყოს თურქი ისტორიკოსის მტკიცება — თით-  
ქოს ალფ-არსლანმა საქართველო დაიმორჩილა და მერე იხმო თავისი  
შვილი და ნიზამ ალ-მულქი ახალქალაქის დასაპყრობად. მუნეჯიმ-ბაში,  
პირიქით, შენიშნავს, რომ „ალფ-არსლანმა თავისი შვილი მელიქ-შაჰი  
და დიდგვზირი ნიზამ ალ-მულქი საქართველოში გაგზავნა. ისინი შე-  
იქრნენ და უამრავი ქაფირი ხმლით დახოცეს. ნაწილი ციხეებისა და-  
იპყრეს, ნადავლი ხელთ იგდეს, უვნებელნი მოვიდნენ და თავიანთ

<sup>11</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 24—25; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 119.

<sup>12</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 24—25.

<sup>13</sup> მ უ ნ ე ჯ ი მ - ბ ა შ ი, გვ. 529.

<sup>14</sup> მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

ლაშქარს გაუნაწილეს. შემდეგ მთელი ისლამის ლაშქრით თვით სულ-  
თანი გაემგზავრა<sup>15</sup>.

ზემოთ მოტანილი ცნობა უფრო სარწმუნო ჩანს. ალფ-არსლანმა  
რომ თავისი შვილი და ნიზამ ალ-მულქი ბიზანტიის მოსახლერე ტერი-  
ტორიებზე სალაშქროდ გააგზავნა, ისინი შესაძლებელია საქართვე-  
ლოშიაც შეიჭრნენ, მოსახლეობა დაარბიეს და ნადავლით უკან დაბ-  
რუნდნენ; ეს უნდა ყოფილიყო ერთგვარი დაზვერვითი ხასიათის თა-  
რეში, რომლის შემდეგაც ალფ-არსლანი მთელი თავისი ძალებით გაე-  
მართა საქართველოსაკენ.

როდესაც ნიზამ ალ-მულქი და მელიქ-შაჰი უკან დაბრუნდნენ,  
ალფ-არსლანი მთელი ძალებით საქართველოში შემოიჭრა. ეს ლაშქ-  
რობა უნდა ჰქონდეს მხედველობაში „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს  
როცა წერს, რომ ალფ-არსლანი „უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა-  
კანგარი და თრიალეთი, და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია  
ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფა-  
ნასკერტამდე. და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღვეის-ხევს, და  
თვით დადგა თრიალეთს სამ დღე“<sup>16</sup>. საქართველოს სამხრეთ რაიონებ-  
ში ამ მარბიელი ლაშქრის დაგზავნის შემდეგ, ჩანს, ალფ-არსლანმა-  
იხმო თავისი შვილი და ნიზამ ალ-მულქი ახალქალაქზე. სალაშქროდ;  
მარბიელი ლაშქრის დაგზავნა საქართველოს სამხრეთ ნაწილში სრუ-  
ლებით არ ნიშნავს საქართველოს დამორჩილებას.

ალფ-არსლანის დასახზარებლად წამოსულმა ნიზამ ალ-მულქმა და  
მელიქ-შაჰმა გზაში რამდენიმე ციხე აიღეს, ურიცხვი მოსახლეობა გა-  
ანადგურეს და დაატყვევეს<sup>17</sup>. ამის შემდეგ, როგორც არაბულ წყა-  
როებშია აღნიშნული, სელჩუკები გაემართნენ სეფიდ-შეჰრისკენ. ამ  
ქალაქის მოსახლეობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მათ. სელჩუ-  
კებმა ბევრი მებრძოლი დაკარგეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯ-  
ვეს და ქალაქი ხელთ იგდეს<sup>18</sup>.

<sup>15</sup> მ უ ნ ე ჯ ი მ ბ ა შ ი, გვ. 529.

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306.

<sup>17</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 119; ა ხ ბ ა რ, გვ. 25.

<sup>18</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 119; ა ხ ბ ა რ, გვ. 25; ზემოთ მოტანილ ცნო-  
ბაში დასახელებული სეფიდ-შეჰრი სენ-მარტენის განმარტებით, „თეთრ ქალაქს“  
ნიშნავს სპარსულად, ხოლო თურქულად — „ახალი ქალაქი ეწოდება“. სენ-მარ-  
ტენის ეს მოსაზრება შემდეგში მართებულად მიიჩნია ჰამერმაც (M. I. Saint-  
Martin, Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie. Paris,  
1818, გვ. 84; V. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches.  
Pesth, II, გვ. 867) სეფიდ-შეჰრის ახალქალაქთან იდენტურობის შე-  
სახებ მოსაზრებები გამოთქმული აქვთ რენე გრუსეს (რ. გ რ უ ს ე, დასახ. ნაშრ.,

მათე ურპაელის ცნობით, სელჩუკებმა ჯერ სომხეთი აიღეს, აგვანში მოვიდნენ, მოსახლეობა გაეკლიტეს, შემდეგ აგვანის მეფეს გორიგეს (კვირიკეს?) ქალიშვილი მოსთხოვეს. მეფე შიშით იძულებული გახდა დათანხმებულიყო. ამის გამო სულთანმა მასთან მუდამ მშვიდობასა და მეგობრობას ინარჩუნებდა. ალფ-არსლანმა აგვანის მეფე დიდი პატივითა და საჩუქრებით გაგზავნა ქალაქ ლორეში. ამის შემდეგ ალფ-არსლანი დიდი ლაშქრით შევიდა საქართველოში, მოსახლეობა გაანადგურა, ჯაყახეთში გადავიდა და იქ დაბანაკდა<sup>19</sup>.

როდესაც ალფ-არსლანმა მარბიელი ლაშქარი სამხრეთ საქართველოს რაიონებს შეუსია, მეფე ბაგრატ IV ძლივს გადაურჩა მათ და მოასწრო ქართლში გადმოსვლა. ქართველი ავტორი აღნიშნავს: „რამეთუ მას ეამსა მოჰვალი იყო მეფე ტაოთ, და თანა ჰყვანდეს დედა, და დაჲ, და ძე მისი გიორგი; გადგროჰილ იყვნეს ხეკრებულთა. და აყრისა მისისა ეამსა მოუხდა ლაშქარი სულტანისა; მოვიდეს და წარმოადგეს ქედსა ზედა. ხოლო ივინი ჩამოესწრნეს ქართლს“<sup>20</sup>.

ალფ-არსლანი გაძლიერებული ლაშქრით მოადგა ახალქალაქს სამხრეთის მხრიდან; ამ დროისათვის ახალქალაქის „ციხის კედლის სიგრძე ასი წყურთა იყო, ხოლო სიგანე ამაზე უფრო მეტი. ამ ქალაქის გარშემო აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარეობს მთა და ამ მთის მწვერვალზე ციხეებია. ჩვენ მიერ აღნიშნული გალავანი კი სამხრეთ მხარესაა. ამ ციხის კედლის წინ ჯეიჰუნის მსგავსი მდინარე ჩადის. ამაზე იყო გაშენებული ხიდი. მტერმა (ე. ი. ქართველებმა) ეს ხიდი აიღო... ამის შემდეგ სულთან ალფ-არსლანმა ამ მხარეში შესასვლელთან კარავი დასცა“<sup>21</sup>. სელჩუკები დარწმუნდნენ, რომ ამ ქალაქის ადვილად აღება შეუძლებელი იყო მისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, ამიტომ გადაწყვიტეს ბანაკი იქვე გაეშალათ და საგანგებოდ მომზადებულიყვნენ; მიუხედავად ახალქალაქის ასეთი ბუნებრივი სიმტკიცისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა, ის ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო „ზღუდითა მტკიცითა განსრულებული“ და ამიტომ „ვერდარა დაუდგმიდეს ბრძოლა-

გვ. 612), მ. ქოიშენს (მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 256—257), მ. ინანს, (მ. ინანჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 58) და სხვ.

ახალქალაქის სახელწოდებისა და ადგილმდებარეობის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1958, გვ. 303—305.

<sup>19</sup> მათე ურპაელი, გვ. 118.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306.

<sup>21</sup> ახბარ, გვ. 25; იბნ ალ-ასირი, გვ. 119; წყაროებში დასახელებული ახალქალაქის ციხის კედლის სიგრძე-სიგანის რაოდენობა ძალიან მეორე ჩანს; იგი გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო ვიდრე წყაროებშია დასახელებული.

თა ძლიერთა“. რადგანაც ქართველებმა ხიდი აიღეს და მტერს გად-  
 ქოსვლის საშუალება არ მისცეს, სელჩუკებმა მდინარეზე დიდი ხიდი  
 ააგეს, გადავიდნენ და დაიწყეს ბრძოლა; ამ ბრძოლაში ქართველებს  
 განსაკუთრებული ხერხი უხმარიათ. არაბული წყაროს ცნობით, ქარ-  
 თველთაგან ორი კაცი გამოვიდა, მივიდა სულთნის ბანაკში და ითხოვა  
 ქალაქში რაზმის დანიშვნა, ჩაბარება და შეწყნარება. სულთანმაც გაგ-  
 ზაენა რაზმი: როგორც კი ისინი ქართველთა ბანაკში გადავიდნენ, მათ  
 ქართველები დაესხნენ თავს და გაანადგურეს<sup>22</sup>. წყაროებიდან ჩანს,  
 რომ ქართველები უთანასწორო ბრძოლაში მტერს პირდაპირ შებ-  
 მიან. მათთვის ნათელი იყო, რომ მრავალრიცხოვან მტერთან გამკლავ-  
 ება შემოუზღუდველ ციხეში შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ  
 პირდაპირ იერიში აღუჩვენიათ, რადგანაც ქართველები „ვერღარა და-  
 უდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიქურნეს მყოფნი ქალაქისანი“ და  
 განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახვლი-  
 სათა“<sup>23</sup>.

ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. სულთანმა თვითონ ითა-  
 ვა იერიშის მიტანა. ქართველთა პირველი ძლიერი იერიში სულ-  
 თანმა მოიგერია<sup>24</sup>. შემდეგში ძალა მოიკრიბა და „შევიდეს ქალაქად  
 თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი“<sup>25</sup>. ქარ-  
 თველები მაინც არ ნებდებოდნენ. არაბი ავტორის ცნობით, „ცი-  
 ხის ერთ-ერთ კოშკში დარჩენილიყო მტრის (ქართველების — ნ. შ.)  
 რამდენიმე გულადი მეომარი. ესენი გაუმკლავდნენ ჰემმარიტი და  
 სრული გამბედაობითა და მამაცობით“<sup>26</sup>. ქართველთა უკანასკნელ  
 თავშესაფარს — ციხის კოშკს სულთანმა ცეცხლი წაუქიდა და მთლიან-  
 ნად გაანადგურა შიგ მყოფნი<sup>27</sup>. სულთანს ახალქალაქის გვერდით მდებ-  
 არე სხვა მტკიცე ციხეც აუღია.

ქართველები სასტიკად დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში.  
 მართალია, „მესხნი აზნაურნი და ზემორე კერძისანი ძლიერად დგეს“  
 და მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ საშინელ ბრძოლა-  
 ში სელჩუკებმა გაიმარჯვეს. ამ ბრძოლაში „შეიღება წყალი ახალქა-  
 ლაქისა სისხლითა“. ამ სისხლის ღვრაში ჯავახეთის ბევრი წარჩინე-  
 ბული — ერისთავი და აზნაური გაწყდა. სელჩუკებმა ტყვედ წაასხეს  
 ურიცხვი მამაკაცი და ქალი. ზოგიერთი ქართველი წარჩინებულიც

<sup>22</sup> ახზარ, გვ. 26; იბნ ალ-ასირი, გვ. 119.

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306.

<sup>24</sup> ახზარ, გვ. 26.

<sup>25</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306.

<sup>26</sup> ახზარ, გვ. 26.

<sup>27</sup> იქვე; იბნ ალ-ასირი, გვ. 120.

კი ჩაუყარდა ალფ-არსლანის ტყვედ. მათგან ზოგიერთებს მუსლიმანობაც მიუღიათ. ჰამდალამ ყაზვინი გვაუწყებს, რომ საქართველოს ზოგიერთმა წარჩინებულმა „მუსლიმანობა მიიღო. ერთი იმათგანი ბეშთეგინი იყო. მონის საყელოს ნაცვლად [სულთანმა] მას ცხენის ნალი გაუკეთა ყურში. მისი შთამომავლობაც აგრეთვე ატარებს ყურში დიდ რგოლს. ქალაქი ვერავი უწყალობა მას [ალფ-არსლანმა] და ეს ქალაქი ამჟამად ბეშთეგინად არის ცნობილი“<sup>28</sup>.

ამ ლაშქრობაში სელჩუკებმა უამრავი სიმდიდრე იგდეს ხელთ. მათე ურჩაელი აღნიშნავს, რომ ოქროს, ვერცხლსა და ძვირფასეულობას ბოლო არ უჩანდათ. იბნ ალ-ასირის ცნობით, მუსლიმანთა მიერ წაღებული ნადავლის დათვლა შეუძლებელია<sup>29</sup>. გამარჯვებული სულთანი ანისისა და ყარსისაკენ გაემართა. მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, ალფ-არსლანის საქართველოდან წასვლის შემდეგ „დაპყრობილი ქვეყნის დასაყვად მნიშვნელოვანი რაოდენობის ლაშქარი და გამგებელი დაინიშნა“<sup>30</sup>.

არაბი მემბტიანის გადმოცემით, სელჩუკთა გამარჯვების „შენდეგ ქართველმა მელიქებმა სულთანს ბევრი საჩუქარი გაუგზავნეს და ზავი ითხოვეს, თავიანთი დანაშაული აღიარეს... სულთანმა ქართველთა მეფეს წერილით შეატყობინა, რომ ან უნდა მიიღო ისლამი ანდა ჯიზიაზე უნდა დათანხმდებოდა, სხვა გამოსავალი არ არის. ზემოხსენებულმა ჯიზია იკისრა“<sup>31</sup>. არაბი ავტორის ამ ცნობას, მიუხედავად მისი ტენდენ-

<sup>28</sup> ისთახარი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალამ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუთურჩიძისა, თბ., 1937, გვ. 27; ჰამდალამ ყაზვინი, გვ. 435; ჰამდალამ ყაზვინის მიერ ზემოთ მოტანილი ცნობა ძალიან საინტერესოა. ალფ-არსლანის მიერ დატყვევებული ქართველი წარჩინებულებიდან ზოგიერთმა მის სამსახურში თავი გამოიჩინა. ალფ-არსლანი მათ აწინაურებდა, იკთას საფუძველზე მიწის ნაკვეთებს აძლევდა, ზოგჯერ მთელ ოლქებსაც; ერთ-ერთი მათგანი იყო ჰამდალამ ყაზვინის მიერ დასახლებული ბეშთეგინი, რომელიც ი. პეტრუშევსკის აზრით, უნდა იყოს სამცხის წარჩინებული ერშე ბეშქენი. მან ალფ-არსლანისაგან სამსახურის სანაცვლოდ მიიღო ქ. ვერავი და საფუძველი ჩაუყარა ბეშქენიანთა ქართულ დინასტიას. დაწერილებით იხ. И. П. Петрушевский, Бешкениды-Плштегиниды, грузинские мелики Ахара в XII-нач. XIII вв., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1937, ნაკვ. VIII; V. Minor sky, The Georgian maliks of Ahar, Bulletin of the School of Oriental and African Studies, 1951, XIII, ნაწ. 4, გვ. 868—874; პ. თოფურია, მასალები ბეშქენიანთა ქართული დინასტიის ისტორიისათვის. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 113—133.

<sup>29</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 120; მათე ურჩაელი, გვ. 119; ახბარ, გვ. 26.

<sup>30</sup> მუნეჯიმ-ბაში, გვ. 529.

<sup>31</sup> ახბარ, გვ. 26; ქართველთა მეფის მიერ ჯიზიის კისრების შესახებ გადმოგვიცემს მუნეჯიმ-ბაში (მუნეჯიმ-ბაში, გვ. 529).

ციურობისა. ავსებს ქართველი მემკვიდრის გადმოცემა. ქართველი ავტორის მიხედვით, სულთანმა ახალქალაქიდან მოუვლინა ბაგრატ მეფეს მოციქული და ჯიზია კი არ მოსთხოვა, როგორც იბნ ალ-ასირი აცხადებდა, არამედ დისწული სთხოვა ცოლად<sup>32</sup>.

ბონდარი გარკვევით აღნიშნავს, რომ ალფ-არსლანმა „აფხაზთა მელიქი ბაგრატ გიორგის ძე აიძულა ზავის ჩამოსაგდებად მასთან თავისი ქალიშვილი დაექორწინებინა. საჩუქრები მიიღო და შეიწყალა. შემდეგ ქართველთა დედოფალთან განქორწინდა და ნიზამ ალ-მულქთან დააქორწინა“<sup>33</sup>. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი ცნობის მიხედვით, ალფ-არსლანმა ბაგრატს ზავის პირობად ქალიშვილი მოსთხოვა ცოლად, მათე ურჰაელის მიხედვით კი, ალფ-არსლანმა ამ თხოვნით სომეხთა მეფეს მიმართა. დაქორწინდა კიდევ მის ქალიშვილზე და კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სომეხთა მეფესთან. მათე ურჰაელის ცნობით, ალფ-არსლანის ეს ქორწინება საქართველოში ლაშქრობამდე მოხდა, როდესაც იგი აგვანში მოვიდა და სომეხთა მეფე დაიმორჩილა. ჰამდალაპ ყაზვინის მიხედვით კი, პირიქით, ალფ-არსლანმა იქორწინა საქართველოდან წასვლის შემდეგ, სომხეთის დაპყრობის დროს. „იმ ადგილის მეფესთან ზავი დასდო და მისი ქალი ცოლად ითხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ სულტანი გაეყარა პას და ნეზამ ალ-მულქს უბრძანა აეყვანა ის ცოლად. ნეზამ ალ-მულქს იმ ქალისაგან შეილები ეყოლა. ხოჯა აჰმედი იმ ქალისაგან იყო“<sup>34</sup>.

ბარ ჰებრაი 1066 წლის ამბების გადმოცემის დროს აღნიშნავს, რომ „ქართველთა მბრძანებლის ბაგრატის დისწული სულთან ალფ-არსლანთან დასაქორწინებლად იქნა მოყვანილი. მანაც ქორწილი ქალაქ ჰამადანში გადაიხადა. მცირე ხნის შემდეგ ალფ-არსლანი ამ ქალს გასცილდა და იგი თავის ერთ-ერთ წარჩინებულთან დააქორწინა“<sup>35</sup>. ამგვარად, ბარ ჰებრაის მიხედვით, ქალი სულთნისთვის მიუყვანიათ 1066 წელს. ვიდრე ბაგრატ მეფე და გაგიკ სომეხთა მეფე შეთანხმდნენ ქალის გათხოვების საკითხზე და ვიდრე ქალს ჰამადანში ჩაიყვანდნენ, საკმაო დრო უნდა გასულიყო. ამას გარდა, ბარ ჰებრაის ცნობებს ადაპტურებს ქართული წყაროც. ქართველ მემკვიდრეს ვრცლად აქვს მოთხრობილი ბაგრატის დისწულისა და ამავე დროს კვირიკე სომეხთა

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306—307.

<sup>33</sup> ბონდარი, გვ. 31.

<sup>34</sup> ისთახარ. კოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაპ ყაზვინი, გვ. 27; ჰამდალაპ ყაზვინი, გვ. 435.

<sup>35</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 318.

მეტის ძმისწულის სულთნისათვის მითხოვების ამბავი<sup>36</sup>. ბაგრატ მეფეს დასჭირდა მრავალი ღონისძიების მიღება კვირიკე მეფის მიმართ, რათა იგი დათანხმებოდა თავისი ძმისწულის მითხოვებას სულჩუთა სულთნისათვის. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი გადმოგვცემს, რომ „დისწული ბაგრატიისი, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კვირიკესი, სთხოვა ბაგრატ და არა მისცა სომეხთა მეფემან“<sup>37</sup>. მაშინ ბაგრატ მეფე იძულებული გახდა თავისი ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი გაეგზავნა საიდუმლოდ კვირიკე მეფის წარჩინებულებთან, რათა ისინი გადმოებირებინა და თვითონ კვირიკე მეფე შეეპყრათ. „მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი. იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ქალასა, და აცნობეს ბაგრატს“<sup>38</sup>. ბაგრატი ამ ამბის გაგებისთანავე კლდეკარს მივიდა, სადაც მოჰგვარეს მას საპატიო ტყვეები, მხოლოდ მათმა ერთ-ერთმა ძმამ აღარანსემ მოასწრო თავის დაღწევა და სამშვილდეში ჩაკეტვა. ეს საპატიო ტყვეები ჯერ უარზე იღვინენ სამშვილდის მიცემაზე, მაგრამ, როდესაც „ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამ დღე, ითხოვეს მშვიდობა და მოსცეს სამშვილდე“<sup>39</sup>. ამას გარდა, ბაგრატს ეახლა სომეხთა მეფის ორი ერისთავი — ლუკიის ერისთავი და კაქვაქარისა, რომლებიც საქართველოს მეფეს სამ ციხეს — ოფრეთს, კოშქს და ვარზაქარს სთავაზობდნენ. მაგრამ „შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა: მისცნა' და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი თვნიერ სამშვილდისა“<sup>40</sup>.

ბაგრატ მეფემ ჯერ თავისი საქმეები მოაგვარა სომეხთა მეფესთან და მერე თავისი სიძე დაიყოლია მისი დისწული მიეცა სულთნისათვის. „ხოლო შემდგომად ამისსა გაათხოვა დისწული თვისი და შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა“<sup>41</sup>. ბაგრატ მეფის ასეთი დაჟინებითი მეცადინეობა თავისი დისწულის სულთნისათვის მითხოვების საქმეში სავსებით გასაგებია; ბაგრატ მეფე ამით ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს კარზე მომდგარი მტრისგან ქვეყნის აოხრება და განად-

<sup>36</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307; ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ მეფის დისწული იყო სომეხთა მეფის კვირიკეს ასული, რაც არ უნდა იყოს მართებული. „მატიანე ქართლისაჲს“, მიხედვით ის სომეხთა მეფის ძმისწულია. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 152.

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 152.

<sup>40</sup> ქართლის ცხოვრება I, გვ. 307.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 308.



გურება თავიდან აეცილინა და ამიტომ გარკვეულ კომპრომისებზე მი-  
დიოდა. იგი იძულებული იყო სულთანთან კარგი ურთიერთობა ჰქო-  
ნოდა: სულთანთან დამოყვრებას ბაგრატ მეფე გარკვეულ პოლიტი-  
კურ მიზნებს უკავშირებდა. იგი ამაში ქვეყნის აოხრების თავიდან აცი-  
ლებას ერთ-ერთ გამოსავალს ხედავდა. მაგრამ ბაგრატის ეს პოლიტი-  
კური ნაბიჯი არ გამოდგა ქვეყნისათვის სასარგებლო. ჯერ ერთი, სულ-  
თანმა ხელი აიღო საქართველოს მეფის დისწულზე და იგი ნიზამ აღ-  
მულქა მიათხოვა. ამას გარდა, რამდენიმე წლის შემდეგ უზარმაზარი  
ლაშქრით ისევ შემოესია საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს,  
რასაც ქვეყნის განადგურებისა და აოხრების მეტი არაფერი მოჰყოლია.

ალფ-არსლანის საქართველოში პირველი შემოსევისა და ახალ-  
ქალაქის განადგურების თარიღად წყაროები სხვადასხვა დროს ასახე-  
ლებენ. ბონდარი 457 (1064/5) წელს ასახელებს<sup>42</sup>. ამ თარიღს იმეორებს  
მათე ურჭაელიც<sup>43</sup>. ანონიმი ავტორი კი ალფ-არსლანის საქართველო-  
ში პირველი შემოსევის თარიღად 459 (1066/7) წელს მიიჩნევს<sup>44</sup>, რაც  
ამჟამად შეცდომა უნდა იყოს.

იბნ ალ-ასირი<sup>45</sup>, ალ-ჰუსეინი<sup>46</sup>, მუნეჯიმ-ბაში<sup>47</sup> ერთხმად აღნიშ-  
ნავენ 456 (1063/64) წელს. სომეხი ისტორიკოსი სამუელ ანელი თა-  
ვის ქრონოლოგიურ ტაბულაში ალფ-არსლანის მიერ ანისის აღების  
თარიღად 1064 წელს ასახელებს<sup>48</sup>. ალფ-არსლანმა კი ჯერ საქართვე-  
ლოში ილაშქრა და მერე გაემართა ანისისაკენ. სპეციალურ ლიტერა-  
ტურაში ანისის აღების თარიღად მიჩნეულია 1064 წლის 16 აგვის-  
ტო<sup>49</sup>. მაშასადამე, თუ სელჩუკთა მიერ ანისის აღება 1064 წლის ზაფ-  
ხულში მოხდა, მაშინ საქართველოში ალფ-არსლანის პირველი შემო-  
სევა ამავე წლის ივნის-ივლისში უნდა მომხდარიყო, რამდენადაც  
ანისში მათ ლაშქრობას საქართველოს სამხრეთ ნაწილის დალაშქვრა  
უწყრებდა წინ.

ალფ-არსლანის ამ პირველი შემოსევებით მეტად დაზარალდა სა-  
ქართველოს სამხრეთი ნაწილი — მესხეთ-ჭავჭავთი. ბუნებრივია, რომ  
აღგილობრივი მოახსლეობა, ვინც კი მოასწრებდა, თავს შეაფარებდა  
საქართველოს მთიან რაიონებს და ქართლისაკენ გაიხიზნებოდა. თვით

<sup>42</sup> ბონდარი, გვ. 80.

<sup>43</sup> მათე ურჭაელი, გვ. 118.

<sup>44</sup> Anadol..., III, გვ. 7.

<sup>45</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 120.

<sup>46</sup> ახბარ, გვ. 24.

<sup>47</sup> მუნეჯიმ-ბაში, გვ. 529.

<sup>48</sup> Recherches sur la chronologie Arménienne. Technique et Historique, Par M. Ed. Dulaurier, tome I<sup>er</sup>, Paris, 1859, გვ. 297.

<sup>49</sup> Islâm Ansiklopedisi, cuz 104; რ. გ რ უ ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 615.

საქართველოს მეფემაც ძლივს მოასწრო ქართლში გადმოსვლა. ამ პერიოდს მიეკუთვნება ქართველების მიერ თავშესაფრების მშენებლობა მიუვალ ადგილებში. ამ მხრივ საინტერესოა ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან<sup>50</sup>, რომელშიც ვკითხულობთ: „მე, ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და დღესა ქირიასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათჳს ეამთა შინა აღუ-არსლა: სულტანისაგან ოხრობისათა“<sup>51</sup>.

ამ წარწერიდან ნათლად ჩანს ქართველი ხალხის საქმიანობა შემოსეული მტრისაგან თავდაცვის ღონისძიებათა მიღებაში. ხალხის საქმიანობას სათავეში უდგას სასულიერო პირი ლეონტი მროველი. „კარზედ მომდგარი საშიში მტრისაგან თავდაცვის მიზნით ლეონტი მროველი თრეხვის მიუდგომელ კლდეებში აშენებს ქვაბთა სახიზარს — საცხოვრებელი და სამეურნეო (მარანი, წყალსაცავები და სხვ.) ნაგებობებით“<sup>52</sup>. სწორედ ასეთ მიუდგომელ ადგილებში შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობას შეეფარებინა თავი. ამ პერიოდში მთელი ხალხის საქმიანობა და ყურადღება თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობისაკენ იყო მიმართული. როდესაც ლეონტი მროველი ქართლის გაშლილი ველებიდან მიუვალ ადგილებში აშენებდა ხალხისათვის თავშესაფრებს, მტერი ჯერ კიდევ არ იყო ქართლში გადმოსული. ალფ-არსლანის პირველი შემოსევა მხოლოდ სამცხის რაიონებს შეეხო. განააკუთრებით დაზარალდა ახალქალაქი და მისი მიდამოები. მტერი ქართლში არ გადმოსულა, ისე გაბრუნდა ანისისაკენ. ამიტომ ვერ გავიზიარებთ წარწერის გამომცემლის აზრს, თითქოს ამ პერიოდში (ე. ი. 1066 წლამდე) ქართლის გაშლილ ველებში მტერი დათარეშობდა<sup>53</sup>. სხვა ამბავია, როდესაც ალფ-არსლანი საქართველოში მეორედ მოვიდა 1068 წელს. მაშინ მთელ ქართლში სელჩუკები დათარეშობდნენ.

ამრიგად, ალფ-არსლანის საქართველოში პირველი შემოსევის შედეგად დიდი დანაკლისი განიცადა სამხრეთ საქართველომ. ალფ-არსლანის შემოსევა თანაბრად მძიმე იყო სამცხის საზოგადოების ყველა ფენისათვის. დიდი მატერიალური დანაკლისის გარდა გაწყდა ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. არც წარჩინებულებს დასდგომათ კარგი დღე. ალფ-არსლანის შემოსევას

<sup>50</sup> გ. გაფრინდაშვილი. ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე“, 1961, № 1, გვ. 239—262.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 454.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 255.

ქვეყნის განადგურებისა და აოხრების მეტი არაფერი მოუტანია. მისმა შეპირებულმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ცალკეულ მხარეებზეც, შიშმა და არეულობამ მოიცვა საქართველოს სხვა კუთხეებიც, რომლებიც მტრის მოსალოდნელი შემოსევისაგან თავდასაცავად დიდ მოსამზადებელ საქმიანობას ეწეოდნენ.

აღფ-არსლანის ამ შემოსევის დროს საქართველოში იმყოფებოდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი, გიორგი ხუცეს-მონაზონი, რომელიც თვითმხილველი იყო აღფ-არსლანის მიერ ჯავახეთის აოხრებისა. იგი აღნიშნავს, როდესაც „სულტანი გამოვიდა საზღვართაგან თვისთა მომსვრელად ნათესავისა ქრისტიანეთისა, მას ჟამსა შინა ეკუყენით ჩუენ ახალქალაქს ჯავახეთისასა“<sup>54</sup>. მისი გადმოცემით, აღფ-არსლანის ამ ლაშქრობის დროს „არათუ ახალქალაქისა მკვიდრნი მოიხრნეს, არამედ დიდ დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი სამეფოსა ჩუენისანი ძვრძვრად მოიხრნეს და წარწყმდეს, რომლისა მიერ ლუთის მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებათა შთავარდა“<sup>55</sup>.

აღფ-არსლანი ამჯერად მხოლოდ ამ სამხრეთი რაიონების განადგურებით დაკმაყოფილდა და გეზი ანისისაკენ აიღო. ანისში მისვლამდე გზად რამდენიმე ადგილი დაიპყრო. დებედასა და ლორეს ხეობის მოსახლეობამ მას მორჩილება გამოუცხადა და ისლამი მიიღო. წყაროს ცნობით, საქართველოდან „სულტანი გაემართა ყარსისა და ანისის რაიონების დასაპყრობად, რომელიც რუმის მიწა-წყალზე მდებარეობდა. მათ საზღვარზე კიდევ... ორი რაიონი იყო. ამ ქვეყნების მოსახლეობამ ისლამი მიიღო. სულტანი ამის გამო ძალიან კმაყოფილი დარჩა. მან ბრძანა, რომ ყოველი მათგანი დაბანილიყო და რელიგიური რიტუალი შეესრულებინა. ეკლესიები დაანგრია, მათ ადგილზე მეჩეთები ააგო“<sup>56</sup>. ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით, აღფ-არსლანმა მიერ დაპყრობილი ტერიტორიები სამხრეთ საქართველოს საზღვარზე მდებარე ადგილებია. ვ. მინორსკის მიხედვით ეს არის ალავერდი, რომელიც ლორეს ჩრდილოეთით მდებარეობს ბერდუჯის, დებედას ანდა ბორჩალოს მარცხენა ნაპირზე<sup>57</sup>.

ამ ადგილების დამორჩილების შემდეგ „მიიქცა სულტანი ანისად. შემესრა და წაიღო ანისი, მოსრნა და ტყუე ყვნა ურიცხუნი სულ-

<sup>54</sup> გიორგი მცირე, ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმიდისა და ნეტარისა შამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაი, „ჩუენი საუნჯე“, I, თბ., 1960, გვ. 388.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> ახბარ, გვ. 26; იბნ ალ-ასირი, გვ. 120.

<sup>57</sup> V. M i n o r s k y, Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 30; რ. გ რ უ ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 612.

ნი“<sup>58</sup>. აღფ-არსლანის მიერ ანისის დაპყრობა დაწვრილებით აქვთ აღწერილი არისტარქე ლასტივერტელს და მათე ურჰაელს. ანისი ამ პერიოდში ბიზანტიის მფლობელობაში შედიოდა. ანისი ბარ ჰებრაის ჰიტყვით, „სომხეთის მხარეს ბიზანტიის პირველი ქალაქი იყო“<sup>59</sup>. ქალაქის ციხის კედლების სიმტკიცე და სიმაღლე მტერს მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა თავისი მიზნის მისაღწევად. სულთანი მიხვდა, რომ ანისის აღება ასე ადვილად არ შეიძლებოდა და საგანგებოდ მოემზადა. ანისის „ციხის კედლები შედგებოდა მალალი მთებისაგან და თითოეული მთის მწვერვალზე თითო ციხე იყო. ეს ადგილი რუმის ქვეყნებიდან ყველაზე უფრო გამაგრებული პუნქტი იყო“<sup>60</sup>. ქალაქის სამი მეოთხედი მდებარეობდა მდინარე არაქსზე, ქალაქის დანარჩენ ნაწილში კი გადიოდა სწრაფმავალი მდინარე; ქალაქში შემავალი გზა გადიოდა ხეობით, სადაც მტკიცე ქვებით ნაშენი კედელი იყო აღმართული. ეს იყო დიდი ქალაქი, სადაც, იბნ ალ-ასირის ცნობით, 500-ზე მეტი ეკლესია იყო აშენებული<sup>61</sup>. ბარ ჰებრაის ცნობით კი, ამ დროს ანისში 700 000 სახლი და ათასი ეკლესია იდგა<sup>62</sup>.

მუნეჯიმ-ბაში შემდეგნაირად აგვიწერს ანისის ციხე-სიმაგრეს: „ზემოხსენებული ციხე მდინარე არაქსზე მტკიცედ გამაგრებულ ქალაქს წარმოადგენდა, სადაც 60 000 ეკლესია იდგა. ციხე თავისი სიმტკიცით თავს იცავდა საოცარი ქარებისაგან. სამი მხრით მდინარე არაქსი ეკრა. ერთ-ერთ მხარეზეც ძლიერად გამდინარე სხვა მდინარე ჩაუდიოდა. მხოლოდ ერთი მხრით იყო ღრმა თხრილში გზა“<sup>63</sup>.

მუნეჯიმ-ბაშის მიერ მოტანილი ციფრები ეკლესიის რაოდენობის შესახებ აშკარად გადაჭარბებულია, ასევე გადაჭარბებულია სხვა ავტორთა ცნობები ანისის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პერიოდისათვის ანისის მოსახლეობა ძალიან ბევრი და საკმაოდ მდიდარიც ყოფილა, „რადგანაც მათ აქამდე მტრის ლაშქარი არ ენახათ“<sup>64</sup>. ამიტომ ბუნებრივია, რომ ანისის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე სომხეთის სხვა ქალაქებისა, რომლებმაც უკვე რამდენჯერმე განიცადეს სელჩუკთა დამარბეველი ლაშქრობების სიმწარე.

აღფ-არსლანმა ალყა შემოარტყა ქალაქს; მოსახლეობა მოემზადა წინააღმდეგობის გასაწევად. სელჩუკებმა დაიწყეს იერიშები ქალაქის

<sup>58</sup> ქართლ-ს ცხოვრება, I, გვ. 307; ბარ ჰებრაი, I, გვ. 316.

<sup>59</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 316.

<sup>60</sup> ახბარ, გვ. 27; იბნ ალ-ასირი, გვ. 120.

<sup>61</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 120.

<sup>62</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 316.

<sup>63</sup> მუნეჯიმ-ბაში, გვ. 529.

<sup>64</sup> ახბარ, გვ. 27.

წინააღმდეგ და სომეხთა ლაშქარი, რომელიც ქალაქს იცავდა. იძულებული გახდა შიგნით ჩაკეტილიყო. მათე ურჰაელს „საგანგებოდ აქვს აღწერილი ქალაქის მოსახლეობის განწყობილება კარზე მომდგარი მტრის პირობებში; მისი სიტყვით, ქალაქი ყოველმხრივ კედლებით იყო შემოვლებული, რომელსაც გარს კიდევ არფაჩაის მდინარე უვლიდა. მაგრამ ერთი მხრიდან, ისრის გასროლის მანძილზე კედელი დაბალი იყო. მუსლიმანებმა სწორედ ამ მხრით დაიწყეს იერიშები და კედლის სანგრევი იარაღები გამოიყენეს, მაგრამ შიგ ველარ შეაღწიეს<sup>65</sup>. ბიზანტიის იმპერატორის მიერ ქალაქის დასაცავად გამოგზავნილი ბაგრატი და ქართველი ბაკურიანის შვილი გრიგოლი ქალაქის კედლები-სა და კარების გაშავრების თადარიგში იყვნენ<sup>66</sup>.

სელჩუკებმა ვერაფერი მოუხერხეს ქალაქის გალავანს. ისინი ისე თავგამოდებით იბრძოდნენ ანისისათვის, რომ მემატიანის გადმოცემით, „თავი დაანებეს ჭამას, სმას, ძილს და ყველაფერს და გააგრძელეს ომი“<sup>67</sup>. წყაროების ცნობით, ქალაქის აღებაზე იმედგადაწყვეტილი აღფ-არსლანი უკან გაბრუნებას აპირებდა, როდესაც გაურკვეველი მიზეზების გამო ქალაქის ერთი მხრით კედლები ჩამოინგრა და მტერს მიეცა ქალაქში თავისუფლად შესვლის საშუალება.

არისტარქე ლასტივერტელის ცნობით, ქალაქის სიმტკიცის გამო სელჩუკები იმედდაკარგულნი იყვნენ და წასვლა უნდოდათ, მაგრამ „უფალმა ზედამხედველთა და მთავართა შორის ჩამოაგდო განხეთქილება და უთანხმოება, შინაბრძოლა და დაყოფა. მათ მიატოვეს ბრძოლა და გაიქცნენ“<sup>68</sup>. ამით ისარგებლეს სელჩუკებმა და ქალაქში შესვლა მოახერხეს; ქალაქის შიგნით მათ „ამოქმედეს სპარსული მახვილი და არაინ არ დაინდეს, ხოლო კაცთა და ქალთა სიმრავლემ მეფეთა სასახლეს მიაშურა, რომ ეგებ როგორმე ეხსნათ თავი. სხვებმა კი თავი შეაფარეს ნერქინ-ბერდად (შიდა ციხე) წოდებულ ციხეს“<sup>69</sup>. ბიზანტიის სამსახურში მყოფმა ქალაქის დამცველმა მხედართმთავრებმა ქალაქის შიდა ციხეს შეაფარეს თავი და მისკენ მიმავალი გზები გადახერგეს. მაგრამ სულთანმა ადვილად შევიდა ქალაქში და საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. მათე ურჰაელი გადმოგვცემს, რომ „მთელი ქალაქი ერთ წუთში სისხლის ზღვად იქცა. სომეხი წარჩინებულები და უფ-

<sup>65</sup> მათე ურჰაელი, გვ. 120.

<sup>66</sup> იქვე; რ. გრუსე. დასახ. ნაშრ., გვ. 613; „ქართველი ბაკურიანის შვილი“ ცნობილი გრიგოლ ბაკურიანის, ტიპიკონის ავტორი. იხ. გეორგიაკოტ. 5.

<sup>67</sup> ახბარ, გვ. 27.

<sup>68</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 115.

<sup>69</sup> იქვე.

ლისწულები ბორკილგაყრილნი სულთანთან მოიყვანეს. კაბუკები და ლამაზი ქალები ტყვედ წაასხეს ირანში<sup>70</sup>.

ანიის ალებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბიზანტიელებისათვის, ასევე სელჩუკებისთვისაც. ბიზანტიელებმა აღმოსავლეთში დაკარგეს უქტიცესი ციხე-ქალაქი. ქრისტიანობის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი. ამიტომაც იყო, რომ ბიზანტია თავგამოდებით იბრძოდა მის გადასარჩენად. სელჩუკებმაც მძიმე დღე დაადგათ ქალაქის ალების დროს. ანიის ხელში ჩაგდება მათში დიდი სიხარული გამოიწვია. ბარ ჰებრაის ცნობით, ალფ-არსლანმა ანიის ალების შემდეგ „აბულ-ფეთჰის“ ტიტული მიიღო. მან გამარჯვების წიგნი ყველგან დაგზავნა. ბაღდადში, ხალიფას სასახლეში იგი ხმამაღლა წაიკითხეს. ალფ-არსლანს ხალიფასაგან ქებით სავსე პასუხი მოუვიდა, სადაც ხალიფა მადლობას უცხადებდა სულთანს.

ანიის ალებამ სულთან ალფ-არსლანს დიდი ავტორიტეტი მთხოვეკა მუსლიმანურ სამყაროში. ალფ-არსლანმა ანიის საგამგებლოდ არანის გამგებელს მანუჩარ ბენ აბულ-ასვარს გადასცა. იგი მამინვე გაემართა ანიის სასაზღვრო რაიონისაკენ და ყველაფერი წესრიგში მოიყვანა. მან იქ დანიშნა თავისი წარმომადგენლები და ისინი ხალხით, იარაღით და სანოვავით მოამარაგა<sup>71</sup>. არანის გამგებელმა ანიის პლაცდარმად გაიხადა ახლომახლო ტერიტორიების დასამორჩილებლად. იგი ბიზანტიელთა ტერიტორიაზე შეიჭრა და იქ საიმედო ლაშქარი ჩააყენა, რის შემდეგ სომეხთა მიერ გამაგრებულ ვეჯინის ციხისაკენ გაემართა. აიღო, აქაც თავისი ერთგული ლაშქარი ჩააყენა, თვითონ უკან გამობრუნდა და განძაში მოვიდა<sup>72</sup>.

ასეთი რეიდები ანიის გარშემო ალფ-არსლანის მიერ იყო ნაკარნახევი და აბულ-ასვარი მისი იმედით მოქმედებდა ასე თავისუფლად. ანიის ალების შემდეგ თვითონ ალფ-არსლანი ყარსისაკენ გაემართა. ამ დროს ყარსის გამგებელი იყო გაგიკი — შაჰინშაჰ აბასის შვილი, რომელსაც ალფ-არსლანმა ელჩი გაუგზავნა, მოსთხოვა მორჩილება და მასთან ხლება.

მათე ურჰაელის ცნობით, გაგიკმა ალფ-არსლანის რისხვისაგან თავის დასაღწევად ხერხი იხმარა. ჩაიცივა შავი ტანისამოსი და ისე გამოეცხადა სულთნის ელჩს. როდესაც ელჩმა ჰკითხა გაგიკს შავად შე-

<sup>70</sup> მათე ურჰაელი, გვ. 191.

<sup>71</sup> А х м е д И б н Л ю т ф у л а х (Мунаджим-Баши). «Джами ад дувел», Ибн Ал-Азрака ал-Фарუқи из «Истории Майяфарикина». Перевод с арабского А. Дж. Мамедова, «Труды Инст-та Истории АН АзССР», XII, Баку, 1957, гв. 219.

<sup>72</sup> იქვე.

მოაკის მიზეზი, მან უბასუხა: „აღფ-არსლანის ძმისა (Sic!) და ჩემი მეგობრის სულთან თორღულის გარდაცვალების დღეს ეს შავი ტანსაცმელი ჩაეცვი“<sup>73</sup>. ამ სიტყვებით დამწუხრებულმა ელჩმა ვითარება სულთანს აცნობა. სულთანი ამის გამო მთელი ლაშქრით ყარსში მივიდა გაგიკთან და მისი ხილვით გახარებულმა მას სამეფო ტანსაცმელი უბოძა. გაგიკმაც დიდი პატივი სცა სულთანს და მის მთელ ლაშქარს გაუმასპინძლდა. ამგვარად გადაურჩა გაგიკი აწიოკებას აღფ-არსლანისაგან<sup>74</sup>. ყარსიდან აღფ-არსლანის გამგზავრების შემდეგ გაგიკმა უარპყო სელჩუკ სულთანთან ვასალური დამოკიდებულება და გაემგზავრა ბიზანტიის იმპერატორთან, რომელმაც მას ზამანდავის რაიონი უბოძა. გაგიკი მთელი თავისი სახლობით ამ რაიონში გადასახლდა<sup>75</sup>. მან ამავე რაიონში მიიღო იმპერატორისაგან ქალაქები ლარისა, ამასია, კომანა; მათ სანაცვლოდ იმპერატორს ქალაქი ყარსი და ვანანდის რაიონი გადასცა<sup>76</sup>. კაპადოკიაში გაგიკთან ერთად გადასახლდა სომხეთის მწარმოებელი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს იყო ახალი ტალღა სომეხი მოსახლეობის ემიგრაციისა. ადგილობრივი სომხური მოსახლეობა იძულებული ხდებოდა გასცლოდა მომხდურ მტერს.

ამრიგად, აღფ-არსლანის ლაშქრობას ანატოლიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში განადგურებისა და მოსახლეობის ფიზიკური მოსპობის მეტი არაფერი მოუტანია. მათე ურპაელი საგანგებოდ აღნიშნავს სელჩუკთა შემოსევების შედეგებზე სომხეთში. მისი გადმოცემით, სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაატყვევეს, ბევრი სისხლი დაიღვარა და ქვეყანა გავერანდა, სამართალი აღარ არსებობდა და ქვეყანა ურწმუნოებისა და უცხო მოძალადეების ხელში ჩავარდა<sup>77</sup>.

ამიერკავკასიის ქვეყნებიდან წასულმა აღფ-არსლანმა დაპყრობილი ქვეყნები თავის ქვეშევრდომ ამირებსა და მუსლიმანური პროვინციის გამგებლებს უბოძა. ვანის ტბის აუზში დაპყრობილი ტერიტორიები სულთანმა ნახჭევნის ამირს აბუ დულაფ ბ. სადაყ აშ-შაიბანს მისცა. ანისი — მანუჩარ ბ. აბულ-ასვარს. საქართველოს დაპყრობილი ნაწილი განჯის ამირს — ფადლონს, ხოლო დანარჩენი — თბილისის ათირას<sup>78</sup>.

აღფ-არსლანი, როგორც აღნიშნული იყო, ანატოლიის ლაშქრობიდან მოულოდნელად ისფაჰანს დაბრუნდა, იქიდან ქერმანში გაემ-

<sup>73</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 122 [თორღულ-ბეგი აღფ-არსლანის ბიძა იყო და არა ძმა—ნ. შ.].

<sup>74</sup> ი ქ ვ ე.

<sup>75</sup> ი ქ ვ ე.

<sup>76</sup> მ. ქ ი მ ი ე ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 258; რ. გ რ უ ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 616.

<sup>77</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 122.

<sup>78</sup> მ. ი ნ ა ნ ჩ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

ვზავრა და ქავერდის აჯანყება ჩააქრო; ანატოლიიდან მისი სასწრაფოდ გამგზავრების მიზეზი სწორედ ქავერდის აჯანყება იყო. ამიტომ მან ანატოლიაში ლაშქრობა შეაჩერა და ქავერდისკენ გაემართა. ქავერდისთან საქმის მოგვარების შემდეგ ქერმანის, ხორასნისა და მინკიშლაქისკენ გასწია. ხაზართა ზღვის სანაპიროებზე, მინკიშლაქში მან ბრძოლა გამართა ყივიჩალთა ამირთან<sup>79</sup>. შემდეგ თავისი დიდი წინაპრის სელჩუკის საფლავი მოინახულა ჯენდში. აქ ჯენდის ხანი დიდი პატივით შეხვდა მას, დიდი საჩუქრები მიართვა. შემდეგ სულთანი ხორეზმის დედაქალაქ გურგანჩში წავიდა და ეს ტერიტორიები მთლიანად სელჩუკთა სახელმწიფოს შეუერთა. ხორეზმში თავისი შვილი სალარ-შაჰი დანიშნა<sup>80</sup>. შემდეგ ალფ-არსლანი „ჯერ მერეს, მერე რადგანში ჩამოვიდა, აქ ტახტის მემკვიდრეობა თავის შვილს სულთან ჯეღალ ედ-დოვლე მელიქ-შაჰს მისცა და იქ დამსწრე ამირებს საპატიო ხალათები ჩააცვა“<sup>81</sup>. გაიცა ბრძანება მელიქ-შაჰის სახელზე ხუტბის წაკითხვის შესახებ. ტახტის მემკვიდრე ოფიციალურად უნდა ეცნო ხალიფას. ალფ-არსლანმა სთხოვა ხალიფას ნებართვა, ხალიფა ქაიჰმა თანხმობა განაცხადა და ტახტის მემკვიდრეს ხალათები გამოუგზავნა<sup>82</sup>. ამას გარდა, ალფ-არსლანმა თავისი შვილი ყარახანიანთა გამგებლის ასულზე დააქორწინა და ამით უფრო განამტკიცა თავისი ხელისუფლება აღმოსავლეთში.

თავისი მეორე შვილი არსლან-შაჰი, ალფ-არსლანმა ღაზნის გამგებლის ქალიშვილზე დააქორწინა. როგორც იბნ ალ-ასირი აღნიშნავს, ამით „ალფ-არსლანმა გააერთიანა ორი დინასტია — სელჩუკებისა და შაჰმუნდის, რითაც საბოლოოდ ჩამოაგდო თანხმობა და მშვიდობიანობა“<sup>83</sup>.

მელიქ-შაჰის გარდა ალფ-არსლანს მრავალი შვილი ჰყავდა, რომელთაც სამმართველოდ სათითაოდ მისცა ცალკე პროვინციები. შვილების გარდა თავის ახლობელ ნათესავეებსაც მისცა ტერიტორიები. ამით ალფ-არსლანმა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისი უფლებები განიმტკიცა. მემკვიდრეებისათვის ტერიტორიების ბოძება ერთგვარი საფუძველი იყო შემდეგში დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ძლიერების დაცემისა. თითოეული უფლისწული, რომელიც ამა თუ იმ ტერი-

<sup>79</sup> ახბარ, გვ. 28.

<sup>80</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 317.

<sup>81</sup> ახბარ, გვ. 28.

<sup>82</sup> მელიქ-შაჰის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადების ცერემონიული აღწერილი აქვს იბნ ალ-ასირს. М И Т Т, I, стр. 375.

<sup>83</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 121.



ტორიას ფლობდა. ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ცდილობდა და-  
მოუცილებლობის მოპოვებას და ცენტრალური ხელისუფლებისადმი  
დაპირისპირებას. ამას გარდა, თითქმის ყველა უფლიანწულს ჰქონდა  
პრეტენზია სასულთნო ტახტზე ასვლისა და ყოველ ახალ სულთანს  
თავისი ძმების წინააღმდეგ ბრძოლა და ტახტის იარაღით შემომტყი-  
ცება უხდებოდა.

თავისი მეკვიდრეებისათვის ადგილის მიჩენისა და შინაური საქ-  
მეების მოგვარების შემდეგ ალფ-არსლანი ისევ იძულებული გახდა-  
ისფაჰანისაკენ გამგზავრებულყო. წყაროს გადმოცემით, ამ დროს ქერ-  
მანის გამგებელი თავის გამოუცდელ ვეზირს შეუტყუდენია და ალფ-  
არსლანის წინააღმდეგ წაუქეზებია. ალფ-არსლანი მის წინააღმდეგ  
გაემართა. „მათ შორის მომხდარი ომის შედეგად ქერმანის ჯარი და-  
მარცხდა... მეღიქ ყარა-არსლანმა ორი მხედრით ჯირუფთს შეაფარა.  
თავი და იქიდან ითხოვა სულთნისგან შეწყალება“<sup>84</sup>. ალფ-არსლანმა  
შეიწყალა და აპატია დანაშაული. მისი დამორჩილების შემდეგ სულ-  
თანი ფარსისაკენ გაემართა, გზად ისთახრის ციხე დაიპყრო, მისი გამ-  
გებელი აიძულა ქვევით ჩამოსულიყო და რაც სიმდიდრე ჰქონდა ხელ-  
ში ჩაიგდო<sup>85</sup>.

ანატოლიიდან წასული ალფ-არსლანი ორი წლის განმავლობაში  
არალის ზღვის აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით მცხოვრები თურქ-  
შენების დამორჩილებით იყო დაკავებული. ამ დროს ანატოლიის საზ-  
ღვარზე მყოფი მისი ცალკეული ამირები წარმატებით განაგრძობდნენ  
დაპყრობებს. 1065—1066 წლებში აქ დატოვებულმა სელჩუქმა ამი-  
რებმა გუმუშთევიმა, აფშინმა და ხორასნის სალარმა მთელი რიგი  
თავდასხმები მოახდინეს ანატოლიის პროვინციებში და გაანადგურეს.  
და ააოხრეს ქალაქები: მალათია, ერგანი, ხლათი, სივერეჟი, ამიდი,  
მაიაფარიკინი, ურფა, ჰარანი, ნიზიბი, სურუჯი, დელუჟი, რაბანისა და  
ანტიოქიის მიდამოები. ამ რაიონებში დაიპყრეს მთელი რიგი ციხე-  
სიმაგრეები. ისინი პირნათლად აპრულებდნენ ალფ-არსლანის მიერ  
დასახულ ამოცანებს. წყაროებში ვრცლად არის გადმოცემული ალფ-  
არსლანის ანატოლიაში არყოფნის დროს სელჩუკი მხედართმთავრე-  
ბის მიერ ჩატარებული ლაშქრობების შესახებ.

ალფ-არსლანი ჯერ კიდევ აღმოსავლეთში იყო, როდესაც მას გა-  
ნუდგა მისი ერთგული განჯის ამირი ფადლონი; ამიერკავკასიაში ალფ-  
არსლანის პირველი ლაშქრობის დროს „ფადლონი შეეგება მას და მის  
უზანგს ემთხვია... სულთანმა მას ფარსის ვილაიეთი უბოძა“<sup>86</sup>. მაგ-

<sup>84</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 28.

<sup>85</sup> ი ქ ე ე, გვ. 29.

<sup>86</sup> ი ქ ე ე.

რამ ფადლონმა როგორც კი შორს გაიგულა ალფ-არსლანი, განუდგა მას და ერთ მტკიცედ ნაგებ ციხეში გამაგრდა. ნიზამ ალ-მულქმა გაღაწყვიტა ფადლონის დაჯა და მის დასამორჩილებლად გაემართა. „ვეზირი ნიზამ ალ-მულქი ამ ციხის კალთებს მიადგა და ომია ცეცხლი დაანთო. მტრის ჯარმა ნიზამ ალ-მულქის ლაშქარს ისეთი ისრები დაუშინა, რომლებიც რკინას ხერეტდნენ. ნიზამ ალ-მულქის ჯარები კი ამის საპასუხოდ ქვებსა და ისრებს ისროდნენ“<sup>87</sup>. მაგრამ მათ მოულოდნელად პატიება ითხოვეს. გამოირკვა, რომ ციხეში გამაგრებულთათვის მათ წყალი გადაუყვებით და ამიტომ იძულებული გამხდარან შეწყალება ეთხოვათ. მაგრამ თვით ფადლონი ციხის შუაგულში აშენებულ კოშკში გამაგრდა და არ ნებდებოდა. როდესაც ნიზამ ალ-მულქს გაუპირდა ფადლონის დამორჩილება, არაბული წყაროს გადმოცემით, მან თავის ამირს ჰაზარასბს უთხრა: „შენი ცხენოსნებითა და ქვეითებით გაემგზავრე იმ ადგილს, სადაც ფადლონი დაიბადა. მისი ნათესაეები და ცოლი დაიპირე და ყველანი დახოცე“<sup>88</sup>. როგორც კი ეს გაიგო ფადლონმა, მაშინვე ჩამოვიდა ციხიდან და ჰაზარასბის ლაშქარს წინ აღუდგა. ჰაზარასბის ლაშქარმა იგი დაამარცხა; თვითონ ფადლონი დაიპირეს, „თმაზე ხელი წაავლეს და თრევა-თრევიტ დატყვევებული ნიზამ ალ-მულქს მოჰგვარეს“<sup>89</sup>. ნიზამ ალ-მულქმა დატყვევებული ურჩი ფადლონი ალფ-არსლანს გაუგზავნა ქერმანში; სულთანმა მას აპატია დანაშაული და ისევ თავის ქვეყანაში გამოისტუმრა, ვითარცა მაჰმადიანი და ერთგული მოკავშირე ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების გამგებელთა შორის. ფადლონის ხელახლა გაერთულების შემდეგ ალფ-არსლანი თვითონ წამოვიდა უზარმაზარი ლაშქრით ამიერკავკასიისა და ანატოლიისაკენ. არაბული წყაროს მიხედვით, მას მტკიცედ გადაუწყვეტია საგანგებო ლაშქრობა მოეწყო საქართველოს წინააღმდეგ<sup>90</sup>. ჩვენ არ ვიცით, თუ რამ მიიყვანა ალფ-არსლანი ამ გადაწყვეტილებამდე, მაგრამ საფიქრებელია, რომ მეზობელი მუსლიმანური ერთეულები, რომლებიც ალფ-არსლანის მოკავშირედ და ერთგულად ითვლებოდნენ, ბაგრატ მეფის მიერ შევიწროებული უნდა ყოფილიყვნენ. ალფ-არსლანის საქართველოში პირველი ლაშქრობის შემდეგ აბულ-ასვარს, რომელსაც სულთნისაგან მინდობილი ჰქონდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებზე მეთვალყურეობა, არ შეიძლებოდა საქართველოს წინააღმდეგ არ გაელაშქრა. საამისო ცნობებს იძლევა მუნეჯიმ-ბაში. მუნეჯიმ-ბაშის

<sup>87</sup> ა ბ ბ ა რ. გვ. 29.

<sup>88</sup> ი ქ ვ ე.

<sup>89</sup> ი ქ ვ ე.

<sup>90</sup> ი ქ ვ ე. გვ. 30.

ცნობების ანალიზის საფუძველზე რ. კიკნაძე ასკვნის, რომ ამ პერიოდში „აბულ-ასვარს ნამდვილად დაულაშქრავს საქართველო“<sup>91</sup>. აბულ-ასვარის საქართველოში შემოჭრის პასუხი უნდა ყოფილიყო ბაგრატ მეფის გალაშქრება ბარდავს.

საქართველოში ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობას, ბაგრატის ბარდავში გალაშქრება უძლოდა წინ. არაბული წყაროს ცნობით, „460 (1067/8) წელს ქართველთა მეფე ბაგრატი ბარდავს შეესია და იავარჰყო“<sup>92</sup>. ადვილი შესაძლებელია ბაგრატის მიერ იავარქმნილი ბარდავის გამგებელმა საშველად ალფ-არსლანს მიმართა. „ქართველთა არანში ლაშქრობით განრისხებული ალფ-არსლანი მათ დასასჯელად წამოსულა“<sup>93</sup>. საქართველოში ალფ-არსლანის მეორედ შემოსევას დაემთხვა ისიც, რომ ბაგრატ IV გალაშქრებული იყო კახეთში. ამის გამო კახეთის მეფემ აღსართან გაგიკის ძემ „და ყოველთა დაყარნეს ციხენი მათნი, და ივლტოდეს კავკასიად“; ხოლო ბაგრატის მიერ კახეთში გაგზავნილმა ლაშქარმა თავი ანება კახეთის დაპყრობილ ციხეებს და „შემოიქცეს მშვიდობით, და უამბეს შემოსვლა სულტანისა და დაყრა ციხეთა“<sup>94</sup>.

საქართველოში პირველად ლაშქრობის სამი წლის შემდეგ ალფ-არსლანმა „შემოვლო რანი და უგრძნეულად შევიდა პერეთად“, რომლის დიდებულები ბაგრატ მეფის ერთგულნი იყვნენ. ალფ-არსლანმა საქართველოს წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარის მეთაურად ამირ სუთეგინი დანიშნა. „ამირ სუთეგინი, რომელიც ამისათვის შეკრებილი ჯარის მეთაურად ჩადგა, წინ მიდიოდა, როგორც წინამძღოლი“<sup>95</sup>. ალფ-არსლანის ლაშქარი ჯერ პერეთში შევიდა. არაბული წყარო კახთა მეფე აღსართანს შაქის მეფედ მიიჩნევს. „შაქი ერთი ნაპიეა და მისი მელიქი აღსართანი იყო“<sup>96</sup>. როდესაც სულთანნი კახეთში შემოვიდა, ტყიანი ადგილები გადააწვევინა, რომ უფრო ადვილად ემოქმედა, რადგანაც მან იცოდა, რომ ტყეებში იმალებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევდა. წყაროში ვკითხულობთ: „შაქს გარს ერტყა მუხნარი და ტყიანი ადგილები, რომლებზედაც ურუმთა და აფხაზთა ყაჩაღები და ქურდები იმალებოდნენ. სულთანმა ბრძანა ეს კაობიანი ადგილები გადაეწვათ“<sup>97</sup>.

<sup>91</sup> რ. კიკნაძე. XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ივ. ჯახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, 1960, გვ. 115.

<sup>92</sup> ახბარ, გვ. 30.

<sup>93</sup> რ. კიკნაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 116.

<sup>94</sup> ქართლის ცხოვრება. I, გვ. 308.

<sup>95</sup> ახბარ, გვ. 31.

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> იქვე.

როდესაც სულთანმა კახეთის ტყეები გადააწვევინა, მან დაინახა, რომ ამ გადამწვეარი ადგილების შუაში იდგა ორი ციხე, „რომელიც რკინის ფირფიტებისა და სპილენძის ხრახნებით გამაგრებული ქვებით იყო ნაგები. მიუხედავად სხვადასხვა ლონისძიებებისა. ამ ციხეების მდებარეობის ადგილას მისვლა შეუძლებელი შეიქნა“<sup>98</sup>. ციხის პატრონნი იძულებულნი გამხდარან დანებებულ იყვნენ, სულთნისათვის მორჩილება გამოეცხადებინათ, მუსლიმანობა მიეღოთ და ციხეები ჩაებარებინათ. „შემდეგ სულთანმა ამ ქვეყნის ყველა მხარეში მდებარე ციხეები თითო-თითოდ დაიპყრო, აიღო მთელი ეს ქვეყანა და, რაც კი იპოვა, ყველაფერი გაანადგურა. იმდენი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში, რომ მისი აღწერა შეუძლებელია“<sup>99</sup>.

სულთანი კახეთში სამი კვირა დარჩა; ეს დრო სავსებით საკმარისი იყო მარბიელი ლაშქრისათვის, რომ მთელი კახეთი გაენადგურებინა და დიდძალი სიმდიდრე ჩაეგდო ხელთ.

ბაგრატ მეფისაგან „კავკასიად ლტოლვილმა“ აღსართანმა ისევ აღფ-არსლანთან ხლება და მორჩილება ამჟობინა, ვიდრე ბაგრატ მეფესთან მორიგება და შეერთებულის ძალებით სელჩუკების წინააღმდეგ გამოსვლა. „ხოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღუნა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიციოთა წინა, აღუთქვა ხარაჯა“<sup>100</sup>. ამ ფაქტს აღნიშნავს არაბული წყაროც, სადაც ნათქვამია: „შაქის მელიქი აღსართანი ცხენოსნებით მოვიდა და სულთნის სასახლის წინ დადგა. სულთანმა ეს რომ დაინახა, თავის ხალხს უთხრა: „შიგ შემოიყვანეთ და დაასვენეთ, რადგან ეგ დიდი, სახელოვანი და განთქმული მელიქია“<sup>101</sup>. როდესაც აღსართანი წარსდგა სულთნის წინაშე, მან გულის ამაჩუყებელი სიტყვებით მიმართა სულთანს, დაჰგმო ქრისტიანობა და ისლამი აღიარა; მან უთხრა: „ის, რამაც მე შენთან მომიზიდა არის აზრი, რომელიც მე გამიჩნდა ისლამის სარწმუნოების შესახებ და ჩემი გადაწყვეტილებაა გავწყვიტო კავშირი ქრისტიანობასთან“<sup>102</sup>. ამის შემდეგ სულთანმა საჩუქრები უბოძა აღსართანს, „შესვა იქვე მდგომ ცხენზე. ამირები და ჰაჯიბები მათ ქვეითად გაჰყვნენ. ამგვარად მივიდნენ კარავში. იქ გაშლილი იყო სუფრები, რომლებიც დიდი ბრწყინვალეობით იყო მორთული და რომლებზედაც ყოველგვარი სიმდიდრე ეწყო“<sup>103</sup>. წყაროს ასეთი ცნობა — აღფ-არსლანის მოჭარბებუ-

<sup>98</sup> ა ხ ბ ა რ. გვ. 31.

<sup>99</sup> ი ქ ვ ე.

<sup>100</sup> ქართლის ცხოვრება, I. გვ. 309.

<sup>101</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 31.

<sup>102</sup> ი ქ ვ ე.

<sup>103</sup> ი ქ ვ ე.

ლა ყურადღება და პატივისცემა აღსართანისადმი, შეიძლება გაზვიადებული იყოს. მაგრამ ფაქტია, რომ აღფ-არსლანი უთუოდ კმაყოფილი დარჩებოდა კახეთის გამგებლის მიერ ისლამის მიღებით, და ამის გამოხატულება იყო ის, რომ სულთანმა აღსართანს დაუტოვა თავისი ქვეყანა და თვითონ განაგრძო ლაშქრობა საქართველოში. აღფ-არსლანისათვის აღსართანის სახით მუშლიმანი ქვეშევრდომის ყოლა ამიერკავკასიაში დიდი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო, რამდენადაც დასაყრდენი და საიშველო მოკავშირე ეყოლებოდა ქრისტიანული ბიზანტიისა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნების მოსახლეობის წინააღმდეგ. ამიტომაც იყო, რომ გამუსლიმანებულ აღსართანს სულთანმა სასწრაფოდ „გაუფხავნა მუსლიმი ღვთისმეტყველი, რომელიც ასწავლიდა ისლამის წეს-ჩვეულებებს. ნამაზის შესრულებას და ყურანის სურების კითხვას“<sup>104</sup>.

სულთანმა აღსართანს ყველა ის ციხე მისცა, რომლებიც ბაგრატის ლაშქარს ჰქონდა დაპყრობილი, მაგრამ სულთნის კახეთში შემოსვლის გამო მიატოვეს. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აღნიშნავს, რომ „მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე: და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს, და რომელნი თვთ აღსართანისთა, მისცნა ყოველნი“<sup>105</sup>.

აღფ-არსლანი კახეთში შემოსულა 1067 წლის ნოემბერ-დეკემბერში<sup>106</sup>. კახეთის განადგურების შემდეგ იგი ბაგრატ მეფის წინააღმდეგ გამოემართა და თან იახლა კახთა მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კვირაქე და თბილისის ამირა. როგორც „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აღნიშნავს, „მიერთნეს სომეხთა მეფე კვირაქე, და ტფილელი ამირა, და აღსართან; შემოჰყვეს ქართლს თანა ჯაჭვთა“<sup>107</sup>. სულთნის ლაშქარმა კახეთიდან თბილისამდე გზად ყველაფერი დაარბია; აღფ-არსლანმა ნება დართო ლაშქარს თავისუფლად ემოქმედა და როგორც სურდა ისე მოქცეულიყო<sup>108</sup>.

აღფ-არსლანის ლაშქრის ქართლში შემოსვლა მომხდარა „თუესა დეკემბერსა ათსა, დღესა სამშაბათსა, ხოლო ქრონიკონი იყო ორას ოთხმოცდარეა“<sup>109</sup> (288 + 780 = 1068 წ.).

<sup>104</sup> ა ხ ბ ა რ. გვ. 31.

<sup>105</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309.

<sup>106</sup> რ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>107</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309.

<sup>108</sup> არაბული წყაროს ავტორი აღნიშნავს, რომ „შემდეგ სულთანი გაემართა აფხაზთა მეფე ბაგრატზე და თავის ჯარებს სრული თავისუფლება მისცა ეს ეოლაოუები გაენადგურებინათ. ამგვარად, ბოლოს თბილისში ჩამოვიდნენ“ (ახ-ზარ, გვ. 31).

<sup>109</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309.

ალფ-არსლანს თბილისი დაუპყრია და აქედან მარბიელი ლაშქარი ქართლის მხარეს გაუწევია. სულთანმა და მისმა მოკავშირეებმა ჯერ ქართლი მოაოხრეს, შემდეგ კი არგვეთს გადავიდნენ. სელჩუკთა ლაშქარმა სვერის ციხემდე მიიღწია დასაელეთ საქართველოში. დ. ბაქრაძე საქართველოში სელჩუკთა ლაშქრის მარშრუტების შესახებ აღნიშნავს, რომ მათი „ჯარი გავიდა იორს და დაბანაკდა მცხეთის მახლობლად, აქედან ალფ-არსლანმა მხედრობის გუნდი გაგზავნა სხვადასხვა ქართლის მხარეებში და ავრეთვე იმერეთისკენ არგვეთში“<sup>110</sup>.

„მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, სელჩუკთა შემოსევამდე „იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი“. მაგრამ იმ ექვთი კვირის განმავლობაში, რომელიც სულთანმა საქართველოში გაატარა, აოხრდა ყველაფერი, მოსახლეობა განადგურდა, „მოიარა ურიცხვ სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა. და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიძრავლითა მძორისათა არღრა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი“<sup>111</sup>. ამ საშინელებას დაემატა მკაცრი ზამთარი, რომელმაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ადგილობრივი მოსახლეობა; ისიც კი, ვინც შემოსეულ მტერს გაექცა და მთებს შეაფარა თავი. „მოსწყდა... სიფიცხლისაგან ზამთრისა“. მკაცრი ზამთრისგან ცუდი დღე დაუდგათ სელჩუკებსაც. ისინი იძულებული გახდნენ იმაზე უფრო აღრე წასულიყვნენ საქართველოდან, ვიდრე განზრახული ჰქონდათ.

სელჩუკებმა საქართველოში აქჯერად სვერის ციხემდე აღაშქრეს. ამ დროს ბაგრატ IV აფხაზეთში აფარებდა თავს; სვერის ციხეში ქართველებს ძლიერი ლაშქარი ჩაეყენებინათ და მტერს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს. სელჩუკებმა ციხის აღება მხოლოდ ნიჰამ აღმულქის გულმოდგინებითა და მეცადინეობით მოახერხეს.

არაბი ავტორი სვერის ციხეს ჯვრის ციხეს<sup>112</sup> ეძახის და დასაელეთ საქართველოში მიიჩნევს. აფხაზეთში თავშეფარებულ მეფეს ეტყობა მთელი ძალები ამ ციხეში ჩაუყენებია და ალბათ ამიტომაც იყო, რომ სელჩუკები ამის იქით დასავლეთისაკენ აღარ წასულან. როგორც კი მათ მოახერხეს ამ ციხის ძლიერების გატეხვა და მისი აღება, ქართველთა მეფემ მაშინვე გაპართა მოლაპარაკება ალფ-არსლანთან<sup>113</sup>.

მთელი ქართლი სელჩუკთა ლაშქრით იყო გავსებული. „ამის ქართლისა ოხრებასა შინა იყო ლაშქრისა მისისა სიძრავლე ხუთასი

<sup>110</sup> დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს მეფე ბაგრატ IV, ტფ., 1880, გვ. 50.

<sup>111</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 309.

<sup>112</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 31.

<sup>113</sup> ი ქ ე ე.

ათასი<sup>114</sup>. ხუთასი ათასი თურქი მეომრის საქართველოში შემოჭრა კარგს ვერაფერს უქადდა ქვეყანას. თვითონ სულთანი კარბს იღვა. შემდეგ ჩამოვიდა შერთულთა, მაგრამ მაინც „აპირვა სიძნელემან ზამთრისანან და ბუქთა ძლიერთა“. ამიტომაც სიამოვნებით შეხვდა ალფ-არსლანი აფხაზეთში თავშეფარებულ ბაგრატ მეფისაგან ივანე ლიპარიტის-ძის ელჩად მიგზავნას „ძიებად მშვიდობისა“<sup>115</sup>.

მაშასადამე, სელჩუკთა სულთანი თანახმა იყო ბაგრატ მეფე თავის მოხარკედ და ყმად გაეხადა. მხოლოდ ასეთი პირობის მიღებით თანხმდებოდა იგი სამშვიდობო ზავის ჩამოგდებას. მაგრამ ალფ-არსლანს ბაგრატ მეფისაგან პასუხი არ მიუღია შეთავაზებულ პირობაზე; ქართული წყაროს ცნობით, ალფ-არსლანმა „სიფიცხლისაგან ზამთრისა ვერღარა მოილოდინა და წარვიდა ქართლით“<sup>116</sup>. არაბული წყაროს მიხედვით კი, „ბაგრატმა სულთანს ელჩი გაუგზავნა და შეწყალება სთხოვა. სულთანმა მისი სურვილი შეასრულა, მაგრამ ბოლოს ბაგრატმა ინანა, ისევ ეშმაკს აჰყვა და აჯანყების მოწყობა განიზრახა. იმ დღეებში დაიწყო თოვა. სულთანი ამის გამო შეუდგა საბრძოლველად მზადებას. როცა თოვლმა დნობა დაიწყო, ბაგრატმა ისევ პატიება ითხოვა, სულთანმა აღარ დაუჯერა და დასაჯა. თუმცა ბაგრატმა ჯარი შეკრიბა, ეს ჯარი ზამთრის სუსხისაგან დაილუპა. მათ სხვადასხვა უბედურება დაატყდათ თავზე“<sup>117</sup>. ამ ცნობის მიხედვით ჩანს, რომ ალფ-არსლანის მიერ შემოთავაზებული პირობა ბაგრატ მეფეს სრულებით არ აწყობდა და წინააღმდეგობის გაწევას ისევ ცდილობდა. სულთანი ისევ წავიდა საქართველოდან, რომ შეთავაზებულ პირობაზე ბაგრატ მეფისაგან პასუხი არ მიუღია. არაბული წყაროს ცნობით, ალფ-არსლანის საქართველოდან წასვლის მიზეზი თითქოს თურქთა ხაკანის სიკვდილის შესახებ ცნობის მიღება იყო<sup>118</sup>; ქართული წყაროს მიხედვით, კი მკაცრმა ზამთარმა შეუშალა მას ხელი, რომ საქართველოში უფრო დიდხანს დარჩენილიყო<sup>119</sup>.

არ უნდა იყოს არაბი ავტორი სწორი, როდესაც აღნიშნავს, სულთანი საქართველოში ხუთი თვე დარჩაო. დეკემბრის დასაწყისში შემოსულ სულთანს ხუთი თვის შემდეგ ზამთრის სიფიცხე ისე არ შეაწყუბებდა, რომ ამის გამო საქართველო დაეტოვებინა. ამ მხრივ უფრო ზუსტია ქართველი მემკვიდრე, რომელიც სულთნის საქართველოში

<sup>114</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.

<sup>115</sup> ი ქ ვ ე, გვ. 309—310.

<sup>116</sup> ი ქ ვ ე, გვ. 310.

<sup>117</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 31.

<sup>118</sup> ი ქ ვ ე, გვ. 32.

<sup>119</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.

ყოფნას ცხრა კვირით განსაზღვრავს; სულთანმა სამი კვირა ჯერ კახეთში გაატარა, შემდეგ ექვსი კვირა ქართლში დაჰყო. დეკემბერ-იანვარი სულთანმა საქართველოში გაატარა, და, იანვრის ბოლოს სუსხიანმა ყინვებმა აიძულეს იგი სასწრაფოდ წასულიყო თავის ქვეყანაში. საქართველოდან დაბრუნებული „სულთანი ჯერ განჯას და შემდეგ ბარდავში წავიდა; მდინარე არასზე... გადავიდა... შემდეგ სულთანი ფარსში წავიდა და დღესასწაული იქ გაატარა“<sup>120</sup>. მტრის მიერ განადგურებულ ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა ბუნებამაც. მკაცრი ზამთრის შემდეგ „ვითარცა მოიწია არე გაზაფხულისა, შეიქმნა სიძლიდრე წყალთა ძლიერი, და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინებსა თვსსა, მოეფინა ველთა და წარიღო მრავალი სული, რომელი დარჩოჟოდა სულტანსა“<sup>121</sup>.

საქართველოს აოხრების შემდეგ უკან დაბრუნებულმა ალფ-არსლანმა „წარუღო ტფილისი და რუსთავი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა“<sup>122</sup>. ამასვე ადასტურებს არაბი ავტორი<sup>123</sup>. მამასადამე, ალფ-არსლანმა უკან დაბრუნებისას თბილისი და რუსთავი უბოძა განძის ამირას და არა მის სამსახურში ჩამდგარ თბილისის ამირას. ალფ-არსლანმა არ დაუფასა მას ერთგულება.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ალფ-არსლანს საქართველოში მეორედ ლაშქრობისას მოკავშირედ თან ახლდა თბილისის ამირა და, შესაძლებელია რუსთავის ამირაც. თბილისის ამირა რ. კიენაძის აზრით, „იქნებოდა ჭაფარის ერთ-ერთი ძეთაგანი, რომელიც ამ გზით ცდილობდა სულთნის გულის მოგებას და თბილისის სრულუფლებიან პატრონად გახდომას (მანამდე ისიცა და მისი ძმაც ბაგრატის მიერ

---

<sup>120</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 32; თანამედროვე თურქი ისტორიკოსი მ. ინანჩი საქართველოში სელჩუკთა ლაშქრის მოძრაობის შესახებ აღნიშნავს, რომ „ზამთრის გავლის შემდეგ სულთანმა ისევ დაიწყო დალაშქვრა. ერთი რაზმი საქართველოს შიგნით გაგზავნა, მეორე კი — აფხაზეთში. ამ ძალების ნაწილი შაჟი ზღვის სანაპიროებზე გავიდა და ტრაპიზონამდე ჩააღწია. ამის შემდეგ სულთანი უკან დაბრუნდა და ისევ ქართლში შევიდა. თბილისი მეორედ დაიკავა“ (მ. ინანჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 63). ეს ცნობა საქართველოში სელჩუკთა ლაშქრის მარშრუტების შესახებ ჩვეს ხელთ არსებული წყაროებით არ დასტურდება. ავტორი თავის მხრივ არავითარ წყაროს არ იმოწმებს. ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით კი ალფ-არსლანი საქართველოში მეორედ ლაშქრობის დროს სევრის ციხეს არ გასცილებია. იგი ქართლისა და არგვეთის აოხრებით დაკმაყოფილდა მხოლოდ. ბაგრატ მეფე ამ დროს აფხაზეთში ეფარებდა თავს, და როგორ შეეძლო მას იქიდან ალფ-არსლანთან მოლაპარაკება, თუ სელჩუკთა ლაშქარი მისული იყო აფხაზეთში შაჟი ზღვის სანაპიროებზე.

<sup>121</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.

<sup>122</sup> ი ქ ვ ე.

<sup>123</sup> А х м е д и б и Л ю т ф у л а х, (Мунадджим-Башн), стр. 220.



დასპული მოხელენი იყვნენ“<sup>124</sup>. თბილისის ამირამ, ბუნებრივია, ერთგულება და მოკავშირეობა სულთანს გაუწია თავისი ძველი მტრის, საქართველოს მეფის ბაგრატ IV წინააღმდეგ ბრძოლაში.

თბილისის ამირა საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ალფ-არსლანის მართო მოკავშირე კი არ იყო, არამედ ერთგული შაახური, მისი ნების აღმსრულებელი და დასაყრდენი. საქართველოდან წასვლისას ალფ-არსლანმა მაინც ააოხრა თბილისი და რუსთავი და ისინი თავის ერთგულ ადგილობრივ ამირებს კი არ მისცა, არამედ განძის ამირა ფადლონს ჩააბარა. ჩანს, სულთანმა ფადლონი უფრო საიმედო და ძლიერ გამგებლად მიიჩნია, რომელიც საქართველოს პროვინციების დასამორჩილებლად და მეთვალყურეობის გამწევად უფრო აქტიური და ძლიერი იქნებოდა, ვიდრე თბილისისა და რუსთავის ამირები.

სულთნის მიერ გათამამებულმა ფადლონმა თბილისისა და მისი სანახების აოხრება დაიწყო. „ამისა შემდგომად იწყო ფადლონ ამპარტაუნებასა და ურჯუებასა, და სიახლესა ტფილისისა სადა სადმე გამოყვანებასა ხელოსანთასა“<sup>125</sup>. ამის გამო გაზაფხულზე ბაგრატ მეფე ქართლში გადმოვიდა და „ჩადგა დიდგორთა“ თავის საზაფხულო აგარაკზე. ფადლონმა კი „არად შერაცხა დიდგორთა დგომა მეფისა. წარმოემართა ლაშქრითა, ოცდაცამეტი ათასითა კაცითა, მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისა“<sup>126</sup>. იქიდან კი „დაუტევნა კარავნი და აღმოვლო ლამე ყოველ მუხნარისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი“. როდესაც ბაგრატ მეფემ ფადლონის ასეთი თავხედობა გაიგო, ივანე ლიპარიტის ძე, ნიანია ქუაბულის ძე, ყუელის ერისთავი მურვან ჭაყელი და კიდევ სხვა აზნაურნი რჩეული ლაშქრით ფადლონს დაადევნა, მაგრამ ვერ მიუხსწრო. უკან გამობრუნებულ ფადლონის ლაშქარს ქართველებმა მისდიეს და წილკნის კართან შეებნენ მტერს. ფადლონის ლაშქარი „პირველსავე ხრმლისა მოკიდებასა“ გაიქცა. „მიადგა ფადლონის ლაშქარი გაქცეული ხრამსა ნარეკუავისასა, მიპხოცდეს და იპყრობდეს აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და აღმოიგო ხრამი იგი ცხენითა და კაცითა“<sup>127</sup>, ისე, რომ „ზედა ლაშქარმან მეოტმან

<sup>124</sup> რ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 117; მ ი ს ი ე ე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ, „ციცხარი“, 1958, № 10, გვ. 165; შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 58.

<sup>125</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.

<sup>126</sup> ი ქ ე ე; А х м е д и б н Л ю т ф у л л а х, (Мунаджжим-Башу), стр. 220; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 155.

<sup>127</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 311; А х м е д и б н Л ю т ф у л л а х, стр. 220; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 155

გასულა იწყო“. ქართველთა ლაშქრის ერთი ნაწილი ფადლონს წინ გადაეღობა, „შემოუსწრო წინა იწროსა ღართისასა“ და გზა გადაუკეტეს. გაქცეულ მცირეოდენ ლაშქარს კი „სდევნა ლაშქარმან ბაგრატისამან ვიდრე მთადმდე ხერკისა“ და ყველანი გაჟლიტეს. ფადლონმა თხუთმეტიოდე ცხენოსნით ძლივეს გააწრო ქართველებს და წილკნის გზით მდ. არაგვს მიაღდა, გადალახა და ერწოში მივიდა. გზაში ფადლონი თავის თავს ფადლონის მოციქულად აცხადებდა. იგი ამბობდა, რომ ფადლონმა დაამარცხა ბაგრატ მეფე და აღსართანთან მივდივარ მახარობლადო, მაგრამ „დახუდა კაცი ვინმე მეცნიერი, რომელი იცნობდა ფადლონს, და რქუა: „არა ხარ შენ მოციქული, არამედ ხარ ამირათ-ამირა ფადლონ“<sup>128</sup>.

ფადლონი ამ კაცს დიდძალ ოქროსა და ვერცხლს შეჰპირდა გაჩუმებისათვის, მაგრამ მან დატყვევებულ ამირას უარი უთხრა: „ვერ ვიქმ საქმესა მაგას, რამეთუ მკვდრი ვარ ამის ქუეყანისა. აწ ისმინე ჩემი და მომყევ თანა, და მე მიგიყვანო აღსართანის თანა, და მან გაგზავნოს ქუეყანასა შესა“<sup>129</sup>. ამ კაცმა დაჭერილი ფადლონი ეალეთში მიუყვანა აზნაურს ისაკ თოლობელის ძეს. ამ უკანასკნელმა კი „გაძარცუა ერი ფადლონისი“ და ფადლონი კი „შესუა ჯორსა ზედა“. მან ფადლონი ბაგრატ მეფეს კი არ გადასცა, იგი საჩქაროდ მიჰგვარა აღსართანს თელავში. „ხოლო აღსართან მსწრაფლ წარიყვანა ხორნაბუჯს, რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა. მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი აღსართანსე“<sup>130</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ამ დროს ხორნაბუჯი და არადეთი სულჩუკებ სკერიათ, რომელთაც ეტყობა, იგი განძის ამირას გადასცეს. დატყვევებული ფადლონი კახთა მეფე აღსართანს ბაგრატ IV შიშით ხორნაბუჯში მიჰყავს და აიძულებს მას ხორნაბუჯი და არადეთი მისცეს. ამრიგად, აღსართან კახთა მეფემ ხორნაბუჯი და არადეთი ხელიდან გამოსტაცა განძის ამირას.

ბაგრატ მეფემ მაშინვე გამართა აღსართანთან მოლაპარაკება, „მისცა ბოჭორმა და უჯარმა კახთა“ და წამოიყვანა ფადლონ. რაკი ბაგრატს ფადლონი ხელთ ჩაუვარდა, ხოლო სულთანს თბილისი ფადლონისათვის ჰქონდა მიცემული, ამიტომ „გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა; და აიღეს ქირვეულად ტფილისი“. თბილისის აღება ქართველებს იმიტომ გაუძნელდათ, რომ ფადლონის მიერ დაყენებული

<sup>128</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 311; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 156.

<sup>129</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 311.

<sup>130</sup> ი ქ ვ ე, გვ. 312.

მოხელე ობილისში „თვით გაამირებასა ლამობდა“. თბილისელი კაცის გაამირების სურვილთან დაკავშირებით შ. მესხია შენიშნავს: „როგორც ჩანს. შინაგანი ბრძოლა ქალაქში უფრო მწვავე ხასიათს იღებდა... თბილისის მოქალაქეებს სამმხრივ უხდებოდათ ბრძოლა. ყოველივე აჰან კი მათი ძალები დაქსაქსა, დაასუსტა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაც მარცხით დააგვირგვინა“<sup>131</sup>.

ბაგრატმა თბილისი საგამგებლოდ მისცა ვინმე სითლარაბს, რომელიც თბილისის ამირათა ჩამომავალი იყო. „და არა დაიჭირა ბაგრატ თავისად ტფილისი, არამედ დმანისს დატოვებული სითლარაბი ძებნა, შემოაყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი“<sup>132</sup>.

სითლარაბი. შ. მესხიას აზრით, „ჯაფარიდების ერთ-ერთი, დმანისის შტოს შთამომავალი უნდა იყოს და ამიტომ, ალბათ, იგი „თბილისის მემამულედაც“ იყო მიჩნეული“<sup>133</sup>. თბილისის გამგებლად იგი ბაგრატ მეფემ დასვა და მის სანაცვლოდ 44 000 დრაჰკანი მიიღო. „თბილისის ამ ახალ მფლობელს ხელს ადებდა მისი დამსმელი, საქართველოს მეფე და ამით იგი თბილისზე თავის გავლენასაც ახორციელებდა“<sup>134</sup>.

ბაგრატმა თავისთვის დაიტოვა ციხეები: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი და ქავაზნი.

ფაღლონის დატყვევება ალფ-არსლანისათვის არ იყო სასიამოვნო. რამდენადაც იგი მისი მოკავშირე და ხელდებული ქვეყნის მუსულმანი მმართველი იყო; ამიტომ მის გასათავისუფლებლად ალფ-არსლანმა ბაგრატ მეფეს გამოუგზავნა „სარანგი ალხაზი, და მისითა შუამდგომლობითა და სიტყვითა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფაღლონ, და გაგზავნა სახელმწიფოსა თვსსა განძსა და წარჰყვა სარანგი თანა“<sup>135</sup>. სამაგიეროდ ბაგრატ მეფეს „მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი“.

ფაღლონის განთავისუფლების სანაცვლოდ საქართველოს მეფისათვის გაგის გადაცემა მოწმობს, რომ გაგი განძის ამირას ხელთ ყოფილა. შესაძლებელია, რომ იგი ალფ-არსლანის მიერ ყოფილიყო თავის დროზე დაპყრობილი და ფაღლონისათვის გადაცემული. ამჭერად ფაღლონმა იგი თავისი განთავისუფლების სანაცვლოდ ისევ უკან დაუბრუნა ბაგრატ მეფეს.

<sup>131</sup> შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 60.

<sup>132</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 312.

<sup>133</sup> შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 61.

<sup>134</sup> იქვე.

<sup>135</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 312.

ამის შემდეგ ფადლონა მინც ვერ მოისვენა, „გატეხნა ფიცნი და შუამდგომელობანი დიდისა სულტანისანი“. საქართველოს ისევ მოსტაცა ჯერ ქავაზნი, შემდეგ აგარანი. აფხაზეთში მყოფი ბაგრატ მეფე მაშინვე გადმოვიდა და აგარანი ფადლონს ისევ წაართვა. ამასთან საშველად იხმო თავისი ცოლისძმა — ოსთა მეფე დორლოლელი. დორლოლელი ორმოცი ათასი მხედრით გადმოვიდა ოსეთიდან და „წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოხრა განძა. და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ და გაგზავნა თავის სამეფოდ“<sup>136</sup>.

„რაკი სულტანის მეგობარი და მოკავშირე ფადლონი თავხედობისათვის ბაგრატ მეფემ სამაგალითოდ დასაჯა, ახლა საქართველოს ბატონი უფრო უზრუნველყოფილი იყო აღმოსავლეთის მხრით და უფრო გაბედულად შეეძლო ემოქმედა“<sup>137</sup>. ამიტომ იყო, რომ „შემდგომად ამისა არებდა სულტანი მოციქულთა, და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა... ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა“<sup>138</sup>. ბაგრატ მეფეც თავის მხრივ კარგად ექცეოდა, „ავლენდა იგიცა მოციქულთა, და უკრებდა იგიცა ძღუენა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული“<sup>139</sup>. ხოლო ბაგრატ მეფე სრულებითაც არ ფიქრობდა სულთნისათვის გადაეხადა ხარაჯა; როდესაც სულტანი ბაგრატ მეფეს „ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა“, ეს უკანასკნელი ქვეყნის დამოუკიდებლობის მთავარ ნიშანს — ხარაჯას გადახდას არ ფიქრობდა და „არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა“. საქართველოს მეფემ ალფ-არსლანთან ურთიერთობაში ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაიცვა და მის წინაშე არავითარი ვალდებულება არ იკისრა. ურთიერთისათვის ძღვენის მიერთმევის ვალდებულება არ გულისხმობდა რომელიმე მხარის უპირატესობას.

ამრიგად, ალფ-არსლანის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ პირველ და მეორე ლაშქრობებს ქვეყნისათვის მატერიალური ღოვლათის განადგურებისა და მოსახლეობის ფიზიკური მოსპობის მეტი არაფერი მოუტანია. ალფ-არსლანის ლაშქრობებმა საქართველო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს. თუ მანამდე სელჩუკთა ლაშქრობები საქართველოს მეზობელ ქვეყნებში წარმოებდა და მისი უარყოფითი შედეგები საქართველოს განაპირა რაიონებს ეხებოდა მხოლოდ, ამჯერად ალფ-არსლანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოს შიდა რაიონებში დანავარდობდა და მწარმოებელი საზოგადოების მა-

<sup>136</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 312—313.

<sup>137</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 157.

<sup>138</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 314; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 157.

<sup>139</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 314.

ტერიტორიულ დოვლათს ანიავებდა. სელჩუკთა ლაშქრობის მთავარი მიზანი და მათი არსებობის ძირითადი წყარო ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობა და მოსახლეობის ძარცვა-განადგურება იყო; ისინი სწორედ სხვია ტერიტორიების ძარცვა-გლეჯით, ნადავლის ხელში ჩაგდებათ და მეჭოგეობით იწახავდნენ თავს. საქართველოში ყოფნის დროს მათ პირველ რიგში, მაინც ნადავლის ხელში ჩაგდება და საარსებო საშუალებათა მოპოვება აინტერესებდათ. წყაროების მიხედვით ძნელდება იმის დადგენა. თუ პირველი და მეორე ლაშქრობების შედეგად რა და რა პუნქტები დაიპყრეს სელჩუკებმა. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით ზოგიერთი რამის გარკვევა მაინც ხერხდება. სელჩუკთა ხელში ყოფილა: ხორნაბუჯი. არადეთი, გაგი, აგარანი, ქავაზნი და სხვ. პუნქტები. რომლებიც აღფ-არსლანმა განძის ამირა ფადლონს უბოძა. მაგრამ ბაგრატ IV სელჩუკთა ლაშქრობის შემდეგ მაინც ახერხებდა სულთნის ხელდებულისათვის ეს პუნქტები წაერთმია და საქართველოსათვის შემოეერთებინა. საფიქრებელია, რომ ამ ადგილებში ხდებოდა თურქთა ტომების ჩამოსახლება. თურქული ეთნიკური ელემენტების მოპრაელება, რასაც ხელს უწყობდა ანატოლიაში თურქთა მასობრივი მომძლავრება და სისტემატური თავდასხმები.

\* \* \*

საქართველოდან დაბრუნებული აღფ-არსლანი ფარსში წავიდა. მისი საქართველოდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ყარახანიანთა გამგებლის გარდაცვალების შესახებ ცნობის მიღება იყო; აღფ-არსლანის ამიერკავკასიიდან წასვლით სელჩუკებს სრულიადაც არ აუღიათ ხელი ანატოლიის დაპყრობაზე; აღფ-არსლანმა თავისი ამირები და უფლისწულები ისევ დატოვა თავიანთი ლაშქრით ანატოლიის ცალკეულ რაიონების დასაპყრობად. ერთ-ერთი მათგანი იყო სულთნის სიძე და ბიძაშვილი — უფლისწული ქურთჩუ. მეორე კი ცნობილი მხედართმთავარი — სანდუკი. ამ მხედართმთავრებმა ხლათზე ლაშქრობით დაიწყეს თავიანთი გამუდმებული თავდასხმები ანატოლიაში. სელჩუკთა ცალკეული ჯგუფები სისტემატურად აწარმოებდნენ თავდასხმებს ანატოლიაში. ანატოლიის პროვინციებში თურქთა რეგულარული ჩამოსახლება ხდებოდა. როდესაც სელჩუკი სულთანი თავისი ლაშქრით იპერიის სხვა პროვინციებში აწარმოებდა ბრძოლებს, თურქმენები და აკინჯიები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ანატოლიის პროვინციებს; რასაც მოახერხებდნენ ყველაფერს ანგრევდნენ, იქვე მომთაბარებოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ; ანატოლიაში თურქთა ასეთი ჩამო-

სახლება. რომელიც წლობით გრძელდებოდა, მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი იყო ანატოლიის საბოლოო გათურქებისათვის<sup>140</sup>.

ანატოლიაში თურქმენტა მოზღვაება და ამით შექმნილი საშიშროება ბიზანტიამ გვიან შეამჩნია. იმპერატორ კონსტანტინე X დუკას სიკვდილის შემდეგ ქვეყნის შიგნით ანარქია უფრო გაღრმავდა, ქვეყნის სამხედრო ძლიერება დაეცა; ბიზანტიის დაქირავებული ლაშქარი ამ დროს ანატოლიის პროვინციებში უფულოდ და სურათ-სანოვანის გარეშე იმყოფებოდა. ესენი თვითონ ანადგურებდნენ ოლქებს და მოსახლეობას ძარცვავდნენ. ბიზანტიის დეზორგანიზებულმა ლაშქარმა, აფშინის მეთაურობით მალათიამდე მოსულ სელჩუკებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. კეისარიეზე მომდგარ სელჩუკებს ბიზანტიელებმა ვერაფერი მოუხერხეს.

ასევე სასტიკად დამარცხდა კილიკიის მხარეებში მომთაბარე თურქმენების შესაკავებლად გაგზავნილი ნიკიფორე ბოტანიატესი. ანატოლიაში თურქთა ასეთმა მომძლავრებამ ბიზანტიის ხელისუფლება აიძულა გადამწყვეტი ღონისძიებისათვის მიემართა.

ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, აღმოსავლეთის ლაშქრის მეთაურად დაინიშნა მანუილ კომნენე; მან გადალახა პროპონტიდა და მალათიაში დაბანაკდა, რადგანაც თურქებს უკვე დაწყებული ჰქონდათ იმპერიის აღმოსავლეთი რაიონების განადგურება<sup>141</sup>, რაც მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ბიზანტიის ხელისუფლებას. საჭირო იყო რადიკალური ღონისძიებების მიღება სელჩუკთა სისტემატური თავდასხმების შესაკავებლად.

გარდაცვლილი იმპერატორის კონსტანტინე X დუკას ნაცვლად ტახტზე ავიდა რომან დიოგენი (1068—1071), რომელმაც პაქანიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია.

რომან დიოგენი თვითონ ჩაუდგა სათავეში სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნით მან შეკრიბა ლაშქარი ფრანკთა, ოღუზთა და მაკედონელთაგან და 1068 წლის 13 მარტს სელჩუკების წინააღმდეგ აღმოსავლეთისაკენ გაემართა. მაგრამ კეისარიეში მისვლამდე გაიგო, რომ სამხრეთიდან მოსულ თურქთა ლაშქარს ნიკსარი (ნეოკესარეა) დაეპყრო და გაენადგურებინა. მაშინ მიმართულება შეიცვალა. კეისარიედან სივასში მივიდა, განაგრძო აღმოსავლეთით ლაშქრობა და დივრიგში (თეფრიკეში) სელჩუკებს შეხვდა<sup>142</sup>. ძლიერი ბრძოლის შემდეგ სელჩუკები უკუაქცია. აქედან უკან დაბრუნდა, გოქსუნისა და

<sup>140</sup> Malazgirt, İslâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 242.

<sup>141</sup> Историческiя записки Никифора Врениия, გვ. 21—22.

<sup>142</sup> M. A. K o y u n e n, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

პარაზის ველები გაიარა და დულუჯის თემით სირიაში გადავიდა. რომან დიოგენმა ალექოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მენბიჯი ააღო. ..462 (1069/70) წელს ბიზანტიის ქოფაკი (რომან დიოგენი — ნ. შ.) ლაშქრით გამოვიდა, მენბიჯში მყოფი მოსახლეობა დახოცა, ქალაქი გაანადგურა და მისი დამცველები დაატყვევა, ცუდი საქმეები ჩაიდინა<sup>143</sup>.

ამრიგად, რომან დიოგენმა ანტიოქია ალექოს მხრიდან მომავალი თავდასხმებისაგან დაიცვა და მენბიჯს ისევ დაეპატრონა. რომან დიოგენს სირიაში გალაშქრებისას, ბარ ჰებრაის ცნობით, 200 000 ჯარისკაცი ჰყავდა. ამ ლაშქრით მან სირიაში კელფიების ტომები დაამარცხა, არაბების ორი ციხე დაიპყრო. ბიზანტიელებმა მამბუგამდე გაილაშქრეს, მას დაეუფლნენ და ადგილობრივი მოსახლეობა ალექოში გააქციეს. ამასობაში რომან დიოგენმა მიიღო ცნობა აფშინისა და თურქმენების მიერ ბიზანტიის ტერიტორიების განადგურებისა და ქალაქ ამურის ალების შესახებ. ამიტომ იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში დაბრუნებულიყო<sup>144</sup>.

ამრიგად, როდესაც რომან დიოგენი სირიაში დაპყრობებით იყო დაკავებული. სელჩუკთა მხედართმთავრებმა აფშინმა და აჰმედ-შაჰმა შუა ანატოლიაში ძლიერი თავდასხმები მოაწყვეს, საქარიას აუზამდე მოვიდნენ და მნიშვნელოვანი პუნქტი — ამორიუმი დაიპყრეს და განადგურეს<sup>145</sup>.

1069 წლისთვის სელჩუკთა აკინჯიებმა აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ერთდროულად დაიწყეს თავდასხმები ანატოლიაში. ამ თავდასხმებს მეთაურობდნენ სელჩუკი მხედართმთავრები — აფშინი, აჰმედ-შაჰი, სანდუკი და სხვები. სელჩუკებმა კონია ხელთ იგდეს და გაანადგურეს. ბიზანტიის იმპერატორმა სცადა მათი თავდასხმების შეჩერება, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ისევ თვითონ ჩაუდგა ლაშქარს სათავეში, კეისარიემდე მოვიდა და მის სანახებში გამართულ ბრძოლაში სელჩუკები დაამარცხა და უკან დაახევინა; რომან დიოგენი თავისი ლაშქრის დიდი ნაწილით ევფრატამდე მივიდა და სელჩუკები აიძულა მდინარის მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ.

რომან დიოგენი ცდილობდა სელჩუკთა განდევნას ანატოლიის

<sup>143</sup> ბონდარი, გვ. 35; C I. C a h e n, Le première pénétration turque en Asie-Mineure..., გვ. 27.

<sup>144</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 319; Islâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 369.

<sup>145</sup> M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 261; R. G r o u s s e t, L'empire du Levant. Paris, 1946, გვ. 165; მისივე, Histoire de l'Arménie des origines à 1071, Paris, 1947, გვ. 624.

საზღვრებიდან და ხლათისა და სხვა ციხეების უკან დაბრუნებას. ამ მიზნით იგი ხარფუთამდე მივიდა, მაგრამ სელჩუკთა ერთი რაზმი მაღათიას დაესხა თავს და მის მიერ დატოვებული ფილარეტა დაამარცხა. ფილარეტმა გაქცევით უშველა თავს და იმპერატორს შეუერთდა. იმპერატორი მდინარე მურადის ნაპირს გაჰყვა და პალოში მივიდა; აქ მან გაიგო, რომ სხვა სელჩუკმა მოთარეშებებმა შუა ანატოლიაში მდიდარი და მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული კონია გაანადგურეს და, ამას გარდა, სხვა ქალაქებიც დაიპყრეს<sup>146</sup>.

ამის გამო იმპერატორი ჯერ სივასში მივიდა, იქიდან კი კეისარიეში გაილაშქრა. როგორც კი ეს გაიგეს სელჩუკებმა, კილიკიაში შევიდნენ და ქვეყნის განადგურებითა და აოხრებით საშხრეთ ანატოლიაში დაბრუნდნენ. სელჩუკთა ამ რაზმში მხედართმთავარი სანდუკიც იყო, რომელმაც თავისი დიდი ლაშქრით ზამთარი ალეპოში გაატარა და მომდევნო (1070) წელს ისევ განაგრძო ანატოლიის ტერიტორიებზე თავდასხმა. რომან დიოგენმა სელჩუკთა აკინჯების წინააღმდეგ საბრძოლველად მანუელ კომნენე დატოვა და თვითონ დედაქალაქში დაბრუნდა<sup>147</sup>. მანუელ კომნენე აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდალი იყო. ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, როდესაც მანუელ კომნენემ მიიღო ცნობა სელჩუკთა ლაშქრის მიერ სომხეთის ტერიტორიების განადგურების შესახებ, სასწრაფოდ გაემართა მათ წინააღმდეგ. ამ დროს სელჩუკები ალაფის მოსაგროვებლად იყვნენ დაფანტულნი და კომნენემ ადვილად გააქცია ისინი უკან, მაგრამ როდესაც მათ ბანაკს მიუახლოვდა, სელჩუკებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ბიზანტიელები მოულოდნელად ალყაში აღმოჩნდნენ. მანუელ კომნენე თავისი სიძეებით — მელისენოსითა და ტარონიტით ტყვედ ჩაუვარდა სელჩუკებს<sup>148</sup>. ამრიგად, იგი სელჩუკთა ერთ-ერთმა მხედართმთავარმა სივასის სანახებში სასტიკად დაამარცხა. ბიზანტიურ წყაროებში ზრისოსკულად და მათე ურჰაელის მიხედვით, გედრიჯად წოდებული ეს თურქი მეთაური სელჩუკთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. იგი ალფ-არსლანის სიძე იყო, მაგრამ სულთნის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სულთანს ამირ აფშინისთვის ჰქონდა ნაბრძანები მისი დაპატიმრება<sup>149</sup>. აფშინისგან დევნილმა ზრისოსკულ-

<sup>146</sup> M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 272; M a l a z g i r t, İslâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 243; A l p - A r s l a n, İslâm Ansiklopedisi, cüz 5, გვ. 385.

<sup>147</sup> M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 262.

<sup>148</sup> Историческийя записки Никифора Вриенния, გვ. 28.

<sup>149</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 137—138; M a l a z g i r t, İslâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 243; A l p - A r s l a n, İslâm Ansiklopedisi, cüz 5, გვ. 385, cüz 104, გვ. 369; M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 262.



მა მოახერხა მანუელ კომნენეს დამარცხება და მისი ხელთ ჩაგდება. ამ უკანასკნელმა ისარგებლა მისი გამოუვალი მდგომარეობით და დაარწმუნა, რომ მას ბიზანტიის სამეფო კარისთვის შეეძლო თავის შეფარება და დასახული მიზნის განხორციელება<sup>150</sup>. სელჩუკთა ამირმა ხრისოსკულმა დაუჭერა მანუელ კომნენეს რჩევას და თავის ლაშქართან და ტყვეებთან ერთად კონსტანტინოპოლში წავიდა. იგი იმპერატორის მოკავშირედ იქნა აღიარებული სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სელჩუკი ამირას საქციელის შესახებ ნიკიფორე ვრიენიოსი შენიშნავს, რომ იარაღით გამარჯვებული ემპაკური სიტყვით იქნა დატყვევებული<sup>151</sup>. მათე ურჩაელის სიტყვით, „ეს უნახავი და გაუგონარი რამე იყო“. მართლაც, სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სელჩუკი უფლისწული ქრისტიანულ ბიზანტიას აფარებდა თავს. აფშინმა, რომელსაც სულთნისაგან დავალებული ჰქონდა ურჩი და ორგული უფლისწულის დატყვევება, როდესაც იგი ხელთ ვერ იგდო, განაგრძო თავისი თავდასხმები კაპადოკიაში და ფრიგიაში. დღევანდელი დენიზლის ახლოს მდებარე ქალაქ ჰონასისა და ლაოდიკეას განადგურების შემდეგ მარჩარილოს ზღვის სანაპიროებამდე გავიდა<sup>152</sup>. აფშინმა ზამთარი ტოროსში გაატარა, გაზაფხულზე სულთანთან დაბრუნდა ხორასანში, ანატოლიაში მთელი თავისი საქმიანობის შესახებ ჩააბარა ანგარიში და სელჩუკი უფლისწულის ბიზანტიაში გაქცევა მოახსენა. აფშინმა აუწყა სულთანს, თუ რამდენად ადვილი იყო ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა და დაარწმუნა იგი შურის საძიებლად გამგზავრების აუცილებლობაში<sup>153</sup>.

მიუხედავად რომან დიოგენის განსაკუთრებული ღონისძიებებისა, სელჩუკთა თავდასხმები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში რომან დიოგენი სელჩუკთა ცალკეული ჯგუფების დამარცხებას ახერხებდა, მაგრამ მათ მასობრივ და ინდივიდუალურ თავდასხმებს ვერაფერი მოუხერხა. სელჩუკები ახალ-ახალ რაიონებს იკავებდნენ და ანატოლიის მნიშვნელოვანი პუნქტები უკვე მათ ხელში იყო. რომან დიოგენმა თავისი პროგრამა ვერ განახორციელა, სელჩუკთა ანატოლიიდან განდევნას და მათი თავდასხმების შეჩერებას

<sup>150</sup> Историческiя Записки Никифора Врениня, გვ. 29.

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> I. Laurent, Byzance et les Turcs Seldjoudides dans l'Asie Occidentale jusqu'en 1081, Paris, 1914, გვ. 58; Islâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 369; M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 262.

<sup>153</sup> M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 263; Malazgirt, Islâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 244.

რომ ითვალისწინებდა. მან ჯერ კიდევ სერიოზულად ვერ შეაფასა ის დიდი საფრთხე და სიძნელები, რომლებიც სელჩუკთა გამუდმებულ თავდასხმებში გამოიხატებოდა. სელჩუკები კი თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებდნენ ანატოლიის საბოლოოდ მიტაცებაში. როგორც აღვნიშნეთ, როდესაც სელჩუკთა ამირები ანატოლიის სხვადასხვა რაიონებს გამუდმებით თავს ესხმოდნენ, სულთან ალფ-არსლანი სორასანში იყო და ცალკეულ ლაშქრობებს ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში ეგვიპტის ფატიმიანთა სახელმწიფოში ატეხილი შინაგანი ბრძოლების შედეგად ეგვიპტის ამირთა ერთმა ნაწილმა ალფ-არსლანი ეგვიპტეში მიიწვია სალაშქროდ. ალფ-არსლანმაც არ დააყოვნა და გაემართა მათ წინააღმდეგ; გზად მან მთელი რიგი ციხე-სიმაგრეები და ქალაქები გარემოიკვა და ხელთ იგდო; გზად ალფ-არსლანი აზერბაიჯანიდან ბიზანტიის ტერიტორიაზე შეიჭრა, ვანის ტბის ჩრდილოეთით მოვიდა და მანასკერტი ერთ დღეში აიღო. ალფ-არსლანის მიერ მანასკერტის ადვილად აღების მიზეზად მათე ურჰაელი ბიზანტიელი მეციხოვნეების მიერ ციხის დაგდებასა და გაქცევას ასახელებს. თავის დროზე ამ ციხის აღება ვერ მოახერხა თორღულ-ბეგმა. მისი ანდერძის თანახმად ალფ-არსლანმა ადგილობრივი მოსახლეობა დახოცა, „სულთანი იქიდან ურიცხვი ველურთა ლაშქრით ამიდის სახელწოდების ქალაქში წავიდა“<sup>154</sup>.

ბარ ჰებრაის ცნობით, ალფ-არსლანმა ამიღში გამგზავრებამდე ჯერ არქეში და მათაფარიკინი აიღო; არქეშის მოსახლეობა გაანადგურა და ხორასანში დიდძალი სიმდიდრე გაგზავნა; მათაფარიკინის გამგებლისაგან კი 100 000 დინარის მიღებით დაკმაყოფილდა, და გზა გააგრძელა ამიდისაკენ<sup>155</sup>. იგი ამიდის კართან დაბანაკდა, მაგრამ ქალაქი არ გაუნადგურებია, რისი მიზეზიც, მათე ურჰაელის ცნობით, თითქოს ვაჟის — თუთუშის შეძენა ყოფილა. ბონდარისა და ბარ ჰებრაის მიხედვით ალფ-არსლანი ამიღში არ შესულა; როგორც კი დაინახა ამიდის მაღალი ზღუდე, ხელით შეეხო მას, ეამბორა და გზა განაგრძო<sup>156</sup>. ალფ-არსლანის მიერ ამიდის ასე დატოვების ნამდვილ მიზეზს წყაროები მაინც არ აღნიშნავენ; სინამდვილეში ალფ-არსლანის ასეთი მოწყალება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ჯერ ერთი ციხე-ქალაქის სიმტკიცითა და შეუვალობით და, მეორეც, ალფ-არსლანს უფრო დიდი ამოცანა ჰქონდა წინ — ეგვიპტეზე გალაშქრება. ამიტომ იგი ამ უკანასკნელი ღონისძიებებით უფრო იყო დაინტერესებული და

<sup>154</sup> მათე ურჰაელი, გვ. 138; M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 263; M a l a z g i r t, İslâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 244.

<sup>155</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 319—320; ბონდარი, გვ. 36.

<sup>156</sup> ბონდარი, გვ. 36; ბარ ჰებრაი, I, გვ. 320.

იქით მიიჩქაროდა. ამ ექსპედიციის დროს ალფ-არსლანმა სხვა ქალაქების აღებაც ვერ მოახერხა. იგი მხოლოდ იმ ადგილებს იპყრობდა, სადაც ადვილად და დროის დაუქარგავად ახერხებდა შესვლას.

ამიდიდან ალფ-არსლანი თილქუმის რაიონში გადავიდა და დაიწყო მისი გარემოცვა. იერიშები რამდენიმე დღე გრძელდებოდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. ამის გამო სულთანმა ადგილობრივ მოსახლეობას გადასახადის ნაცვლად სამშვიდობო ზავი შესთავაზა. მათე ურჩაელის ცნობით სულთნის ამ პირობას ადგილობრივი მოსახლეობა დასთანხმდა და თავი დაანება ციხის დაცვას; ამით ისარგებლეს სელჩუკებმა, ციხე იერიშით აიღეს, მოსახლეობა ამოხოცეს, ბევრი დაატყვევეს და გზა განაგრძეს<sup>157</sup>.

ბარ ჰებრაის ცნობით, ალფ-არსლანმა ბიზანტიის გამგებლობაში მყოფი საბაბარაჟის წინააღმდეგ გაილაშქრა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან 1 000 დინარის ალების შემდეგ მარბიელი ლაშქრობა გააგრძელა და ურფის რაიონში შევიდა<sup>158</sup>.

მათე ურჩაელს ვრცლად აქვს აღწერილი სელჩუკთა მიერ ურფის გარემოცვა; ბუნებრივია, რომ მათე ურჩაელი, როგორც ჰკვიდრი ამ ქალაქისა, ყურადღებას ამახვილებს მშობლიური ქალაქის ისტორიაზე. მისი ცნობით, ალფ-არსლანმა ურფა გარემოცვა 1071 წლის 10 მარტს. ქალაქის დუკა იყო ბულგარეთის მეფის შვილი ვასილი. სულთნის მრავალრიცხოვანი ლაშქრის მიერ ქალაქის გარემოცვამ ადგილობრივი მოსახლეობა შეაძრწუნა. სულთანი რვა დღის განმავლობაში შეტევაზე არ გადასულა. ქალაქის მოსახლეობა განსაკუთრებით მოემზადა საბრძოლველად. ალფ-არსლანმა დაიწყო იერიშები ყოველი მხრიდან, მაგრამ ვერაფერი მოახერხა<sup>159</sup>. სულთანს კედლის სანგრევი იარაღებიც გამოუყენებია. მათ სპეციალური კოშკები ააგეს ციხის კედლების დასანგრევად, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. საეჭვო სჩანს მათე ურჩაელის განცხადება იმის შესახებ თითქოს სულთანს ციხეზე იერიში 50 დღის განმავლობაში მიჰქონდა<sup>160</sup>. სულთანი იძულებული გახდა გარემოცვა მოეხსნა და ლაშქრობა გაეგრძელებინა სირიისაკენ. ალექოში მივიდა და მისი გარემოცვა დაიწყო. ორი თვის გამუდმებული თავდასხმების შემდეგ ქალაქის გამგებელმა მაჰმუდმა მორჩილება გამოუცხადა და ქალაქის გასაღები სულთანს ჩააბარა. ალექოში თავისი შვილი ჯარის გარკვეული ნაწილით დატოვა, თვი-

<sup>157</sup> მათე ურჩაელი, გვ. 138—139.

<sup>158</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 320; საბაბარაჟის ციხის ნაცვლად მათე ურჩაელი სევეერაჟს ახსენებს, მათე ურჩაელი, გვ. 139.

<sup>159</sup> მათე ურჩაელი, გვ. 139—140.

<sup>160</sup> იქვე, გვ. 140; ბარ ჰებრაი, I, გვ. 320; ბონდარი, გვ. 36.

თონ ევფრატი გადალახა და ხოისა და სალმასის მიდამოებში წავიდა<sup>161</sup>.

ბარ ჰებრაის ცნობით, ამ დროს რომან დიოგენის ელჩი მოვიდა და სულთანს მოახსენა: „თუ თქვენ მამბუგის ასაღებად აქამდე მოხვედით, არგისისა (არკუშის) და მანასკერტის სანაცვლოდ მამბუგის მისაცემად მზად ვართ“<sup>161</sup>. სულთანი ამ წინადადებაზე დასთანხმდა და ეს ქალაქები დაუბრუნა, როგორც კი ხლათის რაიონებამდე ტერიტორია გაათავისუფლა, აფშინმა მას აცნობა, რომ მან ბიზანტიის მხარე გაანადგურა და დიდი ნადავლი ჩაიგდო ხელთ. „ბიზანტიელთა შორის არავინ არის ისეთი, ვისაც ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა შეეძლოს“<sup>162</sup>.

ბარ ჰებრაის ეს ცნობა საეჭვო ჩანს, რამდენადაც სულთანსა და იმპერატორს შორის ტერიტორიების ასეთ გაცვლა-გამოცვლას არ ექნებოდა ადგილი. ჯერ ერთი სულთანი ერთ ქალაქში ბიზანტიელებს რამდენიმე ქალაქს არ მისცემდა; ამასთანავე, ასე სწრაფად ეს ამბები არ გადაწყდებოდა; როდესაც სულთანი სირიაში იმყოფებოდა. რომან დიოგენი გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა და ასეთი დიპლომატიური მოლაპარაკებები არაფერს მისცემდა. ამასთანავე, სელჩუკი ამირები ანატოლიაში სულთნის არყოფნის მიუხედავად წარმატებით განაგრძობდნენ ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას. თურქი ისტორიკოსის ინანჩის აზრით, იმპერატორმა სულთანს სირიაში ელჩი მხოლოდ და მხოლოდ თვალის ასახვევად და განზრახული ღონისძიებების დასაფარავად გაუგზავნა<sup>163</sup>. იმპერატორის ეს ღონისძიება კი გულისხმობდა სელჩუკებზე გადამწყვეტი იერიშის მიტანას. ბარ ჰებრაის ცნობით, როდესაც სირიაში სულთანსა და იმპერატორის ელჩს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, სულთანს აფშინისაგან ცნობა მოუვიდა ანატოლიაში მოპოვებული წარმატებების შესახებ. იმავე აფშინმა ანატოლიაში იმდენად წინ წაიწია, რომ ბიზანტიის დედაქალაქის გალავანთან გაშალა კარავი, მოაწყო თავდასხმები და მაკედონიამდე მივიდა. აფშინმა სიმნადუს ოლქამდე მისვლის შემდეგ აქ გამოიზამთრა და ახლომახლო ყველაფერი გაანადგურა<sup>164</sup>. აფშინმა და სხვა სელჩუკმა უფლისწულებმა ანატოლიაში ალფ-არსლანის არყოფნის დროს დიდ წარმატებებს მიღწიეს ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. მათ ანატოლიაში დაიპყრეს ბიზანტიის უმნიშვნელოვანესი ქალაქები და თვით იმპერიის დედაქალაქსაც კი მიუახლოვდნენ. ისინი კარგად ითვისებდნენ ბიზანტიის იმპერიის შინაგან ვითა-

161 ა ხ ბ ა რ, გვ. 32.

162 ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 320.

163 მ. ი ნ ა ნ ჩ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

164 ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 320—321.

რებას და გამუდმებით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. სელჩუკი უფლისწულები ბიზანტიელებთან ბრძოლაში უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდნენ. სელჩუკების თავდასხმების მოგვარიება ბიზანტიის სამხედრო ძალების გაუმჯობესებას და რადიკალური ღონისძიებების მიღებას მოითხოვდა.

მანასკარტის ბრძოლა და მისი შედეგები საქართველოსა და ამიერკავკასიის კვახენიანობის

სელჩუკ უფლისწულთა მნიშვნელოვანი წარმატებები ანატოლიაში და საერთოდ თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრება ბიზანტიის ტერიტორიაზე, იმპერატორს უკარნახებდა გადამწყვეტი იერიში მიეტანა მათ წინააღმდეგ. 1071 წლის გაზაფხულისათვის იმპერატორი აზიიდან დედაქალაქში დაბრუნდა და ლაშქრის შეგროვებას შეუდგა. მათე ურჰაელის ცნობით, სელჩუკ უფლისწულთა საქმიანობით აღშფოთებულმა რომან დიოგენმა ლაშქრის შეკრება გადაწყვიტა, დასავლეთის რიგ ქვეყნებში ფირმანები დააგზავნა და გაოთებისგან, ბულგარელთაგან, შორეული კუნძულების ხალხთაგან, კაპადოკიელთაგან, ბითინიელთაგან, კილიკიელთაგან, ანტიოქიელთაგან და ტრაპიზონელთაგან უდიდესი ლაშქარი შეაგროვა<sup>165</sup>. რომან დიოგენის მიერ შეგროვილი ლაშქარი მრავალფეროვანი იყო. წყაროების ცნობით, იგი შედგებოდა ბიზანტიელთა, რუსთა, ოღუზთა, ქართველთა, ხაზართა, ფრანკთა, ქრისტიან არაბთა და სომეხთაგან<sup>166</sup>. ამ ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი ლაშქრის რაოდენობა წყაროებში გაზვიადებულად არის წარმოდგენილი. იბნ ალ-ასირისა და მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით, იმპერატორს 200 000 ჯარისკაცი მოუგროვებია; ბონდარის ცნობით — 300 000 კაცი. მ. ინანჩის გამოანგარიშებით, ბიზანტიელებს 100 000 ქვეითი და ამდენივე ცხენოსანი მხედარი ჰყავდათ<sup>167</sup>.

მიუხედავად, იმისა რომ აღმოსავლურ წყაროებში გაზვიადებული ჩანს რომან დიოგენის ლაშქრის რაოდენობა, ცხადია, რომ იმპერატორს მაინც დიდი ლაშქარი უნდა ჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, ალფ-არსლანთან გადამწყვეტ ბრძოლაში მან მაინც ვერ შეძლო მთე-

<sup>165</sup> მათე ურჰაელი, გვ. 40;

<sup>166</sup> ბონდარი, გვ. 37; ახბარ, გვ. 37; მუნეჯიმ-ბაში, გვ. 530; მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 265; მ. ინანჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 71—72; Cl. Cahen, La Campagne de Mantzikent d'après les Sources musulmans, «Byzantion», t. IX, fas. 2, გვ. 629; R. Grousset, Histoire de l'Arménie des origines à 1071, გვ. 625.

<sup>167</sup> მ. ინანჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

ლი ძალების მობილიზაცია და სელჩუკთა წინააღმდეგ მათი წარმართვა. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, რომან დიოგენმა თავისი ეთნიკურად ქრელი. მრავალეროვანი ლაშქრიდან აღფ-არსლანთან ბრძოლის დროს მოახერხა მხოლოდ 60—65 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა, იმ დროს, როდესაც აღფ-არსლანს გაცილებით მეტი ჰყავდა<sup>168</sup>.

ბიზანტიის უზარმაზარი ლაშქრის წინააღმდეგ გამოსული სულთან აღფ-არსლანის ლაშქრის რაოდენობა, ამავე წყაროების მიხედვით 15 000 ჯარისკაცს შეადგენდა. სრულიად შეუთავსებელი თანაფარდობაა. წარმოუდგენელია, რომ აღფ-არსლანს ასეთი მცირე ლაშქრით, ისიც შორეული ლაშქრობიდან დაბრუნებულს შეძლებოდა ბიზანტიის უზარმაზარი ლაშქრის დამარცხება.

მ. ინანჩის დაკვრევებით, ამ დროისათვის სულთანს მხოლოდ 4 000 თურქი მამლუქი და 40 000 რჩეული მხედრობა ჰყავდა. გარდა ამისა, მას შეუერთდა 10 000-მდე ერთგული მოკავშირე, უმეტესად ქურთები. სელჩუკთა ლაშქარი სულ 50—60 ათასს შეადგენდა, რომელიც გამუდმებულ ბრძოლებში იმყოფებოდა<sup>169</sup>. ამ ლაშქარში შედიოდნენ ყველა ის უფლისწულები და მხედართმთავრები, რომლებიც ცალ-ცალკე ეწეოდნენ დაპყრობებს ანატოლიასა და სხვა პროვინციებში. აქვე იყო სულთნის ძმა, აზერბაიჯანის გამგებელი იაკუთი, აგრეთვე ყუთულშიშის შვილები და სხვა დიდი ამირები.

მ. ქოიშენის გამოანგარიშებით, მანასკერტთან ბრძოლის წინ სულთანს დაახლოებით 40 000 ჯარისკაცი ჰყავდა<sup>170</sup>. უზარმაზარი ლაშქრით კაპადოკიაში მოსულმა რომან დიოგენმა მხედართმთავრებთან თათბირი გამართა და თავისი გეგმა გააცნო. რომან დიოგენი მათგან ითხოვდა რჩევას — შექრილიყენენ ირანში და იქვე დაემარცხებინათ სელჩუკები, თუ დალოდებოდნენ მათ მოსვლას და მერე გაემართათ ბრძოლები, რადგანაც მიღებული ცნობით, სულთანი ნელ-ნელა მოდიოდა ანატოლიის დასაპყრობად<sup>171</sup>. რომან დიოგენის სარდალთაგან ერთნი ითხოვდნენ ლაშრობას თვით სელჩუკთა ტერიტორიაზე, ხოლო მაგისტრი ტრახანიოტი და მთელი დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი ნიკიფორე ვრიენიოსი წინააღმდეგი იყვნენ. ისინი მოითხოვდნენ აქვე დალოდებოდნენ მტერს, ახლომახლო მდებარე ქალაქები გაემავრებინათ და ყანები გაენადგურებინათ, რათა მტერს სანოვაგის მხრივ სიძნელეები შექმნოდა. უკიდურეს შემთხვევაში წასულიყვნენ თეოდო-

<sup>168</sup> А. А. Р о с л я к о в, Очерки военного искусства туркмен X—XII, Ашхабад, 1947 (საქანდილატო დიპერტაცია, ხელნაწერი), стр. 324.

<sup>169</sup> მ. ინანჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 73—74.

<sup>170</sup> მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

<sup>171</sup> Исторические записки Никифора Вриення, стр. 31.

სიპოზოლავზე და სელჩუკებს მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ ადგილზე შებმოდნენ<sup>172</sup>.

საინტერესოა, რომ ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, რომან დიოგენმა იმათ წინადადებას დაუჭერა, ვინც პირდაპირ გალაშქრებას მოითხოვდა და მთელი თავისი ძალებით გაემართა კიდევ სელჩუკთა წინააღმდეგ<sup>173</sup>.

ნიკიფორე ვრიენიოსის ეს ცნობა არ დასტურდება რომან დიოგენის შემდგომი საქმიანობით. არც აღმოსავლურ წყაროებში მოიპოვება რაიმე ამის შესახებ. პირიქით, იმპერატორმა მიიღო თავისი მხედართმთავრების პირველი წინადადება, თვითონ ჩაუდგა სათავეში უზარმაზარ ლაშქარს და ქალაქ სივასისკენ გაემართა. სომეხი უფლისწულები ატომი და აბუ საპლი მის შესახვედრად დიდი ლაშქრით გამოვიდნენ. იმპერატორმა ქალაქი გაანადგურა და სომეხი უფლისწულები თავიდან მოიშორა. შემდეგ მთელი ლაშქრით აღმოსავლეთით გაემართა, სოპხეთში მივიდა და მანასკერტი იერიშით აიღო. ქალაქში მყოფი სელჩუკი ჯარისკაცები გაიქცნენ, ვინც დარჩა ისინი ამოხოცეს და ბევრი ტყვედ წაასხენ<sup>174</sup>. ამასთანავე, რომან დიოგენის ლაშქარი ხლათს ნიაღვა, მაგრამ ქალაქი არ ნებდებოდა<sup>175</sup>. იმპერატორს ხლათის წინააღმდეგ 30 000 ლაშქარი გაუგზავნია და მის მეთაურად ტრახანიოტი დაუნიშნავს. ხლათი კი ამ პერიოდში სელჩუკთა ხელთ იყო და მეციხოვნე ჯარისკაცები იცავდნენ. სელჩუკთა გარნიზონები აქეთ გადმოდიოდნენ იერიშებზე ბიზანტიელთა წინააღმდეგ. რომან დიოგენმა თავისი ლაშქრის ძირითადი ნაწილი არზრუმში დააბანაკა და აქედან დაგზავნა ცალკეული რაზმები სხვადასხვა რაიონებში. მათე ურპაელის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორს საქართველოშიც გამოუგზავნია 22 000 ჯარისკაცი<sup>176</sup>, მაგრამ წყაროებში არ ჩანს, თუ რა გააკეთეს მათ საქართველოში<sup>177</sup>.

<sup>172</sup> Исторический записки Никифора Врениция, стр. 31—32.

<sup>173</sup> ი ქ ვ ე .

<sup>174</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 141; ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 321; ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 38.

<sup>175</sup> ბ ო ნ დ ა რ ი, გვ. 38.

<sup>176</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 142.

<sup>177</sup> მეურმიან ინანჩის აზრით, ბიზანტიამ საქართველოში თურქთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიის უკან დასაბრუნებლად და ისლამის ბატონობის თავიდან მოსაშორებლად ქართველთა მეფის ბაგრატის დასახმარებლად გარკვეული რაოდენობის ძალები გაგზავნა. მ. ი ნ ა ნ ჩ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

ერთი შეხედვით შეიძლება სწორი იყოს თურქი ისტორიკოსის მტკიცება, მაგრამ რეალურად, ბიზანტიის იმპერიას ამ დროისათვის სრულებით არ ეცალა საქართველოდან სელჩუკთა განდევნისათვის, რადგან მას განსაკუთრებული პროგრამა ჰქონ-

რომან დიოგენის მიერ ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებში ლაშქრის დაგზავნის ერთ-ერთ მიზეზად მათე ურჰაელიც ლაშქრის საკირო სანოვაგით მომარაგებას ასახელებს. იგი აღნიშნავს, ცბიერმა ადამიანებმა რომან დიოგენს უთხრეს, რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შენი ლაშქრისთვის წინააღმდეგობის გაწევა; ბრძოლის დაწყებამდე მშვიდრები რომ არ დარჩნენ, ლაშქარი დაანაწილეთ და თავისუფლება მიეციო. ამ სიტყვების გამო იმპერატორმა ლაშქრის ერთი ნაწილი ხლათში გაგზავნა, მეორე ნაწილი კი — საქართველოში<sup>178</sup>.

მასასადამე, რომან დიოგენი თავის მრავალრიცხოვან და საგანგებოდ შეკრებილ ლაშქარს ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებში სურსათ-სანოვაგის საშოვნელად აგზავნიდა. მას ფართო გეგმები ჰქონდა დასახული. ანატოლიიდან სელჩუკთა საბოლოო განდევნის შემდეგ განზრახული ჰქონდა ირანში შეჭრილიყო და სელჩუკებისათვის ზიანი იქაც მიეყენებინა. იმპერატორმა ისარგებლა სულთნის სირიაში ყოფნით და მთელი თავისი ძალებით დაიწყო იერიში ანატოლიაში გამაგრებული სელჩუკების გასანადგურებლად.

რომან დიოგენის ამ გადამწყვეტ იერიშამდე სელჩუკებს მთელი ანატოლიის ძირითადი ნაწილი ჰქონდათ დაპყრობილი თორღულბეგისა და ალფ-არსლანის სისტემატური და მეთოდური თავდასხმების შედეგად. ამას გარდა, სელჩუკთა ცალკეული უფლისწულები დამოუკიდებლად იბრძოდნენ ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებში. აღმოსავლეთიდან მოსულ თურქმენთა ახალ-ახალი ტაღლები, რომლებიც სელჩუკთა სამხედრო ძალებს ავსებდნენ, თანდათან იპყრობდნენ ანატოლიის ტერიტორიებს და იქვე მკვიდრდებოდნენ. ანატოლიის

---

და მიზნად დასახული. იგი სელჩუკთაგან ანატოლიის განთავისუფლებით იყო დაკავებული და რადგანაც მანასკერტთან გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა, ამიტომ ლაშქარს აგზავნიდა ანატოლიისა და ამიერკავკასიის ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც სელჩუკებს ფეხი ჰქონდათ მოკიდებული. ამასთანავე მისი ლაშქარი ამ ქვეყნების ხალხისაგანაც შედგებოდა. წყაროებში ნათლად არის წარმოდგენილი რომან დიოგენის ლაშქრის ეროვნული სიკრულე, სადაც ქართველთა და სომეხთა მონაწილეობაც არის აღნიშნული. ასე რომ, რომან დიოგენის მიერ საქართველოში სელჩუკების წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნა უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა მის პირად და არა საქართველოს მეფის ინტერესებს.

იბრაჰიმ ქაფესოღლუს შენიშნული აქვს ბიზანტიის ლაშქრის საქართველოში გაგზავნის ნამდვილი მიზეზი. მისი აზრით, ბიზანტიის იმპერატორმა ფორმალურად თითქოს საქართველოს დასახმარებლად, მაგრამ სინამდვილეში, ლაშქრის სურსათ-სანოვაგით მოსამარაგებლად და უზრუნველსაყოფად გაგზავნა თავისი რაზმები საქართველოში (İslâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 244).

<sup>178</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 42.



პროვინციები მათი მოქმედადარობისა და სისტემატური თავდასხმების ასპარეზი ხლებოდა. ეს სელჩუკი უფლისწულები ანატოლიიდან უკან აღაზ ბრუნვებოდნენ. ერთი რაიონიდან მეორეში გადადიოდნენ და ძარცვითა და მოქმედადარობით ირჩენდნენ თავს. მათ უკვე ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრები და სტრატეგიული პუნქტები ჰქონდათ დასაპროვინციო. როგორც იყო ანისი, მანასკერტი, ხლათი და სხვ.

როგორც კი ამბავი მოუვიდა სულთან ალფ-არსლანს ბიზანტიის იმპერატორის ასეთი გრანდიოზული ღონისძიების შესახებ, სასწრაფოდ წავიდა ალექსოვან. სამხედრო ძალების ერთი ნაწილით ალექსოში თავისი შვილი დატოვა; თავისი ვასალი მირდასოლლუ მაჰმუდი ეგვიპტის დასაპროვინციოდ გაგზავნა, ხოლო თვითონ სასწრაფოდ გამოემართა ანატოლიისაკენ და ურჯაში მოვიდა. ქალაქის დეკამ სულთანის ლაშქარი სანოვავითა და საქონლით მოამარაგა. სულთანი ურჯიდანაც მალე წამოვიდა და აღმოსავლეთისაკენ განაგრძო გზა. სწრაფი მგზავრობას გამო გზაში დიდძალი საქონელი დაეზოცა<sup>179</sup>. განსაკუთრებით ბევრი ცხენი და აქლემი დაეღუპა მდ. ევფრატის გადალახვისას. სიძნელეებს ქმნიდა პროვინციების უქონლობაც. როდესაც სულთანი ურჯიდან მოსულში გადავიდა, მასთან დასმარების სათხოვნელად მანასკერტიდან ბიზანტიელთაგან დევნილი მუსლიმანები მივიდნენ. სულთანი სასწრაფოდ წავიდა აზერბაიჯანში — ხოიში და საბრძოლველად მზადებას შეუდგა. მის მიერ მოპოვებული ნადავლი ნიზამ ალმულქისა და თავისი ცოლის ხათუნის თანხლებით თავრიზში (იბნ ალასირის ცნობით — ჰამადანში) გაგზავნა და თვითონ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლის თადარიგს შეუდგა.

ალფ-არსლანი ბრძოლისათვის განსაკუთრებით მოემზადა. ხალიფა ვრცელი სალოცავი ტექსტი მოამზადა და ბრძანა მისი წაკითხვა მეჩეთებში. მასში ხალიფა სულთანს მოუწოდებდა ისლამის რელიგიის სიწმინდის დაცვისა და ურჯულოებზე გამარჯვებისაკენ<sup>180</sup>. ალფ-არსლანი მაინც არ იყო კმაყოფილი თავისი ლაშქრის სიძლიერით და მზად იყო სანშვიდობო მოლაპარაკება გაემართა რომან დიოგენთან. ბარჰებრაი აღნიშნავს, რომ ალფ-არსლანი სელჩუკთა ლაშქრის რაოდენობის სიმცირის გამო აღშფოთებული იყო და ამიტომ ერთ-ერთი უფლისწული სავთეგინი რომან დიოგენს ელჩად გაუგზავნა<sup>181</sup>. სულთანი

<sup>179</sup> მათე ურჰაელი, გვ. 142.

<sup>180</sup> ახბარ, გვ. 33—34.

<sup>181</sup> ბარჰებრაი, I, გვ. 321; ახბარ, გვ. 34; მათე ურჰაელი, გვ. 142; მ. ქოიშენის გამოკვლევით, სულთანის სურვილით იმპერატორს ელჩი გაუგზავნა ახსელმა ხალიფამ; ელჩად იყო ვინმე იბნ მუჰელბანი და სელჩუკი უფლისწული სავთეგინი.

იმპერატორთან მეგობრობასა და მშვიდობიანობის ჩამოგდებას ითხოვდა<sup>182</sup>, მაგრამ იმპერატორი სასტიკი წინააღმდეგი იყო ამისი. ბონდარის ცნობით, რომან დიოგენმა შემოთავაზებულ სანშვიდობო მოლაპარაკებაზე უარი სთქვა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იფიქრა, სულთანს ზავს თავისი სისუსტის გამო მთავაზობს<sup>183</sup>.

რომან დიოგენმა სულთანს ელჩს მიუგო: „მე ჩემს ხაზინაში რაც მქონდა, ყველაფერი დაეხარჯე და ეს ლაშქარი შეეკრიბე, და როდესაც გაიმარჯვება უნდა მოვიპოვო, უკან დაებრუნდე? თქვენს წინააღმდეგ ხმლის ნეტი არაფერი არ არსებობს“<sup>184</sup>.

სხვა წყაროებიც ერთხმად აღნიშნავენ რომან დიოგენის ასეთ ეხემ პასუხს სულთანს ელჩისადმი; არაბული წყაროების მიხედვით, რომან დიოგენმა ელჩს უბასუხა: „დროებით ზავზე ხელშეკრულებას ჩვენ ოეიში დავდებთ“<sup>185</sup>. იმპერატორის პასუხში ნათლად ჩანდა მისი საბრძოლო განწყობილება და მიზნები სელჩუკთა მიმართ. ბრძოლის დაწყების წინ ალფ-არსლანის მიერ შეთავაზებული ზავის მიხედვით, ამჟამად იყო მისი ძალების სისუსტე ბიზანტიის ლაშქართან შედარებით. სულთანს აღარაფერი დარჩენოდა ბრძოლაში ჩაბმის გარდა.

ბიზანტიის იმპერატორი უზარმაზარი არმიით იღვა სელჩუკთა წინაშე მანასერტთან; წყაროების მიხედვით, იმპერატორის ლაშქარი შეიარაღებული იყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. მათ სამი ათასი სატივართო ურემი ჰქონდათ სიმძივების გადასატანად, ხოლო ქვების სასროლ იარაღთა შორის ერთი რვასაყრდენიანი ძალიან მძივე და დიდი ლოდსატყორცი ჰქონდათ. მას ისროდა 1 200 კაცი, მის გადასადგილებლად ასი ურემი იყო საჭირო. ის ისროდა ქვას, რომლის წონა ხლათის ასი ლიტრი იყო<sup>186</sup>.

ბიზანტიისა და სელჩუკთა ლაშქრის ავანგარდთა პირველი შეტაკება ხლათთან მოხდა. ბიზანტიის 20 000-იანი ლაშქარი (იბნ ალ-ასირის მიხედვით 10 000 კაცი), რომელსაც რუსი მხედართმთავრები მეთაურობდნენ, ხლათთან შეებრძოლა სელჩუკთა ლაშქარს. ბიზანტიის ლაშქარი ხლათის ადგილობრივ თურქთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ხლათის ლაშქარს მეთაურობდა ვინმე სანდაკუთ თურქი. რუ-

<sup>182</sup> მათე ურკაელი, გვ. 142; ბარ ქებრაი, I, გვ. 321.

<sup>183</sup> ბონდარი, გვ. 39; როზენის რუსული თარგმანი, გვ. 200.

<sup>184</sup> ბარ ქებრაი, I, გვ. 321.

<sup>185</sup> ახბარ, გვ. 34; ბონდარი, გვ. 39; როზენის რუსული თარგმანი, გვ. 20; იბნ ალ-ასირი, გვ. 122.

<sup>186</sup> ბონდარი, გვ. 38; როზენის რუსული თარგმანი, გვ. 201; Malazgird, İslâm Ansiklopedisi, cüz 71, გვ. 244.

სები სასტრუქად დაამარცხეს, მათი მეთაური ტყვედ ჩავარდა და სულთნის ბრძანებით ცხვირი მოაჭრეს, ხოლო ჯვარი, რომელიც რუსებს წაართვეს, სულთნის ბრძანებით ნიზამ ალ-მულქს გაეგზავნა, იმან კი თავის მხრივ ხალიფასთან გაგზავნა<sup>187</sup>. ბიზანტიის მეწინავე ლაშქართან შეტაკებისას სელჩუკებმა პირველ წარმატებებს მიაღწიეს, რაც მაშინვე სათანადოდ აღნიშნეს ქრისტიანთა ჯვრის ბაღდადის ხალიფასთან გაგზავნით. იგი ბაღდადში ისლამის დიდი გამარჯვების ნიშნად მიიღეს.

რომან დიოგენმა თავისი მეწინავე ლაშქრის პირველი წარუმატებლობა რომ გაიგო, მაშველი ძალა გამოგზავნა, რომელსაც სომეხი მხედართმთავრები ქათაფი და ვასილაგი მეთაურობდნენ. ძლიერი ბრძოლის შედეგად ბიზანტიელები ისევ დამარცხდნენ, ხოლო მათი სარდლები ამ ბრძოლას შეეწირნენ<sup>188</sup>. ბიზანტიელთა ლაშქარი გაიქცა და რომან დიოგენის ბანაკს შეაფარა თავი. ახალი მაშველი ლაშქრის მეთაური ვრიენიოსიც იძულებული გახდა დაქრილი გაქცეულიყო. იმპერატორმა მანასიერტსა და ხლათს შორის დაიბანაკა. მოპირდაპირე გორაკზე კი ალფ-არსლანს ჰქონდა კარვები გაშლილი<sup>189</sup>. იმპერატორმა თავისი ძალების კონცენტრაცია სწრაფად ვერ მოახერხა. მათე ურჰაელის ცნობით, მან ბრძანება გასცა მთელი ლაშქრის ერთ ადგილზე შეკრების შესახებ, მაგრამ მის ამ მოწოდებას არავინ მოუსმინა, რადგან ტრაზანიოტი და სხვა ბიზანტიელი მხედართმთავრები თავიანთი ლაშქრით კონსტანტინოპოლისაკენ იყვნენ წასული. იმპერატორი მიხვდა, რომ ბიზანტიელებმა უღალატეს. მეორე დღეს ბრძოლა დაიწყო<sup>190</sup>.

მათე ურჰაელის ამ ცნობაში ჩანს, რომ იმპერატორის უზარმაზარი ლაშქარი ბრძოლის ველზე მთლიანად არ გამოცხადებულა. ბიზანტიის მრავალეროვან დაქირავებულ არმიამი არ არსებობდა მტკიცე კავშირი და ერთსულოვნება. ამავე დროს იმპერატორმა ლაშქრის ნაწილები ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებში დაგზავნა. ალფ-არსლანთან გადამწყვეტი შეტაკების დროს რომან დიოგენს, ჩანს, მხოლოდ თავისი ლაშქრის ნაწილი აღმოაჩინდა; თურქი ისტორიკოსის

<sup>187</sup> ბონდარი, გვ. 38; როზენის რუსული თარგმანი, გვ. 198—199; იბნ ალასირი, გვ. 121—122.

<sup>188</sup> მათე ურჰაელი, გვ. 143; Историческая записка Никифора Врешня, 35—36; М. А. К о в т е н, დასახ. ნაშრ., გვ. 266.

<sup>189</sup> ბონდარი, გვ. 39; ახბარ, გვ. 34; მათე ურჰაელის ცნობით, იმპერატორი დოღადაფის ადგილზე დაბანაკდა (მათე ურჰაელი, გვ. 143).

<sup>190</sup> მათე ურჰაელი, გვ. 143.

მ. ქოიშენის მტკიცებით. რომან დიოგენს ალფ-არსლანთან ბრძოლის დროს 100 000 ჯარისკაცი შერჩა და თვით ამ ძალების სასწრაფოდ მობილიზება და გადმოყვანაც ვერ მოახერხა. 1071 წლის 24 აგვისტოს ორივე ლაშქარი უკვე ერთმანეთის პირისპირ იდგა. სწორედ ამ დროს შესთავაზა სულთანმა იმპერატორს ზავი, მაგრამ როგორც აღუნიშნეთ, რომან დიოგენმა არ მიიღო სულთანის წინადადება და თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა.

ბიზანტიის არმია ბრძოლის წინ შემდეგნაირად იყო განლაგებული: მარცხენა ფრთაზე იმყოფებოდა იმპერატორის სამსახურში მყოფი პაქანიკთა ლაშქარი, რომელსაც სათავეში თავისი ლაშქრით ნიკიფორე ვრიენიოსი ედგა. მარჯვენა ფრთაზე იდგა ოღუზთა დაქირავებული ლაშქარი ანატოლიის ნაწილებით, რომელსაც კაპადოკიელი ალიატესი მეთაურობდა. ცენტრში თვითონ იმპერატორი იდგა სახალსო ლაშქრით, ხოლო მის ზურგს უკან რეზერვში იდგა ანდრონიკე დუკა<sup>191</sup>.

ბონდარის ცნობით, ალფ-არსლანმა თავისი ლაშქარი ოთხ ნაწილად დაჰყო და თითოეული მათგანი სანგრებში დაჰალა<sup>192</sup>. მათი ადგილსამყოფელი გორაკების უკან იყო, ამას გარდა, ალფ-არსლანმა ბიზანტიელთა მსგავსად ლაშქარი დააწყო მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე, თვითონ ცენტრში დადგა ლაშქრის ერთი ნაწილით და ასევე რეზერვში გადაიყვანა ერთი რაზმი<sup>193</sup>. ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, სულთანი სადღაც ძალიან შორს, ღრმად იდგა თავის გადამალულ ლაშქარში და ბრძოლისათვის ემზადებოდა<sup>194</sup>. ბიზანტიელთა და სელჩუკთა გადამწყვეტი შეტაკების წინა პერიოდი დაწერილებით აქვს აღწერილი სადრ ედ-დინ აბულ-ჰასან ალ-ჰუსეინს<sup>195</sup>.

წყაროების მიხედვით, პირველი იერიში რომან დიოგენმა დაიწყო. სელჩუკებმა იგი მოაგერიეს, მაგრამ ხერხი იხმარეს და უკან დაიხიეს. წინ გაჭრილი ბიზანტიელთა ლაშქარი სელჩუკთა ჩასაფრებული ნაწილების მეოხებით ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. გაიშართა სანატიკი ბრძოლა<sup>196</sup>. ალფ-არსლანის მიერ ხელოვნურად განხორციელებულმა უკან დახევამ შედეგი გამოიღო. თავისი ბანაკიდან მნიშვნელოვნად დაშორებულმა იმპერატორის ლაშქარმა სადამოსათვის სანგ-

<sup>191</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 141; მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 272.

<sup>192</sup> ბონდარი, გვ. 40.

<sup>193</sup> მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 272.

<sup>194</sup> Исторический записки Никифора Врениния, стр. 37—38.

<sup>195</sup> ახბარ, გვ. 34—37.

<sup>196</sup> ბონდარი, გვ. 40; Исторический записки Никифора Врениния, стр. 78.

რეპნი დამალულ სელჩუკებამდე მიაღწია. სელჩუკები იერიშზე გაუმოვალდნენ და ბიზანტიელები ალყაშემორტყმული აღმოჩნდნენ. მათ ბიზანტიელთა სარეზერვო ძალები მიეშველნენ ანდრონიკოს დუკას მელათრობით. მაგრამ ამაოდ: ისინი დამარცხებული უკუგდებულ იქნენ. ეს კი სომეხთა ლაშქრის მიერ ბრძოლის ველის დატოვებისა და გაქცევის საბაბი გახდა<sup>197</sup>. არისტარქე ლასტივერტელი სომეხთა ლაშქრის ლალატს გადაწყვეტ მოშენტში უარპყოფს და მათდამი დამოკიდებულებასი პინანტიის იმპერატორს ადანაშაულებს. მისი სიტყვით, „ბერაგენა მეფე უშიზეზოდ და საქმის უცოდინარად რისხვით აღივსო სომეხთა ჯარისა და ხალხის მიძართ და ეკვის თვალით შეხედა მათ, მაგრამ მან [მალე] დაინახა [სომეხების] ერთგული ბრძოლა და მხნე კაცთა თავგანწირვა, რომლებიც არა თუ შეუშინდნენ სპარსელ მშვილდოსნებს, არამედ დადგნენ ბრძოლის პირისპირ და ზურგი არ შეაქციეს“<sup>198</sup>. ზემოთ მოტანილი ცნობა მოწმობს, რომ ბიზანტიელთა ხელისუფალნი არასწორად მოქმედებდნენ თავიანთი მრავალეროვანი ლაშქრის მიძართ და უნდობლობასა და სიძულვილს იწვევდნენ მათში. სხვადასხვა ეროვნებათა ლაშქრის აიძულებდნენ ხელი აეღოთ ბრძოლაზე და მათსავე წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. მტრობამ და შურმა განსაკუთრებით იზინა თავი სელჩუკებთან გადაწყვეტი ბრძოლის დროს. რომან დიოგენის ლაშქრის მარჯვენა ფრთამ, რომელიც ოღუზთა და პაქანიკთა ტომებისაგან შედგებოდა, დატოვა ბრძოლის ველი. უარი თქვა თავისი თანამოქმედების — სელჩუკების წინააღმდეგ გამოსვლაზე და მათ მხარეზე გადავიდა<sup>199</sup>. არისტარქე ლასტივერტელი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ჰერ კიდევ არ იყო აშკარა არც ერთი გუნდის დამარცხება, რომ უეცრად ერთი დიდი გუნდი, რომელთა შორისაც არ არსებობდა ღმრთის მსახურება, აუჯანყდა ბერძენთა შედეს და მტრის მხარეს გადავიდა. ამის გამო დიდძალი ჯარი ამოწყდა“<sup>200</sup>.

საინტერესოა, რომ აღმოსავლურ წყაროებში არათერთა ნათქვამი ოღუზთა და პაქანიკთა ამ გამცემლური მოქმედების შესახებ, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. სულთანის მხარეზე გადასულნი ოღუზებმა და პაქანიკებმა სულთანს ბიზანტიის ლაშქრის

<sup>197</sup> Malazgirt, გვ. 216.

<sup>198</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 121.

<sup>199</sup> მათე ურპაელი, გვ. 143; Исторический записки Никифора Врениня, стр. 38, об. აგრეთვე, М. А. К ö у т е н, დასახ. ნაშრ., გვ. 273; М. Н. Уйпанс, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

<sup>200</sup> არისტარქე ლასტივერტელი, ისტორია, გვ. 120.

შესახებ საინტერესო ცნობები მააწოდეს<sup>201</sup>. ამან, რა თქმა უნდა, უფრო გაუაღვილა სელჩუკებს მოქმედება ბიზანტიის წინააღმდეგ. საღამოსათვის ბიზანტიის ლაშქარი თითქმის განადგურებული იყო. იმპერატორი რომან დიოგენი დაჭრილი ტყვედ ჩავარდა თავის წარჩინებულებთან ერთად.

ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, სელჩუკებს ტყვედ ჩავარდა მთელი ბანაკი, სამეფო კარავი და ხაზინა<sup>202</sup>. წყაროების მიხედვით, იმპერატორი დაუტყვევებია ანირ საად აღ-ღოვლე გოვპარაინის ერთ-ერთ მონას. სულთანმა უხვი მოწყალება გაიღო ამ მონას მიმართ.

მანასკერტთან სელჩუკთა გამარჯვება და რომან დიოგენის ტყვედ ჩავარდნა აღფ-არსლანის დიდი წარმატება იყო; ამ გამარჯვებამ მას უდიდესი ავტორიტეტი მოუპოვა მთელს მუსლიმანურ სამყაროში.

საინტერესოა აღფ-არსლანისა და რომან დიოგენის შეხვედრა, რაც წყაროებში შენდევნაირად არის აღწერილი: სულთანი საღამოს ნამაზს ასრულებდა, როდესაც მას დატყვევებული იმპერატორი მოუყვანეს; რომან დიოგენს „პატივებმა თმასა და ქეჩოში წაავლეს ხელი და საამბორებლად სულთნის წინ თავი დაუხარეს, მაგრამ იგი არაფრით მიწას არ ეამბორა. ამის შემდეგ სულთანმა თავის კაცებს უთხრა: „თავი დაანებეთ, მისთვის ისიც საკმარისია. რომ ამ დღეში ჩავარდა“<sup>203</sup>. ბარ ჰებრაის ცნობით, აღფ-არსლანს დატყვევებული იმპერატორი პატივით მიუღია; იგი საგანგებო ოთახში მოუთავსებია და ხელ-ფეხზე ბორკილდადებულისათვის მცველად 100 თურქი ჯარისკაცი მიუჩენია<sup>204</sup>.

როდესაც სულთანი და იმპერატორი ერთმანეთს შეხედნენ. მათ შორის ხანგრძლივი საუბარი გაიმართა, რის შედეგად აღფ-არსლანმა რომან დიოგენს სიცოცხლე შეუნარჩუნა. პოლაპარაკების თანახმად, იმპერატორს სულთნისათვის ერთი მილიონი დინარი ენდა გადაეხადა და ყოველწლიურად 360 000 დინარის გადახდა უნდა ექნა.

სულთანმა იმპერატორს მოსთხოვა ბიზანტიელთა მიერ არაბთათვის წართმეული ანტიოქია, ედესა, მახბუგი და მანასკერტი. სულთნის ამ მოთხოვნაზე რომან დიოგენმა უპასუხა: „როდესაც ჩემს სამეფოში დავბრუნდები, ლაშქარი გამოგზავნე და მთელი ეს ტერიტორიები დაიპყარი. მეც მათ ჩასაბარებლად ბიზანტიაში ცნობას გავავზავნი. ეს ამბავი ახლა რომ ვაცნობო, არავინ მომისმენა“. იმპერატორმა იცოდა ბიზანტიის შინაგანი ვითარება და ამიტომ იქვე დასძინა: „თუ ჩემი

<sup>201</sup> Malazgirt, გვ. 245.

<sup>202</sup> Историческая записка Никифора Вриенния, стр. 39.

<sup>203</sup> ახბარ. გვ. 39.

<sup>204</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 322.

უკან გაბრუნება გინდა. სასწრაფოდ გამგზავნე. სანამ ბიზანტიელები სხვა იმპერატორს დასკვამდნენ“<sup>205</sup>.

იბნ ალ-ასირის მიხედვით რომან დიოგენს გამოსასყიდად უნდა გადაეხადა ბილიონ ნახევარი დინარი, საჭიროების შემთხვევაში სულთნისთვის გაეგზავნა ბიზანტიის ლაშქარი და ამასთანავე გაეთავისუფლებინა მუსლიმანი ტყვეები, რომლებიც ბიზანტიაში იმყოფებოდნენ<sup>206</sup>.

ამავე ავტორის ცნობით, ასეთ პირობაზე შეთანხმებულმა მოწინააღმდეგეებმა 50-წლიანი ზავი დასდეს. სულთანმა იმპერატორს მისცა 10 000 დინარი ზვის ხარჯად, მასთან ერთად გაათავისუფლა მისი დაახლოებული წარჩინებულებიც, გამოაყოლა ლაშქარი და თავის ქვეყანაში გაიმამგზავრა. თვითონ სულთანმა ისინი ერთ ფარასახზე გამოაცალა<sup>207</sup>. როცა განშორების უამს რომან დიოგენმა ცხენიდან ჩამოსვლა მოინდომა, სულთანმა დაუშალა, ცხენდაცხენ გადაეკცნეს ერთმანეთი და ისე განშორდნენ<sup>208</sup>.

სულთან ალფ-არსლანის მიერ რომან დიოგენის შეწყალება და საწმინდოში უვნებლად გასტუმრება სრულიადაც არ აიხსნება სულთნის გულკეთილობით და მშვიდობისმოყვარეობით, როგორც თურქი ისტორიკოსი ი. ქაფესოღლუ ფიქრობს<sup>209</sup>. ალფ-არსლანს გარკვეული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა, როდესაც ასეთ „გულკეთილობას“ იჩენდა ქრისტიანი იმპერატორის მიმართ. გარდა იმისა, რომ მანასკერტთან მოპოვებული გამარჯვებით მან უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა აღმოსავლეთსა და დასავლეთში, და წელში საბოლოოდ გასტეხა ბიზანტიის იმპერია; მას რომან დიოგენი ერთგულ მოკავშირედ და ვასალად სჭირდებოდა. საჭიროების შემთხვევაში სულთანი მისგან სამხედრო და ფინანსურ დახმარებას მიიღებდა. სწორედ ეს მიზნები ამოძრავებდა ალფ-არსლანს, როდესაც ასეთ „გულუხეობას“ და „მოწყალებას“ იჩენდა იმპერატორის მიმართ. მარქსი და ენგელსი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ალფ-არსლანმა რომან დიოგენი თავისთვის ხელაყრელ პირობებში გაათავისუფლა<sup>210</sup>.

თურქი ისტორიკოსი მ. ქოიმენი რომან დიოგენთან ალფ-არსლანის საზავო ხელშეკრულებას მსუბუქ ვალდებულებად მიიჩნევს. სულ-

<sup>205</sup> ბარ ქებრაი, I, გვ. 323; Malazgirt, გვ. 246; მ. ქოიმენი, დასახ. ნაშრ., გვ. 276—277.

<sup>206</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 122.

<sup>207</sup> იქვე; მუნეჯიმ-ბაში, გვ. 532.

<sup>208</sup> ბარ ქებრაი, I, გვ. 323; მ. ქოიმენი, დასახ. ნაშრ., გვ. 278.

<sup>209</sup> Malazgirt, გვ. 246.

<sup>210</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, стр. 112.

ონის ასეთი გულკეთილობის მიზეზს ავტორი ეძებს, ერთი მხრივ, იმა-  
ში, რომ სულთანნი დაინტერესებული იყო ქრისტიანული ბიზანტიის  
ვასალური დამოკიდებულებით, ხოლო მეორე მხრივ, იმაში, რომ რო-  
მან დიოგენმა სულთანთან საუბრის დროს მასზე დიდი გავლენა მოახ-  
დინა. თურქი ისტორიკოსის აზრით, ალფ-არსლანისათვის დამარცხე-  
ბული იმპერატორის საბოლოოდ განადგურება ადვილი იყო, მაგრამ  
სულთანს ერთგული ვასალისა და მოკავშირის ყოლა სურდა, თორემ  
ბიზანტიის იმპერიის განადგურება კი არ უნდოდათ<sup>211</sup>. შეიძლება თურ-  
ქი მეცნიერი მართალი იყოს იმაში, რომ ალფ-არსლანს რომან დიო-  
გენის სახით მტკიცე მოკავშირის ყოლა სურდა, მაგრამ ცხადია, ბიზან-  
ტიის იმპერატორი მისი ერთგული ვასალი და მოკავშირე არასდროს  
არ იქნებოდა. ამას გარდა, არ უნდა იყოს სწორი თურქი მეცნიერის  
განცხადება იმის შესახებ, თითქოს ალფ-არსლანი ბიზანტიის იმპე-  
რიის განადგურებას არჩევდა მისი სახით ერთგული ვასალი და მოკავ-  
შირე ჰყოლოდა. პირიქით, ალფ-არსლანისა და შემდეგში მელიქ-შაჰის  
მთელი საქმიანობა სწორედ ბიზანტიის საბოლოო განადგურებას ისა-  
ხავდა მიზნად. მათი დაპყრობების ძირითადი პოლიტიკური ხაზი სწო-  
რედ ბიზანტიის დაპყრობა იყო.

სელჩუკთა მიერ მანასკერტის ველზე გამარჯვებას უდიდესი მნი-  
შვნელობა ჰქონდა სხვადასხვა ხალხთა ისტორიისათვის. რომან დიო-  
გენმა, რომელმაც იტყუართა დიდი ამოცანა — ანატოლიიდან სელჩუკ-  
თა საბოლოო განდევნა, მარცხი განიცადა. მის მიერ ამ მიზნით შეკ-  
რებილ მრავალეროვან ლაშქარს მან სათანადო ხელშეწყობა ვერ  
გაუწია, ვერ გაითვალისწინა მთელი რიგი მომენტები, რაჟამც იგი და-  
მარცხებამდე მიიყვანა. ქრისტიანული ბიზანტიის ასე სამარცხვინოდ  
დამარცხების მიზეზი მაინც მისი ლაშქრის ეროვნული სიჭრელე იყო.  
გარდა იმისა, რომ მთელი ანატოლია ამ დროისათვის უკვე თითქმის  
გათურქებული იყო სისტემატური და თანდათანობითი თავდასხმებისა  
და ჩამოსახლების გზით, თვით იმპერატორის ლაშქრის მნიშვნელოვანი  
ძალებიც ოღუზებისა და პაქანიკების დაქირავებული ნაწილებისაგან  
შედგებოდა. იმპერატორმა ვერ გაითვალისწინა, რომ სელჩუკების წი-  
ნაალმდეგ მათზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. სელჩუკებთან გადაწე-  
ვები იერიშის დროს ოღუზებისა და პაქანიკების რაზმებმა, რომელ-  
თაც ბიზანტიის ლაშქარში მარჯვენა და მარცხენა ფრთა ეჭირათ, უარი  
თქვეს თავიანთი თანამომხეების წინააღმდეგ ბრძოლაზე და მათ მხარე-  
ზე გადავიდნენ.

<sup>211</sup> მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 277.



პართალია. რომან დიოგენი გრძნობდა ოღუშთა და პაქანიკთაგან ღალატის საშიშროებას და ამიტომ მათ ბრძოლის დაწყებამდე ერთგულების ფიცი მიადებინა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მათ იმპერატორს უღალატეს. ოღუშებისა და პაქანიკების სელჩუკთა მხარეზე გადასვლასთან ერთად რომან დიოგენის დამარცხებაში არანაკლები როლი შეასრულა სომხური ნაწილების ღალატმაც. მათ დემონსტრატულად დატოვეს ბრძოლის ველი და უკან გაბრუნდნენ.

კრიტიკულ მომენტში ასევე დატოვა ბრძოლის ველი თვით ანდრონიკოსმაც, რომელსაც არც თუ ისე კეთილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა რომან დიოგენთან. ბიზანტიის ლაშქარში არ არსებობდა მტკიცე დისციპლინა, არ იყო ერთიანი ხელმძღვანელობა. უფრო მეტიც, მანასკერტთან გადაწყვეტი ბრძოლისათვის რომან დიოგენმა ვერ მოახერხა ლაშქრის ნახევრის გამოყვანაც კი; როდესაც მან ბრძანა, რომ ნთელი ლაშქარი სააწრაფოდ მანასკერტთან მოეგროვებინათ, აღმოჩნდა, რომ რიგი ნაწილები უკან გაბრუნებულიყვნენ კონსტანტინოპოლისაკენ. ამიტომ, რომან დიოგენს სელჩუკებთან პირისპირ შეპა მანასკერტთან მხოლოდ ლაშქრის ერთი ნაწილით მოუხდა.

ამასთანავე, სელჩუკებთან ბრძოლა გარკვეულ გამოცდილებასაც მოითხოვდა, რაც რომან დიოგენს არ გააჩნდა. სელჩუკებს ბრძოლის თავიანთი მეთოდები ჰქონდათ და ფართო მანევრირების გამოცდილება გააჩნდათ. წყაროების ცნობით, მანასკერტთან ბრძოლის დროს სელჩუკთა თითოეულ მხედარს თითო სამარქაფო ცხენი ჰყავდა. სელჩუკები მთელ სიცოცხლეს ბრძოლაში ატარებდნენ. ახალ-ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდება და ძარცვა-გლეჯა მათი ცხოვრების ძირითადი ამოცანა იყო, რადგან ისინი სხვისი ქვეყნების განადგურებითა და ნაღვლის მოპოვებით, მომთაბარული და შეჯოჯური, ექსტენსიური მეურნეობით ირჩენდნენ თავს.

მანასკერტთან სელჩუკების გამარჯვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მათ ისტორიაში. ამიერიდან სელჩუკებს გზახსნილი ჰქონდათ ანატოლიის „ასათვისებლად“. მანასკერტის ბრძოლასა და მის შედეგებს უდიდესი საერთაშორისო გამოძახილი ჰქონდა თავის დროზე ისლამის სამყაროში. მანასკერტთან გამარჯვებით საბოლოოდ ჩაეყარა საფუძველი ანატოლიაში სელჩუკთა დამკვიდრებას. თურქი ისტორიკოსები იპდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მანასკერტის ბრძოლას, რომ ანატოლიაში თავიანთი სამშობლოს სათავედ 1071 წელს სდებენ და თურქთა ისტორიის ახალი ხანის დასაწყისად მიიჩნევენ. მართლაც, ამ დროიდან იწყება მათი მოზღვავება ანატოლიაში. ამ ტერიტორიების საბოლოო გათურქება და მათი საბოლოოდ გამარჯვება სხვა ადგილობრივ ეთნიკურ ელემენტებზე. სელჩუკთა მ-

ნასკერტთან გამარჯვება მოპრუნების წერტილი იყო იმითაც, რომ შუამდგომში მათ მიერ წარმოებული თავდასხმების დროს ბიზანტია ისეთ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა, როგორც ადრე, იგი წელში იყო გაწყვეტილი. ამიერიდან სელჩუკებმა უფრო სწრაფად განაგრძეს დასავლეთის მიმართულებით ლაშქრობები და მოკლე ხანში ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებამდე გავიდნენ. ანატოლიაში უსკუდარამდე არ დარჩენილა არც ერთი ადგილი, სადაც მათ არ მიეღწიოთ. სხვა ქვეყნებში ლაშქრობისას სელჩუკები ნადავლის ხელში ჩაგდებათ კმაყოფილდებოდნენ, ანატოლიაში კი მკვიდრდებოდნენ და ეკან. აღარ მიდიოდნენ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ანატოლიაში მათი ასე ზომრავლებისა. ამიერიდან იწყებოდა ანატოლიის საბოლოო გათურქება, თუმცა ამ ბრძოლამდე თურქთა თანდათანობითი ჩამოსახლება კარგა ხნის დაწყებული საქმე იყო<sup>212</sup>. ბიზანტიის იპერიამ უკვე საბოლოოდ დათმო ანატოლიის რაიონები.

რამდენადაც მანასკერტის ბრძოლას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიისათვის, იმდენად უარყოფითი შედეგები მოჰყვა მას, როგორც ანატოლიის მკვიდრი, ქრისტიანული მოსახლეობისათვის, ასევე ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ქვეყნების ხალხებისათვის. მანასკერტის ბრძოლამ არანაკლებ მძიმე ვითარება შეუქმნა საქართველოსაც.

დიდი განვითარებისა და კულტურის მქონე ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს ამიერიდან დაუმეზობლდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, ნახევრად პატრიარქალური, მომთაბარე-მეკოვური, ექსტენსიური მეურნეობის მიმდევარი სელჩუკთა მუსლიმანური სახელმწიფო. ამიერკავკასიაში სელჩუკთა შემოსევებამდე ბიზანტია გამოდიოდა ამ ქვეყნების ბატონ-პატრონად. სელჩუკებთან ბოლომოდებული ბრძოლების დროს ბიზანტიამ სულერთიანად აიღო ხელი მთელს ამიერკავკასიაზე და ანატოლიაში თავისი ტერიტორიები მთლიანად სელჩუკებს დაუთმო. საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ბიზანტიის ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად, საქართველო თანდათანობით ერთიანდებოდა და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ბიზანტიის გაძევებისათვის ემზადებოდა. მისი მფარველობა უკვე გაძლიერებულ საქართველოს არ სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ სელ-

<sup>212</sup> ანატოლიაში თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრებისა და თანდათანობითი გაბატონების შესახებ: Д. Е. Е р е м е е в, Проникновение тюркских племен в Малую Азию, VII Международный конгресс антропологических и этнографических наук, Москва, август, 1964, стр. 1—10; Cl. Cahen, Le probleme «ethnique en Anatolie». Cahiers d'histoire Mondiale, vol II, Paris, 1954, № 2, გვ. 347—362.

ჩუკებთან ბრძოლების შედეგად ბიზანტია უკვე ღონემიხდილი იყო. აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით XI საუკ-ში „საქართველომ გაუძლო ბიზანტიის შემოტევას. კიდევ მეტი, ის გაერთიანდა და ლამობდა ამიერკავკასიიდან გაქეევებინა ბიზანტია, რომელიც „საწუნელი“ შექმნილიყო ღონემოცემულ ხელღებულისათვის“<sup>213</sup>.

მანასკერტთან სასტიკად დამარცხებულმა ბიზანტიამ სელჩუკების წინაშე ასპარეზი დასცალა. მთელი ანატოლია სელჩუკების ხელში გადადიოდა. არსებითად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიასა და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. „თურქები დაეპატრონენ ზომხეთს, მათვე დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები“<sup>214</sup>.

განვითარების თვალსაზრისით აღმავალი გზით მიმავალ, გაერთიანების გზაზე შემდგარ საქართველოს უმეზობლდებოდა სავსებით უცხო ხალხი როგორც ეთნიკურად, ისე განვითარების დონითაც. საქართველოს მეზობლად ყალიბდებოდა მძლავრი აგრესიული სახელმწიფო, რომელიც უპირისპირდებოდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს კულტურულ, ინტენსიურ მეურნეობას, საქალაქო ცხოვრებასა და სოციალურ-კულტურულ ყოფას. ქართული კულტურული, ინტენსიური მეურნეობის გვერდით არსებობას იწყებდა ექსტენსიური, მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობა. მანასკერტთან თურქ-სელჩუკთა გამარჯვების შემდეგ უფრო გახშირდა მათი თარეში ამიერკავკასიის ქვეყნებზე საერთოდ, და საქართველოში, კერძოდ. თურქ-სელჩუკთა შემოსევები ძირფესვიანად განსხვავდება ბიზანტიელებისა და სხვათა შემოსევებისა და ბატონობისაგან. თურქ-სელჩუკები თავიანთი ოჯახებითა და ხეასტაგით მოდიოდნენ ამიერკავკასიასა და ანატოლიაში, დაპყრობილ ტერიტორიებს მაშინვე ყიშლალ-იალაღებად იკავებდნენ საქონლის საძოვრებისათვის. რადგანაც სელჩუკთა მომთაბარე მეჯოგეებს მიწის დიდი ფართობები სჭირდებოდათ „დიდ მდინარეთა (არაზის, მტკვრის, ალაზნის, ივრის) ნოყიერი ჭალები და მაღალმთიანეთის ალპური საძოვრები თურქ მომთაბარეების ყიშლალ-იალაღებად უნდა ქცეულიყვნენ. ადგილობრივ მკვიდრთა ინტენსიური სამიწათმოქმედო კულტურა იკვეცებოდა... ქართული (კავკასიური) ფეოდალური საზოგადოების განვითარება ფერხდებოდა, მას დაკნინება-გადაგვარება ემუქრებოდა. ასე რომ, თურქ-სელჩუკთა შემოსევა შეუდარებლად უფრო მძიმე იყო, ვიდრე არაბთა (ან ბიზანტიელთა) ბატონობა. არაბობა ქართული (კავკასიური) ფეოდალური მეურნეობის

<sup>213</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, თბ., 1954, № 6, გვ. 123.

<sup>214</sup> იქვე.

განვითარებას მძიმე ხარჯით აფერხებდა, „თურქობა“ კი ამ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა“<sup>215</sup>.

ამიერიდან, საქართველოს ბიზანტიის ნაცვლად სელჩუკიანი ჯურქების წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა. მოწინავე, ფეოდალური საქართველო გადაგვარების საფრთხის წინაშე იღვა. იწყებოდა დაუნდობელი ბრძოლა ადგილობრივ მკვიდრ ფეოდალურ საზოგადოებასა და დამპყრობელ მომთაბარე თურქებს შორის. სამიწათმოქმედო-ფეოდალურ კულტურას საფრთხეს უქმნიდა მომთაბარე-მეგობრეთა ექსტენსიური მეურნეობა; საქირო იყო ამ დიდი საფრთხის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მეთაურობა და ეს მისია წილად ხვდა საქართველოს<sup>216</sup>.



მანასკერტთან რომან დიოგენის დამარცხებას და მის ტყვედ ჩავარდნას ბიზანტიაში გარკვეული ღონისძიებებით უპასუხეს. რომან დიოგენის ნაცვლად კონსტანტინეს შვილი მიხეილი აიყვანეს სამეფო ტახტზე<sup>217</sup>. სულთნისაგან განთავისუფლებულმა რომან დიოგენმა ბიზანტიის საშინაო ვითარება მასშინ გაიგო, როდესაც სივასში მივიდა.

ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, ამასიაში მოსულმა რომან დიოგენმა ლაშქრის შეგროვება და ტახტის დასაბრუნებლად სამზადისი დაიწყო, მაგრამ ახალმა იმპერატორმა რომან დიოგენის წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა და დაამარცხა იგი.

მათე ურჰაელის ცნობით, ყოფილი იმპერატორი ლაშქარმა მიატოვა და გაიქცა. რომან დიოგენმა ქალაქ ადანას შეაფარა თავი. როცა იმპერატორ მიხეილის ლაშქარი თავს დაესხა, საშიშროების თავიდან ასაცილებლად რომან დიოგენმა საერო ტანსაცმელი გაიხადა, ბერის ანათორა გადაიცვა, ბიზანტიის ლაშქრის მეთაურთან დუქას ძმასთან მივიდა და უთხრა: „რადგანაც მე ამის შემდეგ მონასტერში აღვიკვეცე, მიხეილი იყოს იმპერატორი და ღმერთი იყოს მისი შემწე“<sup>218</sup>. ამასთანავე, იბნ ალ-ასირის ცნობით, რომან დიოგენმა, იმპერატორ მიხეილს აცნობა იმ პირობის შესახებ, რომელიც მან ალფ-არსლანთან დასდო; მიხეილმა თანხმობა განაცხადა შეესრულებინა რომან

<sup>215</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 123.

<sup>216</sup> იქვე, გვ. 124.

<sup>217</sup> ბარკებრაი, I, გვ. 323.

<sup>218</sup> მათე ურჰაელ, გვ. 144; იბნ ალ-ასირი, როზენის თარგმანი, გვ. 22.

ლიოგენის მიერ სულთანთან დადებული პირობა. ამასთანავე მიხეილი რომან ლიოგენს სულთანთან შეამდგომლობას სთხოვდა ამ საქმეში.

იმა აღ-ასირის ცნობით, რომან ლიოგენმა 200 000 დინარი შეაგროვა და სხვა საჩუქრებთან ერთად გაუგზავნა სულთანს იმ სელჩუკი ამირის ხელით, რომელიც მას ალფ-არსლანმა გამოაყოლა. მისივე პირობით შეუოვალა, რომ მეტის გადახდა არ შეეძლო და შექმნილი ვითარებაც აღწინააღმდეგა.<sup>219</sup>

რომან ლიოგენი ვერ შეურიგდა ტახტის დაკარგვას და იარაღით გამოვიდა იმპერატორის წინააღმდეგ, მაგრამ მიხეილმა იგი სასტიკად დაამარცხა. რომან ლიოგენი იძულებული შეიქნა ბერად აღკვეცილიყო: ანავე დროს იგი იმედს არ კარგავდა თავისი უფლებების აღდგენაზე და ცდილობდა ალფ-არსლანისაგან მაშველი ძალის მიღებას. იმპერატორთან კი თვალთმაქცობდა, ჭკუას არიგებდა და ასწავლიდა მას თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სელჩუკებთან ურთიერთობაში. ბარ ჰებრაის ცნობით, იგი იმპერატორ მიხეილს ტახტზე ასვლას ულოცავდა, აუწყებდა „თქვენ რომ ტახტზე ახედით, კარგი ჰქენით, რადგანაც თქვენთვის იგი სამართლიანი იყო. ჩემი დარიგება იქნება ჩემს მიერ სულთანთან დამყარებული მშვიდობიანობა არ გააფუჭოთ. თუ ჩემს დარიგებას არ მიიღებთ, თქვენც და ქრისტიანებიც მოსვენებას ვერ ნახავთ“<sup>220</sup>. ამ სიტყვების მიხედვით თითქოს ლიოგენს ბიზანტიის ბედი აწუხებდა სელჩუკებთან ურთიერთობაში და მიხეილის მიერ ტახტის დაკავებით კმაყოფილდებოდა; სინამდვილეში კი იგი ყოველნაირად ცდილობდა ტახტის უკან დაბრუნებას, მაგრამ საამისოდ ძალა არ შესწევდა. იმპერატორმა მიხეილმა მიიღო რომან ლიოგენის დარიგება სელჩუკებთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ მაინც აწუხებდა მისი პოზიცია, მასში იმპერატორი ტახტის მეტოქეს ხედავდა და მას აუწყებდა: „თქვენ თუ ნამდვილად ბერი ხართ, ციხეში რატომ ხართ დაბანაკებული? სასურველია, რომ თქვენთვის ღირსეულ მონასტერში დაიდოთ ბინა; ციხეში კი ჩვენ ლაშქარს გავგზავნით“<sup>221</sup>. რომან ლიოგენის მიერ ციხეში გამაგრება, ჩანს, აფიქრებდა იმპერატორს, რომელიც მასში თავის მოწინააღმდეგეს ხედავდა.

იმპერატორ მიხეილის მიერ შევიწროებულმა რომან ლიოგენმა მაშინ გამოამჟღავნა მთელი თავისი ზრახვები, როდესაც ბერის ანაფორა გაიხადა, ლაშქარი შეკრიბა და განაცხადა: „ნუთუ მთელ ბი-

<sup>219</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, როზენის თარგმანი, გვ. 22, ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, 83- 324.

<sup>220</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 324.

<sup>221</sup> ი ს ე ვ ე

ზანტიის ტერიტორიაზე ჩემთვის გასაჩერებლად ერთი ციხეც არ არის“<sup>222</sup>.

რომან დიოგენმა შეკრებილი ლაშქრით მცირე არმიის ტერიტორია დაიპყრო; როგორც კი მასთან ადგილობრივი უფლისწული მოვიდა, დაატყვევა, თვალები დასთხარა და მისგან ურიცხვი ოქრო აიღო. მან თავისი ძალები გააძლიერა და მალათიამდე მოვიდა; იქიდან კი ალფ-არსლანს ცნობა გაუგზავნა და მისგან დახმარება ითხოვა. ალფ-არსლანიც, თავის მხრივ უკანასკნელ წუთამდე მას დახმარებასა და ბიზანტიის ტახტზე აღდგენას პირდებოდა<sup>223</sup>, მაგრამ რეალურად ალფ-არსლანისაგან მას დახმარება არ მიუღია; რომან დიოგენი მალათიადან კილიკიაში წავიდა, სადაც მას იმპერატორის ლაშქარი დაესხა თავს და დაიჭირეს. როდესაც იმპერატორს აცნობეს რომან დიოგენის დატყვევება, მან ბრძანა, ხელი არ ეხლოთ და მონასტერში აღსაკვეცად მისთვის გამოეგზავნათ. მაგრამ მას გზაში თვალები დათხარეს. რომან დიოგენმა ტანჯვა ვერ აიტანა და თავი მოიკლა<sup>224</sup>.

ამრიგად, ალფ-არსლანმა დაკარგა ქრისტიანი მოკავშირე და ამის გამო გაძნელდა იმ პირობების შესრულება, რომელზედაც შეთანხმებულნი იყვნენ სულთანი და რომან დიოგენი; ბუნებრივია, სულთნისათვის საწყენი უნდა ყოფილიყო ასეთი მოკავშირის დაღუპვა. მათე ურპაელის ცნობით, სულთანი ძალიან დაამწუხრა რომან დიოგენის სიკვდილმა და მან სთქვა: „ბიზანტიელებს ალაპი არ სწამთ. ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის დამყარებული მეგობრობა და კავშირი დღეს დაიშალა... ამის შემდეგ მთელი ქრისტიანი ხალხები უნდა დავატყვევოთ“<sup>225</sup>.

განუხორციელებელი ხელშეკრულების რეალიზაცია ალფ-არსლანმა იარაღით დაიწყო. მან გადაწყვიტა მთელი ანატოლიის დაპყრობა. ანატოლიიდან წასულმა სულთანმა საამისო უფლებებით აღჭურვილი ყუთულშიშის შვილები და სხვა თურქმენი ბეგები დატოვა.

ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, როდესაც სელჩუკებმა გაიგეს რომან დიოგენის სიკვდილის ამბავი, უფრო გააძლიერეს ანატოლიაში თავიანთი თავდასხმები. ბიზანტიის მდგომარეობა უფრო რთული შეიქმნა. თუ აღმოსავლეთიდან თურქთა მარბიელი ლაშქარი უტევდა, დასავლეთიდან — თრაკიასა და მაკედონიაში სკვითები მოდიოდნენ. საჭირო იყო ბრძოლების წარმოება ორი მიმართულებით. ასეთ ვითა-

<sup>222</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 324.

<sup>223</sup> ი ქ ვ ე; მ. ქ ო ი მ ე ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 279; Историческня записки Никифора Вриення, стр. 49.

<sup>224</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 144.

<sup>225</sup> ი ქ ვ ე.

რებაში სელჩუკთა წინააღმდეგ ლაშქრის მეთაურად დაინიშნა ისაკ კომნენე.

მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ ბიზანტიამ არ შეასრულა ის ვალდებულებანი, რომელიც რომან დიოგენმა იკისრა ალფ-არსლანთან, მიუხედავად იმისა, რომ ალფ-არსლანმა იმპერატორისათვის ხელსაყრელ პირობებში მიანიჭა მას თავისუფლება. ბიზანტიის საშინაო ვითარება ისე წარიშარტა, რომ ალფ-არსლანმა ძალიან ცოტა რამ მიიღო მანასკერტის ბრძოლის შედეგად, ამიტომ სელჩუკებმა გააახლეს ომები ბიზანტიასთან<sup>226</sup>.

ალფ-არსლანის მიერ დატოვებული უფლისწულები მანასკერტის ბრძოლის შემდეგ უფრო ინტენსიურად შეუდგნენ ანატოლიის პროვინციების დაპყრობას. ალფ-არსლანი მაინც არ იყო კმაყოფილი მანასკერტის ბრძოლით; მან ვერ მიიღო ის, რაც რომან დიოგენთან დადებული ხელშეკრულებით უნდა მიეღო, ამიტომ მის კომპენსაციას იარაღის საშუალებით ცდილობდა. ამიტომაც იყო, როდესაც თვითონ ანატოლიიდან წავიდა, მისი დაპყრობის ამოცანა სელჩუკ უფლისწულებს დაუსახა. ამ უკანასკნელებმა კი წარმატებით შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანა.

---

<sup>226</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, гл. 112.

## თავი VI

### „ღიღი თურქობა“ საქართველოში

#### ანატოლიის დაპყრობა

მელიქ-შაჰმა, როგორც აღენიშნეთ, ქვეყნის შემომტკიცების შემდეგ წარმატებით განაგრძო თავისი მამის, ალფ-არსლანის მიერ დასახული გეგმის განხორციელება — ანატოლიის დაპყრობა. ყუთულმინის შვილები და სხვა თურქმენი მხედართმთავრები წარმატებით განაგრძობდნენ დაპყრობით ომებს ანატოლიის სხვადასხვა რაიონში. სელჩუკები სარგებლობდნენ ბიზანტიის შიგნით არსებული წინააღმდეგობებით და წინ მიიწეოდნენ, დაპყრობებს აფართოებდნენ, დასავლეთისაკენ მიისწრაფოდნენ. ბიზანტიელთა მიერ ევროპელთა დაქირავებული ლაშქარი, რომელსაც ევალეზოდა აღმოსავლეთში ებრძოლა სელჩუკების წინააღმდეგ, ხშირად მარცხდებოდა. იმპერატორთან ერთად სელჩუკთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა მისი ძმა — ახალგაზრდა ალექსიცი. ანა კომნენეს ცნობით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალექსი მონაწილეობას იღებდა სელჩუკების წინააღმდეგ რომან დიოგენის სამხედრო ექსპედიციებში.

კომნენებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო ვითარება და ამიტომ საგანგებოდ ემზადებოდნენ სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით მათ თავიანთი ლაშქარი კეისარიეში მიიყვანეს და იქ დააბანაკეს. მათი მთავარი საზრუნავი იყო როგორმე მოეგერიებინათ სელჩუკთა თავდასხმები<sup>1</sup>. დასავლეთის მოთარეშე ლაშქრის მეთაური ურსელი ისეთ ვითარებაში დაესხა თავს ბიზანტიას, როცა ხელისუფლებას უნარი არ შესწევდა ბიზანტიის ტერიტორიაზე სელჩუკთა განუწყვეტელი თავდასხმების მოგერიებისა<sup>2</sup>. ურსელმა ბიზანტიის იმპერიის პროვინციების უმეტესო-

<sup>1</sup> Исторический записки Никифора Врениия, стр. 55.

<sup>2</sup> Анна Комнина, стр. 57.



მა დალაშქრა. მის წინააღმდეგ გაიგზავნენ საუკეთესო ბიზანტიელი მხედართმთავრები, რომელთაც ლაშქრობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ურსელმა მოახერხა მათი უმრავლესობის დამარცხება, ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდო. ურსელი სარგებლობდა სელჩუკთა მოკავშირეობით და დიდ წარმატებებსაც აღწევდა ბიზანტიელებთან ბრძოლაში<sup>3</sup>.

ისაყ კომნენე, რომელსაც ევალეზოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ გადაშქრელი ღონისძიებების მიღება, სევასტიისაყენ გაემართა ურსელის წინააღმდეგ. მაგრამ მას მოახსენეს, რომ ბიზანტიელთა წინააღმდეგ სელჩუკთა ლაშქარი მოდიოდა, რომელიც არც თუ ისე შორს იმყოფებოდა მათგან. ისაყ კომნენე მაშინვე მოემზადა საბრძოლველად და თავისი უმცროსი ძმა ბანაკში დატოვა. ბიზანტიელთა ლაშქარი სელჩუკებს კაპადოკიის საზღვარზე შეხვდა. ბიზანტიელები დამარცხდნენ და გაიქცნენ, ისაყ კომნენე ტყვედ ჩავარდა. სელჩუკები უკან დაედევნენ გაქცეულთ და თავს დაესხნენ მათ ბანაკს, სადაც ალექსი კომნენე იღვა მცირერიცხოვანი ძალით. ალექსიმ შეუტია მტერს, მაგრამ სელჩუკთა შეჩერება ვერ შეძლო და თვითონაც კინაღამ ტყვედ ჩავარდა. ალექსი კომნენემ თავის ძალებთან ერთად გაქცევით უშველა თავს. რამდენიმე დღეში ანკარაში მივიდა და დაიწყო თავისი ძმის ძებნა<sup>4</sup>. როდესაც მან დაადგინა, რომ ისაყი ტყვედ იყო წაყვანილი, სასწრაფოდ დედაქალაქში წავიდა, გამოსახსნელად საჭირო თანხა შეკრიბა და ისევ ანკარაში დაბრუნდა. სანამ ალექსი დედაქალაქში ძმის გამოსასყიდ თანხას აგროვებდა, თვითონ ისაყმა ახლომახლო მდებარე ქალაქებს აცნობა თავისი დატყვევება და გამოსასყიდად საჭირო თანხა მოითხოვა. ისაყმა დიდი გამოსასყიდით დაიხსნა თავი სელჩუკებისაგან და ორივე ძმა ერთდროულად მივიდა ანკარაში.

ანკარიდან დედაქალაქისაყენ მიმავალ კომნენთა მცირე ჯგუფს გზად შეხვდნენ სელჩუკთა რაზმები, რომლებიც სურსათ-სანოვავის საშოვნელად იყვნენ გამოსული<sup>5</sup>. კომნენებმა იზმითის სანახებში სასტიკად დაამარცხეს სელჩუკები. ეს ბრძოლა დაწვრილებით აქვს აღწერილი ნიკიფორე ვრიენიოსს<sup>6</sup>. მას არაერთგზის აქვს მითითებული, რომ სელჩუკთა მცირე რაზმები თავდასხმა-განადგურების გარდა მასობრივად დათარეშობდნენ თითქმის მთელს ანატოლიაში ალაფისა და სურსათ-სანოვავის მოსაგროვებლად. სწორედ ასეთი მოთარეშე რაზ-

<sup>3</sup> Анна Комнина, стр. 57.

<sup>4</sup> Историческая записка Никифора Врениия, стр. 60; I. Kafesoglu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 63; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

<sup>5</sup> Историческая записка Никифора Врениия, стр. 62.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 62—68.

მები შეხედნენ ალექსი და ისაქ კომნენებს, რომლებიც მცირე რაზმით კონსტანტინოპოლისაკენ მიემგზავრებოდნენ. ასეთი ხშირი ძარცვა-თარეში ადგილობრივი მოსახლეობის დოვლათს ანიავებდა, ართვედა საზრდოს, მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებდა, და, ამასთანავე, ფიზიკურადაც ანადგურებდა.

1073 წლისათვის სელჩუკთა ცალკეულმა რაზმებმა ანატოლიის მთელი რიგი ქალაქები გაანადგურეს. ამ თარეშებს ყუთულმშიის შვილები მეთაურობდნენ. ისინი სრულიად დამოუკიდებლად გრძობდნენ თავს და სულთან მელიქ-შაჰისგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ. თავის დროზე ყუთულმშიის შვილები ანატოლიის დასაპყრობად იყვნენ დანიშნული და დასაპყრობ ქვეყნებზე ბატონობის უფლება სულთნისაგან ჰქონდათ მიღებული<sup>7</sup>. სელჩუკები ბიზანტიის ტერიტორიაზე თანდათანობით მკვიდრდებოდნენ, ისინი სარგებლობდნენ ბიზანტიის კარზე შექმნილი შინაგანი სიძნელებით, ქვეყნის ძლიერების მოშლით და აქტიურად მოქმედებდნენ მთელს ანატოლიაში. ბიზანტიელები ზედიზედ კარგავდნენ ტერიტორიებს მცირე აზიაში. სელჩუკთა ჯგუფები ცალ-ცალკე მოქმედებდნენ და მთელს ანატოლიაში დაეხეტებოდნენ. ისინი მოულოდნელად იკავებდნენ ციხე-სიმაგრეებს.

სივასის რაიონში ურსელის ძალების თანდათანობით მომრავლება და მთელი რაიონების განადგურება ბიზანტიის იმპერატორს მოსვენებას უკარგავდა.

ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, ურსელი თავისუფლად დათარეშობდა გალათასა და ლიკაონიას შორის მდებარე ქალაქებსა და სოფლებში და ყველაფერს ანადგურებდა<sup>8</sup>.

ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილმა აღმოსავლეთში სელჩუკების წინააღმდეგ ლაშქრის მეთაურად თავისი ბიძა იოანეს დუქასი დანიშნა და მას დაავალა თურქთა შემოტევების შეკავება; მაგრამ ბიზანტიის ტერიტორიების დასაცავად გაშლილ საქმიანობაში იოანეს დუქასის პრესტიჟი სასტიკად დაეცა. მან უპირველეს ყოვლისა, განიზრახა ურსელის დამარცხება, მაგრამ მდინარე საქარიაზე ამორიუმის სამხრეთით მომხდარ ბრძოლაში დაქირავებული ფრანგები ურსელს შეუერთდნენ და ბიზანტიის ლაშქარი დამარცხდა, თვითონ იოანეს დუქასი ურსელმა დაატყვევა. მთელი რაიონები ურსელს დარჩა<sup>9</sup>.

<sup>7</sup> М. Н. Уйнапç, *დასახ. ნაშრ...*, გვ. 86.

<sup>8</sup> Историческая записка Никифора Врениия, стр. 68.

<sup>9</sup> I. Kafesoğlu, *Sultan Melikşah devrinde...*, გვ. 65; Историческая записка Никифора Врениия, стр. 68—72.

ურსელმა დატყვევებული იოანეს დუკასი იმპერატორის წინააღმდეგ შეაიარაღა და კონსტანტინოპოლისკენ გაილაშქრა, უსკუდარს მიაღდა და ცეცხლს მისცა. ამის შემყურე იმპერატორი იძულებული გახდა დახმარება სელჩუკებისათვის ეთხოვა. სელჩუკთა მხედართმთავარმა ართუკ-ბეგმა მიიღო ბიზანტიელთა მოწვევა და თავისი ლაშქარი შუა ანატოლიიდან ბითინიისაკენ დასძრა. იოანე და ურსელი ორივე დაამარცხა და დაატყვევა. მათ დიდი საფასურით გამოისყიდეს თავი<sup>10</sup>. ტყვეობიდან დახსნილმა იოანემ საერო ტანისამოსი გაიხადა და ბერის ანაფორაში გამოეცხადა იმპერატორს. ხოლო ურსელმა კი მოახერხა პონტოში წასვლა და რამდენიმე ციხის ხელში ჩაგდება. იქიდან ემუქრებოდა ამასიასა და ახალ კესარიას. ახლომახლო მიდამოები გაანადგურა და ადგილობრივი მოსახლეობა აიძულა მისთვის ეძლიათ გადასახადები. ამის გამო იმპერატორმა ნიკიფორე პალეოლოგი გაგზავნა ალანთა ჯარის დასაქირავებლად. ამ უკანასკნელმა შეკრიბა 6 000 ალანთა ლაშქარი და ცდილობდა სასწრაფოდ ბოლო მოეღო ურსელისათვის, მაგრამ ალანებმა ნიკიფორეს ხელფასი მოსთხოვეს. როდესაც ნიკიფორემ ვერ შეძლო მათი ადგილზევე დაკმაყოფილება, ალანთა ლაშქარმა მას ზურგი შეაქცია, დარჩენილი მცირე ლაშქარი კი ურსელმა გაანადგურა და დაფანტა<sup>11</sup>.

ამ ბრძოლის შედეგად სელჩუკებმა იზმიითიდან უსკუდარამდე მთელი ტერიტორია დაისაკუთრეს. მარტო ამ ბრძოლის დროს ამ რაიონში 100 000-ზე მეტი თურქი დამკვიდრდა<sup>12</sup>. ბიზანტიელები სელჩუკებთან სისტემატურად მარცხდებოდნენ. საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება ლაშქრის გასაძლიერებლად. საამისოდ ბიზანტიელთა ლაშქრის მეთაურად დაინიშნა ახალგაზრდა ალექსი კომნენე, რომლის მთავარი ამოცანა სელჩუკთა ძალების შეჩერება და მათი მასობრივი თავდასხმებისაგან ქვეყნის გადარჩენა იყო. ახალგაზრდა ალექსიმ სიამოვნებით მიიღო თანამდებობა და სასწრაფოდ გაემგზავრა ამასიისაკენ. ნიკიფორე ვრიენიოსის ცნობით, მან შეძლო მოეგროვებინა ალანთა მცირერიცხოვანი არმია და სისტემატური ბრძოლა გააჩაღა ურსელის წინააღმდეგ. ანა კომნენეს ცნობით, ურსელი ციხეს ციხეზე უთმობდა ალექსის. როდესაც ალექსი ურსელთან ბრძოლით იყო დაკავებული, სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქრის ერთი ნაკადი ანატოლიის დასაპყრობად წამოვიდა ამირ თუთაკის მეთაურობით<sup>13</sup>.

<sup>10</sup> Историческийя записки Никифора Врениия, стр. 77.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>12</sup> I. Kafesoglu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 66.

<sup>13</sup> Историческийя записки Никифора Врениия, стр. 80; Анна Комнина, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

ურსელი ეახლა ამირ თუთაყს და მეგობრობა და მოკავშირეობა შეესთავაზა<sup>14</sup>. როდესაც თანხმობა მიიღო, დაბრუნდა თავის ბანაკში. ალექსიმ რომ გაიგო მათი შეთანხმების ამბავი, სასწრაფოდ დიდი საჩუქრებით ელჩი გაუგზავნა თუთაყს, მოაგონა მას ძველი მეგობრობა და სთხოვა გამოეგზავნა სანდო პირები, რამდენადაც განზრახული ჰქონდა ეცნობებინა ფრიად საიღუმლო ამბავი, რომელიც მას საარგებლობას მოუტანდა. საჩუქრებით აღფრთოვანებულმა თუთაყმა ალექსის სანდო პირი გაუგზავნა. ალექსიმ ამასიაში დიდი პატივით მიიღო თუთაყის ელჩი და აუწყა: ბიზანტიის იმპერატორი და სულთანი მეგობრები არიან, მათი საერთო მტერია ურსელი. იგი ანადგურებს ბიზანტიის სამფლობელოებს და სელჩუკთა ტერიტორიებზეც იჭრება. ამირის მოსვლა რომ გაიგო, თვალთმაქცური სიყვარულით მიმართა მას დასახმარებლად. ამით იგი დროს მოიგებდა და როდესაც ამირი უკან დაბრუნდებოდა, ისევ ისეთივე მტერი იქნებოდა სელჩუკების, როგორც იყო. ამიტომ, თუ მე ოღნავ ნდობას ვიმსახურებ, როდესაც ურსელი ამირთან მოვა, დაიპიროს და მე გადმომცეს, მის სანაცვლოდ დიდძალ თანხას მიიღებსო. შემდეგ ალექსი ელჩს დიპლომატიურად უმტკიცებდა, თუ ამირმა ჩემი თხოვნა შეასრულა, იგი ამით სამ მნიშვნელოვან სარგებლობას ნახავსო: ჯერ ერთი, აიღებს ბევრ ფულს, მეორე, დაუახლოვდება ბიზანტიის იმპერატორს და მესამე, გაახარებს სულთანს, სელჩუკთა მტრის მოშორების გამო<sup>15</sup>.

ამ დიპლომატიური სიტყვების შემდეგ ამირის ელჩი დიდი საჩუქრებითა და მძევლებით უკან გაისტუმრეს. ელჩმა ამირს ყველაფერი აუხსნა. ამირ თუთაყმა დაარღვია ურსელთან დადებული პირობა და იგი ალექსის გადასცა შეპირებული დიდი თანხის სანაცვლოდ. ამჯერად სელჩუკი ამირისათვის სულ ერთი იყო ვის გაიხდიდა მოკავშირედ, რადგანაც მისი მთავარი მიზანი ნადავლისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდება იყო.

ალექსი კომნენესათვის ძნელი აღმოჩნდა ამირ თუთაყის წინაშე დადებული პირობის შესრულება, რამდენადაც მას თვითონ არც თანხა გააჩნდა და არც იმპერატორი იწუხებდა თავს მის გადასახდელად. სელჩუკი ამირი კი გაბრაზებული უკვე დაბეჭითებით ითხოვდა შეპირებულ თანხას, ანდა მის მიერ ნისიად გაყიდული ტყვის უკან დაბრუნებას. ალექსი კომნენე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. იგი იძულებული შეიქნა შეეკრიბა ამასიის წარჩინებულები და მათთვის მოეთხო-

<sup>14</sup> Историческiя записки Никифора Врненнiя, стр. 81; А н н а К о м н и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

<sup>15</sup> Историческiя записки Никифора Врненнiя, стр. 81—82; А н н а К о м н и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 58—59.

ვა აპირ თუთაქისათვის გასაგზავნი ფული. მაგრამ ვერაფერს მიაღწია. აპირ თუთაქი ძალაუნებურად მოტყუებული დარჩა.

ამ პერიოდისათვის სელჩუქთა ლაშქარს, ერთი მხრივ, უკვე დაპყრობილი ჰქონდა გალათიის, ფრიგიის, ლიკიონისა და პაფლაგონიის ოლქების ქალაქები და დაბეები. მეორე მხრივ, ანატოლიის სამხრეთით მდებარე ოლქებშიც — კილიკიაში ყუთულმიშის შვილი სულეიმან-შაჰი წარმატებით განაგრძობდა დაპყრობებს. სულეიმანმა ანტიოქიის წინააღმდეგ გაილაშქრა; რომან დიოგენის შვილმა კონსტანტინემ და ანტიოქიის ვალიმ ისაკ კომნენემ მას წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ სულეიმანთან ბრძოლაში ერთი დაიღუპა, მეორე კი ტყვედ ჩავარდა ჯაჭრილი და დიდი საფასურის — 20 000 ოქროს სანაცვლოდ ძლივს დაიხსნა თავი<sup>16</sup>.

ამ პერიოდში კილიკიის მოსახლეობა ძირითადად გადმოსახლებული სომხებისაგან შედგებოდა. სელჩუქთა თავდასხმებისაგან შეწუხებულნი მთელი თემებით გარბოდნენ სამხრეთით ევფრატის სანაპიროებისაკენ. 1073 წელს სელჩუქთა განუწყვეტელი თავდასხმებისაგან შევიწროებულმა სომეხთა მთავარმა ოშინმა დატოვა თავისი სამფლობელო — მაირეაცყური განჯის ოლქში და მთელი თავისი სამხედრო ძალებით კილიკიაში გადასახლდა. ამასთან ერთად, თანდათანობით ძლიერდებოდა სომეხი მწარმოებელი საზოგადოების მასობრივი ემიგრაცია სელჩუქთა მიერ ჩადენილი საშინელების გამო. XI საუკუნის ბოლოსათვის კი უფრო გახშირდა სომეხთა გადასახლებები ხმელთაშუა ზღვის აუზისაკენ<sup>17</sup>. სომეხთა გადასახლებები უფრო შესამჩნევი და მასობრივი გახდა განსაკუთრებით მანასკერტის ბრძოლის შემდეგ, როდესაც ბიზანტიას უკვე აღარ შესწევდა უნარი მათი დაცვისა. სელჩუქთაგან დევნილი სომეხები გარბოდნენ კილიკიის ველებისაკენ, მარაშში, თარსუსში, დელუქში, ურფაში და ამ ტერიტორიებზე მცირე სამთავროებს აარსებდნენ.

ამ პერიოდიდან ბიზანტიის ყურადღება უკვე ბალკანეთისაკენ იყო მიქცეული. სახელმწიფო მძიმე პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, ხშირი იყო აჯანყებები ქვეყნის შიგნით. ბიზანტიის საშინაო და საგარეო საქმეების გართულებით კარგად სარგებლობდნენ სელჩუქები და სისტემატურად, მეთოდურად განაგრძობდნენ ბიზანტიის ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას.

<sup>16</sup> Исторический записки Никифора Вриенния, стр. 93; М. Н. Упанц, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 87; I. Kafesoghlu, *Sultan Melikshah devrinde...*, გვ. 70.

<sup>17</sup> Г. Г. Микаелян, *История Киликийского Армянского государства*, Ереван, 1952, стр. 64.

1074 წლიდან იემლიორმაკისა და კელკითის აუზი ართუჯ-ბეგმა დაიპყრო; უფრო აღმოსავლეთით არსებული შებინჯარაჰისარის, ერ-ზინჯანის და მისი მიდამოებისა და დივრიკის რაიონის დაპყრობა ამირ მენგუჯუქმა დაიწყო. არზრუმისა და ქოროხის აუზებში დაპყრობებს ამირ აბულყასემი აწარმოებდა<sup>18</sup>. მხოლოდ მოგვიანებით იქნა აღებული არზრუმი და ზოგიერთი სხვა გამაგრებული ადგილები. შუა ანატოლიის დასავლეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვამდე მდებარე ტერიტორიებზე დაპყრობებს ყუთულშიმის შვილთან მელიქ მანსური და მისადმი დაქვემდებარებული ამირები აწარმოებდნენ.

მანასკერტის ბრძოლის შემდეგ სელჩუკებს გზები გახსნილი ჰქონდათ არა მარტო ანატოლიისაკენ, არამედ სირიისკენაც; სირიაშიც მათ მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიპყრეს.

ბარ ჰებრაის ცნობით, 1075 წლისათვის არაბებმა ბიზანტიელებს იენი მამბუჯის ციხე წაართვეს და რვა თვის განმავლობაში იქ მყოფი ბიზანტიელების უმრავლესობა დაატყვევეს. მისივე ცნობით, ერთი წლის შემდეგ სირიაში თურქმენებსა და ეგვიპტელებს შორის სასტიკი ბრძოლა მოხდა. ბრძოლები მიმდინარეობდა დამასკოში; ადგილობრივ მოსახლეობას მძიმედ დააწვა ეს ომი. თითქმის მთლიანად გაწყდნენ ამ ადგილების მკვიდრნი<sup>19</sup>.

სულეიმანშაჰმა ანტიოქიის გამგებელს წელიწადში 20 000 ოქროს გადახდა დააკისრა. ამ პერიოდში ერთ-ერთმა სელჩუკმა ამირმა აჰმედ-შაჰმა სირიაში ბიზანტიელებს ისევ წაართვა მემბიჯის ციხე, რომელიც თავის დროზე რომან დიოგენმა დაიპყრო. ამ პერიოდში ართუჯ-ბეგმა, რომელიც წარმატებით განაგრძობდა დაპყრობებს სივასის, თოქათისა და ქოროხის აუზში, მელიქ-შაჰის ბრძანებით დატოვა ანატოლია. იგი აჰსას, ბაჰრეინისა და ნეჯათის მხარის დასაპყრობად გაიგზავნა. მის ნაცვლად მოვიდა ამირ დანიშმენდი, რომელმაც თითქმის დაასრულა ამ რაიონში დაპყრობები და ამასიისა და მისი სანახების საზღვრებამდე მივიდა<sup>20</sup>.

ქერიმ ელ-დინ აყსარაის ცნობით, მანასკერტის ბრძოლის შემდეგ ამირ დანიშმენდმა დაიპყრო ქალაქები: ნიქარბი, თოქათი, სივასი, ალ-ბისტანი და სხვა.

ამას გარდა მელიქ-შაჰის ერთ-ერთმა ამირმა გუმუშთეგინმა ნი-ზიბის, ამიდის და ურფის გარეუბნებში ბიზანტიელთა ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ამავე დროს ფრიგიის ქალაქებთან ერთად ალაშე-

<sup>18</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაწრ., გვ. 87; I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 70.

<sup>19</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 327.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 89; I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 70.

პირი იქნა დაპყრობილი. სელჩუკები ეგეოსის ზღვამდე გავიდნენ. სელჩუკთა გაუდევრებული თავდასხმებისა და შინაგანი უთანხმოების გამო ბიზანტიის საქმეები ცუდად წავიდა; ქვეყანა დაცემისა და დაქვეითების გზას დაადგა. ბარ ჰებრაის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორი დასწრელებული მიხეილ დუკა სასახლეში იჯდა, მკურნალობდა და არავის იკარებდა. ამით ისარგებლა ნიკიფორე ბოტანიოტესმა და აუჯანყდა მას<sup>21</sup>.

იმპერატორ მიხეილ VII საქმიანობა სრულებითაც არ შეესაბამებოდა ქვეყნის მდგომარეობას. ანატოლიაში სელჩუკთა ახალ-ახალი წარმატებები მოითხოვდა ქვეყნის სათავეში მდგარიყო სამხედრო საქმეების დიდი მცოდნე — სტრატეგი, რომელიც გაუძღვებოდა ლაშქარს გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ შესაფერის კანდიდატურად მოჩანდა ნიკიფორე ბოტანიოტესი, რომელმაც აიძულა იმპერატორი ხელი აეღო ტახტზე და ბერად შემდგარიყო.

ბარ ჰებრაის ცნობით, ნიკიფორე ბოტანიოტესი ჯერ ჩიფთის მფლობელი იყო. მერე თანდათანობით გაძლიერდა და ჯერ კვიპროსის, ხოლო შემდეგ ანტიოქიის გამგებელი გახდა. ბოლოს იგი ამ ოლქებიდან განდევნეს და სელჩუკებს დაუმეგობრდა<sup>22</sup>. 1078 წელს წარჩინებულებმა ნიკიფორე ბოტანიოტესს კონსტანტინოპოლის კარები გაუღეს. ქალაქში მისი შესვლისთანავე იმპერატორმა მიხეილმა აიღო გვირგვინი, ბოტანიოტესს გადასცა და უთხრა: „აიღე და ხალხი ზმლისაგან დაასვენე; რადგანაც ეს გინდოდა, უბრძოლველად გაძლევი“<sup>23</sup>. ამრიგად, ნიკიფორე ბოტანიოტესმა ბიზანტიის ტახტი ხელთ იგდო.

ახალმა იმპერატორმა ნიკიფორე ბოტანიოტესმა (1078—1081) ვერ შეძლო გამოესწორებინა ქვეყნის გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა. უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა და ფიზიკურად სუსტმა ნიკიფორემ სამეფო ტახტზე ასვლისთანავე მესამედ იქორწინა, შეირთო ყოფილი იმპერატორის მეუღლე დედოფალი მარიამი<sup>24</sup>. მის სამეფო ხელისუფლებას არ სცნობდა პერიფერიების მსხვილი მიწისმფლობელი არისტოკრატია. იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში გაჩნდნენ ტახტის მაძიებელი პირები. როგორც კი ცნობა მიიღო მიხეილ დუკას გადაყენების შესახებ, ნიკიფორე ვრიენიოსმა მაშინვე შეკრიბა მაკედონიისა და თრაკიის ლაშქარი და ბიზანტიისაკენ გაემართა. ახალ-

<sup>21</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 327—328.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 328.

<sup>23</sup> იქვე; I. Kafesoglu. Sultan Melikşah devrinde..., გვ. 72.

<sup>24</sup> Историческия записки Никифора Врнення, стр. 119—121; ბარ ჰებრაი, I, გვ. 328; Анна Комнина, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

მა იმპერატორმა მასთან მოსალაპარაკებლად ხალხი გაგზავნა და რადგანაც თვითონ სამხედრო ძალები არ გააჩნდა, ნიკეაში სელჩუკებს სთხოვა დახმარება. სელჩუკები სიამოვნებით დასთანხმდნენ ბიზანტიის შინაგანი საქმეების მოგვარებაში თავიანთი ძალების გამოყენებაზე და ბოტანიოტესს 2 000 ჯარისკაცი გაუგზავნეს<sup>25</sup>. ამ მოკავშირეების დედაქალაქში მოსვლამდე იმპერატორის ელჩები უკვე ვრიენიოსთან იყვნენ გაგზავნილნი მოსალაპარაკებლად. იმპერატორი ვრიენიოსს სთხოვდა არ ესარგებლა მისი მოხუცებულობით და არ გამოელაშქრა, სამაგიეროდ დიდ პატივს პირდებოდა მას.

ნიკიფორე ვრიენიოსმა მიიღო იმპერატორის წინადადება იმ პირობით, თუ იმპერატორი მის წარჩინებულებსაც დააჭილდობდა, ხოლო მას შვილად გამოაცხადებდა და ცერემონიალი შესრულდებოდა არა კონსტანტინოპოლში, არამედ თრაკიის ერთ-ერთ ადგილზე: როდესაც იმპერატორს მოახსენეს ეს ამბავი, მან დროის დაუკარგავად გადაწყვიტა მის წინააღმდეგ ლაშქარი გაეგზავნა, რამდენადაც შემოთავაზებული პირობის შესრულებაში ეჭვი ეპარებოდა. იმპერატორის მიერ გაგზავნილ ლაშქარში იყვნენ სელჩუკთა მასშველი რაზმები, ფრანკთა ლაშქარი და საგანგებოდ ორგანიზებული სამხედრო ძალები. ბიზანტიურ წყაროებში დაწვრილებითაა აღწერილი მათ შორის მომხდარი ბრძოლა<sup>26</sup>, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულეს სელჩუკებმა.

საინტერესოა, რომ ამ პერიოდისათვის თურქული ეთნიკური ელემენტი იმდენად მომძლავრებული იყო მთელს ანატოლიასა და ბალკანეთის ქვეყნებში, რომ თუ ერთი მხრივ, ბიზანტიის იმპერატორის მასშველ ძალას სელჩუკები შეადგენდნენ, მისი მოწინააღმდეგის ნიკიფორე ვრიენიოსის ლაშქარშიც დამხმარე ძალად პაქანიკი თურქები იყვნენ. პაქანიკების გარდა ვრიენიოსის ლაშქარში თურქმენებიც შედიოდნენ. ნიკიფორე ბოტანიოტესსა და ნიკიფორე ვრიენიოსს შორის მომხდარ ბრძოლაში პირველად ბიზანტიელები დამარცხდნენ, მაგრამ ბრძოლის ბედი მასშველმა ძალამ გადაწყვიტა, რომელმაც დროზე მიუსწრო დამარცხებულებს; სელჩუკმა მხედრებმა შეუტიეს, მოწინააღმდეგე დაანაწილეს და სასტიკად დაამარცხეს<sup>27</sup>. თვითონ ვრიენიოსი დაატყვევეს და თვალები დასთხარეს. ცოტა ხნის შემდეგ იმპერატორმა ვრიენიოსი გამოიძახა, ღრმა მწუხარება გამოსთქვა მისი დაბრმავე-

<sup>25</sup> Историческая записка Никифора Врениия, стр. 123.

<sup>26</sup> ი ქ ვ ე, გვ. 126—127; А н н а К о м н и н а, стр. 62.

<sup>27</sup> Историческая записка Никифора Врениия, стр. 128—137; А н н а К о м н и н а, стр. 62—69.



ბის გამო, დაუბრუნა მას მთელი ქონება და ამავე დროს სხვა საჩუქრებიც უბოძა<sup>28</sup>.

ნიკიფორე ბოტანიოტესის იმპერატორობის პერიოდში სელჩუკებმა გააძლიერეს ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ.

ბონდარის ცნობით, სულთან მელიქ-შაჰის დროს სელჩუკებმა კონსტანტინოპოლის საზღვრამდე მიაღწიეს და ახლომახლო ტერიტორიებს ერთი მილიონი ოქრო შეაწურეს. ამას გარდა, მელიქ-შაჰმა ბიზანტიის დაპყრობილ ოლქებში ორმოცდაათი მეჩეთი ააშენა<sup>29</sup>. აქედან ჩანს, რომ სელჩუკები ანატოლიის დაპყრობასა და ეკონომიურად დაკაბალების გარდა ისლამის რელიგიასაც ავრცელებდნენ. ადგილობრივ მოსახლეობაში თურქული ელემენტის მომძლავრებასთან ერთად იზრდებოდა მათი რელიგიური საკრებულო ცენტრებიც. მოხდა მთელი ანატოლიის გათურქება, ისლამიზაცია, რაც საეკლესიო შეუფერებელი და უცხო იყო ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობისათვის, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები და სხვაგან გადასახლებულიყვნენ.

მანასკერტის ბრძოლიდან ვიდრე ალექსი კომნენეს ტახტზე ასვლამდე (1081 წ.) სელჩუკები წარმატებით სარგებლობდნენ ბიზანტიის შინაგანი სისუსტით, წარჩინებულთა ურთიერთმტრობით და აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის შიგნით ბრძოლაში. ესა თუ ის პოლიტიკური დაჯგუფება ხშირად იშველიებდა სელჩუკებს. ამით მათ უფრო და უფრო ითრევდნენ ქვეყნის საშინაო ცხოვრების საკითხებში. სელჩუკები თავისუფლად დათარეშობდნენ ანატოლიაში, როდესაც ნიკიფორე ბოტანიოტესმა სელჩუკები მოიშველია სამეფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, ისინი ნიკეამდე და სკუტარამდე მოვიდნენ. სელჩუკთა მიერ ანატოლიაში დაპყრობილ ტერიტორიაზე მალე შეიქმნა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომლის ცენტრი კონიაში იყო; მისი ფუძემდებელი იყო სულეიმან-შაჰი. ამ სახელმწიფოს მცირე აზიაში ცენტრალური ადგილი ეჭირა; მისმა ჩრდილოეთის საზღვრებმა მოკლე ხანში შავ ზღვამდე მიაღწია, სამხრეთით — ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე და უფრო დასავლეთით.

ბიზანტიას სელჩუკთა საშიშროების წინააღმდეგ საკუთარი ძალე-ბით ბრძოლის უნარი აღარ შესწევდა. თუ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს სელჩუკები იპყრობდნენ და სწრაფად მოიწევდნენ კონსტანტინოპოლისაკენ, ჩრდილოეთით მომთაბარე ოღუზ-პაჭანიკთა თავდასხმებით იყვნენ შეწუხებული; იმპერიაში შექმნილი

<sup>28</sup> Историческая записка Никифора Врениния, стр. 140.

<sup>29</sup> ბონდარი, გვ. 56.

საშიშროებისა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო მიხეილ ღუკამ ჯერ კიდევ ტახტზე ასვლის პირველსავე წლებში მიმართა დახმარებისათვის პაპ გრიგოლ VII, რომელსაც ეკლესიის გაერთიანებას პირდებოდა. პაპმა 1074 წლის 2 თებერვალს მოწოდებით მიმართა ევროპის ზოგიერთ ქრისტიან მბრძანებელს, რომელთაც მოუწოდებდა აღმოსავლეთის იმპერიის დასახმარებლად. იგი აუწყებდა მათ, რომ აღმოსავლეთის იმპერია შევიწროებულია ურწმუნოთაგან, რომ ისინი სასტიკად აოხრებენ მის ტერიტორიას თვით კონსტანტინოპოლის კედლებამდე<sup>30</sup>. მიუხედავად იმისა, რომ პაპის ამ მოწოდებას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია და ქრისტიანულმა დასავლეთმა ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა ბიზანტიას, ეს მოწოდება მაინც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სულჩუკთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად გამიზნულ პირველ ღონისძიებად.

მანასიკერტის ბრძოლის შემდეგ ანატოლიის პროვინციებში, როგორც აღვნიშნეთ, დაპყრობით ბრძოლებს აწარმოებდნენ ყუთულშიშის შვილები. მაგრამ მათ შორის არ იყო თანხმობა.

თითოეული მათგანი ცდილობდა პირველობის მოპოვებას. იმ დროს, როდესაც ყუთულშიშის შვილებს საკმაოდ დიდი წარმატებები ჰქონდათ ბიზანტიის ტერიტორიის დაპყრობის საქმეში, სულეიმან-შაჰსა და მის ძმას — მანსურს შორის ატყდა ბრძოლა პირველობისათვის. დამარცხებულმა მანსურმა ბიზანტიის იმპერიას შეაფარა თავი. როგორც კი მელიქ-შაჰმა სულეიმანისაგან გაიგო ანატოლიაში შექმნილი ვითარება და მანსურის მოქმედება, ბიზანტიაში ელჩი გაგზავნა და გაქცეული მანსური მოსთხოვა. ბარ ჰებრაის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა დიპლომატიურად დააკმაყოფილა მელიქ-შაჰის თხოვნა; მანსური ანატოლიაში წავიდა და სულეიმანთან ბრძოლაში ჩაება.

მელიქ-შაჰმა მანსურის დასამარცხებლად დიდი ლაშქარი გაგზავნა ანატოლიაში; იგი სულეიმანის ძალებს შეუერთდა და დაამარცხეს მანსური, რომელიც ამ ბრძოლას შეეწირა<sup>31</sup>. მანსურის ჩამოშორების შემდეგ სულეიმანს ანატოლიაში თითქმის აღარავინ ჰყავდა მოწინააღმდეგე. სულეიმან-შაჰი თითქმის მთელი ანატოლიის ერთპიროვნუ-

<sup>30</sup> A. A. В а с и л ь е в, Лекции по истории Византии, т. I, Время до эпохи крестовых походов (до 1081). Петроград, 1917, стр. 344; У с п е н с к и й Ф. И., История Византийской империи, III, 1948, М.-Л., стр. 93.

<sup>31</sup> A. A. В а с и л ь е в, დასახ. ნაშრ., გვ. 329; I. K a f e s o ğ l u, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 75; M. A. K ö y m e n, დასახ. ნაშრ., გვ. 106; M. H. Y i n a n c, დასახ. ნაშრომი, გვ. 105; I. L a u r e n t, Byzance et les origines du Sultanat de Rum. Etudes sur l'Histoire et sur l'art de Byzance. Mélanges Charles Diehe, premier volume, Histoire, Paris, 1930, გვ. 179.

ლი გამგებელი გახდა. მან. მელიქ-შაჰისაგან მიიღო ოფიციალური ნებართვა და ტიტული ანატოლიის პროვინციის ერთპიროვნული გამგებლისა.

მიხეილ სირიელის ცნობით, სულეიმანშაჰის დამოუკიდებელი გამგებლობა ანატოლიაში ოფიციალურად სცნო ხალიფამ, მას ხალაფთა ღა დროშა გამოუგზავნა, ნასირ აღ-დოვლე ებულ ფევარისის ტიტული მიანიჭა და „სულთანად“ მოიხსენია. ამიერიდან სულეიმანს ებოძა შაჰის ტიტულიც და ანატოლიის ქრისტიანული ტერიტორიების დაპყრობის გამო „ლაზის“ წოდებაც მიენიჭა<sup>39</sup>. დიდ სელჩუკი სულთნის მელიქ-შაჰის დროს ანატოლიის გამგებლის ამირ სულეიმანისაჟვის სულთნის ტიტულის მინიჭება და მისი ოფიციალურად აღიარება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში. უკვე XI ს-ის 70-იანი წლებისათვის დიდ სელჩუკთა უზარმაზარი სახელმწიფოს ხარჯზე იქმნება ცალკეული პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც ჯერჯერობით, მართალია, დიდ სელჩუკ სულთანს ემორჩილებიან, მაგრამ ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში მზად არიან დამოუკიდებლობა მოიპოვონ. სულეიმანშაჰი პირველი იყო. რომელმაც ოფიციალურად მიიღო დამოუკიდებლობის მაღიარებელი ტიტულები. თუმცა, იგი ჯერ კიდევ ემორჩილებოდა მელიქ-შაჰს.

ამ დროისათვის სელჩუკებმა თითქმის დაასრულეს მთელი ანატოლიის დაპყრობა. თორღულ-ბეგისა და აღფ-არსლანის მიერ დასახული ანატოლიის „აზვისების“ ამოცანა თითქმის შესრულებული იყო. სელჩუკთა საბოლოოდ დამკვიდრებას ანატოლიაში და, საერთოდ, თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრებას ამ ტერიტორიაზე ძალიან დიდი უარყოფითი შედეგები მოჰყვა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნებისათვის. ამ დროისათვის მათ გაანადგურეს ქრისტიანული სომხეთის პოლიტიკური ერთეული; საქართველოს მეზობლად საბოლოოდ ჩამოყალიბდა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელიც პლაცდარმი იქნებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის. საქართველო განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი მეჯოგე ტომების გარემოცვაში აღმოჩნდა; სომხეთისა და ბიზანტიის კულტურული ხალხების ნაცვლად მას ამიერიდან მეზობლობა და გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობა უხდებოდა მომთაბარე სელჩუკებთან. საქართველოს მეზობლად, მცირე აზიაში სელჩუკთა დამკვიდრების შედეგად შექმნილ საერთაშორისო ვითარებას შესანიშნავად გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი; იგი აღნიშნავს: „ხოლო

<sup>32</sup> Chronique de Michel le Syrien..., გვ. 172; M. H. Y i n a n c, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს და წარვიდეს. რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკვიდრნეს მას შინა<sup>33</sup>.

ამ ცნობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეს ცნობა სრულებით ჰემპარიტია: 1074 წ. დადებული ხელშეკრულებისამებრ ბერძენებმა თურქებს აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნები დაუთმეს“<sup>34</sup>.

საქართველოს მდგომარეობა სელჩუკთა მიერ ბიზანტიის ტერიტორიის დაკავების შედეგად მეტად მძიმე შეიქნა. ამიერიდან საქართველოს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები უმეზობლდებოდა, რომლებიც „გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ“<sup>35</sup>.

საქართველოს მეზობლად მუსლიმანური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შედეგად შექმნილ მძიმე ვითარებას შესანიშნავად გვიხატავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მისი გადმოცემით, სელჩუკები „ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, გამრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩვენ ქრისტიანეთა“<sup>36</sup>.

ასეთი აგრესიული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება საქართველოს მეზობლად კარგს არაფერს უქადდა ჩვენს ქვეყანას. საჭირო იყო ამ უცხო ძალის წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოება; წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საბოლოო გადაშენება და გადაგვარება ემუქრებოდა. მზარდმა ქართულმა ფეოდალურმა სახელმწიფომ შეძლო ძალების მობილიზაცია და მომთაბარე სელჩუკთა გამუდმებული თავდასხმების შეკავება, ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება.

მელიქ-შაჰის მიერ ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოში ამირ სულეიმანის სულთანად აღიარებას და გარკვეული დამოუკიდებლობის უფლებების მინიჭებას თურქი ისტორიკოსი მ. ქოიმენი ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს მეორედ დაფუძნებად მიიჩნევს. მისი აზრით, ამ სახელმწიფოს საფუძველი პირველად 1073 წელს ჩაეყარა, როდესაც მელიქ-შაჰმა ყუთულმშიზის შვილებს ფირმანი უბოძა. რომლითაც

<sup>33</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 160.

<sup>35</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 123.

<sup>36</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—319.

მათ უფლება ეძლეოდათ ანატოლიის დასაპყრობად. ამ ფირმანით, ავტორის აზრით, ყუთულშიშის შვილები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და „კოლექტიური მმართველობის სისტემას“ ატარებდნენ; ახლა კი — 1077 წლისათვის, როდესაც ყუთულშიშის შვილებმა თითქმის მთლიანად დაიპყრეს მთელი ანატოლია, სულეიმანმა პირველობა მოიპოვა ძმებს შორის და იგი დიდ სელჩუკი სულთნისა და ხალიფას მიერ ოფიციალურად იქნა აღიარებული ანატოლიის სულთნად და მის დამპყრობად; ხდებოდა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს მეორედ დაარსება<sup>37</sup>. ამიერიდან ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო დიდ სელჩუკთა იმპერიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

სულეიმანის მიერ სულთნის ტიტულის მიღების მიუხედავად ანატოლია მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი; სულეიმანმა უფრო ენერგიულად განაგრძო ანატოლიის დაპყრობა. მან ერთი მხრივ, შავი ზღვის სანაპიროებისაკენ წარმართა თავისი საქმიანობა, მეორე მხრივ, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვებისაკენ. სულთან სულეიმანის დაპყრობათა წარმატებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ბიზანტიის იმპერია სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა და ქვეყანა აჯანყებებით იყო მოცული. სელჩუკები ადვილად სარგებლობდნენ ბიზანტიის შინაგანი სიძნელებით და აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში. სამეფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად წარმოებულ დინასტიურ ბრძოლაში სელჩუკები დიდ როლს ასრულებდნენ. ანა კომნენე რეალურად გვიხატავს სელჩუკთა გაბატონებულ მდგომარეობას ანატოლიაში. მისი ცნობით, სელჩუკები პროპონტიდთან დამკვიდრდნენ. სულეიმანი, რომელმაც დაიპყრო მთელი ანატოლია, ნიკეაში დამკვიდრდა და სისტემატურად აგზავნიდა ყაჩაღთა ექსპედიციებს ბითინიის მთელ ტერიტორიაზე. სულეიმანის ცხენოსანთა და ქვეითი რაზმები ბოსფორამდე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები კარგად ხედავდნენ, როგორ არხეინად ცხოვრობდნენ თურქები სანაპირო ქალაქებში, არ ცდილობდნენ მათ იქიდან განდევნას<sup>38</sup>. ჩანს, რომ სელჩუკებს მტკიცედ ჰქონიათ ფეხი მოკიდებული ბოსფორის სანაპიროებამდე და ანგარიშს არ უწყევდნენ ბიზანტიის ხელისუფლებას. უფრო მეტიც, ისინი კარგად სარგებლობდნენ ბიზანტიის სახელმწიფოში შექმნილი საშინაო და საგარეო გართულებებით და მტკიცედ ახორციელებდნენ თავიანთ მიერ დასახულ გეგ-

<sup>37</sup> მ. ქოიშენი, დასახ. ნაშრ., გვ. 102—109.

<sup>38</sup> А н н а К о м н и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 136—137.

მებს — ბიზანტიის ტერიტორიების ხარჯზე ახალ-ახალი ადგილების დაპყრობას.

ნიკეის (იზნიკის) დაპყრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკებისათვის. იგი დასავლეთისაკენ შემდგომი დაპყრობებისათვის ერთგვარი პლაცდარმი ხდებოდა. ამიტომაც სულეიმანმა სატახტო ქალაქი კონიადან იზნიკში გადაიტანა. იზნიკი ახლოს მდებარეობდა კონსტანტინოპოლთან და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა მის დასაპყრობად. ამის შემდეგ სულეიმანი მოკლე ხანში მთელი მარმარილოს ზღვის სანაპიროების მფლობელი და ანატოლიის სანაპიროების გამგებელი გახდა. იგი კონსტანტინოპოლამდე მოვიდა, კადიკოსა და უსკუდარს დაეპატრონა. უკვე 1080 წლისათვის სულეიმანშაჰმა ანატოლიის სანაპიროზე საბაჟო გააშენა და გამვლელ-გამომვლელ გემებს გადასახადს ახდევინებდა<sup>39</sup>. ეს ფაქტი უკვე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბიზანტიის ისტორიისათვის. სელჩუკები კონსტანტინოპოლს პირდაპირ უყურებდნენ, ამავე დროს, კონტროლს უწევდნენ მის წინ გამვლელ გემებს და გარკვეულ შემოსავალს იღებდნენ. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ვ. უსპენსკი, «Сельджуками был испробован план действия против Константинополя, практический, осуществленный впоследствии османскими турками»<sup>40</sup>.

სულეიმანის ძალები კონსტანტინოპოლისა და რუმელიის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდნენ. სელჩუკთა ლაშქრის დედაქალაქის კარებთან მოსვლამ ბიზანტიის იმპერია მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. რუმელიაში მყოფი ბიზანტიის ლაშქარი დედაქალაქისაკენ გაემართა; მისი მეთაური ალექსი კომნენე კი სამეფო ტახტზე დაჯდა<sup>41</sup>. ახალი იმპერატორი უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია როგორც დასავლეთიდან, ისევე აღმოსავლეთიდან მოსული მტრისათვის. მას არ ჰყავდა ძლიერი არმია, არ გააჩნდა თანხა, სახელმწიფო ხაზინა ცარიელი იყო. ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება უკიდურესად მძიმე იყო. ამიტომ იმპერატორი იძულებული გახდა გადაჰქრელი ღონისძიებებისათვის მიემართა ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გარეშე მტრებთან ურთიერთობის მოწესრიგება. როცა ასეთი გაწვევებულები ურთიერთობა იყო სელჩუკებთან, დასავლეთის მხრიდან მას გამოუჩნდა საშიში მტე-

<sup>39</sup> М. Н. Уинанџ, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 109; I. Kafesoğlu, *Sultan Melikşah devrinde...*, გვ. 77.

<sup>40</sup> Ф. И. Успенский, *История Византийской империи*, т. III, 1948, М.: -Л., стр. 106.

<sup>41</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 329.

რო რობერტ გვისკარის სახით. ამჟერადაც, როგორც ყოველთვის კრიტიკულ მომენტში, ბიზანტიის ახალი იმპერატორი იძულებული გახდა დახმარებისათვის სელჩუკებისათვის მიემართა. რობერტ გვისკარმა ალექსი კომნენეს სახმელეთო და საზღვაო ძალები მეტისმეტად შეავიწროვა<sup>42</sup>. წყაროებში აღნიშნული არ არის თუ რა დახმარება გაუწვია მელოქ-შაჰმა ალექსი კომნენეს; საინტერესო ისაა, რომ ბიზანტიის ხელისუფალნი ყოველ კრიტიკულ მომენტში იძულებული ხდებოდნენ ყველაზე საშიში მტრისათვის — სელჩუკებისათვის მიემართათ ხოლმე.

ალექსის ხან მეგობრული და ხან მტრული ურთიერთობა ჰქონდა სელჩუკებთან. ანა კომნენეს ცნობით, ბიზანტიის იმპერატორს კარგად ესმოდა, რომ სელჩუკთა სახით კარს დიდი საშიშროება იყო მომდგარი. იგი სხვადასხვა გეგმებს აწყობდა, ბოლოს საუკეთესო აირჩია და შესაძლებლობის მიხედვით შეუდგა განხორციელებას. მან მეკობრეობა შემოიღო და დედაქალაქს მიმდგარ სელჩუკთა ძალებს დაუპირისპირა<sup>43</sup>. წყაროს მიხედვით, ალექსი კომნენემ გააძლიერა სელჩუკებზე თავდასხმები და უკან დაახვეინა. ალექსი კომნენეს ძალიან შეუვიწროებია ისინი და ბოსფორიდან და სანაპირო რაიონებიდან შორს განუდევნია. სელჩუკები იძულებული გახდნენ ზავზე დათანხმებულიყვნენ. სელჩუკებთან ზავის დადება კი ძალზე სჭირდებოდა ალექსი კომნენეს; მას კარზე მოდგომოდა რობერტ გვისკარის დიდი ლაშქარი<sup>44</sup>.

ალექსი კომნენემ ზავი დადო სელჩუკებთან ხარკის გადახდის პირობით. შეთანხმდნენ, რომ კოჯაელის ნახევარკუნძულიდან იზმიტის ყურისაკენ გამდინარე წყალი ბიზანტიისა და სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვარი უნდა ყოფილიყო<sup>45</sup>. იმპერატორი იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ იძულებული გახდა თავისი მტრები უხვად დაესაჩუქრებინა.

ნიკიფორე მელისენოსს, რომელიც იზნიკში სელჩუკთა სამსახურში იმყოფებოდა, ანატოლიის დასავლეთით ერთი ნაწილი ნომინალურად ემორჩილებოდა. მაგრამ მოკლე ხანში სულეიმანშაჰმა ეს ტერიტორიაც დაიპყრო და მის ბატონობას ბოლო მოუღო. სულეიმანშაჰი ამ პერიოდში ანატოლიაში დარჩენილი ციხეების დაპყრობით იყო აგრეთვე დაკავებული. ამასობაში მან დაიპყრო ანთარდუსი, თარსუსი, აღანა, მისისი, ანაზავრა და კილიკიის სხვა ქალაქები<sup>46</sup>.

<sup>42</sup> А н н а К о м н е н е с, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

<sup>43</sup> ი ქ ვ ე, გვ. 137.

<sup>44</sup> ი ქ ვ ე, გვ. 138.

<sup>45</sup> М. Н. У и н а н с, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

<sup>46</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 329; I. K a f e s o ğ l u, Sultan Melikşahı, devrinde..., გვ. 81.

მათე ურპაელის ცნობით, როდესაც სულეიმანშაჰი ანატოლიის ქალაქებს იპყრობდა, სულთან მელიქ-შაჰის ერთ-ერთმა მხედართმთავარმა ხოსრომ 1080 წლისათვის დიდი ლაშქრით ურფის ეიალეთისკენ გამოილაშქრა. ბრძოლა მოხდა ევფრატის სანაპიროზე ლითარის ციხის ახლოს. სელჩუკებმა ქრისტიანები სასტიკად დაამარცხეს<sup>47</sup>. ამ გამარჯვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ხოსრომ არაბეთის ქვეყნებზე ჰარანიდან მუდებერამდე მოაწყო თავდასხმები.

მას შემდეგ რაც სულეიმანშაჰმა წარმატებით დაასრულა დაპყრობანი დასავლეთის მიმართულებით და თითქმის მთელი ანატოლიის დასავლეთი ნაწილი ხელიდან გამოგლიჯა ბიზანტიელებს, მთელი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ გადაიტანა. 1082 წლისათვის სულეიმანშაჰმა თარსუსს ალყა შემოარტყა და დაიპყრო. ასევე გაავრცელა თავისი ხელისუფლება თრაბლუს შამში<sup>48</sup>.

სულეიმანშაჰმა გადაწყვიტა ხელთ ეგდო ანტიოქია — ბიზანტიის დასაყრდენი ქალაქი აღმოსავლეთში; ამ პერიოდში ანტიოქიას განაგებდა სომეხი წარჩინებული ფილარეტი, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა კილიკიის სამთავროსა და მის ახლომახლო დასახლებულ სომეხ მოსახლეობას შორის. მანასკერტის ბრძოლის შემდეგ სელჩუკთ პერმანენტული შემოსევებისა და ბიზანტიის ხელისუფლების სისუსტის შედეგად დაიწყო სომეხთა მასობრივი ემიგრაცია საქსრეთის მიმართულებით; გადასახლებულმა სომეხებმა 80-იანი წლებისათვის დააარსეს სომხეთის კილიკიის სამთავრო. სომეხი ფეოდალები ახალ ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხებზეც ინარჩუნებდნენ თავის უფლებებს ბიზანტიის იმპერატორის წყალობით. ასევე ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ უფლებებსაც. განსაკუთრებით გაძლიერდა სომეხთა ემიგრაცია კილიკიის რაიონში 80-იან წლებში; ეს კი გახდა მიზეზი ამ ტერიტორიაზე კილიკიის სამთავროს წარმოქმნისა. მანასკერტთან ბიზანტიის დამარცხების შემდეგ სომეხმა წარჩინებულმა ფილარეტ ვარაქუნმა სცადა თავისი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინა კილიკიისა და სირია-მესოპოტამიის ზოგიერთი რაიონი, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ემიგრირებული სომეხებისაგან შედგებოდა.

ფილარეტ ვარაქუნის წარმოშობით ვასპურაკანელი სომეხი იყო; იგი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა და რომან დიოგენისაგან დიდი დომესტიკოსის ტიტული ჰქონდა მიღებული<sup>49</sup>. მანასკერტის ბრძოლის დროს იგი მეთაურობდა სომეხთა ლაშქარს, რომელიც ხარბერდში

<sup>47</sup> მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი, გვ. 159—160.

<sup>48</sup> М. Н. Унанс, დასხ. ნაშრ., გვ. 116.

<sup>49</sup> А н н а К о м н и н а, стр. 190; Г. Г. М и к а е л я н, დასხ. ნაშრ.,



იპყრობოდა; ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ მან ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა. სომხები შემოიკრიბა და თავისი სამფლობელო შექმნა სომხეთის საზღვრებიდან კილიკიამდე; მისი ცენტრი იყო მარაში<sup>50</sup>.

ფილარეტს პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მიღებისა და სომხური პოლიტიკური ერთეულის გაძლიერებისაკენ ისწრაფვოდა. რომან დიოგენის დაღუპვის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ვითარება ფილარეტს უკარნახებდა რეალურად შეეხედა სინამდვილისათვის და მოვლენები თავის სასარგებლოდ წარემართა. როგორც კი ძალა მოიკრიბა, ფილარეტმა დაიპყრო ალბისტანის რაიონი, უფრო გვიან კი სხვა ადგილებიც შეიერთა და მეციხოვნე რაზმები ჩააყენა. მ. ინანჩის აზრით, ფილარეტი გარკვეულ პოლიტიკურ კავშირს ამყარებდა სელჩუკებებთან. იგი საჩუქრებს უგზავნიდა მათ, რითაც თავს იზღვევდა თავდასხმებისაგან, ამავე დროს თვითონ სულ უფრო და უფრო აფართოვებდა ტერიტორიას და ბიზანტიასთანაც კეთილმეგობრულ ურთიერთობას ამყარებდა<sup>51</sup>.

ბიზანტიის იმპერატორი კმაყოფილი იყო ფილარეტის საქმიანობით: იგი დედაქალაქში დაიბარეს, იარაღი უბოძეს, დაასაჩუქრეს და სებასტოსად დანიშნეს<sup>52</sup>. ბიზანტია ფილარეტზე დიდ იმედებს ამყარებდა სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მანაც თავის მხრივ ერთგულება გამოუცხადა. ბიზანტიას და ამის ნიშნად ქალკედონიკობა მიიღო<sup>53</sup>.

ფილარეტი თავის ტერიტორიას აფართოვებდა მეზობელი სომეხი წარჩინებულების ხარჯზედაც; მათე ურპაელი ვრცლად მოგვითხრობს ფილარეტის ბრძოლებზე სომეხი წარჩინებულების წინააღმდეგ და გამოსთქვამს გულისწყრომას ასეთი საქციელის გამო.

როდესაც 1078 წლისათვის ადგილობრივმა წარჩინებულმა სომეხებმა ბიზანტიის უკანასკნელი ვალი ანტიოქიაში ვასაკ ფაჰლავენი მოკლეს, ლაშქრის ნაწილმა ფილარეტი ანტიოქიის დუქად მიიწვია; როგორც კი ფილარეტი ანტიოქიას დაეპატრონა, თავისი სამფლობელოს ცენტრი აქ გადმოიტანა და საფუძველი ჩაუყარა სომხურ პოლიტიკურ ერთეულს ჩრდილოეთ სირიაში. ფილარეტი ანტიოქიის ადგი-

<sup>50</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 330; მ. ი ნ ა ნ ჩ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120; Г. Г. Микаелян, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

<sup>51</sup> მ. ი ნ ა ნ ჩ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

<sup>52</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 331; Г. Г. Микаелян, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

<sup>53</sup> Г. Г. Микаелян, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

ლობრივმა მოსახლეობამ და წარჩინებულებმა ცუდად მიიღეს; თვითონაც სასტიკად გაუსწორდა მათ; ბარ ჰებრაის ცნობით, რადგან ფილარეტი „ტირანი იყო, ანტიოქიის წარჩინებულები დაიჭირა, მთელი სიძლიდრე წაართვა და მათი ლაშქარი დაშალა. ამის გამო ანტიოქიის მოსახლეობამ იგი შეიძულა და ისიც ასევე იყო განწყობილი ანტიოქიელების მიმართ“<sup>54</sup>. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ფილარეტს ანტიოქიის ადგილობრივ მოსახლეობაში დასაყრდენი ძალა არ გააჩნდა და ბუნებრივია, შესაქლებელ შემთხვევაში ისინი მხარს დაუჭერდნენ უცხო ძალებს, რომლებიც ფილარეტის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

ტერიტორიების გასაფართოებლად და ძალაუფლების განსამტკიცებლად ფილარეტი გარკვეულ პოლიტიკურ კავშირსა და დიპლომატიურ ურთიერთობას აყარებდა როგორც ბიზანტიასთან, ასევე მოსულისა და ალუპოს მბრძანებელ შერეფ ად-დოვლე მუჰლიმთან, ანტიოქიის განმგებელ სულეიმანშაჰთან და სირიის მელიქ თაჯ ად-დოვლე თუთუშთან, რომელთაც გადასახადებსა და საჩუქრებს უგზავნიდა. ასევე არ აკლებდა პატივისცემასა და საჩუქრებს მელიქ-შაჰს.

ფილარეტი მოხერხებული და ჰქვიანური პოლიტიკის გატარების შედეგად ცდილობდა დაეპყრო ვრცელი ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ სომხეთის საზღვრებიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე. რომლის შემადგენლობაში შედიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები და სტრატეგიული პუნქტები. ფილარეტის მიერ ემიგრირებულ სომეხთა გაერთიანებისა და გაძლიერების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა სირიელი ავტორი მიხეილ სირიელი. მისი ცნობით, როდესაც მცირე ზოის უმეტესი ნაწილი სელჩუკებმა დაიკავეს, სომეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი კაბადოკიიდან ფილარეტთან მარაშში მოვიდა; ფილარეტმა კი მათი დახმარებით დაიკავა კილიკიის მთელი რიგი რაიონები, მესოპოტამიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთი სირია. როგორც კი მის შესახებ ბიზანტიის იმპერატორმა გაიგო, ფილარეტი დაასაჩუქრა. შემდეგ თვითონ ფილარეტი გაემგზავრა კონსტანტინოპოლს. ბერძნებმა მას უბოძეს ოქროს იარაღი და აღიარეს ავგუსტად<sup>55</sup>.

ფილარეტი სარგებლობდა ანატოლიაში სელჩუკთა შემოსევების შედეგად შექმნილი ვითარებითა და ბიზანტიის სისუსტით და თავის ხელისუფლებას უფრო აძლიერებდა. ის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნაზე ფიქრობდა. ფილარეტმა ისარგებლა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი საერთაშორისო ვითარებით, გაი-

<sup>54</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, I, გვ. 331.

<sup>55</sup> Chronique de Michel le Syrien..., გვ. 173.

ოვალისწინა ბიზანტიის მდგომარეობა, სელჩუკებთან ურთიერთობა და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ფილარეტის წარმატებები ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. სელჩუკები თანდათან წინ მიიწევდნენ ხველთაშუა ზღვისა და სამხრეთის მიმართულებით. ამან უარყოფითი როლი შეასრულა ფილარეტის მიერ დაფუძნებული პოლიტიკური ერთეულის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში; პირიქით, უკვე მიღწეულიც დააკარგვინა. ამ დროისათვის სულეიმან-შაჰმა, რომელიც დასავლეთის მიმართულებით წარმატებით იბრძოდა, იზნიკი დაიპყრო და დედაქალაქად გაიხადა. შემდეგ კი მოულოდნელად სირიისაკენ გადაინაცვლა. უფრო სავარაუდო იყო, რომ იგი კონსტანტინოპოლს შეუტევედა, მაგრამ უეცრად ანტიოქიისაკენ აიღო კურსი. ჩანს, სულეიმანმა სათანადოდ შეაფასა თავისი შესაძლებლობანი, განაკუთრებით კი თავისი საზღვაო ძალები. იგი დარწმუნდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო შესაფერისად მომზადებული, რათა კონსტანტინოპოლისათვის შეეტია. ამასთანავე გაითვალისწინა სირიის საზღვაო ქალაქების დიდი ეკონომიური მნიშვნელობა. თანაც მისთვის უფრო ადვილი ჩანდა სირიის ქალაქების ხელში ჩაგდება, ვიდრე კონსტანტინოპოლზე იერიშის მიტანა. სულეიმან-შაჰმა გაითვალისწინა აგრეთვე ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც ანტიოქიაში არსებობდა. ფილარეტის განდგომილი ვაჟი, ურფას ვალი და ანტიოქიის შაჰნი — ისმაილი სულეიმანს ესტუმრნენ იზნიკში და ანტიოქიაში სალაშქროდ მიიპატივეს<sup>56</sup>.

ანა კომნენეს ცნობით, ფილარეტსა და მის შვილს შორის უკმაყოფილების ჩამოვარდნის მთავარი მიზეზი ფილარეტის სელჩუკთა მხარეზე გადასვლა ყოფილა. ანა კომნენე იქვე ხსნის, თუ რატომ მიემხრო სელჩუკებს ფილარეტი. იგი სელჩუკებს იმდენად შეუვიწროებიათ, რომ მიუხედავად შვილის წინააღმდეგობისა იძულებული გამხდარა მათ მიმხრობოდა. მამის ასეთი ნაბიჯით უკმაყოფილო შვილი შიდა ნიკეაში სულეიმან-შაჰთან და აქეზებს მას მამის წინააღმდეგ. ანა კომნენე წერს: „რადგან თურქები გამუდმებით არბევდნენ გარშემომდებარე მიდამოებს და მას (ფილარეტოსს) მოსვენება არ ჰქონდა, მან გადაწყვიტა თურქებს მიჰკედლებოდა და წინადაცვითაც შეესრულებინა... ხოლო მისი ვაჟი დაბეჯითებით მოითხოვდა მისგან და ამ უგუნური სწრაფეზიდან აკავებდა, მაგრამ არ ისმენდა მის კარგ რჩევას. ძალიან დამწუხრებული ამის გამო მივიდა სულეიმან ამირასთან და მას

<sup>56</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 122; I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 83.

აქეზებდა ანტიოქიისათვის ალყა შემოერთყა... და მოუწოდებდა ომი დაეწყო მისი მამის წინააღმდეგ<sup>57</sup>.

ანა კომნენეს ცნობა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. მამა-შვილს შორის კონფლიქტის მთავარი მიზეზი მამის სელჩუკთა მხარეზე გადასვლა არ უნდა ყოფილიყო. თუ მართლა ეს იყო უთანხმოების მიზეზი, შვილი სელჩუკებს რატომ იშველიებს მამის წინააღმდეგ? მამა-შვილის უთანხმოების საფუძველი სხვა, უფრო სერიოზული საკითხებიც უნდა ყოფილიყო. ფილარეტი მოქნილად მოქმედებდა. ის ხან სელჩუკებს ემხრობოდა და ხან ბიზანტიელებს. ისე იქცეოდა, როგორც ამას კონკრეტული ვითარება უკარნახებდა. მიუხედავად ასეთი პოლიტიკისა, მას ბევრი მოწინააღმდეგეები აღმოაჩნდა. ჩანს, შვილიც ამ მოწინააღმდეგეთა დასში აღმოჩნდა. იგი უკმაყოფილო იყო მამის გაძლიერებით და სელჩუკთა ძალების საშუალებით ალბათ პირადი გეგმების განხორციელებას ლამობდა. იმ ალ-ასირის ცნობებით, ფილარეტს შვილი დატყვევებული ჰყავდა; როდესაც ფილარეტი ანტიოქიაში არ იმყოფებოდა, მისმა შვილმა — ბარსელმა და ქალაქის განმგებელმა სულეიმანშაჰი მოიწვიეს 1084 წლისათვის<sup>58</sup>. მამისგან განაწყენებული, დატყვევებული შვილი, შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდა მამის წინააღმდეგ რაიმე ეღონა. სულეიმანშაჰმა ფილარეტის შვილთან ერთად ანტიოქიისაკენ გაილაშქრა, ხოლო ნიკეაში კი განმგებლად და დამცველად აბულ-ყასიმი დატოვა<sup>59</sup>.

ბარ ჰებრაის ცნობით, როგორც კი სულეიმანშაჰმა გაიგო ფილარეტის ანტიოქიიდან წასვლის შესახებ, სასწრაფოდ გემები მოაპზადებინა, ვინაიდან ჯერ ზღვისპირა ანთარდუსი და ტარსუსი იყო დასაპყრობი, შემდეგ კი ხმელეთიდან დაესხა თავს ანტიოქიას და დაიპყრო<sup>60</sup>. მათე ურჰაელს დაწვრილებით აქვს აღწერილი ანტიოქიის აღება სულეიმანის მიერ. მისი სიტყვით, ნიკეაში მყოფმა სულეიმანმა შორი გზიდან საიდუმლოდ გამოილაშქრა და ქალაქ ანტიოქიამდე მივიდა. რადგანაც ქალაქი გაუმაგრებელი იყო, ღამით ალუპოს კარებიდან შევიდა და დაიპყრო. ამ დროს ფილარეტი ურფაში იმყოფებოდა. სულეიმანი 300 ცხენოსნით შევიდა ქალაქში. მოსახლეობამ მეორე დღეს თურქთა ლაშქარი რომ დაინახა, ციხეს შეაფარა თავი. სელჩუკთა და-

<sup>57</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 74—75; Анна Комнина, დასახ. ნაშრ., გვ. 190.

<sup>58</sup> Cl. Cahen, *La première penetration...*, გვ. 45; I. Laurent, *Byzance et Antioche sous le Curopalate Philarète*—«Revue des études Arméniennes»..., 9, 1, 1929, გვ. 71—72.

<sup>59</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 75; Анна Комнина, დასახ. ნაშრ., გვ. 190.

<sup>60</sup> ბარ ჰებრაი, 1, გვ. 331.

ლა თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მათ ქალაქისათვის ზიანი არ მიუყენებიათ. ქალაქის შიდა ციხეს თავშეფარებული მოსახლეობა რამდენიმე დღის შემდეგ იძულებული გახდა დანებებოდა უწყლოობისა და პროდუქტების უკმარობის გამო<sup>61</sup>.

ანა კომნენეს ცნობით, სულეიმანშაჰი დასთანხმდა ფილარეტის ვაჟს და „ანტიოქიის წინააღმდეგ რომ დააპირა გამგზავრება, აბულყასანი ნიკეის მცველად დასტოვა და მას მიაკუთვნა ყველა სარდალთა უფროსის სახელწოდება, თვითონ თან ფილარეტოსის ვაჟი წაიყვანა... და პირველი იერიშისთანავე აიღო იგი“<sup>62</sup>. ანა კომნენეს ამ ცნობასთან დაკავშირებით ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ ანტიოქიის აღება უნდა მომხდარიყო 1084 წელს.

ამრიგად, სულეიმანშა ანტიოქია უმტკივნეულოდ, ქშვიდობიანად ჩაიგდო ხელში. არაბული წყარო თარიღის მიუთითებლად აღნიშნავს, რომ „რეჰა, ანტიოქია, რუმებიდან ისევ მუსლიმანების ხელში გადავიდა“<sup>63</sup>. უფრო ქვემოთ ავტორი ხელახლა იმეორებს თურქთა დამსახურებას ანტიოქიის აღების საქმეში და მიუთითებს, „თურქები ანტიოქიაში შევიდნენ“. ქალაქის ასე მშვიდობიანად ხელში ჩაგდების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ უკმაყოფილო ელემენტებმა, რომლებიც ფილარეტის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი. სულეიმანშაჰი „შემდეგ მთელი კილიკიის ქვეყნების მფლობელი გახდა“<sup>64</sup>. მან ანტიოქიისადმი დაქვემდებარებული სხვა დასახლებული პუნქტები და ციხეებიც ცალ-ცალკე დაიპყრო<sup>65</sup>.

სულეიმანშაჰის ამ წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუსლიმანური სამყაროს ავტორიტეტის ამაღლების საქმეში. თვით მელიქ-შაჰიც კმაყოფილი დარჩა. სულეიმანშაჰის პრესტიჟიც გაიზარდა. ისლამის ქვეყნებში ეს გამარჯვება დიდ ბედნიერებად იქნა მიჩნეული. სულეიმანშაჰმა მელიქ-შაჰს „დაპყრობის წიგნი“ გაუგზავნა და ამოცანის წარმატებით შესრულება აუწყა. მელიქ-შაჰმაც თავის მხრივ ან გამარჯვების გამო მისალაცი ბარათი გამოუგზავნა<sup>66</sup>. სულჩუკთა გამუდმებული თავდასხმებით შეწუხებული ფილარეტი იძულებული იყო უკანასკნელი ღონისძიებისათვის მიემართა — წასულიყო მელიქ-შაჰ-

<sup>61</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 161; I. Kafesoğlu. Sultan Melikşah devrinde..., გვ. 83; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 122; Г. Г. Микаелян, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

<sup>62</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 76.

<sup>63</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 50.

<sup>64</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი, გვ. 162.

<sup>65</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>66</sup> M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

თან დიდი საჩუქრებით და შეწყალება ეთხოვა. მათე ურპაელის ცნობით, 1086/7 წელს ფილარეტი მელიქ-შაჰთან წავიდა. თავის ადგილზე კი ბიზანტიელი უფლისწული ბარაგამანოი დატოვა ურფაში. მან სულთანთან დიდძალი ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ნივთები წაიღო საჩუქრად<sup>67</sup>, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო; თუმცა მიზნის მისაღწევად ქრისტიანობაც დათმო, მაგრამ მელიქ-შაჰისაგან რეალური დახმარება ვერ მიიღო. პირიქით, მისი სულთნის კარზე ყოფნის დროს სელჩუკებმა ახალ-ახალი თავდასხმები მოაწყვეს მის სამფლობელოებზე. სელჩუკებთან ბრძოლაში დაუძღვრებელი და იმედდაკარგული ფილარეტი იძულებული გახდა ისევ ქრისტიანობას დაბრუნებოდა და ბერად აღკვეცილიყო. მიხეილ სირიელის ცნობით, სელჩუკთაგან დასუსტებული ფილარეტი წავიდა ბაღდადას და ხორასანში, მიიღო ისლამი, ხალიფასა და სულთნისაგან მიიღო სიგელი, რომლითაც მას უფლება ეძლეოდა თავისი ტერიტორია დაებრუნებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის უკვე სელჩუკებს დაეკავებინათ. იგი იძულებული გახდა წასულიყო მარაშში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. სიკვდილის წინ მას ისევ ქრისტიანობა მიუღია<sup>68</sup>. დაახლოებით ამავე იმეორებს ბარ ჰებრაი<sup>69</sup>.

ამრიგად, სელჩუკთა მასობრივმა და გამუდმებულმა შემოსევებმა ფილარეტი აიძულეს ხელი აეღო თავის განზრახვაზე — შეექმნა ვრცელი სამფლობელო სომხეთის საზღვრებიდან ანტიოქიამდე. სელჩუკთა შემოსევების შედეგად შექმნილი ვითარების გამო ფილარეტს გეგმებმა მარცხი განიცადეს.

სელჩუკთა ხელში ანტიოქიის გადასვლას უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიისათვის. ანტიოქიის დაკარგვით ბიზანტიას ხელიდან გამოეცალა უკანასკნელი დასაყრდენი აღმოსავლეთში, საბოლოოდ დაეცა ბიზანტიის ავტორიტეტი სირიაში. ამიერიდან ყველა წვრილ-წვრილი სამთავრო, რომლებიც ბიზანტიას ემორჩილებოდა სულეიმანშაჰის მორჩილებაში შედიოდა. ანტიოქიის დაპყრობიდან მცირე ხნის შემდეგ, 1085 წლისათვის ალბისტანი, ჰუნი, გოქსუნი, მარაში, უფრო გვიან ბეჰისნი და ქეისუნი სულეიმანის ერთ-ერთი ამირის მიერ იქნა დაპყრობილი.

ანტიოქიის დაპყრობის შემდეგ, ბარ ჰებრაის ცნობით, სულეიმან-შაჰს ისევ დაუღალაშქრია ბიზანტიის მზარეები, ხელახლა დაუბყრია ნიკეა, ნიკომედია და კონია, სადაც თავისი შვილი ყილიჩ-არსლანი დაუ-

<sup>67</sup> მათე ურპაელი, გვ. 170.

<sup>68</sup> Chronique de Michel le Syrien, III, გვ. 173.

<sup>69</sup> ბარ ჰებრაი, I, გვ. 333; M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 124—125.

ნიშნავს და თვითონ ისევე ანტიოქიაში დაბრუნებულა<sup>70</sup>. ჩანს, რომ სულეიმანშაჰის მიერ აღრე დაპყრობილი მხარეები ისევე განდგომია და შორს. ანტიოქიაში მყოფი იძულებული გამხდარა ხელახლა გაელაშქრა მათ წინააღმდეგ. გამგებლად თავისი შვილი დაეტოვებინა და თვითონ ისევე ანტიოქიაში დაბრუნებულიყო. სულეიმანშაჰისა და სხვა სელჩუკი ამირების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობა ყოველთვის შეეცდებოდა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და განდგომოდა უცხო ძალების ბატონობას; ამას გარდა თვითონ ცალკეულ სელჩუკ უფლისწულთა შორის მტრობა და წინააღმდეგობა უფრო და უფრო იზრდებოდა; თითოეული მათგანი დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა: თვითონ სულეიმანშაჰი, რომელმაც ოფიციალურად ზილო დამოუკიდებლობა მელიქ-შაჰისაგან, მასთან მაინც ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მაგრამ ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდა არ ეცნო დიდ სელჩუკი სულთნის უზენაესობა; როდესაც სულეიმანშაჰმა ანტიოქია დაიპყრო, იგი დაუპირისპირდა არაბთა გამგებელს შერეფ აღ-დოვლე მუსლიმს, რომელიც მელიქ-შაჰის მორჩილებასა და ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სულეიმანშაჰმა ანგარიში არ გაუწია მის ურთიერთობას მელიქ-შაჰთან და როცა შერეფ აღ-დოვლემ მას მოთხოვა ანტიოქიაზე ძველთაგანვე შეწერილი ყოველწლიური ჯიზია, უარი განუცხადა მის მიცემაზე. ეს კი ოფიციალურად სულეიმანშაჰის მიერ მელიქ-შაჰის წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავდა; მაგრამ სულეიმანშაჰმა მელიქ-შაჰის სახელზე ხუტბა წააქითხა თავის ქვეყანაში, ფული მოაქრევინა და დაპყრობისას ისინი არტულო წიგნი გაუგზავნა<sup>71</sup>, სულეიმანშაჰსა და შერეფ აღ-დოვლე მუსლიმს შორის ბრძოლა პირველობისათვის გარდაუვალი იყო. მათე ურჩაელის ცნობით, ვიდრე შერეფ აღ-დოვლე სულეიმანშაჰის წინააღმდეგ გამოილაშქრებდა, ჯერ არაბთა 100 000 ლაშქარი შეკრიბა, ალებო დაიპყრო და ამ ქალაქის წარჩინებულ ქალზე იქორწინა. მხოლოდ ამის შემდეგ გაილაშქრა ანტიოქიაზე. „ანტიოქიის ამირი სულეიმანი დიდი ლაშქრით ბიზანთან მის წინააღმდეგ გამოვიდა. აქ ორ ლაშქარს შორის ძლიერი ბრძოლა გაიმართა“<sup>72</sup>.

ამავე წყაროს ცნობით, არაბთა ლაშქარმა უღალატა თავის მბრძანებელს და გაიქცა, თვითონ შერეფ აღ-დოვლე მისივე ჯარისკაცებმა მოკლეს. გამარჯვებული სულეიმანშაჰი ანტიოქიაში დაბრუნდა<sup>73</sup>. ამ გამარჯვების შემდეგ სულეიმანშაჰმა ალებოს ალება გადასწყვიტა და სულ მოკლე ხანში ალყა შემოარტყა. ერთთვიანმა ალყამ შედეგი ვერ

<sup>70</sup> ბარ ქებრაი, I, გვ. 331.

<sup>71</sup> M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

<sup>72</sup> მათე ურჩაელი, გვ. 163—164; ბარ ქებრაი, I, გვ. 332.

<sup>73</sup> მათე ურჩაელი, გვ. 164; ბარ ქებრაი, I, გვ. 332.

გამოიღო. იგი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო, ზამთრის განმავლობაში ლაშქარი საფუძვლიანად მოემზალებინა და გაზაფხულისათვის შეტევა დაეწყო.

სულეიმანშაჰი ახლა თუთუშს უპირისპირდებოდა. საკითხი ეხებოდა იმას, თუ ვის უნდა დარჩენოდა სირია; თუთუში მელიქ-შაჰის ძმა იყო. ანა კომნენეს ცნობით, „დიდი სულთნის ძმამ ტუტუშმა, რონელსაც ეპყრა იერუსალიმი, მთელი მესოპოტამია და ალაბი, და მთელი ქვეყნები ვიდრე ბაღდადაძმდე და ანატოლიის მითვისება სურდა, როდესაც დაინახა, რომ სულეიმან ამირას აღვირი აეხსნა (ე. ი. აჯანყებულიყო) და ანტიოქიის საგამგეო ხელში ჩაეგდო, მთელი ძალებით დაიძრა და ალაბსა და ანტიოქიას შუა დაბანაკდა“<sup>74</sup>.

ამ ბრძოლაში სულეიმანშაჰი სასტიკად დამარცხდა და მისი ჯარი გაიქცა. შემდეგ ანა კომნენეს დაწვრილებით აქვს აღწერილი სულეიმანის დამარცხებისა და მისი სიკვდილის ამბავი. სულეიმანისადმი ის ზიზღს გრძნობს, იგი აღნიშნავს, რომ „ბოროტი კაცი ასე ბოროტად დაიღუპა“.

ამრიგად, ანტიოქია მთელი თავისი სანახებით თუთუშის ხელში გადავიდა. საბოლოოდ გაიმარჯვა თუთუშის სელჩუკთა გაერთიანებამ, რომელიც მწვავედ უპირისპირდებოდა სხვა სელჩუკ ამირებს და მათ შორის ანატოლიაში ყველაზე მეტი წარმატების მქონე სულეიმანშაჰს, რომელმაც ამ დროისათვის ძალიან გაითქვა სახელი თავისი დაპყრობითი ომებით, როგორც დასავლეთის მიმართულებით, ისე ანატოლიის სამხრეთითაც. სულეიმანის წარმატებას ბოლო მოუღო სირიის სელჩუკთა სახელმწიფოს მეთაურმა თუთუშმა. გაძლიერებული თუთუში უკვე მელიქ-შაჰის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა და არ სცნობდა მის უზენაესობას<sup>75</sup>. სულეიმანის თუთუშთან დამარცხების შემდეგ მელიქ-შაჰმა საჭიროდ ჩასთვალა სირიის საკითხებში ჩარეულიყო. სირიაში მისი ლაშქრობის შედეგად არსებითად ხდებოდა სირიისა და მცირე აზიაში პოლიტიკური ძალების ხელახალი განაწილება. ანტიოქია მუსლიმანებს დარჩათ, ხოლო მის ამირად იალი ბასანი დაინიშნა. იგი ანტიოქიასა და ანტიოქიის ოლქს ჯვაროსნების გამოჩენამდე განაგებდა. ალექსოს ხელისუფლება მიიღო ყასემ შერეთ აღ-დოვლე აყ-სუნყურმა; ედესა კი ბუზაკს ებოძა.

<sup>74</sup> გეორგია, ტ. 6, გვ. 75—76: Анна Комнина, დასახ. ნაშრ., გვ. 190.

<sup>75</sup> თუთუშის მიერ დიდ სელჩუკთა სასულთნოს ხელთ ჩაგდების გეგმებისა და მისი ღონისძიების შესახებ საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული თანამედროვე თურქ ისტორიკოსს ალი სევიმს. იხ. Ali Sevim, Tutuşun Büyükle Selçuklu Saltanatını eleğçirme teşebbüsü (Kasım 1092—şubat 1095) Bellelen, cilt XXVII, sayı 107, Ankara, 1963, გვ. 411—435.



ანა კომნენეს ვადმოცემით, როდესაც დიდ სელჩუკთა სულთანმა სულეიმანშაჰის დამარცხება გაიგო და გაძლიერებული თუთუშის მხრივ მოსალოდნელი საშიშროება შეაფასა, იმპერატორს ელჩი სიაოში გაუგზავნა და დამოყვრება სთხოვა. სამაგიეროდ, სულთანი სანაპირო ტერიტორიებიდან თურქთა გაყვანას, მისთვის ციხე-სიმაგრეების გადაცემას და ყოველმხრივ დახმარებას პირდებოდა იმპერატორს<sup>76</sup>. სელჩუკი სულთნის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე იმპერატორმა არაფერი უპასუხა, ხერხი იხმარა, გამოგზავნილ ელჩს მისი წარმოშობა გამოკითხა და როდესაც გაიგო, რომ იგი დედით ქართველი იყო, ხოლო მამით თურქი, ქრისტიანობის მიღებაზე დაუწყყო საუბარი. სიაოში მის წინადადებას დასთანხმდა, უარი თქვა უკან დაბრუნებაზე და იმპერატორს ერთგულება შეჰფიცა. იმპერატორმა ისარგებლა ამ შემთხვევით და სიაოშს შესთავაზა მის სასარგებლოდ გამოეყენებინა სულთნისაგან მიცემული წერილობითი ბრძანება, რომელიც ქორწინებაზე იმპერატორის თანხმობის შემთხვევაში სანაპირო რაიონებიდან ყველა სელჩუკი ამირას განდევნას გულისხმობდა.

ანა კომნენეს ვადმოცემით, სიაოში „დიდის მონდომებით ჯერ სირიაში გაემგზავრა და სულტნის ეპისტოლეები უჩვენა ხარატიკის, რომელიც იქიდან გააძევა ისე, რომ სამეფო ფულიდან ერთი ობოლიც კი არ გაატანა... ხოლო ძალაუფლება სინოპში სიაოშმა გადასცა კონსტანტინე დალასენოსს, რომელიც მეფის მიერ იყო გაგზავნილი ამ მიზნით, და შემდეგ ასევე სხვა ქალაქებიც შემოიარა სიაოშმა, უჩვენებდა სატრაპებს სულტანის წერილებს და, იმათ, რომ იქიდან გააძევებდა, გადასცემდა ხოლმე ამ ქალაქებს თვითმპყრობელის სატრაპებს“<sup>77</sup>. ამის შემდეგ სიაოში კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, ქრისტიანობა მიიღო, უხვად დაასაჩუქრეს და ანხილის დუკად დანიშნეს<sup>78</sup>.

როდესაც სულთანმა სიაოშის საქმიანობის შესახებ ყველაფერი დაწერილებით გაიგო, გადაწყვიტა ამირ ბოზანი გაეგზავნა აბულ-ყასემის წინააღმდეგ, რომელსაც სულეიმანის სიკვდილის შემდეგ ნიკეა დაესაკუთრებინა და ბიზანტიის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა. ამასთანავე სულთანმა ბიზანტიის იმპერატორს წერილი გაუგზავნა, სადაც ხელახლა სთხოვდა ასულს სარძლოდ და მის სანაცვლოდ სამხედრო დახმარებას პირდებოდა. იგი წერდა, რომ ამირ აბულ-ყასემმა დაარღვია სულეიმანთან შენი დადებული ხელშეკრულება და მთელ აზიას ანადგურებს. თუ გსურს აბულ-ყასემი ამ ტერიტორიებიდან გან-

<sup>76</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 77; А н н а К о м н и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

<sup>77</sup> გეორგიკა, ტ. 6, გვ. 78.

<sup>78</sup> იქვე.

დევნილ იქნას და აზია და ანტიოქია შენს ხელთ გადმოვიდეს, გამოგზავნე ქალიშვილი სარძლოდ ჩემი უფროსი ვაჟისათვის<sup>79</sup>. მაგრამ იმპერატორმა ამ წერილს ყურადღება არ მიაქცია და გადაწყვიტა სულთნისათვის მხოლოდ ცარიელი დაპირებები შეეთავაზებინა.

სულეიმანშაჰმა დიდი და ფართო ხასიათის დაპყრობითი ომები ჩაატარა მცირე აზიაში, რის შედეგადაც მისი ტერიტორიები გადაქიმული იყო ანტიოქიიდან შავ ზღვაშდ და ეგეოსის ზღვისაკენ ჩანაკალემდე. მაგრამ სულეიმანშაჰის მოულოდნელმა სიკვდილმა შეარყია მისი ხელისუფლება; მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა და მასზე დამოკიდებული ქალაქების გამგებლებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ასეთები იყვნენ, მაგალითად: სმირნის, ნიკეისა და კაბადოკიის გამგებლები, რომლებმაც სულეიმანის სიკვდილისთანავე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. სელჩუკ უფლისწულთა და ამირთა საქმიანობიდან აშკარად ჩანდა, რომ სელჩუკთა სახელმწიფოში ფეოდალიზაციის პროცესი შორს წასული მოვლენა იყო. ცალკეული უფლისწულები და ამირები დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვოდნენ. ურთიერთშორის მათ საშინელი მტრობა და უნდობლობა ჰქონდათ. თითოეული მათგანი დამოუკიდებლად გრძნობდა თავს და დიდ სელჩუკი სულთნის უზენაესობას არ ცნობდა; მის მორჩილებაში ყოფნას იმპერატორისადმი დაქვემდებარება და მასთან კავშირის დაწყება ერჩივნათ. იმპერატორიც თავის მხრივ მოხერხებულად იყენებდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომილი ამა თუ იმ სელჩუკი უფლისწულის სამხედრო ძალებს.

#### „დიდი თურქობა“ საქართველოში

როგორც აღნიშნული იყო, მელიქ-შაჰმა მამის ტახტის დაკავებისთანავე წარმატებით განაგრძო თავისი წინაპრების მიერ დაწყებული დაპყრობითი ომები. იგი ცალკეულ პროვინციებში სხვადასხვა ამირებს ავზავნიდა, მაგრამ როდესაც სელჩუკთა სახელმწიფოში მომრავლდნენ ქვეყნის დეცენტრალისტური ძალები, ამ ამირებმა აღარ სცნეს სულთნის უზენაესობა და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ტახტის დაკავებისთანავე, მელიქ-შაჰს საქართველოს წინააღმდეგ გაულაშქრია. არაბული წყაროები ამ ლაშქრობის შესახებ უფრო სიტყვაძუნწნი არიან. ალ-ჰუსეინი სხვა ამბების გადმოცემისას აღნიშნავს, „როდესაც სულთანი არანსა და აფხაზთა ქვეყნებში მივიდა, რუმის მელიქის ელჩმა ხაზინები პირაშდე გაავსო. იმდენი ქონებით მოვიდა, რომ მონაგარი-

<sup>79</sup> Анна Комнина, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

შეებს აოცებდა. და შეწყალება ითხოვა<sup>80</sup>. მელიქ-შაჰის საქართველოში მოსვლის შესახებ ასევე მოკლედ მოგვითხრობს ანონიმი ისტორიკოსი. რომელიც მელიქ-შაჰის ლაშქრის მიერ თბილისის აღებას 1075/6 წლებში იხსენიებს. იგი აღნიშნავს, რომ მელიქ-შაჰმა „468“ (1076) წელს ირანის ქვეყნები, შირვანი, დერბენდი, თბილისი აიღო, მოსახლეობა დაიმორჩილა<sup>81</sup>. ამ ლაშქრობის შესახებ სხვა ცნობებს ანონიმი ავტორი არ გვაწვდის.

მელიქ-შაჰის მიერ ჩატარებულ ლაშქრობებში ჩვენთვის საინტერესოა წყაროში დამოწმებული ცნობა თბილისის დაკავების შესახებ. სხვა საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ, სამწუხაროდ, წყარო არ იძლევა. ქართულ წყაროებში არსად არ არის მითითებული 1075/6 წელს სელჩუკების მიერ თბილისის აღების შესახებ. ქართული ნარატიული წყაროები, რომლებშიც საკმაოდ ვრცლად და ზუსტად არის გადმოცემული სელჩუკთა საქართველოში ლაშქრობების ამბები, არაფერს ამბობენ სელჩუკთა მიერ თბილისის დაკავებაზე. მართალია, დავითის ისტორიკოსი ერთგან მიუთითებს, რომ 1110 წლამდე „ქალაქი ტფილისი რუშთაჲ და სომხითი და ყოველი სამშულდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს“<sup>82</sup>, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თბილისი სელჩუკთა მფლობელობაში ყოფილიყო. თბილისში სელჩუკები საერთოდ არ შემოსულან. დავითის ისტორიკოსის ზემოთ მოტანილ ცნობასთან დაკავშირებით შ. მესხია აღნიშნავს, რომ ეს „სრულებით არ ნიშნავს რომელიმე მაჰმადიანი მფლობელის ბატონობას თბილისზე. ისტორიკოსი ამ შემთხვევაში იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქი ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების გარეთ იყო, რომ იგი საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა და რომ ამ ქალაქში იმდროინდელი მოსახლეობის (იქნებ მაჰმადიანური უმეტესობის) წარმომადგენელთა ხელისუფლება ბატონობდა“<sup>83</sup>.

XI საუკუნის 80-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც საქართველო მაჰმადიანი მეზობლებით იყო გარშემორტყმული, რომლებთანაც

<sup>80</sup> ა ბ ბ რ, გვ. 50. თუ „რუმის მელიქის“ ქვეშ საქართველოს მეფე იგულისხმება, როგორც ამას ვ. შინორსკი ფიქრობს, მაშინ ზემოთ მოტანილი ცნობა საინტერესოდ მოჩანს. მსგავსი ცნობები ქართულ წყაროებში ჩვენ არ მოგვეპოვნება. საფიქრებელია, რომ საქართველოს ელჩის ასე უხვად გამასპინძლებას ადგილი ჰქონდა აღფარსლანის მეორე ლაშქრობის შემდეგ. როდესაც სულთანი ბაგრატ IV „ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჟასა“, ხოლო საქართველოს მეფეც უხვად იღო მოციქულებს „და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყუარული“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 314).

<sup>81</sup> Anadolu Selçuklular..., III, გვ. 9.

<sup>82</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

<sup>83</sup> შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 64.

ხშირი შეტაკებები უხდებოდა. ბიზანტიისა და სომხეთის ტერიტორიებზე და საქართველოს საზღვრებზე ქრისტიანი მეზობლების ნაცვლად სრულიად უცხო პოლიტიკური და ეთნიკური ელემენტები იწყებდნენ არსებობას, რომელთაც საქართველოსათვის მხოლოდ ზიანისა და განადგურების მოტანა შეეძლოთ. ეს ხანა ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია „დიდი თურქობის“ სახელით. სწორედ მელიქ-შაჰის სულთანობის წლებში აქვს ადგილი თურქ-სელჩუკთა არაერთგზის შემოსევებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, უცხოური წყაროები მეტად მცირე ცნობებს გვაძლევენ საქართველოში მელიქ-შაჰის საქმიანობაზე. საქართველოში სელჩუკთა შემოსევის შესახებ შედარებით უფრო ვრცლად მოგვითხრობენ ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები.

მარქსი და ენგელსი ქრონოლოგიურ ამონაწერებში აღნიშნავენ, რომ სულთანმა ალფ-არსლანმა სიკვდილის წინ, ვიდრე თურქესტანში გაილაშქრებდა, საქართველოში ლაშქრობის საქმე მელიქ-შაჰს მიანდო: «Прежде чем выступить туда, он назначил преемником своего сына Мелик-шаха, передал ему ведение грузинской войны»<sup>64</sup>.

ჩანს, ალფ-არსლანი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ლაშქრობის საქმეს თავის ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად მიიჩნევდა და თავის შვილს — მელიქ-შაჰს ავალებდა მის დაპყრობას, როგორც საქართველოში ნამყოფს, ნაბრძოლებს და ადგილობრივ ვითარებაში გათვითცნობიერებულს. თურქ-სელჩუკების შემოსევის შესაკავებლად საქართველო ამ პერიოდში მარტო აღმოჩნდა. „ამიერკავკასიის ასპარეზზე ამ უზარმაზარი ძალის პირისპირ საქართველო, როგორც სახელმწიფო, განმარტოებულნი აღმოჩნდა. ბიზანტიელმა დაპყრობლებმა ასპარეზი დაცალეს, ხოლო სომეხთა სახელმწიფო ამიერკავკასიაში უკვე აღარ არსებობდა“<sup>65</sup>. საქართველოს შემოეცალა ქრისტიანული სახელმწიფოები; მათი ადგილი სელჩუკებმა და მათზე დაქვემდებარებულმა მამამლიანურმა წერილ-წერილმა პოლიტიკურმა ერთეულებმა დაიკავეს; აჰას გარდა, თვითონ ქვეყნის შიგნით, დიდგვარიანი მოხელეები ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი განუდგნენ ახლად გაშეფებულ გიორგის და „აუშალეს ქვეყანა“; „ივანე მოირთნა კახნი და დაღვა ქსნის პირას; და ნია-ნია წარულო ქუთათისისა საქურქლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოს-

<sup>64</sup> Архив Маркса и Энгельса, т. V, 1938, стр. 112.

<sup>65</sup> საქართველოს ისტორია, I (მეცხე), თბ., 1956, გვ. 143.

წყლდეს საეგრო<sup>86</sup>. მეფე გიორგი იძულებული გახდა განმდგარი დიდგვაროანნი უხვად დაესაჩუქრებინა და აპით დაეწყინარებინა; მან დასჯის მაგიერ ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, მის შვილს კი — მის მიერ კახთა მეფისათვის გადაცემული რუსთავის ნაცვლად ლოწობანი უბოძა. ნიანია ქვაბულის ძეს თმოგვის ციხე და ძვირფასა საქონელი უწყალობა, ხოლო ვარდან სევანთა ერისთავს ასკალანა მისცა<sup>87</sup>. მაგრამ მეფისაგან წყალობაქმნილი დიდგვაროანნი დიდი ხნით მაინც არ დაწყინარებულან. ისინი მალე განუდგნენ მეფეს. „კუალად გადგა ივანე ლიპარიტი ძე“. გიორგი მეფე იძულებული გახდა ქუთაისიდან სამცხეში გადასულიყო და მესხი თავადების მოშველიებით სამშვილდეს მისდგომოდა, სადაც ივანე ლიპარიტის ძე იყო გაპაგრებული. გიორგი მეფეს მიეშველა კახთა მეფე აღსართანი. ივანე ლიპარიტის ძემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია შეერთებულ ძალებს და გაიქცა, „მივიდა მთათა სომხითისათა“. ამ დროს აღსართან კახთა მეფემ ლიპარიტს ლოწობანი წაართვა. გამარჯვებული გიორგი მეფე ჯავახეთს გადავიდა, სადაც მოხდა ივანე ლიპარიტის ძესთან მისი შერიგება. ივანე ლიპარიტის ძეს დაუტოვეს კლდეკარი და სამშვილდე. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, „დაიფიცნეს ეკრანთას, და დაიმტკიცა ივანე კლდე-კართა და სამშულდესა ზედა“<sup>88</sup>. მაგრამ ეს შეთანხმება არ ყოფილა ხანგრძლივი. „კუალადცა გადგა ივანე, გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონსა“<sup>89</sup>. აპრიგად, ქვეყნის გართულებული საგარეო ვითარებისას ივანე ლიპარიტის ძემ გაგის ციხე ამიერკავკასიაში სელჩუკთა ნების აღმსრულებელს — განძის ამირას ფადლონს ჩაუგდო ხელთ. ივანე ლიპარიტის ძემ თავისი შინაკლასობრივი ინტერესები სელჩუკთა შემოსევებს დაუკავშირა. ქვეყნის შინა პოლიტიკის ასეთი გართულების ჟამს, სულთან მელიქ-შაჰი მოადგა თუ არა საქართველოს „მტერად ყოველთა ქრისტიანეთა, მოაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა. და დაყო მის თანა მცირედი ხანი“<sup>90</sup>. მელიქ-შაჰი, რასაკვირველია, სიხარულით შეხვდებოდა ივანეს შემკვიდრის მიგებებას; მაგრამ ლიპარიტი მალე გამოეპარა სულთანს. ამის შემდეგ სულთანი მოადგა სამშვილდეს, რომელიც მაშინ ივანე ლიპარიტის ძეს ეკუთვნოდა. მელიქ-შაჰმა აიღო სამშვილდე და ივანე ლიპარიტის ძე მთელი ოჯახითა და აზნაურებით დაატყვევა. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, სულთან-

<sup>86</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> იქვე.

მა „წარულო სამშუღლე, და ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა“<sup>91</sup>. სამშვილდეში მთელი ოჯახით სულთნის ტყვეობაში მყოფი ივანე ლიპარიტის ძე ყოველნაირად შეეცდებოდა პირადი ინტერესების შესაბამისად სათანადო რჩევა-დარიგება მიეცა სულთნისათვის და საქართველოს შინაგანი ვითარება გაეცნო. სწორედ სამშვილდეში მდგომმა სულთანმა მოარბია მთელი ქართლი, დიდძალი ტყვე და ნადავლი ჩაიგდო ხელთ და უკან დაბრუნდა. „მუნ დგომასა მოარბია ქართლი, წაიღო ტყვე და ნატყუენავი ურიცხვ. და შეიქცა გარე“<sup>92</sup>. ქართლის განადგურების შემდეგ უკან დაბრუნებულმა სულთანმა გზად განძა ააოხრა და მისი გამგებელი ფადლონი დაატყვევა. განძის გამგებლად, აჭერად, სულთანმა თავისი ერთ-ერთი ამირი სარანგი დანიშნა. „აიღო განძა, და დაავდო სარანგი“<sup>93</sup> თავადად განძას და ბრძოლად ქუეყანისა ყოვლისა, ორმოცდარვა ათასითა კაცითა“<sup>94</sup>.

განძის გამგებლად მყოფ სარანგ სავთეგინს საგანგებო დავალებები ჰქონდა მიღებული სულთნისაგან: მას ისევ უნდა ელაშქრა საქართველოს შიდა რაიონებში. ამისათვის ძირითადი ბაზა მან განძაში დაიღო. სარანგ სავთეგინმა მელიქ-შაჰის ბრძანებით შეკრიბა განძის, დვინისა და დმანისის ამირათა ხელქვეითი ძალები და ისევ საქართველოსაკენ გამოილაშქრა; „შემდგომად მცირედისა ხანისა შეკრბა სარანგი ყოვლითა ლაშქრითა მისითადა განძისაა, დვინისა და დმანისისა ამირათა თანადგომითა, და მომართა გიორგი მეფესა“<sup>95</sup>, მუსლიმანთა ავგერთიანებული ძალების წინააღმდეგ გიორგი მეფემ აღსართან კახთა მეფე და ყველა კუთხის წარჩინებულნი „ზემოთა და ქვემოთა“ მოიშველია და ფარცხისთან შეება მტერს, დაამარცხა და გამარჯვებულა უკან გამობრუნდა. აი, როგორ აღწერს ამ ბრძოლას „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი: „შეკრბა გიორგი მეფეთ-მეფე ყოვლითა სპითა მისითა, ზემოთა და ქუემოთა, და მოიყვანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე, და დაჰმართეს ერთმანერთსა... მიუტდა ზედა, ფარცხისს ქუემოთ, და იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და აწყუდა. იყო ჟამი მწუხრისა, და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა, და შემოაქცა უკლებლად და მშუღლობით მეფეთ-მეფე გიორგი თავისა სამეფოსა“<sup>96</sup>.

<sup>91</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> „მატიანე ქართლისაჲში“, მოხსენიებული „სარანგი“ აღმოსავლურ წყაროებში სარანგ სავთეგინის სახელით გვხვდება.

<sup>94</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.

<sup>95</sup> იქვე.

<sup>96</sup> იქვე.

ზემოთ პოტანილ ცნობას იმეორებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ივ. წერას: „ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მელიქ-შა, მოადგა საწმენდებსა და წარიღო, დაივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო, მოაოჭრა სომხითი და წარვიდა. ხოლო მასვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა. ჩამოდგა სამშულდის ბარს; და მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი, შეიბნეს ფარცხისს, სძლიეს სპათა გიორგისთა და იოტნეს სპარსნი“<sup>97</sup>.

ამ შემთხვევაში „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი და დავითის ისტორიკოსი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცნობებს არ იძლევიან, ისინი ერთნაირად გადმოსცემენ გიორგი მეფის მიერ მუსლიმანთა კოალიციური ჯარის დამარცხებას, მაგრამ არც ერთს არა აქვს აღნიშნული, თუ როდის მოხდა ეს ამბები. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით „მელიქ-შაჰის მიერ სამშვილდის აღება, ქართლის აოხრება, შემდეგ სარანგის შემოსევა და მისი დამარცხება 1073—1074 წწ. უნდა მომხდარიყო“<sup>98</sup>. თ. ჟორდანიას ვარაუდით კი, ეს ბრძოლა 1077 წელს მოხდა<sup>99</sup>.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები მელიქ-შაჰის საქართველოში შემოსევის და შემდეგ მთელი ამ დაპყრობილი და დასაპყრობი რაიონების მეთაურად სარანგ სავთეგინის დანიშვნისა და გიორგი მეფის მიერ მისი დამარცხების თარიღად 1076 წელს მიიჩნევენ, თუმცა საამისო წყაროს არ უთითებენ<sup>100</sup>.

სარანგ სავთეგინის დამარცხების შემდეგ მეფე გიორგი დაბრუნდა „მამულსა თვისსა ტაოს, და მოვიდა ბანას“. დავითის ისტორიკოსის ცნობით, აქვე ეახლა მეფეს „ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი“<sup>101</sup>. იმდროისათვის სახელგანთქმული ქართველი მოღვაწის, ბიზანტიის სამსახურში მყოფი გრიგოლ ბაკურიანის ძის მოსვლამ დიდად გააზარა გიორგი მეფე. გრიგოლ ბაკურიანის ძემ, რომელიც ფლობდა ოლთისს, კარნუ-ქალაქსა და კარს, გიორგი მეფეს გადასცა კარის ციხესიმაგრე და მისი ახლომახლო მიდამოები. „და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს“. ამ

<sup>97</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

<sup>98</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 160.

<sup>99</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 229—230.

<sup>100</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 113; İslâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 371.

<sup>101</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

ფაქტით დიდად კმაყოფილმა გიორგი მეფემ დამკველებად „დაუტევენა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა“<sup>102</sup>.

ამ გაპარჯებისა და კარის მიღების შემდეგ გიორგი მეფეს ბიზანტიის მიერ მიტაცებული კლარჯეთის, არტაანის, შავშეთისა და ჭავჭავთის რაიონებში არსებული ციხეები მთლიანად უკან დაუბრუნებია. ამის შემდეგ ქალაქი ყარსი, თავისი სანახებით, ვანანდი, კარნიფორისა და ასიანის ციხეები ხელთ ჩაუგდია და სელჩუკები იქიდან განუდევნია. გიორგი მეფის მიერ ბიზანტიის ტერიტორიებიდან სელჩუკთა განდევნის და მისი დასაკუთრების შესახებ „მატიანე ქართლისაჲში“ ნათქვამია, რომ გიორგი მეფემ „წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჭავჭავთისა და არტაანისა... აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“<sup>103</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი ცნობიდან აშკარად ჩანს თუ რა დიდი ღონისძიებები ჩატარებია გიორგი მეფეს ქვეყნის გაფართოება-შემომტკიცების საქმეში. თავისი მეფობის პირველი წლებიდანვე მას მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაუდგამს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების გასაფართოებლად. მას ბიზანტიელებისათვის წაურთმევეია ანაკოფია და კლარჯეთის, შავშეთის, ჭავჭავთისა და არტაანის ციხეები; ჩანს, გიორგი მეფემ კარგად გამოიყენა ამიერკავკასიაში სელჩუკთა მიერ შევიწროებულ ბიზანტიელთა მდგომარეობა და მათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები წაართვა. ასევე, დიდი ღონისძიებები გაუტარებია მას სელჩუკთაგან კარის, ვანანდისა და კარნიფორის გამოსატაცებლად. ანატოლიაა და ამიერკავკასიაში სელჩუკთა მომძლავრებისა და გაბატონების დროს მნიშვნელოვანი პუნქტებიდან ბიზანტიელებისა და სელჩუკების განდევნა და საქართველოსათვის შემოერთება ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო ღონისძიება იყო. ასევე დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო გიორგი მეფის დროს გრიგოლ ბაკურიანის მიერ კარის ციხე-სიმაგრისა და მისი ახლომახლო მიდამოების საქართველოსათვის შემოერთება. ამ ღონისძიებაშიც ჩანს გიორგი მეფის დიდი სახელმწიფოებრივი საქმიანობა. გიორგი მეფემ ამ ამბით ფრიად გახარებულმა კარში ჩააყენა შავშელი აზნაურნი.

ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია იმის მტკიცება, თითქოს გიორგი მეფის დროს საქართველოს საზღვრები მეტად შემცირებული იყო.

<sup>102</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

<sup>103</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.



პირიქით, გიორგი მეფეს მოღვაწეობის დასაწყისში საკმაოდ გაუფარ-  
 თობია საქართველოს საზღვრები და რიგი მნიშვნელოვანი სტრატე-  
 გიული პუნქტები შემოუერთებია. ანატოლიასა და ამიერკავკასიაში  
 სელჩუკთა მომძლავრების პირობებში საქართველოს საზღვრების გა-  
 ფართობა დიდი მნიშვნელობის ღონისძიება უნდა ყოფილიყო. გიორ-  
 გი მეფეს განსაკუთრებით მძიმე საგარეო და საშინაო პირობებში მო-  
 უხდა მოღვაწეობა. განსაკუთრებით ძნელი იყო „დიდი თურქობის“  
 პერიოდში სელჩუკთა წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების მიღება, რო-  
 დესაც სელჩუკებმა თითქმის მთელი საქართველო დალაშქრეს და მრ-  
 ვალი პუნქტი დაიკავეს. სელჩუკები ამიერიდან ყოველწლიურად მო-  
 დიოდნენ საქართველოში. ამიტომ, სელჩუკებთან საერთო ენის გამო-  
 ნახვა ანდა წინააღმდეგობის გაწევა გიორგი მეფისათვის უფრო ძნე-  
 ლი იყო, ვიდრე ბაგრატ IV-ისათვის, რომლის მოღვაწეობის დროს  
 სელჩუკები ჯერ კიდევ არ იყვნენ ისე ფეხმოკიდებული ანატოლიასა  
 და ამიერკავკასიაში და არ გააჩნდათ პლაცდარმი, საიდანაც შეეძლე-  
 ბოდათ სისტემატური თავდასხმები ეწარმოებინათ საქართველოს ტე-  
 რიტორიაზე. ამასთანავე, ანგარიშგასაწევია ის მნიშვნელოვანი გარე-  
 მოება, რომ ჯერ კიდევ არსებობდა სომხეთის პოლიტიკური ერთეული,  
 რომელიც ერთგვარ ზღუდეს წარმოადგენდა ბაგრატ IV დროინდელი  
 საქართველოსათვის; გიორგი II მეფობის დროს კი, საქართველოს მე-  
 ზობლად უკვე აღარ არსებობდა სომხეთის სახელმწიფო; საქართვე-  
 ლოს სამუდამოდ დაუმეზობლდა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო,  
 რომელთანაც მას მთელი სამი საუკუნის განმავლობაში უხდებოდა  
 ახლო პოლიტიკური ურთიერთობის წარმოება. ამრიგად, გიორგი II  
 უფრო მძიმე საგარეო პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედა-  
 ვად ამისა, იგი დაულალავად იღვწოდა ქვეყნის შემომტკიცებისა და  
 შინაური და გარეშე მტრებისაგან თავდაცვის ორგანიზაციისათვის.

გიორგი მეფის ასეთი წარმატებები საქართველოს სამეფო საზ-  
 ღვრების გაფართოებისა და სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში  
 ხანმოკლე აღმოჩნდა, რამდენადაც სელჩუკები „მეზობლობით მოეახლ-  
 ნეს საზღვართა ჩუენთა“. საქართველოს მეზობლად ჩამოსახლებული  
 სელჩუკები, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდნენ გიორგი მეფის ასეთ  
 წარმატებას. როგორც სამართლიანად შენიშნავს თურქი ისტორიკოსი  
 ქაფესოღლუ, სწორედ გიორგი მეფის ასეთი გამარჯვებები გახდა მი-  
 ზეზი სულთან მელიქ-შაჰის ხელმეორედ დალაშქრობისა ამიერკავკასიასა  
 და საქართველოში<sup>104</sup>.

<sup>104</sup> I. Kafesoğlu, Sultan Melikşah devrinde..., გვ. 114.

საქართველოს მეფის ამ წარმატების აღსაქვეთად მელიქ-შაჰმა საგანგებო ლაშქარი გამოგზავნა საქართველოში. მელიქ-შაჰის მიერ გამოგზავნილმა ამირ აჰმედმა გრიგოლ ბაკურიანის სამფლობელოები — არზრუმი და ოლთისი დაიპყრო<sup>105</sup>. ასევე, ხელთ იგდო კარი და მოულოდნელად, „უგრძნეულად“ ყუელის ციხეში მდგომ მეფე გიორგის თავს დაესხა და დაამარცხა.

ქართველთა მეფეზე ამირ აჰმედის ასე მოულოდნელად თავდასხმას დავითის ისტორიკოსი ხსნის „შინა-გაცემითა ქრისტიანეთა“. ჩანს, გიორგი მეფის უკმაყოფილო წარჩინებულები სელჩუკთა მხარეზე გადასულან და ამან განაპირობა ყუელის ციხეში მდგომ მეფე გიორგიზე სელჩუკთა მოულოდნელი თავდასხმაც. გიორგი ამას არ მოელოდა. მან დროულად ვერ მოახერხა წინააღმდეგობის გაწევა, ამიტომ „აოტეჲს გიორგი მეფე და სჲა მისი ურიცხვ“. მტერს დიდძალი ნადავლი ჩაუვარდა ხელთ; „ხოლო საქურქლენი დიდნი და სამსახურებლნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდონი პატიოსანნი, კარაენი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს“<sup>106</sup>.

დამარცხებული მეფე გიორგი აქარაში გადავიდა. იქიდან კი, ჩანს, ისევ სელჩუკთა მოძალების გამო, აფხაზეთში წავიდა. სელჩუკებთან გიორგი მეფის ამ დამარცხებას თ. ჟორდანიას 1078—1079 წლით ათარიღებს<sup>107</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თურქების მიერ ქართველთა მეციხოვნეთა და მონაპირის ქ. კარითგან განდევნა და გიორგი მეფის ოტება ყუელის ციხითგან 1074—1080 წწ. შუა უნდა მომხდარიყო“<sup>108</sup>. დავითის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოდან დიდი ნადავლით უკან დაბრუნებული „ძლიერი და მაგრად მოისარი“ ამირ აჰმედი შეხვდა უზარმაზარი ლაშქრის მფლობელ სელჩუკთა ორ დიდ ამირს — „იასი ვინმე და ბუეღლუშ, და მათ თანა სიმრავლე ურიცხვ თურქთა, საბერძნეთს მიმავალთა“<sup>109</sup>.

ქართულ წყაროში დასახელებული ამირებ: — იასი და ბუეღლუში სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არიან აბუ იაყუბისა და ისა ჰორის სახელით<sup>110</sup>. ბიზანტიას მიმავალ ამ ძლიერ ამირებს აჰმედმა მოახსენა მის მიერ საქართველოში მოპოვებული გამარჯვებისა და

<sup>105</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

<sup>106</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319.

<sup>107</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 229—230.

<sup>108</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 161.

<sup>109</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319.

<sup>110</sup> M. H. Yinanç, დასახ. ნაშრ., გვ. 112; I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 114; İslâm Ansiklopedisi, cüz 104, გვ. 371.

ვიღძალი სიმდიდრის შესახებ: უამბო ქართველთა მეფის მძიმე მდგომარეობაზე, საქართველოს სიმდიდრეზე და ხაზინის სიუხვეზე. ამის გამო ორივე ამირამ შეიცვალა პიმართულება და პირდაპირ საქართველოსაკენ აღეს კურსი. მათი შემოსევა საქართველოსათვის გამანადგურებელი შეიქნა. ისინი თითქმის მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოეფანნენ „ვითარცა მკალნი“. საქართველოში მათ დალაშქრეს და ყოველი მხარე გაანადგურეს; კლარჯეთი ზღვამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი სელჩუკებმა დაიკავეს. ასეთი მასობრივი შემოსევის ქამს „მოისრა და ოყუე იქნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი“<sup>111</sup>.

საქართველოში სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქრის შემოსევის შედეგად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ეს იყო პირველი დიდი თურქობა; საქართველოს აქამდე არ ახსოვდა სელჩუკთა ასეთი მასობრივი და ყოვლისშომოკველი ლაშქრობა. ამჯერად ისინი მთელ საქართველოში იყვნენ გაბატონებული; თუ თოდრულ-ბეგისა და ალფ-არსლანის დროს სელჩუკთა ლაშქრობები საქართველოს მეზობლად ანდა მის სამხრეთ რაიონებში — სამცხეში ხდებოდა და ისიც მოკლე ხნით, ამჯერად სელჩუკებმა „ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოქამეს ქუეყანა და მოსწყუდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეფა, კლდეთა, ქუაბთა და ქურელთა ქუეყანისათა“<sup>112</sup>.

ეს პირველი დიდი თურქობა დაიწყო 1080 წელს; მანამდე, როგორც აღვნიშნეთ, სელჩუკებმა მთელი ანატოლიის გათურქება მოახერხეს. ბიზანტიისა და სომხეთის ტერიტორიებზე ამიერიდან არსებობდა სელჩუკთა პოლიტიკური ერთეული. საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბებული სელჩუკთა მუსლიმანური სახელმწიფო თავისთავად ქმნიდა შესანიშნავ პირობებს საქართველოზე სისტემატური თავდასხმისათვის. ქრისტიანული სახელმწიფოების ნაცვლად საქართველო მუსლიმანური მომთაბარეების გარემოცვაში აღმოჩნდა. ქვეყნის საგარეო პირობები და მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების ვითარება ისე წარიმართა, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოში სელჩუკთა შემოსევებისათვის ყოველგვარი საგარეო პირობები არსებობდა. ანატოლიაში ბიზანტიის კუთვნილი ტერიტორიები უკვე მთლიანად სელჩუკებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამჯერად საქართველო სელჩუკების წინააღმდეგ ბიზანტიის გარეშე იბრძოდა. ბიზანტიელები, რომ-

<sup>111</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლს ცხოვრება, I, გვ. 319.

<sup>112</sup> ი ქ ვ ე, გვ. 320.

ლებიც ასეთ ვითარებაში ყოველთვის ქართველებთან ერთად იყვნენ. ახლა თვითონაც განსაცდელში იმყოფებოდნენ, „რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემციირებული იყო. და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა“<sup>113</sup>. მთელს ამიერკავკასიაში საქართველო უკვე ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელსაც მარტოლმარტო უხდებოდა ბრძოლა სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევების წინააღმდეგ. ამას ემატებოდა შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით გარეშე პოლიტიკური მოვლენების — სელჩუკთა შემოსევების დროს ძლიერდებოდა. დიდი თურქობის დროს განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ჯიდგვარიანი წარჩინებულები, რომელთაც ვიწროპირადელი ინტერესები ამოძრავებდათ და გარეშე უცხო ძალებთან ერთად უპირისპირდებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ივანე ლიპარიტის ძის საქმიანობა.

პირველი დიდი თურქობის დროს სელჩუკთა მიერ მოხრებული და განადგურებული საქართველო მკაცრმა ზავთარპმა მძიმე დღეში ჩააყენა. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოიპრა“<sup>114</sup>.

ამიერიდან, სელჩუკები საქართველოში საძარცვად ყოველი წლის გაზაფხულზე მოდიოდნენ და დაზანებდებამდე რჩებოდნენ. ისინი სისტემატურად დათარეშობდნენ საქართველოში. „და განგრძელდა ესე ვითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა: რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათუე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან“<sup>115</sup>. ასეთი მძიმე საგარეო ვითარების დროს შეუძლებელი იყო ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ინტენსიურ მეურნეობას გაძლოლოდა. კულტურული მეურნეობისათვის მძიმე მდგომარეობას ისიც ქმნიდა, რომ საძარცვად შემოჭრილი სელჩუკი მომთაბარეები უკან იშვიათად ჰიდიოდნენ და აქვე სახლდებოდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე მომთაბარეთა ჩამოსახლება ყოველწლიურად მატულობდა. მეტადრე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები. „თანდათან თურქმა მომთაბარეებმა ქართლ-კახეთის ნაყოფიერი ველები საზამთრო სადგომებად, ხოლო ქართლ-მეწახეთის ზეგნები თავიანთი ჯოგებისა-

<sup>113</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

<sup>114</sup> ი ქ ვ ე, გვ. 320.

<sup>115</sup> ი ქ ვ ე.

თვის საზაფხულო საძოვრებად გადააქციეს<sup>116</sup>. რასაკვირველია, ასეთ მძიმე ვითარებაში, როდესაც მწარმოებელ საზოგადოებას ყოველ წუთს საფრთხე მოელოდა და შეუძლებელი ხდებოდა მეურნეობის წარმოება. „...არა იყო მათ უმთა შინა თესვა და მკა: მოაჯრდა ქუეყა-აა და ტყუდ გარდაიქცა, დანაცვლად კაცთა მკეცნი და ნადირნი ველი-სანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდეს-ვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჯრებათასა“<sup>117</sup>.

სელჩუკთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად შექმნილ ვითარებას შეპანიშნავად გვიხატავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი; მისი სიტყვით წარყვნილ იქნა წმინდა ეკლესიანი, მოსახლეობა დატყვევებულ იქნა; სელჩუკებმა მოხუცებიც არ დაინდეს. „ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუთებულ, ხოლო ჩჩულნი მიმოდატაცებულ“ იქნენ<sup>118</sup>. სელჩუკებმა საქართველოს მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს; ასევე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მთელს ამიერკავკასიაში. ივ. ჭავჭავაძის თქმით, „სადაც კი თურქები გაჩნდებოდნენ, ყველგან მათის მოღვაწეობის ძეგლად უაღრესი ბარბაროსობა, გაოხრებული და გადაბუგული ქვეყნები რჩებოდა“<sup>119</sup>.

საქართველოში დიდი თურქობის დროს სელჩუკთა მიერ ჩადენილ საშინელებათა შესახებ ცნობას გვაწვდის აგრეთვე ქვათახევში დაცული სამოციქულოს 1083 წლის წარწერა, რომელიც თ. ჟორდანიას სიტყვით, „ერთად-ერთიდა უძველესი — 1083 წელს გადაწერილი პირია თვით გიორგი ათონელის მიერ გასწორებულის სამოციქულოისა. ეს ხელნაწერი მით უფრო სანდოა და ძვირფასი, რომ იგი, სიძველის გარდა, თვთ გიორგი ათონელის სამოციქულოდამ არის გადმოწერილი იმავე გიორგი მონაზონისაგან“<sup>120</sup>.

ამ წარწერაში გიორგი ხუცეს-მონაზონი აღწერს სელჩუკთა შემოსევების დროს სამცხის აოხრებას, ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, ადგილობრივი მოსახლეობის გაქცევას და მთა ადგილებში დამალვას, მათ დატყვევებას, ქვეყნის განადგურებასა და აოხრებას; იგი აღნიშნავს: „... რომელი ესე მისითავე მადლითა აღვსწერე სამოძღურებელად და სალხინებელად... მე უღირამან გ'ი ხუცეს-მონაზონმან ღირსისა და წ'სა მამათ-მამისა გ'ი მთაწმიდელისა თვალით მხილველმან და ხე-

<sup>116</sup> ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, მკეტი, თბ., 1956, გვ. 143.

<sup>117</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

<sup>118</sup> იქვე.

<sup>119</sup> ივ. ჭავჭავაძის თქმით, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 161.

<sup>120</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 320.

ლით მსახურმან და მოწაფემან ეამთ მათ ქირისა და იწროებისათა, დევნულებისა და ტყუეობისათა, ოხრებისა და სიკუდილწათა, ოდეს სრულიად აოხრდა ზეგარდმო სამცხე თვნიერ რაჲ მე მეშტიოჲსა, ომელნი სიმაგრეთა შნა დაშთეს იგიცა საღმობიერნი და ურვეულნი“<sup>121</sup>.

გიორგი ხუცეს-მონაზონი ამ შემთხვევაში გადმოგვცემს თავისი თვალით ნახულს. ავტორი მხოლოდ სამცხის მღვდმარეობას გადმოგვცემს. ადვილი წარმოსადგენია, რა ვითარება იქნებოდა მთელს საქართველოში დიდი თურქობის დროს.

ამრიგად, ქართული წყაროების მიხედვით აშკარად ჩანს საქართველოში სელჩუკთა შემოსევების შედეგად შექმნილი მძიმე მღვდმარეობა. ქვეყანა გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. გიორგი მეფემ სწორად შეაფასა ყოველივე. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ხლებოდა სულთან მელიქ-შაჰს ისფაჰანში და ყმობა და მორჩილება გამოეცხადებინა. დავითის ისტორიკოსის ცნობით, „ამათ რა საქმეთა ესრეთ ხედვითა მეფე გიორგი და რამეთუ არა-სადათ იყო ღონე ჭსნისა და შეწევნისა, არცა რა დამქანელი ამათ ძვრთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა“<sup>122</sup>. ასეთი ვითარების გამო გიორგი მეფემ შეჰყარა თავისი დიდებულები და საგანგებო ბჭობის შემდეგ გადაწყდა მეფის წასვლა მელიქ-შაჰის წინაშე. „მაშინ ჰყო განზრახვა დიდებულთა თჳსთა თანა, და დაამტკიცეს წარსვლა მალალსა სულტანსა მალიქ-შას წინაშე“<sup>123</sup>. მეფე გიორგის ამ გადაწყვეტილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი და აღნიშნავს, რომ მან „ესრეთ დადვა სული თვისი და სისხლნი ქრისტიანეთა ჭსნისათჳს“.

გიორგი მეფე „წარვიდა ასპანს (ისფაჰანს — ნ. შ.), ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მასგან ვითარცა შვილი საყუარელი“. ქართულ ნარატიულ წყაროებში არ არის მითითებული გიორგი მეფის ისფაჰანს წასვლის თარიღი; სამაგიეროდ ერთი ქართული დაზიანებული წარწერა იძლევა ამ ამბის თარიღს. ამ წყაროს მიხედვით, 1083 წელს „აქ გიორგი მეფე სულტანსა... წინაშე წარვიდა“<sup>124</sup>. წარწერა აღადგინა და ზემოთ მოტანილი სახით გამოაქვეყნა თ. უორდანიამ.

მხითარ აირივანელი ქართველი მეფის სულთან მელიქ-შაჰთან გამგზავრების თარიღად 1081 წელს მიიჩნევს, იგი აჰავე დროს მეფე გიორგის ნაცვლად შეცდომით დემეტრეს იხსენიებს; ამასთანავე, მისი ცნობით საქართველოს მეფესთან ერთად მელიქ-შაჰთან წაყიდნენ სო-

<sup>121</sup> თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. 231.

<sup>122</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. 229.

მეტა მეფე კვირიკე და სომეხი კათალიკოსი — ბარსელი: მისივე ცნობათ, ყველანი დიდად კვაყოფილი დაბრუნებულან უკან<sup>125</sup>. მელიქ-შაჰმა „ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესცა სასოებისა. და სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი“<sup>126</sup>. მელიქ-შაჰის მიერ კახეთისა და ჰერეთის წყალობა გიორგი მეფისათვის ვერაფერი დიდი პატივი იყო. ეს ქვეყნები სელჩუკიან სულთანს არ ეკუთვნოდა; იგი აბოძებდა იმას, რაზეც ხელი არ მიუწვდებოდა. სულთანი ამ „წყალობის“ სანაცვლოდ ქართველი მეფისაგან ხარაჯის გადახდას ითხოვდა. თურქი ისტორიკოსის ი. ქაფესოღლუს აზრით, გიორგი მეფეს მელიქ-შაჰთან მოლაპარაკების შემდეგ ვეალებოდა მის მფარველობაში ყოფილიყო, ხარაჯა ეხადა და საჭიროების შემთხვევაში ლაშქარი გამოეყვანა<sup>127</sup>.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მელიქ-შაჰის საქციელში ხედავდა მის კაცთმოყვარეობას, ქრისტიანთა სიყვარულსა და მართლმსაჯულებას. იგი აღნიშნავდა „რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა. რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხვნი საცნაურებანი, მართლმსაჯულობანი, ქრისტიანეთა სიყუარულნი, ...ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოვლით-კერძო აქუნდა“<sup>128</sup>. ასევე მელიქ-შაჰის ჰუმანურობასა და მის კეთილ ბუნებაზე ვრცლად მოგვითხრობენ ალ-ჰუსეინი და სხვა არაბი და სპარსელი ისტორიკოსები. შეიძლება მელიქ-შაჰი საერთოდ კეთილი ბუნების ადამიანი იყო, როგორც ამას წყაროები გადმოგვცემენ, მაგრამ გიორგი მეფესთან ურთიერთობის დროს იგი უფრო რეალური გარემოებიდან გამოდიოდა. მას ქართველი მეფისაგან უფრო შემოსავლის მიღება აინტერესებდა, ვიდრე მისადმი მართლმსაჯულება და კაცთმოყვარეობა.

ბუნებრივია, რომ სულთანი ხარაჯის მიღებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე თავისი „ქრისტიანეთა სიყვარულის“ გამომჟღავნებით, როგორც ამას დავითის ისტორიკოსი ფიქრობს.

სულთან მელიქ-შაჰთან მისულმა მეფე გიორგიმ იკისრა ხარაჯის გადახდის ვალდებულება; მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა; ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენის საჭიროება ითხოვდა ამ ნაბიჯის გადადგმას;

<sup>125</sup> Хронологическая история составленная отцом Мехитаром Вардапетом Айриванским. Перевод с армянского с предисловием и примечаниями К. Патканова, СПб., 1863, стр. 408.

<sup>126</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

<sup>127</sup> ი. ქაფესოღლუ, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

<sup>128</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

გიორგი მეფის მიერ ხარაჯის შესახებ მელიქ-შაჰის წინადადების მიღებისთანავე სულთანმა ამირებს მისწერა, რომ საქართველოს თავს არ ჯასხმოდნენ, მეფე კი მზღებლებითურთ თავის ქვეყანაში დააბრუნა. გიორგი მეფემ სელჩუკიან სულთანთან ხლებით ყოველწლიური თავდასხმებისა და განადგურებისაგან ცოტა მოასვენა ქვეყანა, სამაგიეროდ, ხარაჯის გადახდა იკისრა, რომელსაც სელჩუკები „აიღებდეს უამთა მრავალთა“. ამის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ის, რაც ითავილა ბაგრატ IV და არას გზით ხარკზე არ დასთანხმდა, მისმა შვილმა გიორგიმ და იმდროინდელმა ქართველებმა თითქმის სიხარულით შეიწყნარეს და დაიდეს, — ამდენად ილაჯ-გაწყვეტილი იყო მაშინ საქართველო თურქების გამუდმებული ცარცვა-გლეჩისაგან“<sup>129</sup>. მართლაც, რომ მეტად მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო სელჩუკთა გამუდმებული და მასობრივი შემოსევების შედეგად. მეფე გიორგისა და იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მიერ გადადგმული ნაბიჯი ერთადერთი სწორი გზა იყო ქვეყნის ფიზიკური განადგურების გადაარჩენისათვის. სულ სხვა ვითარება იყო ბაგრატ IV დროს, როდესაც სელჩუკები ჯერ კიდევ არ იყვნენ ასე მომძლავრებული საქართველოს მეზობლად; ისინი ბიზანტიისა და სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ დაკავებული და მხოლოდ საქართველოს სამხრეთ ნაწილს მისწვდნენ; ბაგრატ IV უფრო მეტი ენერჯია და ძალა შესწევდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომაც იგი არ დასთანხმდა აღფ-არსლანისათვის ხარაჯის მიცემასზე.

მელიქ-შაჰთან საერთო ენის გამონახვის შემდეგ, სამშობლოში დიდი პატივით გამობრუნებული გიორგი მეფისათვის, დავითის ისტორიკოსის ცნობით, მთავარი საქმე „ნაწყალობევი“ ჰერეთისა და კახეთის შემოერთება იყო. კახთა მეფე, რა თქმა უნდა, ნებით არ დასთმობდა ქვეყანას, ამიტომ მელიქ-შაჰმა მეფე გიორგი „ესრე განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგზავნა თვსად სამეფოდ და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშვდობისა და რათა აართვან კახეთი“<sup>130</sup>. ამრიგად, სამშობლოში დაბრუნებული გიორგი მეფე სულთნის ნება-სურვილით უცხო ძალით მოდიოდა და მისი საშუალებით ფიქრობდა კახეთის შემოერთებას. დიდ სელჩუკი სულთნისათვის ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებული და სასარგებლოც იყო; ისედაც განადგურებული ქვეყნის გასაერთიანებლად უცხო ძალის გამოყენება კი საქართველოს მძიმე განსაცდელში აგდებდა. მელიქ-შაჰი ამ ღონისძიებით დაპყრობილ ქვეყანაში ცენტრისკენული ძალების დასუსტე-

<sup>129</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 162.

<sup>130</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.



პას და მოძქეთა შორის მტრობის ჩამოგდებას ლაშობდა. ყოველივე ეს კარგად ესმოდა გიორგი მეფეს, მაგრამ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

ისფაჰანიდან გამობრუნებული მეფე გიორგი სელჩუკთა მაშველი ჭარით კახეთში მოვიდა, ვეყინის ციხეს მოადგა და გარემოიკვა. „უჲსა სთულისაა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეყინისაა და, ვიდრე ბრძოდესლა, მოვიდა თოვლი“<sup>131</sup>. გიორგი მეფემ მთელი კახეთი თურქთა მაშველ ძალებს მიანება და თვითონ რადგანაც „არცა ელოდა აღებასა ვეყინისასა და კახეთისა“ და მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა. „თუთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“<sup>132</sup>. თურქთა ლაშქარმა, რომელიც გიორგი მეფემ კახეთში დატოვა და „მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი“, ისე გაავერანა ეს მხარე, რომ დიდხანს ველარ მოხერხდა მისი მოშენება. „მოწარდა მუნ დღეინდელად დღედმდე“.

თურქი ისტორიკოსის მ. ინანჩის აზრით, მეფე გიორგი თურქი ამირებისაგან იმდენად იყო შეშინებული, რომ მისთვის ნაბოძები მხარის დაპყრობას თავი მიანება, მის მფლობელობაში მყოფი სუჯეთისა და კუხეთის რაიონები მისსავე მიერ მოყვანილ თურქთა რაზმებს ჩააბარა და დიდი სულთნის სურვილის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. მეფემ ამის შემდეგ ლიხის მთა გადაიარა და აფხაზეთში წავიდა; იქ თავის ადგილსამყოფელში დადგა და, თითქოს დიდი სულთნის მორჩილი, იძულებული იყო თურქ ამირებთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა“<sup>133</sup>.

როგორც ჩანს, თურქი მეცნიერი მეფე გიორგის აფხაზეთში წასვლას გარკვეულ პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს. ბუნებრივია, რომ მელიქ-შაჰისაგან „წყალობაქმნილი“ გიორგი მეფე შედეგებით არ იქნებოდა კმაყოფილი; მართალია, სულთანმა ზედამარბეველთაგან გაათავისუფლა საქართველო და მის სანაცვლოდ ხარაჯა აიღო, მაგრამ სულთნის მიერ გამოტანებული სელჩუკთა რაზმები, რომლებიც გიორგი მეფეს კახეთის აღებაში უნდა დახმარებოდნენ, ისედაც განადგურებულ ქვეყანას უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდნენ. გიორგი მეფისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო სელჩუკთა რაზმების საქართველოში შემოსვლისა და კახეთის აღების საქმეში მათი მონაწილეობის შედეგები. ალბათ, ამიტომ სთქვა გიორგი მეფემ უარი თურქებთან ერთად კახეთის ციხეების აღებაზე და აფხაზეთს წავიდა. ჩვენ ტენდენ-

<sup>131</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>133</sup> M. H. Y i n a n c, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

ციური გვერდებზე და ვითაც აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა გიორგი მეფის მიერ აჯამეთში ნადირობის სურვილის გამო ვეჭინის ციხის გარემოცვის მოხსნის შესახებ. გიორგი მეფისათვის დაფარული არ უნდა ყოფილიყო მელიქ-შაჰის ზრახვები და, ამავე დროს, თურქებთან ერთად კახეთის ციხეების მოსალოდნელი აღების შედეგებიც. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კახეთის ციხე-სიმაგრეები სელჩუკთა მიერ დაკავების შემდეგ; მან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ იმაში პოვა, რომ გაცლოდა მათ და კახეთის აოხრებაში მონაწილეობა არ მიეღო.

სელჩუკთაგან შევიწროებული კახთა მეფე აღსართანი სულთან მელიქ-შაჰთან წავიდა დახმარების მისაღებად. მან სულთანს ალფ-არს-ლანის დროს არსებული მეგობრული ურთიერთობა მოაგონა, თვითონ კი კვლავ „დუჟტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი“<sup>134</sup>.

სულთან მელიქ-შაჰმა აზერბაიჯანი თავის ბიძაშვილს, იაყუთის შვილს ყოთბ ედ-დინ ისმაილს მისცა და ამ ქვეყნების მელიქად დანიშნა; მას დაუმორჩილა ამიერკავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები<sup>135</sup>. მთელი საქართველოც მას ემორჩილებოდა; ყოთბ ედ-დინ ისმაილის სამფლობელო ერთგვარი პლაცდარმი იყო საქართველოს შიდა რაიონებზე თავდასახმელად და, ალბათ, საამისო დეველებაც ჰქონდა მას დიდ სელჩუკი სულთნისაგან მიღებული, რომელიც კარგად გრძნობდა ქართველთა პოზიციას და იცოდა, რომ ისინი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდნენ მისთვის ხარკი შეეწყვიტათ და სელჩუკთა ბატონობის უღელი გადაეგდოთ.

საქართველოში დიდი თურქობის პირობებში შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელსაც სულთანიც უწყობდა ხელს, ქვეყანას უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. ქართველ პოლიტიკოსთა მიერ ასეთი შინაურული ომების დროს რიგრიგობით უცხო ძალის — სელჩუკების მოშველიებით ქვეყანა მოოხრდა, „ამათ ესევეითართა ჟამთა არავე დამშუდნა ქუეყანა, არცა-რა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათჳს მკვდრთა მისთასა“<sup>136</sup>. ამ ცნობების ავტორს კარგად ჰქონდა შეგნებული ის გზა, რომელზედაც დიდ სელჩუკი სულთანი აყენებდა ქართველ პოლიტიკოსებს დიდი თურქობის ჟამს; ქართველ პოლიტიკოსთა საქმიანობიდანაც აშკარად ჩანს, რომ სელჩუკებთან ბრძოლა უშუალოდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ საქართველოში კლასობრივ-

<sup>134</sup> დაკითხის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

<sup>135</sup> M. H. Yinanc, დასახ. ნაშრ., გვ. 113; I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

<sup>136</sup> დაკითხის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

სა და შინაკლასობრივ ბრძოლასთან. „ქვეყნის წინაშე საშინელი საფრთხე აღიმართა. ქართველი ხალხის გადასარჩენად აუცილებელი იყო მისი ძალების სრული მობილიზაცია თურქთა წინააღმდეგ“<sup>137</sup>.

ამ პერიოდში სელჩუკთა გამუდმებული შემოსევებისა და შინაკლასობრივი ბრძოლების შედეგად „მოოჯრებული იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“<sup>138</sup>. საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტები სელჩუკებს ჰქონდათ დაკავებული.

მთელი ქართლი სელჩუკთა სათარეშოდ იყო ქცეული, მათ აქ საზამთრო სადგომები ჰქონდათ, „ზამთრისა მოწვენასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავქალას და დიდომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური“<sup>139</sup>. ამას გარდა, სელჩუკები თავისუფლად დათარეშობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში. შემოდგომის დადგომისთანავე მთელი თავისი ავლა-დიდებით, საქონლითა და „ყოვლითა ფალანგებითა მათითა“ გაჩიანს ჩამოდგებოდნენ, თბილისიდან ბარდავამდე მთელი მტკვრის სანაპირო და იორის პირი მათ ჰქონდათ დაკავებული; ეს ტერიტორია ზამთარში მათი საქონლისათვის მშვენიერი საძოვრები იყო. ამას გარდა, სანადიროდაც საუკეთესო პირობები იყო. ამ ტერიტორიებზე გამოზამთრების შემდეგ ისევ აიყრებოდნენ და საზაფხულო საძოვრებზე მიდიოდნენ სომხეთის მთებში. ასეთი მომთაბარე მეჭოგეების განუკითხავი თარეშის შედეგად მთელი აღმოსავლეთი საქართველო იყო მოოჯრებული. ამას გარდა, ის ადგილები, რაც თურქებს არ ეჭირათ, დიდგვარიანი აზნაურების ხელში იყო; მაგალითად „მათ ეამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-ქარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა ლიპარიტს, და მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად“<sup>140</sup>.

პირობები ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარებისათვის მნიშვნელოვნად შეაფერხა სელჩუკთა მასობრივმა შემოსევებმა და ქვეყნის შიგნით შინაკლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ. საქართველოსათვის მძიმე აღმოჩნდა რუსთავის, დმანისის, სამშვილდის და სხვა ქალაქების მტრის ხელში გადასვლა. ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო ხორნაბუჯი, არადეთი, ავარანი, ქავაზნი, გაგი და სხვა ციხეები. მწარმოებელ საზოგადოებას არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა სელჩუკებისათვის განკუთვნილი ხარკის გადახდა, რომელიც გიორგი II იკისრა ქვეყნის ფიზიკური განადგურების თავიდან ასაცი-

<sup>137</sup> ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია. მაკეტი, გვ. 144.

<sup>138</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.

<sup>139</sup> იქვე, გვ. 326.

<sup>140</sup> იქვე, გვ. 324.

ლებლად. მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში ძლიერი ხელისუფლების შექმნის მომხრეებმა გიორგი მეფე აიძულეს უარი ეთქვა სამეფო ტახტზე და იგი თავისი შვილის დავითისათვის გადაეცა, რომელიც მიუხედავად ახალგაზრდობისა, სავსებით მომზადებული იყო დიდი სახელმწიფო საქმეებისათვის.

საჭირო იყო ქვეყნის შინაგანი ძალების სრული მობილიზაცია. როგორც გარეშე მტრის, ისე შინაური ურჩი ფეოდალების ასალაგმავად. ამ პერიოდში შექმნილი ვითარების გამო ახლად წარმოქმნილი ფეოდალური მონარქია იძულებული იყო ებრძოლა არა მარტო საქართველოს გაერთიანების დამთავრებისათვის, არამედ ქვეყნის მნიშვნელოვანი რაიონებიდან და ქალაქებიდან უცხო დამპყრობელთა განსადევნად<sup>141</sup>. ამ მხრივ, დავით აღმაშენებელმა მეტად მძიმე და საპატიო ამოცანა იკისრა; მან გონივრულად განსაჯა ქვეყნის მდგომარეობა და ისე წარმართა მთელი რიგი ღონისძიებები.

ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხების მოგვარებაში სამეფო ხელისუფლება დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, როგორც ფეოდალური არისტოკრატის მხრივ, ისე გარეშე მტრების მხრივაც. ქვეყნის გაერთიანებისა და უცხო ძალის ბატონობის თავიდან მოსაშორებლად სამეფო ხელისუფლებას წვრილ აზნაურთა და ეკლესიას გარდა მხარს უჭერდნენ ქალაქები, რომლებიც, ბუნებრივია, დაინტერესებული იყვნენ ფეოდალური კარჩაკეტილობის ლიკვიდაციით, ქვეყნის გაერთიანებით და უცხო დამპყრობელთაგან ქვეყნის განთავისუფლებით. სამეფო ხელისუფლებას კარგად ესმოდა ქალაქების როლი ქვეყნის გაერთიანების საქმეში და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა არა მარტო მათ განთავისუფლებას უცხო დამპყრობელთა ან მსხვილ ფეოდალთაგან და მათ საკუთარ ხელში აღებას, არამედ ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების შემდგომ დაწინაურებას. იქმნებოდა კავშირები სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის<sup>142</sup>.

ამრიგად, XI ს-ის 80-იანი წლებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაძლიერებული თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრებისა და შემოსევა-ჩამოსახლების შედეგად დაიწყო „დიდი თურქობა“. თურქთა ტომების მასობრივი შემოსევები და ჩამოსახლება საფრთხეს უქმნიდა განვითარებულ ქართულ ფეოდალურ მეურნეობას; მათი გაბატონება ნიშნავდა ქართული კულტურული სოფლის მეურნეობის სრულ განადგურებას. მომთაბარე სელჩუკებს საძოვრებად ვრცელი

<sup>141</sup> Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тбилиси, 1959, стр. 38.

<sup>142</sup> ი ქ ვ ე, გვ. 39.

ველები სჭირდებოდათ. ისინი, ქართველი გლეხკაცის სახნავ-სათეს ადგილებს, ნოყიერ ველ-მინდვრებს საძოვრებად აქცევდნენ და მეურნეობას მოშლითა და განადგურებით ემუქრებოდნენ. ქართული ფეოდალური მეურნეობის სისტემის შეცვლასთან ერთად, შესაბამისად შეიცვლებოდა მისი სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობაც. „ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი, საუკუნეობით განმტკიცებული საზოგადოებრივი, სოციალური კლასებისა და ფენების მაგიერ პრიმიტიული წყობილებისათვის შესაფერისი დაყოფა შემოდიოდა“<sup>143</sup>; თურქ-სელჩუკთა მომთაბარე-მეჯოგე ტომთა მეთაურების თვალსაზრისით მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფოდა. ერთნი იყვნენ თვითონ დამპყრობელნი — სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელნი და მეორენი — ყველა დანარჩენნი, დაპყრობილი ქვეყნების ქვეშევრდომნი, ე. წ. რაიათები. ასეთ დაყოფას შეესაბამებოდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად დაპყრობილ ხალხთა ადვირაზსნილი ექსპლოატაციისა და ძარცვის საიმედო აპარატს წარმოადგენდა.

ქართველი მწარმოებელი საზოგადოება იძულებული ხდებოდა მოწყვეტილიყო ინტენსიურ მეურნეობას და ფიზიკური მოსპობისაგან თავის გადასარჩენად მთებში გახიზნულიყო. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში შესანიშნავად არის გადმოცემული სელჩუკთა შემოსევების შედეგად მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა, ქვეყნის აოხრება და სოფლის მეურნეობის შეფერხება. მისი სიტყვით, „დიდი თურქობის“ ეპოს საქართველოში არ იყო თესვა და მკა, ქვეყანა მოოხრდა და ტყედ გადაიქცა. სახნავ-სათესი და საბალ-ვენახე ადგილები გავერანდა; სელჩუკებმა მოსახლეობა არ დაინდეს, მათ ტყეებში, კლდეებსა და ქვაბებში თავშეფარებულნიც დახოცეს. „დიდი თურქობა — ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა თურქულ ველურ მომთაბარეობასა და ქართულ კულტურულ მეურნეობას შორის“<sup>144</sup>.

დიდ თურქობას უდიდესი უარყოფითი შედეგები ჰქონდა საქართველოსათვის. თურქ-სელჩუკთა მომთაბარეულ-მეჯოგური მეურნეობა, რომელიც მათ საქართველოში შემოჰქონდათ, ერთიანად უპირისპირდებოდა განვითარებული ფეოდალური ქვეყნის კულტურულ მეურნეობას, ანგრევდა და ანადგურებდა ქალაქებს და დაცემის პირამდე მიჰყავდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა. საქართველოს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები და ქალაქები სელჩუკთა ხელში გა-

<sup>143</sup> შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა., დიდგორის ბრძოლა, თბ., 1955, გვ. 84.

<sup>144</sup> ნ. ბ. ე. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ე. ი. ლ. ი., საქართველოს ისტორიის საკითხები. I, თბ., 1964, გვ. 275.

დადიოდა. სელჩუკთა შემოსევები უფრო აძლიერებდა შინაკლასობრივ ბრძოლებს, ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ძირს უთხრინდა აღმავლობის გზაზე შემდგარ ფეოდალურ სახელმწიფოს. მწარმოებელი საზოგადოება სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად იძულებული ხდებოდა ბრძოლის პასიური ფორმებისათვის მიემართა, თავი მიენებებინა მეურნეობისათვის და მთებში გახიზნულიყო. ამის გამო დავითის ისტორიკოსი შენიშნავდა, რომ „თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა“. „დიდმა თურქობამ“ ქართული სოციალურ-ეკონომიური წყობის სრული მოშლისა და გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა ფეოდალურად მზარდი სახელმწიფო. „თურქ-სელჩუკების სამეურნეო, სოციალური თუ სახელმწიფოებრივი წყობა სავსებით საწინააღმდეგო, გამომრიცხველი იყო ყველაფერი იმისა, რაც ამ დროისათვის საქართველოში და საერთოდ, ამიერკავკასიაში არსებობდა: რეგრესიული ძალები უპირისპირდებოდა პროგრესულ, აღმავლობის გზაზე შემდგარ ქვეყნებს“<sup>145</sup>.

საქართველოში თურქ-სელჩუკთა გაბატონება, ქართული სოციალურ-ეკონომიური წყობის სრულ მოშლას და მის ნაცვლად მომთაბარულ-მეჭოფური, ექსტენსიური მეურნეობის გაბატონებას ნიშნავდა. მაგრამ, „დიდი თურქობის“ ეამს, სელჩუკებმა ვერ მოახერხეს ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმების დარღვევა, იაინი იძულებული იყვნენ მხოლოდ ხარკის აღებით დაკმაყოფილებულიყვნენ. „დიდი თურქობა“ საშიშ პრეცედენტს წარმოადგენდა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმების შენარჩუნებისათვის; მიუხედავად სელჩუკთა გამუდმებული თავდასხმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და მორალური დაზარალებისა, ქართველმა ხალხმა დიდი ზიანის ფასად მაინც შეძლო თავისი თვითყოფობის, ქართული პროგრესული ფეოდალური მეურნეობის შენარჩუნება.

---

<sup>145</sup> შ. მ. ს. ხ. ი. ა. დიდგორის ბრძოლა, გვ. 84.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად  
დაშლა და მისი შედეგები საქართველოსათვის

ნიზამ ალ-მულქის მკვლევლობიდან ერთი თვის შემდეგ მელიქ-შაპიც მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიკვდილიც საიდუმლოებით იყო მოცული. მელიქ-შაპის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ტახტისათვის. იბნ ალ-ასირის ცნობით, სახელმწიფო დაიშალა, დაიწყო გაუთავებელი დინასტიური ომები. გამართლდა ნიზამ ალ-მულქის წინასწარმეტყველური სიტყვები<sup>1</sup>. ქვეყნის შიგნით მდგომარეობა მეტად გართულდა. ნიზამ ალ-მულქისა და მელიქ-შაპის მკვლევლობა ისმაილიანების მიერ, ხალიფას მტრული მოქმედება სულთნის მიმართ, ისმაილიანთა ორდენის გააქტიურება, უფლისწულთა შორის სასულთნო ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლები, გლეხთა აჯანყებები და სხვა სიძნელეები ჭმნიდნენ პირობებს ქვეყნის დეცენტრალიზაციისა და ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად დანაწილებისათვის. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლას და ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლების არარსებობას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ამიერიდან საქართველოში ისე ინტენსიურად აღარ გაგრძელდებოდა თურქული ტომების ჩამოსახლების პროცესი და გაერთიანების გზაზე შემდგარ ფეოდალურ ქვეყანას უფრო მეტი საშუალება და პირობები ექმნებოდა ძალთა მობილიზაციისა და ერთიანი ფრონტით დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისა. იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მესვეურები შესანიშნავად აფასებდნენ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და მის შესაბამისად წარმართავდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

როგორც აღვნიშნეთ, მელიქ-შაპის სიკვდილის შემდეგ ღად სელჩუკთა სახელმწიფოში უფლისწულთა შორის მრავალწლოვანი

<sup>1</sup> М И Т Т, I, стр. 380.

ბრძოლები დაიწყო. მელიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარების შეფასება მოცემული აქვთ კ. მარქსსა და ფ. ენგელსს „ქრონოლოგიურ ამონაწერებში“<sup>2</sup>. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. ბ. ზახოდერი, სულთნისა და ვეზირის საკვდილმა ხელები გაუხსნა ფეოდალურ ანარქიას. დაიწყო უმოწყალო ბრძოლა ლენების მსხვილ და წვრილ მფლობელებს შორის. სელჩუკთა სახელმწიფო ელვისებრად დაიშალა მრავალ სამფლობელოდ<sup>3</sup>.

ისმაილიანებმა მელიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის ატეხილი ბრძოლის დროს უფრო გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა ისფაჰანში, მაგრამ ბარქიაროკმა მოახერხა მათი უმოწყალოდ გაყლე-ტა. ისმაილიანთა მოძრაობა იმდენად გაფართოვდა, რომ თვით ბარქიაროკის გვარდიაშიც გავრცელდა მათი აგიტაცია.

ქვეყანაში საშინელი არეულობის პერიოდი დაიწყო. ყველაზე დიდი აჯანყებები მოხდა ქერმანში, ისფაჰანში, ფარსსა და ჰამადანში. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კლასისა და ფენების წარმომადგენლები. ისფაჰანში მომხდარ აჯანყებაში ქალაქის დაბალი ფენები მონაწილეობდნენ. თვით ბარქიაროკის ლაშქარიც კი ისპაილიანებს ემხრობოდა. მაგრამ აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი სელჩუკთა ლაშქრის მიერ.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში ნოჰადური არისტოკრატის მიერ უკიდურესად შევიწროებულმა ხალხის ფართო მასებმა თავიანთი ინტერესების გამომხატველად და დამცველად ისმაილიანები სცნეს. ისმაილიანები მოუწოდებდნენ მათ სელჩუკების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისა და ფეოდალური წყობილების წესებისაკენ. მათ მიერ წამოყენებული ლოზუნგები მახლობელი აღმოსდა ფეოდალური ექსპლოატაციით დაჩაგრული მწარმოებელი საზოგადოებისათვის. ამიტომ პოვა ფართო მხარდაჭერა ისმაილიანთა მოძრაობამ მთელს სელჩუკთა იმპერიაში. პირველ ხანებში ისმაილიანთა სექტის მიმდევრები ხელოსნები და გლეხები იყვნენ, რამდენადაც ისმაილიანთა მოთხოვნები იმ დროს ჯერ კიდევ რამდენადმე გამოხატავდნენ ექსპლოატირებული დაბალი ფენების მისწრაფებებს<sup>4</sup>. რეალურად ისმაილიანთა მოძრაობა იყო ერთი მხრივ, მწარმოებელი საზოგადოების გამოსვლა ახალი ფეოდალური წესების წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი იგი ითვალისწინებდა ადგილობრივ წარჩინებულთა ბრძოლას ცენტრალური ფეოდალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ადგილობრივმა ფეოდალებმა ეს

<sup>2</sup> Архив Маркса и Энгельса, т. I, 1938, стр. 113—114.

<sup>3</sup> Б. Н. Заходер, История восточного средневековья (Халифат и Ближний Восток), Москва, 1941, стр. 96.

<sup>4</sup> Всемирная история, т. III, 1957, стр. 499—500.



კლასობრივი ინტერესები სელჩუკთა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენეს. მაგრამ ისმაილიანებმა XI ს-ის მეორე ნახევარში ირანში გაწყვიტეს კავშირი მწარმოებელ საზოგადოებასთან და შექმნეს ისეთი სექტა, რომელიც უპირატესად ფეოდალთა გაბატონებული კლასის ცალკეული ჩამორჩენილი ჯგუფებისაგან შედგებოდა. ისმაილიანთა ორდენის მეთაურები გლახთა მასების ანტიფეოდალური ბრძოლის მეთაურები არასდროს ყოფილან, ისინი მათ მხოლოდ თავიანთი კლასობრივი ინტერესების დასაცმაყოფილებლად იყენებდნენ. განსაკუთრებით გაძლიერდა ისმაილიანთა მოძრაობა მელიქ-შაჰის დროს, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების შედეგად, რაც ჰასან საბაჰის სახელთანაა დაკავშირებული<sup>5</sup>.

მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ ასასინების სექტის დამარსებელმა ჰასან იბნ საბაჰმა გააცოცხლა ფანატიზმი და მას წმინდა პოლიტიკური მიმართულება მისცა<sup>6</sup>. მან მოკლე ხანში დიდი ავტორიტეტი და სახელი მოიხვეჭა. სელჩუკიან მმართველთათვის საცესებით ნათელი იყო ჰასან საბაჰის მტრული მოქმედება მათ მიმართ, ამიტომ დროულად მიიღეს ზომები მის გასანადგურებლად, მაგრამ ჰასანმა მიმალვა მოასწრო. ჰასან საბაჰის პოლიტიკური კრედო და გადაუდებელი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გაენადგურებინა სელჩუკთა სახელმწიფო და მისი ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა მოსახლეობა.

ჰასან საბაჰი ყოველნაირად ცდილობდა ფართო მასების მიმხრობას, ეწეოდა აგიტაციას სელჩუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ის თავის სამოქმედო ასპარეზად ისეთ რაიონებს არჩევდა, სადაც სახალხო მოძრაობები და უკმაყოფილო ელემენტები ყველაზე მეტად იყო. ისმაილიანები უარყოფდნენ ფეოდალურ ურთიერთობას და თანასწორობის ლოზუნგებით გამოდიოდნენ. ჰასან საბაჰის მიხედვით, ღმერთის შეცნობა ხდებოდა არა გონების გზით და სწავლით, არამედ მხოლოდ იმამის ახსნა-განმარტებით. იმისათვის, რომ ღმერთს ერწმუნონ საჭიროა იმამი, რომელიც ადამიანებს ყოველთვის ასწავლის თავის მოძღვრებას. ჰასან საბაჰისათვის ასეთი იმამი იყო ფატიმიანთა დინასტიის ხალიფა მუსთანსირი (1036—1094) და შემდეგ მისი შვილი ნიზარი. ჰასან საბაჰი იმამის შესახებ თავის მოძღვრებას შესანიშნავად იყენებ-

<sup>5</sup> Л. В. Строева, Исмаилиты Ирана и Сирии в зарубежной и советской историографии, «Историография и источниковедение истории стран Азии», I, 1965, Л., стр. 138—148; И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веках, Л., 1966, стр. 292—296.

<sup>6</sup> Архив Маркса и Энгельса, Соч., т. V, 1938, стр. 127.

დ. სელჩუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი მოითხოვდა ქონებრივ თანასწორობას და იმამხადმი რწმენას. ჰასან საბაჰის მოძღვრება უარყოფდა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო წყობილების არსებობას და მის კანონიერებას. „ისმაილიტთა პოლიტიკურ მიზნებსა და მისწრაფებებში მთავარი იყო თურქ-სელჩუკიანთა ბატონობის და მათი სახელმწიფოს დამხობა“<sup>7</sup>. ჰასანის მომხრეების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა; მან აქტიური საქმიანობა გააჩაღა ირანში. მისი მოქმედების ცენტრი ისფაჰანში იყო. იგი ბევრს დადიოდა ერთი ქალაქიდან მეორეში და თავისი იდეების პროპაგანდას ეწეოდა.

ჰასან საბაჰმა თავისი სამოქმედო ასპარეზი ჩრდილოეთ ირანში, კასპიისპირეთის რაიონებში გადაიტანა.

1081—90 წლებში ჰასან საბაჰის მიერ სელჩუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გაჩაღებულმა ფართო მასშტაბის მოქმედებამ ხელისუფლების შიში და სიძულვილი გამოიწვია. სელჩუკთა სახელმწიფოს გაბატონებული კლასის დამოკიდებულებას ისმაილიანებისადმი ნათლად გამოხატავს ნიზამ ალ-მულქი. მისი თქმით, სარწმუნოებისათვის არ არსებობს უფრო საშიში და საზიზლარი მტერი, ვიდრე ისმაილიანები. ქვეყნის გამგებლის მოწინააღმდეგეთაგან ამათზე უარესი არავინ არის<sup>8</sup>.

ნიზამ ალ-მულქი თავის დიდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ თვლიდა ჰასან საბაჰს. მას კარგად ესმოდა მის მიერ ქვეყნის შიგნით გაჩაღებული საქმიანობის არსი და მისი უარყოფითი შედეგები სელჩუკთა სახელმწიფოსათვის. ამიტომ სისტემატურად აგზავნიდა ნიზამ ალ-მულქი თავის სამხედრო ძალებს ჰასან საბაჰის დასატყვევებლად და მისი მომხრეების გასანადგურებლად; რაც უფრო აძლიერებდა ნიზამ ალ-მულქი რეპრესიებს ჰასან საბაჰის მიმართ, მით უფრო ფართო ხასიათს იღებდა ისმაილიანთა მოძრაობა მთელს სახელმწიფოში. როგორც ნიზამ ალ-მულქი აღნიშნავდა, ისმაილიანების მიზანი იყო რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ გაენადგურებინათ მუსლიმანობა, ზიანი მიეყენებინათ ისლამისათვის და ხალხში დაბნეულობა შეეტანათ<sup>9</sup>.

ჰასან საბაჰს უამრავი მომხრე გამოუჩინდა მთელს იმპერიაში. ისმაილიანთა მოძრაობამ ძალიან ფართო ხასიათი მიიღო. მათ მთავარ დასაყრდენ ძალას ხელოსნები შეადგენდნენ. ისმაილიანები დიდი წარმატებით სარგებლობდნენ ირანის რიგი ქალაქების ხელოსნებსა და

<sup>7</sup> ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII სუუენებში, გვ. 44.

<sup>8</sup> Спасет-намэ, стр. 188—189.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 223.

ღარიბებში. განსაკუთრებით სწრაფად იკიდებდა ფეხს ისმაილიანთა მოძრაობა ირანის იმ რაიონებში, სადაც მეტწილად გამწვავებულია სოციალური მოძრაობები შიშლინარობდა. „უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ისმაილიტთა ზედაფენის წარმომადგენლები მიმართავდნენ სოციალური ხასიათის დემაგოგიას, რათა თავის გარშემო დაერაზმათ წვრილი ვაჭრები და ხელოსნები“<sup>10</sup>.

ჰასან საბაჰმა საოცარი ენერჯია და მონდომება გამოიჩინა ისმაილიანთა სექტის გასაძლიერებლად, მან დაუღალავი მეცადინეობის წყალობით მშვიდობიანი და დაქვემდებარებული ადგილობრივი ირანელი მოსახლეობა საოცრად მებრძოლ ძალად გადააქცია<sup>11</sup>. ჰასან საბაჰის წინაშე 1090 წლისათვის მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი. — მოენახა ისეთი ადგილი, სადაც თავს უშიშრად იგრძნობდა და საიდანაც შეძლებდა ისმაილიანთა მოძრაობის ხელმძღვანელობას. ასეთ ხელსაყრელ ადგილად მან ალამუთის ციხე აირჩია. გაითვალისწინა ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, ხშირი იყო გლეხთა ანტიფეოდალური გამოხვედები. მან ანგარიში გაუწია აგრეთვე მთიელი მოსახლეობის თავისუფლებიანადმი სწრაფვას. ამასთანავე ალამუთი 35 კმ-ის მანძილზე მდებარეობდა ქალაქ ყაზვინიდან, სადაც მას საიმედო დასაყრდენი ძალები ჰყავდა ადგილობრივი ხელოსნების სახით. ალამუთი თავისი ბუნებრივი სიმაგრითა და მიუდგომლობით სავსებით შესაფერისი იყო ჰასან საბაჰისათვის თავის შესაფარებლად. ჰასანმა ადვილად მოახერხა ალამუთის ხელთ ჩაგდება 1090 წლისათვის; ამ დროიდან უკვე ახალი ეტაპი იწყება ისმაილიანთა მოძრაობის ისტორიაში; ისინი უკვე აქტიური და ლეგალური ხასიათის პროპაგანდასა და ბრძოლაზე გადადიან. ალამუთის ციხეში, სადაც ისმაილიანები გაბატონდნენ, სელჩუკთა ხელისუფლება აღარ ვრცელდებოდა. ისმაილიანებს ალამუთის ციხის სახით უკვე ჰქონდათ მყარი დასაყრდენი, მიუდგომელი ადგილი, საიდანაც ჰასან საბაჰი წარმართავდა ისმაილიანთა მოძრაობას. ალამუთის ხელთ ჩაგდებისთანავე ჰასან საბაჰმა დაიწყო ახლომახლო ტერიტორიების გაფართოება. პირველი, ვინც მას წინააღმდეგობა გაუწია, იყო სელჩუკთა ერთ-ერთი ვეზირი — იურუნ-თაში, რომელსაც ალამუთი და მისი მიდამოები სელჩუკთა ხელისუფლებისაგან იკტას სახით ჰქონდა მიცემული.

იურუნ-თაშის ძალები სულთნის ლაშქრით იყო გაძლიერებული. ჰასან საბაჰის წარმატება საგონებელში ავდებდა მის დაუძინებელ

<sup>10</sup> ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

<sup>11</sup> V. Ivanow, Brief Survey of the Evolution of Ismailism. Leiden, 1952, გვ. 17.

მტერს ნიზამ ალ-მულქს, რომელიც სისტემატურად გზავნიდა მის წინააღმდეგ ლაშქარს. იურუნ-თაშის ძალები სულთნის ლაშქართან ერთად ამჯერადაც დაიძრა ალაშუთის წინააღმდეგ.

ალ-ჰუსეინი აღნიშნავს: „როდესაც ჰასან საბაჰმა ალაშუთის ციხეს თავი შეაფარა და მიწაზე წებდა და ზარალი ემუქრებოდა მთელ იმ მხარეს, ამ დროს ნიზამ ალ-მულქმა თავისი ჯარებით ალყა შემოარტყა ციხეს და გზები გადაკრა“<sup>12</sup>. მაგრამ ჰასან საბაჰმა ყოველთვის და სხვა ახლომახლო რაიონების ძალების მოშველიებით მოახერხა მათი მოგერიება. ალაშუთის დასაცავად ჰასან საბაჰის მხარეზე იყვნენ რუდბარის გლეხები, ყაზვინის, თალეყანის და ქუჰებარის ხელოსნები. მხოლოდ იმიტომ, რომ ამ აუცილებელ სპაილიანთა მოძრაობა იყო გავრცელებული, მოხერხდა მოკლე ხანში ძალების შეკრება და ჰასან საბაჰის დასახმარებლად გაგზავნა.

ჰასან საბაჰის მიერ ალაშუთის ბელში ჩაგდება ისპაილიანების პირველი დიდი გამარჯვება იყო. ამიერიდან ისინი აქედან სისტემატურად აგზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს მთელ იმპერიაში და თანდათანობით აძლიერებდნენ და ამრავლებდნენ თავიანთ მომხრეებს. სელჩუკთა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მათ წინააღმდეგ ლაშქრის გამოგზავნას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი თუ ჰქონდა, რამდენადაც სულთან მელიქ-შაჰისა და ნიზამ ალ-მულქის მოულოდნელი მკვლელობების გამო, რომელშიაც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ისპაილიანები, სახელმწიფოში შინაფეოდალური ომები და სამეფო ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ქვეყნის შიგნით შექმნილმა სიძნელეებმა დროებით გადადეს ისპაილიანთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ისპაილიანებმა ამით ისარგებლეს და უფრო გააძლიერეს თავიანთი მოქმედება.

იმპერიის სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებული ისპაილიანთა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი საზრუნავი იყო<sup>13</sup>. ისპაილიანები არაკეთიარ დაბრკოლებას არ ერიდებოდნენ. ხშირად იყენებდნენ ტერორის მეთოდს თავიანთი მოწინააღმ-

<sup>12</sup> ა ხ ბ ა რ, გვ. 49.

<sup>13</sup> ისპაილიანთა მოძრაობის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები სულთან მელიქ-შაჰის დროს შესწავლილი აქვს თანამედროვე თურქ ისტორიკოსს ალი სევიმს. იხ. Ali Sevim, Sultan Melikşah devrinde Alisa ve Bahreyn Karmatilerine Karşı Selçuklu Seferi, Belleten. c. XXIV, sayı. 94, Ankara, 1960, გვ. 209—232. იბრაჰიმ ქაფესოღლუსა და მეჰმედ ქოჰენის ნაშრომებში არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამოუკიდებელი სელჩუკთა ხელისუფლების მიერ ისპაილიანთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების გადმოცემას. იხ. I. Kafesoğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 130—135; M. A. Köymen, დასახ. ნაშრ., გვ. 200—213.

უკვების მიმართ. ინდივიდუალური მკვლელობის მეთოდი გახდა ნთავარი ამ სექტის საქმიანობაში.

ისმაილიანთა ორდენის მკაცრი იერარქიისა<sup>14</sup> და თავისი სექტის მიმართ ფანატიკური განწყობილების შედეგად ისმაილიანთა ორდენის წევრები რიგ წარმატებებს აღწევდნენ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. ისმაილიანებმა 1091—2 წელს აჯანყება მოაწყვეს ყოქმესთანში, სადაც გაიმარჯვეს კიდეც; ამ აჯანყების მიზეზი იყო სელჩუკთა ხელისუფლების მიერ ყოქმესთანის იკტად გაცემა. მელიქ-შაჰის მიერ ყოქმესთანის წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნას მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა შეუშალა ხელი. ისმაილიანებმა ყოქმესთანის გარდა ხელთ იგდეს მრავალი ქალაქი და სოფელი. მათ თითქმის მთელს ირანსა და სირიაში ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები. თვითონაც თავდაცვითი მიზნით აშენებდნენ ახალ-ახალ ციხე-სიმაგრეებს. ამავე დროს ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ კონტროლი გაეწიათ ახლომახლო მდებარე ციხეებისა და ასევე მნიშვნელოვანი საქარაენო გზებისათვის, რომლებიც ისმაილიანთა ციხეების ახლოს გადიოდა. ამით ისმაილიანები ახერხებდნენ სელჩუკთა ხელისუფლების მოსპობას მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე. ისმაილიანთა მოძრაობის წინააღმდეგ ამხედრებული იყო სელჩუკთა მთელი სამხედრო ნომადური არისტოკრატია. ისმაილიანები კი თავის დასაცავად და ძლიერ მტრებთან — ფეოდალებთან ბრძოლის საწარმოებლად ინდივიდუალური ტერორის მეთოდს მიმართავდნენ. როგორც აშკარად, ისევე საიდუმლოდ.

ისმაილიანების ბრძოლას სელჩუკთა სამხედრო ნომადური არისტოკრატის წინააღმდეგ მხარს უჭერდნენ ხელოსნები და ქალაქის დარბიზი ფენები. ამიტომაც იყო, რომ იგი მასობრივ ხასიათს იღებდა და უმეტეს შემთხვევაში ისმაილიანები გამოდიოდნენ გამარჯვებული სელჩუკებთან ბრძოლაში. ბონდარი ნათლად გადმოგვცემს თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისმაილიანთა მოძრაობამ ადგილობრივი მოსახლეობა და როგორ განიმტკიცეს მათ პოზიციები იმპერიის უმეტეს ნაწილში. მისი ცნობით, ისმაილიანების გამოჩენით უბედურება მოვიდა და უჩვეულო ვითარება შეიქმნა. ისმაილიანები მაგრად დამკვიდრ-

<sup>14</sup> ისმაილიანთა ორდენის სტრუქტურისა და ორგანიზაციის შესახებ იხ. Б. Н. Заходер, История восточного средневековья (Халифат и Ближний Восток), 1944, стр. 95—96; ბერნარდ ლევისის განცხადებით, ალაშუთის ციხეში მოკალათებული ისმაილიანების იერარქია შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: შეიხი, დავი, ფიდაი და მურიდები. Bernard Lewis, *Ismaililer, İslâm Ansiklopedisi*, cüz 52, გვ. 123; И. П. Петрушевский, *Ислам в Иране в VII—XV веках*, Л., 1966, стр. 276—312.

დნენ, ხალხის ერთი ნაწილი მის წინააღმდეგ გამოდიოდა, მეორე ნაწილი კი მასთან მშვიდობიან მოლაპარაკებას ეწეოდა, კავშირს ამყარებდა და მათთან კეთილგანწყობილებაში იყო<sup>15</sup>. ისმაილიანთა მოძრაობამ უკიდურესად დააჩქარა ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობების გამომყვანება; სელჩუკებთან ბრძოლის სხვადასხვაგვარი მეთოდების გამოყენებით ისმაილიანებმა ძირი გამოუთხარეს სელჩუკთა ძლიერებას. ისმაილიანთა კონსპირაციული საქმიანობის შედეგად სელჩუკთა სახელმწიფო მოღვაწეები ძალიან ხშირად იღუპებოდნენ ისმაილიანთა ორდენისაგან. ისმაილიანთა ორდენის ლიდერი — ჰასან საბაჰი ნიზამ ალ-მულქისა და ცნობილი პოეტის და გამოჩენილი ასტრონომის ომარ ხაიამის ბავშვობის მეგობარი იყო. ამ სამი მეგობრიდან ნიზამ ალ-მულქი პოლიტიკურ სარბიელზე დაწინაურდა; ომარ ხაიამი პოეზიისა და მეცნიერების სამსახურში ჩადგა. ჰასან საბაჰი კი ნიზამ ალ-მულქის დახმარებით მიღებულ იქნა სულთნის სასახლეში საპატიო თანამდებობაზე, მაგრამ მან დაიწყო ინტრიგები ნიზამ ალ-მულქის მიმართ; ნიზამ ალ-მულქმა დროზე გაუგო და მოახერხა მისი სასახლიდან გაგდება. სულთნის სასახლიდან გაგდების შემდეგ ჰასან საბაჰისათვის აზრი არ ჰქონდა ნიზამ ალ-მულქთან ძველი მეგობრული ურთიერთობის აღდგენას. იგი ამიერიდან ისმაილიანთა სექტას დაუკავშირდა და ირანში მისი ფუძემდებელი გახდა. ნიზამ ალ-მულქის ბავშვობის მეგობარი და თანამოაზრე ჰასან საბაჰი მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი დაუძინებელი მტერი იყო. ბოლოს, მან მაინც მიაღწია თავის მიზანს: მის მიერ გაგზავნილი ფიდაების მიერ იქნა მოკლული ნიზამ ალ-მულქი.

როგორც აღვნიშნეთ, მელიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიაში უფლისწულთა შორის მრავალწლიანი ბრძოლები დაიწყო. სულთნის ტახტისათვის ბრძოლა ძირითადად მელიქ-შაჰის ორ შვილს შორის — ბარქიაროქსა და მაჰმუდს შორის მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში მელიქ-შაჰმა თავისი საყვარელი ცოლის — თურქან-ხათუნის ზეგავლენით ტახტის მემკვიდრედ უმცროსი შვილი — მაჰმუდი გამოაცხადა, იმ დროს, როდესაც კანონით იგი ბარქიაროქს ეკუთვნოდა. მამის გარდაცვალების დროისათვის მაჰმუდი ძალიან პატარა იყო, ბარქიაროქი კი — 13 წლისა<sup>16</sup>. არაბული წყაროს ცნობით, სულთნის მეუღლეს თურქან-ხათუნს მელიქ-შაჰის სიცოცხლეში სახელმწიფოს საქმიანობა ხელთ ჰქონდა ჩაგდებული<sup>17</sup>. ამიტომ მან ადრევე მოაგვარა ტახტის მემკვიდრეობის

<sup>15</sup> ბონდარი, გვ. 66—67.

<sup>16</sup> რავენდი, I, გვ. 136.

<sup>17</sup> ახბარ, გვ. 55.

საკითხი: მან მთელი თავისი შესაძლებლობა და ძალაუფლება იმიან-  
 თვის გამოიყენა, რომ სულთნის ტახტი მის შვილს დაეკავებინა. წყა-  
 როს ცნობით, თურქან-ხათუნი „ძალიან წყალობდა და ასაჩუქრებდა  
 ჯარს. ამიტომ ჯარმა მისი შვილი აირჩია ფადიშაჰად... მთელი სიმიდ-  
 რე ამ ქალის ხელში იყო და ყველაფერი ეს ჯარს დაურიგა. ამიტომ  
 ისინი დამორჩილდნენ ამ ბიქს და მასთან ერთად ისფაჰანში დაბ-  
 რუნდნენ“<sup>18</sup>. ამრიგად, თურქან-ხათუნმა თავისი დიდი გავლენისა და  
 სიმიდრის წყალობით ქვეყნის სამხედრო ძალები მიიმხრო და მათი  
 საშუალებით მოახერხა თავისი შვილის ტახტზე აყვანა. იმისათვის,  
 რომ ბარქიაროკი ტახტისათვის ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, მან იგი  
 წინააწაღ დაატყვევებინა. მაგრამ ნიზამ ალ-მულქის მომხრეებმა რო-  
 გორც კი გაიგეს სულთნის სიკვდილი, მაშინვე გაანადგურეს არსენა-  
 ლი და ქალაქს დაეპატრონენ, ბარქიაროკი ციხიდან გაათავისუფლეს  
 და ისფაჰანში მის სახელზე ხუტბა წაიკითხეს<sup>19</sup>.

როდესაც თურქან-ხათუნი თავის შვილთან ერთად ბაღდადიდან  
 ისფაჰანში მოვიდა, ბარქიაროკმა რეისკენ დაიხია და იქ თავისი ძალები  
 გააძლიერა. გაძლიერებულმა ისევ შემოუტია ისფაჰანში თურქან-  
 ხათუნის ძალებს და დაამარცხა. „ბარქიაროკი ისფაჰანს ჩამოვიდა და  
 ალყა შემოარტყა. ამ წლის დამთავრებამდე მაჰმუდი და დედამისი  
 თურქან-ხათუნი დაიხოცნენ და საქმე გამოსწორდა“<sup>20</sup>. ამრიგად, ბარ-  
 ქიაროკმა ხელთ იგდო სამეფო ტახტი. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშ-  
 ნავდა, რომ ამით დამთავრდა ტახტისათვის ბრძოლა. ტახტისათვის  
 პრეტენზიას აცხადებდა მელიქ-შაჰის ძმა თაჯ ედ-დოვლე თუთუში —  
 სირიის სელჩუკთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და სხვა უფლისწუ-  
 ლები. წყაროებში ვრცლადაა აღწერილი ბარქიაროკის მიერ თავის  
 ბიძასთან და სხვა უფლისწულებთან წარმოებული ბრძოლები<sup>21</sup>.

თუთუში თავისი ნათესაეებითურთ ბარქიაროკის წინააღმდეგ გა-  
 მოვიდა. მან სასწრაფოდ მოახდინა ლაშქრის მობილიზება და ძალა-  
 უფლების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ბარქიაროკისა და თუთუშის  
 შეტაკება მოხდა რეიდან 12 ფარსახის მანძილზე. „იომეს, რის შედე-  
 გადაც 488(1095) წლის საფარის თვეში თაჯ ედ-დოვლე მოკლულ იქნა  
 და მისი ჯარები დამარცხდნენ“<sup>22</sup>. ამ გამარჯვებით ბარქიაროკმა თით-  
 ქოს განიმტკიცა მდგომარეობა, მაგრამ მის წინააღმდეგ მალე მისი ძმა  
 მოჰამედ თაბერი გამოვიდა. ბარქიაროკს ხშირად უხლებოდა ბრძოლის

<sup>18</sup> ბ. ნ. დ. ა. რ. გვ. 52.

<sup>19</sup> რ. ა. ვ. ე. ნ. დ. ი. გვ. 139.

<sup>20</sup> ა. ს. ბ. ა. რ. გვ. 52.

<sup>21</sup> ი. ქ. ვ. ე. გვ. 52—55; რ. ა. ვ. ე. ნ. დ. ი. გვ. 139—146.

<sup>22</sup> ა. ს. ბ. ა. რ. გვ. 53; რ. ა. ვ. ე. ნ. დ. ი. გვ. 140.

გამართვა საგვარეულოს წევრებს შორის. მან თავისი სულთნობის პერიოდში მთელი ენერჯია ტახტის მაძიებელ უფლისწულებთან ბრძოლას შეაღია, მაგრამ მაინც ვერ შეინარჩუნა მელიქ-შაჰისდროინდელი ძლიერება. სულთან ბარქიაროკი იძულებული გახდა მოლაპარაკებოდა თავის ძმებს და მშვიდობიანობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე გაენაწილებინათ ქვეყნები, მაგრამ ეს შეთანხმება მხოლოდ ცარიელ სიტყვად დარჩა. ძმებს შორის ზავი დიდხანს არ გაგრძელებულა. თითოეული მათგანი დამოუკიდებლად და თავისუფლად გრძნობდა თავს. სელჩუკთა უზარმაზარი იპყერია სულთან ბარქიაროკის დროს უფრო წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა.

ბარქიაროკი (1092—1104) ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. მის დროს ისე გააქტიურდნენ ისმაილიანები, რომ წყაროს ცნობით, 1099 წ. მათ სულთანი დაქრეს<sup>23</sup>. იმდენად მოიშალა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება, რომ სულთანს განუდგნენ დიდმოხელენი, რომელთაც ოლქების საქმეები ჰქონდათ მინდობილი.

ამრიგად, მელიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ უფრო ძლიერდებოდა დამოუკიდებლობისათვის სწრაფვის ტენდენციები. ცენტრიანი ძალების გააქტიურების შედეგად უფრო და უფრო სუსტდებოდა სახელმწიფოს ხელისუფლება. ტახტისათვის ბრძოლებმა მოშალა ცენტრალური სახელმწიფო აპარატი; იქმნება ცალკეული ფეოდალური დაჯგუფებები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი კანდიდატი აიყვანონ სასულთნო ტახტზე. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად ძლიერდება პროვინციების მმართველების, იქტას მფლობელი პირების ძალაუფლება. სახელმწიფო აპარატის დეცენტრალიზაცია უფრო აძლიერებს წინააღმდეგობას და მტრობას სელჩუკთა დინასტიის წევრებს შორის, ერთი მხრავ, და სელჩუკთა დინასტიის წევრებსა და მომთაბარე არისტოკრატებს შორის, მეორე მხრივ. მკვეთრად შემცირდა შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში, სამაგიეროდ ცალკეული პროვინციების, იქტას მფლობელთა შემოსავალი გადიდდა. მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიური ექსპლოატაცია და ფეოდალების თავისუფალი და დამოუკიდებელი საქმიანობა უარყოფითად მოქმედებდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე. ცენტრალურ ხელისუფლებას თანდათანობით ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი ადგილობრივი ფეოდალის სამფლობელოებზე. ადგილობრივი ფეოდალის უფლებები კი ერთიორად იზრდებოდა. ქვეყნის დეცენტრალიზაციის პირობებში მათი მდგომარეობა უფრო მტკიცე ხდებოდა. ადგილობრივ ფეოდალთა ხელისუფ-

<sup>23</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, I, გვ. 140.



ლებიან განმტკიცება და დამოუკიდებლობის მოპოვება ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა იყო მელიქ-შაჰის მეფობის შემდგომი პერიოდისათვის, როცა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ბაზაზე შექმნილი რამდენიმე ცალკეული სელჩუკური პოლიტიკური ერთეული არსებობდა და რომლებიც სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. სახელმწიფოს მიერ იკტას საფუძველზე მიწების გაბოძება ისევე გრძელდებოდა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების დაუძღვრების გამო იკტას მფლობელები სახელმწიფოს წინაშე თავიანთ პირობას არ ასრულებდნენ და ამავე დროს მიწაზე უპირობო მემკვიდრეობითი საკუთრების უფლებას იძენდნენ. საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფო მიწების კატეგორია, მაშინ, როდესაც მულქისა და იკტას მიწების, და აგრეთვე სავაკუფო მიწების რაოდენობა წინა პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა<sup>24</sup>.

XI ს-ის მიწურულისათვის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოთა ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავების შედეგად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ სელჩუკი მბრძანებლები თითქმის არ იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის გამგებლობაში.

დიდ სელჩუკთა უზარმაზარი იმპერია, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალიზაციის შედეგად ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა. შეიქმნა სელჩუკთა სახელმწიფოები სირიაში, ერაყში, ქერმანში, მცირე აზიაში. წარმოიშვა წვრილ-წვრილი საამიროები; მელიქ-შაჰის სიცოცხლეში ნომინალურად მაინც სცნობდნენ მის უზენაესობას, მისი გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ვითარების შედეგად ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება უფრო შორს წავიდა. მთელი იმპერია 12 პროვინციისაგან შედგებოდა<sup>25</sup>. ერთ-ერთი მათგანი იყო ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ დაყოფილი იყო ცალკეულ საამიროებად და სამელიქოებად. თითოეული მათგანი სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს და, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობდა საკუთარი ტერიტორიების გაფართოებას მეზობლების ხარჯზე. მთელი ანატოლია საამიროებით იყო მოფენილი. მარტო ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოში 19 საამირო შედიოდა. ამ საამიროების გამგებლები იყვნენ ან თვით სელჩუკთა დინასტიის წევრები, ანდა მათი ამირები და მხედართმთავრები; მაგრამ დროთა ვითარებაში ზოგიერთი საამირო იმდენად გაძლიერდა, რომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ნაკლებად სცნობდა სელჩუკთა უზენაეს ხელისუფლებას.

<sup>24</sup> А. А. Али-Заде, К некоторым вопросам..., стр. 272.

<sup>25</sup> М. Н. Уйпанц, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი ცალკეული სელჩუკური მრავალრიცხოვანი საამიროების არსებობა ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ როგორ შორს წასული მოვლენა იყო ფეოდალიზაციის პროცესი XI ს-ის ბოლოსათვის.

თითოეული საამირო, მართალია, უშუალოდ იყო დაკავშირებული უზენაეს ხელისუფლებასთან, მაგრამ ყოველი მათგანი დამოუკიდებლად აწარმოებდა დაპყრობით ომებს და ცდილობდა თავისი სამფლობელოების გაფართოებას. ანატოლიის ამირები განსაკუთრებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს სულეიმანშაჰის გარდაცვალების შემდეგ. როდესაც გარკვეული დროის მონაკვეთში ანატოლიის სასულთნოს ტახტზე მბრძანებელი არ იქდა, იყო უმეფობის ხანა, ხოლო დიდ სელჩუკი სულთანი ნაკლებად ერეოდა მცირე აზიის ცალკეული საამიროების საქმეებში. უმეფობის ხანა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში 1092 წლამდე გაგრძელდა. ანა კომნენეს ცნობით, ჯერ კიდევ სულეიმანშაჰის სიცოცხლეში მისი ორი ვაჟი ტყვედ იქნა წაყვანილი ხორასანში, მაგრამ დიდი სულთნის გარდაცვალების შემდეგ მათ მოახერხეს გაქცევა და ნიკეაში მოსვლა. ქალაქის მოსახლეობამ ძმები სიხარულით მიიღო. ნიკეის გამგებელმა ქალაქი მათ გადასცა; მათ შორის უფროსი ძმა — ყილიჩ-არსლანი არჩეულ იქნა სულთნად.

ამრიგად, გარკვეული ხნის უმეფობის შემდეგ ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ტახტზე დაჯდა ყილიჩ-არსლანი (1092—1107), რომელმაც აღადგინა მამის ტახტი და განაგრძო დამოუკიდებელი დაპყრობითი ომები ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზანტიამ ამ დროისათვის უკვე თითქმის მთელი მცირე აზია დაკარგა. მის განკარგულებაში მხოლოდ სანაპირო რაიონები რჩებოდა. ბიზანტიის იმპერია მძიმე კრიზისს განიცდიდა, როგორც ქვეყნის შინაგანი ვითარების თვალსაზრისით, ისე საგარეო პირობების მხრივაც. აღმოსავლეთიდან მას სელჩუკები უტევდნენ, დასავლეთიდან კი თურქული მოდგმის ტომები — პაქანიკები.

უკვე XI საუკუნის მიწურულისათვის ბიზანტია უმწეო იყო. მას შველოდა ოსტატური თამაში, რისი მეოხებითაც მტრობას სთესავდა მეტოქეებს შორის. ვინდა არ ფიქრობდა, რომ სასწრაფოდ დაეკავებინა მისი ადგილი<sup>26</sup>. სელჩუკები უფრო და უფრო ავიწროებდნენ ბიზანტიელებს სანაპირო რაიონებშიც. ხედავდნენ რა ბიზანტიის გამოუვალ მდგომარეობას, სელჩუკები ცდილობდნენ ბიზანტიაზე თავდასხმის დროს პაქანიკებს შეერთებოდნენ და ერთიანად შეეტიათ მათთვის. ანა

<sup>26</sup> В. А. Гордлевский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 50.

კომნენე დაწვრილებით აგვიწერს სელჩუკთა თავდასხმებს ბიზანტიის სანაპირო რაიონებზე — აპოლონსა და კაზიკზე. მისი სიტყვით, სელჩუკებმა გაანადგურეს მთელი სანაპირო ტერიტორიები. იმპერატორმა გაგზავნა მაშველი ჯარი, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ სელჩუკთა ლაშქარს ურიცხვი მაშველი ძალა მოუვიდა, იძულებული გახდა უკან დაეხია, საბოლოოდ ბიზანტიელები მაინც შეხვდნენ სელჩუკთა ლაშქარს, რომელსაც ამირ ილხანი მეთაურობდა. ბიზანტიელები სასტიკად დამარცხდნენ. იმპერატორმა ამჯერად უფრო ძლიერი ლაშქარი გაგზავნა სელჩუკთა წინააღმდეგ და დაამარცხა ისინი. მაგრამ მიუხედავად ასეთი ცალკეული წარუმატებლობისა, სელჩუკები სისტემატურად უტევდნენ ბიზანტიელთა სანაპირო რაიონებს და თანდათანობით ავიწროებდნენ მათ. ბიზანტიელები უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მხრიდან კარს მომდგარი მომთაბარეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ანა კომნენე ვრცლად აღწერს ბიზანტიელთა ბრძოლებს პაქანიკების წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე სელჩუკთა მოქმედების შესახებ მხოლოდ ბიზანტიურ წყაროებშია დაწვრილებითი ცნობები შემონახული.

როგორც აღვნიშნეთ, სელჩუკების ამოცანა იყო ხელთ ჩაეგდოთ ბიზანტიელთა უკანასკნელი დასაყრდენი სანაპირო რაიონებში და ევროპაში გადასულიყვნენ. პირველ რიგში, კონსტანტინოპოლის აღება სურდათ. ამისათვის საჭირო იყო მისთვის შეეტიათ ზღვიდან და ხმელეთიდან. ამ მხრივ დამახასიათებელია სმირნის ამირის ჩაქას საქმიანობა, რომელმაც ბიზანტიის იმპერია დიდი საფრთხის წინაშე დააყენა.

იმპერატორი იძულებული შეიქნა თავისი სამხედრო ძალები იმ რაიონის დასაცავად გადაესროლა. სმირნის ამირმა ჩაქამ, რომელიც კარგად იცნობდა ბიზანტიის საშინაო და საგარეო ვითარებას, გადასწყვიტა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და შეეტია ბიზანტიისათვის ზღვიდან.

ჩაქა წარმოშობით თურქი იყო, აღზრდა კონსტანტინოპოლში ჰქონდა მიღებული, სადაც ბერძნული ენა ისწავლა. სრულიად ახალგაზრდა იგი ბიზანტიელებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა; როდესაც ჩაქა სასახლეში მიიყვანეს, იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიოტესს მოეწონა და მას პროტონოველისიმოსის ტიტული მიანიჭა. მაგრამ ჩაქა დიდხანს ვეღარ დარჩა კონსტანტინოპოლში. როდესაც ალექსი კომნენე იმპერატორი გახდა, ჩაქას სასახლეში ყოფნა აუკრძალეს<sup>27</sup>.

<sup>27</sup> Анна Комнина, стр. 220.

ახალი იმპერატორის მიერ განაწყენებული და გადაყენებული ჩაქ-  
იძულებული ხდება დასტოვოს კონსტანტინოპოლი; იგი სმირნაში პოუ-  
ლობს დასაყრდენ ძალებს. მოკლე ხანში ძლიერდება, ქმნის ძლიერ  
ფლოტს და უკვე საშიშ ძალას წარმოადგენს იმპერიისათვის. ის სრუ-  
ლი დამოუკიდებლობით სარგებლობს და დიდი გავლენა აქვს ზღვაზე,  
რამდენადაც ძლიერი ფლოტი შექმნა. კონსტანტინე დალაშინთან საუ-  
ბარში იგი აშკარად გამოსთქვამს გულისწყრომას იმპერატორის მი-  
მართ. რომელმაც მას ბევრი რამ დააჯარჯვინა. ჩაქა აფრთხილებს იმ-  
პერატორის სარდალს, რომ თუ ალექსის სურს მათ შორის ჩამოვარდ-  
ნილი მტრობის მოსპობა, მაშინ მთლიანად დაუბრუნოს მას ყველაფე-  
რი ის, რაზედაც მას თავის დროზე ხელი მიუწვდებოდა<sup>26</sup>. მაგრამ წყა-  
როში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რას ითხოვდა ჩაქა იმპერატორი-  
საგან.

კონსტანტინოპოლიდან გაძევებული ჩაქა სწრაფად ძლიერდება  
და დიდ გავლენას ახდენს სმირნის რაიონის მოსახლეობაზე. მან გან-  
საკუთრებული ღონისძიებები ჩაატარა სახელო ფლოტის შესაქმნე-  
ლად. მას იმთავითვე ჰქონდა მიზნად დასახული ესარგებლა ბიზანტიის  
გართულებული საშინაო და საგარეო პირობებით და შური ეძია ალექ-  
სი კომნენზე, რომელმაც იგი სასახლიდან განდევნა.

მოვლენები შემდეგ ისე წარიმართა, რომ ჩაქა ძალიან გაძლიერდა,  
იგი ანატოლიის სანაპიროების მფლობელი გახდა და იმპერატორად  
გახდომამდე დაიწყო ოცნება. თავის რეზიდენციად მან სმირნა აირჩია  
და ფლოტის აგება დაიწყო, რომ ხელახლა გაენადგურებინა კუნძუ-  
ლები, ბიზანტიაში შეჭრილიყო და, თუ შესძლებდა, იმპერატორის  
ტახტიც ეგდო ხელთ. იმპერატორისათვის საიდუმლოდ არ დარჩენი-  
ლა ჩაქას გეგმები და ისიც თავის მხრივ მთელი ერთი წელი ემზადე-  
ბოდა მასთან შესაბამელად.

იმპერატორმა გადაწყვიტა ზღვიდან და ხმელეთიდან შეეტია  
ჩაქასთვის და საბოლოოდ გაენადგურებინა იგი; ბიზანტიის იმპერა-  
ტორი, რომელიც მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ერ-  
თი მხრივ, პაქანიკების თავდასხმებისა და, მეორე მხრივ, ჩაქას მეკობ-  
რეების თარეშით, იძულებული გახდა ყოველგვარი ზომები მიეღო მათი  
თავიდან მოსაშორებლად, როგორც კი ოღნავ მოაგვარა პაქანიკებთან  
საქმე, ჩაქას წინააღმდეგ ფლოტი გაგზავნა. ამასთანავე გადაწყვიტა ჩა-  
ქას თავიდან მოშორება სხვა გზითაც. ჩაქას გაძლიერება და მისი მე-  
კობრეების თარეშით ბიზანტიის სანაპირო ტერიტორიებზე უპირისპირ-  
დებოდა ანატოლიის სელჩუკთა სულთნის — ყილიჩ-არსლანის ინტე-

<sup>26</sup> Анна Комнина, стр. 220.

რეხებს. ყილიჩ-არსლანი მთელი ანატოლიის სულთანად ითვლებოდა, ხოლო ჩაქას დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციები და განდიდება სრულებით არ შეესაბამებოდა მისი ცენტრალური ხელისუფლების ანტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩაქა ყილიჩ-არსლანის სიბე იყო, მისი პოლიტიკური და სამხედრო გაძლიერება საშიშ მოვლენას წარმოადგენდა სულთნისათვის. ამით შესანიშნავად ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორმა და გადაწყვიტა მათ შორის მტრობა და შური დაეთქვა. მან დიპლომატიური წერილი გაუგზავნა ყილიჩ-არსლანს, სადაც აუწყებდა, რომ მისმა სიძემ — ჩაქამ იარაღი აღმართა ბიზანტიის წინააღმდეგ და თავის თავს იმპერატორს უწოდებს, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ყველაფერი ეს საბაბია, მან კარგად იცის, რომ ბიზანტიის იმპერიის ღირსი არ არის; მთელი ინტრიგები შენსკენაა მიმართული და საჭიროა შენც დაფიქრდე შენს სამეფოზე და ჩაქა დაიმორჩილო მშვიდობიანი გზით ანდა იარაღით<sup>29</sup>.

იმპერატორის მანევრმა თავისი შედეგი გამოიღო; როგორც კი ყილიჩ-არსლანმა იმპერატორის წერილი მიიღო, მან მაშინვე შეკრიბა ლაშქარი და ჩაქას წინააღმდეგ დაიძრა. ის ამ დროს თავისი ლაშქრით ხმელეთით ავიდს ალყას არტყამდა. ჩაქას ამ დროისათვის უკვე აღარ ჰყავდა ფლოტი. ბიზანტიის ლაშქარიც ავიდის მიმართულებით დაიძრა ჩაქას წინააღმდეგ. ბიზანტიელთა და სელჩუკთა ლაშქარმა ხმელეთით და ზღვით შეუტყეს ჩაქას. ჩაქა მიხვდა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა ორმხრივ შემოტევას, რამდენადაც მისი ფლოტის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული; ამასთანავე არ ჰქონდა ავიდის მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი, ამიტომ გადაწყვიტა სულთან ყილიჩ-არსლანს ხლებოდა.

ჩაქა სულთანმა დიდი პატივით მიიღო, დაათრო და ბოლოს საკეთარი ხელით განგმირა. ამის შემდეგ იმპერატორსა და ყილიჩ-არსლანს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ასე მოელო ბოლო ჩაქას მეკობრეების თარეშს ეგეოსის ზღვის აუზში; ბიზანტიის იმპერატორმა ჩაქას დამარცხებით საბოლოოდ ჩამოიშორა საშიში მტერი ხმელთაშუაზღვის აუზში, რომელიც წლების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა მას.

ყილიჩ-არსლანმაც ჩაქას განადგურებით განიმტკიცა თავისი ხელისუფლება. როგორც აღნიშნული გვექონდა, ამ პერიოდისათვის ანატოლიის მთელი ტერიტორია მოფენილი იყო ცალკეული პოლიტიკური ერთეულებით, რომელთა ინტერესს სრულებითაც არ შეადგენდა ცენტრალური ხელისუფლების მორჩილება.

<sup>29</sup> Анна Комнина, стр. 250.

როგორც არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, ნიზამ ალ-მულქი დაუღალავად იღვწოდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის. ამიტომ იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ადგილობრივი მწარმოებელი მოსახლეობის აყრა-გაქცევისა. „სიასეთ-ნამეში“ აშკარად ჩანს, რომ მოსახლეობის აყრა-გაქცევას და სოფლების გაუქცირებლას მასობრივი ხასიათი ჰქონია დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში, რაც აშკარა მოწმობაა მწარმოებელი საზოგადოების აღვირაბსნილი ექსპლოატაციისა. ამას ზედ ერთვოდა გაუთავებელი დაპყრობითი ომები, მძიმე საგადასახადო სისტემა, რაც წელში გაწყვეტილ მოსახლეობას აიძულებდა პროტესტის პასიური ფორმებისათვის — აყრა-გაქცევისათვის მიემართა. თუ რაოდენ საზარალო იყო ადგილობრივი მოსახლეობის გაფანტვა სახელმწიფო ხაზინის შემოსავლისათვის, ეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ნიზამ ალ-მულქს და ამიტომ საგანგებოდ ავალებდა სახელმწიფო მოხელეებს ადგილებზე შეესწავლათ სოფლების მდგომარეობა, დაეყოთ იქ რამდენიმე თვე და ზუსტი ცნობები მიეწოდებინათ ცენტრალური ხელისუფლებისათვის შექმნილი ვითარების შესახებ. ყოველივე ეს მწარმოებელი საზოგადოების რაციონალური ექსპლოატაციისათვის ხდებოდა. ნიზამ ალ-მულქის მიერ მიღებული ღონისძიებებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მოსახლეობის დაბალი ფენები და როგორ აღვირაბსნილ ექსპლოატაციას ეწეოდა სელჩუკთა სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატია; მუნეჯიმ-ბაში შენიშნავს, რომ მელიქ-შაჰის გამეფებისთანავე „რეაიას ქონებაზე ხელის დამოკლება დაიწყეს. ხალხის შევიწროება და მღელვარება მაშინვე მოიპაო“<sup>30</sup>.

ქვეყნად შექმნილი ვითარების შედეგად ნიზამ ალ-მულქი იძულებული ხდება საგანგებოდ განაცხადოს, რომ გლეხისაგან კანონიერი გადასახადის გარდა ზედმეტი გადასახადები არ იქნეს აღებული და მოსავლის აღებამდე არ შეაწუხონ გლეხები. თუ გლეხს გადასახადი მოსთხოვეს მოსავლის აღებამდე, ისინი იძულებული გახდებიან ნახევარ ფასად გაჰყიდონ თავიანთი მოსავალი და ამის გამო ყველაფერს დაკარგავენ, გახდებიან მაწანწალები<sup>31</sup>. ნიზამ ალ-მულქი სახელმწიფო მოხელეებისაგან — ამილებისაგან მოითხოვდა, რომ ხალხს კარგად მოქცეოდნენ და ზედმეტი გადასახადებით არ შეეწუხებინათ.

ნიზამ ალ-მულქის ეს მოთხოვნები უშუალოდ ნაკარნახევი იყო სოფლად შექმნილი ვითარებით. იმისათვის, რომ გლეხის მეურნეობა

<sup>30</sup> მ უ ნ ე ქ ი მ ბ ა შ ი. გვ. 535.

<sup>31</sup> Снасет-намэ, стр. 24.

არ მოშლილიყო და მას არ მიეტოვებინა თავისი სახლ-კარი, ნიზამ ალ-მულქი მზად იყო ვალის სახით სათესლე მარცვალი მიეცა და ხელი შეეწყო მისთვის. ნიზამ ალ-მულქი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ მოსახლეობიდან ვინმე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება და სარწყავი წყალი ან თესლი დასჭირდება, მას სესხად უნდა მიეცეს, მდგომარეობა შეუძისუბუქდეს, რომ თავისი სახლ-კარი არ მიატოვოს და ხეტიალს არ დაიწყოს<sup>32</sup>.

ნიზამ ალ-მულქი ამით ერთგვარად გლახთა მიწაზე მიმაგრებას, გლახის დაინტერესებას და სოფლის მეურნეობის დაწინაურებას მოითხოვდა, მაგრამ სასტიკი ფეოდალური ექსპლოატაციის და სელჩუკთა საგადასახადო სისტემის შედეგად, გლახი იძულებული ხდებოდა ხელი აედო მეურნეობაზე, მიეტოვებინა სახლ-კარი და გაქცეულიყო. ნიზამ ალ-მულქის ცდა გლახთა მიწაზე მიმაგრებისა მარცხით დამთავრდა. პირიქით, ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად უფრო ძლიერდებოდა სოციალური მოძრაობები, რამაც უფრო მასობრივად და მკაფიოდ XII ს-ში პოვა გამოხატულება.

გლახის მიწის ნაკვეთი არსებული წესის მიხედვით მამიდან უფროს ვაჟიშვილზე გადადიოდა, რომელსაც ასევე ევალებოდა მისი დამუშავება და სახელმწიფოსათვის გადასახადის გადახდა. გლახის მეურნეობის მოსავლის მეათედი კანონით სახელმწიფოს მიჰქონდა. კანონიერი გადასახადების გარდა არსებობდა არაკანონიერი, ადამ-წესებსა და ტრადიციებზე დამყარებული გადასახადები — ი. წ. უ რ ფ ი.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფო ხაზინაში მწარმოებელი საზოგადოებიდან აღებული გადასახადების გარდა, არამუსლიმანი, ვასალური ქვეყნებიდან და ცალკეული გამგებლებიდან ხარაჯის სახით შემოსული თანხები მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა<sup>33</sup>. მელიქ-შაჰის სულთნობის წლებში მწარმოებელი საზოგადოებისაგან აღებული გადასახადები და ვასალური ქვეყნებიდან შემოსული ხარკი ავსებდა სახელმწიფოს ხაზინას და რეგულარული შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ მელიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის გაუთავებელი ბრძოლების დროს, ცალკეული სელჩუკური პოლიტიკური ერთეულების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დაპყრობილი ქვეყნების მიერ ხარაჯის გადახდაზე უარის თქმის გამო დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ხაზინა დაცარიელდა, სახელმწიფო შემოსავალი ერთი-

<sup>32</sup> Спасет-намэ, стр. 24.

<sup>33</sup> უნდა აღინიშნოს, რომ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში არსებული საგადასახადო სისტემა და მიწისმფლობელობის კატეგორიები დღემდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა; სამწუხაროდ, ამ საკითხებზე პირველწყაროები არც თუ ისე უხვ მასალას იძლევიან.

ორად შემცირდა. საქართველოში, რომელმაც გიორგი II დროს იკისრა ხარაჯის გადახდა, დავით აღმაშენებლის დროს, დიდ სელჩუკთა იმპერიის დასუსტებისა და დაშლის პერიოდში შეუწყვიტა ხარაჯის გადახდა 1097 წელს. ასევე, სხვა ვასალურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ხარაჯის გადახდის პირობით გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, შეწყვიტეს ვალდებულების შესრულება, რამდენადაც ნათლად ხედავდნენ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პირობების მკვეთრ გაუარესებას. დაპყრობითი ომების ნაცვლად ჯვაროსნების წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლებზე გადასვლა, ვასალური სახელმწიფოების მიერ გადასახადის გადახდაზე უარის თქმა, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად დაშლა სახელმწიფო ხაზინას შემოსავლის წყაროს უსპობდა. სახელმწიფოს მესვეურები იძულებული ხდებოდნენ შემოსავლის წყარო ქვეყნის შიგნით — ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიურ ექსპლოატაციაში ექცნათ. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებამ კიდევ უფრო გააძლიერა მწარმოებელი საზოგადოების ადვირაზნაილი ექსპლოატაცია. სამხედრო ფეოდალური არისტოკრატის გაზრდილმა მოთხოვნისებებმა და, აქედან გამომდინარე, გლეხთა მდგომარეობის გაუარესებამ, დიდ სელჩუკთა იმპერიაში, ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოება იძულებული გახდა ბრძოლის სხვადასხვა ფორმებისათვის მიემართა. გლეხი ხედავდა, რომ მკაცრი საგადასახადო სისტემისა და მძიმე ექსპლოატაციის პირობებში მისთვის მეურნეობის გაძარცვას აზრი არ ჰქონდა და ის იძულებული ხდებოდა თავი მიენებებინა თავისი სახლ-კარისათვის. მეურნეობის გამართვისათვის და გაქცეულიყო სხვაგან უკეთესი პირობების საძიებლად. გლეხთა აყრა-გაქცევას, მრავალ სოციალურ მოძრაობებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მელიქ-შაჰის სიცოცხლეში. ამიტომაც იყო, რომ ნიზამ ალ-მულქი სასტიკად ილაშქრებდა გლეხთა აყრა-გაქცევის წინააღმდეგ და საგანგებოდ მოითხოვდა გლეხის მიწაზე მიმაგრებას; მაგრამ მან ვერ მოახერხა ამ ღონისძიების პრაქტიკულად განხორციელება; პირიქით, მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო გაძლიერდა და მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხთა ბრძოლის ამ პასიურმა ფორმამ.

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში შექმნილ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ გართულებებს არ შეიძლებოდა დადებითი შედეგები არ გამოეღო მათ მიერ დაპყრობილი ქრისტიანული და მუსლიმანური ქვეყნების ფეოდალურ განვითარებაზე. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად დაშლა, ქვეყნის შიგნით შექმნილი სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი, საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენები — „ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად“



ჯვაროსანთა მიერ მოწყობილი პირველი ლაშქრობის შედეგები და რიგი სხვა ფაქტორები მნიშვნელოვნად მოქმედებდნენ საქართველოს მდგომარეობაზე და ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ მას ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობების გასაუმჯობესებლად.

როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ მელიქ-შაჰის სიცოცხლეში, როდესაც „დიდმა თურქობამ“ საშინლად დააზიანა ქვეყნის ერთიანობა და ქართველობის სოციალური და ეკონომიური წყობის სრული მოშლისა და გადაგვარების მოსალოდნელი საფრთხე შექმნა, ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა, ძლიერი ხელისუფლების მომხრე პირებმა გიორგი II აიძულეს უარი ეთქვა ტახტზე და თავისი ერთადერთი შვილი დავითი გაემეფებინა. დავითის გამეფების შესახებ აღფრთოვანებით წერს მისი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი: „...იწყობ აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით<sup>34</sup>“.

საიეფო ტახტზე ასულმა დავითმა საღად განსაჯა ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარება, გონივრულად დასახა მისი განვითარების პერსპექტივები და მრავალმხრივი ღონისძიებების გატარება დაიწყო. დავით აღმაშენებელმა სრულიად განსხვავებულ და გადამჭრელ ღონისძიებებს მიმართა, როგორც დიდგვარიანი აზნაურების, ისე გარეშე მტრების — ჩამოსახლებული სელჩუკების წინააღმდეგ.

თავისი გეგმების განხორციელების საქმეში დავითს მხარში ამოუდგა ისეთი სახელმწიფო მოღვაწე, როგორც იყო მწიგნობართუხუცესი გიორგი და სხვა დაახლოებული პირები. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ქვეყნის მოსაღონიერებლად კატეგორიული და გადამჭრელი ღონისძიებების მიღება იყო საჭირო.

დავით აღმაშენებელი ნათლად ხედავდა, რომ მისი მიზნების განსახორციელებლად საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, ერთგული ძლიერი ლაშქრის ყოლა, ამიტომ „ის დაჟინებით წვრთნიდა და თანდათანობით აპრავლებდა ერთგულ მხედართა რაზმებს, რომლებიც უმთავრესად მდებორ ყმა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან შედგებოდნენ. სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მეფე ამ თავის „ტაძრეულებს“ უწყალობებდა მიწა-ადგილს, „საქარგავს“, რომლითაც ეს „მოსაქარგავენი“ მანამდე სარგებლობდნენ, ვიდრე მეფის ამ განსაკუთრებულ ლაშქარში რჩებოდნენ“<sup>35</sup>.

<sup>34</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 323—324.

<sup>35</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 154.

ამ თავისი ერთგული რაზმებით მეფემ უპირველეს ამოცანად დაი-  
სახა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა. მას კარგად ესმოდა, რომ  
სელჩუკთა უზარმაზარ ლაშქართან პირისპირ შეხმა არაფერს მისცემ-  
და, ამიტომ გადაწყვიტა სელჩუკთა მცირე რაზმებს იქ დასხმოდა თავს,  
სადაც არ მოელოდნენ, ხოლო გამარჯვება კი უეჭველი იყო. ბრძოლას  
ამ მეთოდით მან ქართლში ჩამოსახლებული სელჩუკები თანდათანო-  
ბით აპყარა და მტრის შიშით მთებში გაბიზნული გლეხობა ბარში ჩა-  
მოიყვანა. დავით მეფის ამ პირველი ღონისძიების შედეგად „ხალხში  
თურქობის უძლეველობის რწმენა თანდათან გაქრა და გახსნევებულმა  
ბარად ჩამოსვლა იწყო. გლეხობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის მამა-  
პაპეულ კარ-მიდამოს, ისევე იწყებოდა ხენა-თესვა...“<sup>36</sup> ქვეყანამ ნელ-  
ნელა იწყო მოშენება.

დავით აღმაშენებელს თავისი გეგმების განხორციელებაში ხელს  
უწყობდა ქვეყნის საგარეო პირობებიც. სულთან მელიქ-შაჰის გარ-  
დაცვალების შემდეგ ტახტისთვის ატეხილ ბრძოლაში გართული სელ-  
ჩუკთა დინასტიის წევრები სულ უფრო ნაკლებად იცლიდნენ ვასალუ-  
რი და დამოკიდებული ქვეყნებისათვის, ისე ხშირად ველარ გზავნიდ-  
ნენ თავიანთ ძალებს ამიერკავკასიის ქვეყნებში. გარდა ამისა, სელჩუ-  
კები ჭვაროსნების წინააღმდეგ თავდაცვითი ომებით იყვნენ დაკავე-  
ბული, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა დავით აღმაშენებელს ქვეყ-  
ნის საგარეო მტრების წინააღმდეგ აღემართა მახვილი. ივ. ჭავჭავაძე-  
ლი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ძლიერი სულტანის სიკვდილს სა-  
ქართველოში მშვიდობიანობის დამყარებისათვის ხელი უნდა შეეწყო,  
ხოლო თურქების თანდათან დამორჩილება საქართველოს დიდებულ  
მეფის მოღვაწეობას ველარ შეაფერხებდა, როდესაც გარეშე მტერი  
ზურგს არ უმაგრებდა, მაშინ შინაური ურჩი გვარიშვილებიც საში-  
შარნი არ იყვნენ“<sup>37</sup>.

დავით აღმაშენებელმა შესანიშნავად იხარგებლა ხელსაყრელი სა-  
ერთაშორისო ვითარებით და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შე-  
დარებით გაუმჯობესების შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების გან-  
მტკიცების მიზნით პირველ რიგში სასტიკი ბრძოლა გამოუტყხა იმ  
დიდგვარიან ფეოდალებს, რომლებიც თავიანთი წინაპრების მსგავსად  
დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ცენტრალური ხელისუფლების  
დასუსტებისათვის იღვწოდნენ. დავითმა გადაწყვიტა ასეთ ურჩ ფეო-

<sup>36</sup> შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა., დიდგორის ბრძოლა, გვ. 26.

<sup>37</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 194.

დალეს სანტიკად გასწორებოდა. პირველი მკაცრი განაჩენი მან ლიპარიტ ერისთავს გამოუტანა: რომელსაც დავითის ისტორიკოსის თქმით, „გარნა ორგულება და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა. და ვინათგან გულისხმისყოფა არა ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არაკეთილსა“<sup>38</sup>. ლიპარიტის ასეთ ორგულობას კარგად ხედავდა მეფე. მან იაიცი კარგად იცოდა, რომ კლდეკარის ერისთავები საუკუნეთა მანძილზე სამეფო ხელისუფლებას ოპოზიციიში ედგნენ, ამიტომ პირველ ხანებში ლიპარიტის გაერთოვლება გადაწყვიტა. „ამითვისცა პყრობილ ყო იგი ეამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსაწავლელად გონიერისა ვისმე“<sup>39</sup>. დავითმა აპატია დანაშაული ლიპარიტს და დიდი ფიცისა და ერთგულების პირობის დადების შემდეგ გაათავისუფლა იგი და მის მამულს ხელი არ ახლო, მაგრამ ლიპარიტმა გასტეხა ფიცი და ისევ ორგულობა და მტრობა დაუწყო მეფეს. ლიპარიტი „ვითარცა ძალი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვრისასა: განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვისსა“<sup>40</sup>. ლიპარიტის საქციელით მეფე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო და უკიდურეს სასჯელს მიმართა. იგი კვლავ შეიპყრო და გააძევა საქართველოდან, ხოლო მისი საერისთავო მამული გააუქმა და სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. „იხილა რა... მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძალისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო, და საბერძნეთს გაგზავნა. და მუნ განექუა ცხოვრებასა“<sup>41</sup>. აი ასე უსწორდებოდა დავით მეფე იმ დიდგვარიანებს, ვინც ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა ოპოზიციისათვის ლიპარიტ ერისთავის ჩამოცილება დიდი დანაკლისი და ერთგვარი მაგალითი უნდა ყოფილიყო. ლიპარიტის საქმისადმი ასეთი მკაცრი მიდგომით ნათლად ჩანდა დავით აღმაშენებლის მტკიცე გადაწყვეტილება და მიუკერძოებლობა ქვეყნის საშინაო ურთიერთობის მოგვარების საკითხებში. დავითის მიერ გატარებული რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების შედეგად „სამეფო ხელისუფლების ოპოზიციური ძალები თანდათან უკან იხევდნენ. მეფის ხელისუფლება კი ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა“<sup>42</sup>. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა სა-

<sup>38</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 28.

ერთოდ ერისთავთა ინსტიტუტს გამოუცხადა დაუნდობელი ბრძოლა და მისი არსებობა სახელმწიფოს ცენტრალიზაცია-განმტკიცების დროს ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნია. თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით იგი განდგომილ ერისთავთა მხოლოდ დასჯით არ კმაყოფილდებოდა. იგი საბოლოოდ აუქმებდა საერისთავებს, რამდენადაც აშკარა იყო ამ ინსტიტუტის სეპარატული ტენდენციები. მას კარგად ესმოდა ქვეყნის განმტკიცებაში ერისთავთა ხელისშემშლელი პოზიცია. ამიტომ მეფე ცდილობდა ერისთავთა ინსტიტუტისათვის დაეპირისპირებინა სამეფო კარის ცენტრალური სამოხელეო აპარატი, განმტკიცებინა და გაეძლიერებინა ეს უკანასკნელი. წვრილ და საშუალო აზნაურთა ფენიდან პირადი ღირსებით, საქმის ცოდნითა და მეფისადმი ერთგულებით გამორჩეულ პირებს აწინაურებდა სამოხელეო აპარატში, ამით იგი ქვეყნის სახელმწიფო აპარატს აძტივებდა და მას ხელისუფლების ოპოზიციურ ძალებს უპირისპირებდა.

ქართულ დოკუმენტურ წყაროში შემონახულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავით მეფის დროს ცენტრალურ ხელისუფლებას განდგომია ერთ-ერთი ფეოდალი ძაგანი, რომელსაც შიო მღვიმის მონასტრისათვის შეუფარებია თავი. დავით მეფეს დიდი ჯაფა არ დასჭირვებია მის შესაპყრობად. მეფის მოპხრეებს იგი დაუჭერიათ და მეფისათვის მიუგვრიათ<sup>43</sup>. დავით მეფე, რა თქმა უნდა, მკაცრად გაუსწორდებოდა ქვეყნის ამ ორგულ პიროვნებას.

დავით აღმაშენებელმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირთ, რომელთაც უღირსად, დაუმსახურებლად ეჭირათ თანამდებობები. მან კარგად გაითვალისწინა, რომ სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის საჭირო იყო გადაპყრელი ღონისძიებების მიღება რეაქციული სააულიერო არისტოკრატის მიმართ, რომელიც ოპოზიციისაში ეფუძნებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. დავით აღმაშენებელმა დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად შეძლო უღირსთა მაგიერ ღირსეული და ერთგული პირებისათვის მიეცა მაღალი საეკლესიო თანამდებობანი. ისტორიკოსის თქმით: „უღირსად გამოჩინებულნი განკუთვნეს, და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ ძნელდა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწყესოდ დაეპყრნეს საყდრები; და მათ წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს“<sup>44</sup>.

<sup>43</sup> თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, გვ. 13—16; იხ. აგრეთვე რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 34.

<sup>44</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328.

ეკლესიის სამეფო ხელისუფლებისათვის დამორჩილების მიზნით დავით აღმაშენებელმა დიდი ღონისძიება გაატარა, საერო და საეკლესიო თანამდებობანი გააერთიანა, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები ერთი პირის ხელში მოაქცია. ამიერიდან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი საერო და საეკლესიო საქმეებს განაგებდა. დავითის ისტორიკოსის თქმით, „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებნასა დარბაზის კართ მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა“<sup>45</sup>. ამრიგად, დავით აღმაშენებელმა სამეფო ხელისუფლებისაგან განმდგარი ეკლესია ქვეყნის სამსახურში ჩააყენა. სამეფო ხელისუფლების ინტერესებს დაუმორჩილა<sup>46</sup>.

დავით აღმაშენებელმა დიდი მნიშვნელობის ღონისძიებები გაატარა ჯერ კიდევ დიდი თურქობის დროიდან არსებითად მოშლილი სამხედრო ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის საქმეში. დავითის გამეფებისათვის ქართველთა ლაშქარი იყო „ტყუეობათა და ზემოკსენებულთა: ჭირთაგან მცირე გუნდი მკედრობისა და იფინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“<sup>47</sup>.

დავითის ისტორიკოსი შესანიშნავად აღწერს მეფის საქმიანობას ამ მიმართულებით. დავით IV თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრენი, პირადი გვარდია, ე. წ. „მონა-სპა“. ამასთანავე უფრო მტკიცე და ორგანიზებული გახდა ცალკეული კუთხეებიდან ერისთავთა მიერ გამოყვანილი ლაშქარი. „დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ძირითადი არსი ქართველთა ლაშქრის გამრავლებისა, შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის, მასში დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვაში მდგომარეობდა“<sup>48</sup>. სამხედრო ორგანიზაციის სისტემაში მოსაყვანად და მოლაშქრეებში ერთგულებისა და გამბრუნების განსამტკიცებლად მეფე ასაჩუქრებდა და აქებდა „მხნეთა, ხოლო ჯაბანთა კიცხავდა და აძაგებდა“. დისციპლინის განმტკიცების მიზნით მან

<sup>45</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352.

<sup>46</sup> ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ხელის გაერთიანებასთან დაკავშირებით იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, „ენიქის მოაბზე“, V—VI, თბ., 1940, გვ. 391—412; გაგრძელება, ი ქ ე ე, X, თბ., 1941, გვ. 281—302.

<sup>47</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358.

<sup>48</sup> შ. მ ე ს ხ ი ა, შოთა რუსთაველის ეპოქა, რუსთაველის კრებული, თბ., 1966, გვ. 13.

აკრძალა ლაშქარში „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი“<sup>49</sup>.

ამგვარი ღონისძიებებით დავით მეფემ განამტკიცა დისციპლინა ლაშქარში<sup>50</sup>, „ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“. ქვეყნის აღდგენა-გაძლიერებისაკენ მიმართული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების გატარებისას დავით აღმაშენებელმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია მსტოვართა აპარატის შექმნას. დავითის ისტორიკოსს შესანიშნავად აქვს გადმოცემული ამ აპარატის სასარგებლო საქმიანობა ქვეყნისათვის, რის შედეგადაც „არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, ღიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული. — არა-რა დაეფარვოდა ყოვლადე“<sup>51</sup>. მეფის მიერ ასეთი ღონისძიების მიღება „მრავალთა კეთილთა მიზეზი იქმნა“. დავითი ცდილობდა სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებით ქვეყანაში წესრიგი დაემყარებინა. იგი ტახტზე ასვლისთანავე დაუღალავად იღწვოდა ქვეყნის მოშენების, გაძლიერებისა და აღმშენებლობითი საქმიანობისათვის. წყაროს ცნობით, „მოეშენა ქუეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“<sup>52</sup>. თანდათანობით საგრძნობი ხდებოდა ქვეყნის ეკონომიური აღორძინება; საქართველოს დაწინაურებას საშინაო საქმეების მოგვარებასთან ერთად ერთგვარად ხელს უწყობდა მისი საგარეო პირობებიც. როგორც აღნიშნული გვექონდა, დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად დაშლას ჯვაროსანთა ლაშქრობებიც დაემატა. დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს ჯვაროსანთა ლაშქრობის შედეგად მაჰმადიანური სამყაროს ავტორიტეტისა და სიძლიერის დაცემას და ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას. ავტორი ასეთ დიდ საერთაშორისო მოვლენებს დავით მეფის მიერ სელჩუკებისათვის ხარკის გადახდაზე უარის თქმას უკავშირებს. იგი აღნიშნავს: „ამას ეამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია“<sup>53</sup>. დავითისათვის ინტერესსმოკლებული არ უნდა ყოფილიყო ჯვაროსანთა ლაშქრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. საქართველოს მეფე, პირიქით, თვითონ ყოფილა დაინტერესებული ჯვაროსანთა ლაშქრობის შეთაურებს

<sup>49</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352.

<sup>50</sup> XII ს-ის საქართველოს ლაშქარში უცხოელების მონაწილეობის შესახებ იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 161—187.

<sup>51</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 354—355.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 326.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 325—326.

დაეკეპირებოდა. „ჯვაროსნებსა და საქართველოს სამეფოს შორის ვარკვეული ურთიერთობაც არსებობდა. ამ ურთიერთობის შედეგი იყო... დავით აღმაშენებლის სიახლოვე ჯვაროსანთა ერთ-ერთ ბელადთან. ხოლო შემდეგ... იერუსალიმის მეფე ბალდუინთან“<sup>54</sup>. ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის კავშირი ორივე მხარისათვის უნდა ყოფილიყო საპირო და მისაღები საერთო მტრის — სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯვაროსნებმა საქართველოს სახით აღმოსავლეთში დასაყრდენი ქრისტიანული სახელმწიფო სჭირდებოდათ, „საქარაველოსა და მის მეფეს კი ჯვაროსნების ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მდგომარეობას უმსუბუქებდა და დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა“<sup>55</sup>. დავით აღმაშენებელმა სწორედ ამ ხელსაყრელი საგარეო პირობების და საშინაო საქმეების თანდათანობითი გამოსწორების შედეგად განაცხადა უარი მამამისის მიერ ნაქისრი ყოველწლიური ხარკის გადახდაზე და ამით ქვეყანა გაათავისუფლა მძიმე ტვირთისაგან. ხარკის გადახდის შეწყვეტისთან ერთად დავით IV საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქართლში ჩამოსახლებული სელჩუკები მეთოდურად, ნელ-ნელა განდევნა და ყოველგვარი პირობა შექმნა იმისათვის, რომ სელჩუკთა ახალ ტალღებს არ წაეღეკათ ქვეყნის განაპირა და შიდა რაიონები. თუ მამამისის, გიორგის II დროს სელჩუკთა მასობრივი ჩამოსახლება, ქართული ტერიტორიის გათურქება ხდებოდა, ისევე როგორც ეს ცოტათი ადრე მცირე აზიის ბერძნულ პროვინციებში მოხდა, დავით აღმაშენებელმა შეაჩერა სელჩუკთა მომთაბარე ტომების ჩამოსახლების პროცესი და ნელ-ნელა შექმნა პირობები მათი საქართველოს ტერიტორიიდან გასახლებისათვის. ე. წ. „დიდი თურქობის“ დროს ჩამოსახლებული მეჩოგე მომთაბარეების განდევნას დავით აღმაშენებელი თვითონ მეთაურობდა. თუ ნიჟამ ალ-მულქი საგანგებო ღონისძიებით ცდილობდა შუა აზიიდან მოსული მომთაბარე ტომების გასახლებას ირანის განაპირა ტერიტორიებზე და საქართველოს მიწა-წყალზე ერეკებოდა მათ, დავით აღმაშენებელმა საკუთარი გეგმები დასაახა საქართველოში სელჩუკთა მასობრივი ჩამოსახლების წინააღმდეგ. დავითის ნეკადინეობამ თავისი შედეგები გამოიღო და დაახლოებით 1097 წლისათვის მომთაბარე სელჩუკებს უკვე აღარ ჰქონდათ საშუალება კვლავინდებურად გაეტარებინათ ზამთარი საქართველოს ფარგლებში. დავითის ისტორიკოსი შენიშნავს, რომ დავით მეფემ „არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლსა“<sup>56</sup>.

<sup>54</sup> შ. მ. ე. ს. ხ. ი. ა, დიდგორის ბრძოლა, გვ. 27.

<sup>55</sup> ი. ქ. ვ. ე.

<sup>56</sup> დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

დავით მეფის მიერ სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. ამ ფაქტით დავით აღმაშენებელი დიდ სელჩუკი სულთნის უზენაესობას არ სცნობდა. ის, რაც გიორგი მეფემ ქვეყნის მიძიმე პირობებში სიზარულთ იტვირთა, დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ გადაიგდო თავიდან. დავით აღმაშენებლის მიერ ხარაჯის გადახდაზე უარის თქმა მისი დაუღალავი მეცადინეობის შედეგი იყო. საამისოდ ქვეყნის შიგნით იგი დიდხანს ამზადებდა პირობებს. ამიერიდან დავით აღმაშენებელი სელჩუკთა წინააღმდეგ უფრო ფართო მასშტაბის ბრძოლების საწარმოებლად ემზადებოდა. „აქედან იწყება დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე პერიოდი. ამ დროიდან საქართველომ მარტო თურქთა ხარაჯობას კი არ დააღწია თავი, არამედ მათი დაუპატიჟებელი სტუმრობისაგანაც განთავისუფლდა“<sup>57</sup>.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველ პერიოდში რიგმა ხელაყრელმა საგარეო პირობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის წარმატებას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, პირველ ეტაპზე დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. დავით აღმაშენებელი კარგად გრძნობდა, რომ საამისოდ სათანადო მომზადება და მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების გატარება იყო საჭირო. სწორედ ამ მხრივ წარმართა მან თავისი მოღვაწეობა, რათა უფრო დიდი მასშტაბის შეტევები დაეწყო თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, „კრიტიკულ მომენტში ფეოდალურ-მოზარდმა საქართველომ გამოიჩინა უნარი საზოგადოების შიგნით არსებითი ხასიათის სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებების გატარებისა. ამის შედეგად მან შეძლო საკუთარ ძალთა სრული მობილიზაცია და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის განმათავისუფლებლის როლში წარმატებით გამოვიდა“<sup>58</sup>.

სელჩუკთა მეჯოგური მეურნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ქართული ფეოდალური მეურნეობა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, იმ დროს, როდესაც მეზობელ ქრისტიანულ სომხეთში სელჩუკთა გამუდმებული თავდასხმების შედეგად მოიშალა სახელმწიფოებრივი წყობილება, ხოლო ბიზანტია განიდევნა მცირე აზიის ტერიტორიიდან, სადაც საბოლოოდ გაბატონდნენ სელჩუკიანი თურ-

<sup>57</sup> რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, გვ. 35.

<sup>58</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 124.



ქება. დავით აღმაშენებელი სელჩუკთა საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხთა მხარდაჭერას პოულობდა და კულტურული მემკვიდრეობის მქონე ხალხთა პროგრესისათვის ბრძოლის საქმეს მეთაურობდა. ამიერკავკასიაში სელჩუკთა ბატონობის შედეგად შექმნილი ვითარება დავით აღმაშენებელს თავისთავად უკარნახებდა სელჩუკთა წინააღმდეგ გამაერთიანებლის როლში გამოსულიყო. „საერთო საფრთხისაგან თავდაცვის საჭიროებამ ამიერკავკასიის ხალხთა პროგრესული ნაწილი თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა... საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთ კარგად ესმოდათ თავიანი ამოცანა. ესმოდათ თუ რაოდენ დიდი და ძნელი საქმისათვის შეემართათ და შესაფერისი მოფიქრებით, ტაქტით და გაბედულებით მოქმედებდნენ“<sup>59</sup>. დავით აღმაშენებელი შესანიშნავად აფასებდა შექმნილ საგარეო და საშინაო ვითარებას. მას თავისი მამისაგან განსახვევებით სულ სხვა საერთაშორისო პირობებში მოუხდა მოღვაწეობა. თუ გიორგი II დროს საქართველოში თურქთა ჩამოსახლებას ჰქონდა ადგილი და მეფეს ბრძოლა უხდებოდა დიდ სელჩუკთა უზარმაზარ სახელმწიფოსთან. დავითის დროს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მეღიჭ-შაჰისა და ნიზამ აღ-მულქის გარდაცვალების შემდეგ დიდ სელჩუკთა სახელმწიფო დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად. გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა სულთნის ტახტისათვის. უფრო და უფრო ძლიერდებოდა წინააღმდეგობა და პირველობისათვის სწრაფვის ტენდენციები ცალკეულ სელჩუკურ პოლიტიკურ ერთეულებს შორის. სელჩუკები ვერ იცლიდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში სალაშქროდ; ამასთანავე, ფეოდალურ ერთეულებად დაშლილ სელჩუკთა სახელმწიფოს ახალი მტერი გამოუჩნდა ჯვაროსნების სახით, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მათთან ბრძოლებში. სელჩუკებს წაართვეს იერუსალიმი და ანტიოქია. რიგი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები მახლობელ აღმოსავლეთში საქართველოს სასარგებლოდ ვითარდებოდა. დავით აღმაშენებელი შესანიშნავად იყენებდა ამ მდგომარეობას ქვეყნის შინაგანი ძალების განსამტკიცებლად და პირობებს ამზადებდა ჩამოსახლებულ თურქთაგან საქართველოს ტერიტორიის განსაწმენდად. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველი პერიოდი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ კარგად იყენებდა ის შექმნილ საშინაო და საგარეო ვითარებას და როგორ გადაამკრელ ღონისძიებებს ხმარობდა ქვეყნის შინაგანი ძალების განმტკიცებისა და საქართველოდან თურქთა განდევნის საქმეში.

<sup>59</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 124.

## დასკვნები

1. XI საუკუნის 40-იანი წლებისათვის მახლობელ აღმოსავლეთში საფუძველი ეყრება დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს, რომლის პირველი სულთანი იყო თოდრულ-ბეგი (1038—1063). დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოშობა რთულ სოციალურ და პოლიტიკურ პროცესს წარმოადგენდა.

სელჩუკიანი თურქები მომთაბარულ მეურნეობას ეწეოდნენ, მათთვის მთავარი იყო ახალ-ახალი საძოვრების ძიება და ნადავლის ხელში ჩაგდება. რიგი სოციალური ხასიათის კრიზისებისა სელჩუკთა პირველ მეთაურებს უკარნახებდა ახალ-ახალი ტერიტორიების ძიებას და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის ხარჯზე საარსებო საშუალებების მოპოვებას. პირველ ხანებში სელჩუკთა მთელი ოჯახები თავიანთი მეთაურებით ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულების სამსახურში იმყოფებოდნენ, თანდათანობით ეკონომიურად ძლიერდებოდნენ, და შემდეგ ისევ ზხვავან ეძიებდნენ თავშესაფარს. მათი მომთაბარული საქმიანობისათვის აუცილებელი იყო ახალ-ახალი ნოყიერი საძოვრები. სელჩუკიანი თურქები მოხერხებულად სარგებლობდნენ აღმოსავლეთში სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის არსებული წინააღმდეგობებით და ხან ერთის მხარეზე იმყოფებოდნენ, ხან მეორის. ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად ხვდებოდა მომთაბარე სელჩუკებს. საძოვრების კრიზისისა და ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ შევიწროების გამო სელჩუკები იძულებული ხდებოდნენ ახალ-ახალი ტერიტორიები და საძოვრები ეძებნათ. ისინი ამკარად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჯოგებდათ ადგილი არ ჰყოფნიდათ და სთხოვდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა საძოვრებისათვის გამოსადეგი ადგილების გამოყოფას. სელჩუკები მოკლე ხანში ისე დაწინაურდნენ, რომ ადგილობრივ ხელისუფალთათვის საშიში გახდნენ და ეს უკანასკნელნი ყოველნაირად ცდილობდნენ მათ განდევნას თავიანთი ტერიტორიებიდან. ამ პერიოდში სისტემატურად და შეუმჩინევლად ხდებოდა შუა აზიის ტერიტორიაზე ოღუზთა ტომების მომ-

რავლება და მათი ჩამოსახლება, რაც სელჩუკიანთა გასაძლიერებლად თავისთავად ქმნიდა პირობებს. სელჩუკთა ძალები სწრაფად ივსებოდა თურქმენთა ახალ-ახალი ნაკადით.

სელჩუკთა ძლიერებას ხელს უწყობდა ისიც, რომ აღმოსავლეთში დაზნევიანთა სახელმწიფო მძიმე სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, თანდათანობით სუსტდებოდა, ქვეყნის სამხედრო უნარიანობა ეცემოდა. ამით კარგად სარგებლობდნენ სელჩუკები და ზედიზედ ამარცხებდნენ დაზნეულებს. სნატემატური, მრავალწლიანი ბრძოლების შემდეგ სელჩუკებმა ბოლო მოუღეს დაზნევიანთა სახელმწიფოს აღმოსავლეთში და გააფართოეს თავიანთი ტერიტორიები. თითოეული სელჩუკი უფლისწული დამოუკიდებლად იპყრობდა ახალ-ახალ ტერიტორიებს. დაზნევიანთა სახელმწიფოს განადგურების შემდეგ სელჩუკმა უფლისწულებმა მთელი დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიები დაინაწილეს. თითოეულ მათგანს თავისი დაპყრობის ობიექტები შეხვდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკთა შემდგომი წარმატებებისათვის დენდანეკანთან დაზნეულებზე მათ გამარჯვებას. ამიერიდან ისინი უფრო დიდი მასშტაბის დაპყრობებს ეწეოდნენ ირანის, ერაყის, მცირე აზიისა და კავკასიის მიმართულებით. საფუძველი ეყრებოდა ახალ სელჩუკურ პოლიტიკურ ერთეულებს აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში. დენდანეკანის ველზე სელჩუკთა გამარჯვება მათი პირველი დიდი გამოცდა იყო, რომელიც წარმატებით დამთავრდა. ამის შემდეგ თოღრულ-ბეგი აღიარებულ იქნა სელჩუკთა სახელმწიფოს მბრძანებლად და მას სულთნის ტიტული ებოძა.

2. სულთან თოღრული გონივრულად აფასებდა შექმნილ ვითარებას და მაშინვე სახავდა მომავლის სამოქმედო გეგმებს. მისი ძირითადი მიზანი იყო ფართო დაპყრობითი ომების წარმოება, ახალ-ახალი ტერიტორიების ხელთ ჩავდება. სელჩუკი უფლისწულები პირველ ხანებში ახალი ქვეყნების დასაპყრობად ერთად გამოდიოდნენ, ერთიანი გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. წყაროებში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ სელჩუკი უფლისწულები ფიცს დებენ, ყოველგვარ პირობებში ერთად იყვნენ და ერთმანეთს დაეხმარონ. ისინი პირველ ხანებში მართლაც მტკიცედ იცავდნენ ამ ფიცს, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ მალე, როდესაც დაპყრობით ომებში წარმატებას მიღწიეს და ახალ-ახალი ტერიტორიები დაიკავეს, მათ შორის უნდობლობამ და მტრობამ იჩინა. თავი; უფრო მეტიც, თითოეული მათგანი პირველობისათვის იბრძოდა, ხშირი იყო აჯანყებები და შეთქმულებები. რაც უფრო მეტად წინაურდებოდნენ სელჩუკები სოციალურად და ეკონომიურად, დამოუკიდებლობის ტენდენციები უფ-

რო აშკარა ხდებოდა. 1041 წელს სელჩუკმა უფლისწულმა ქაჯურჯმა საფუძველი დაუდო ქერმანის პოლიტიკურ ერთეულს. ქაჯურდი - დამოუკიდებლობის მოპოვებით არ დაკმაყოფილდა. იგი არაერთგზის აუჯანყდა დიდ სელჩუკ სულთანს და სამეფო ტახტზეც პრეტენზია განაცხადა.

XI საუკუნის 40-იანი წლებსათვის სელჩუკ უფლისწულთა შორის წინააღმდეგობა და პირველობისათვის სწრაფვის ტენდენციები უფრო გაძლიერდა. უფლისწულთა შორის პირველობა თოღრულ-ბეგმა მოიპოვა და დაზნელთა დამარცხების შემდეგ ნიშაბურში სულთანის ტახტზე დაჯდა. ამიერიდან საფუძველი ჩაეყარა დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს არსებობას.

თოღრულ-ბეგმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სელჩუკთა სახელმწიფოს ზრდა-განვითარების საქმეში. მან პირველმა ითავა სელჩუკთა დაპყრობითი ომების ხელმძღვანელობა და თავისი საქმიანობა წინასწარ დასახული პროგრამის მიხედვით წარმართა. მან თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა ყველა უფლისწული და თითოეულ მათგანს დაუსახა სამოქმედო გეგმა. პირველ ყოვლისა, მან კეთილშეგობრული და ნათესაური ურთიერთობა დაამყარა ხალიფასთან, რომელიც ეგვიპტის ფატიმიანთა შიიტურ სახელმწიფოს უპირისპირდებოდა. ამასთანავე, თოღრულ-ბეგმა დიდი ყურადღება დაუთმო დასავლეთის მიმართულებით ლაშქრობების მოწყობას.

3. სულთან ალფ-არსლანისა (1063—1072) და მელიქ-შაჰის (1072—1092) დროს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს გაფართოებისა და ცენტრალიზაციისათვის ზრუნვამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მათ წარმატებით განაგრძეს წინაპართა მიერ დასახული დაპყრობითი გეგმების განხორციელება. ხელისუფლების მიერ ახალ-ახალი დაპყრობითი ომების წარმოებასთან ერთად მას დამოუკიდებლობის გზაზე შემდგომ ცალკეულ გამგებელ-ფეოდალთა დამორჩილებაც უხდებოდა. იქმნებოდა ცალკეული პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც ფორმალურად სცნობდნენ მელიქ-შაჰის ხელისუფლებას, მაგრამ ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში დამოუკიდებლობის მოპოვებას ანერხებდნენ. ცალკეული უფლისწულები სისტემატურად განაგრძობდნენ ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მელიქ-შაჰი იძულებული ხდებოდა არაერთგზის შემოეველო თავისი ვრცელი სახელმწიფო და იარაღით დაემორჩილებინა ამა თუ იმ პროვინციის განმდგარი განმგებელი.

მელიქ-შაჰის მიერ ქვეყნის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის მიღებულ ღონისძიებათა წარმატებანი დროებითი აღმოჩნდა. მისი

სულთნობის ბოლო წლებში სახელმწიფოში შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობა უკიდურესად გამწვავდა. ფეოდალიზაციის პროცესი შორს წასული მოვლენა იყო. წარმოიქმნა ცალკეული ჯელჩუკური პოლიტიკური ერთეულები. ფართო ხასიათი მიიღო დიდმა სოციალურმა და რელიგიურმა მოძრაობებმა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ქვეყნად შექმნილ გამწვავებულ შინაგან ვითარებას შეეწირნენ მელიქ-შაჰი და ნიზამ ალ-მულქი.

4. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სახელგანთქმულმა ვეზირმა ნიზამ ალ-მულქმა. მის იდეალს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო შეადგენდა. საამისოდ იგი ცდილობდა ფეოდალთა იმ ფენას დაყრდნობოდა, რომელიც ხელს არ შეუშლიდა ან ღონისძიების გატარებაში; შეექმნა დისციპლინირებული და კარგად შეიარაღებული ლაშქარი, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებდა ფართო დაპყრობითი ომები ეწარმოებინა, ერთი მხრივ, და მოახერხებდა განკერძოების გზაზე შემდგარი მმართველების აღაგმვას, მეორე მხრივ. მაგრამ, მიუხედავად დაუღალავი მეცადინეობისა, მან მაინც ვერ შეძლო დასახული პროგრამის განხორციელება. მისმა გეგმებმა მარცხი განიცადეს. ნიზამ ალ-მულქი შეაანინშნავად ართმევდა თავს დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს რთულ ბიუროკრატიულ აპარატს. მისი უშუალო მეცადინეობით ფართო გასაქანი მიეცა კულტურული მშენებლობის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების საქმეს, დაწინაურდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, განვითარდა ვაჭრობა-ხელოსნობა, გაჩაღდა ქვეყნის კეთილმოწყობისა და აღმშენებლობითი ხასიათის სამუშაოები. ნიზამ ალ-მულქის ინიციატივით გაყავდათ გზები, იგებოდა ხიდები, სასტუმროები, მედრესეები; ნიზამ ალ-მულქის მიერ ბაღდადში აგებულმა მედრესემ — ნიზამიემ, შემდეგში უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერებისა და კულტურულ ცხოვრების დაწინაურების საქმეში.

5. ნიზამ ალ-მულქისათვის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა თურქქენთა მომთაბარე ტომების საკითხი. ისინი სისტემატურად მოდიოდნენ აზიიდან და ძირს უთხრიდნენ და ასუსტებდნენ დიდ სელჩუკთა ცენტრალურ-ბიუროკრატიულ აპარატს. მათი გადაყვანა მკვიდრ ბინადარ ცხოვრებაზე ვერ მოხერხდა, ისინი მომთაბარეობას არჩევდნენ. ამიტომ ცდილობდა ნიზამ ალ-მულქი თურქქენთა მომთაბარეული მოძრაობის შესუსტებას, ქვეყნის განაპირა მხარეებისაკენ, ბიზანტიისა და საქართველოს მიმართულებით ერეკებოდა მათ.

6. ნიზამ ალ-მულქი სასტიკი მოწინააღმდეგე და დაუძინებელი პეტერი იყო ისმაილიანთა მოძრაობისა, რომელიც ძირს უთხრიდა სელჩუკთა სახელმწიფოს ძლიერებას. ისმაილიანთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. სელჩუკთა სამხედრო ნომადური არისტოკრატიის მიერ უკიდურესად შევიწროებულმა მწარმოებელმა საზოგადოებამ თავისი ინტერესების დამცველად ისმაილიანები სცნო. ისმაილიანები ხალხის ფართო მასებს პოლიტიკური ბრძოლისა და არსებული ფეოდალური წყობილების შეცვლისაკენ მოუწოდებდნენ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მასების მიმხრობას და მათ დარაზმვას სელჩუკთა წინააღმდეგ. ამ მიზნით ისმაილიანები კარგად სარგებლობდნენ ქვეყნად შექმნილი მძიმე სოციალური ხასიათის წინააღმდეგობებით. მათი ძირითადი დასაყრდენი ირანის ქალაქების ხელოსნები და ღარიბები იყვნენ. მთელს სახელმწიფოში გავრცელებული ისმაილიანთა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების მთავარი საზრუნავი გახდა. ისმაილიანთა მოძრაობამ უფრო გაამწვავა ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობანი და ხელი შეუწყო დიდ სელჩუკთა უზარმაზარი სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად დაშლას.

7. ქვეყნის დეცენტრალიზაციის საქმეში ძირითადი როლი შეასრულა იკტას ინსტიტუტის ევოლუციამ. იკტას ინსტიტუტმა პირველ ხანებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის განმტკიცებისა და ძლიერი სამხედრო ძალების ორგანიზაციის საქმეში. მაგრამ დროთა განმავლობაში იკტას მემკვიდრეობით გასაკუთრების ტრადიციამ დააჩქარა სახელმწიფოს ფეოდალურ ერთეულებად დაშლის პროცესი. იკტას გასაკუთრების ტენდენციამ და მისმა შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია ცალკეული პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა ქერმანში, მცირე აზიასა და სირიაში. ნიზამ ალ-მულქი, რომელმაც პირველმა შემოიღო იკტას წესი დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში, სიცოცხლის ბოლო წლებში, სასტიკი წინააღმდეგი იყო მისი გაცემის, რამდენადაც იკტას ახალი შინაარსით შევსება ძირს უთხრიდა და ააუსტებდა ქვეყნის ცენტრისკენულ ძალებს. იკტას მფლობელნი უკვე არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებას ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. ნიზამ ალ-მულქის ცდამ — შეეზღუდა დეცენტრალისტური ძალები, შედეგი ვერ გამოიღო. იკტას ინსტიტუტმა ფართო გავრცელება პოვა მთელს სახელმწიფოში; იგი წარმოადგენდა სელჩუკთა მომთაბარე არისტოკრატიის ხარჯზე გაძლიერებული ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების ძირითად წყაროს. იკტას ინსტიტუტის განვითარების შედეგად დაპყრობილი ქვეყნების მწარმოებელი საზოგადოება სელჩუკთა მომთაბარე არისტოკრატიის უშუალო დამოკიდებუ-

23. 6. შენგელია

ლებაში აღმოჩნდა. რომელმაც უფრო გააძლიერა ფეოდალური ექსპლოატაცია. ნიჰამ ალ-მულქი ენერგიულ ზომებს ღებულობდა ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარების, გლეხთა მიწაზე მიმაგრებისა და მისი რაციონალური ექსპლოატაციისათვის. აღვირახსნილი ფეოდალური ექსპლოატაციის, გაუთავებელი დაპყრობითი ომების, მკაცრი საგადასახადო სისტემის არსებობა მწარმოებელ საზოგადოებას აიძულებდა ბრძოლის სხვადასხვაგვარი ფორმებისათვის მიემართა. განსაკუთრებით გავრცელებული იყო გლეხთა აყრა-გაქცევა. გლეხი უკეთესი პირობების საძიებლად სხვაგან გარბოდა. ძლიერდებოდა სოციალური მოძრაობები სასტიკი ფეოდალური ექსპლოატაციის შედეგად. გლეხთა მიწაზე მიმაგრების და ინტენსიური მეურნეობის შემდგომი განვითარების ცდამ მარცხი განიცადა.

8. XI საუკუნის 30-იან წლებში სელჩუკთა ლაშქარი ამიერკავკასიის ქვეყნებში გამოჩნდა. ეს იყო პირველი მარბიელი, დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობა დასავლეთის მიმართულებით, რომელსაც ჩალრი-ბეგი მეთაურობდა. ამ ლაშქრობის დროს სელჩუკები სწავლობდნენ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას და პირობებს ამზადებდნენ შემდგომში უფრო ფართო ხასიათის ლაშქრობებისათვის. ამიერკავკასიიდან დაბრუნებული ჩალრი-ბეგი თოღრულბეგს მოახსენებდა მის მიერ ნახული და შესწავლილი ქვეყნების ამბავს და დასავლეთისაკენ გალაშქრებას ურჩევდა. ამ დროს ბიზანტიის იმპერია ამიერკავკასიის ქვეყნებში წარმატებით ატარებდა თავის აღმოსავლურ პოლიტიკას. ყალიბდებოდა საქართველოსა და სომხეთის დიდი პოლიტიკური ერთეულები; დიდი ხნის წინათ გაძლიერების გზაზე შემდგარ საქართველოს დაესრულებინა გაერთიანება. ხოლო ბიზანტია კვლავინდებურად ვეღარ ატარებდა თავის პოლიტიკას საქართველოში. ასევე მძიმე მდგომარეობაში ავდებდა საქართველოს გაძლიერება-გაერთიანება არაბთა ნაშთებს ამიერკავკასიაში, რომელთაც ჯერ კიდევ ეპყრათ თბილისი.

ამიერკავკასიის ქვეყნებში ჩალრი-ბეგის ლაშქრობის შემდეგ ადგილი ჰქონდა ოღუზთა მოდგმის ტომების სისტემატურ მომძლავრებას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საქართველოს მეფე ბაგრატ IV აქტიურად მონაწილეობდა ამიერკავკასიიდან სელჩუკთა განდევნის საქმეში. მისი მონაწილეობა სომხეთისა და აზერბაიჯანის მიერ სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებულ ომში აშკარად მოწმობს, რომ 30-იანი წლებისათვის საქართველოს საზღვრებზე სელჩუკები გამოჩენილან. ამიერიდან სელჩუკები სისტემატურად მოდიან სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. სელჩუკთა განუწყვეტელი თავდასხმები საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებზე უარყოფით გავლენას ახდენ-

და საქართველოზე. ძალაუვნებურად იქმნებოდა უცხო ლაშქრის თავდასხმის საშიშროება საქართველოზე და საჭირო იყო ძალთა მობილიზაცია და მზად ყოფნა. სელჩუკთა პირველი ლაშქრობა საქართველოში 1032—34 წლებშია სავარაუდებელი. საგარეო ვითარების მოსალოდნელი ვართულების ეამს ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დიდგვარიანი წარჩინებულნი, რომელნიც კარგად იყენებდნენ შინაკლასობრივ ბრძოლებს. ბიზანტიის იმპერია, კარგად იყენებდა ლიპარიტ ერისთავის ურთიერთობას ბაგრატ IV-სთან. ბიზანტიის კეისარი ყოველწლიურად უწყობდა ხელს ლიპარიტ ერისთავს; ამით იგი საქართველოს მეფეს უპირისპირდებოდა და ცდილობდა მის დასუსტებას. ლიპარიტიც თავის მხრივ ერთგულად ემსახურებოდა იმპერატორს. ლიპარიტ ერისთავი მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში; სელჩუკთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში ბიზანტიის დამხმარედ გამოდიოდა.

40-იანი წლებისათვის საქართველოს უფრო და უფრო უახლოვდებოდა სელჩუკები, მათი თავდასხმები სომხეთსა და აზერბაიჯანზე სისტემატურ და მასობრივ ხასიათს ატარებდა. სელჩუკთა მომთაბარე სამხედრო არისტოკრატიას ამიერკავკასიის ნოციერი საძოვრები იზიდავდა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მომთაბარული მეჯოგეობისათვის. ამიერკავკასიაში სელჩუკები ბიზანტიის წინააღმდეგობას წააწყდნენ. სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიასთან ერთად მონაწილეობდნენ ლომეხ-ქართველთა გაერთიანებული ძალები. ამ მხრივ საყურადღებოა ლიპარიტ ერისთავის მონაწილეობა სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებულ ომში, სადაც იგი ტყვედ ჩავარდა. ლიპარიტმა დიდი პოლიტიკური როლი შეასრულა როგორც საქართველოს საშინაო საკითხებში, ისე მისი საგარეო მდგომარეობის თვალსაზრისით მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით. ლიპარიტ ერისთავმა არაერთხელ ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში ბაგრატ IV. იგი ძლიერი და გავლენიანი პირი იყო როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

9. თოდრულ-ბეგის დროს სელჩუკებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს დასავლეთის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში. 1040—50 წლებში მათ დაიპყრეს რეი, ისფაჰანი, ჰამადანი და სხვა პუნქტები, დედაქალაქად რეი გაიხადეს. ამ პერიოდში მთელს ანატოლიასა და ამიერკავკასიაში არ არსებობდა ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც წინ აღუდგებოდა სელჩუკთა შემოტევებს. დამპყრობელნი კარგად იყენებდნენ ამ მდგომარეობას. ხდებოდა თურქული ეთნიკური ელემენტის თანდათანობითი მომრავლება ამიერკავკასიის ქვეყნებში. 50-იანი წლებისათვის საქართველოს სამხრეთ რაიონებში



უკვე გამოჩნდა მათი ტალღები. წყაროების მიხედვით, თვითონ თორღულ-ბეგს ულაშქრია საქართველოში 1053 წელს; მანამდე, ცალკეული უფლისწულების მიერ სომხეთსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ლაშქრობის დროს, საქართველოს სამხრეთ ნაწილში სელჩუკები არაერთგზის გამოჩნდილან. სელჩუკთა მრავალგზის ექსპედიციებს თან სდევდა მწარმოებელი საზოგადოების ფიზიკური და მატერიალური განადგურება. თორღულ-ბეგის სიცოცხლის ბოლო წლებში სელჩუკებმა საქართველოს უკვე დიდი ზარალი მიაყენეს.

10. თორღულ ბეგის მიერ წარმოებული ბრძოლები საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ უფრო განავითარა მისმა ძმისშვილმა ალფ-არსლანმა. ალფ-არსლანმა სასულთნო ტახტის დაკავებისთანავე ყურადღება გაამახვილა ბიზანტიის მიმართულებით დაპყრობით ომებზე. 1064 წლის გაზაფხულისათვის იგი უკვე საქართველოს საზღვარზე იდგა უზარმაზარი ლაშქრით. საქართველოში შემოსევამდე მან დაიპყრო სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელი რიგი ციხე-სიმაგრეები. სელჩუკთა ლაშქარს შეუერთდნენ აზერბაიჯანში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომები. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის დროს მას თან ახლდა ვეზირი ნიზამ ალ-მულქი და თავისი შვილი მელიქ-შაჰი. ალფ-არსლანის უზარმაზარი ლაშქარი ახალქალაქის გზით შემოესია მთელ სამხრეთ საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ „მეცხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს“, ქართველები უთანასწორო ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ. ალფ-არსლანმა ამ შემოსევით უდიდესი ფიზიკური და მატერიალური ზიანი მიაყენა სამხრეთ საქართველოს მწარმოებელ საზოგადოებას. ბაგრატ IV იძულებული გახდა ზავი შეეთავაზებინა სულთნისათვის, რომელიც ხარაჯის გადახდას და საქართველოს მეფის დისწულს ითხოვდა ცოლად. ბაგრატი მზად იყო საქართველოს ფიზიკური განადგურების თავიდან ასაცილებლად გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო, დამოყვებოდა სულთანს და მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ალფ-არსლანთან ასეთი ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი რაპდენიმე წლის შემდეგ, 1068 წელს, დიდი ლაშქრით ისევ შემოესია საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებს. ამჯერად უფრო წამლეკავი აღმოჩნდა სელჩუკთა ლაშქრის შემოსევები საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის. ალფ-არსლანმა ჯერ კახეთი დაარბია, იქ სამი კვირა დარჩა, შემდეგ თბილისისაკენ გამოემგზავრა და გზად ყველაფერი ააოხრა. ქართლში გადმოსულმა სულთანმა მარბიელი ლაშქარი გაუსია საქართველოს შიდა პროვინციებს, ააოხრა ქართლი და შემდეგ არგვეთს გადავიდა. ამჯერად სელჩუკებმა დასავლეთ საქართველოში ილაშქრეს სვერის ციხემდე. ალფ-არს-

ლანმა 1068 წლის დეკემბერი და 1069 წლის იანვარი საქართველოში გაატარა, განადგურა ყველაფერი და ფარსში წავიდა. ბაგრატ IV იძულებული იყო მოლაპარაკება გაემართა სულთანთან; სულთანი თანახმა იყო ბაგრატის მიერ შემოთავაზებულ ზავზე ხარაჯის გადახდის პირობით. მას სურდა საქართველო თავის მოხარკედ და ყმად გაეხადა, მაგრამ ეს ხელს არ აძლევდა ბაგრატს. ალფ-არსლანი ისე წავიდა საქართველოდან, რომ ბაგრატ IV-ისაგან გარკვეული პასუხი არ მიუღია შემოთავაზებულ პირობაზე. ალფ-არსლანის პირველი და მეორე ლაშქრობების შედეგად საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში განადგურდა მწარმოებელი საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათი. მკვიდრი მოსახლეობა მძიმე ეკონომიურ და ფიზიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამიერკავკასიიდან წასულმა ალფ-არსლანმა დაპყრობილი ქვეყნები გაუნაწილა ცალკეულ მუსლიმან ამირებსა და სხვა გამგებლებს, რომლებმაც ისლამი აღიარეს და მის საჰსახურში ჩადგნენ.

11. ამიერკავკასიიდან ალფ-არსლანის წასვლის შემდეგ სელჩუკთა ცალკეული ჯგუფები სისტემატურად ესხმოდნენ თავს ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებს. ხდებოდა თურქთა ჩამოსახლება; ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გვერდით არსებობას იწყებდა თურქული ეთნიკური ელემენტი. ანატოლიასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში თურქული ტომების მოზღვაება და მათი სისტემატური თავდასხმების შედეგად შექმნილი ვითარება ბიზანტიის იმპერიამ გვიან შეამჩნია. სელჩუკები ანატოლიაში უკვე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ. ისინი იპყრობდნენ ახალ-ახალ ტერიტორიებს ანატოლიაში, რაც საფრთხეს უქმნიდა პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიას. ბიზანტიის იმპერატორმა რომან დიოგენმა დასახა რიგი ღონისძიებები ანატოლიიდან სელჩუკების საბოლოოდ განსადევნად. ანატოლიის პროვინციებში სელჩუკთა გაბატონება და მათ მიერ წარმოებული დაპყრობითი ომები ბიზანტიის იმპერატორს უკარნახებდა გადამწყვეტი იერიში მიეტანა მათ წინააღმდეგ. სელჩუკთა წინააღმდეგ ამ მიზნით მოწყობილმა ლაშქრობამ სრული მარცხი განიცადა.

12. მანასკერტთან ბიზანტიელთა უზარმაზარი კოალიციური არმიის დამარცხებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკთა შემდგომი წარმატებებისათვის. ამ ბრძოლით სელჩუკებმა საბოლოოდ გასტეხეს ბიზანტიის წინააღმდეგობა და უფრო ფართო ასპარეზი მიეცა მათი ახალ-ახალი ტაღების შემოჭრასა და დამკვიდრებას ანატოლიის ცალკეულ პროვინციებში. მანასკერტთან სელჩუკთა გამარჯვებას უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთათვის. ამიერიდან, საქართველოს კულტურულ-

ლი ბიზანტიის ნაცვლად უმეზობლდებოდნენ მეჯოგე სელჩუკიან თურქთა ტომები, რომლებიც მაღალგანვითარებული, ინტენსიური მეურნეობის მქონე ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას. უპირისპირდებოდნენ. თურქთა დამეზობლებისა და თურქული ეთნიკური ელემენტის მომძლავრების შედეგად ხშირდებოდა საქართველოზე თავდასხმები, იკვეცებოდა ქართული ფეოდალური მეურნეობა, ფერხდებოდა ქვეყნის ეკონომიური განვითარება; საქართველოში „დიდი თურქობისათვის“ იქმნებოდა პირობები.

13. სელჩუკთა ძირითადი დაპყრობები დასავლეთით, ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. სელჩუკები კარგად იყენებდნენ ბიზანტიის იმპერიის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძნელეებს და ადვილად იპყრობდნენ მის ტერიტორიებს. მელიქ-შაჰის სულთნობის პირველი წლებისათვის მათ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ გალათიის, ფრიგიის, ლიკონიისა და პაფლაგონიის ოლქებში არსებული ქალაქები და დაბები. ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეს სელჩუკებმა ანატოლიის სამხრეთ რაიონებში — კილიკიაში, სადაც დაპყრობებს აწარმოებდა სულეიმანშაჰი. სელჩუკები იმდენად მომძლავრდნენ ანატოლიაში, რომ სულ უფრო ხშირად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიის შინაგანი საქმეების მოგვარებაში. ქვეყნის შიგნით შინაკლასობრივი ბრძოლების წარმოებისას ესა თუ ის პოლიტიკური დაჯგუფება თავისი ინტერესების შესაბამისად ხშირად იშველიებდა სელჩუკებს.

სელჩუკ უფლიანწულთა შორის არსებული წინააღმდეგობებისა და პირველობისათვის ბრძოლის დროს დამარცხებული ესა თუ ის ამირი თავშესაფარს ბიზანტიის იმპერიაში პოულობდა, ხოლო ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობდა სელჩუკთა ხელისუფლებისაგან დევნილი პირნი თავი იპოვებინათ პოლიტიკური გეგმების შესაბამისად გამოეყენებინათ სელჩუკთა წინააღმდეგ. სელჩუკები თავისუფლად დათარეშობდნენ მთელს ანატოლიაში ნიკეასა და აკუტარამდე. სელჩუკთა მიერ ანატოლიაში დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე შეიქმნა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელსაც სათავეში სულეიმანშაჰი ჩაუდგა.

14. 70-იანი წლებისათვის დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს ხარჯზე შექმნილი ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომლის დამაარსებელმა სულეიმანშაჰმა ოფიციალური აღიარება პოვა და დამოუკიდებლობის მაღიარებელი ფორმალური ტიტულები მიიღო. ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნა ერთგვარი შეჯამება იყო მათ მიერ წარმოებული დაპყრობითი ომებისა. ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნით ძირითადად მთავრდებოდა მცირე აზიის დაპყრობა და, საერთოდ, თურ-

ქული ეთნიკური ელემენტის გაბატონება, რასაც დიდი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის. ამიერიდან, ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბდა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, რომელიც ძირითად ბაზად ხდებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის. ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოსთან საქართველოს მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა მკიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა.

სულეიმანშაჰი მიღწეული წარმატებებით არ დაკმაყოფილდა და განაგრძო ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ. მან ხელთ იგდო ნიკეა, რომელიც ერთგვარი პლაცდარჰი ხდებოდა კონსტანტინოპოლზე თავდასასხმელად. სულეიმანშაჰი მალე მარმარილოს ზღვის მთელ სანაპიროებს დაეპატრონა და კონტროლს უწევდა გამკლავ-გამომკლავ გემებს. სელჩუკთა ძალების კონსტანტინოპოლამდე მისვლამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ბიზანტიის ხელისუფლება. მას შემდეგ რაც სულეიმანშაჰმა წარმატებით დაასრულა ლაშქრობები დასავლეთით, მთელი თავისი ძალები აღმოსავლეთისაკენ გადაისროლა და ხელთ იგდო ანტიოქია, რომელიც ბიზანტიელთა დასაყრდენ ქალაქს წარმოადგენდა აღმოსავლეთში.

მიუხედავად იმისა, რომ სელჩუკი უფლისწულები დიდ წარმატებებს აღწევდნენ დაპყრობით ომებში, მათ შორის წინააღმდეგობა და პირველობისათვის სწრაფვის ტენდენციები ძლიერი იყო. გაძლიერებული სულეიმანშაჰის ინტერესები დაუპირისპირდა სირიის გამგებლის — თუთუშის ინტერესებს. სირიისათვის ბრძოლა თუთუშის გამარჯვებით დამთავრდა. სულეიმანშაჰი ამ ბრძოლას შეეწირა. გაიმარჯვა სირიის სელჩუკთა შტომ, რომლის მეთაური თუთუში უკვე პრეტენზიას აცხადებდა დიდ სელჩუკთა ტახტზე და მელიქ-შაჰის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა.

15. მელიქ-შაჰის სულთნობის პერიოდში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო. მის დროს სელჩუკებმა თითქმის მთელი საქართველოს დალაშქრვა მოახერხეს. დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობის“ ხანა საქართველოში. თუ აქამდე სელჩუკები საქართველოს რომელიმე კუთხის აოხრებით კმაყოფილდებოდნენ, ამჯერად ისინი თითქმის მთელი ნახევარი წლის განმავლობაში აოხრებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. სელჩუკები ამიერიდან ყოველწლიურად მოდიოდნენ საქართველოში და იკავებდნენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ პუნქტებს. საქართველოზე სისტემატური თავდასხმებისათვის უკვე შესანიშნავი ბაზა არსებობდა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს სახით. მასობრივად ხდებოდა

საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ტომების ჩამოსახლება, სა-  
ბარცვავად მოსული სელჩუკები უკან აღარ მიდიოდნენ. თურქთა მომ-  
ძლავრებისა და ჩამოსახლების შედეგად შეუძლებელი ხდებოდა მე-  
ურნეობის წარმოება. ქვეყანა ფიზიკური განადგურების წინაშე იდგა.  
მეფე გიორგი II იძულებული იყო ქვეყნის საბოლოო განადგურების  
თავიდან ასაცილებლად წასულიყო ისფაჰანს მელიქ-შაჰთან და „შე-  
წყალება“ ეთხოვა; მის სანაცვლოდ კი ხარაჯის გადახდას კისრულობ-  
და. გიორგი მეფის მიერ ხარაჯის გადახდის პირობა ერთადერთი გა-  
მოსავალი იყო ქვეყნის ფიზიკური მოსპობისაგან გადასარჩენად: ამა-  
ვე დროს ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და  
სელჩუკებთან მხოლოდ გარკვეული დამოკიდებულების ფორმით —  
ხარაჯის გადახდით იყო დაკავშირებული. თურქთა ჩამოსახლება და  
სისტემატური თავდასხმები, თურქული ეთნიკური ელემენტის მომ-  
რავლება საქართველოში ქართულ ფეოდალურ მეურნეობას საფრთხის-  
წინაშე აყენებდა. „დიდი თურქობის“ დროს სელჩუკიანი თურქების  
სოციალურ-პოლიტიკური სისტემა მზარდი ქართული ფეოდალური  
წყობილების საფუძვლებს არ შეჰხებია, ქართული სოციალურ-პოლი-  
ტიკური სისტემა არ დარღვეულა, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ  
„დიდი თურქობა“ საკმაოდ საშიშ პრეცედენტს ქმნიდა. „დიდი თურ-  
ქობის“ დროს ფართო ასპარეზი ეძლეოდა კლასობრივ და შინაკლას-  
ობრივ ბრძოლებს. ქვეყნად შექმნილი მძიმე ვითარება მოითხოვდა  
შინაგანი ძალების სრულ მოზილიზაციას, როგორც გარეშე მტრების,  
ისე შინაური ურჩი ფეოდალების ასალაგმავად. ახლად წარმოქმნილ  
ქართულ ფეოდალურ მონარქიას მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩა-  
ტარება სჭირდებოდა.

16. იქტას ინსტიტუტის ახალი შინაარსით შევსებისა და ქვეყანა-  
ში მიმდინარე რიგი სოციალური და რელიგიური მოძრაობების შედე-  
გად, მელიქ-შაჰისა და ნიზამ ალ-მულქის მკვლელობის შედეგად და-  
იწყო საშინელი არეულობის პერიოდი. დიდ სელჩუკთა სახელმწიფო  
დაიშალა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფეოდალურ ერთეულებად. შე-  
იქმნა სელჩუკთა სახელმწიფოები სირიაში, ერაყში, ქერმანში, მცირე  
აზიაში; ასევე წარმოიქმნა მრავალი წვრილ-წვრილი საამიროები და  
პოლიტიკური გაერთიანებები. XI საუკუნის მიწურულისათვის დიდ  
სელჩუკთა სახელმწიფოში ფეოდალიზაციის პროცესი ძალიან შორს  
წასული მოვლენა იყო. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შემდგომმა  
ფეოდალიზაციამ, მისმა საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართუ-  
ლებებმა დადებითი როლი შეასრულეს მათ მიერ დაპყრობილი ხალ-  
ხების დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. ამას განსაკუთრებით  
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ჩვენს ქვეყანას ხელ-

საყრელი პირობები ექმნებოდა საშინაო და საგარეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ტახტზე ახლად ასულმა დავით IV გონივრულად განსაჯა საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება და დასახა ქვეყნის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების პერსპექტივები.

აღმავლობის გზაზე შემდგარმა ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ სელჩუკებთან წარმოებულ მრავალწლოვან ბრძოლებში შეძლო შეენარჩუნებინა თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ქართული ფეოდალური მეურნეობა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. თუ სელჩუკთა შემოსევებს ვეღარ გაუძლეს ბიზანტიის იმპერიამ და სომხეთმა; რომლებმაც ხანგრძლივ ბრძოლაში სასტიკი მარცხი განიცადეს, საქართველო ერთადერთი სახელმწიფო იყო მთელს აზიურ-კავკასიასა და მცირე აზიაში, რომელმაც შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და შინაგან ძალთა მობილიზაციის შედეგად კულტურული მეურნეობის მქონე ხალხთა პროგრესისათვის ბრძოლის საქმეს სათავეში ჩაუდგა.

## СЕЛЬДЖУКИ И ГРУЗИЯ В XI ВЕКЕ

### Резюме

Возникновение государства Сельджуков имело далеко идущие последствия в жизни многих народов. Сельджуки за короткий срок создали огромное государство и, по существу, изменили политическую карту Ближнего Востока. Они покорили целый ряд культурных народов от Средней Азии до Палестины. Под властью Сельджуков оказались Иран, значительная часть Византии и Закавказья. Сельджукские завоевания сопровождались существенными изменениями в экономической и политической жизни народов Ближнего и Среднего Востока.

Значительную роль сыграли Сельджуки также в жизни грузинского народа, с которым имели тесные политические и экономические отношения в XI—XIII вв.

В настоящем труде, главным образом, изучаются следующие вопросы: политическая история государства Сельджуков в XI в., время и условия его возникновения, первые завоевания Сельджуков на Востоке, их опустошительные набеги на страны Закавказья и, в частности, Грузию, войны султанов из т. н. Великих Сельджуков — Тогрул-бега (1038—1063), Алп-Арслана (1063—1072) и Мелик-шаха (1072—1092), особенности сельджукского господства в Грузии («Диди туркоба» — «Большое турецкое засилье»), мероприятия правителей Грузии по предотвращению опасности физического истребления грузинского народа. В монографии показан процесс феодального раздробления государства Великих Сельджуков и положительное значение этого исторического факта для покоренных народов, в том числе и для Грузии; вопросы государственного строя Великих Сельджуков, организация управления и т. д.

В труде использованы разнородные восточного происхождения первоисточники, соответствующая и специальная литература. Для изучения истории сельджукского государства имеются источники на арабском, персидском, сирийском, греческом, армянском, грузинском и др. языках. Эти источники содержат важные материалы о сношениях Грузии и других закавказских стран с государством Великих Сельджуков. Большинство источников переведено на турецкий язык и опубликовано Турецким Историческим Обществом на весьма высоком научном уровне. В нашем труде широко используются они именно в турецком переводе.

Почти все персидские и арабские источники сельджукского периода повествуют об истории государства Великих Сельджуков, об его сношениях с соседними государствами. В источниках, где специально излагаются история отдельной сельджукской политической единицы, образовавшейся в результате феодального дробления государства Великих Сельджуков, во вступительной части обычно даются сведения о деятельности великих султанов. В некоторых источниках уже специально, так сказать, монографически, рассматривается история государства Великих Сельджуков.

С самого начала своего существования государство Сельджуков имело довольно оживленные связи с Грузией и др. закавказскими странами. С точки зрения наших исследовательских интересов особенно следует отметить политико-экономические взаимоотношения Великих Сельджуков с Грузией. Памятники этого периода служат наилучшими источниками как для изучения истории государства Великих Сельджуков, так и для изучения вопросов взаимоотношений Грузии с Сельджуками.

В этой связи, большой интерес вызывает — *Zubdat al-Nuṣṣa wa Nuḥbat al-Uṣra*, составившийся в продолжение длительного времени различными авторами. Источник содержит ценные сведения о периоде правления султана Мелик-Шаха (1072 — 1092) до 80-ых годов XII века. В нем приводятся также заслуживающие внимания сведения и по истории государства Сельджуков Ирака.

Первым автором этого коллективного труда был Шериф ад-дин Абу Наср Ануширван б. Халид Кашани (умер в 633 —



